ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა ნ თ ო ლ ო გ ი ა

II
ტომი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2013

UDC(უაკ)908(479.22)
ა-659

იუნესკოს მსოფლიო დესპანი / მსოფლიოს სპორტსმენი / გაეროს ბუნების დაცვის ელჩი / გინესის მრავალგზის რეკორდსმენი / მსოფლიო ველომოგზაური / მოგზაური დიპლომატი / სახელმწიფო პრემიის ლაურეატი / ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი / მსოფლიო 2009 წლის ადამიანი / საქართველოს 2002 წლის ადამიანი / სპორტის დამსახურებული მუშაკი / მსოფლიოს მრავალი ქალაქის, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე / ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლების მფლობელი / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის თავისუფლების ოქროს მედლის მფლობელი / ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე / 5 აკადემიის აკადემიკოსი / შეყვანილია ევროპის ბიოგრაფიული ცენტრის 400 წარჩინებულში / ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ კი — მსოფლიოს 500 წარჩინებულთა სიაში და სხვ.

ასეთი პოპულარული პიროვნების სახელობის აკადემიის შექმნა, დასაფიქრებელია და საპასუხისმგებლოც. ჟურნალმა „ათინათმა" მკითხველის ყურადღება მიიქცია და დღითიდღე საინტერესო ხდება.რაც შეეხება ანთოლოგიის გამოშვებას ასეთი დატვირთვა აქვს: მასში მოთავსებულია აკადემიის წევრების მასალები სხვადასხვა თემებზე.

სიკეთედ მოვალ

სიკეთედ მოვალ... ბოროტება
სულში გავცერი.
ამ წიგნს ღვთის მადლით
გადაპენტილს,
ყინვაშიც თბილა.
თუმცა მე წარსულს, სევდიანი თვალით
გავცქერი...
თქვენ გაგითენდეთ...
გაგითენდეთ...
მშვიდობის
დილა.

რედაქტორი: **გულნაზ ხარაიშვილი**

© ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია,2013

გამომცემლობა „უნივერსალი", 2013
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-883-2
ISBN 978-9941-22-201-6



უწმინდესი და უნეტარესი, ილია II

მეუფე თადეოზი (იორამ იორამაშვილი)

* * *

უწმინდესი მყავს... რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და ერის საჩინო...
სიკვდილი?.. უკვე რწმენით ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა შევინარჩუნო.

გულნაზ ხარაიშვილი

* * *

სხივს ნუ მოგვაკლებ, მზევ, თბილო,
იდიდე ცათა საჩენად...
ღმერთ გადღეგრძელოს, კეთილო,
მამულის გადასარჩენად.

2001 წლის 4 იანვარი
უწმინდესისადმი დაბადების დღის მისალოციდან.

ნუგზარ ნადარაია — ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თქვენო უწმიდესობავ!

“კარგ გულს არა კლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის ძველადა”
ვაჟა-ფშაველა

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ცოდვილნი, შემოგბედავთ და ამ მისალმებით თქვენს ლოცვა-კურთხევასა და შენდობას შეგთხოვთ.

დაუვიწყარია დღეს ჩვენი სიხარული, რადგან გვხვდა დიდი პატივი საქართველოს, ქართველი ერისა და დედა ეკლესიის უკვდავებად ქცეულ, მსოფლიო მართლმადიდებელ ქრისტიანთა მიერ სიცოცხლეშივე წმიდანად ერთსულოვნად აღიარებულ უწმიდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II აღმაშენებელს, თქვენგან ბოძებული დიდი მადლით, გულწრფელი სიხარულით აცრემლებულებმა, უფლისადმი თქვენი დიდხანს ჯანმრთელი და შემოქმედებითი სიცოცხლისადმი ყოველდღიურად მლოცველმა და მვედრებელმა მრევლმა მორწმუნე “ცოტნეიდელებმა”, ე.ი. “აღმსარებლებმა მცნებისა უფლისა და დამდებლებმა სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის” გულწრფელად და

გულმხურვალედ მოგილოცოთ სახელოვანი იუბილე: დაბადებიდან 80, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების - 35 და ბერად აღკვეცის 55 წლისთავი.

თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, ააღორძინეთ და ააშენეთ დედა ეკლესია, დაუბრუნეთ რა მას ძველი ისტორიული ბრწყინვალება, თავადვე სამარადჟამოდ გაბრწყინდით და გაწეული ღვაწლით სიცოცხლეშივე შეიძინეთ დამსახურებული ეპითეტი - ილია II აღმაშენებელი, რამეთუ 1977 წელს, როცა იკურთხეთ ქართული მართლმადიდებლური, სამოციქულო, ავტოკეფალური დედა ეკლესიის საჭეთმპყრობლად საქართველოში მხოლოდ 52-მდე ეკლესია-მონასტერი მოქმედებდა, ამჟამად კი, ღვთის წყალობითა და თქვენი ლოცვა-კურთხევით, 2400-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი ფუნქციონირებს და ასობით ახალი შენდება. თქვენი მოღვაწეობითა და მონდომებით აღსდგა: II საუკუნეზე მეტ ხანს ისტორიული უსამართლობით ჩამორთმეული ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ტრადიციად დაკანონებული შვიდგზის ლოცვები, ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა მრავალხმოვანი მშობლიური საგალობლები, თქვენს მიერ ყოველი მესამე შვილის ნათლობით ათასობით ქართველი შემატეთ მამულს, რამეთუ ყოველი ჩვილის ნათლია თავად ბრძანდებით, ამიტომაცაა, რომ ამრავლებთ რა ქართველობას, განუმტკიცებთ რწმენასა და სიყვარულს ღვთისას, ხალხის საფიცარი სულიერი მამა და მოძღვარი ბრძანდებით. ერს სჯერა თქვენი, გენდობათ და ყოველ თქვენს დაძახილზე გვერდით დაგიდგებათ.

დიდი მესია მეფეთ-მეფე წმიდა დავით აღმაშენებლისა და მისი აღმზრდელის, ასევე დიდი წმიდა გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედია) ქართული რენესანსის ეპოქის ხელმეორედ განმახორციელებლად მოგვევლინეთ ჩვენს დროში. ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები თქვენს ღვაწლს ღვთის მიერ ქართველი ერის საიმედოდ მოვლენილი წინასწარმეტყველის ნაამაგარს დამსახურებულად ადარებენ. წინამდებარე წიგნი, სხვა გამოცემებთან ერთად, თქვენს მიერ უკვე შექმნილი ღირებულისა და ღირსეულის პატივგების კონკრეტული გამოხატულება და დადასტურებაა...

ისტორია მუდამ მეორდება, ერის სიბრძნე კი მარადიულია. მართლაცდა, როგორც სულმნათი ვაჟა-ფშაველა გვმოძღვრავს დღესაც: "ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს"... ჰოდა, დაიქუხა კიდეც 2012 წლის 1 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებზე, სადღეისოდ მეორე დავით აღმაშენებლის ძიება-არჩევის ოცნებითა და იმედით გამხნევებულმა. ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს მოგვანიჭოს წყალობა ჭეშმარიტების შეცნობისა, გაგვაერთიანოს, გაგვამრავლოს, გადაგვარჩინოს და გაგვახაროს, ამინ!

თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, თქვენი ქადაგებებით, ხატწერითა და კოსმოსში გასახმოვანებელი ღვთიური საგალობლებით დღენიადაგ გვმოძღვრავთ, რომ "დიდი რწმენით, ცრემლითა და სისხლით ლოცვა სულის საცხონებელია, გულწრფელად და მხურვალედ მლოცველი გული თავად უფალს ეჩურჩულება და მისგანვე ძლიერდება, ამიტომაც ორთავ სოფელში უნდა მივებაროთ უფალს..." ამინ!

თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, ისტორიული კოლხეთის მემკვიდრე ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ფუნქციონირების აღდგენის, ქართული დედა ეკლესიის აღმშენებლობის, კოლხეთის ისტორიის კვლევის საქმეში აღმოჩენილი თანადგომისათვის ქრისტესშობიდან 1996 წლის 24 ნოემბერს ფოთში, ისტორიულ კოლხეთში - ფაზისში, სამეგრელოს სახელობის აღდგენილ მოედანზე გამართულ მრავალათასიან ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეროვნული, ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის გახსნას, სამადლობელი ოვაციის თანხლებით, ერთხმად იქენით არჩეული ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტად. ზეიმის მონაწილეებს დღესაც აღგვაფრთოვანებს თქვენი ფრთიანი შეგონება - გადაძახილი იმის თაობაზე, რომ "ფაზისის აკადემია ისტორიულად დედა აკადემია გახლავთ ყველა შემდგომი და სადღეისოდ ფუნქციონირებადი დარგობრივი აკადემიებისა", რაც დიდ პატივად, პასუხისმგებლობად და ნდობის გამართლების მოწოდებად იქნა აღქმული კოლხეთში. ამ საპატიო და დამსახურებული ნდობის გასამართლებლად ფაზისის აკადემია ყოველწლიურად გაწეული მუშაობის სამეცნიერო ანგარიშს წარმოგიდგენთ ჟურნალ "ცოტნეიდელის" ფორმატით.

თქვენი ლოცვა-კურთხევით ყოველწლიურად ჩატარებული "ცოტნეობისა" და "ჭყონდიდელობის" საეკლესიო-საერო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი თქვენი მოლოცვები და დარიგებები ჩვენ, თქვენს სულიერ შვილებს აღგვაფრთოვანებს, გვმოძღვრავს - მამულის, ერისა და დედა ეკლესიის თავდადებისა და ერთგულებისათვის გვრაზმავს და გვაერთიანებს, რადგან მტკიცედ ვიწამეთ, რომ ქართველობა და მართლმადიდებლობა იდენტურია, რამეთუ ჩვენი შეუქცევადი ერთიანობის საყრდენი ბალავარი და ბურჯი ისტორიულად მართლმადიდებლობაშია ჩაქარგულ-ჩაკირული. ასევე, ისტორიული კოლხეთი - სამეგრელო იყო, არის და ღვთის წყალობითა და მადლის ძალით, თქვენი ლოცვა-კურთხევით კვლავაც იქნება "ერთგულ და ერთსულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ჰქვია." ამის ნათელი დასტურია ერის სულიერი, ეროვნული მამების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლევან II დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, დუტუ მეგრელის, ზვიად გამსახურდიას მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა და ღვაწლი, მათი შეგონებები ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად ანდერძად თქმული...

დაე, მაღალმა ღმერთმა შეგვინდოს, დაგვლოცოს და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს მიანიჭოს მადლი გადარჩენის, გაერთიანების, გამრავლებისა და სულიერ-ზნეობრივი, სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა, XXI საუკუნეშიც მოგვეცეს ძალა და შეგვაძლებინოს დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედია) ქართული, ისტორიული ტანდემის ანალოგიით ქვეყნის აღმშენებლობისა, ტერიტორიების დაბრუნება-შემოერთებისა, დედა ეკლესიის განმტკიცებისა და რუის-ურბნისის საეკლესიო-საერო, ისტორიული კრების გადაწყვეტილებების პრიზმაში ჩვენი საერო და სასულიერო ცხოვრების გატარება-გაანალიზებისა, მიზეზ-შედეგის რკინისებური ლოგიკის მოთხოვნებს დაქვემდებარებული სამართლიანი რეფორმების საჯაროდ და სახალხოდ გატარებისა...

მაღალმა ღმერთმა გვისმინოს და გვფარავდეს წმიდა სამება, ამინ!

ტერენტი გრანელი

დღიურები

20 თებერვალი

დილას დაიწყო თოვა. მე მივდივარ კუკიის სასაფლაოზე, ვნახულობ პოეტ გობრონ აგარელის მეგობარი ქალის კლავიდია ზელინსკაიას საფლავს. იგი დამარხულია განმარტოებით და მის გარშემო სუფევს საშინელი მდუმარება. მე დიდხანს ვუმზერდი კლავდიას საფლავს. ასე მეგონა, თითქოს იგი აღსდგა საფლავიდან და თვალწინ დამიდგა მისი დაღონებული სახე.

შემეშინდა, დავტოვე საფლავი და წამოვედი. შევდივარ სახელგამში, დგანან ფუტურისტები და ლაყბობენ. შევხვდი ვასილ ბარნოვს, ტიციან ტაბიძეს და ვალერიან გაფრინდაშვილს, ვსაუბრობთ „არიფიონზე".

ახლა არ თოვს, უკვე გამოიდარა და მე გავდივარ ქუჩაში...

21 თებერვალი

წუხელ მთელი ღამე თოვდა, გათენდა თოვლიანი დღე, თანაც ნისლია, თოვლი და ნისლი ტოვებს მთვარიანი ღამის შთაბეჭდილებას. დილა არის და მგონია ღამე. მივდივარ თოვლში, მიმაქვს მარადიული მწუხარებით შეპყრობილი გული. ისევ თოვს, თოვლში და ნისლში დაფრინავენ ყვავები.

შემთხვევით ვხვდები ჩემს მეგობარს იაშა ნიკოლაძეს.

ჩვენ ვსაუბრობთ და ნელა თოვს.

თოვლიანია დღე, მწუხარეა მოგონების წამი. ასე თავდება თოვლიანი დილის აგონია...

23 თებერვალი

თოვლიანი და მზიანი დღეა. მე ვზივარ ალექსანდროვის ბაღში.. ქალაქში დროგამოშვებით ისმის სროლის ხმა. ცაზე ყვავილივით კიდია ღრუბლის ნაჭრები. ჭადრის ტოტზე ზის ყვავი და ჩხავის.

თვალწინ მიდგას ქაშუეთის ეკლესია. ახლა ოდნავ ქარია და თოვლით დაფარულია მთები. რუსთაველის გამზირზე სიმღერით მიდიან ჯარისკაცები. დროგამოშვებით ტოტებიდან ძირს ჩამოდის თოვლი; მე ვზივარ მოწყენილი და ვფიქრობ: მოვშორდე თბილისს და წავიდე სოხუმში.

24 თებერვალი

დღესაც ნელა თოვს, მზე დამალულია ღრუბლებში; მე ადრე ვდგები და მივდივარ ქალაქში, ირგვლივ თეთრი ფერია მხოლოდ. ვუმზერ თოვლიან ქვეყანას.

შუადღისას შევდივარ ჩემ მეგობართან და ვსაუბრობთ პოეზიაზე. გარეთ ნელა მოდის თოვლი.

თოვლიანი დღეა და მინდა იყოს გასვენება, მინდა მივყვებოდე ცხედარს. ან ვიყო სადმე შორს, უცნობ ქალაქში და მენატრებოდეს თბილისის ნახვა. მე ახლა ვზივარ ოთახში და ვეწერ, გარეთ თოვლია და მდუმარება...

26 თებერვალი

დილით მივდივარ სიონში, ვუმზერ ჯვარზე გაკრულ ქრისტეს სურათს და ვდგავარ გარინდებული. ვტოვებ ეკლესიას, თანაც ნელა თოვს. გზაში ვხდები პროცესიას, მიასვენებენ შურა ხოშტარიას ქალს, მივყვები ცხედარს თოვლში და სულში სუფევს მდუმარება. კუბო ქანაობს და მიდის წინ. უკრავს შოპენს, ფლეიტას კივილი უფრო გულის წამღებია. გზაში ორი ცხედარი ხვდება ერთმანეთს. მე დავინახე ჩიტები. ნელა მივდივართ და შრიალებს თოვლი. ოთახში ვბრუნდები ოთხ საათზე ძლიერ დაღლილი.

28 თებერვალი

განთიადიდან იწყებს თოვას. გავდივარ ქუჩაში. ადამიანები თოვლში დადიან, როგორც ლანდები. მეც ბავშვივით მიხარია თოვლში სიარული. მივდივარ ბაღისაკენ, ბაღში ყრია ბევრი თოვლი, დგანან თოვლისაგან ტოტებგადახრილი კვიპაროსები.

ახლა ვარ ოთახში, გარეთ ისევ თოვს და მაქვს სურვილი ვცხოვრობდე ზეცაში და ციდან ვუგზავნიდე ლექსებს მიწაზე მობინადრე ხალხს.

29 თებერვალი

წუხელ მოვიდა დიდი თოვლი. წუხელ აივნიდან მესმოდა რაღაც ჩურჩული, ძაღლები თამაშობენ თოვლში. დღეს ბევრი ვიარე, ახლა დავბრუნდი ოთახში. ახლა სადღაც ვიღაცას გული წუხს, მე ვზივარ და მწუხარე სახით ვუმზერ ფანჯარას. გარეთ დიდი თოვლია.

1 მარტი

დილის ცხრა საათზე შევდივარ ეკლესიაში და ვკოცნი ქრისტეს სისხლიან სხეულის სურათს. ოდნავ ქრის ქარი, მე ისევ მიხარია სიცოცხლე და ჟრუანტელი მივლის.

თოვლში სხედან ჩიტები; მთიდან ქარიშხალი ნამქერს აყრის მამადავითის საყდარს. ფანჯრიდან მიცქერის ვიღაც ბავშვი. აივანზე კიდია თეთრეულები. ოთახში ვბრუნდები, გზაში მომესმის ყვავის ჩხავილი. ახლა ვწერ და მწუხარება მიპყრობს.

3 მარტი

როგორც გუშინ, ისე დღესაც დაქრის ძლიერი ქარი, თან მზიანი დღეა; მივდივარ ხელოვანთა სასახლეში. თოვლი დნება, სახურავიდან ცივი წყლის წვეთეი დამეცა თავზე; გზაში ფანჯრიდან ვხედავ, ვიღაც უცნობი ქალი უკრავს როიალს. მივედი. ვარლამ რუხაძე გართულია საქმეში, რაღაცას ანგარიშობს.

სასახლის ბაღის ნაძვის ტოტზე დარჩენილია გუშინდელი თოვლი.

ახლა ცისფერ ცაზე მიდის თეთრი მთვარე. მე ახლა ვსდუმვარ და მენატრება გაზაფხულის თბილი ამინდები.

ხვალ იხსნება საქართველოს მწერალთა კონფერენცია, მე არ მინდა დავესწრო.

გალაკტიონი ისევ სოფელშია...

4 მარტი

კვირა დღეა, ოთახიდან გავდივარ გვიან და სივრცით ვგრძნობ გაზაფხულის მოახლოებას. შევდივარ სიონში, მესმის ქართული გალობა. დრო გადის, ვხვდები დათიკო კობიძეს; დავდივართ ნიკოლოზის სასაფლაოზე, საფლავებს თოვლი ფარავს. გადის დრო, ვშორდები მეგობარს. ვარ ბაზარში და ვუსმენ გრამაფონს. ახლა მესმის, სადღაც რეკავენ ზარებს და ვგრძნობ საშინელ მარტობას.

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე

ჩხიკვი

სიბერე იმდენად ფიზიკური დაუძლურება არ არის, რამდენადაც სულიერი დაძაბულობა.

სიბერე მოწყენის ავადმყოფობაა.

თანდათანობით მოგწყინდება ბევრი რამ, რასაც დიდი ხალისით აკეთებდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ერთბაშად გამოუტყდები შენს თავს, რომ თურმე რა სისულეები გიკეთებია და დაგეუფლება სიცოცხლეზე დიდი მტერი — მოწყენა.

„არ მინდა“, „აღარ მენატრება“, — „რა აზრი აქვს“, „რა მნიშვნელობა აქვს“, „რისთვის, ვისთვის ავიტკივო თავი“, „მაინც არაფერი შეიცვლება“, — ეს ფრაზები ყველაზე მეტად ჩნდება შენს ლექსიკონში და ისე მოგიცავს, დაგიმორჩილებს, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარა გვაქვს.

ასეთ დღეში იყო კირილე ბუაძე.

შეუმინავ შუშაბანდში იწვა და მისი ყველაზე საყვარელი საქმე — კითხვაც კი ეზარებოდა.

ენაჭარტალა, მაბეზღარა გაზეთებზე ხომ ხუთი წელია უარი თქვა, დაიდებდა სასთუმალთან კლასიკოსის რომელიმე, მის მიერ ადრე წაკითხულ წიგნს და ნასაუზმეზე რომ გადაშლიდა, ნერვები ეშლებოდა, აშკარად არ მოწონდა და უკმაყოფილებას ნერვული ბუტბუტით გამოხატავდა: „ვინ კითხავს ამას, რა ერევა სხვის საქმეში, რა ზღაპრებსაა რომ ჰყვება, რა სულელი ვიყავი, ღამეებს რომ ვათენებდი ამის წიგნებზე, რაებს ჩმახავს, რას უქსიანებს ადამიანებს ერთმანეთს, მწერლებმა არიეს ქვეყანა, ამათ გამოიგონეს ინტრიგა და ერთანეთის ჭამა, თორემ იქნებოდა ხალხი მშვიდად, მშვენიერ კარგად“...

ასეთ უცნაურ და მიუღებელ აზრებს შეიძლება ხმამაღლა არა, მაგრამ გულში არაერთი მოხუცი გამოთქვამს.

სწორდ ესაა სიბერე.

ყველაფერთან ერთად კირილეს სიბერემ ის მოუტანა, რომ ამ ბოლო დროს ტელევიზორიც შესძულდა.

ჭკუიდან შლიდა, ბეწვს უბურძგლავდა ტელევიზიის დიქტორების უტიფარი, პათეტიური, აწეული, ყალბარტისტული ტონი (განსაკუთრებით როცა ჩვენს „არნახულ წარმატებებზე“ და „საამურ ცხოვრებაზე“ ლაპარაკობდნენ) და ყოვლად უადგილო ადგილას ჩაჭრილი უსირცხვილო, უგემოვნო „რეკლამები“.

ტკივილით ისეთი არაფერი ტკიოდა, მაგრამ ადგომა ეზარებოდა და იწვა კირილე უტელევიზორო (მადლობა ღმერთს) შუშაბანდში.

ხომ შეუძლებელია ადამიანი არაფერზე ფიქრობდეს და კირილემ არაერთგზის დაიჭირა თავისი თავი იმაში, რომ სწორედ არაფერზე ფიქრობდა.

ოდის აივნის მეორე კარი ე.წ. სასტუმრო ოთახში შედიოდა.

სასტუმრო ოთახში კირილეს თანამეცხედრე მარიამი იჯდა და ტელევიზორს შესცქეროდა.

ხელში პულტი ეჭირა.

რომ ჩაეძინებოდა, პულტი უვარდებოდა ხელიდან.

პულტის დავარდნა გამოაღვიძებდა, აიღებდა, წითელ ღილაკს თითს დააჭერდა, ყურბალიშზე მიდებდა თავს და წაიძინებდა.

გამოღვიძებულზე (რა დროც უნდა ყოფილიყო) კვლავ ჩართავდა ქალბატონი მარიამი ტელევიზორს და ლამის გათენებამდე შესცქეროდა.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ხანდახან ღია კარში თანამეცხედრეს შეეხმიანებოდა.

— კირილე! ხვარაფერი გინდა?!

— ჩაი! — იყო პასუხი.

მარიამი წამოფშლატუნდებოდა და ჯერ ჭიქა-საინი გამოჰქონდა პურ-ყველთან ერთად, მერე ჩაიდანი.

ვიღას დავუმალო და ჭიქაში ჩასხმული ჩაის ტარება სამზარეულოდან აივნამდე მარიამს თავისი სოლიდური ასაკის გამო უჭირდა.

ერთხელ თვლემამორეულ კირილეს კაკუნი მოესმა.

ჯერ კარს მიაყურადა, მერე ჭერს ახედა და ბოლოს აულაგებელ მაგიდაზე აღმოაჩინა სრულიად მოულოდნელად დაუპატიჟებელი სტუმარი — ჩხიკვი.

ჩხიკვი მთელი თავისი მომხიბვლელობით, ჩხიკვი მთელი თავისი დიდებულებით — მოცისფრო-მოიისფრო გულმკერდით, ნაცრისფერი ფეხებით და წითელ-ლურჯ-შავ-აგურისფრად მოხატული საოცრად ფერწერული ფრთებით.

ჩხიკვი თეფშზე პურის ნაფცქვენებს არხეინად უკაკუნებდა და შიგა და შიგ კირილეს გამოხედავდა.

კირილემ შეუმჩნევლად გააპარა მობილურისკენ ხელი და „მარიამს“ თითი დააჭირა.

— არ გამოხვიდე სტუმარი გვყავს.

— ვინ სტუმარი?

— ფანჯრიდან ჩუმად შეავლე თვალი. ხედავ?

— ვხედავ, ღმერთო, რა ლამაზია.

— ჩხიკვია. ხო ზღაპრული ვინმეა?

ამასობაში ჩხიკვს თავის ჩხიკვურ გონებაში რაღაცამ გაუელვა და გაფრინდა. ფრთები რომ გაშალა, მართლაც ფარშევანგს თუ ფასკუნჯს დაემსგავსა, შუშაბანდს უმინო სარკმელზე შემოჯდა, ერთი მოიხედა და სიმწვანეს შეერია.

ქალბატონი მარიამი აივანზე გამოვიდა.

— ჩხიკვი იყო ნამდვილად?

— შე ქალო, ჩხიკვს ვერ ვცნობ?

— რამხელა ყოფილა.

— მანდ მაგიდაზე პურის თეფში დატოვე. ხმელი ნაჭრები წვრილად დაფშხვენი, ცოტა ბურღული და ჰერკულესიც შეურიე. ეგ კიდევ მოვა.

...ჩხიკვმა ბებრების სიცოცხლეს ახალი იერი შეჰმატა.

აქამდე მათი მინავლებული მოლოდინი მხოლოდ და მხოლოდ ამერიკაში მცხოვრები ორმოცდაორი წლის ცოლშვილიან ვაჟს — თედოს უკავშირდებოდა. „მინავლებული“ იმიტომ დავარქვი მშობლების მოლოდინს, რომ თედო სამ თვეში ერთხელ რეკავდა. რაც შეეხება წერილს, წერილებს ვინღა უგზავნის მშობლებს, თედოს რომ გამოეგზავნა.

ჩხიკვი დღეში სამჯერ დაბარებულივით მოფინდებოდა.

ჯერ სარკმლიდან ჩამოაცქერდებოდა შუშაბანდს. თუ მარიამი იატაკს ჰგვიდა, ან კირილე საწოლზე იყო წამომჯდარი, ჩხიკვი გაფრინდებოდა. ამით „დედობილ-მამობილს“ ნიშანს აძლევდა — დალაგდით, მოწესრიგდით,, ხომ იცით, არ მიყვარს ზედმეტი მოძრაობებიო.

„არიქა, არიქა, მოვიდა!“ გადაუვლიდა ოდასახლის ბინადართ. მარიამი სასტუმრო ოთახში შევიდოდა და ფაჯარას მიაჭიჭინდებოდა, კირილე კი, ვითომც აქ არაფერიო, მუთაქაზე თავს მიდებდა და გაქვავდებოდა.

ხუთ-შვიდ წუთში დაეშვებოდა ჩხიკვი მაგიდაზე.

ხანდახან თეფშის კიდეზე შეხტებოდა და თეფში რომ ცალ მხარეზე დაკოჩავდა, შეკრთებოდა და განზე გახტებოდა, მაგრამ იქვე ხვდებოდა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო. საშიშროება კი არსაიდან ელოდა.

უკაკუნებდა ჩხიკვი დინჯად, სვენებ-სვენებით თითქმის მოასუფთავებდა თეფშს, ბოლოს ყოველშემთხვევისთვის ერთხელ კიდევ გამოხედავდა კირილეს და გაფრინდებოდა.

ასე გრძელდებოდა თითქმის ორი თვე.

...და ერთ დღეს (რომ არ იყოს ეს „და ერთ დღეს“, დედამიწაზე არც ერთი ნოველა არ დაიწერებოდა) ჩხიკვი არ მოფრინდა.

არ მოფრინდა არც დილით, არც შუადღით, არც საღამოს.

კირილე ისე ერთგულად ელოდებოდა, რომ საღამოთი ჩაიცვა ფაციფუცით, ნაჩქარევად მიირთვა და ცოლს კატეგორიულად სთხოვა, სანამ არ დაღამდებოდა, შუშაბანდში არ გამოსულიყო.

მოხუცებს არც გაუგიათ, როდის ჩაეძინათ. კირილეს პიჟამოგაუხდელად, მარიამს — ტელევიზორის პულტით ხელში.

— რა მოხდა ნეტავ? — გაუბედავად, სასოწარკვეთაგარეული ხმით ჰკითხა მარომ საწოლზე წამომჯდარ, ორივე მუხლზე ორივე ხელდაწყობილ თანამეცხედრეს.

— დეიჭრა ალბათ რაცხამ, ან თოფი ესროლა ვინცხა ხელგასახმობმა.

— შენ ასე ფიქრობ?

— რა ფიქრი უნდა, — კირილემ ხელები ასწია და ტყაპუნით დაუშვა მუხლებზე:

— ვინ გაუშვებდა იმისთანა ლამაზ ჩხიკვს.

— არა და, რანაირად მოგვეჩვია.

— შენ რომ იცოდე, მე წიგნშიც არსად წამიკითხავს, ჩხიკვი რო მოშინაურებულიყოს. ჩხიკვი არც კაჭკაჭია და არც ბეღურა, ღია ქვაბში რო ხტებიან და ყველგან ყოფენ ნისკარტს, ჩხიკვი ჩხიკვია...

— არ მოვა ვითომ? — ეს შეკითხვა უკვე მეხუთე დღეს დაუსვა ქალბატონმა მარიამმა კირილეს.

— ფარსაგი ჭირს, თორემ უეჭველად მოვიდოდა.

კირილეს და მარიამს უგუნებობა და უმადობა ერთად დამართა ჩხიკვის გაუჩინარებამ.

ცოლი სასტუმრო ოთახში ყრუ ჩიფჩიფით გადი-გამოდიოდა, კირილე იწვა და ლამის თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა მაგიდას, რომელზედაც ხელუხლებლად იდო ჯამი ჩხიკვის საკენკით პირთამდე სავსე.

— მაინც რა იყო... რავა სიზმარივით გაქრა. ოცი წელია, რაც ამ უბანში გადმოვედით, ოცი ხომ იქნება?

— არც ბევრი დააკლდება, — ანგარიშმიუცემლად მიუგო მარომ.

— ჰოდა, ამ შემოგარენში მე ჩხიკვი არ შემინიშნავს. ეგ ერთი გამოჩნდა.

— რავა მარტო იყო, კირილე, ვფიქრობდი ახლა. კაჭკაჭები და ბეღურები რო წყვილ-წყვილად დადიან. ამას ასე მგონია, ჩვენ გარდა არავინ ჰყავდა ამ დუნიაზე.

— არა... არა... ძალიან გაუფრთხილებელი ვინმე იყო. ჯერ ერთი, რა დაბლა-დაბლა დაფრინავდა და მეორეც, ნამეტანი მიმნდობი იყო. ასე რავა შეიძლება. პირველად რომ შემოფრინდა, პირი დავაღე გაოცებისგან. ჰოდა... დეიჭირა კატამ იმ თათებგასახმობმა. დაღუპა თავისმა გაუფრთხილებლობამ..

— მასეა, კი, ნამდვილად — კვერი დაუკრა მარომ.

— არ უნდა ლაპარაკი. ცოცხალი რომ იყოს, უეჭველად მოფრინდებოდა.

— მაინც... რა ლამაზი იყო, — თვალში ცრემლი უბრწყინავდა ქალბატონ მარიამს.

ჩხიკვის გაუჩინარებიდან მეთერთმეტე დღეს მოპასანის ნოველებზე წათვლემილი კირილე ბუაძე გაუბედავმა კაკუნმა გამოაღვიძა.

თვალი გაახილა და პირველ რიგში, რასაკვირველია, მაგიდას ჰკიდა თვალი.

ჩხიკვი მოფრენილიყო.

ვითომც აქ არაფერიო, უკაკუნებდა თეფშს, კენკავდა მშვიდად, აუჩქარებლად. ხანდახან შეჩერდებოდა და კირილეს გახედავდა თავისი ლამაზი თავის ატრიალებით.

კირილეს სიხარულისგან გული კინაღამ გაუჩერდა.

მობილურს მიწვდა.

— მარიამ! არ გამოხვიდე, მოვიდა.

— ვხედავ! — უპასუხა ცრემლში ამოვლებულმა ხმამ. შუადღის სამი საათი იყო.

2 ივლისი, 2011, თბილისი.

ამაო თხოვნა
(ბიბლიის მოტივზე)

და დაინახა ბერუშლაიმის მთიდან მეფე სიდუყშრიმ ქვემოთ, ჩაპყაის ველზე გაშლილი კარვები და კარვების ირგვლივ მოზრიალე ფარ-შუბოსანი ლაშქარი.

და იყო შუადღე და სიდუყშრის მეფობის ოცდამეცხრე წელი.

მეფესთან მსტოვართა უფროსი შიყრუვაი შემოვარდა.

და იყო შიყრუვაი ხარჭის შვილი.

და უთხრა შიყრუვაიმ მეფეს, რომ სახელმწიფო შეთქმულება იყო მეფის წინააღმდეგ დაწყებული და მოღალატეთა კარვებში ამბოხების მეთაურები ისხდნენ.

— რა უნდათ? — ჰკითხა სიდუყშრიმ შიყრუვაის აბხურყის ძეს.

— სიდუყშრი უნდა ჩამოვაგდოთო.

— ვინ არიან ამბოხების მეთაურები?

— შამბაყ შირყვამის ძე შიმკლეთიდან, ზამკლუშ ყიმბათის ძე ყერშკლიმიდან, ჩამხსუნ შუმბყურაის ძე ყემპერდითან, შურყუმ ხანჯლოთის ძე ბელუაითიდან, ჯემქრან ყივლექის ძე ახაიდან, შუჰხაიმ აჯაჯას ძე ხერყომიდან, ჰირფყან ხავჰშრის ძე წუხურეიდან.

— ვინ თანაუგრძნობდა აჯანყებულებს?

— ქალაქები: ჰურქშლაიმი, ბერყუთი, შურუქში, ხვიბრონი, ხლამპეთი, ზაქხიყუმი, შუმბაითი... თითქმის მთელი სამეფო ბერყშლაიმის და ზუქჰლკიშის გარდა.

— ჩვენი გადარჩენის შანსი რამდენია?

— ამ პირველი შეტევის დროს, ორმოცდაათი ორმოცდაათზე, თუ მეორეჯერ შემოგვიტიეს, ტახტის შენარჩუნება გაგიჭირდებათ, ჯამქრან ყივლექის ძე ახაიდან ყველას გასაგონად გაჰყვირის: თუ დღესვე არ გადადგა, ჭერი უნდა დავაქციოთ თავზე სიდუყშრის, ცოცხალი არ გაუშვათ მისი სასახლიდან, ვინც ფეხზედ ოდნავ მაინც დგას, ხოლო ქალები, დიდი თუ პატარა, ყველანი ხარჭებად დავინაწილოთო.

— ვისი გამეფება უნდათ?

— ზამკლუშ ყიმბათის ძის ყერშკლიმიდან.

— რამ გადარიათ, იმ ჭკუაბეცმა და ბლუკუნამ როგორ უნდა იმეფოს?

— რა მოგახსენოთ.

— შენ რას მირჩევ?

— რომ შებინდდება, ჭურყუმწყალი უნდა გადავლახოთ და მთელი სახლეულით უნდა გავიხიზნოთ.

— გავიპარო? ეგ არ მოხდება. ხმალმა უნდა გაგვასწროს. სანამ მე ვარ მეფე, კანონიც მე ვარ და სამართალიც.

და გაახსენდა მეფეს უფალი, რადგანაც ყოველთვის მძიმე ვითარებაში უფალს ეთათბირებოდა ხოლმე.

— შენ აქ დამიცადე, — უთხრა შიყრუვაის და სასახლის მესამე სართულზე, აღმოსავლეთის მხარეს სამლოცველოზე ავიდა.

და გამოეცხადა სიდუყშრის უფალი.

— რა გინდა? — ჰკითხა ღმერთმა.

— უფალო ჩემო და მფარველო ჩემო, უნდა მიშველო, მოღალატენი დამხობას მიპირებენ.

— ვიცი.

— უნდა მიშველო, შენ ხომ იცი, რომ მართალი ვარ.

— სიდუყშრი, ხომ გახსოვს, მფარველობას დაგპირდი, თუ ჩემს მცნებას შეასრულებდი და ოცდაცხრა გრძელი წელი მწედ გედექი. ჩემი ხალხის მეფედ გაკურთხე და შენი გამეფებისთვის შენი ძმა დავღუპე.

— როგორ არ მახსოვს. მე ხომ მთელი სიცოცხლე შენი მორჩილი და მსახური გახლავარ, უფალო. ახლა უჭირს შენს მსახურს და უნდა უშველო.

— რა პირით მთხოვ შველას, სიდუყშრი, როცა პურის სათხოვნელად შენს კარზე მოსულ შენსავე თვისტომთ ცეცხლით და მახვილით გაუმასპინძლდი, ჭურყუმწყლამდე მისდიე გადარჩენილებს, მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? როცა ექვსას ოცდახუთი ცოლი შეირთე და ოთხასი ქალი ხარჭად გყავს (ამდენი ხარჭა ქალი მაინც რათ გინდოდა?) მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? როცა ახლახან შენ კარზე ბელყათის ელჩები მოვიდნენ, ხარკის შემსუბუქების თხოვნით შვიდივე ეტლზე რომ გამოიბი და ცხენებს ყივჰხეთის უდაბნოში ხერჰფეხქრამდე რომ ათრევინე, მაშინ არ გახსოვდა უფალი, ღმერთი შენი? შენ თავს გაგივიდა სიდუყშრი. ირწმუნე, რომ ბრძენთა ბრძენი ხარ და სინამდვილეში ერთი გაყოყოჩებული, ფუყე, ტრაბახა კაცი ხარ და მეტი არაფერი.

— მაგრამ „ბრძენი სიდუყშრი“ მე ხომ არ მიწოდებია ჩემი თავისთვის, ხალხმა შემარქვა.

— შენ ისიც არ გესმის, რომ მე გიყურებდი თვალმოუშორებლად და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ შენი სულელური ნაბიჯები, როგორმე გამელამაზებინა, იმ პასუხებსაც, ათასში ერთხელ რომ სიბრძნეს წამოისროდი, ხომ მე ჩაგაგონებდი. გაიხსენე, რამდენჯერ გიხსენი, რამდენჯერ გადაგეფარე, შენს თავზე მოგროვილი შავი ღრუბლები რამდენჯერ დავშალე. შენ კი ჩემს ზრუნვას იმით უპასუხე, რომ ცოლების ხათრით ყველა მთაზე ჩემი სახლების, ტაძრების აგების ნაცვლად, კერპები აღმართე.

— ესე იგი დამთავრდა ჩემი მეფობა, უფალო?

— ალბათ.

— შენდობა, პატიება რომ გთხოვო მაინც არ გადამარჩენ?

— გამიჭირდება.

მეფემ თავი ჩაქინდრა.

და გადალახა იმ ღამით ჭურყუმწყალი მეფემ და მისმა ამალამ.

და გაჰყვა მეფეს თავისი ერთგული სარდლობა. შიყრუვაი აბხურყის ძე, ავმხანქი ჩყქმაის ძე, ბიყვა აქუქბეკის ძე, ჩომყხლი ქვიქვინის ძე შიმყეთიდან, კაჰმქრი ყარუმის ძე, დრტოზ ჩუქთრასა, აგრეთვე შვილები, ექვსას ოცდახუთი ცოლი, ოთხასი ხარჭა, ოცდაშვიდი აქლები, შვიდას თერთმეტი ვირი, ორმოც დაცამეტი ჯორი და ექვსიათას ხუთას ოცდაორი შინაყმა.

და გამეფდა ბერყშლაიმში ზამკლუშ ყიმბათის ძე ყერკშლიმიდან.

და იმეფა ზამმკლუშმა ბერყშლაიმში ორას ოცი წელი.

და შვა ზამკლუშის ცოლმა ზარამ ბერთჰხლემიდან ოცდაცხრა შვილი. ბოლო შვილი იყო შანხლი. შანხლიმ შვა კაჰთუ, კაჰთუმ შვა ერლაიმი, ერლაიმმა შვა შევრონი, შევრონმა შვა აზეტრონ, აზეტრონმა შვა ყურმუშ, ტურმუშმა შვა იოხაიმ, იოხაიმმა შვა გერშლაიმ, გერშლაიმმა შვა ხერბეთ, ხერბეთმა შვა ქამალხყუმ, ქალხყუმმა შვა იხუბრაი, იხუბრაიმ შვა ყარგჰხჩი, ყარგჰხჩიმ შვა მქჩხვარი, მქჩხქვარმა შვა აფხყელოთ, აფლელოთმა შვა კარპლენოზ...

და ასე თხუთმეტი თაობა შანხლიდან კარპლენოზამდე.

9 მარტი. 2011.
თბილისი. 5

გულნარა შოთაშვილი

გულის სიმფონია

ღია ფანჯრიდან მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. კონცერტზე საკუთარი ნაწარმოებების შესრულების სიხარული მეცხრე ცაზე აფრენდა მუსიკოსს. სიტყვა დაღლა დიდიხნის წინ განედევნა ლექსიკონიდან კოტეს. ღელავდა. ახლა იწყებოდა მისი კონცერტი და იცოდა, პირველი შთაბეჭდილება სიცოცხლის ბოლომდე არ ფერმკრთალდებოდა.

დროდადრო წარბს მაღლა აიტაცებდა შუბლზე ჩამოწოლილი ნაოჭი. გულს შეუკრთობდა ხიწვის წვერის შეხება და უსიამოვნო გახსენება კლავიშზე თითების მოძრაობას შეუნელებდა. მერე ისევ სიხარული იმარჯვებდა და წუთით ფანჯრის რაფაზე შემომსხდარი მუსიკის ბგერები კვლავაც კისკისით დაადგებოდნენ შარას.

ოჯახის წევრები ტუჩებზე თითის დადებით სიჩუმისკენ მოუწოდებდნენ ერთმანეთს.

წარმატებაში დარწმუნებული კოტეს მუსიკის ჰანგებმა ეთერი გაითავისა. ბგერები ამაღლდა, აღზევდა, მერე უეცრად დაბლა დაეშვა, ჩატკბა, ჩაიკისკის-ჩაიცინა, ჩაიღიმილა და შეწყდა. სიწყნარემ კედელ-ყურე დაიპყრო და კოტე კმაყოფილი მინებდა სკამის საზურგეს. სმენა ნება-ნება ირიდებდა მუსიკის ხმაურს, გონებას დასვენების საშუალებას აძლევდა. სიჩუმემ დაისადგურა.

სასიამოვნო სიწყნარე უხეშად გაფხრიწა ტელეფონის წკრიალმა. კოტეს შემკრთალ გულს ხიწვის წვერმა თავი შეახსენა. ყურმილი აიღო და "ალო" ტუჩებს ვერ გააშორა. უსიამოვნოს გაგების შეგრძნებამ საკუთარი უსუსურობა გამოუკვეთა. თავს ძალა დაატანა, "ალო" ტერციით აამაღლა და დააკონკრეტა:

— გისმენთ...

— კარგია, რომ მისმენ, მაგრამ სმენა არ კმარა, მოიქეცი ისე, როგორც გიბრძანო.

კოტეს გაუბედაობაზე სიბრაზემ იმარჯვა და მკაცრად იკითხა:

— რომელი ხარ, არ იტყვი?!

— ჩემს ვინაობას ნუ ეძებ, — ხიხინითა თქვა უცნობმა — აირჩიე, სიცოცხლე თუ კონცერტი.

კოტე მიხვდა, თვით სიკვდილი ლაპარაკობდა მასთან. გამბედაობამ შიში დაავიწყა და ჩაეპასუხა:

— მუსიკაც და სიცოცხლეც ერთად მსურს და კონცერტის დათმობას ვერ მაიძულებ.

ხმამ ხასიათი მაინც დაუძმარა. ახლა უფრო მეტად მოესურვილა ღირსეული გამარჯვება. მოხდეს რაც მოსახდენიაო, ჩაილაპარაკა და ინსტრუმენტს მიუჯდა. ისე დახვეწა საკონცერტო მასალა, კრიტიკულად განწყობილიც კი ვერ მოუძებნიდა ხინჯს. კონცერტზე მუსიკოსის წარმატებით ნარგები სიყვარული საუკუნეებს გაუძლებდა, ხოლო უმუსიკო საუკუნე სრულფასოვნად ერთ წელიწადსაც კი ვერ იკუთვნებდა.

ზედა სართულზე ასულმა მძინარე არჩილს თავშალი წააფარა, სიყვარულით შეავლო მზერა საქმეში გართულ მეუღლეს და უფროსი ვაჟი მოიკითხა:

— ნიკო სასეირნოდ გაჰყვა ამხანაგებს, - გაიღიმა მეუღლის სითბოთი გახალისებულმა ნატომ და სუფრა ოთხისთვის გააწყო მაინც.

კოტე ცდილობდა, მაგრამ გულში სოლივით ჩაჭედილი უკეთური აზრი — კონცერტი თუ სიცოცხლე გონებას ურყევდა. ამ აზრის დამარცხების ყოველი ცდა კრახით მთავრდებოდა.

მოუსვენრობამ ბაღში ჩაიყვანა, ვარდებს მიესათუთა. ჩასასვლელად გამზადებული მზის სხივებით მოვარაყებულ ბუნებას თვალი ვერ მოსწყვიტა. გულის გაუცნობიერებელ ფორიაქს თავი მაინც ვერ გამოსტაცა, ვერც ფორიაქი შეისისხლხორცა და კიბისკენ მძიმედ გააბიჯა. კარებთან მისულს მეუღლის ხმა შემოეგება, რომელმაც ქარი შეუყენა მუხლებში.

— საავადმყოფოდან გირეკავენ.

უსახელო წინათგრძნობამ მოასწრო გულის პერანგის შეხევა. უსახურმა წინათგრძნობამ სახე სისხლისგან დაუწრიტა და თვალწინ უფროსი ბიჭის, ნიკოს სახე გამოუკვეთა. ყურმილის აღება გაუძნელდა... ნატოს გულს უჩერებდა მეუღლის სახეცვლილება და სამგლოვიარო ზარის რეკვა ჩაესმოდა.

— სად? როდის? — იკითხა კოტემ.

ნატოს თვალებს თალხი ჩამოადგა, შავ ჩრდილს შეეტოტა დედის გული, ხედვა გამოსტაცა, თალხი ფანჯრიდან გააძევა და ქარს დაუმგზავრა. ქალმა გონება დაიბრუნა, გულისყური — ვეღარ.

კოტემ ყურმილი დადო და წამით თვალები დახუჭა. მაშინ ჩაესმა მამის ხმა — "ცოცხალი ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს".

ცოლს შეხედა და შეძლებისდაგვარად მშვიდად უთხრა:

— წავიდეთ, ადგილზე გაირკვევა ყველაფერი.

ნატო უაზროდ მისდევდა მეუღლეს, ოღონდ სად და რისთვის, ვერც კი ხვდებოდა.

— მომილოცავს, ჩემო კოტე, გადარჩა შენი ვაჟი! ნარკოზიდანაც გამოვიდა. პალატაშია გადაყვანილი. ახლა ძინავს, — შემოეგება მეგობარი ექიმი და ხელი შეაშველა ფერდაკარგულ კოტეს.

ნატო ვერც ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა, ვერ გრძნობდა საშიშროებას.

— არ გეკადრება ვაჟკაცს სულით დაცემა, მეუღლეს მიხედე, ცოდოა, — ჩაიჩურჩულა ექიმმა.

— გამაგრდი ნატო, გადარჩა ჩვენი ბიჭი. წამოდი, პალატაში შევიდეთ. წამოდი...

შვილის საწოლთან მისული ნატო ბიჭს შუბლზე ეამბორა. მისმა სითბომ იმედი დაუბრუნა და ცრემლებმაც გზა იპოვა.

მიხვდა კოტე ნიკოს სასიკვდილოდ გამეტების მიზეზს და გადაწყვიტა, არ დაეშვა კონცერტის ჩაშლა. არც უდროოდ გარდაცვლილი მამის სურვილს აევლებოდა გვერდი, მაგრამ უარესის მოლოდინმა დენივით გაუარა კოტეს გულს, ფეხის გულები გახვრიტა და უსასრულობაში ჩაიკარგა.

დაჭრილ ნიკოს მუსიკა გასართობად უყვარდა, გონება კრიტიკისკენ მიუდიოდა. არჩილს კი პაპისა და მამის გენი გაჰყოლოდა და დიდი მუსიკოსობისკენ ილტვოდა.

ნიკომ თვალი გაახილა და მშვიდად იკითხა:

— როგორაა კონცერტის საქმეები?!

კოტე ღიმილით მოეფერა შვილს, დააიმედა:

— კონცერტი ხვალაა, შვილო... ახლა შენი კარგად ყოფნაა მთავარი, ჩემო ბიჭო.

— მე კარგად ვიქნები ღმერთის შეწევნით, მთავარი კონცერტია. საბოლოოდ უნდა გაიმარჯვო ზნეობრივად უკვე დამარცხებულ მტერზე.

კოტეს ოჯახის თავზე შავი ღრუბლები ჩამოწოლილიყო. გადმოცემით იცოდა, რომ "სამშობლოს მოღალატის" ქსელს უბამდა ის ადამიანი, რომელიც კონცერტის ჩაშლისთვის უკან არ დაიხევდა და არც არაფერს დაერიდებოდა.

საკონცერტო დარბაზში შესულ კოტეს კეთილისმყოფელმა მორიდებით უთხრა:

— დათმე ეს ერთი დღე, სიცოცხლეზე მეტად არაფერი ფასობს...

— გულზე ხელდაკრეფილიც ხომ არ შევხვდე ცეზარს, ვისაც მომავალს დაუსამარებს ჩემი პირველი და შეიძლება ერთადერთი კონცერტი? ცოცხლად დასამარების უფლება მივცე?!

— "სამშობლოს მოღალატის" ტიტულს ყველაფერი სჯობს...

მათ შორის, მუსიკის გარეშე ყოფნაც.

— მე კი ერთად მინდა სამშობლოც და მუსიკაც.

— მეტის თქმის უფლება არ მაქვს, ჩემო კოტე, კონცერტს კი, სიამოვნებით დავესწრები და მოვუსმენ შენს ნაწარმოებებს. — უთხრა და გაერიდა გაუტეხელ მუსიკოსს.

სოლო კონცერტმა კულმინაციას მიაღწია. მუსიკის ჰანგები ლაღად და გულშიჩამწვდომად იღვრებოდა. ტაში არ წყდებოდა.

საერთო აღტაცების ფონზე არავის შეუმჩნევია, როდის აიკრიფნენ სცენაზე წერიგის დამცველები. კოტემ კოცონი შეუნთო მუსიკას.

გონს მოსული დარბაზი ჯერ გაინაბა, მერე კი შეძახილებმა — ბრავო, ბის — ჭერი ახადა დარბაზს...

მუსიკალურ ქარიშხალს ქალის ხმაზე ატირებული ბგერები მოჰყვა. რამდენიმე პასაჟი იქვითინა, ივიშვიშა, ითავცემა, მერე ჩაილია, ჩადნა და... ტაში ჭერად დაეხურა დარბაზს.

კოტე დინჯად წამოდგა და სიჩუმეში გამოიკვეთა:

— ჩემო საყვარელო ხალხო, ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი კონცერტია. ჩემი რეპერტუარის ნახევარიც არ მოგისმენიათ. ხვალიდან ჩემს ადგილს ცეზარ ბორკაძე დაიჭერს. მშვიდობით. — თქვა და ბორკილების დადება დაანება "წესრიგის დამცველებს".

— კოტეს აპატიმრებენ! — დაიძახა ვიღაცამ და მაყურებელი სცენას შემოადგა.

— რისთვის?! — ყვიროდა ვიღაც.

— რატომ?! — წიოდნენ ქალები.

— რა დანაშაულისთვის?! — ითხოვდნენ პასუხს ახალგაზრდები.

...და ბორკილებმა უკან დაიწიეს. ვერ შებედეს მეცამეტე ტალღას და კონცერტის გაგრძელების უფლება მიეცა კოტეს.

თითებს იჭამდა გაშავებული ცეზარა. იცოდა, კოტეს ერთი კონცერტი დაასამარებდა მას, როგორც შემოქმედს, მაგრამ მომხრე ვერ იპოვა და სკამზე კი არა, ეკლებზე დაჯდა.

კოტემ დაამთავრა კონცერტი, კოცნა გაუგზავნა მსმენელებს. მერე სცენიდან გაიყვანეს და აღარც გამოჩენილა.

ტაში და "მოგვეცით მუსიკოსი!" კედლებს აზანზარებდა.

მუსიკოსს ის სიყვარული მიაცილებდა, რომლისთვისაც ღირდა თავის გაწირვა.

ნატო და არჩილი სახლისკენ გარბოდნენ და სმენას არ სცილდებოდა მისი ხმა:

— ბავშვები გაარიდე აქაურობას, არ დაგინდობენ, ნატო!

სირბილით მიმავალთ გისოსებიანმა მანქანამ ჩაუქროლათ. შიგ კოტეს სახე დალანდეს. ქალმა განწირულად უხმო მეუღლეს:

— კოტე! კოტე! კოტე!

— მამაა! — იყვირა შვილმაც.

— ოჯახი არ დამიქციო, ნატო! — და ამ ხმამ ჩაიტია ტანჯვის, სიხარულის, სიყვარულისა და მონატრების დაუვიწყარი წამები, საუკუნეს გატოლებული...

სახლში მისულებს მეზობელმა ამბავი დაახვედრათ, ორჯერ მოგაკითხესო.

ნატომ გულს სიწყნარე ურჩია, არჩილი მეზობელს დაუტოვა და საავადმყოფოს მიაკითხა.

ნიკოს პალატის კარი გარედან იყო გადაკეტილი. კარს შუბლით მიყრდნობილ ქალს მოხუცი დარაჯი მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— ექიმი ფორმიანებმა წაიყვანეს... არ შეშინდე, ბიჭი შიგნითაა.

არ წახვიდე ცუდი არაფერი მოხდეს.

მიხვდა ნატო, ღალატის წვერს ხელიდან არ უშვებდა მტარვალი.

გარეთ გამოვიდა. ფანჯრის წინ მდგარ ხეზე აცოცდა და ფანჯრიდან პალატაში გადავიდა.

გულში დანაგაყრილი შვილის დანახვამ გონება დაუბინდა. თვალდახუჭული ბიჭი მძიმედ სუნთქავდა. არ იცოდა ნატომ, როგორ მოქცეულიყო. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ ვერც საშველად უხმობდა ვინმეს და არც არავინ დაეხმარებოდა.

უარესის მოლოდინით შეძრული დედა შვილს არ შორდებოდა.

პალატაში არავინ შემოდიოდა.

შუაღამე გადასული იყო, საკეტმა რომ გაიხმაურა. ნიკომ თვალი გაახილა და სიხარულის ყვირილი ნატომ ტუჩებს არ გააცილა.

— დედა, დანა მეორედ ცეზარმა დამარტყა. ექიმი დაიჭირეს... მამასაც წაიყვანენ... — ძლივს გასაგონად თქვა ბიჭმა.

ნატომ თავის ქნევით დაუდასტურა შვილს გუმანი. ბიჭს ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან და გაფითრებულ სახეზე მბრწყინავი ზოლი დატოვა.

— დედა შენ და არჩილი გაერიდეთ... დანა ამომაძრე გულიდან... თავი დაიცავი...

დედა დანას არ იღებდა. შვილის სიცოცხლეს ახანგრძლივებდა.

— ამომაცალე დანა... ჩემი წუთები დათვლილია... სიცოცხლე დაიცავი დედა...

აჯობა შვილის სურვილმა და რჩევამ, შიშთან შეთანაწყობილმა.

შვილს ეამბორა და დანაშემართული დაელოდა შემომსვლელს.

ნიკო ძლივს სუნთქავდა...

კარებში კაცის ფიგურა აილანდა.

შემოსულმა შუქის ჩამრთველს დაუწყო ძებნა. ჩამრთველზე ნატოს ედო ხელი. შემოსული ხელისცეცებით მიუახლოვდა დანაშემართულ ქალს. მან კი შუქი ჩართო და ვიდრე მოულოდნელობისგან დაბნეული ღამის სტუმარი თვალს შეაჩვევდა სინათლეს, დანა კისერში ჩასცა — არტერია გადაუჭრა. იატაკი სისხლმა შეღება.

ნატომ შვილს მიაშურა. ნიკო აღარ სუნთქავდა.

— შვილო, მუსიკას შეწირულო, უდანაშაულო ბიჭო, — იკივლა და ფანჯრიდან თავით გადავარდა.

ტრაგედიამ დაამწუხრა თბილისი. საქველმოქმედო ფონდით დაიკრძალა დედა-შვილი. სახლი ჩამოერთვათ "სამშობლოს მოღალატეებს". სიმართლე დამარცხდა. დრო იყო გაუტანელი.

უსახლკაროდ დარჩენილი და ობოლი არჩილი საკუთარი სახლის კიბის ქვეშ ცხოვრობდა და ბაბუამისის მიერ აშენებულ სახლში შესახლებულ, ფუტკრის სკასავით აზუზუნებულ უამრავ ხალხს გაურბოდა.

ხშირად შეიპარებოდა თეატრის შენობაში და როიალზე უკრავდა, გემოვნებას იხვეწდა და ნიჭს იღრმავებდა.

შეღერებულმა და თავმოყვარეობაშელახულმა არჩილმა გადაწყვიტა გასცლოდა ქალაქს. მატარებელს გაჰყვა და ბოლო გაჩერებაზე ჩამოსული იმედით შეუყვა ტყიან ფერდობს.

შუადღე გადასული იყო მივაკებულზე რომ გავიდა და ორსართულიანი სახლის ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. ჭიშკარზე მიმაგრებულ აბრაზე ეწერა: "ავაშენე ჩემებრ დევნილი მუსიკოსისთვის, იცხოვრე, ღმერთმა მოგახმაროს".

— ღმერთო, ბედის წყალობაა თუ ბედის ირონია? — ნაღველნარევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე არჩილს, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა. დიდხანს იტრიალა სახლის წინ, იღიღინა, იმღერა. ბოლოს მხნეობა მოიკრიფა, ეზოში შევიდა და ცენტრალური კარი შეაღო...

სახლში შესულმა ივახშმა და დილამდე ფეხგაუნძრევლად იძინა.

ნაჩუქარ სახლში შეძლებისამებრ ცხოვრობდა...

ერთ დღეს დედინაცვალს გარიდებული ქალიშვილი მოადგა კარზე. ოთახი დაუთმო.

თივამ და ცეცხლმა დიდხანს ვერ გაძლო ცალ-ცალკე და ბედი ერთმანეთს დაუკავშირა. შეიქმნა ოჯახი. გამრავლდნენ. კოტე, ნანა, საბა და ლაშა ხმაურით აყრუებდნენ ეზოს.

არჩილის ხელოვნების სიყვარულს ვერ სძლევდა სიდუხჭირე. ნინო ხედავდა არჩილის ნიჭს და ხელს თავისებურად უწყობდა.

ერთ დღეს არჩილმა მამის მეგობარს მიაკითხა და ქალაქიდან იმედიანი დაბრუნდა. მეგობრების დაპირებები ცხოვრების სიმძიმეს უმსუბუქებდა.

შემოდგომა მოილიეს. მოწეული დოვლათის ნაწილი ბაზარზე გაყიდეს, საზამთროდ შეიმოსნენ. ახალი წლისთვის სანოვაგე მოიმარაგეს.

მოსვლას არავინ ჩქარობდა. არჩილს კი უქმად დაკარგული დრო ენენებოდა.

დადგა ზამთარი და თხილამურსა და ციგას ფასი დაედო. მოწყენილობამ უკან დაიწია. საახალწლო ნაძვის ხის გარშემო ჟრიამულით დარბოდნენ ბავშვები. ახალი წელი ძველი წლის წუთებს ითვლიდა. ძველი ნება-ნება თმობდა ადგილს.

არჩილს მამისეულ სახლში, მშობლებთან და ძმასთან ერთად გატარებული საახალწლო სამზადისი და ახალი წლის შეხვედრები გაახსენდა. მაგრამ ცოლ-შვილის სიყვარულით გამთბარმა განცდილზე დარდი გულამდე აღარ დაუშვა...

უცნაური ხმაური გამოატარა ღრიჭოდ დარჩენილმა კარმა.

მერე ისევ მეკვირტია ჩიტების ჭიკჭიკმა ამოავსო ზამთრის სიჩუმე.

— ალბათ მოეჩვენა მომლოდინე გულს, — ხმამაღლა თქვა არჩილმა და სუფრასთან იხმო ოჯახის წევრები, ჭიქები ლალისფერი ღვინით შეავსო.

ის-ის იყო ერთმანეთი უნდა დაელოცათ, რომ ოთახში ექვსმა მამაკაცმა შემოაბიჯა კოტეს დაწერილი სიმღერით — "ახალი წლის ღამით". მასპინძელმაც ღვინით სავსე ჭიქები შეაგება სტუმრებს და ზამთრის საფარქვეშ მიძინებულ ტყე-ველს საამურად გადაუარა ქართულმა მრავალჟამიერმა.

— შემოიტანე არღანი, კახა. უინსტრუმენტობის ხრამი ამოვუვსოთ მუსიკოსს. — თქვა ელგუჯამ და დააყოლა, — ჩვენს ტყიურ მომღერალს.

არღანზე მეტი ეშხი შეიძინა სიმღერამ. არჩილი ლამის ჩვეული ყალიბიდან ამოაგდო სიხარულმა და "მზის სიყვარული" ისეთი ხმით წამოიწყო, სტუმრებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს.

ყოველი დღე დროის საკუთრებაა და საზეიმო დღეებიც გავიდა. სტუმრები წავიდნენ კონცერტის ჩატარების სამზადისის დაპირებით.

პესიმიზმი, რომელიც არჩილს მამის ოჯახის განადგურებით დარჩა გულში, ძნელად უთმობდა ოპტიმიზმს ადგილს, მაგრამ წასვლის დრო მაინც დადგა. არჩილს ერცხვინებოდა ძველი ტანისამოსითა და

ლანჩამომძვრალი ფეხსაცმლით ხალხში გასვლა, მაგრამ მაინც წავიდა. იცოდა, ის დღე ცხოვრების დასაწყისს უდრიდა და მისი უარყოფა არ იქნებოდა.

დარბაზში შესასვლელ კარს დაგვიანებული მიადგა. მეკარემ შიგნით არ შეუშვა.

— ყმაწვილი, ყველა ბილეთი გაყიდულია, დარბაზი ხალხს ვერ იტევს, წადი სახლში... — აათვალიერ-ჩაათვალიერა მეკარემ არჩილი — თუ სახლი არ გაქვს, სადგურზე გაათიე ღამე, — იქვე მისცა რჩევა.

არჩილმა იცნო გაჭაღარავებული მეკარე.

— ძია სიმონ, დღეს ჩემი სასცენო ნათლობაა და გულისძახილი გაიგონე ჩემი.

სვიმონმა ალმაცერად გადახედა მათხოვარივით ჩაცმულ მამაკაცს. სულელიაო, გაიფიქრა. კარი ჩაკეტა და კუთხეში მიჯდა.

არჩილმა სიმწრის ცრემლი შეიკავა, აფიშასთან დადგა და თავის სურათს ტოლივით გაესაუბრა:

— ჩემი კაცობის შერცხვენა მოესურვილა ვიღაცას, ჩემო ძმაო...

რატომ? რისთვის? ვიჯექი კეთილი კაცის ნაჩუქარ ბინაში და ვეჩვეოდი მდგომარეობას. ახლა რა უნდა ვქნა?! ვინ ვარ მე?! — და თეატრის ფოიეში გამოყაყანებულმა ადამიანთა ხმაურმა გასცა პასუხი მის კითხვებს.

— დაგვიბრუნეთ ბილეთის ფული! — ყვიროდა ვიღაც.

— ტყუილი ხელოვნების გარდა ყველფერს ეპატიება! — ბანს აძლევდა მეორე.

— ვის დასჭირდა ჩვენი გამასხარავება?! — ბეჭედს სვამდა მესამე.

— პასუხი აგოს აფიშების დამბეჭდავმა! — მოითხოვდა მეოთხე.

არჩილი მიხვდა, რომ თუ ახლა არ გამოჩნდებოდა და თავს არ გაამჟღავნებდა, ყველაფრის იმედი დასამარდებოდა. ჯერ ხმადაბლა წამოიწყო — "ცას ვარსკვლავი ცვიოდა", მერე ხმას ტონალობა ჩამოუყალიბა და ელგუჯას ყვირილმა ჰაერი გაჰკვეთა:

— ხალხო, მოსულა არჩილი, აქ არის ჩვენი "სარაჯიშვილი"!

დარბაზიდან გამოცვენილი მაყურებლები არჩილს შემოეჯარნენ,

ხელში ატაცებული მიიყვანეს სცენამდე და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ... სასაყვედუროდ არავის ეცალა. ტაშის გრიალი ემოსა თეატრის შენობის კედლებს და ექო, ხალხის მოწონების ძახილისა, ჭერად ეხურა იმ ნათელ შენობას, რომელსაც არჩილის ჩაცმულობის "ცხვირის ასაბზეკად" არ ეცალა.

თეატრის შენობიდან მეგობრებმა ხელში აყვანილი გამოიყვანეს მომღერალი არჩილი. რიჟრაჟშეპარულ ქუჩებს მეფურ თავსარქმელად ებურებოდა გულიდან ამოტყორცნილი ტკბილი ხმა და ნაადრევად გაღვიძებული ქალაქელებით იხუნძლებოდა სახლის აივნები.

25 სექტემბერი 1988 წელი.

თამარ ჯაჭვაძე

ლტოლვილი

შეიძლება ადრეც მეხილა თვალი, ფიზიკურად, მაგრამ, როცა გონებრივად ავახილე თვალი, პირველად მამა დავინახე. შავწვერა, ლამაზი და ბედნიერი სახე. თვალები სიხარულით უბრწყინავდა, მიცინოდა და რაღაცას მეჟღურტულებოდა. როგორც მერე და მერე მივხვდი მამა ძლიერი და უხეშიც იყო, მაგრამ ისე ფრთხილად და სათუთად მეხებოდა, მეშინოდა არაფერი მეტკინა მისთვის.

ჩემს პატარა მეხსიერებას შემორჩა მამაჩემის თბილი, ბედნიერი, სიხარულით სავსე თვალები და ნაძალადევად მინაზებული ხმა. დედა მერე დავინახე, მამის შემდეგ. მის მკერდზე ზურგით მიწებებული თავს თბილად და უსაფრთხოდ ვგრძნობდი.

მახსოვს ჩემი პატარა სამყარო, ერთადერთი ოთახი, სათამაშოებით, პატარა საგნებით და სიყვარულით სავსე. როცა ამ პატარა სამყაროს უფრო დიდ სამყაროში გამავალ ფანჯარასთან მიმიყვანდნენ, პირველი რასაც ვხედავდი იყო ცა, ლურჯზე ლურჯი კამკამა და ისეთი გამჭვირვალე, მისი წყალივით მოწოვა მომინდებოდა ხოლმე. მერე ვხედავდი შორზე შორი, ნისლიანი მთების სილუეტს. მთები ლურჯი და თეთრი კი არა, მწვანე იყო. მე მეგონა პატარა ბეკეკა ვიყავი, ვაქნევდი ხელებს და ფეხებს და იმ მთებისკენ, იმ ხასხასა სიმწვანის მოსაძოვად მივქროდი. მერე სმენას სწვდებოდა წყლის სუნთქვა, ტალღების ჩქაფუნი ან ჯახი-ჯუხი, ჰაერში მარილიანი სისველის სუნი ტრიალებდა.

თენდებოდა და ღამდებოდა... ჩემი პატარა სამყაროდან პირველად რომ გამომიყვანეს, დიდ სამყაროში, გავოცდი, რამდენი დედაჩემის და მამაჩემის მსგავსები დადიოდნენ! შემეშინდა, ვაითუ ამერიოს და ვინმე სხვის ხელში ჩავვარდე, იმ სხვას დედაჩემის სუნი და მამაჩემის ლოყების ჩხვლეტია გემო ხომ არ ექნება?! ჩემნაირებიც დავინახე, ზოგი დარბოდა, ზოგი ჩემსავით დედაზე იყო მიწებებული. დედას მივეკარი, მანაც, თითქოს ჩემი ფიქრი გაიგო, უფრო მაგრად შემომხვია ხელი. მაშინ დავმშვიდდი, მე ჩემი, საკუთარი დიდები მყავდნენ და არ დამტოვებდნენ.

სხვა დიდი ადამიანები მიახლოვდებოდნენ, თითებს მატაკებდნენ სახეში და რაღაცას მეტყოდნენ ხოლმე. ზოგჯერ სულ სხვა ფერის სიტყვები ამოსდიოდათ პირიდან. დედაჩემის და მამაჩემის ენას ადვილად ვიგებდი, იმ სხვებისა კი, ზოგჯერ არაფერი მესმოდა.

ასე უცნაურად გადიოდნენ დღეები. მე ყოველდღე რაღაცას ვსწავლობდი, რაღაც ახალს ვხედავდი. დავცოცავდი და ყველაფერს ვამოწმებდი, ყველაფრისათვის მინდოდა მეკოცნა, დედაჩემი კი მიშლიდა; "პირში ნუ იდებ, არ შეიძლება! ხიხიანია!"— მესმოდა ხშირად. მერე ერთ მშვენიერ დღეს, ცოცვა მომბეზრდა და ფეხზე წამოვდექი, ასე უფრო კარგად დავინახე ნივთები, რომლებიც მიახლოვდებოდნენ და მშორდებოდნენ. მერე სირბილიც ისწავლეს ნივთებმა და ჩემს გარშემო დარბოდნენ. დედა კი მე მიწყრებოდა: "ნელა იარე, დაეცემი!"

მერე მამა თავის დიდ და ძალიან თბილ ხელს ჩამკიდებდა და ეზოში წამიყვანდა ხოლმე. მე მესმოდა სხვადასხვანაირად; უკვე დადიხარ?! ყოჩაღ, საღოლ, მალადეც!

აცივდა. სახლში სასიამოვნოდ თბილოდა. დედა და მამა სულ სხვანაირები გახდნენ. რაღაცას თუ ვიღაცას ელოდნენ თუ ემალებოდნენ. მეც სხვანაირი გავხდი, ისევ ის თბილი დედა და მამა მინდოდა და სულ მეტირებოდა. მაშინ მამა ამიყვანდა დიდი და ძლიერი ხელებით, მკერდზე მიმიკრავდა და მისი გულის ბაგა-ბუგიდან მესმოდა: ნუ გეშინია, შვილო! მამა არავის დააჩაგვრინებს შენს თავს, მამა დაგიცავთ!

ერთ დღეს მამა შემოვარდა და დედას უბრძანა: "უნდა გავიქცეთ! დატოვე ყველაფერი, ბავშვი გადამირჩინე! ... თუ რამე მოხდა, უკან არ მოიხედო! ... წადი!"

დედამ რაღაც ნივთები ჩაყარა ჩანთაში, ამიყვანა და გარეთ გამაქცია. მამას გავხედე, მახსოვს მას ხელში რაღაც შავი, პრიალა, გრძელი სათამაშო ეჭირა. გავიქეცით. ჩვენთან ერთად სხვებიც გამორბოდნენ. მამა არ ჩანდა. დედა უკან-უკან იხედებოდა, ისმოდა უცნაური ჭახა-ჭუხის ხმა, ადრე არასოდეს გამიგია, ისეთი. მერე მამაც წამოგვეწია. გზაზე, ხეებზე და სახლებზე თეთრი ბამბები ეფინა, ჩემი სათამაშოებიდან რომ გამოდიოდა ხოლმე ისეთი. მერე ვისწავლე, ეს თურმე თოვლი იყო.

მამა წაიქცა. იმ ბამბაზე თუ თოვლზე წითელი წვეთები დაეცნენ. ეს ვიცოდი სისხლი იყო, როცა დაეცემოდი, ან რაღაცა მწარედ მიკბენდა, მეც ასეთი სისხლი მომდიოდა ხელიდან და ცხვირიდან. მამას ალბათ რაღაცამ უკბინა, ჩემსავით ცოტათი კი არა ძალიან უკბინა იმდენი სისხლები დაედინა. ეს, ვიცოდი რომ ძალიან მწარე იყო და ავტირდი. მამაჩემის ტკივილი მეც მეტკინა და იმიტომ ავტირდი. დედა აღრიალდა. დედა ასეთი არასოდეს ყოფილა. მერე მამას დავეცით გულზე და ორივე ვტიროდით. ვიღაცამ წამოგვაყენა და გაგვაქცია. დედამ ჩანთა დაკარგა, სადაც ჩემი ტანსაცმელი და საჭმელი იყო.

მერე მივდიოდით და სულ ვტიროდით მე და დედა, ოღონდ უხმოდ ვტიროდით. დედა გულში მიკრავდა და "დედა მოგიკვდეს, ჩემო ობოლოო!" —მეუბნებოდა. მე არ ვიცოდი რა იყო "ობოლო", ადრე სხვა სახელი მერქვა.

გზაზე ადამიანები შეგვხვდნენ და საჭმელი და თბილი ჩასაცმელები მოგვცეს, გავთბი და გამოვძეხი. მერე სადღაც დაგვაძინეს. ეს ჩემი სამყარო არ იყო, ჩემი სამყაროდან კამკამა ცა და ხასხასა მთები ჩანდნენ, აქ კი ჰაერიც უმარილო და უგემური იყო.

მერე ისევ მივდიოდით და ერთ დიდ ქალაქს მივადექით. ჩვენ ძალიან ბევრნი ვიყავით, მაგრამ ის ქალაქი უფრო დიდი და ბევრი იყო. გვხვდებოდნენ ადამიანები, ზოგს ვებრალებოდით, ზოგი ძალიან ცუდი

თვალით გვიყურებდა. სადღაც გავჩერდით დიდხანს, მერე სულ ერთნაირად ჩაცმული კაცები მოვიდნენ და იქიდან გამოგვაძევეს. დედაჩემმა ერთი დანგრეული შენობა იპოვა და იქ დავიძინეთ, იატაკზე, ძველი და გადაყრილი ძონძების გროვაზე. ასე გავიდა რამდენიმე დღე.

მოდიოდნენ უცხო ადამიანები და მოჰქონდათ საჭმელი, ჩასაცმელი, ათასნაირი ნივთებით სავსე პარკები. დედამ ჩვენი ბუნაგი პატარა სამყაროს დაამსგავსა, მაგრამ მე გული ძალიან მეტკინებოდა ხოლმე, როცა ჩემ სამყაროს ვიხსენებდი. ამასობაში კიდევ მოვიდა თოვლი და მერე გაქრა. მერე ისევ აცივდა და დაზამთრდა. მზის მოლოდინი მამის მოლოდინივით მძიმე იყო, მაგრამ მზე და სითბო მოდიოდნენ, მამა კი არა. კიდევ ერთხელ მოგვადგა თოვლი, ზამთარი ყველაზე მეტად გვიჭირდა, გვციოდა და ნაწყალობევ საბნებში შეფუთულები ვისხედით, ჩამქრალ, დაჭეჭყილ ღუმელთან.

მერე დედა მტოვებდა მარტოს და თვითონ ქუჩაში იჯდა. წინ ეყარა ლამაზ, ჭრაჭუნა ქაღალდებში შეხვეული ბურთულები. ის ბურთულები ერთხელ მეც გამასინჯეს; ძალიან, ძალიან ტკბილი და სრიალა იყო. მაშინ მე, გამოქცევის და მთელი ამდენი ხეტიალის მერე, ყველაზე ბედნიერი ვიყავი.

დედაჩემი იშვიათად მეფერებოდა, გაცივდა დედა, გაუხეშდა. მე ის დედა მახსოვდა, ზურგით მის მკერდზე მიწებებულს რომ მათბობდა და მეფერებოდა. მენატრბოდა დედაჩემი, ძველი დედაჩემი. მაგრამ ხანდახან მაინც მეფერებოდა დედა, მისი მოფერება თბილი და ტკბილი კი არა, ცრემლიანი, ცივი და მლაშე იყო. მაგრამ ახლა უკვე ის მოფერებაც მომაკლდა და მომენატრა.

ერთ დღეს დედა ძალიან დაღლილი და აწითლებული დაბრუნდა. სახეზე თითქოს სისხლი წაესვა. სისხლისა ძალიან მეშინოდა, მამასაც ხომ სისხლი დაედინა და მერე აღარ მოსულა. დედამ პარკით საჭმელი მომიტანა, მერე დაწვა. მეორე დღეს დედა არ ამდგარა. საღამოს ერთი დეიდა მოვიდა, დედას ქუჩის ნაცნობი და წამალი მოუტანა. მას მერე დედა აღარ ამდგარა. ის დეიდა მოდიოდა ხოლმე, მერე ალბათ დაიღალა და მამასავით მიგვატოვა. ზოგჯერ ვინმე მოვიდოდა და საჭმელი და წამალი მოჰქონდა. მერე ყველას მოსწყინდა და მე და დედა მარტონი დავრჩით. ღამ-ღამობით დედა ბორგავდა, ძილში მამას ეძახდა: “ბავშვს მიხედეო!”

როცა ძალიან მომშივდა გარეთ გავედი. ჭუჭყიანი და ძალიან საცოდავი ვიყავი, ვიღაცამ ხელში გროშები ჩამიყარა. ის გროშები ქუჩაში გამყიდველს მივეცი და მან პატარა ხაჭაპურის ნაჭერი მომცა. მე არ მიჭამია, დედას მივუტანე. მან ცოტა მოციცქნა, დანარჩენი მე მომცა, მერე ცრემლები წამოუვიდა და სულ დაუსველდა თავისი პატარა ლუკმა.

შევეჩვიე ქუჩას, მაგრამ შორს წასვლისა მეშინოდა, ვაითუ მერე უკან წამოსასვლელი გზა ამრეოდა და დედისათვის ვეღარ მომეგნო, მერე რა ეშველებოდა მას, ჯერ ხომ სიარული არ შეეძლო!

მერე ნელა-ნელა ვისწავლე გზები, სადაც უფრო მეტი ხალხი დადიოდა იქ ვდგებოდი და რომ არ გამეწვალებინა უცნობი დეიდები, ჩემი ჭუჭყი რომ არ გადასდებოდათ, ხელი სულ წინ გამოწეული მქონდა. ზოგჯერ ცრემლი მომერეოდა, მაშინ ვიღაც აუცილებლად მოვიდოდა და მეფერებოდა. მერე ვისწავლე, როცა ძალიან მინდოდა რომ ვინმე მომფერებოდა, როცა ძალიან დამჭირდებოდა ალერსი, ტყუილად ავტირდებოდი, მერე მომეფერებოდნენ და გულზე მომეშვებოდა ხოლმე... მერე ესეც მომბეზრდა, თუ არ ვიცი, აღარ მშველოდა...

ახლაც აქ ვდგევარ და ველოდები, ვინმე ღვთისნიერი როდის მომცემს გროშებს, რომ დედას საჭმელი მივუტანო, იქნებ ადგეს და, ძველი დედა გახდეს? ქუჩა ჩემი სამყარო გახდა, არც ისე ცუდი ყოფილა ქუჩა, როცა თბილა, მაგრამ არ ვიცი სად დავემალო ზამთარს, ვიყინები და მაინც აქა ვარ. არ ვიცი სხვა რა უნდა ვქნა?!

მე ჯერ პატარა, მაგრამ უკვე დიდიც ვარ. მთელი ცხოვრება გავიარე, ვიყავი ბედნიერი, მქონდა ჩემი სამყარო. მერე ვიყავი უბედური და უსახლკარო. მყავდა დედა და მამა, რომელიც გზაზე დარჩა, და გულში დამიტოვა წითელ თოვლზე დაცემული ლაქასავით რაღაცა. მეფერებოდნენ ადამიანები და ვუყვარდი. მერე ვებრალებოდი და მაძლევდნენ გროშებს. ვუყვარდი დედას და ზრუნავდა ჩემზე, მერე დედა დაწვა და მე უნდა მეკვება დედაჩემი. ამასობაში ძალიან გავიზარდე, მაგრამ ჯერ მაინც პატარა ვარ, ცხოვრებასთან ჭიდილი ჯერ არ შემიძლია. ვდგევარ ნახევრად შიშველი ქუჩაში და მშია, მცივა, მეყინება უკვე გაუხეშებული, პატარა, ჭუჭყიანი სხეული და ველოდები, ვინმე ღვთისნიერი, თვითონაც გაჭირვებული, როდის გადმომიგდებს ხურდას, რომ უძლურ დედას პური და, თუ ძალიან გამიმართლა, ერთი ცალი ხორცის ბურთულა ვუყიდო. მე არ შევჭამ, ოღონდ დედა მაინც წამოდგეს ფეხზე და როგორც მამაჩემმა დატოვა თოვლზე, ისეთი საშიში წითელი ლაქა, ერთ დღეს დედის ჭუჭყიანთოვლისფერ საწოლზეც არ დამხვდეს..

ზოგჯერ როცა ძალიან მომშივა და ძალიან მცივა, ძალიან მარტო ვარ და უპატრონო, მომინდება ვინმეს ვუყვარდე. მოვიდეს ვინმე და მიშველოს, სანამ ავტირდებოდე, მანამ, ისე, დასაწყნარებლად კი არა, გულით მოუნდეს, მომეფეროს და გამითბოს პატარა ძვლები. მაგრამ არავინ მოდის და ეს, არაჩემი, სამყარო მეზიზღება, აღარ მინდა ამ სამყაროში დარჩენა, სადღაც გაქცევა მინდა, გადაკარგვა. . .

მაშინ ლოცვასავით წამომცდება ხოლმე: — შენ მაინც მოდი, სიკვდილო, მომეფერე, გამითბე გაყინული ფეხები.

2012 წ.

გვანცა ხარაიშვილი

მართა (წელიწადის დროების ისტორია)

ორს ხუთი წუთი აკლდა როცა მართას გაეღვიძა. სიჩუმეს ისე გაეყინა ოთახში ჰაერი, რომ კედლებს სუნთქვისას ორთქლი ასდიოდათ. ფანჯრის იქეთ არსებული სამყარო კვლავ ძილის ფერიებს ეჭირათ მხრებით და უნდობლად უმზერდნენ არსებას, რომელმაც გაბედა და მათი უფსკრულისფერი სიმშვიდე უტიფრად დაარღვია.

დრო გუშინაც ძალიან გაიწელა. მართამ ყველაფერი მოასწრო და მერე მოწყენილობამ დარია ხელი. სახლს დალაგება უბრძანა, ქვაბს დუღილი, საკუთარ თავს სიმშვიდე და სრულიად უსაქმოდ დარჩა. საშინელება იყო ჯდომა და ფიქრების თვლა, რადგან ფიქრებში იმ ზღვას გაჰყურებ, რომელიც ცას არასოდეს უერთდება.

ორს სამი წუთი რომ აკლდა მართას ღამის ფერიები უკვე მტრულად უყურებდნენ. მას კი სამნიშნა ასაკი ძილის საშუალებას არაფრით აძლევდა. ჯერ ერთიანი შეუძვრა ცხვირში და ცალი ნესტო გაუჭედა, მერე ტყუპი ნოლიანების შეხება იგრძნო დაჭმუჭნულ კერტებზე და ის იყო, გაეღვიძა კიდეც. არც სული ეხუთებოდა და არც სახსრების ტკივილი აწუხებდა, უბრალოდ კანი ხელის მტევნებში დაძარღვულ საუკუნეს უგრძნობდა.

ერთი თვის იყო როცა მიხვდა, რომ ადამიანები სამყაროსთვის ისეთივე უცხო სხეულები არიან, როგორც პირისთვის საწოვარა. ექვსი თვისამ გააცნობიერა, რომ ცხოვრებით ტკბობა აწმყოს ხაზს არასოდეს კვეთს და რომ გასული ხუთი თვის სუნთქვა იყო მხოლოდ სასწაულებით სავსე ფეირვერკი. მართა ვერ იტანდა საათს, სივრცეში ჩაკარგულ დროს რიცხვებად რომ აფეთქებდა და ყოველთვის ბევრი იყო მოგონებების კრეფის გზაზე და ცოტა — მოგონებად ქცევისთვის.

დიდი დრო გასულიყო იმის შემდეგ, რაც დედ-მამის მკვდარი აქტი მის ალვეოლებში აირთა ცვლად იქცა და ამისთვის სულაც არ იყო მათი მადლობელი. მართას სჯეროდა, რომ ჭეშმარიტი სილამაზე იმაშია, რაც არ დაბადებულა, არასოდეს თქმულა და ამხდარა. ის კი შვეს, საკუთარი სახელის მარწუხებში მოაქციეს და სასჯელად ოცნებების ახდენა დაუწესეს. მართას ამიტომაც სტკიოდა ხოლმე დილაობით ლავიწები. ლავიწები ყოველთვის გრძნობენ, რომ რეალურად, არაფერია სამყაროში შეუძლებელი.

სამი გახდა. სამზე ქუჩებში ლამპიონები ინთებოდა, რათა სიზმრის სულებს გზა მარტივად გაეკვლიათ და ადამიანები ღამეული თავგადასავლით დაესაჩუქრებინათ. მართას სიზმრები მას შემდეგ შეუყვარდა, რაც მათი გაკონტროლება და წარსულად ქცევა ისწავლა. პირველ რიგში, მან რემძილი ფიქრებისგან გაათავისუფლა, რადგან ფიქრი არაფერია, თუ არა მომავლის ქუხილი ტვინში. შემდეგ, მათ დროის ღობე მოარღვია და სულ მარტივად აქცია სიზმრები მოგონებებად, მოგონებებს კი მართა ამქვეყნად ყველაზე მეტად აფასებდა.

სიზმარი იგვიანებდა. მართა შეაცბუნა გარდაუვალის გარდუვალობამ და სისხლში ადრენალინის მოზღვავება იგრძნო. ასეთი რამ იმის შემდეგ არ დამართნია, რაც პირველად ქუჩაში გავიდა და ხელიხელჩაკიდებული წყვილი დაინახა.

მაშინ მართა გაცოფდა.

ორი თავხედი არსება ერთმანეთს ტუჩებით, კიდურებით, სხეულის ყველა უჯრედით ეკვროდა და აწმყოთი ტკბობას ცდილობდა. ეს სრულიად გაუგონარი ამბავი იყო და მართამ მაშინ და იქვე გადაწყვი-

ტა, სწორედ ისინი ექცია თავისი მომავალი კოლექციის საცდელ მარიონეტებად, რათა მათ თვალებში ხილული გზნება აღარასოდეს ჩამდგარიყო.

მართა ათეისტი არ იყო. უბრალოდ, ადამიანების არ სწამდა და არ სწამდა ღმერთი. დღეში ორჯერ კითხულობდა ლოცვებს— არაფრისთვის და სიტყვებს გალაქტიკის ფერხულში აბამდა რადგან იცოდა, რომ ღმერთებს, თუ ისინი მართლა არსებობენ, ზეცასთან უფრო ახლოს აქვთ ყურები, ვიდრე დედამიწასთან.

ოთხის ჩვიდმეტ წუთზე ყველაფერი ქაოსმა მოიცვა. უსიზმრობამ მის სხეულში საუკუნის შეგრძნებები გაამძაფრა. მართამ სცადა მოგონებებს ჩასჭიდებოდა, მაგრამ ისინი ეროზიისგან შეჭმული მიწის მსგავსად უსხლტებოდა და რეალობის ციცაბო ბილიკზე თავქვე მიაქანებდა. ძალიან, ძალიან მოუნდა წლების მანძილზე მუყაითი შრომით მოპოვებული კოლექციისთვის თვალი შეევლო და ასე მაინც ეპოვა შვება უცნაური ცვლილებებით სავსე ოთახში.

საცვლის ამარა ადგა და დაგრეხილი ფეხები ობობის ქსელში გახვეულ ჩუსტებში დურთა. რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოშვებულმა კანმა თეთრი ბაირაღებივით დაუწყო ქანაობა. ყურადღებას არ აქცევდა ჩაგუბებულ ჰაერში მოციმციმე სიმყრალის მოლეკულებს, რომელთაც ისეთივე მძაფრი სუნი ჰქონდათ, როგორი საშინელიც შეხედულება. ბოლოს, როცა მართამ ოთახის ბოლოში მდგარ სარკემდე მიაღწია და მის ვერცხლისფერ სივრცეში ხელი შეაცურა, ვერაფერი იგრძნო სიცარიელის გარდა — მისი საამაყო კოლექციიდან აღარაფერი დარჩენილიყო.

მართას სისხლი საფეთქლებში მოაწვა და დაბნეულობისგან არ იცოდა რა ექნა. ტვინში ქექავდა უკანასკნელ მოვლენებში ძაფს, რომელიც ასეთ საშინელებას ახსნას მოუძებნიდა. შფოთვა მალევე გადაიზარდა სასოწარკვეთაში და საბოლოოდ მყარი რეალობის ამებისმაგვარ სხეულად ჩამოყალიბდა.

თვალწინ განვლილი დღეები დაუდგა, როცა მართას ჯერ კიდევ შეეძლო პლანეტაზე მეჭეჭებად ამოსული ადამიანების უბედურებით ტკბობა. და მაინც, რა მარტივად გამოსდიოდა. საჭირო იყო მათთვის მხოლოდ იმედი წაგერთმია და მთელ ცხოვრებას ან აპათიაში გაატარებდნენ, ან სიცოცხლეს რაიმე ორიგინალური საშუალებით მოისწრაფებდნენ. არანაკლებ საინტერესო იყო მათი საცოდაობის ყურება მაშინ, როცა ძვალ-რბილში გამჯდარ რომელიმე სოციალურ ნორმას სოციალიზაციის ჯაჭვიდან ამოაგდებდი და ისინი სრულ ანომიაში ექცეოდნენ. ასევე თავისუფლად შეეძლო მართას სხვისი ქვეცნობიერის მართვა, რასაც რაციონალურად იყენებდა კიდეც თავისი მიზნისთვის— ადამიანებს ემოციებს პარავდა და სარკის უსასრულო სივრცეში აგურებად ათავსებდა.

და ახლა იმ აგურებიდან პატარა ნამცეციც კი არსად ჩანდა.

მართამ ფარდები გადასწია და გასანთლულ ფანჯარას ხაოიანი ენა აუსვა. მოეჩვენა, რომ თენდებოდა. მზის წითელმა დისკომ ხილვა მოჰგვარა — თავად იყო. ოთახში მთვარეულივით დადიოდა და ემოციების სარკეში ხელებს აფათურებდა. მერე ნელ-ნელა მჭიდროდ ნაშენები კედლების დაშლა დაიწყო. აგურები სათითაოდ გამოჰქონდა და ეზოში ისროდა. ასფალტზე დანარცხებული ემოციები ცაში იჭრებოდა, კამარას კრავდა და გათავისუფლებული, მონატრებულ პატრონს უბრუნდებოდა.

მართამ საკუთარ თავში ორი საწყისი პირველად შეიგრძნო და გაუკვირდა. აკვირვებდა ყველაფერი, რასაც საუკუნის მანძილზე ასე მონდომებით აკეთებდა და ამ ემოციამ მთელი მისი არსება დაიპყრო. მერე იგრძნო რომ აზრაილი ეძახდა. ეძახდა დაჟინებით და უხმობდა იქ, სადაც გაკვირვება სიხარულად იცვლება და სინანულს ბადებს. მართა არ წაყვა. იმ წუთას დაბადებული შინაგანი ხმა გარეთ, აისისკენ უხმობდა.

შალში გაეხვია და კიბეებზე ბებრული ნაბიჯებით ჩავიდა. ეზოში ბალახს უკვე გადაკვროდა ბავშვური სიცელქის ფერი. სინათლე იღვრებოდა ტყესავით აღმართულ ფანჯრებში და ფანჯრებიდან. გაზონებზე ვარდები ამოსულიყო და ირგვლივ გაზაფხულის სურნელს აფრქვევდა. მართამ ერთი სისხლისფერი მოწყვიტა და სხეულს შიგნით პნევმა იგრძნო.

რამოდენიმე წუთში ბუნებამ ფერი იცვალა. მზის სხივებმა ძალა მოიკრიბეს. ირგვლივ საოცარი ხვატი დადგა და აქა იქ ჭრიჭინები აჭრიჭინდნენ. მართას სახის ნაკვთებმა ლღობა დაიწყო.

შემოდგომამ ზაფხული ისევე მალე შეცვალა, როგორც ამ უკანასკნელმა გაზაფხული. ცოტა ხნის წინ შეფოთლილმა ხეებმა სიმწვანე შემოიძარცვეს და ძირს ფერადი ხალიჩა დატოვეს. ზეცისკენ მზირალი მათი გაჩაჩხული სხეულები მართას რაღაც შორეულს ახსენებდა — დედის ხელებს.

მართამ მოგონებაც ვერ მოასწრო რომ აცივდა. ქარბუქი ამოვარდა და მოიტანა ის, რასაც მისი გარდაქმნა უნდა დაესრულებინა — ფიფქები.

მიწა ხარბად ისრუტავდა ქალის სხეულიდან წამოსულ სიცოცხლის უკანასკნელ იმპულსებს. ძალუმად თოვდა. მართა ფიქრობდა თოვლზე და ფიქრობდა წამებზე, რომელიც მას რეალურ დროსა და სივრცესთან აკავშირებდა.

სამი პაემანი

ამბავი პირველი

ამ საღამოს საოცარი სუსხი დაიჭირა. ირგვლივ თოვლის ნასახიც არ ჩანს, თუმცა სიცივისგან ჰაერიც კი ჭრიალებს და ამაოდ ცდილობს სივრცეში გაფანტული ბგერები მოლეკულებს შორის გაატაროს. მიყვარს ასეთი სიჩუმე და ნამდვილად მიყვარს ბიჭი, რომელთან შესახვედრადაც ასეთი ამინდი პირდაპირ მისწრებაა. ზამთარი ხომ საუკეთესო დროა გიყვარდეს— გცივა და გაგათბობს, ხმაურისგან იღლები და სიჩუმით გავსებს, გინდა უჩინარი იყო და ისე გახვევს იდუმალ საბურველში, ნებისმიერ უჩინმაჩინის მოსასხამს შეშურდება. სწორედ დეკემბრის დამსახურებაა, რომ სადაცაა საათი 12-ს ჩამოკრავს, მე კი თითქმის ქურდულად, თუმცა უდარდელად ვიპარები გარეთ და ვიცი, რომ ქალაქი, თავიანთ სახლებსა და ერთფეროვნებაში შეყუჟულები მოსახლეობით, ვერ შეძლებს დამირღვიოს მყუდროება ან შემეცილოს ჩემს ეგოისტურ ბედნიერებაში.

ახალგახსნილ კაზინოსთან საოცრად სქელ დუტის ქურთუკში გახვეული ლანდი მელოდება. რამოდენიმე კვირაა ყველაფერი იცის და თავს არც მე ვიკატუნებ, არც ის. ერთმანეთს მეგობრული ჟესტით, თითქმის კაცურად, ხელის ჩამორთმევით და მხრის მსუბუქი შეხებით ვესალმებით. მერე ლოყაზე ნაზად მკოცნის, ხელკავს ვდებ და ხანგრძლივი სეირნობისთვის ვემზადებით. ეს ისაა, რაც ორივეს საშინლად მოგვწონს.

იცის რომ მიყვარს. არა, მარტო თეორიულად კი არა, მიყურებს და ვხედავ რომ გრძნობს.

—ხომ არ დაიღალე? — მეკითხება ჩუმი და ხანგრძლივი სიარულის შემდეგ. (ამ დროს ისეთი საყვარელია მზად ვარ შევყლაპო)

—არც ისე, — ვპასუხობ მოკლედ და სიამოვნების არშემჩნევის მცდელობისდა მიუხედავად, პირი ღიმილით ყურებამდე მეხევა.

ვჩერდებით. ეს ის შემთხვევაა, როცა ხვდება, არ ივარგებს უბრად სიარული და საჭიროა რამე თემაზე ლაპარაკის წამოწყება. უჭირს. ჩვენი გემოვნება, მსოფლმხედველობა და შინაგანი სამყარო ხომ ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავდება. მისი საყვარელი სიტყვები: „რას მეტყვი?“ „სხვა?“ „კიდევ?“ „რაა ახალი?“ კარგად მეტყველებს, რომ ის ცხოვრების მაყურებელი უფროა, ვიდრე (შე)მოქმედი. ბოლოს და ბოლოს გამბედაობას იკრებს და ჩემს გრძნობებზე მეკითხება, რაც ალბათ მცირე დოზით მიღებული ალკოჰოლის დამსახურებაცაა, რომლის სუნიც იშვიათად ეპარება ჩემს გაძლიერებულ ყნოსვას.

ვიბნევი... სოციალურ სივრცეებში ყველაფერი შედარებით მარტივია, აქ კი... სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, მხოლოდ გაკრული ხელით დაჯღაბნილ ლექსს ვაწვდი და ვწითლდები. ვიცი, რომ საერთოდ არ უყვარს პოეზია, მაგრამ შეუძლებელია არ უყვარდეს მისთვის დაწერილი სტრიქონები, ხომ ასეა? აი, მე, მაგალითად ფეხბურთს ვერ ვიტან, თუმცა ბიჭმა რომ გოლი მომიძღვნას ძალიანაც გამეხარდება. ასეთი შესაშური ლოგიკით აღჭურვილი მშვიდად ვაკვირდები მის რეაქციას. ასე მგონია, რომ კი არ კითხულობს, ფურცელს თვალებით ნთქავს. ველოდები, როდის გამოაშკარავებს თავს, მე ხომ არაფერი ვიცი მის გრძნობებზე, მხოლოდ წინათგრძნობები მაქვს... წინათგრძნობა კი, მოგეხსენებათ, არაფერია, ვიდრე ჩვენი ძლიერი სურვილი რაიმეს მოხდენისა. სურვილების და რეალობის გამიჯვნას ახლა ვსწავლობ.

—ლამაზი სიტყვებია, — ამთავრებს კითხვას და მის მზერაში, სიამოვნების ნაპერწკალს ვიჭერ.

—იმიტომ, რომ თავად გრძნობაა ლამაზი...

—ალბათ.

—ალბათ.

—არ ვიცი, ამის შემდეგ, რით შეიძლება იმედი მოგცე.

—მე იმედი არ მჭირდება.

—აბა, რა გჭირდება?

—რაც ჭირდებათ ხოლმე 16 წლის შეყვარებულ გოგოებს.

—სიყვარული? ეგ ხომ ყველას არ შეუძლია?!

—და შენ? შენ შეგიძლია?

—შემეძლო, კი...

უფრო ახლოს მეკვრის და სიარულს ვაგრძელებთ. აღგზნებულია. გუშინდელ სამსახურის ამბებს მიყვება. რაღაც შავი იუმორით სავსე ანეკდოტებიც მოაყოლა. ვცდილობ გავაანალიზო, მის აღტკინებას მე ვიწვევ, თუ ის გრძნობა, რომლის მოწმეც რამოდენიმე თვეა ხდება, ახლა კი თვალებშიც უყურებს.

—იცი? — ცვლის თემას და ალერსიანად მიცქერს, — თავიდანვე ყველაფერს ვხვდებოდი. აი, ერთად რომ პირველად ყავა დავლიეთ და შენი სკოლის პროექტზე ვილაპარაკეთ, უკვე ვიცოდი რომ ოდესმე ასე ვიდგებოდით და შენ იმ სიყვარულით იქნებოდი სავსე, რომელიც, ვეჭვობ, კარგს არაფერს მოგიტანს.

—და შენ? შენ რა იგრძენი როცა მიხვდი რომ უკვე შენით შეპყრობილი ვიყავი? ან ვიქნებოდი?

—რასაც იგრძნობდა ცხოვრებისგან არც თუ ისე განებივრებული, იმედგაცრუებასა და მარტოობას შეჩვეული შუა ხნის კაცი — დაბნეულობა, აღტაცება, სინანული.

—სამი უერთიერთგამომრიცხავი შეგრძენებაა.

—არც თუ ისე ურთიერთგამომრიცხავი. დაბნეულობა იმიტომ, რომ არ ველოდი ოდესმე შენნაირ პატარა, მშვენიერ არსებას თუ ასე წრფელად შევუყვარდებოდი, აღტაცება იმიტომ, რომ შეუძლებელია იმას, რასაც შენგან მთელი დროის მაინძილზე ვგრძნობდი, უკვალოდ ჩაევლო და სინანულს იმიტომ, რომ მე იმავეს ვერასოდეს გიპასუხებდი, თავადაც იცი რატომ.

—არ ვიცი.

—ახლა თუ არა, როცა ამ ამბავს საბოლოოდ გადახარშავ მიხვდები და მადლობასაც მეტყვი. შეიძლება ახლა უგულო და შეუბრალებელ ადამიანად ჩამთვალო, თუმცა სისასტიკე ზოგჯერ ყველაზე დიდი დანდობაა დედამიწის ზურგზე.

—შენი სიტყვები ვერაფერს შეცვლის.

—ვერაფერს შეცვლის ერთი, ორი, სამი თვე... მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. ვერ გეტყვი რომ დრო ყველაფრის მკურნალია, თუმცა ტკივილების დაყუჩება ნამდვილად ეხერხება.

მაკვირვებს მისი ასეთი მჭევრმეტყველება. ვუყურებ და მგონია, რომ ზუსტად ეს კაცი უნდა შემყვარებოდა და ზუსტად ეს ყველაფერი უნდა მომესმინა, რომ ხვალ ცხოვრების გაგრძელების „მუღამი“ მქონოდა. გული იმდენად არ მტკივა, რამდენადაც უცნაური განცდა მეუფლება და მგონი თავს საბოლოოდ ვკარგავ.

ისევ დავდივართ. ყინვა უფრო და უფრო ძლიერდება. ამონასუნთქი ჰაერი ხელს გვიშლის ხედვაში. შინაგანად სრულიად ვუძლურდები და მთელი არსებით მინდობილი ორიენტირებას მას ვანდობ. რომელიღაც მიყრუებული პარკის რომელიღაც „სოკოში“ ვსხდებით. მან იცის, რომ ჩემთვის რთულია და ისიც იცის, რომ არც მისთვისაა მარტივი. „სვიტერის“ სახელოში გათოშილ ხელებს მიცურებს და ცდილობს გამომაფხიზლოს იმ ელდისგან, რაც დღეს მივიღე. მერე, მოულოდნელად ქურთუკს იხსნის, ჩემს ხელის მტევანს იჭერს და მარცხენა მხარეს მიაქვს. თავიდან ვერაფერს ვხვდები და გაოცებულ თვალებს ვანათებ. არაფერს ამბობს, მხოლოდ გულის ცემას ემატება რითმი და მე ახლაღა ვგრძნობ რომ ცდილობს, ერთი რამ დამიმტკიცოს — ისიც ადამიანია და მასაც ისევე უცემს გული, როგორც მე, უბრალოდ სხვა მიმართულებით და შეიძლება ნაკლები გზნებით. ჩემთვის ეს საკმარისი დასტურია. სახე მის სახესთან ახლოს მიმაქვს და როცა მისი ტუჩები ჩემსას ეხება, ვნებიანად, არაამქვეყნიური სურვილით შეპყრობილი ვპასუხობ.

ღამის ზღაპარი რომ დასასრულს უახლოვდება, ეს ჯერ მხოლოდ მე ვიცი. ვიცი იმიტომ, რომ ვიცი რა მოხდება და რა არ მინდა რომ მოხდეს. ვიცი, რომ მალე იყიდის მანქანას და მე ვერ გავუძლებ ცდუნებს არ გავხდე მისი პატარა სამყაროს ნაწილი. ის გულკეთილია და შემომთავაზებს მოვიაროთ სიცივისგან შეჭმული ჩვენი ქალაქის ასფალტი და როცა სადმე გაჩერდება, მომთხოვს გადავიდეთ უკანა სავარძელზე, რადგანაც ეს მასაც ზუსტად ისევე ენდომება, როგორც მე. მერე სახლში დაგვიანებებს მოჰყვება სავალალო შედეგები, ჩემი პრიციპები შეირყევა, ეჭვქვეშ დადგება მორალი, თავიდან ვერ ავიცილებ სულიერი მოძღვრის რისხვას და ველარაფერს ვუშველი დარღვეულ აღდგომის მარხვას...

დეკემბრის ღამეა. ერთად მივაბიჯებთ და ვცდილობთ, დაჭირხლული ჰაერი გავარღვიოთ. მან იცის, რომ მიყვარს, მე ვიცი რომ ვუნდივარ. ყველაფერი აქ მთავრდება.

ამბავი მეორე

ჩემი საყვარელი სერიალის მესამე სეზონის ბოლო ეპიზოდები ვნახე... მოკვდა ყველაზე სიმპათიური მთავარი გმირი, მუცელში ჩაუკლეს მის ცოლს რამდენიმე თვის ნაყოფი, კეთილი მეომრები აგებენ ომს... მოკლედ, სავალალო სიტუაციაა. ჯერ კიდევ აგონიაში ვარ როცა „აბბას“ ზარი მაფხიზლებს. ჟუსტ იმ, მამცნობს ეკრანი. უხალისოდ ვპასუხობ. მერვე წელია უხალისოდ და ქედმაღლურადაც კი ვპასუხობ.

—20 წუთში გამოვალ, — ვეუბნები და ვფიქრობ, რა ჩავიცვა. კარადას ვაღებ და თვალს ვავლებ რამოდენიმე განყოფილებაში განლაგებულ არც თუ მწირ ტანისამოსს. მათი კლასიფიკაცია შემდეგნაირია:

1. მარცხენა, ბოლოდან მეორე უჯრა — „საშინაო და საშინელი“
2. მარცხენა, ბოლოდან მესამე უჯრა — „ხარახურა ივენთებზე ჩასაცმელი“
3. მარცხენა, ბოლოდან მეოთხე უჯრა — „გამოუვალი მდგომარეობა“
4. მარჯვენა, ბოლოდან მეოთხე უჯრა — „იშვიათი გამონაკლისები“
5. მარჯვენა, ბოლოდან მესამე უჯრა — „მარტივი, კომფორტული“
6. მარჯვენა, ბოლოდან მეორე უჯრა — „წავა ნებისმიერ სიტუაციაზე“

„წავა ნებისმიერ სიტუაციაზე“ იყოს. „ლუქს“ შემდეგნაირად ვაწყობ: სრულიად ჩვეულებრივი წითელი კაბა, მატრაკვეცა გოგოს „ქავერით“, რაღაც შესაფერისი სამაჯური და სრულიად შეუფერებელი ბეჭედი, რომელსაც არასოდეს ვიხსნი. რაც შეიძლება მუქად ვისვამ განუყრელ ვარდისფერ პომადას, თმას ვიშლი და სადარბაზოსთან შემთხვევითი გამვლელის კომპლიმენტი საკუთარ თვალში ერთი-ორად მამაღლებს.

ველოდები ფეხით მოსიარულეთა მწვანეს და თვალებს იმ პარკისკენ ვაპარებ, სადაც მელოდება. რას არ მივცემდი, რომ გული ისე მიცემდეს, კონცენტრირებასაც ვერ ვახდენდე, თვალები კი საჭესთან მსხდომი ბიჭებისკენ არ მეპარებოდეს. გზაზე გადავდივარ და ვხედავ, როგორ მოდის, თავდაჯერებულიც და საშინლად დარცხვენილიც ჩემი ტუჩების სიმკვეთრის გამო და როგორც ყოველთვის, ყვავილებს მაწვდის. მართლა მიყვარს ყვავილები, თუმცა ვერ ვიტან როცა ქუჩაში ბიჭის გვერდით თაიგულით დავდივარ. ამ დროს თავი ჩემი მუდამჟამ შეყვარებული, სოფლელი მეზობელი ტურფა მგონია.

— რას შვები, როგორა ხარ? — მეკითხება და ჩემთვის საკმაოდ ნაცნობ მზერას მაპყრობს. არ მომწონს ასეთი აშკარა აღტაცება და მოკითხვის შემდეგ გულუხვად ნასროლი კომპლიმენტები. არ ვპასუხობ, უბრალოდ ვუღიმი. ზედმეტად კარგად მიცნობს იმისათვის რომ მიხვდეს, საშინელ განწყობაზე ვარ. ტაქსიში ვსხდებით და სადღაც მივდივართ. ზედაც არ ვუყურებ. ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან მონაბერი ქარი მსიამოვნებს და გარემოს დიდი გულმოდგინებით ვაკვირდები. ეს ქალაქი ჩემთვის ჯერ კიდევ ამოუცნობი და მიმზიდველია.

ვჩერდებით. როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, კარს მიღებს და გადმოსვლაში მეხმარება.

—ეს ის ადგილია რომელზეც გიყვებოდი. ამას წინათ აღმოვაჩინეთ მე და ჩემმა მეგობარმა. იმის შემდეგ ვოცნებობდი აქ წამომეყვანე.

ისევ უსიტყვო ღიმილი.

არა, მართლა მშვენიერი ადგილია. იგრძნობა რომ ქალაქის ჩახუთულ ჰაერს საკმარისად მოვშორდით. ირგვლივ ლამაზი, ძველებური სახლები დგას თოკებზე გაკიდებული სარეცხითა და მაცხოვრებლების იმედებით დახუნძლული. ჯიუტად ვიშორებ მის ხელკავს და წინ მარტო მივიწევ. ვგრძნობ, რომ სრულიად ზედმეტია და მარტო ყოფნა მინდება. მას კი, როგორც ეტყობა, ლაპარაკის საღერღელი აქვს აშლილი და მიყვება სახლზე, სადაც უნდა რომ ერთად ვიცხოვროთ, გეგმებზე, სურვილებზე, ოცნებებზე. მიყვება გატაცებით და ჩემთვის საშინელებაა იმის შეგრძენება, რომ ეს აღტაცება ოდანავადაც არ ედება ჩემი საყვარელი სატელევიზიო გმირის გარდაცვალებით შერყეულ გონებას.

მყუდრო ადგილას, სკამებზე ვსხდებით. ის ცდილობს ნელ-ნელა შეამციროს ჩვენ შორის დისტანცია, რაზეც მე განმგმირავი მზერით ვპასუხობ და შემდეგ სიცილით ვამატებ, რომ მამაჩემი ყოველთვის მარიგებს ბიჭთან ერთი მეტრის რადიუსით დავჯდე. ასეცაა, მხოლოდ, რიგ შემთხვევაში.

წყინს.

—იცი? ამას წინათ მკითხეს, რას ვისურვებდი ყველაზე მეტად. მაშინ პასუხი არ გამიცია. უბრალოდ ავდექი და რაღაც დავწერე, —მეუბნება და ოთხად გაკეცილ ფურცელს მაწვდის. წაკითხვაც არაა საჭირო, ზუსტად ვიცი რა იქნება. ვიცი და გული საშინლად მეკუმშება. აქვე ვასამარებ ფილოსოფიას ფეხბურ-

თსა და ჩემდამი მიძღვნილ გოლებზე. ცოტა ხანს სევდიანად ვუყურებ ხელებში მოქცეულ მის ოცნებებს და მერე ახლოს ჩამომავალ პაწია ნაკადულისკენ ვისვრი. გაოცებული და ოდნავ შეშინებული მიყურებს.

—ის ჩემზე უკეთ გაიგებს, —ვპასუხობ და ვდგები.

ძალიან მომბეზრდა მისი აუხდენელი სურვილების დევნა.

სახლში მივდივარ და მარტო ყოფნით გახალისებული ვფიქრობ, რა მოვამზადო ვახშმად, სტაფილოსა და კვერცხის სალათი თუ ტკბილზე ტკბილი ხაჭოს კვერები.

იყოს, ორივე.

ამბავი მესამე
„არშემდგარი პაემანი“

ლიანა მელიქიძე ოსიაშვილი

ღმერთს და კაცს შუა მავალი

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, როგორ ანთებდა დედაჩემი სანთელს და ღმერთს ჩემს უსუსურ თავს როგორ ავედრებდა, ჩემს და-ძმებთან ერთად. ისიც მახსოვს, როგორ ვუყურებდი ამ წმინდა რიტუალს. უბრალოდ, მომწონდა და მაინტერესებდა, როგორ ჩაიღვენთებოდა სანთელი და მეტი არაფერი...

მე მაშინ არც ღმერთი ვიცოდი, არც სანთელი და არც არავის რწმენა-ურწმუნოება მანაღვლებდა. ვიცოდი მხოლოდ ის ნაწნავიანი, ხელნაკეთი თოჯინები, რომლებიც იმხანად ჩემად ითვლებოდა.

როცა წვიმასავით წამოსულმა წლებმა გამლუმპა თავისი განსაცდელებით: ტკივილებით, წყენებით, ღალატით, სიყვარულით, უბედურებით, უნდობლობით, ჭირ-ლხინობით, რაც ჩემს საყვარელ ადამიანებსაც ეფერთხებოდა თავზე, მაშინ მივხვდი რა იყო ღმერთი, რომ მეც, დედის მსგავსად, ჩემი საყვარელი ადამიანები უნდა მევედრებინა მისთვის - თავისი წყალობის კალთით დასაფარად.

რაც მეტი დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი ღვთის სიძლიერეში და იმაშიც, რომ ღმერთსა და ჩემნაირ რიგითთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც მას და ჩვენს შუა იყვნენ მავალნი... ვინ არიან ისინი?... ანაფორიანები? ტიტულიანები? დიახ! მაგრამ ვინ არიან ის დედაკაცნი, ვისაც არც ამდაგვარი ტიტული გააჩნიათ, არც მონაზვნის კაბა-თავსაბური მოუფარვიათ და ჩვენს და ღვთის შუა კი დადიან???

თუმცა იშვიათნი, მაგრამ არიან, თანაც ჩვენს გვერდით, თანაც ჩვენს თვალწინ. რომელთაც როგორც არ უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ მივაგებთ ღირსეულ პატივს. სწორედ ასეთია რჩეული, დიდი ქალბატონი, სპეტაკი გულის პატრონი: გულნაზ ხარაიშვილი, რომლის სახეში, მის თბილ კილოში, ქალნი თუ კაცნი, მასზე უფროსნი, მასზე უმცროსნი, მასში დედის ხმა-კილოს, დედის სახეს ვხედავთ... ხოლო მის მიერ ღმერთსა და კაცს შუა განვლილ გზას კი ერთი მშვენიერი, ღრმა შინაარსიანი სახელი, ჟურნალი "ათინათი" ჰქვია.

აკი ვახსენე, ძნელია ასეთ ადამიანს საკადრისი პატივი მივაგოთ მეთქი, მაგრამ თვითეულნი (როგორც თაფლს ფუტკრებივით რომ ასევიან) თავისებურად მაინც ცდილობენ, ასეთ ღვთისნიერს, თავად პოეტსა და რამდენიმე ყურადსაღები კრებულის ავტორს, გული მოუთბონ, თავისებურად მიეფერონ. ნიჭიერი პოეტი ქალბატონი თამარ ჯაჭვაძე მასზე ამბობს:

„იცინი, რადგან ხარობენ სხვები,
თუმც შენი დარდი გიდევს უბეში,
რაღაცას იტყვი, რაღაცას ჰყვები,
თვით უნუგეში, სხვათა ნუგეში.“

გარდა იმ საინტერესო ბუნებისა, რითაც ქალბატონი გულნაზი თანაბრად ზრუნავს ყველაზე, რომ არ დარჩეს არავის ლიტერატურული დონის ლექსები თუ მოთხრობები ჟურნალ "ათინათში" გამოუმზეურებელი, მას ერთი სათნო, ჩემთვის უცნაური ბუნებაც გააჩნია. მაგალითად: დაიწყებს რომელიმე პიროვ-

ნების ქება-დიდებას, საუბრობს მის სიდიადეზე, მის ბრწყინვალებაზე, გამაცნობს და ჩემს წინ დგას ჩვეულებრივი ორხელიანი და ორფეხიანი ადამიანი, რომელთაგვართაც ხან წუთში ათასობით ვხედავ ხოლმე. და გამოდის, რასაც მე ასე ადვილად ვერ ვამჩნევ, თავად ხედავს და თან ამაყობს მათით. მე კი ისღა დამრჩენია, რომ ასეთი დიდი ბუნების ადამიანით, ჟურნალ "ათინათის", თუ არაერთი სკოლის დამფუძნებლით და სხვა მრავალი სასიკეთო იდეის ავტორით, ის ვიამაყო, რომ იგი, იმ ჩემი პატარა ქალაქიდანაა, რომელიც დედამიწას ძლივს ატყვია და რომელსაც ქალაქი რუსთავი ჰქვია.

ადამიანებისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის გამო, აი რას წერს მასზე პოეტი იამზე ჭელიძე:

„ასხივებდა, აშუქებდა
დროის ჭიდილს მიწასთან
და ტკივილებს აშუშებდა,
ჩვენ სუყველას გვიცავდა.“

აწ განსვენებული გიზო ჭელიძე კი თვალნათლივ ხედავდა მასში სიკეთეს, მანდილის სიწმინდეს და იმას, რომ მისი სახით ქალს კი არა, ძმას იხუტებდა.

„ღირსი ხარ მკერდზე იები ნაზი
მომოგიფინო თაიგულებად,
სულით და გულით შენებრ ლამაზი
სხვა ქალი ქვეყნად არ მეგულება.
გვალაღებ, გვართობ მეგობართ კრებას,
სიკეთე არის შენში ბარდნილი,
ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრეფას,
წმინდაა შენი ქალის მანდილი.
ვუცქერ შენს თვალებს, წამწამს ჩადრიანს,
უკვდავი არის შენი გამჩენი,
გულში გიხუტებ ქალს გულმადლიანს,
შენ და კი არა, ძმაი ხარ ჩემი.“

შეიძლება რომელიმე ჩემმა ოპონენტმა გულში გაივლოს: მე ღვთაებამდის ჩემი წიგნითაც, შუამავლის გარეშე, კაი მშვენიერად ავდივარო, მაგრამ ასეთს ვერავის დავეთანხმები, რადგან ჩვენი თითოეულის წიგნი, ვარდის თითო კოკორია, ჟურნალი "ათინათი" კი, ვარდთა კოკრების ის თაიგულია, რაც დაუჭკნობლად მეტ დროს გაუძლებს, ვიდრე ცალ-ცალი კოკორი, რადგან ის საერთოა, სახალხოა, სასიქადულოა.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა ბრძენკაცმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სახალხოდ ბრძანა: - შემთხვევით არაფერი ხდებაო - ამ ნათქვამში პირადად მე დიდი სიბრძნე მესახება.

დიახაც, ვითომ შემთხვევითია სრულიად საქართველოს ბერმუხად წოდებული (დიდ მოღვაწეთა შვილი) ნუგზარ ნადარაიას, მიტროპოლიტი თადეოზის, ბატონ მირიან იორამაშვილის, მსოფლიოში ცნობილი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას, საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის ემელიანე (რეზო) ადამიას, დიდი სამეცნიერო მოღვაწის ლუარა სორდიას, ცნობილი პოეტების თამარ ჯაჭვაძის, ლამზირა შეყილაძის, კაცი ლეგენდა მანუჩარ მაჩაიძის, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის დავით კაპანაძის, პროფესორების ვანო შუშტაკაშვილის, ირა დანელიას და ვინ მოთვლის ქართული ელიტის რამდენ წარმომადგენელთა ხელია შევლებული ქალბატონ გულნაზის მიერ დაარსებული ჟურნალი "ათინათის" საქართველოს მწვერვალზე გასაბრწყინებლად? არავითარი შემთხვევითობა, ეს ღვთის ნებაა.

„სახარეს სასკორავზე ეტყობაო“, ჩვენს საყვარელ „ათინათს“ ზედ შუბლზე ახატია რეზო ადამიას შეუდარებელი ქმნილება, წმინდა ნინოს უკვდავი, უსპეტაკესი სახე და წმინდა ჯვარი, რის გამოც ჟურნალის ხელში აღებისთანავე გეუფლება მისდამი მოკრძალება და მის წინ დაჩოქების სურვილი.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში ასეთი ჟურნალის თითოეული ნომრის პრეზენტაციას ესწრებოდა ყოველთვის საქართველოს მთელი ელიტა: მწერლები, მხატვრები, პოეტები, ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები, იუმორისტები, სახელმწიფო მოღვაწენი.

ამ დიდ ადამიანთა თანადგომამ, უფლის ნებამ შეაძლებინა ქალბატონ გულნაზის ის შეუძლებელი, რასაც შვილის ცხედრის გვერდით ჟურნალის ნომრის არჩავარდნა ჰქვია. (ხოლო მისი პრეზენტაციის

ჟამს ეს უდრეკი ქალბატონი თავს მაგიდაზე დებდა უცაბედად წამსკდარი ცრემლის დასაფარად, ასწევდა სადედოფლო სახეს და ხალხს არავითარ ცრემლს არ ანახებდა.)

ასეთ პრეზენტაციებზე ექსპრომტის მოყვარულთა პაექრობა იმართებოდა ხოლმე. (ბევრჯერ უმარჯვია ახალგაზრდა პოეტს ლელა ბასილაშვილს. იგი ამ დღეებში პირველი პირმშოს დედა გახდა და თქვენთან ერთად ვულოცავ ამ ბედნიერ დღეს, პატივცემულო მკითხველო.)

ვერც იმას დაერქმევა შემთხვევითობა, როცა ჟურნალის ბოლო ნომრის პრეზენტაცია შედგა იქ, სადაც სრულიად ქართველთა მუხლსადრეკი ადგილია, რაც ყველასათვის პრესტიჟულია და რასაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ეწოდება, რომელიც თითქმის მთლიანად თავზე დაჰყურებს ქრისტიანულ, სისხლით მონაპოვარ, სათაყვანებელ, დღეს არაერთგზის ფრთაშეკვეცილ, მრავალ ენით აუწერელ ჭირვარამ ნანახ ქართულ მიწას, რომელზედაც უთქვამთ: „ხელი რომ მოუჭირო, სისხლი დაედინებაო.“ რომლისთვისაც, არაერთ მის შვილს, არაერთ საუკუნეში სიცოცხლე არ დაუშურებია. („ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში“).

ალბათ არც ის იყო შემთხვევითი, როცა სახალხო ენაზე მოსაუბრე "ათინათს" დაბადებისთანავე დიდი მომავალი, ერის სამსახური უგულთმისნეს ცნობილმა მოღვაწეებმა. აი, რა ბრძანა "ათინათის" დაფუძნებისას ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ: მაშ ავანთოთ სიბრძნის კიდევ ერთი სანთელი, გავერთიანდეთ სულიერად და დავიბრუნოთ დროებით წართმეული ტერიტორიები, ჩვენი ერთობა ხომ "მტრის სახრჩობელაა" და მოკეთისთვის მადლით მაცოცხლებელი ჟანგბადი. გფარავდეთ ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, ამინ!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის ჟურნალ „ათინათს“ გზა დაულოცეს აგრეთვე თბილისის სასულიერო აკადემიის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პატროლოგიისა და დოგმატიკის კათედრის გამგემ ბატონმა ედიშერ ჭელიძემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ქართული პროზის რაინდის ტიტულის მფლობელმა ბატონმა რეზო მიშველაძემ, სახელმწიფო მრჩეველმა, ექიმ ოფთალმოლოგმა ბატონმა ვახტანგ გაჩეჩილაძემ, აღიარებულმა მსახიობმა, მწერალმა ბატონმა გივი სიხარულიძემ, აფხაზური ენის სპეციალისტმა ქალბატონმა ირმა ოსიამ,

საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალ "რაჭველების" მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ნინო რეხვიაშვილმა და მრავალმა სხვა ცნობილმა ადამიანებმა.

ჩემს მიერ ღმერთს და კაცს შუა მავალ ადამიანად წოდებულ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს (რამეთუ სწორედ ღმერთს უყვარს ჭეშმარიტი ხელოვნება, გონიერება, ცის სიმაღლემდე აყვანილი პოეზია, თავად ქრისტე ხომ პოეტი გახლდათ, დიდ ოვანეს თუმანიანსაც ხომ უბრძანებია: "ყველა ქართველი პოეტიაო"). პოეტმა ვაჟა აქიმაშვილმა მიუძღვნა ლექსი - "ცოდნის მოძღვარი"

„აქვს სათნოება ცის ანგელოზის,
თვალთა სხივები მზესთან სადარი,
ღვთის ყურადღებით გამოირჩევა,
ყველას შეიცნობს ისე, რაც არი.
და გაოგნებულ მარტოობაში
გულში დარეკა თითქოს მაისმა,
ჩემი გულისთქმის შემფასებელი
ბრძენი მზრუნველი ხმა რომ გაისმა.
მე გამაოცა მისმა მიდგომამ,
განწყობამ, გრძნობამ თანადგომისა,
ჩემი აზრების მანუგეშებლად
მან რწმენა მომცა მეფე ლომისა...
იგრძნო, გამანდო სად მიდიოდა,
ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღვარი,
ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუწოდებთ
ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი.“

ამ სხვადასხვა პოეტთა, სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები ერთიდაიგივეს ღაღადებენ, თუ როგორ ეფერება, როგორ ესათუთება თითოეულ ადამიანს. ქალბატონი გულნაზი "მარტოობაში" როგორ

„ბრძნულად მზრუნველობს“ სხვებზე, ყველაზე, თითოეულზე. აღწერენ თუ როგორ სძენთ მათ თვითრწმენას.

„ათინათის“ ბოლო ნომერში რედაქტორის მიერ წარმოჩენილია ნიჭიერ პოეტთა: მანანა დანგაძის, ამირან შალიკაშვილის(თბილისის პანტომიმის თეატრის დირექტორი), ნუნუკა გურალიას, ვაჟა აქიმიშვილის, მიტროპოლიტ თადეოზის (საბავშვო), ნანა დარჩიაშვილის, ლამზირა შეყილაძის და სხვათა ლექსები. აქვეა მეცნიერის ლუარა სორდიას "პოეზია პლანეტები", ნაილი ხარაიშვილის სხვადასხვა სფეროში მოკლე მიმოხილვები (ერთგან იგი ამბობს: "გულნაზი ხარაიშვილის ლექსები ფრესკებთან ანთებული სანთლების ციმციმს მაგონებს, გულსა და სულს სითბოთი და სიყვარულით რომ ესალბუნება). 141 გვერდზე განსვენებულ, ულამაზესი ასულის ეთუნა მირაშვილის ხსოვნაზეა საუბარი. თავისი ადგილი აქვს დათმობილი იუმორსაც... აქვეა ილო პატაშურის ნახატებიც. ჟურნალის ყდის მესამე გვარდზეა ცნობილი დიდი მანუჩარ მაჩაიძის ბუნების რეალურად ამსახველი ნახატები. (დარწმუნებული ვარ მისით აღფრთოვანებული ჟურნალის მკითხველი იფიქრებს: რეალურად ვსეირნობ ბუნებაშიო).

აღნიშნული ჟურნალის ნომერს წითელ ზოლად გასდევს მისი პირველი გვერდი. მასზე აღბეჭდილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის უმშვენიერესი სურათი და წმინდა ნინოს ფრესკა. ალბათ ათი თაობის ჟურნალისტთა ისტორიას შეშურდება "ათინათის" ეს შესანიშნავი, უფაქიზესი გვერდი, რამეთუ მასზე მთლიანადაა სხვადასხვა პოეტთა მიერ ამ ფრესკისადმი თუ ჩვენი ნათელშუბლიანი ბრძენკაცისადმი მიძღვნილი ლექსები. მათ შორისაა თავად ქალბატონ გულნაზის აკროსტიქში შესრულებული უბრწყინვალესი ლექსი შედევრი: მინდა კალმით შენ... გიგალობო უნეტარესო. აღარაფერს ვამბობ ბატონ სიმონ ზაქარაიას მიერ დაწერილ პატრიარქისადმი მიძღვნილ ლექსზე. იმ პატრიარქზე, რომელიც მიმდინარე თუ გასული საუკუნის საქართველოს სულიერების სარწმუნო მაჯისცემაა. პიროვნება, რომელმაც გასულ საუკუნეში ნიჩბებით და ტანკებით გასალეწად გამზადებულ მისსავე მრევლს თავი არ მიანება გაჭირვების ჟამს და ბეწვზეღა გადაარჩინეს დიდი ძალისხმევით იმ პირთა ბედის წევისაგან ვინც ამჟამად სამუდამო ზეციურ სასუფეველში განისვენებენ და ვისაც „ცხრა აპრილის გმირები“ დაერქვა საქართველოს ისტორიაში.

„დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. დიახ! ამჯერად თავად დამფუძნებელი ნახეთ ჟურნალ „ათინათისა“, ღვთისნიერი, მორწმუნე, მაღალზნეობრივი, ნამდვილი ქართველი დედა, ("თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში") და ისე გამონახეთ ჟურნალი „ათინათი“

ამხელა საზოგადოებრივი ტვირთის მზიდველი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი საოცრად თავმდაბალია, ალბათ ამადაცაა, რომ ხშირად უუბნებია: ჟურნალი „ათინათი“ თითოეული თქვენგანისაა, ვისაც წვლილი მიგიძღვითო, ზრდილობისათვის ვეთანხმები... (აქ რომელ წვლილზეა საუბარი, მთელი ოციოდე წლით დადებული კალამი რომ ამაღებინა. მისსავე შეგულიანებით და თავისსავე რედაქტორობით წიგნი რომ გამომაცემინა „ორომტრიალი“, სადაც ჩემზე ასაკით უმცროსს ასეთი სტრიქონები რომ მოვუძღვენი?: "ნატკენი სული მომირჩინა და სიკეთის ფასიც გამაგებინა, წამომაყენა მომეფერა და... კალამი ისევ ამარებინა. ასეთნაირთა სახელი რადგან ატყვია აწმყოს, გასწვდება მერმისს... ჩემს ცხოვრებაში პირველად მხოლოდ, მის ხმაში ჩემი დედის ხმა მესმის...)

და სწორედ, იმ დედის მიერ ნასწავლი ანთებული სანთლით, პირჯვრისსახვით ვლოცულობ, რომ კვლავ მრავალგზის შესძლებოდეს ქალბატონ გულნაზის კაცისა და ღმერთის, მკითხველისა და ავტორის რედაქტორ-დედისმიერი შუამავლობა...

კვლავ მრავალი „ათინათით“ დაემშვენებინოს ჩვენი დიადი, წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანული ჯვრით დამოძღვრილი, სრულიად ნეტარი, ღვთის წილხვედრ-სათაყვანებელი, მსოფლიოს პატარა, ლამაზი გულისცემა, მარადიული თაიგული... საქართველო.

ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი,
ჟურნალისტი, მწერალი

პიერ გამარა
ოქროს მიხაკი

ბავშვები უკვე აღარ კვდებოდნენ. ამიერიდან მხოლოდ მათი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა მეცნიერება და ადამიანის გონებით შექმნილი საუცხოო მანქანები. ბავშვები უკვე აღარ კვდებოდნენ. მათ აღარ ჰქონდათ სიკვდილის უფლება.

ყველაფერი რაზეც უოცნებიათ გასულ ეპოქების პოეტებსა თუ მწერლებს — დიდი ქალაქების მოძრავ ქვაფენილებსა და თავბრუდამხვევი სიჩქარის რაკეტებზე — თითქმის ეს ყველაფერი იქცა სინამდვილედ. ადამიანებმა უკვე ისწავლეს პურის მოყვანა პოლუსზე და საჰარაში. შაქარს აკეთებდნენ ცარცისაგან. აღარავინ შიმშილობდა. ქვანახშირის გახლეჩის შედეგად მიღებული სინათლით გაჩირაღნდა ქალაქები. ადამიანმა ფეხი შედგა მთვარეზე და პლანეტებიც დაუახლოვდნენ დედამიწას თავიანთ ცნობისმოყვარე მაცხოვრებლების წყალობით.

ადამიანს უკვე შეეძლო სადაც კი სურდა, დედამიწის ნებისმიერ განედზე მოეყვანა წვიმა და ემართა ამინდი. ომები მოისპო. სახელმწიფოთა შორის სისხლიანი შუღლი კონსტრუქტორების, პოეტების და სპორტსმენების შეჯიბრებებმა შესცვალეს. ყველა ხალხთა სამრეწველო პროდუქცია სივრცეში ხვდებოდა ერთმანეთს. რაკეტების ტრიუმი იმტვრეოდა სიმინდის, ბრინჯის, ფორთოხლის, ქსოვილებისა და მანქანა-დანადგარების, ამერიკული ხორცის, ციმბირის პურისა და ფრანგული ღვინის სიუხვით. დედამიწაზე მოყვანილი ყოველგვარი ნაყოფი გადადიოდა ყველა სახელმწიფოს საზღვარზე ჩილიდან გრენლანდიამდე და ბორდოდან ვანკუვერამდე. წლის ყველა დროში უხვად იყო მარწყვი და მანგოს ნაყოფი, იასამანი და ვარდი. ათასგვარი სურნელ-სანელებელი, აბრეშუმი, ლითონის ნაწარმი და მანქანები ჰკვეთავდნენ მერიდიანებს... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ბავშვები აღარ კვდებოდნენ. განა შეეძლო გასული საუკუნის რომელიმე პოეტს ან რომანისტს ეოცნება მაინც ასეთ აღმოჩენაზე — რომ ბავშვები აღარ მოკვდებოდნენ არც დედის მუცელში, არც აკვანში და არც შემდეგ სიჭაბუკეში?..

რა თქმა უნდა, უფრო გვიან, ხანდაზმულ ასაკში ადამიანი მაინც კვდებოდა, მაგრამ მედიცინისა და ქირურგიის უსაზრვრო მიღწევებით ამ ვადამ ძალიან შორს გადაიწია. თუმცა ადამიანი მაინც კვდებოდა.

მაგრამ ბავშვები, ბავშვები, ვიდრე ნორჩი სხეული და სისხლი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიცოცხლის პირვანდელ ცხოველმყოფელობას — არ უნდა მომკვდარიყვნენ. ეს იყო უმთავრესი პრობლემა. და იმდროინდელ ადამიანებს არ სურდათ დიდება იმაზე მეტი, ოღონდ შესძლებოდათ ეთქვათ: ჩვენი ბავშვები ცოცხლობენ, ისინი ცხოვრობენ, ჩვენ ვაძლევთ მათ სიცოცხლეს და შევუნარჩუნებთ კიდეც ყველაფერს, რაც კი მათთვის მიგვიცია — სწორ, ლამაზ სხეულს, მოქნილ კიდურებს, ნათელ მხედველობას და ჯანსაღ გულს.

რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისიც. ხან ნაკლებად ცნობილი, ძალიან ფარული ფორმით გამოვლენილი ავადმყოფობა, ხან უბედური შემთხვევა, რომლის აცილება არც რადარულ დანადგარებს შეეძლოთ, არც მახვილ ელექტრონულ თვალს... ჰო, ეს ზოგჯერ მაინც ხდებოდა...

XXX

მიმდინარე წელს, ივლისის დამლევს უეცრად გავრცელდა ხმა, რომ ერთი პარიზელი ბიჭუნა ავად გახდა, რაღაც გაურკვეველი ფორმის ციებ-ცხელებით. ამ ახალ ამბავს იუწყებოდნენ გაზეთები და ტელესტუდიები, მაგრამ განსაკუთრებით არავინ აღელვებულა. ხალხს სწამდა მედიცინის. ადამიანებს არ ეშინოდათ. იცოდნენ, რომ თუ ახლომდებარე სამედიცინო ცენტრი უძლური აღმოჩნდებოდა ახალ დაავადებასთან ბრძოლაში, მაშინ ის მიმართავდა ეროვნულ ცენტრს, რომელიც ფეხზე დააყენებდა თავისი ლაბორატორიების ყველა მკვლევარსა და მეცნიერს. გარდა ამისა, სასწრაფოდ, ავტომატურად აცნობებდნენ უცხოეთის ლაბორატორიებს, აკადემიკოსებს და ყველა დაინტერესებულ პირს. უნდა ითქვას, რომ

ამ დროს არდადეგები იყო და ფეხბურთის მსოფლიო პირველობის სეზონიც მთავრდებოდა. გავიდა რამდენიმე დღე. ცნობამ ბიჭუნას ავადმყოფობის შესახებ გაზეთის შიგნითა გვერდებიდან პირველ გვერდებზე გადმოინაცვლა, სადაც, ჩვეულებრივ, კულტურისა და მეცნიერების ღირსშესანიშნავ მოვლენებზე იბეჭდებოდა ხოლმე. პირველ ხანებში განცხადებას პირველი ორი სვეტი ეკავა, შემდეგ უკვე სამი. განცხადების შინაარსი ასეტი იყო:

“პატარა პარიზელი მოწაფე კვლავ ავადაა.

ჩვენი მეცნიერები მალე დაამთავრებენ კვლევა-ძიებას.

პროფესორ რობინსონის ვარაუდი”.

სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პატარა ლეოპოლდი სახელგანთქმულ პროფესორ რობინსონისა და საფრანგეთის ეროვნული ცენტრის ექიმთა ჯგუფის ხანგრძლივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ბავშვი თითქმის აღარაფერს ჭამდა,

ცნობიერება კი ნათელი ჰქონდა და თითქოს არც ისე იტანჯებოდა. მისი სხეულის არცერთი, სრულიად არცერთი ნაწილი არ იყო დაზიანებული. მაგრამ ავადმყოფობა თანდათანობით მაინც ძლიერდებოდა და ვერავითარი საშუალებით ვერ ახერხებდნენ მის დათრგუნვას. მიუხედავად ამისა, პროფესორ რობინსონს მაინც სჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. ტელეხედვა ისევ ატარებდა ინტერვიუს მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეებთან და განუწყვეტლივ გადასცემდა ბიოგრაფიულ ცნობებსა და განსაკუთრებულ მონაცემებს პ-ს ოჯახის შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ ამ მშრომელ ოჯახს თავის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული არაფერი ჰქონია. ლეოპოლდის დედა, მამა და უფროსი ძმა სრულიად ჯანმრთელნი იყვნენ.

შემდეგ ავადმყოფს სიცხემ აუწია. ბავშვმა ბოდვა დაიწყო. თბილისის სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ჯიენაძე იმ დროს შვებულებას ბერმუდის კუნძულებზე ატარებდა. გაიგო თუ არა უცნაური დაავადების შესახებ, შეახტა პირველსავე შემხვედრ რაკეტას და პატარა ლეოპოლდისაკენ გაეშურა. განთქმულმა ამერიკელმა ბიოლოგმა უილიამსმაც მაშინვე მიატოვა ჩრდილოეთი ჩინეთი, სადაც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებდა და სასწრაფოდ მიაშურა პარიზს.

აგვისტოს თვის პირველმა დღეებმა მოლოდინში გაიარა. ციებ-ცხელება გრძელდებოდა. ჯიენაძემ და უილიამსმა ჯერჯერობით ვერ შესძლეს დიაგნოზის დასმა. ცნობილი გახდა მხოლოდ, რომ დაწვრილებითი მოხსენებები გაიგზავნა რომისა და სანტ-იაგოს კომპეტენტურ სპეციალისტთა ბრიგადებში. სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა მეცნიერმა არტურ ბენედეტიმ უარი განაცხადა მესამე მოგზაურობაში მონაწილეობის მიღებაზე მარშრუტით დედამიწა-მთვარე, იმის გულისთვის, რომ მონაწილეობა მიეღო კონსილიუმში რობინსონთან, ჯიენაძესთან და უილიამსთან ერთად.

მსოფლიო პრესის სპეციალური კორესპონდენტები ჩამოდიოდნენ პარიზში და ახლა უკვე მილანსა და ნიუ-იორკში გაზეთის ექვს სვეტზე იბეჭდებოდა:

“ავადმყოფს კვლავ აუწია სიცხემ

დიაგნოზი ჯერ არ არის დასმული.” ...და 18 აგვისტოს პირველად დაიწყეს ლაპარაკი ოქროს მიხაკზე.

XXX

სამედიცინი კვლევა-ძიებასთან ერთად აწარმოებდნენ ლეოპოლდის ნაცნობების დაკითხვასაც. დეტალურად შეისწავლეს ავადმყოფობის დაწყების წინა პერიოდი.

ლეოპოლდი ჩვეულებრივ დროს მიდიოდა სკოლაში, ძალიან კარგ სკოლაში, სადაც პირველ კლასში მხოლოდ თხუთმეტი ბავშვი მეცადინეობდა, დადიოდა სპორტულ მოედანზე, საცურაო აუზში და ჟანგბადის კაბინეტში.

ყველანი — სკოლის ექიმი, სოციალური საბჭო, სანიტარიცა და თვით ლეოპოლდის მასწავლებელიც — აღნიშნავდნენ, რომ უცნაური არაფერი შეუნიშნავთ ბავშვის თამაშსა და მეცადინეობაში. თუმცა ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ მასწავლებელმა სთქვა: "ვალდებულად ვთვლი თავს განვაცხადო, რომ ერთხელ გეოგრაფიის გაკვეთილზე, ერთ-ერთი სასწავლო ფილმის დემონსტრაციის დროს, ბავშვს აღელვება შევატყვე. ეს იყო ძველი ფილმი გობის უდაბნოს შესახებ. ეკრანზე აჩვენებდნენ უდაბნოს იმ ადგილებს, რომლებიც შემდეგში დედამიწის ყველაზე უფრო ნაყოფიერ ტერიტორიად იქცა. როგორღაც გაკვრით ნაჩვენები იყო ისიც, თუ როგორ აღმოაჩინა ფილმის ერთ-ერთმა გმირმა, მოგზაურმა რაღაც ქვიშოვანი

მიხაკის მსგავსი, პრიალა, ყვითელი ყვავილი, რომელსაც არაჩვეულებრივი ნაზი არომატი ჰქონდა. მოგზაურმა ამ ყვავილს ოქროს მიხაკი უწოდა. სამწუხაროდ არ დარჩენილიყო ამ ყვავილის არცერთი ნიმუში, რომ ბიოლოგებს შეესწავლათ და შემდეგ მებაღეებს მოეშენებინათ..."

მასწავლებელმა ისიც დაამატა, რომ პატარა ლეოპოლდმა სწრაფად, სხაპასხუპით, უამრავი შეკითხვები დააყარა მასწავლებელს ამ ყვავილის შესახებ. უპოვნიათ თუ არა ოდესმე ამ ოქროს მიხაკის სხვა ნიმუში? შეიძლება მისი ნახვა პარიზის აკლიმატიზაციის ბაღში, ან ბოტანიკურ ბაღებში სხვაგან სადმე?...

სკოლის დირექტორს, რომელიც გეოგრაფიის გაკვეთილს ატარებდა, დაბეჯითებით არაფერი სცოდნოდა ამ მცენარის შესახებ და ამიტომ რაღაც ორჭოფულად უპასუხნია. ლეოპოლდი იმედგაცრუებული იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს და ამ უმნიშვნელო ფაქტმა – დაუკმაყოფილებელმა ცნობისმოყვარეობამ — გამოიწვია დაავადება.

ბავშვს უკეთესობა არ ეტყობოდა. და თუმცა საკვებს საკმაოდ ღებულობდა, მაინც ავადმყოფურად აღგზნებული ფერი გადაჰკრავდა და მის გამოხედვაშიც ინტერესი ჩამქრალიყო. მხოლოდ იშვიათად, ნაძალადევად გაუღიმებდა მშობლებს და ექიმს, მერე კი ისევ რაღაც ნაღვლიან თვლემას მიეცემოდა. ბოდვის წუთებში კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: "ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი"...

მალე ერთმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ცნობა ოქროს მიხაკის შესახებ, მეორემ კი დაბეჯითებით განაცხადა, რომ ლეოპოლდის შველა მხოლოდ ამ ერთი ციცქნა უცხო ყვავილს შეეძლო.

ექიმები განაგრძობდნენ კონსილიუმებს. ამავე დროს მთელი მსოფლიოს მუზეუმებსა და მცენარეთა ანატომიის ლაბორატორიებს დაეგზავნათ წერილები თხოვნით, შეეტყობინებინათ, ხომ არ მოეპოვებოდათ სადმე ოქროს მიხაკის მსგავსი ყვავილი. ფსიქოპათოლოგიის სპეციალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს ეს შემთხვევა და შეუდგნენ მის დეტალურ შესწავლას.

უეცრად მთელ მსოფლიოს მოედო საზარელი ამბავი: მედიცინის მეცნიერებამ აღიარა თავისი უსუსურობა. ექიმებმა ვერ მოახერხეს ავადმყოფობის სახელწოდებისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა. ბავშვის სამკურნალოდ გამოყენებული იქნა ყოველგვარი წამალი, ისე, რომ ექიმები დარწმუნებული არც კი იყვნენ მის ეფექტურობაში. ყველაფერი უშედეგოდ: ბავშვი იღუპებოდა. ბოდვისას ის ისევ და ისევ იმეორებდა თავის სანუკვარ სურვილს: "ოქროს მიხაკს".

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უსათუოდ უნდა ვიშოვნოთ ოქროს მიხაკი, — დაასკვნეს ექიმებმა.

კინოფილმის რეჟისორისა და მისი ასისტენტების რჩევით გობის უდაბნოში გაფრინდნენ გამოცდილი ბოტანიკოსები სამი სპეციალური რაკეტით, კინოფილმის ასლები კი მსოფლიოს ყველა კუთხეში დაიგზავნა.

არავინ იცოდა როგორი იყო ეს ყვავილი. არცერთ სწავლულს არ უნახავს, არ აუწერია, არ მიუცია მისთვის ლათინური სახელწოდება, არ მიუკუთვნებია მცენარეთა რომელიმე ოჯახისათვის.

მხოლოდ ეს გამოსახულება შემოინახა კინოფირზე, ისიც ბუნდოვანი და გაურკვეველი. ნეტავ მართლა მიხაკი კი იყო?...

ამ უცნობი ყვავილის სამშობლოში ახლა სახლები, ელექტროსადგურები და ყვავილებითა და ხილით სავსე ბაღები გაეშენებინათ. პრიალა, ყვითელფერდაკრული, არომატული ყვავილის ნიშანწყალიც კი აღარსად ჩანდა... ნეტავ მთისა იყო ის ყვავილი თუ ბარისა, ან იქნებ შორეული ზღვების სანაპიროდან გადმოაქროლა ქარმა მისი ერთადერთი მარცვალი?...

გეოგრაფია-გეოლოგიის აკადემიკოსები წარმოსთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. მკვლევართა ასოციაციები ამზადებდნენ ახალ ექსპედიციებს. მეცნიერებისა და მკვლევარების მოწოდებები და მიმართვები ეთერის ტალღებში ხვდებოდნენ ერთმანეთს. სათვლელი მანქანების ელექტრონული ტვინები არჩევდნენ მილიონობით ბარათს. მიხაკისებური მცენარეების ყველა ოჯახმა გაიარა მექანიკურ მანქანებში.

პატარა ლეოპოლდი კი უკვე მთლიანად მილეული ხმით ლაპარაკობდა. მისი თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ხელები ზეწრებიდან თითქოს მხოლოდ მისთვის აღიმართებოდნენ, რომ ჰაერში მოეხაზათ საოცნებო ყვავილის შეზნექილი ფურცლები. რა სახის ყვავილები აღარ უჩვენეს: ათასნაირი მიხაკი, პატარა, შაფრანისფერი ვარდები, მოელვარე ტულიპები, მაგრამ ლეოპოლდი არ ტყუვდებოდა და თითს უღონოდ იქნევდა. "ეგ არა, ეგ არა"... მას სწორედ ის მიხაკი უნდოდა, შორეული უდაბნოს პრიალა, ოქროსფერი ყვავილი, ძლივს შესამჩნევი საუცხოო არომატით.

მებაღეებმა მეცნიერულ მუშაობას მიჰყვეს ხელი. სათბურებში, სადაც წელიწადის დროები საოცარი სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს, მებაღეები ცდილობდნენ ამ არაჩვეულებრივი ჯიშის მიღებას. მაგ-

რამ ბავშვი დასუსტებულ ხელს აქნევდა მარცხნიდან მარჯვნივ: “ არა, არა... ეს ის ყვავილი არ არის, არა, არა...”

ბავშვს სიკვდილი უახლოვდებოდა. მსოფლიო ძრწოდა შიშით. რაკეტები, ავტოჟირები და მფრინავი ყუმბარები გუგუნებდნენ მთებზე და ველებზე და ყველას ატყობინებდნენ საზარელ ამბავს. ადამიანები ჩადიოდნენ თვალუწვდენ უფსკრულებში, იკვლევდნენ ძველ, მივიწყებულ მაღაროებს. უმამაცესნი მათ შორის გამოსთქვამდნენ თამამ იდეას: ამ მიხაკის თესლმა ალბათ დიდიხანია მიატოვა დედამიწა, - ასკვნიდნენ ისინი, — და შეიძლება ახლა რომელიმე პლანეტას არის შეფარებული. ამიტომ ეს საიდუმლო ყვავილი კოსმიურ სივრცეში უნდა მოვძებნოთ!

აგვისტოს დამლევს ლეოპოლდი ძალზე დასუსტდა. ერთხელ დილით თითქოს გამოფხიზლდა და თავის სასთუმალთან დახრილი დედა შენიშნა. საცოდავ ქალს დარდით ერღვეოდა გული, აღარ იცოდა რომელი წამალი მიეცა ბავშვისათვის. დედამ შუბლზე გადაუსვა ლეოპოლდს ხელი და რწმენით, იმ რწმენით, რომელიც მხოლოდ დედას შეიძლება ჰქონდეს უჩურჩულა:

— დამშვიდდი, შვილო, მალე გექნება ოქროს მიხაკი! მალე მოგიტანენ...

— მართლა ჩამომიტანენ? —ჩურჩულითვე შეეკითხა ლეოპოლდი

— ჰო, მშვიდად იყავი, მალე მოგიტანენ, - უპასუხა დედამ. გულში კი ფიქრობდა: მაინც რა არის ეს ავადმყოფობა? საიდან გაჩნდა ეს განუსჯელი სურვილი, ასე რომ ანადგურებს მისი შვილის ჯანმრთელობას? და ჩურჩულით დაუწყო მოყოლა იმათზე, ვინც დადის, დაფრინავს და შორეულ ზღვებში სცურავს მისი ყვავილის საძებრად.

— შენ ის უსათუოდ გექნება, მე მჯერა.

სულის სიღრმეში მან სიკვდილი გამოიწვია ორთაბრძოლაში. ის ერთბაშად შეიპყრო ყველა დროისა და ეპოქის დედების შიშმა და სიმამაცემ; იმ დედებისა, რომლებიც ზრდიდნენ, ელოლიავებოდნენ და დაჰკანკალებდნენ თავიანთ შვილებს; იმ ათიათასობით დედებისა, რომლებსაც თვალწინ მოჰკდომიათ თავიანთი პირმშო, თავისი სისხლი და ხორცი...

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ქუჩის ხმაური და ზაფხულის სიცხე იყო კედლებს იქით. ბავშვი ძილ-ფხიზლობდა, თვლემდა და ბურანში ხედავდა შორეულ სივრცეებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც მისი გულისათვის სერავდნენ თვალუწვდენელ სივრცეებს და დაეძებდნენ ყვავილს, რომლის არომატი უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ზღვაურის ქროლვა...

მოულოდნელად კარი გაიღო. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ოქროსფერი ათინათი დაეფინა ზეწარს, ბავშვის სახესა და ხელებს. მან გაოცებულმა თვალები გაახილა.

მისი საწოლი ყვავილებით იყო სავსე. ეს მისი მიხაკები იყო, ნამდვილად მისი, რომლებზეც ამდენი უფიქრია და უოცნებია. მას ერთი მიხაკი სურდა, ამხელა კონა კი მიიღო. ჰო და, შემდეგაც მოსდიოდა და მოსდიოდა მსოფლოის ყველა კუთხიდან. ბიჭუნასთვის მებაღე-სელექციონერების მიერ გამოყვანილ ოქროს მიხაკებს კრეფდნენ მეცნიერები, მამაცი მოგზაურები, მეზღვაურები, რაკეტის მძღოლები და ვინ იცის კიდევ რამდენი პროფესიის ადამიანები...

ასეთი ძალა ჩაუნერგა ბავშვის დაუოკებელმა სურვილმა ადამიანებს და ამ ძალას ძალიან დიდი რაღაცის გაკეთება შეეძლო. იმაზე მეტიც, ვიდრე უკანასკნელი ავადმყოფი ბავშვის გადასარჩენად იყო საჭირო.

ლეოპოლდმა მიხაკი აიღო, პირთან მიიტანა და გაიღიმა. თვალები აუელვარდა და ეს ელვარება ავადმყოფობისა აღარ იყო!

— ეს ის ყვავილია! ვიცანი, ვიცანი!

მან სიხარულისგან ღრმად ამოისუნთქა. დედა ნაზად უსვამდა ხელს სახეზე. ბოროტი ავადმყოფობა უნდა გამქრალიყო, დედა ამას მიხვდა, ნამდვილად დარწმუნდა.

დაღამდა. ლეოპოლდი მშვიდ და სასიამოვნო სიზმრებს მინებდა. ოთახში დარჩა მხოლოდ მძინარე ბავშვი, დედა და კიდევ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები, რომლებიც ქრებოდნენ ყვავილების ოქროსფერ ციმციმში.

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე

დედა

დარდები თიქოს ნისლებივით წამოიშალნენ.

ფიქრებში გართული გავყურებ გზას და ეს-ესაა, დედა უნდა დავინახო.

მენარები, გეფერები, მელანდები, დედა...

თითქოს, ცხადად ვუყურებ ეზოს, სადაც ჭიშკრის მიღმა, ღობიდან ცოტა მოშორებით, გიდგას დაბალი სკამი, ზიხარ თავდახრილი და სარეველებისგან წმენდ ეზოს. ეფერები ნორჩი ბალახის თითოეულ ღეროს. ბალახი ხომ მიჯრით, მწვანე ფარდაგივითაა მთელს ეზოში გაშლილი. გულსა და თვალს ახარებს შენგან დიდი მზრუნველობით მოვლილი ეს მწვანე ხალიჩა. საკმარისია, იმერულმა ნიავმა დაიჩურჩულოს, ზღვის მშვიდი ტალღებივით ირწევა მთელი ეზო.

დედი, რამდენი დიდი და ლამაზი ხე გაშლილა შენს ეზოში. თითქოს ზეცას უნდა მისწვდესო, ისეთი ტოტებგაბარჯღული ცაცხვის ხე დგას. ბალახიც მწვანეა და ცაცხვიც. ხე ამაყად, თითქოს, კაცივით სუნთქავს. იგი ახალგაზრდაა, ძლიერია და თავმომწონე, უხდება კარ-მიდამოს, უზომოდ ლამაზი აღნაგობა აქვს. ქოლგასავით გაუშლია ტოტები, რომელიც შემოსილია ხშირი, მუქი მწვანე ფოთლებით. ხის ტოტებში ჩიტს ბუდე გაუკეთებია — საგულდაგულოდ გადაუწნავს ჩიტუნას ბარტყებისავის ბალახით მჭიდროდ ნაგები ბუდე.

ვუყურებ ამ ხეს, ბუდეს და ვფიქრობ, რომ ამ ჩიტის შიშველი ბარტყებისთვისაც უვლიდი ამ ბალახებს ასე საგულდაგულოდ. ვსუნქავ ღრმად და ვგრძნობ, ამ ბუდესაც შენი მზრუნველი ხელების სურნელი ასდის. მწვანე ხალიჩით მოფარდაგებული ეზოს მარჯვენა მხარეს ამოღებულია ჭა, რომლის ირგვლივ ცემენტია მოსხმული. ქვის გვიმისგან მოშორებით მაღალი წოწინარია გაკეთებული, რომელზედაც გრძელი ჯაჭვით ჩამოკიდებულია წყლის ამოსარები ვედრო. იქვე ლამაზად გადაწნული თუთის ხის ჩრდილში დგას ბეტონის მრგვალი, პატარა მაგიდა სკამით. მის გვერდი, ყურძნის ტალავრის ჩრდილში ჭურებია ჩაყრილი. ბეტონის მაგიდაზე დამხობილი, ელვარება რომ გაუდის, ისეთი ჭიქა დგას. გვერდით ლეღვის ხე და ჯიშიანი ნემსა თხილით მორთული ბუჩქებია გადაშლილი.

ჩაღმა, ღობის იქით, ისეთი ბოსტანი ღაღანებს, ავ თვალს არ ენახება... მაგრამ, სანამ ბოსტანს გადახედავდე, სარებზე ჩამომხობილი ალუმინის ჯერ ნაცრით ან სილით, ხაოიანი ლეღვის ფოთლით, შემდეგ კი — საპნიანი სუფთა, ქათქათა ჩვრით გახეხილი ქვაბები ელვარებენ.

ოი, დედიკო, რამდენჯერ ჩამოვმსხდარვართ მე და შენ ამ თუთის ჩრდილქვეშ, რამდენჯერ გვისაუბრია...

დედი, შენთან ჩემი თავი ყოველთვის ბავშვი მეგონა და შენს ბრძნულ შეგონებას ყურადღებით ვისმენდი. მაინც, როგორ გამონახავდი მუდამ საჭირო და მნიშვნელოვან სიტყვას დარბაისლურად იმის სათქმელად, რომ თითოეული საუბარი ჩემთვის დედა-შვილობის ლამაზ გაკვეთილად ქცეულიყო.

მე ხომ მაშინ პატარა აღარ ვიყავი. ორი შვილი მყავდა. ვეწეოდი ჩემს გასაწევ ჭაპანს, მაგრამ შენთვის მაინც პატარა ვიყავი, ჩემზე ფიქრით და ზრუნვით დამაშვრალო, გამგებო, მოამაგე, ხელჯოხიანო, ჭაღარა დედა!

... მახსოვს დედი, ერთ დღეს მეც შენთან ერთად ვწმენდდი ეზოს სარეველა ბალახისაგან. ჩვენი სახლი ხალხმრავალი ქუჩის პირასაა.

ჯერ ერთი გამვლელი მოგვესალმა, შემდეგ მეორე, მესამე... შემოვიდნენ ეზოში, დავსხედით ტალავერის ჩრდილში, გრძელ სკამზე. შემდეგ ჭასთან გადავინაცვლეთ. ბროლივით ქათქათა ჭიქიდან ცივი წყალი დავლიეთ. შენ ხონჩით სუფრაზე ლამაზად, ნატურმორივით გაწყობილი ხილი შემოდგი. ხილს სადილიც მოჰყვა.

ოი, როგორი ლამაზი და შამბეჭდავი იყო ეს ყველაფერი...

სტუმრები წავიდნენ, ჩვენ გავაგრძელეთ ბალახების ხილვა. დედი, მახსოვს, მზის ქუდი მომიტანე და დამახურე. მე ვიუარე, გთხოვე, შენ დაიხურე-მეთქი და იცი რა მიპასუხე?

დე, მე დროული ქალი ვარ, ალბათ მალე სულ ჩრდილქვეშ ვიქნები და მინდა, ძალიან მინდა, ამ ცას რაც შეიძლება მეტი ვუყურო და ჩემი ქვეყნის მცხუნვარე მზით, რაც შეიძლება, მეტჯერ გარუჯვა მოვასწრო...

გულმა რეჩხო მიყო, მივხვდი, რომ მართალს ამბობდი.

მაშინ ხომ შენ 84 წლის იყავი...

1990 წელი...

შემოდგომა კახეთში

1986 წელი შემოდგომის დიდებული დღეა. მანქანა მიჰქრის კახეთის გზატკეცილზე. თამარი, გიორგი და მათი ახლობელი, თამაზი კახეთში, რთველში მიდიან...

თამარი უკანა სავარძელზე მყურდოდ მოკალათებულა,

ფიქრს მისცემია.

სიყვითლე შეჰპარვია მწვანე, ჯერ კიდევ ხასხასა ფოთლებს. ნიავიც უბერავს და ხეთა ტოტებს ნაზად არხევს. ირგვლივ ბალახი ბიბინებს.

თამარი სხვა დროსაც ყოფილა კახეთში, მაგრამ ამჯერად, მისი ფიქრი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახზე შეჩერდა და გულში კიდეც ჩაარაკრაკა პოეტის მშვენიერი ლექსებიდან რამდენიმე სტროფი. წარმოიდგინა იქაური სალონური შეკრებები. ამ შეკრებებზე მობრძანებული დარბაისლები. გაიხსენა ბევრი რამ წაკითხულიდან, ნანახიდან და მონათხრობიდან. წარმოიდგინა უცებ, რომ იჯდა წინანდალში ჭავჭავაძეთა ულამაზეს ბაღში და სახლის ღია ფანჯრებიდან ისმენდა გრიბოედოვის მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი ინსტრუმენტის ჰანგებს...

ამ დროს მანქანამ გადაუხვია და ჭიშკარს მიადგა. ქალი ოცნებიდან გამოერკვა.

* * *

ეზოში ძაღლი აყეფდა.

სახლიდან ხანშიშესული მასპინძელი გამოვიდა. ჭიშკარი გააღო, ძაღლს შეუწყრა და მეუღლეს ხმა მიაწვდინა: სკამები გამოგვიტანეო.

სტუმარ-მასპინძელი ეზოში, ტანსრული ხეების ჩრდილქვეშ დასხდნენ. თამაზმა წარუდგინა სტუმრებს სამი ვაჟკაცის მშობლები: ბატონი ნიკო და მისი მეუღლე — ქალბატონი ანიჩკა.

მოიკითხეს ერთმანეთი. ტაბლაზე შემოდგმული ცივი წყალიც დალიეს, ნიკოლოზმა კი მეუღლეს გადახედა და უთხრა: დედაკაცო, აბა შენ იცი, მიხედე აქაურობასო!

სტუმრები კი ჩაღმა, კუნტიკარით გამოყოფილ გადაღობილს იქით შეიპატიჟეს.

ღობიდან ვენახამდე, დაახლოებით ხუთი-ექვსი მეტრის სიგრძესა და 50-60 მეტრ სიგანეზე ბიბინებდა მწვანე, ხასხასა ყვავილებით მოჩითული მოლი. როგორც ჩვენმა მასპინძელმა ბრძანა, "ჩაღმა" იდგა ორი უშველებელი კაკალი.

მარჯვენა მხარეს, ულამაზეს ფანჩატურში დაედგა პატრონს მოზრდილი მაგიდა სკამებით, ტახტი წამოსაწოლად, იქვე იდგა ძველებური კარადა.

ფანჩატურიდან კაცი პირდაპირ უცქერდა ვენახს, რომლის თვალუწვდენელი მწკრივები გეომეტრიული სიზუსტით პარალელურად მიემართებოდნენ სადღაც, შორეთში, საიდანაც ჩანდა მზით გაჩახჩახებული, ერთმანეთზე გრეხილად მიწყობილი მთები. ძია ნიკოლოზს ვენახი საგულდაგულოდ გაჭიმულ მავთულზე ჰქონდა მიკრული. თითოეულ ძირზე ქარვასავით ბზინავდნენ დაშაქრული, ყვითელი მტევნები. მიწა ამ ვენახში ისე დაემუშავებინა გამრჯე პატრონს, გეგონებოდა, საგულდაგულოდ მოზაიკითაა გადაჭიკჭიკებული აქაურობაო...

საოცარი სანახავი იყო ყველაფერი.

ამასობაში დიასახლისმა იქვე, სახელდახელოდ გაკეთებულ ბეტონის მაგიდაზე სუფრა გადააფარა, ხილი და ცივი წყალი დადგა და სტუმრებს თავის შესაქცევად ნარდი მიართვა. თვითონ კი, ფანჩატურში მაგიდის გაშლა დაიწყო.

ძია ნიკოლოზმა თამარს შესთავაზა, გაევლოთ ვენახში და თავის ხელით მოეწყვიტა ყურძენი.

ცალ-ცალკე კვალში, ნელ-ნელა მიაბიჯებდნენ ძია ნიკოლოზი და თამარი. თამარი აღფრთოვანებული სახით უყურებდა გარემოს. ისინი ჩუმად, უხმოდ მიუყვებოდნენ მწკრივებს. ბოლოში რომ გავიდნენ ძია ნიკოლოზმა დაარღვია სიჩუმე და უთხრა.

— ბიძიკო, მოგწონს აქაურობა?

— დიახ, ძია ნიკო! —ანთებული თვალებით უთხრა აღფრთოვანებულმა თამარმა.

— ჰოდა, რთველში ველოდი შვილებსა და რძალ-ბავშვებს, მაგრამ რა? მე და ჩემმა დედაკაცმა მარტო დავკრიფეთ თქვენი წასაღები ყურძენი...

თამარმა შეამჩნია მასპინძელის გულში შეპარული სევდა, სცადა გამოსარჩლებოდა ამ ოჯახიდან ქალაქში წასულ, დაახლოებით მისი ასაკის მქონე შვილებსა და და ძია ნიკოს უთხრა: — გულს ნუ გაიტეხთ. ცხოვრება იცვლება. ამ საუკუნემ ბევრი ზღაპარი რეალობად აქცია. ამას ხომ შრომა სჭირდება. ალბათ მათაც ბევრი პრობლემა აქვთ, ვინ იცის როგორი დატვირთულნი არიანო.

ნიკომ შეაჩერა თამარი და თითქოს, საკუთარ თავს ესაუბრებოდა, თქვა: — ყველაფერი კარგია, მაგრამ ვაზი უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყნის კულტურის საფუძველთა საფუძველია. მას შვილივით გაზრდა და მოვლა უნდა. თუ მოუვლით სოფელს, არც ჩვენ დავზარალდებით, არც თქვენ და არც ღვთით ბოძებული ქვეყანა დაგვემხობა თავზე.

ტელევიზორში ევროპას რომ გაიძახიან, ევროპულობით ევროპელებს ვერ ვაჯობებთ, ჩვენ ყველაფერს ჩვენსას უნდა მოვეპატრონოთ, ავაყვავოთ, დავიცვათ და სწორედ ამით გავხდებით საინტერესო სხვებისთვისაც. მარადიული არაფერიაო, ალბათ, მეტყვი, მაგრამ მაინც გახსოვდეს: შენი თვითმყოფადობა, შენი სახე, შენი პატიოსნება უნდა გქონდეს, ბატონო. შენი მიწა-წყალი და ხალხი უნდა გიყვარდეს. ასეა ეს... ამას ეწირებოდნენ ოდითგანვე ჩვენი წინაპრები. ამ ვენახში — განაგრძო მან — ბევრი ბრძნული სიტყვა და კახური სიმღერა თქმულა. ჩვენი ძალა, ბიძიკო, სწორედაც რომ უძველეს ძარღვიან სიტყვაშია, ჩვენს სიმღერებშია, დიდებულ ტაძრებშია. ჩვენ ჩვენებური ლოცვა და შრომა ვიცით.

ამათზე უკეთესს რას უნდა მოვუარო? კი, ბატონო, ჩემს სამივე შვილს უმაღლესი განათლება მივაღებინე, ვფიქრობდი, ქვეყანას გამოადგებიან-მეთქი. მაგრამ ყველა განათლებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს ჩვენი ფესვებისა და ღირსეული თვისებების ფასი.

შემდეგ ძია ნიკომ ჯიბის პატარა, გასაშლელი დანა მიაწოდა თამარს და უთხრა: შენგან კარგი აურა მოდის. დაკრეფილი ყურძენი ფარდაგზეც ბევრია, მაგრამ შენი ხელით, გინდა ჩხა და გინდა, მტევანი მოჭერი, ეს ძია ნიკოლოზისაგან უფრო დაგამახსოვრდებაო...

უხმოდ, მადლიერი სახით გამოართვა დანა თამარმა და შეეცადა, ყველაზე პატარა მტევანი მოეჭრა. მაგრამ იქ, იმ ვენახში, ყოველი პატარა მტევანი ერთი კილოგრამი მაინც იქნებოდა. თამარს ხელში ეჭირა სავსე მარცვლებიანი მტევანი, რომელიც მზის შუქზე ოქროსავით ბრწყინავდა.

ამ დროს, შემთხვევით, ქალს ხელი მოუხვდა ხელისგულზე სათუთად დადებულ ყურძნის მტევანზე და მოწყვეტილი ერთი მარცვალი ნიკო ძიას მიერ ვენახში მოჭიკჭიკებულ "მოზაიკაზე" დაეცა.

ნიკო ძიამ შეხედა თამარს. იგი მიხვდა, მარცვლის ასაღებად თამარი დახრას არ აპირებდა, თავად აიღო მარცვალი მიწიდან, მიაწოდა და უთხრა: — ბიძიკო ამ ვენახში, ყურძნის ამ თითოეულ მარცვალთან ასჯერ მაინც ვიქნები მისული.

თამარმა მიწოდებული მარცვალი კი ჩამოართვა ძია ნიკოს, მაგრამ აღარ იცოდა, სად დაემალა სირცხვილისაგან ალმურმოდებული სახე...

ამასობაში ანიჩკას ფანჩატურში სუფრა გაეწყო. სამი ახლობელიც მობრძანებულიყო ოჯახში. მათ თამარი და ნიკოც შეუერთდნენ.

ბატონმა ნიკომ სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა. იგი კარგი თამადა აღმოჩნდა. ბევრი ლამაზი სადღეგრძელო თქვეს და კახური მრავალჟამიერიც დააგუგუნეს.

ღამის ათ საათზე აიშალნენ.

კახეთის გზატკეცილზე უკვე თბილისისკენ მოქროდა "მანავის მწვანით" დატვირთული მანქანა. შიგ კი ისხდნენ იმ დღის შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული მგზავრები. თუმცა თამარი იმ უხერხულ დეტალს — ყურძნის მარცვლის ასაღებად რომ არ დაიხარა, თავს ვერ პატიობდა...

ცირა და ბაგრატი

ერთ დღეს ცირამ საჯარო ბიბლიოთეკის მყუდრო კუთხეში მოიკალათა და წიგნი სამეცადინოდ გადაშალა, სადაც ნახა ფურცლის კარგა მოზრდილი ნაგლეჯი ნაწერით: "ვარ ქართველი, ქრისტიანი. ჩემი სამშობლო საქართველოა, მე ძალიან, ძალიან მიყვარს იგი..."

არც მეტი, არც ნაკლები — სულ ამ რამოდენიმე ფრაზით ამოიწურა ცირას "შეხვედრა" უცნობთან. მაგრამ მისი შეხედულებით, ეს ძალიან ტევადი წერილობითი მონოლოგი, რომელსაც, გნებავთ, დაერქვას უცნობისგან ფურცლის ნაგლეჯისთვის განდობილი გულწრფელი აღსარებაც — ცირასთვის ერთობ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

არც დაფიქრებულა ისე, იმავე ფურცელზე მიაწერა: "ჩემო ძვირფასო ქართველო, ქრისტიანო ადამიანო, ჩვენ გვაქვს დიდებული, ტკბილხმოვანი ქართული ენაც და ყველაფერი ერთთავად ჩვენი საპატრონო და მოსავლელიაო". ამ მინაწერის გაკეთების შემდეგ, თითქოს რაღაცამ უბიძგაო, უეცრად წამოდგა, მივიდა ბიბლიოთეკართან და ჰკითხა:

— თუ გახსოვთ, ამ ბოლო დღეებში ეს წიგნი ვის ჰქონდა გატანილი?

— ვერ გეტყვით — მხრები აიჩეჩა ბიბლიოთეკარმა.

ცირა დაჯდა მაგიდასთან, მაგრამ მუშაობის დაწყება გაუჭირდა. საქართველოზე დაფიქრებული ხელში სულ იმ ფურცელს ატრიალებდა. მისი გულისყური და თვალსაწიერი სულ სხვაგან რბოდა. საბოლოოდ კი დარწმუნდა, რომ იმ დღეს ვერ იმეცადინებდა. წიგნები ჩააბარა და ნელი სვლით გზას ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისკენ გაუყვა.

ტაძრისკენ მიმავალს ფიქრი თავისი დიდი, ლამაზი, თვალშეუდგამი, მშრომელი, გონიერი და არაერთი გამოჩენილი პიროვნების აღმზრდელი სოფლისკენ გაექცა. გაახსენდა ბავშვობა, სკოლის წლები. საღამომ ფუსფუსი სოფელში. მაშინ კვერცხის წითლად შეღებვა არ შეიძლებოდა. ეკლესიები? — ხუთი ეკლესია ყოფილა მის სოფელში. დედის მონათხრობიდან იცის, ურწმუნოებმა როგორ ჩამოხსნეს ტაძრებზე ზარები, დაანგრიეს ჯერ გუმბათები და შემდეგ კი — მკვიდრად ნაშენი კედლები.

გრგვინავდა სოფელი, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ შეშინებული ადამიანები. ცირამ ისიც გაიხსენა, როგორ გულმხურვალედ ლოცულობდა და ყოველ დილა-საღამოს პირჯვარს როგორ იწერდა მისი მოკრძალებული დედა. თუმცა, სამწუხაროდ, მაშინდელი ბავშვები სკოლებში ათეისტურად იზრდებოდნენ და მათთვის უღმერთობა ცხოვრების წესად იყო ქცეული.

ამის გახსენებამ შეაწუხა ცირა. უსიამოვნოდ გაიქნია ხელი და "ჯაჭვის ხიდიდან" ნაწვიმარზე ადიდებულ, ვეება ქვებზე მოხტუნავე რიონს თვალი მიადევნა. მდინარე ხმაურით მიედინებოდა კალაპოტში და გამოდარებულზე ჩახჩახა მზით ალაპლაპებული მისი ტალღები ნაპირებს ძალუმად ეხეთქებოდნენ...

დასავლეთიდან მონაბერი სიო ცირას შუბლს უგრილებდა. მზე კარგად გადახრილიყო.

მოშივდა. გზად სახელდახელოდ წაიხემსა და ბაგრატის ტაძართან ერთ მოზრდილ ლოდზე ჩამოჯდა.

განმარტოებული ცირა გასცქეროდა ერთმანეთის მიჯრილ მიყოლებულ მთებს, შემოსილს ბუჩქებით, ალპური მცენარეებით თუ სხვადასხვა ჯიშის ულამაზესი, ხასხასა მწვანე ხეებით.

წარმოიდგენდა, როგორ მიედინებოდნენ მთათა დამრეც კალთებზე პატარა ნაკადულები. მერე როგორ ერთვოდნენ ერთმანეთს, იკრიბებოდნენ და იქცეოდნენ რიონივით მძლავრ და წყალუხვ მდინარეებად.

უჰ, რამდენი მთაა, ტყე და მდინარე საქართველოში. დასერილია ჩვენი დალოცვილი ქვეყანა წყალუხვი მდინარეებით და რაც მთავარია, ძალიან მშრომელი, ნიჭიერი და ლამაზი ხალხი ცხოვრობს დედამიწის ამ დალოცვილ კუთხეში...

ცირამ აქ დაუსვა ფიქრთა დინებას წერტილი. წამოდგა, ხელი თმაზე გადაისვა და ის იყო, შინისაკენ უნდა წასულიყო, მოულოდნელად ყმაწვილის წკრიალა ხმა შემოესმა. მიიხედა და დაინახა შავგვრემანი, შავთვალება, შავხუჭუჭთმიანი ბიჭი წითელი ტუჩებით. ბავშვი იქნებოდა 4-5 წლის. იქვე ახლოს მდგომი ბიჭის მშობლები ტაძრის კედელზე რაღაცას ყურადღებით ჩაჰკირკიტებდნენ. ძალიან მოეწონა ცირას პატარა, ჩამოჯდა ქვაზე და ხელით ანიშნა, მოდი ჩემთანო, პატარამ არ გააწბილა და უმალვე მასთან მიირბინა.

— რა გქვია? — ჰკითხა ცირამ.

— ბაგრატი — იყო პასუხი.

— ოჰო, რა კარგი სახელი გრქმევია, ჩემო ბაგრატ, ალბათ, ლექსებიც იციო — უთხრა ცირამ და გამომწვევად გადახედა.

მისცა დასტური ბიჭმა და არც დასჭირვებია დიდი თხოვნა, სასწრაფოდ ისე ჩამოაჭიკჭიკა ლექსი ჩვენს სახელოვან მეფე ერეკლეზე...

ცირამ მოუწონა, ლექსს მხატვრულად კითხულობ, ყოჩაღი ბიჭი ჩანხარო.

ბაგრატმა შექებით კმაყოფილმა, თავდაჯერებულად განუცხადა: დიდი ბიჭი რომ გავიზრდები, ამ ტაძარს ავაშენებო.

ცირას გაეღიმა და სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა პატარას. თქმით კი უთხრა: ყოჩაღ ბაგრატ, ყოჩაღო!

ამ დროს, თითქოს ხმამაღლა, მაგრამ თავისთვის ჩაილაპარაკა: დღევანდელი დღე საოცრად გამორჩეული და საინტერესო იყო ჩემთვის.

ქალიშვილმა ნამოღებული ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილ სიტყვებს ახალი მინაწერი გაუკეთა:

"— დღეს საქართველოში, ათეისტურად აღზრდილ თაობაშიც არიან ქვეყანაზე მოფიქრალი და ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პიროვნებები. ის კი არა და, სულ პაწაწინა ბიჭები ოცნებობენ, დაამშვენონ ჩვენი ქვეყანა. როგორ გამახარე ბაგრატ-ბიჭო!

საქართველოს დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. ჩვენც ალბათ, ბევრ რამეს გავაახლებთ და შევცვლით...

წარსულს პატივისცემით მოპყრობა სჭირდება, ხოლო აწმყო — მომავლის საწინდარია!"

კარატისტი

აგვისტოს აუტანელი სიცხეების გამო ქალაქი დაცარიელდა, თბილისის ქუჩებში კანტიკუნტად თუ ვინმე გამოჩნდება.

"დეზერტირების" ბაზრიდან გამოსული ნინო სადგურის ქუჩაზე ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ხის ჩრდილში დადგა, სადაც ერთი თეთრკოსტუმიანი შუახნის მამაკაციც იდგა. იქვე ახლოს კი, ბეტონის კედელთან გამწკრივებული, სიცხისგან გათანგული ბიჭები თავს მზესუმზირის კნატუნით ირთობდნენ.

სულის მოთქმა ჭირდა, მაგრამ რა უნდა ექნათ, ტროლეუბუსის მოსვლას მოთმინებით ელოდნენ.

მოულოდნელად სასიამოვნო გარეგნობის წყვილი გამოჩნდა, რომლებმაც იქაურობა დაამშვენეს და სიცხისგან გათანგული მგზავრების ყურადღებაც გამოაცოცხლეს... გოგონა გახლდათ აშოლტილი, შესანიშნავი ტან-ფეხით და მოღერებული ყელით. სახე ჰქონდა შეუდარებლად ნაზი და ლამაზი: — ბიჭი? — ბიჭიც იყო მაღალი, თხელი, განიერი მხრებით, ქედი ჰქონდა ძლიერი და მოუხრელი, სახე ვაჟკაცური, აღნაგობა — სპორტული.

წყვილი მივიდა კედელს მიყრდნობილ, მზესუმზირის კნატუნით გართულ ახალგაზრდებამდე და ჰოი, საოცრებავ, — იქ მჯდომთაგან ჯერ პირველმა დაუდო მოახლოებულ ახალგაზრდა კაცს კვანტი, შემდეგ მეორემ... ბიჭმა წაიფორხილა და მოძალადეებისკენ მზერა გააპარა. დანარჩენებმაც იფიქრეს, ასეა საჭიროო... ბიჭმა თანმხლები გოგონა ხის ქვეშ, ჩრდილში დააყენა და უთხრა: აქ დამიცადეო. თავად კი უკან მობრუნდა. ნინოც და თეთრკოსტუმიანი კაციც ბიჭებისკენ წავიდნენ, მაგრამ წამის უსწრაფესად ნებიერად კედელზე მიყრდნობილთაგან ჯერ პირველს და შემდეგ, აზრზე მოსვლა რომ ვერ მოასწრეს, სათითაოდ ყველას კარატეს ილეთებით "წაეთამაშა" მოსული და ყველა კედელზე გაკრული დატოვა... ნინოსა და თეთრკოსტუმიანს მოკრძალებით გადახედა, მივიდა გოგონასთან, ხელკავი გამოსდო და ვითომც აქ არაფერი, გზას გაუყვნენ. ამ დროს ტაქსიც გაჩერდა და ჩასხდნენ...

ახლა კი გამოფხიზლდნენ მოძალადე ბიჭები, მაგრამ ტაქსი უკვე შორს იყო.

ნინო და თეთრკოსტუმიანი კაცი მიბრუნდნენ ხის ძირას უპატრონოდ მიგდებულ, ნავაჭრით სავსე კალათასთან და ერთმანეთს კარგი ნაცნობებივით დაუწყეს საუბარი.

— რა იყო ეს? — იკითხა კაცმა.

— არ ვიცი, რა ჰქვია ამ ყველაფერს — თქვა ქალმა.

— ჩვენი ახალგაზრდობისას ასეთი ქცევა დაუშვებელი იყო. ერთმანეთში რაგინდ ნაწყენობაც არ უნდა ჰქონოდათ, გოგონას თანმხლებ ბიჭზე შეურაცხყოფის მიყენება ცუდ ტონად ითვლებოდა. იყო გაუგებრობები, როგორ არ იყო, მაგრამ იმ დროში იცოდნენ სად, როდის და როგორ გაერკვიათ ურთიერთობები.

— მართალი ბრძანდებით — მიუგო ნინომ და თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია.

ამასობაში ტროლეიბუსიც მოვიდა.

* * *

...ნინო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა.

მომხდარის შემდეგ კლასში აუცილებლად ჩათვალა ეთქვა: ბიჭებო, იარეთ სპორტზე, თქვენ მომავალი მამაკაცები ხართ, უნდა იყოთ ძლიერები, გაწონასწორებულები და შეძლოთ საკუთარი თავისა და სხვისი დაცვაც. სპორტი ჯანმრთელობის წყაროა და ამიტომ იგი აუცილებელია გოგონებისათვისაცო.

ნინო მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ და მისი რჩევით, ბევრმა ვაჟმა აირჩია სპორტის სახეობათაგან კრივი, კარატე და ცურვა...

... გავიდა ხანი, ნინო თავის მეგობართან, ლილისთან ერთად ფინჯანი ყავის დასალევად გაკვეთილების დამთავრების შემდეგ "მუშტაიდის" ბაღში შევიდა. სადაც მას მოულოდნელად შეხვდა ზემოთხსენებული წყვილი, რომელთა შესახებაც შხირად უფიქრია. მამას, თურმე, ორი წლის ბიჭუნა ხელში აყვანილი მოჰყავდა, დედას კი ხელჩაკიდებული მოჰყვებოდნენ უკვე ექვსი და ოთხი წლის ბიჭები...

ნინო იცნეს ახალგაზრდებმაც. დიდი მოკრძალებით გადაეხვივნენ და მაშინდელი ამბავიც ღიმილით გაიხსენეს.

1998 წელი

ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

ნინო აივანზე სარეცხს ჰფენდა.

ამ დროს ეზოდან გაბმული ძახილი გაიგონა: — ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს

ნინოს ცარიელი ბოთლები ბლომად ჰქონდა და აივნიდან ბიჭს გადასძახა — ამოდიო.

ორ წუთში კარებზე ზარის ხმა გაისმა. ნონომ კარი გააღო,

მაგრამ უადგილოდ დაყრილ ბავშვის სათამაშოებს შემთხვევით ფეხი წამოჰკრა, ჯერ წაიფორთხილა, შემდეგ წაიქცა. ბოთლების შემსყიდველმა ბიჭმა, რა თქმა უნდა წამოაყენა წაქცეული ქალბატონი და ბოდიშიც მოუხადა, თითქოს დამნაშავე თავად ყოფილიყო.

ახალგაზრდას ბოთლები რომ მიეთვალა, სამზარეულოს გავლით აივანზე უნდა გასულიყო. სამზარეულოში გემრიელი სადილის სურნელებამ შესძრა, უჩუმრად ნერწყვი გადაყლაპა, რაც ნინოს შეუმჩნეველი არ დარჩენია. შემდეგ ასი ბოთლი ბიჭმა ტომტებში ჩაალაგა და ხელი ჯიბისკენ წაიღო საფასურის გადასახდელად, მაგრამ დიასახლისმა შეაჩერა და სტუმარი სუფრასთან მიიპატიჟა. დაანაყრა, არც ბოთლების ფული გამოართვა და ცელოფანის პარკში სუფრაზე დარჩენილი კარტოფილიანი ცხელი ღვეზელი და ვაშლებიც ჩაულაგა...

ბიჭმა პარკი გამოართვა. ძალზე გამხდარ სახეზე ბრიალა ცისფერი თვალები წამში თითქოს მოუწყლიანდა. დიდი მადლობა გადაიხადა და ბოთლებით სავსე ტომრებს თავი მოუკრა, ლიფტი გამოიძახა.

ნინოს თითქოს გულში რაღაც ჩაწყდა... აივანზე გავიდა და რატომღაც, ბოთლებით წასულ ბიჭს გადახედა, რომელსაც ეტყობა, ბებო ელოდებოდა.

ტვირთი ჩასულმა ხელის ურიკაზე დადო. შემდეგ მოხუცს იქვე დაგდებული დიდი ქვა მოხერხებულად დაუდო, ზედ დასვა და ღვეზელები და ვაშლი მიაწოდა, მოხუცმაც ჭამა სიამოვნებით დაიწყო.

ამ დროს ნინოს მეზობლის მოაჯირზე სანებივროდ გამოყვანილი, გაწვრთნილი თუთიყუში შემოჯდა, რომელმაც მხოლოდ ერთი სიტყვა — "გოგო" იცოდა და ჩახლეჩილი ხმით დაიძახა კიდეც — "გოგოო!" ბებომ წამს თვალი ქუჩას მოავლო. იქ არავინ ჩანდა და ჭამა განაგრძო. მაგრამ კიდევ გაისმა ძახილი. მოხუცს, ვინ იცის გულში რამდენი ტკივილი ჰქონდა. ისევ ირგვლივ მიმოიხედა, აივნის მოაჯირზე დაყრდნობილ ნინოს მოჰკრა თვალი და გულჩაწყვეტილმა მიაძახა: — შენ არ მოიყარე ჩემი ხნისაო...

ბიჭი შეწუხდა, ნინოს უხერხულად გაუღიმა. ერთხელ კიდევ აგრძნობინა უზომოდ დიდი მადლიერება და ბებოს საუბარი დაუწყო...

შემდეგ?..

ნინოს შხირად გახსენებია ეს ამბავი და უთქვამს: იმ მადლიერებას და იმ "გულწრფელად შეურაცხყოფილი" მოხუცის წყევლას, ალბათ, ვერასოდეს დავივიწყებო...

ზოგჯერ ადამიანის სულსა და გულს რაღაც სამუდამოდ კვალს დაამჩნევს...

2003 წელი

მაია თუნგია

როგორ გადაარჩინეს ოგოლი შვილეგის დედა მგლებმა
(ამბავი რეზო ფაჩულიას ოჯახის შესახებ)

ეს ამბავი 1937 წელს, სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფელში მოხდა. მაშინ ბატონი რეზო 2 წლის იყო, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს სახლში გამოცხადებულმა „ჩეკისტებმა" მამამისი, დომენტი ფაჩულია „ხალხის მტრის" ბრალდებით დააპატიმრეს. ცხადია, არავითარი მტერი ის არ ყოფილა, სოფლის ინტელიგენტი გახდლათ, უბრალოდ, ერთმა ინტრიგანმა თანასოფლელმა კაცმა, რაღაც პირადი ღვარძლის გამო, ცილი დასწამა და დააჭერინა.

ბატონი რეზოს დედა, მანანა, ამ დროს 23 წლის იყო, პატარა დაიკო კი 3 თვის.

ახალი წლის წინა დღეებში მანანა სენაკის სატუსაღოში დაიბარეს, მეუღლეს საჭმელი და ქვეშაგები მოუტანეთო. ციხესთან დილიდან ატუზულ ქალს მხოლოდ საღამოს ჩამოართვეს სანოვაგე. ქვეშაგები კი უკან დაუბრუნეს, შენი ქმარი თბილად გვყავსო. სინამდვილეში, მისი მეუღლე უკვე ცოხალი აღარც იყო.

ამასობაში დაბნელდა კიდეც. სოფლისკენ ავტობუსი აღარ გადიოდა. ამიტომაც ქალმა გადაწყვიტა, სენაკელ ნათესავებთან შეეფარებინა თავი, მაგრამ ამაოდ. ყველა ოჯახიდან თავაზიანი უარით გამოუსტუმრეს, „ხალხის მტრად" შერაცხული კაცის ცოლს ღამეს ვერ გავათევინებთ, ეს ამბავი ჩვენც ძვირი დაგვიჯდებაო. არადა, გარეთ თოვდა, რა უნდა ექნა მანანას, ქუჩაში გაიყინებოდა. გადაწყვიტა, სოფლისკენ მიმავალ გზას ფეხით დასდგომოდა. მისი სოფელი სენაკიდან ოც კილომეტრზე იყო, აქედან ხუთკილომეტრიანი გზა ტყეზე გადიოდა. ამ მონაკვეთზე არც მაშინ და არც დღეს არავინ ცხოვრობდა... თოვამ იმატა, ტყეში შესული მანანა გზას ხეირიანად ვეღაც ხედავდა, უფრო ორიენტაციით მიიწევდა წინ. მეძუძურ ქალს ყველაზე მეტად სახლში უდედოდ დარჩენილი ჩვილი გოგონა ადარდებდა.

...სითეთრეში შავი ჩრდილები შეირხა, მანანამ მგლების ხროვა შეამჩნია... ქალი შეჩერდა, აღარ იცოდა, რა ექნა. მგელები გამოცოცხლდნენ. ერთი, ეტყობა წინამძღოლი, მისკენ გამოემართა და რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა. მერე შეტრიალდა და გაძუნძულდა. ხროვაც მას მიჰყვა. ქალიც ანგარიშმიუცემლად ხროვას ჩაუდგა კვალში. გზა, სულ ერთია, მაინც არ ჩანდა. სამ კილომეტრზე მეტი ასე იარეს. ობლების დედა თავს ისე მარტო აღარ გრძნობდა ამ უკაცრიელ და უკიდეგანო სითეთრეში. ის კი არადა, ეშინოდა, ნეტავ ფეხს არ აუჩქარონ და მარტო არ დამტოვონო. როგორც იქნა, ტყე დამთავრდა და სახლებიდან გამომავალი ჭრაქის შუქები გამოკრთა. წინამძღოლმა დაიყმუვლა და შეჩერდა, სხვებმაც ბანი მისცეს, თითქოს მანანას ეუბნებოდნენ, ხომ მოგაცილეთ შენს ჯილაგამდეო. მერე ბელადი სულ სხვა მიმართულებით წავიდა, დანარჩენებიც იქით გაცვივდნენ. ქალი კარგა ხანს გაჰყურებდა მგელებს. ნათესავებისგან განწირული, ამ ველურმა მხეცებმა სიკვდილს გადაარჩინეს.

შურისძიება, რომლის მიხედვითაც აბულაძემ მონანიება გადაიღო

გავიდა წლები. დომენტი ფაჩულიას დამსმენი (მიმს გვარს ბატონი რეზო არ ასახელებს, ისედაც მთელმა სოფელმა იცისო), ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა, სიბერეში დომენტის ობლების შესახვეწად თუ გაუხდებოდა საქმე. ბატონი რეზო სენაკის კომპარტიის რაიკომის მდივანი რომ გახდა, მოხუცი დამსმენი იძულებული შეიქნა, მისთვის დასახმარებლად მიემართა და სახლის შესაკეთებლად მასალა ეთხოვა. შემდეგ მისი ვაჟი დააპატიმრეს. საოცარია, მაგრამ მოხუცმა შვილის ციხიდან დახსნა ისევ რეზოს

სთხოვა. დაპატიმრებული ხუთი შვილის მამა გახლდათ, ამიტომაც ბატონი რეზო მას დაეხმარა. ეტყობა, მოხუც დამსმენზე ასეთმა სიკეთემ იმოქმედა და სინდისის ქენჯნა დაეწყო. ან იქნებ ეს სიბერის ბრალი იყო — ცოდვები ხომ სიბერეში ახსენებენ ხოლმე თავს ადამიანს... მოკლედ, ერთხელ ბატონ რეზოს სენაკის რაიაღმასკომიდან რაღაც აურზაური შემოესმა. გაიხედა და რას ხედავს — დგას ეს მოხუი „ჩამშვები“ შუა დერეფანში და ღრიალით მოსთქვამს: „ანგელოზების მამის მკვლელი ვარ, ხალხო, ჩაქოლვის ღირსი ვარო“. ყველა ამრეზით უყურებდა, არავის შესცოდებია, ზოგმა მიაფურთხა კიდეც. ყველამ იცოდა მისი არაკაცობის ამბავი. ახალგაზრდობაში ხომ თვითონ ეტრაბახებოდა ხალხს — ჭკვიანად იყავით, თორემ თქვენც დომენტივით ამოგალპობთ ციხეშიო.

მართლაც, დომენტი ფაჩულიას გარდა, მან სხვებსაც შეუთითხნა ბრალდებები და დაახვრეტინა. მათ შორის იყო ერთი ახალსოფლელი პედაგოგი ქალის ძმა. ჰოდა, ამ ქალმა ძმის სიკვდილისთვის მეტად ორიგინალურად იძია შური.

მოხუცი დამსმენი რომ გარდაიცვალა და დაასაფლავეს, ამ პედაგოგმა იმ ღამესვე ამოთხარა საფლავიდან მიცვალებული და იქვე, ყვავების საჯიჯგნად დააგდო. ჭირისუფალმა მეორედ დამარხა მკვდარი, მაგრამ გამწარებულმა ქალმა მეორე ღამესაც ამოთხარა და მიცვალებული ხეზე ჩამოკიდა. ჭირისუფალი კრინტს ვერ ძრავდა, თუმცა, ძალიან კარგად იცოდა, ამას ვინც აკეთებდა. სხვა გამოსავალი აღარ იყო, ადგნენ და სახლთან ახლოს დამარხეს სამარცხვინო წინაპარი — იცოდნენ, სასაფლაოზე მას არავინ გააჩერებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ სენაკის რაიონს რეჟისორი თენგიზ აბულაძე და რეზო კვესელავა ესტუმრნენ. საპატიო სტუმრებს მასპინძლები საკადრისად დაუხვდნენ. სუფრასთან, საუბრისას თქვეს, რომ წერდნენ სცენარს ფილმისთვის „მონანიება“, რომელიც 1937 წლის ამბებზე იქნებოდა აგებული. რაღა თქმა უნდა, ბატონმა რეზომ მათ თავისი ოჯახის ისტორიაც გააცნო და ის შურისძიებაც, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ..

მიცვალებულის საფლავიდან ამოგდების ისტორიამ ორივე სტუმარი ძალიან დააინტერესა და, საბოლოოდ, ეს ამბავი „მონანიების“ სცენარში ჩაიდო...

გულნაზ ხარაიშვილი

გრძნობის მდინარე

თბილისი... მოწყენილი ამინდები, სევდიანი დღეები, სულის წვიმები, დაკორტნილი გული, ატირებული თვალები, სევდიანი თავგადასავლები... ყველაზე ძნელი უიმედობაა მაინც, და ზოგჯერ ხდება ცხოვრებაში ისეთი სიახლე, რომელიც კვლავ ფეხზე წამოგაყენებს, იძულებულს გაგხდის, სხვათა მაგალითის მიმცემად კვლავ იარსებო, დაუსვა წერტილი სულის გამყინვარებას, იფიქრო სხვებისათვის, იზრუნო მათი ბედნიერებისათვის, გაბრწყინებული თვალებით შეხედო, ვითომდა, შენს თავს, თითქოს მხოლოდ მზის სხივები დაფოფინობს, წვიმას ერთხელაც არ დაუსველებია მხრები, გული არ აგტირებია, სიმწრით ტუჩები არ მოგიკვნეტია, გამწარებულს მიწა არ მოგიპოტნია. თავგადასავლები?ჰმ!.. რა მოსაგონებელია, არც ღირს გახსენება, დაისევდებით.. და მე არა ვარ ის პიროვნება, რომ ვინმეს ცრემლი მოვგვარო თვალებზე. გაიხარეთ ყველამ, არც იფიქროთ, რომ თქვენი სიხარული არ მიხაროდეს, ძალიან შეცდებით იმაში, თუ ასე მიცნობთ. ჩემი მისამართით უარყოფითად მოაზროვნეებსაც ღმერთმა შეგინდოთ. ამინ!

მე კი ახლა ლამაზ წყვილზე მინდა გესაუბროთ: ჯულისა და რობეზე. მიწვეულები ვართ ქალბატონ ჯულიეტა ალავიძესთან საერთაშორისო – კემბრიჯის კავკასიის მოსამზადებელ ცენტრში: დიდი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორი დალი აბესაძე, პოეტი ლამზირა შეყილაძე, აკადემიის სწავლული მდივანი, პროფესორი გიორგი ბეჟიტაშვილი და სხვები.

საერთაშორისო – კემბრიჯის კავკასიის მოსამზადებელი ცენ-

ტრის ხელმარცხნივ პატარა სამლოცველო ისე ფაქიზადაა მოწყობილი, მნახველის ყურადღებას მიახლოებისთანავე მიიპყრობს. თლილი ქვებისაგან გაკეთებული კიბეები, ნაირნაირი ვარდები, ეზოში პატარა აუზი. თითქოსდა, სიყვარულის თვალებით შემოგვციცინებენ უსულო საგნებიც კი...

ვინ არის ჯულიეტა ალავიძე? ეს ის ქალია, რომელიც ყველა სიკეთითაა დაჯილდოებული, გარეგნულადაც შემკული — ფერია, მისი მოციმციმე თვალები ისე ანათებს, როგორც ღამეში ანთებული ნათურა, გარეგნული იერით მეტად ფაქიზი, საშუალო აღნაგობის, ვერცხლისწყალივით მოძრავი ქალბატონი, გული მეუღლისადმი დიდი სიყვარულით აქვს გათანგული, სხვათა მაამებელი, ლუკმის გამზიარებელი, სიკეთის უხვად გამცემი, ენის, მამულის, სარწმუნოების დამცველი...

ცათა სასუფეველი იმ საგანძურსა ჰგავს, რომელიც კაცმა იპოვა მინდორში და იქვე დამარხა. შემდეგ წავიდა გახარებული, ყველაფერი გაყიდა, რაც ჰქონდა და ის მინდორი მთლიანად იყიდა.

რობემ საგანძურივით იპოვა ჯულიეტას გული, შემდეგ გახარებულმა ყველა და ყველაფერი ჯულის სიყვარულს შემოაფრქვია ძვირფას მარგალიტად. ჯულიც ასეთ მარგალიტს მთელი ცხოვრება ეძებდა და, როდესაც თავის საკუთრებად დაინახა, მას ისე უფრთხილდება, როგორც საკუთარ სიცოცხლეს.

რობესთან გასაუბრება მომიწია, ჩემთვის დაუჯერებელ ამბავს ყვებოდა, რაღაც შეყოყმანება შემატყო, მან სიმართლის დასასაბუთებლად ფიცი მოიშველია. ჯულისა და ჩემს გრძნობას გეფიცებიო, მითხრა:

სუფრას ხელმძღვანელობდა ჯემალ მელქაძე, საქართველოს რადიოს პირველი ხმის დიქტორი. ბატონმა ჯემალმა წაიკითხა პოეტ ლამზირა შეყილაძის ლექსები, მეც ჩემი შევაშველე და მოგზაურმა, ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა.მის თვალს არ გამოპარვია ჯულისა და რობეს ერთმანეთისადმი ურთიერთპატივისცემა და მათი დიდი სიყვარული. მან ეს ერთგულება ჩვეულებრივად აღიქვა, რადგანაც თავისი გარდაცვლილი მეუღლე, ქალბატონი ლიანა ალიბეგაშვილი თვითონაც ასე უყვარდა და უყვარს დღესაც...

ქალბატონი ჯულიეტას ქალური სათნოება მწვერვალების გზის საგზურია, იგი ერთგულია ყველა თავისი ნათქვამი სიტყვის. ქალბატონი ჯულიეტა თვითონ არის სიყვარულის გრძნობის მდინარე, რობეს დამფასებელი, ერთგული, მას უძღვნის ყველას და ყველაფერს.

ჩემთან?..ჩემთან წარსულის დარდია ჩაბუდებული, იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ ხედავთ ჩემო მკითხველო, და თუ თქვენ ცრემლი არ შეგინიშნავთ ჩემს თვალზე, არ გაგიკვირდეთ, ეს ღამით ხდება, როცა ყველას სძინავს. ძილის წამალივით დარდი არტახებად გადამეკვრება ხოლმე მთელ სხეულზე, მის მარწუხებში ვარ გასალტული, მთელი ღამე დარდის მდინარეებში ვცურავ.

დილით?.. ისევ გრძელდება სხვათა სიხარულის ცქერა, ეს იმდენად მახარებს, რომ სიცოცხლისაკენ მაქეზებს. მინდა დავტკბე თქვენი ბედნიერებით, თუ ვინმე ბედნიერად გრძნობს თავს. აი, რობე და ჯული რომ არის ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. დედაბუნებას ისინი ერთმანეთისათვის შეუქმნია.

დაე, ასეთ გრძნობის მდინარეები იყოს საქართველოს ოჯახების საგზური. ამინ!..

უცხო ფრინველი

თბილისის ერთ-ერთ ბაღში, რომელიც დედაენის ძეგლის გვერდზეა განთავსებული, ლამაზი, ფერად-ფერადი ყვავილები ერთმანეთს ეჩურჩულებიან, ჩვენთან რომ მოდის ხოლმე ყოველ საღამოს, ის გოგონა არა ჩანს, ნეტავ სად არის? ალბათ, მალე მოვა, უპასუხეს ყვავილებს ნაძვის ხეებმა.

მტკვრის ხიდი გადმოჭრა ჭრელ სარაფანში გამოწყობილმა ლამაზმა გოგონამ, მისი თვალები ცეცხლივით ელვარებდნენ. გოგონამ ფეხი აუჩქარა, ვინ იცის, მელოდებიან ჩემი ბაღის ყვავილები, ვინ იცის, კიდეც დარდობენ, ხომ არ გაუჭირდა რამეო, ფიქრობენ... ბაღის კიბეები სასწრაფოდ ჩაირბინა სიფრიფანა ტანის გოგონამ და ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა.

ყვავილების სურნელი მთელი მტკვრის სანაპიროს ეფრქვეოდა, ჩიტები ლაღად დაფრინავდნენ ტოტიდან ტოტზე, ხოლო ერთ-ერთი უცხო ფრინველი, რომელიც იმ ბაღის ბინადარს არ ჰგავდა, იქვე გოგონას ახლოს ჩამოსკუპდა.

-რაო გენაცვალე, ჩემთან ერთად ისვენებ?

შეეკითხა გოგონა

-კი – უპასუხა ჩიტმა.

-შენ საუბარი იცი? — გოგონა გაოცებული შესცქეროდა ჩიტს.

-დიახ! ვიცი, და თანაც, რამდენიმე ენაზე შემიძლია ვისაუბრო.

-ალბათ, უცხო ფრინველი ხარ! აქ არასდროს შემინიშნიხარ.

—კი! უცხოეთიდან მოვფრინავ და ძლივს ჩამოვაღწიე საქართველომდე.

—ძალიან გამახარე.

—დიახ! შენ, შესანიშნავი გოგონა ხარ, ჭკვიანი და ლამაზი.

— რა ვიცი, ჩემო ლამაზო ჩიტუნია, რა გითხრა, დავდივარ ასე ამ ქვეყანაზე, სანდო და აზრიანი ადამიანები მინდა ვნახო, გული გადავაყოლო, მაგრამ არსად შემხვდა ჩემი მოსაწონი. ჩიტმა უცებ ფრთები გაშალა და გაფრინდა.

გოგონა დაფიქრდა, ნეტავ სიზმარი იყო თუ ცხადი? ჩიტი როგორ საუბრობდა. ამ დროს ფეხის ხმა მოესმა, გვერდზე გაიხედა და ხედავს, მის წინ ლამაზი აღნაგობის ორმოცი წლის მამაკაცი დგას. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ნუთუ ეს არის, როგორ პიროვნებასაც ვეძებდი მთელი სიცოცხლე?.. ახალგაზრდა მამაკაცი ინგლისურად გაესაუბრა გოგონას.

ციდან თვითმფრინავის ხმა მოისმა, მერე სულ ახლოს აგუგუნდა და გოგონას წინ დაეშვა. ახალგაზრდა მამაკაცმა გოგონას სიყვარული და თვითმფრინავით უცხოეთში გამგზავრება შესთავაზა. გოგონა დაუფიქრებლად დაემორჩილა თავის ბედს.

დედაენის ძეგლი ელოდა ლამაზ გოგონას, ის კი არ ჩანდა, ნაძვის ხეებმა ნაღვლიანად ჩამოსძახეს: საქართველოში ეს პირველად არ მომხდარა, შეეგუე ასეთ ამბავს. დედაენის ძეგლმა ამოიკვნესა და... პასუხი კარგახნის მერე დაუბრუნა ნაძვებს, არა, არ შევეგუები საქართველოს გადაგვარებას.

ეს იმხელა დიდი განცდით იყო ნათქვამი, ლამაზ გოგონას მისწვდა, გოგონა დაღონდა, უცხოელმა დაღონების მიზეზი გამოიკითხა, როცა გაიგო რაშიც იყო საქმე, მფრინავს უბრძანა, საქართველოში დაბრუნებულიყო. დედაენის ძეგლთან თვითმფრინავი დაფრინდა, წყვილი ქალ-ვაჟი ვნებიანად ჩაეკრა ერთმანეთს და იმ დღიდან ლამაზი შეყვარებულები ყოველ დღე დადიან ბაღში. ნამდვილ სიყვარულს დიდი ძალა აქვს, საუბრობენ ბაღის ვარდები, მაგრამ ქართველი ქალის სამშობლოს სიყვარულს არაფერი შეედრება.

შეხვედრა პატრიარქთან

2012 წლის პირველი იანვარი. დარდწამოსმული შევხვდი ახალ წელს, თუმცა მოლოცვები მსიამოვნებდა მეგობრებისგან, მამხნევებდნენ, მეფერებოდნენ და ათასნაირ კეთილი სურვილების დაბედებას მიწინასწარმეტყველებდნენ.

დღის დასასრულს, როცა ყინვისაგან გათოშილ ასფალტს მზემ უკანასკნელად დაანათა თავისი მოკრძალებული სხივები, დარდმა თავი კვლავ შემახსენა და ჩემ წინ მედიდურად გაიბღინძა. ცრემლებმა გადმოხეთქა წამწამებისაგან აშენებლი კაშხალი და გულის უბეს მარილიანი საფენები შემომაფინა. დედამიწასა და მზეს შორის საყვედურით დატვირთული საუბარი გაიმართა:

— ვერა ხედავ? შენი სითბოთი ლოლუები ძირს დაეცნენ და ბროლის ლარნაკივით დაიფშვნენ. ახლა ისევ ჭირხლის საბანი გადამაფარე, ყინვის არტახებით სული შემიხუთე. მხრები ოდნავ რომ შემითბა, პირი იბრუნე ზეცისკენ. შენი ასეთი საქციელი გაუტანელი და დაუნდობელი ადამიანების ცხოვრებას მაგონებს.

— მე ჩემი დრო მაქვს, რას მებუზღუნები, შენ მიწიერ შვილებს ასწავლე სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა, მე ღმერთის ბრძანებას ვასრულებ, ჩემი ნება რომ იყოს, დედამიწისკენ ისედაც არ ჩამოვიხედავ. ზეცაში ყველას თავისი ადგილი აქვს დათმობილი იმის მიხედვით, თუ დედამიწაზე ყოფნის დროს რა სიკეთეებს აკეთებდა იგი. ჰოდა, მეც იქ მიხარია ყოფნა, სადაც სიყვარულისა და ერთმანეთის ფასი იციან.

დედამიწამ მზის ნათქვამში სრული ჭეშმარიტი სიმართლე დაინახა და გაჩუმდა. მზემ გააგრძელა საუბარი: — მე როცა სხივებს მხრებზე წამოგასხამ, ჩემს სითბოს ადამიანების გულის სითბოც უნდა დაემატოს, მაშინ ანკარა ნაკადულებით აგევსებოდა უბე-კალთა. მე იმას ვდარდობ, ვისაც მინდა სითბო ვაჩუქო, იმასაც არ სწვდება ჩემი სხივები ამ იანვრის სუსხიან დღეს.

ფიქრის გემი გაჩერდა. სანთელი ავანთე და ლოცვა დავიწყე. უფალს მშვიდობიანი დილის გათენება შევთხოვე და აივანზე გავედი. დღის დასასრულს კვლავ ნაღველი შემომაწვა, ყინვის სუსხმა ჩემს გულთან მოიკალათა, მერე მთლიანად მომწვდა და დარდის კუნძულზე გამომამწყვდია.

გამახსენდა ქადაგება, უფალმა რომ ბრძანა, განკითხვის დღეს გეტყვით: მწყურვალი ვიყავ და არ მასვით, მშიერი ვიყავ და არ მაჭამეთ, შიშველი ვიყავ და არ ჩამაცვით, სნეული ვიყავ და არ მომიარეთ.

ყოველი გაჭირვებული ადამიანი, თქვენ წინ შემხვედრი და თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავი.

დარდის კუნძული იძირებოდა, იძულებული ვიყავი თან ჩავყოლოდი, რადგან ძალა არ მყოფნიდა უკან დასაბრუნებლად. კუნძულზე იმედის სხივმა შემოიხედა, ასეთ განსაცდელში რომ დამინახა, შევეცოდე და დახმარებას დამპირდა.

— შენ საიდან გაჩნდი? — მორიდებით შევეკითხე იმედის სხივს.

— მე ქრისტეს მოწაფე ვარ, თვალს გადევნებ და უკვე დავრწმუნდი, რომ უფლის იმედით მიიწევ წინ და უკან კი სიკეთის კვალს ტოვებ.

უწმინდესთან, ფოთის დელეგაციასთან ერთად, ორ იანვარს, ბედობის დღეს, ჟურნალი „ათინათი“ უნდა დალოცოს უნეტარესმა, ამ დიდი საქმის ორგანიზატორი მე გახლავართ. იდუმალი ხმა თანდათან იკვეთებოდა, ხმაში ნუგზარ ნადარაიას ხმა ვიცანი. დაილოცოს ღმერთო, შენი სამართალი, ეს ხომ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტია, დიახ, ის არის, ჩამომძახა იდუმალმა ხმამ.

ორ იანვარს, უწმინდესის რეზიდენციაში მოწიწებით შევაღე კარები. უწმინდესის ხელის შეხებით გულში სიმშვიდე ვიგრძენი. ჩემი სული ამაღლდა, ზეცის ტოლი გახდა, რადგან პატრიარქმა თავისი დაწერილი ახალი საგალობელი მოგვასმენინა და წიგნებიც გვაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, როცა უწმინდესზე მიძღვნილ ლექსს ვკითხულობდი და პატრიარქი მისმენდა, მოსწონდა... მლოცავდა...

ამ ლამაზი დღის შთაბეჭდილებას ასე ასახავს ბატონი ზურაბ აბრალავა.

საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს, დაბადებიდან, 80, ბერად აღკვეცის, 55 და პატრიარქად აღსაყდრების — 35 წლის იუბილე „ფაზისის“ საერო აკადემიამ, ერთ-ერთმა პირველმა, მიულოცა.

ღვთისა და სამშობლოს სამსახურს მიუძღვნა ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე და ცხოვრება... ეს იყო დაუღალავი ბრძოლა გათითოკაცებული ერის სულიერი გამთლიანებისათვის, ეს იყო გზა მიწიერებიდან ზეციერებისაკენ, ეს იყო უდიდესი ძალისხმევა ქრისტიანული რწმენის ირგვლივ ქვეყნის გაერთიანებისათ-

ვის, რამეთუ ქრისტიანობა და ქართველობა განუყოფელია. სწორედ ამიტომაც, არასოდეს ასე მნიშვნელოვანი არ ყოფილა ეკლესიის როლი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, სიცოცხლეშივე ილია II აღმაშენებლად წოდებულმა, გზაარეული ქვეყანა მიიყვანა ახალ გადასახედთან და უფრო მასშტაბური ღვთიური ამოცანები დაუსახა მიზნად. საქართველო დაუბრუნდა ქრისტიანული რწმენის ორბიტას, ქართველი კაცი ისევ მოექცა ზნეობრივი შემეცნების სამყაროში, ერს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდება სულიერად ძლიერი ადამიანები, ყველა სფეროში, ყველა დარგში. ერს, როგორც არასდროს, სჭირდება მაღალი იდეალები, ღვთისა და ადამიანების ურთიერთობის ახალ სიმაღლეზე აყვანა, მისი გავლენის ზრდა ადამიანის ბედზე, რათა იპოვოს ღირსეული ადგილი ამ უკიდეგანო სამყაროში. პატრიარქის უანგარო შრომით, ღვაწლით, საქართველოს სულიერი მისიის აღსრულება ცხოვრების ახალი ღირებულებებით, ეპოქალური გარდაქმნის პერსპექტივას შლის. ეს ახალი საქართველოა, ახალი ხედვით, პოლიტიკური კულტურით, ზნეობით, მორალით; ეს ის გზაა, რომელიც ღმერთთან დაგვაახლოებს, ღმერთთან, რომელიც არის სამყაროს ყოვლისმომცველი სული. არ იყო იოლი ამაღლებულ ღვთიურ სამყაროსთან ზიარება ათეისტური საზოგადოებისათვის, არ იყო იოლი, პარტიებად დაქსაქსულ სახელმწიფოში ერთიანი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ საძირკველზე. ეს შეძლო უდიდესმა პიროვნებამ, მრავალმხრივ განათლებულმა, ამაღლებულმა ზეკაცმა, რომელიც დღენიადაგ ღვთის სიტყვით ესაუბრება თავის ხალხს და ქვეყანას. იგი განუწყვეტლივ ლოცვა-კურთხევით იცავდა ერს ავისაგან, ბოროტისაგან, სიყვარულს ამკვიდრებდა, როგორც ბედნიერების ედემის ბაღს.

ამ ფიქრებით და განცდებით მივდივართ „ფაზისის“ სამეცნიერო-საერო აკადემიის წევრები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან — ფაზისის საერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტთან შესახვედრად. ეს შეხვედრები ტრადიციულ ხასიათს ატარებს და ეს გახლავთ ერთგვარი ანგარიში აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობისა, განსაკუთრებით, კოლხეთის ისტორიის კვლევის კუთხით. წლევანდელი სტუმრობა განსაკუთრებით გამორჩეული იყო დიდი იუბილეს გამო.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა საპატრიარქოში, ესაა ქვეყნის სულიერების გადარჩენის ცოტნეიდელი და აი, დათქმულ დროზე შემოდის ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი, ზეციური ნათელით გაბრწყინებული იუბილარი — სრულიად საქართველოს მწყემსი და მეუფე.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, დიდი იუბილე მიულოცა ერის სულიერ წინამძღოლს და საჩუქრად გადასცა პატრიარქის დიდებული, ოქრო-ვერცხლის ჭედური პორტრეტი (ავტორი საპატრიარქოს ხატმწერი ლაშა კოკაია) და ფაზისის აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ახლად გამოცემული VI ტომი, რომელიც, ძირითადად, ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პატრიარქს მისალოცი ადრესი და საჩუქარი გადასცა ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ხომერიკმა. იუბილარს საკუთარი ლექსი უძღვნა პოეტმა და „ათინათის“ რედაქტორმა გულნაზ ხარაიშვილმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შობა-ახალი წელი მოგვილოცა და აღნიშნა: „ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო“, მაგრამ, მთავარია, როგორ ვიცვლებით, საით მიდის ქართველი კაცი. რწმენამ უნდა მოგვცეს ძალა, რათა ვიაროთ ღვთიური გზით, სიკეთისა და სიყვარულის გზით. სამი უმთავრესი ღირებულება გვაქვს ქართველებს: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ყველა სიმდიდრე რომ შევკრიბოთ, ერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს, არადა, შემოგვეჩვია ბოროტება, მკვლელობები. უნდა გადავეჩვიოთ ასე ყოფას! მართლმადიდებლურმა რწმენამ გადაარჩინა საქართველო. ღვთისა და ერის სიყვარული მიძმე ტვირთია, იგი ჯვარივით მძიმე სატარებელია, მაგრამ, როცა გაგვიჭირდება, ღმერთი წაგვეშველება, ის მუდამ ჩვენთან არის. როცა იგვლივ ამდენი უსამართლობაა და ღმერთს გაურბიან, შედეგიც სავალალოა. სადაც ღმერთია, იქ სიყვარულია, სადაც სიყვარულია, იქ არ არის ბოროტება, შური და სიძულვილი. „ფაზისის“ აკადემია დიდ საქმეს აკეთებს სულიერების ამაღლების, ტრადიციების დამკვიდრებისა და საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის კვლევისათვის, ასე, რომ, იგი მომავლის სამსახურში დგას. მთავარი საზრუნავი საქართველოს გამთლიანებაა. ჩვენ არა გვყავს დასაკარგი შვილები, ყოველი ადამიანი ჩვენთვის ძვირფასია. მე მჯერა, ჩვენ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ადამიანებსაც.“

მისმა უდიდებულესობამ იმასაც გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში, რომ ფაზისელებმა, ერთ-ერთმა პირველმა, მივულოცეთ იუბილე, რისთვისაც მადლობა გადაგვიხადა.

ისევ გაგვიტაცა ფიქრებმა: რა იქნებოდა ქვეყანა რწმენის გარეშე, რა იქნებოდა საქართველო ღვთიური გზის გარეშე. რწმენა იცავდა ხალხს და ხალხი — რწმენას. ჩვენი ტოლერანტობაც ოდითგან ცნობილია, რამეთუ ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს მართლმადიდებელს, კათოლიკეს თუ მუსულმანს და ერთად უნდა ვუპატრონოთ მას. ადამიანების უმთავრესი საზრუნავი სამშობლო უნდა იყოს. ბევრმა დაკარგა ეს განცდა და ცხოვრობს სამშობლოს გარეშე, თუმცა, ყველა ამქვეყნიური სიმდიდრე მისგან მიიღო. ასეთმა მიდგომამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება არჩევნების პერიოდში. საქართველოს სულიერი ლიდერი მუდმივად შეახსენებდა პარტიებს, მოძრაობებს, მთავრობას თუ არასამთავრობოებს, რომ ქვეყანა ერთია, რომ ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ მისი წინსვლის პროგრამების შედგენაში, და არა ერთმანეთისათვის ტალახის სროლაში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფაში. იგი დღესაც რჩება ქვეყნის გადარჩენის გარანტად.

დარბაზს მოეფინა პატრიარქის მიერ შექმნილი დიდებული საგალობელი ქართული ოპერის კორიფეების შესრულებით. ყველას ძალიან გვინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ზეციური ჰანგები, რომელიც, თითქოს, მთელ საქართველოს გადასწვდა ანგელოზთა ფრთებით და მომეჩვენა, რომ ჩვენთან ერთად, მთელი ქვეყანა ფეხზე წამოუდგა და ქუდი მოიხადა მისი დიდი კაცობის წინაშე. ახლაც ჩამესმის ვალმოხდილის ხმა: დავიღალე უფალო, ღმერთო, არ მოუშალო ჩვენს ქვეყანას ღვთისა და ერის სამსახურში დაღლილი კაცები, რამეთუ „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“

დაე, ღვთის რწმენამ გააერთიანოს ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა.

აქ მთავრდება ზ. აბრალავას აზრი და ვაგრძელებ ჩემს მოსაზრებას.

ვისთვის რა არის ბედნიერება, ეს არ ვიცი, ჩემთვის 2013 წლის ორი იანვარი იყო ბედნიერების და სულის უკვდავების რწმენის დღე.

უწმინდესმა დალოცა ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული „ანთოლოგია“ და ჟურნალი „ათინათი“ და გზა დაგვილოცა სიკეთისა და მეცნიერების გზისაკენ.

ლალი კახიძე

უძღები შვილის (ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ძალიან ლამაზი სოფელი – „წალკოტი“ – ყველაფერი ყვაოდა ამ სოფელში, ერთი მარცვალი რომ გადაგეგდო ამ ყმისმიერ მიწაზე, ერთი ათად აღმოცენდებოდა.

ამ სოფელში ცხოვრობდა ლამაზი ოჯახი. მშობლები და სამი შვილი. უფროსი შვილი მაკრინე, ვაჟი სოლომონი და უმცროსი შვილი, თეკლა. დაიზარდნენ შვილები, ბავშვობა გალაღებული ჰქონდათ. გოგოები დათხოვდნენ, ვაჟი დაქორწინდა. მშობლებმა შეძლებისდაგვარად გაამზითვა გოგოები.. ბიჭსაც ცალკე სახლკარი მისცა და გოგოსავით გამზითვა. ყველაზე უფრო დაიჩაგრა უფროსი შვილი, მაკრინე – ის ქმრის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად. მშობლებმა მაკრინეს მზითვი მისცეს, სახლს მიუშენეს ოთახები, გაულამაზეს ცხოვრება, დაწყნარდა დედა, იგი მართლაც და გადამკვდარი იყო შვილებზე.

მაკრინეს სახლში (ქმრის ოჯახში) დახვდა დედამთილი, განათლებული, გალაღებული, ნებიერა დარეჯანი. იმდენი იშრომა დედამთილმა რძლის მოსარჯულებლად, რომ ის აქცია „უძღებ შვილად“ გაბოროტდა, უხასიათო გახდა, დედის უფროსი ქალიშვილი. გამოცხადდა ომი მშობელ დედის მიმართ.

ომი დასრულდა იმით, რომ დედამ დათმო თავის სახლი და გადაულოცა „ურძღებ შვილს“, შვილმა ეს ლამაზი სახლი ჩაკეტა და გაემგზავრა თავის დედამთილ, დარეჯანთან, გახარებული, გალაღებული, თავაწეული ამაყად და ყველაზე მთავარი, ყელს უმშვენებდა წითელ ბაბთაზე ჩამოკიდებული გასაღები – გამარჯვების სიმბოლო.

ლამარა გერგედავა

მოთხრობები

„უთხრა მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: „ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“

(მარ. 14.30. ლუკ. 22.34 იოანე 13.38)

პეტრე იჯდა გარეთ. მივიდა მასთან ერთი მხევალი და უთხრა: „შენც იესო გაგილეველთან იყავი.

მან კი უარყო ყველას წინაშე და თქვა: „არ ვიცი, რას ლაპარაკობ“.

როცა კარიბჭიდან გამოდიოდა, სხვამ, დაინახა და უთხრა იქ მყოფთ: „ესეც იესო ნაზარეველთან იყო“.

მან კვლავ უარყო ფიცით: არ ვიცნობო ამ კაცს.

ცოტა ხნის შემდეგ მიუახლოვდნენ იქ მდგომნი და უთხრეს პეტრეს: „ნამდვილად შენც მათგანი ხარ, ვინაიდან შენივე კილო გამხილებს შენ“.

მაშინ იწყო წყევლა და ფიცილი: არ ვიცნობო ამ კაცს და მყისვე იყივლა მამალმა.

გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი სიტყვა: სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფო. გამოვიდა გარეთ და მწარედ ატირდა. (მათე 27.69-75).

* * *

გუდამაყარში მოსიარულე ცოცხალ მოთხრობებზე ვწერ, იმათი სულის ბინდისფერი ხეობიდან გამომაქვს სიკეთე და მომავლის ნათელში ვფენ

გოდერძი ჩოხელი

მარტოკაცის სამყარო

ქარიშხალი ტოტებს ამტვრევდა ხეებს, უმოწყალოდ ყრიდა აქეთ-იქით, ხან კედლებს ეხლებოდა ბრაზიანი, ხან შარაგზიდან ახვეტილ მტვერს ვინ იცის სად, ვის ჭიშკართან ახვავებდა... ვერ ისვენებდა, გახელებული ვიღაცას თუ რაღაცას ეძებდა და ვერ პოულობდა. ყველა გაურბოდა, შეწუხებული ადამიანები შენობებს აფარებდნენ თავს, მობუზული ფრინველები გაჩუმებულიყვნენ, ბრაზიან, ხმაურიან, მორბენალს მთელი ბუნება აეფორიაქებინა. სადღაც, ოთახებში, ალბათ, ისეთებიც მიყუჟულიყვნენ, გალაკტიონ ტაბიძეს რომ ენათესავებოდნენ სულიერად, მისი სტრიქონები რომ ახსენდებოდათ : „წუხელი, ღამით, ქარი დაჰქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა, მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა...“

კარგა ხნის შფოთიანობის შემდეგ, ქარიშხალმა კიდევ ერთხელ შემოირბინა ყოველი კუთხე-კუნჭული, კიდევ ერთხელ შეაყარა შარაგზის მტვერი ირგვლივ ყოველივეს და ის იყო უნდა დამცხრალიყო, რომ გზაზე კაცი შენიშნა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გაექანა მისკენ, მაგრამ ჩვეული მრისხანებით ვერ შეეჩეხა, სულს ღაფავდა ქარიშხალი, წამებს ითვლიდა. ძალაგამოლეულმა მაინც მიაღწია იქამდე და უკანასკნელი ხმა აღმოხდა გაოცებისა, კაცს ხელში საიდანღაც ქარის მიერ მოტანილი ია ეჭირა და სათუთად დასცქეროდა, თითქოს დედოფლის, ჟოზეფინას, ხელშენავლები ყოფილიყო. სევდიანი და ლამაზი ხარო, ესაუბრებოდა ეფემერას. კაცის გულჩვილობისა ქარს ვერაფერი გაეგო, უკანასკნელად მიმოატარა თვალები ირგვლივ, მის უღონობაში დარწმუნებული ადამიანები, სამალავებიდან, ოთახებიდან გამოდიოდნენ, ფრინველები ფრთებს ისწორებდნენ, ხეები დაკარგულ ტოტებს, მიმოფანტულ ფოთლებს, გლოვობდნენ. იდგა კაცი გზაზე და ქარიშხლის გარდაცვალებას ესწრებოდა. შარაგზა მოფენილიყო ყვავილებით. კაცმა ნაბიჯები გადადგა, სვლა განაგრძო.

— გამარჯობა! – შემოესმა და მანაც მოიხედა. ლუკას არც შეუმჩნევია, როდის წამოეწია თანამგზავრი — სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, არც კი მოგიხედიათ, მე გიო ვარ. შინ მივდივარ, ქარიშხალმა დამქანცა, ძალიან ბობოქრობდა, მეგონა ვეება ხეებს ძირიანად მოთხრიდა, აი, იმ შენობას შევაფარე თავი — გიომ უკან გაიშვირა ხელი.

ლუკამ გაუღიმა. გიო შეკრთა, ლუკას თითქოს ქარიშხლის მიერ საიდანღაც მოტანილი იის სურნელი შეესრუტა, ირგვლივ ეფემერების სურნელი ტრიალებდა, სწორედ იმ პერსონაჟს დამგვანებოდა, გოდერძი ჩოხელის ერთ რომანში რომ ყვავილად იქცა...

მიდიოდნენ... თითქოს ყოველი ნაბიჯის ხმა ჯერ ბეთჰოვენის, მერე მოცარტის, მერე კი ვივალდის ბგერების გარემოცვაში რიტმულად მოისმოდა... ახლა უკვე, ყველაზე უკეთ, ესმოდა კლოდ მონეს სურათის „მზის ამოსვლის“ შინაარსი.

სასიამოვნო შთაბეჭდილების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

საოცარიაო, ფიქრობდა გიო, ზოგიერთ ადამიანთან სიახლოვე შთაბეჭდილებას გიქმნის, რომ ღვთის ხელშენავლები სიწმინდე მოგიახლოვდა, რაღაც ზებუნებრივი შარავანდედი. მასა და შენ შორის არსებული ზღვარი არ უნდა გადალახო, შინაგანი მოწიწების გრძნობა შენს მეორე „მეს“ უკან ახევინებს... ასეთი გრძნობა ყოველთვის არ გვიჩნდება ხოლმე.

— კარგა ხანია გზას ფეხით მოვუყვები, როგორც მითხრეს, დღეს, ტრანსპორტი უკვე არ მოძრაობს, გვიანია.

— დიახ... თქვენ... მგონი, სტუმრად მიბრძანდებით.

— არა.

— მაშ?..

მარტოკაცი ვარ... არც იქ დამიტოვებია არავინ — ხელი სადღაც უკან, შორს გაიშვირა ლუკამ – არც აქეთ მომელიან...

— სტუმარი ღვთისაა, ბატონო ლუკა, აქვე, ახლოს ვცხოვრობ, მეწვიეთ, მეც მარტო ვარ...

ლუკა დათანხმდა.

— ესე იგი, არავინ არ გყავთ, არც არავისთან მიგეჩქარებათ...

— ასეა, - თქვა ლუკამ.

სახლში შევიდნენ.

— კარგი მეზობლები მყავს... გულის დარდს ერთად ვიქარვებთ ხოლმე.. იმათ გაგაცნობ... არ მოიწყენ. – შენობით ლაპარაკზე გადავიდა გიო...

— თქვენ... არავინ არ გყავთ?

— ცოლ-შვილი მყავს, ნათესავთან არიან სტუმრად.

... ისხდნენ და ჩუმად წრუპავდნენ ღვინოს, მეზობლები, გიო, ლუკა... სიმშვიდე იდგა, ეს შეკრება არ ჰგავდა ხმაურიან თავყრილობას შეზარხოშებული მამაკაცებისას...

ლუკამ საბოლოოდ დალოცა ოჯახი, მეზობლები და თქვა:

— ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუნდაც დროებით, ასეთი მშვიდი გარემო და ოჯახი რომ მქონოდა... შორეულმა ნათესავმა ფული მიანდერძა. მიხარია, უთვისტომოსა და არარას მქონეს ახალი ცხოვრება მეწყება... შევიძენ საცხოვრებელ სახლს, მერე მეყოლება ცოლ-შვილი და... არ მერქმევა მარტოკაცი, აი, ისეთი, ქარიშხალსა და გრიგალში რომ ეულად მიემგზავრება გზაზე და არსად არ მიელიან. ადამიანური სითბო, ყურადღება, პირველად თქვენს ჭერქვეშ ვიგრძენი, არ დაგივიწყებთ... შევეცდები ხელი გამოგიწოდოთ, თუკი დაგჭირდებათ.

ლუკა წავიდა. გიომ მასთან ერთად მეზობლებიც გააცილა, მერე სუფრის ალაგებას შეუდგა. სკამები რომ მისწია, იქ, სადაც ლუკა იჯდა, ქვემოთ, საფულე შენიშნა. გიო დაიხარა, გახსნა და, ჰოი, საოცრებავ, ამდენი ფული ერთად არასდროს ენახა. წამით თვალთ დაუბნელდა, გაშეშდა. სტუმარს გიოსთან დარჩენოდა ის, რასაც მარტოკაცის სამყარო უნდა შეეცვალა. თვითონაც, მართალია ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ მაინც მარტოკაცი იყო. მუდმივმა უფულობამ, უკიდურესმა სიღატაკემ ჩამოაშორა ისინი, გიოს სიდედრ-სიმამრთან აფარებდნენ თავს. ეს უკანასკნელნი კი გამუდმებით ბუზღუნებდნენ სიძის უვარგისობასა და მოუქნელობაზე, იმაზე, რომ მას ცხოვრების შნო და ლაზათი არ ჰქონდა და მდგომარეობა მუდამ გაყინული, ერთ წერტილზე გაქვავებული ჩანდა. ამ ფულს შეეძლო გიოს მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ ლუკა რომ დაბრუნებულიყო ? აუცილებლად დაბრუნდებოდა, ალბათ, ფულს მოიძიებდა, მიხვდებოდა,

რომ გიოსთან დარჩა იგი. ნეტავ, არ მოვიდოდესო, ინატრა და თავის ცხოვრებაში პირველად, ხატებს მიაპყრო თვალი. აფორიაქდა, აწრიალდა, უაზროდ აწყდებოდა ნივთებს, სუნთქვა არ ყოფნიდა, თითქოს რაც ჟანგბადი იყო, უკვე წასულებს შეესრუტათ, ვინ იცის, მერამდენედ შეავლო ხელი საფულეს, ხან შიშით, ხან სიბრალულით, ხანაც სიხარულით. ვინ იცის, მერამდენედ შეეხო, უაზროდ, ოთახის თითოეულ ნივთს, რაღაცისა თუ ვიღაცის მოლოდინში, დრო გადიოდა. კარი გამოაღო, ჩამდგარი ქარიშხალი გამოფხიზლებას იწყებდა, ავობდა. ახლა, ალბათ, ავდრისგან შეწუხებული ლუკა ნანობდა, რომ გიოს სახლიდან წასვლა იჩქარა, იქნებ უკან მოუყვება გზას... მაშინ... როგორ მოიქცეს გიო? ახლა მას მრჩეველი სჭირდებოდა, ალბათ, ისევ შინაგანი ხმა, რომელიც გადააწყვეტინებდა როგორ მოქცეულიყო, გაემხილა თუ არა, რომ ფული აქ დარჩა მარტოკაცს, თუ ხელები გაესავსავებინა, ნეტავ, სადა დაკარგეო, მოჩვენებითი სიბრალულის გრძნობით შეეხედა მისთვის. სარკმელს მიუახლოვდა, აფორიაქებული სულის პასუხს, შორს, ბნელ სივრცეში, დაუწყო ძებნა, მაგრამ გარეთ ზეცა გრიალებდა, ელია დაჰქროდა თავისი ეტლით. სარკმელს მოშორდა. უაზროდ გაიარ-გამოიარა ოთახში, ინსტინქტურად „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალა: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს; ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს...“ წიგნი განზე გადადო: „მე ხომ არასდროს არ ვიცნობდი ლუკას, ცხოვრებამ თუ იღბალმა, ის შემთხვევით მოიყვანა ჩემთან... დაე, ის ჩვეულებრივი, ჩავლილი მგზავრი იყოს, ისეთივე, როგორიც უამრავი ჰყოლია ტროლეიბუსებისა და ტრამვაების მძღოლებს... დაე, დაშორდეს ჩვენი ცხოვრების ეტლი ურთიერთს... ხსნის სხვაგვარი გზა, ჩემთვის არ არსებობს... ახლა ღმერთმა თუ სატანამ მოუვლინა მას მარტოკაცი, რომელმაც მეორე მარტოკაცის ბედსა და იღბალზე ზეგავლენა უნდა მოახდინოს...“

საფულეს დახედა, უხილავი, აკრძალული, შეუცნობელი ცვლილება უნდა მოეტანა მას. იქნებ, გიოს უკანასკნელ მომენტში, დაეთმო იგი პატრონისთვის, სიმართლე გაემხილა... მაგრამ... თუკი ფული მას დარჩება, მაშინ, ექნება მყუდრო ბინა, ოჯახი, სიმდიდრე... საკმაოდაა თანხა... იქნებ დაეთვალა.

კარზე კაკუნი გაისმა. გიო შეკრთა, ხელი უშვა ინსტინქტურად ფულს, იატაკზე მიმოიბნა იგი. დაიხარა, ცახცახით დაიწყო შეგროვება. კაკუნი განმეორდა, ახლავეო, შესძახა, სწრაფად აკრიფა, შეინახა : „რატომ მეგონა, რომ არ დაბრუნდებოდა, აკი მოვიდა... აკი დაბრუნდა...“

კარი რომ გააღო, გაოცდა, ლუკა კი არა, თავისი სიდედრ-სიმამრის მეზობელი ბიჭუნა იდგა.

— რა მოხდა?.. ყრუდ აღმოხდა ხმა გულის სიღრმიდან.

— თქვენი შვილი, ნინო, ცუდადაა...

— გამოგგზავნეს?.. — ხმა ჩაუწყდა გიოს.

— არა, თვითონ წამოვედი.. თქვენზე სულ ბრაზობენ, ძია გიო, ვერ ხელმძღვანელობსო ოჯახს.

გიოს სიბრაზისგან აენთო სახე.

— განა უდარდელობით მომდის ყოველივე... რამდენი სჭირდება ჩემს გოგონას ფული? გიოს ხმა ჩაუწყდა, სწორედ ის გამოჩნდა, ვისაც წუთების წინათ ყველაზე მეტად მოელოდა, ვისი გამოჩენისაც ეშინოდა, ლუკა მოემართებოდა მისკენ... ლუკა თუ გოგონა?.. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიიღოს... რასაკვირველია, გოგონა, ეტყვის ამ ახალგაცნობილ კაცს, რომ თვალით არ უნახავს საფულე.

ლუკას დადარდიანებოდა სახე.

— სადღაც დავკარგე, გიო... ყველაფერი დავკარგე...

— მაინც რა? როდის? – ჰკითხა გიომ.

— ჩემი ცხოვრების გეგმა... საფულე დიდი თანხითა და ძვირფასი ბეჭდით.

— ბეჭედიც? – წამოცდა გიოს.

— დიახ, ძვირადღირებული...

— და... აქ იმიტომ დაბრუნდი, რომ...

— იქნებ აქ დამრჩა-მეთქი...

— არა, არა, ღვთის მადლმა, აქ არაფერი მინახავს, სამწუხაროა ყოველივე.

ლუკა ერთხანს მწუხარე და თავდახრილი იდგა, მერე უსიტყვოდ გაუდგა გზას, გიო ვერ ახერხებდა ენუგეშებინა იგი.

მარტოკაცი თვალს რომ მიეფარა, გიო ბიჭუნას მიუბრუნდა:

— წადი, მე მალე მივალ ჩემს გოგონასთან...

ბიჭუნა გაიქცა. გიო შინ შეტრიალდა, საფულე კარგად შეათვალიერა, გადმოატრიალა, მართლაც, ძვირფასი ბეჭედი გადმოვარდა. ულამაზეს ნივთს ხელი კრძალვით შეახო. არა, დაუჯერებელია... ახლა,

ნამდვილად, უმდიდრესი ადამიანია, უკვე წინ ვეღარაფერი დაუდგება, სიკვდილსაც დაამარცხებს. გიოს გოგონა გადაარჩინა მარტოკაცის ფულმა, ბევრი პრობლემა მოაგვარა. მშვენიერი საცხოვრებელი ბინა შეიძინა, ავეჯთან ერთად, ახალმა სამოსმაც დაამშვენა მისი ბინადარნი, დანგრევის პირას მისული ოჯახი გააერთიანა. ახალ მდგომარეობას ისე შეეგუა გიოს ოჯახი, თითქოს უძველესი დროიდანვე, მამაპაპითგან მოსდგამდათ ყოველივე.

რამდენიმეჯერ აყვავდა ნუში, მერამდენედ ამოხეთქეს მიწის გულიდან, ჩაძინებული ფესვებიდან ბალახებმა, მერამდენედ გაუღიმა განებივრებულმა ნინომ გაზაფხულს; მაგრამ, ახლაც, ისევ სენმა დარია ხელი. გიოსთვის, ყველაფერი ის, რაც სიმდიდრით ბრწყინავდა, გაუფასურდა, გაუფერულდა. ცა და ხმელეთი შეძრა წრიალით, ყველგან ნუგეშს ეძებდა, ექიმებში, წამლებში, ნაცნობ-მეგობრებსა და გაფერმკრთალებული მეუღლის თვალებში, მაგრამ ამაოდ. დრო გაურკვევლობაში გადიოდა. ყველა ადამიანის ცხოვრებაში, ალბათ, დგება მომენტი, როცა სივრცე არ ჰყოფნის სუნთქვისათვის, სხეული დაგუბებული ოხვრის თავშეკავებისათვის, მანძილი ბოლთის საცემად. ხეტიალში სკამებს წააწყდა, დაჯდა, არეული მზერა ვერ დაუმშვიდდა, ამოიოხრა, გულიც ამოაყოლა. რამდენიმეჯერ წამოდგა, მერე ისევ დაჯდა. თავი ხელებში ჩარგო.

— ღმერთს უნდა მიმართო, შვილო ჩემო, ის ყოვლისშემძლეა... დაგეხმარება.

გიომ შეხედა. იქვე მოხუცი ქალი ჩამომჯდარიყო და სიბრალულით შესცქეროდა.

— თქვენც იცით?... თქვენც გაიგეთ, რომ ჩემი გოგონა, ნინო, ცუდად მყავს?

— ვიცი, - თქვა ქალმა.

— საიდან?

— მივხვდი.

— მიხვდით?..

— თქვენი ტანჯვის შემხედვარე მივხვდი... დიდ ვარამს შეუპყრიხართ...

— რა მეშველება?!.. – უიმედოდ ამოიოხრა გიომ.

— ღმერთი გიშველის, წმინდანები, ქერუბიმები, სერაფიმები, ლოცვები...

— მე... არასდროს მიმიმართავს მათთვის, მათ არასდროს აღვიქვამდი, როგორც სასწაულებრივს...

ზარების რეკვა მოისმა.

— ეს ზარები... – გაიკვირვა გიომ.

— თქვენ ტაძრის ეზოში ხართ... განგებამ მოგიყვანათ აქამდე, თუმცა...

— რისი თქმა გსურდათ?

— თქვენ, ალბათ, ცოდვილი ხართ...

გიო შეკრთა.

— ქალბატონო, ჩვენ ხომ... არასდროს ვიცნობდით ერთმანეთს, საიდან იცით...

— უნდა მოინანიოთ... ვხვდები, რაღაც ძალიან გაწუხებთ...

გიო კიდევ ერთხელ შეკრთა. რამდენიმე წუთი თავდახრილი იჯდა, მერე გონება მოიკრიბა და გადაწყვიტა მოხუცისთვის ეკითხა რჩევა, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

ახლა გიო ამ ცისქვეშეთში მარტო იყო, საკუთარ თავთან. წამოდგა, ბარბაცით გასწია, სადღაც შორს, მოციმციმე სანთლებისაკენ. არა, სულაც არ ყოფილა შორი, მოეჩვენა. შავანაფორიანი ღვთისმსახურის წინ მუხლებზე დაეშვა, მან წამოაყენა, სკამზე დასვა, თვითონაც მოპირდაპირედ დაჯდა, გაოცებული იყო ღვთისმსახური, გიო კი აფორიაქებული, შეწუხებული, თავდახრილი.

— ცოდვილი ვარ, მამაო... ცოდვილი...

— მე გელოდები, დიდი ხანია, - თქვა შავანაფორიანმა.

— როგორ?.. – გაიოცა გიომ.

— უბრალოდ... აქ თითქმის მოსანანიებლად უფრო მოდიან, ლოცვის მსურველნი ხატებთან დგანან. განგებამ მოგიყვანა...

— ეგ უკვე ერთხელ მითხრეს... გოგონა მყავს ცუდად... ხსნის ერთადერთი გზა ღმერთია, სხვა ყველა საშუალება მოვსინჯე, მაგრამ ამაოდ, მამაო...

— როდის მიხვდი, რომ ცოდვილი იყავი?

— ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ისე არა, რომ ამას ჩემთვის სული შეეშფოთებინოს... ახლა ვგრძნობ... ცუდად მოვიქეცი... გაჭირვებულ, ეულ მარტოკაცს, ჩემთან ფული და ძვირფასი ბეჭედი დარჩა, წლების წინათ. უკან რომ მობრუნდა ლუკა და საფულე მოიძია, ვუთხარი, რომ ჩემთან არ დარჩენია.

— მერე?

— ის წავიდა...

— შენ?

— გავმდიდრდი...

— ლუკა?

— არც მინახავს.

— არც დაინტერესებულხარ გენახა და ისევ მისივე ფულით დახმარების ხელი გაგეწვდინა.

— არა!

— რატომ?..

— მეშინოდა მისი ნახვისა, მთელი ეს პერიოდი ვცდილობდი, თუკი შევხვდებოდი, გავქცეულიყავ მისგან. მომეტევება?..

— ალბათ, ღმერთი დიადია...

გიომ თვალი მიმოავლო ტაძარს. ყველა ფრესკა გამწყრალი თვალით მისჩერებოდა. ღვთისმსახურს ფიქრიანი სახე შეცვლოდა, გაოცებული და ისიც გამწყრალი იმზირებოდა. მომეჩვენაო, გაიფიქრა გიომ. ტაძარი ნელი ნაბიჯებით დატოვა... შინ მისულს გოგონა გამოჯანმრთელებული დახვდა, ყველა ხარობდა, სახლის ყოველ კუთხეში ბედნიერება დაჰქროდა, თეთრი, ფუმფულა ფრთებით.

სულ რამდენიმე დღეში გიომ ისევ მიაკითხა ღვთისმსახურს და ის ძვირადღირებული ბეჭედი დაუდო წინ.

— ვინახავდი სასოებით, რომ გაჭირვების ჟამს გამომდგომოდა, ახლა ტაძარს ვწირავ ნივთს...

— რომელიც შენ არასდროს არ გეკუთვნოდა, - მიუგო ღვთისმსახურმა.

გიო შეკრთა.

— მე ვარ ის... ვინც ფული და ეს ბეჭედი დაკარგა, სამაგიეროდ, ღმერთი ვიპოვე, შენ კი დაკარგე... შენმა შეცდომამ ჩემი ცხოვრება შეცვალა, იმისიც, მოხუცი იობისა, თავიდან ხელი მან გამიმართა — ღვთისმსახურმა გაოცებული, იქვე მდგარი, მოხუცისკენ მიუთითა, მას სანთლები ეჭირა და ხან ხატებს, ხან გიოს შეჰყურებდა.

გიო გაყინულიყო თითქოს. ის ახლა უგრძნობი ქვის იმ ფილის მსგავსი იყო, რომელზედაც ამ წუთას იდგა.

წვიმა

სტუმარი ღვთისააო, — შეუძღვა უცხო კაცს ლაზარე და ცეცხლთან მიიპატიჟა. მორიდებით მიუჯდა ბუხარს სტუმარი. ის არ ჰგავდა წმინდანს, არც საქვეყნო საქმისთვის წამებულ საქმოსანს, არც ქველმოქმედს, უბრალოდ, შემოაღამდა და უკუნეთ ღამეში სიარულს ვინმესთან ღამისთევა ამჯობინა. საქართველოში რა გამოლევს სტუმართმოყვარე ოჯახს. თვითონაც, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ვიღაც გიო, ქარიან ამინდში, წამოეწია გზაზე და შინ მიიყვანა. კარგად ახსოვს, მარტოკაცი ვარო, უთხრა...

ჰოდა, თვითონაც, ლუკაც, კეთილად მიიღო ლაზარემ. სტუმართმოყვარენი ვართ, ქართველები... საკმარისია გონების თვალი გადაავლო, გამოჩენილ ადამიანთა, მოგზაურთა და სხვათა და სხვათა აზრებს, ქართველებსა და საქართველოზე, და თუ მთელი ფრაზები არა, ნაწყვეტები მაინც წამოგიტივტივდება მათი გამონათქვამებიდან.

ერთ-ერთი ცნობილი, გერმანელი მწერალი, ადოლფ ენდლერი, ერთ დროს გულწრფელად მიმართავდა მკითხველს, თუ საქართველო საკადრისად ვერ დაგიხატე, მაშინ ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, შვეიცარია გაიხსენეო, არც კნუტ ჰამსუნი დაივიწყო, რომელმაც მას „თავგადასავალთა ქვეყანა“ უწოდა და თვითონაც ვერ გაარკვიაო, მართლა ნახა თუ დაესიზმრა იგი. ცნობილი ესპანელი მეცნიერი და აკადემიკოსი, გილერმო დიას პლაია, თურმე, ნამდვილ შემოქმედებით ასპარეზს უწოდებდა ქართულ სუფრას, ხოლო საქართველოს კი მრავალფეროვან ქვეყანას. წამიკითხავს, იტალიელი ქართველოლოგის, ლუიჯი

მაგაროტისთვის, თურმე, ძნელი ყოფილა გადაებიჯებინა დარიალის ხეობისთვის და მერე აქაურობა მიეტოვებინა.

მივდივარ და მიმყვებაო ქართველთა სითბო და სტუმართმოყვარეობის ნიჭი, წერდა ფლორიდის უნივერსიტეტის დეკანი, რობერტ ბარილსკი...

— ნელ-ნელა ცრიდა... ალბათ, მალე, შხაპუნა წვიმა წამოვა, მეზობელ სოფელში ვცხოვრობ, შემომაღამდა.

— სტუმარი ღვთისაა, - თქვა ლაზარემ – რა გქვია?

— ლუკა!..

— გაიხადეთ ლაბადა და მოკალათდით ცეცხლთან, როგორც გენებოთ, ღილი აგვარდნიათ... ალბათ, ახლა დაგემართათ?..

— მგონი, თქვენს ჭიშკარს გამოვედე თუ ღობეს, წავბორძიკდი და...

— მეუღლე და შვილი სტუმრად არიან წასულები – მოუბოდიშა ლაზარემ, - მე გაგიმასპინძლდებით, შეძლებისდაგვარად.

როგორ მეორდება, სამყაროში, ზოგჯერ მსგავსი ისტორიები, თვითონაც, გიო რომ ესტუმრა, ოჯახის წევრები შინ არ ჰყავდა.

ლაზარემ ღარიბული საჭმელი დაალაგა, ცოტა არაყიც მოაყოლა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამ ოჯახში – თქვა ლაზარემ და ლუკას არყით სავსე პატარა ჭიქა მიაწოდა.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, - მიუგო ლუკამ.

ლაზარემ გადაჰკრა არაყი.

— რატომღაც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ გიცნობდით, დიდი ხნის წინათ.

— საოცარია, მაგრამ მეც ასე ვფიქრობ, - მიუგო ლუკამ, ლაზარემ თვალი მოჰკრა სტუმარს თითზე თვალამოვარდნილი ბეჭედი ეკეთა.

— მეგობარო, მგონი, ბეჭდის თვალიც დაგიკარგავთ...

სტუმარმა თითზე დაიხედა, გაფითრდა.

— ხვალ მოვძებნით, ალბათ, ესეც იმ ღობისა თუ ჭიშკრის ბრალია...

სტუმარს გონება გაეფანტა, აწრიალდა, მაგრამ მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებას შეეცადა.

— „სამეფო?“ - მზერა გადაიტანა არყის ბოთლზე – კარგი სახელი ჰქვია – თქვა უგულოდ.

— დიახ! — თქვა ლაზარემ – მერე იქვე, წიგნებთან დადებულ ბუკლეტს დაავლო ხელი, ერთ-ერთი ფირმის მიერ გამოშვებულ საინფორმაციო ფურცელს.

— აი, აქ წავიკითხე, ფირმა, რომელიც ამ პროდუქციას უშვებს, 1990 წელს დაარსებულა...

სტუმარმა დაბნეული მზერა შეაგება. მასპინძელი კი განაგრძობდა:

— ჯერჯერობით, ამ ფირმისა, თურმე, მხოლოდ ცხრა სახეობის პროდუქცია გამოდის, მათ შექმნაზე მსოფლიოში ცნობილი ტექნოლოგები მუშაობენ... სხვადასხვა ქვეყნებიდან. მოდით, მშვიდობის სადღეგრძელო დავლიოთ, დაე, საქართველო ერთიანი ყოფილიყოს, მსოფლიოში ჰარმონია დამყარებულიყოს...

მოწყენილი ჩანხარ, მეგობარო... ძვირფასია? – თვალით ანიშნა ბეჭდისკენ – განიცდი?

— არა... არაუშავს, - თქვა დაბნეულმა.

— ხვალ, დილით, ადრე მოვძებნოთ... ჰო, კიდევ, იცი რა წავიკითხე?... საქართველოში არყის წარმოებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს... თურმე, „ოთხთავსა“ და „დაბადების“ ქართულ თარგმანში მოიხსენიება დამათრობელი სასმელი „იყი“, რაც, სულხან-საბას განმარტებით, არაყს ნიშნავს, თანამედროვე ქართულ ენაზე...

— დიდებული სასმელია, ბატონო ლაზარე, თვით მეფეც კი ვერ დაიწუნებდა ამას, ისე საინტერესოა, თავიდან ვინ შეიმუშავა მისი რეცეპტი...

— მენდელეევის მიერ შექმნილი ტექნოლოგიით ყოფილა მიღებული... მისი რეცეპტი კი, რუსეთის იმპერიას დაუპატენტებია 1894 წელს...

— მერე?..

— მერე, მეოცე საუკუნის მიწურულს, თანამედროვე ტექნოლოგიით, რუსეთის იმპერიის დაპატენტებული რეცეპტით, შექმნილა ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია, ინგრედიენტებს,

კავკასიის წყაროს წყლები, და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარე ენდემიკაც, ემატება თურმე...

— რამდენი საინტერესო რამე მოვისმინე, ბევრი რამ არც კი ვიცოდი... ეგეც საკითხავია, რამდენად სანდოა ეს ინფორმაციები.

— ალბათ, სანდოა, მართალი გითხრათ, გადამოწმება არც მიცდია, როგორც წავიკითხე, და მახსოვს, ისე გიამბეთ...

სტუმარი მოუსვენრად იჯდა, წრიალებდა... მერე წამოდგა.

— ბატონო გიო, მართალია, შესანიშნავი რეკლამა იყო, არაყთან დაკავშირებით, მაგრამ ხომ არ გაწყინათ?

— არა, ბეჭდის თვალი... ჩემი სოლიტერი სად დაიკარგა, მენანება...

— სოლიტერი? თქვენ ხომ ბეჭდის თვალი დაკარგეთ.

— დიახ, სოლიტერი... პარაზიტის გარდა, სოლიტერი მსხვილ ბრილიანტსაც ჰქვია, სხვა თვლების გარეშე, ბეჭედსა ან ბროშში ჩასმულს.

— გაიხსენეთ, სად შეიძლებოდა დაგკარგვოდათ... ხვალ დილით ადრე მოვძებნოთ.

სტუმარი ლაბადის ჩამოსახსნელად დაიძრა.

— რას აპირებთ?... – გაუკვირდა ლაზარეს.

— უნდა მოვძებნო!

— ახლა? ამ ღამეში? არ გირჩევთ.

— არა, უნდა მოვნახო, ვერ ვისვენებ...

— ხვალ მეც დაგეხმარებით, კეთილი მეზობლების მთელი არმია მყავს, ხელს შეგვაშველებენ.

— მეზობლები? – გაეცინა გიოს – ვინ იცის, ვის წასძლევს სული და რომც იპოვოს, რომელი გადამალავს.

— ასე ნუ იფიქრებთ, ჩემი მეზობლების ღირსებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც კი არ მიმართავენ უზნეობას.

— როგორ დავიჯერო? – ჩაეცინა ლუკას.

— დამიჯერეთ, მათ სახელის შელახვას ის უფრო ურჩევნიათ, რომ აღსასრულთან იყვნენ ახლოს.

— არა, მე უნდა წავიდე... არ გეგონოთ, რომ ამ შესანიშნავმა „სამეფომ“ დამათრო, ჯერ მხოლოდ ორი მომცრო ჭიქა დავლიეთ... უნდა მოვძებნო...

სტუმარი კარისკენ გაემართა გაოცებულმა ლაზარემ კიდევ ერთხელ სცადა დაერწმუნებინა

— წვიმს, ღამეა, არსად შუქი...

— სანთებელას გამოვიყენებ.

— ჩაგიქრებათ, ალბათ...

— მაინც ვეცდები.

— კეთილი, რა გაეწყობა, რაკი ასე გსურთ...ფხიზლად ვიქნები, იმედი მაქვს მალე მობრუნდებით წვიმა, სიცივე და სიბნელე მოგაბრუნებთ.

სტუმარმა გაიხურა კარი და სიბნელეს შეერია. არა, გათენებას ვერ დაელოდებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელის ცეცებითაც რომ ყოფილიყო, უნდა ეძებნა დაუსრულებლივ. ნეტავ გადაიღებდესო, ვედრებით ახედა ზეცას, მაგრამ წვიმამ იმატა. გაჰკრა სანთებელას, ჩაუქრა. წვიმის წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა თმებიდან, ლაბადის სახელოების ბოლოებიდან. ჩამუხლულმა მაინც განაგრძო ძებნა, ხელის ცეცებით, ცდილობდა ინტუიციით, ქვებისგან გამოერჩია ძვირფასი ნივთი, სადღაც აქ, ახლოს, წაბორძიკდა, მასპინძლისთვის არც გაუმხელია, დაეცა და მაშინ დაკარგა, ალბათ... დაახლოებით იცის, სად შეიძლება ეძიოს...

სატვირთო მანქანამ ჩამოიარა, მძღოლმა შეამჩნია, თავსხმა წვიმაში, უცნაურად ჩამუხლული კაცი და შეაჩერა.

— მეგობარო!... – შესძახა ლუკას, წამოდი, სახლამდე მიგიყვან...

— არა, გმადლობთ, რაღაც დავკარგე და ვეძებ. მანქანამ გზა განაგრძო, მაგრამ მძღოლმა ინანა, რატომ დავტოვე, იქნებ მანქანის ფარების შუქზე დაკარგული ეპოვნაო და ისევ მობრუნდა. ლუკას წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა მის გვერდით.

— ვინანე, რომ ამ თავსხმაში დაგტოვე...

— აი, ახლაც კი, მართლა წამოგყვებოდით, ჩემს სახლამდე, - უთხრა ლუკამ და მანქანის კარი მიიხურა, მოკალათდა...

— ძალიან განვიცადე, რომ დავკარგე...

— მესმის თქვენი, დიდი ხნის წინათ, მეც ერთ ოჯახს ვესტუმრე, მერე სადღაც, არ ვიცი გზაზე, არ ვიცი იქვე, ძვირფასი ბეჭედი და ფული დავკარგე, მეც განვიცადე...

ლუკა შეკრთა.

— მერე, მთელ იმედებს რომ მასზე ვამყარებდი, არაფერი გამომივიდა, ვინ იცის, რა დაბრკოლება არ გადავლახე არსებობისთვის... ახლა ეს სატვირთო მანქანაა ჩემი თანამგზავრი, მერე... ცხოვრება მიკარნახებს... ისე, ვერ იპოვნეთ?..

— რა?.. უაზროდ მიუგო ლუკამ.

— რასაც ეძებდით, რაც დაკარგეთ, ვერ იპოვნეთ?

— ვერა!.. – თქვა მოღუშულმა ლუკამ.

— რა გქვია?..

— მე ლექსო მქვია, - იცრუა ლუკამ. ახლა ის ძალიან ჰგავდა, ალბათ, ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, სიცრუის საკითხში, ნუნუა მქვიაო, რომ უთხრა ჯოყოლას.

არ მიპოვიაო, ამის თქმით კი ქრისტეს უარმყოფელს მიამსგავსა საკუთარი თავი...

მერე მძღოლი თავის თანამგზავრს არ შეხმიანებია, ისხდნენ ორივენი საკუთარ ფიქრებში გართულნი, წვიმდა და მანქანის მინებს, ალბათ, უკანასკნელი მტვრის ნაწილაკებიც ეცლებოდა.

ნეტავ, პოეტები „ქაღალდზე მეოცნებენი“ არიან, თუ მართლა შეუძლიათ მსხვერპლად შეეწირონ ქვეყნიერებას, ისე, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო...“

განა ყველას შეუძლია ერთი იაპონური ჰაიკუს მსგავსად გვითხრას:

„ანკარა წყარო.

უზალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე...

მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩაჰბნევია...“

ამბობენ, ამ სამსტრიქონიან, იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშში, უმარტივეს თემაზეაო საუბარი... ნუთუ?... სხვისა რა გითხრათ, მაგრამ მე ძალიან მოკლედ ასე ვიტყოდი: ვიღაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს... სიმბოლურად თუ გავიაზრებთ და ვრცლად თუ ვისაუბრებთ... თუმცა, არა ეს საკითხი ლიტერატურათმცოდნეებს მივანდოთ, ჩვენ კი... თვალი გავადევნოთ ლუკას, რომელიც უკვე თავის სახლს მიახლოებია, მძღოლს უხერხულად უხდის მადლობას და ასევე უხერხულად მიუყვება გზას შინისაკენ...

* * *

ყოველი კაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განვსაჯოთ.

სერვანტესი

თავშესაფარი

პატარა, სულისშემხუთველი ოთახი მიუჩინეს, შვილებისა და ახლობლებისგან უარყოფილი მოხუცების თავშესაფარში. აქ, რასაკვირველია, არავინ იცოდა, რომ მას ერთ დროს საამისო არაფერი სჭირდა... ძვირფასი სამკაული და ფული ახლობელს, გიოს გადასცა, რომ მისთვისაც ხელი გაემართა და თვითონაც, სიბერეში, უზრუნველი ყოფილიყო, მაგრამ ერთ დღეს, საოცრად შეწუხებული გიო გამოეცხადა, ქუჩაში, ღვთის ანაბარა დარჩენილს და უთხრა, რომ ყველაფერი დაკარგა. გამომშვიდობებისას რამდენიმე წინადადება წაილუღლუღა, ვეცდები რაც დავკარგე, მოვძებნო, ან, თუნდაც, მძიმე შრომის შედეგადაც კი, რაღაც შევაკოწიწო და თან წაგიყვანოო. უსახლკაროდა და უმისამართოდ დარჩენილი იობი თავშესაფარს მიადგა. გიო სადღაც დაეკარგა, დიდი ხნით...

სახლის ბინადარნი აფუსფუსდნენ, შეწუხდნენ, აფორიაქდნენ, წარბშეჭმუხვნილნი დადიოდნენ, ადგილი ჩვენ არ გვყოფნიდა და ახლა ესეც დაგვემატაო. პირისპირ შეხვედრისას კეთილად მოიკითხავდნენ, უღიმოდნენ. იობი ყველაფერს ხვდებოდა, მიუხედავად ამისა, ის ჩვეულებრივი ბინადარი იყო, ცხოვრობდა, ათენ-აღამებდა და ყველაფერს ისე ეგუებოდა, როგორც სხვები, ბრძნული აზრებით ხშირად მოწონებასაც იმსახურებდა გარშემომყოფთაგან, ოღონდ... ეგაა, რომ ყოველ საუბარს ერთი აკვიატებული ფრაზით დაასრულებდა ხოლმე, აქედან მალე წავალ, ჰარმონიულ საზოგადოებას ვეძებ, მისი შესაფერისი, სათანადო ფორმულაც კი გამოვიგონე და თავის დროზე მთელ ქვეყანას უნდა გავაცნოო.

გულიანად იცინოდნენ მოხუცები, მთელი სახლი მხიარულობდა.

— სანამ ჰარმონიული საზოგადოება გაახსენდებოდეს, მანამ მისი მოსმენა, მართლაც, სასიამოვნოაო, ერთხმად აღიარებდნენ ბინადარნი.

ხან იობს ჰგავდა, ხან ახალი დროის დონ კიხოტს, ხან, უბრალოდ, მიუსაფარ მოხუცს. არაფერს ყვებოდა ახლობლებზე, არ ასახელებდა მისამართს, სადაც ადრე ცხოვრობდა, მხოლოდ ერთხელ, სახლის ხელმძღვანელთან, სხვების თანდასწრებით, წამოცდა, რომ ის ნათესავს მიენდო, თავისი საარსებო წყარო მას გადასცა, რათა ორივე მხარეს უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ ყველაფერი დაიკარგა...

ყოველივე ზღაპარს ჰგავდა, ვერავინ ირწმუნა, სიმართლესთან ვერავინ ვერ გააიგივა რაც მოისმინა, ის კი არა, ჩუმჩუმად, ზურგსუკან დასცინეს კიდევაც, ისევე ოსტატურად მოირგო ერთდროს მდიდარი და ახლა დაჩაგრული ადამიანის როლი, როგორც ჰარმონიული საზოგადოების მაძიებლისაო... იობს ჰგავსო თქვეს და იმ დღიდან, ამ სახელით მიმართავდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ამისთვისაც არ მიუქცევია.

იობის მთელ ავლადიდებას ორი ნახატი და ერთი წიგნი წარმოადგენდა. ერთ-ერთზე სიქსტის მადონა იყო გამოსახული, მეორეზე — ლაოკოონი, წიგნი კი ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელო გახლდათ. იჯდა თავის უსახურ ოთახში და ჰარმონიული საზოგადოების მოძებნაზე ოცნებობდა. ისე, ეს ოცნება ძალიან ჰგავდა მარადიულს, სამყაროში მუდმივად მოარულს, თითქოს სხვადასხვა ეპოქის ადამიანები ანდერძად უტოვებდნენ ერთმანეთს, უფრო სწორად, ეს ერთეულების ტვირთი გახლდათ, მძიმე ჯვარი, რომელიც მომდევნო ადამიანამდე უნდა მიეტანათ, მანამდე კი ეტარებინათ მსუბუქი, უხილავი, მაგრამ მაინც, ამასთანავე მძიმეც.

„მშვენიერების მაძიებელი ბედუინები“ - ეს ერთ-ერთი თავია მკვლევარ ლუარა სორდიას იმ წიგნიდან, რომელშიც მეცნიერი ტერენტი გრანელისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ნათესაობის საკითხებს იკვლევს... ამონარიდები ამ ნაშრომიდან მკითხველს ხიდს ადებინებს წარმოსახვითი, სულიერი და ნამდვილი მოგზაურობის საოცნებო კუნძულებისკენ: „...ბოდლერის მიპატიჟება სამოგზაუროდ“ იდუმალი სამყაროს შესაცნობად გამიზნული სვლაა სულის უხილავ ლაბირინთებში.

„გალაკტიონის ბედისწერაა „უგზო ხეტიალი“, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვასა და ოცნებებში: „გული კი ზღვაა და მეზღვაური“.

„ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ“, ამბობდა გალაკტიონი...

„მოგზაურმა“, „ბედის ხომალდს“ ვიდრე მოიხელთებდეს, ბაწარზე გავლის საფრთხეს უნდა გაუძლოს: „დაარტყამს ქარი და მოგზაური ბაწარზე წავა, როგორც ობობა“.

„ანტიკურ ეპოქაში, შუასაუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად“.

„გალაკტიონი იყო „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, ტერენტი გრანელი კი - „მოღლილი მგზავრი“.

და... ისევ იობი... რომელიც მოგზაურობაზე ოცნებობს. ნუთუ მისი სურვილი ჰარმონიული საზოგადოების ძიებისა „სულის უხილავ ლაბირინთებში“ დარჩება. პოეზიის მსგავსად, ფანტაზიის მერანზე ხომ არ ამხედრდა, ან იქნებ ანტიკური ეპოქიდან მოდის ეგ „მოღლილი მგზავრი“ იაზონი, ოდისევსი, დონ კიხოტი, თუ “მშვენიერების მაძიებელი ბედუინია“ იგი. იქნებ „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანია“.

ოცნება ოცნებაა, მაგრამ, მოხუცთა თავშესაფარი თავისი ცხოვრებით არსებობს. დილა საერთო სასადილოში შეკრებით იწყება:

— აქ ხომ მე ვიჯექი, - უბრაზდება ფაშფაშა ქალი მეორეს, ფარფლებიანი ქუდი რომ ხურავს.

— ადგილი იმისია, ვინც ადრე დაიკავებს — მას მკაცრად პასუხობს ფარფლებიანი.

— ადექი!

— არა, არავითარ შემთხვევაში, ეს უსამართლობაა – ჯიუტობს ფარფლებიანი.

— იქნებ, რომელიმემ დათმოთ, — მოწყენილი შეჰყურებს იობი ორივეს.

— ესეც ვინ გამოტყვრა, ყველაზე ბოლოს მოსული ახალბედა – ესვრის რეპლიკას იობს სხვა მაგიდიდან ქალი, ყელზე დიდი ბაფთით.

იობს სურს პასუხი გასცეს, მაგრამ მის ყურადღებას ახლა მოპირდაპირე მხრიდან ამტყდარი წიოკობა იქცევს.

— სკამი რატომ შემიცვალე, ეს ჩემი არ არის, — დაწინწკლულკაბიანი ქალი თავზე დასდგომია თავშესაფრის ყველაზე გამხდარ ბინადარს, მონჯღრეულფეხიანი სკამისკენ უთითებს და დიდი მონდომებით დასჩხავის თავზე.

— არ შემიცვლია! – ჯიუტობს გამხდარი და ადგილიდან ფეხს არ იცვლის. დაწინწკლულკაბიანმა ჩაავლო ხელი გამხდარს და მოისროლა, სასწაულებრივად გადაარჩინა დაცემას ქალი, სამაგიეროდ იობის მაგიდას გაჰკრა ხელი და გადააყირავა.

— თავი შეიკავეთ, ერთმანეთს უნდა გაუგოთ, — წუხს იობი, გამხდარს თავისი მაგიდისკენ მიაცილებს, დაწინწკლულკაბიანი დაუფლებია ნადავლს, დამარცხებული სხვა სკამს იკავებს და ჩუმად ემუქრება „მტერს“.

იობის გვერდით ყავისფერპიჯაკიანი კაცი მოკალათდა, გაზეთით ხელში.

— ნამდვილი საგიჟეთია, ბატონო ჩემო, ნუთუ ხშირად ხდება აქ ამგვარი რამეები? – ეკითხება მას.

— დავანებოთ თავი იმას, რაც ჩვენ არ გვეხება, ნუ ჩაერევით – ურჩია ყავისფერპიჯაკიანმა.

უკან მოიხედა. ჩამოფხატულქუდიანი კაცი ორ მამაკაცთან, ყვითელ და წითელმაისურიანთან, მოკალათებულა.

— ვინ არის? – გადაულაპარაკეს ერთმანეთს და იობი შეათვალიერეს.

— ახალია! – თქვა ერთმა.

— ყოველთვის მოღუშულია, ეტყობა პრობლემები აქვს, - თქვა მეორემ.

— ჩვენკენ ხშირად იხედება, ალბათ, მოსაუბრეს ეძებს, - დამცინავად წარმოთქვა ჩამოფხატულქუდიანმა.

— თავი დაგვანებოს, ჩვენი გასაჭირი გვყოფნის, - უპასუხა ყვითელმაისურიანმა.

— მაგასაც რა მოუსმენს, აქ ხომ ყველას თავისი დარდი აქვს – პირი მიიბრუნა წითელმაისურიანმა.

იობმა მოსაუბრეებთან მიაჩოჩა სკამი.

— ძალიან მოწყენილად ვგრძნობ თავს... აქ, ალბათ, ყველა ასეა... გავეცნოთ ერთმანეთს – თქვა და ხელი გაუშვირა წითელმაისურიანს, მაგრამ მისი სურვილი ჰაერს შერჩა. ყვითელმაისურიანი უხერხულად შეიშმუშნა, უხალისოდ მიესალმა, მერე თითქოს იქ არც არსებულიყო, კაცებმა ურთიერთშორის დაიწყეს საუბარი. იობი რამდენიმე წუთი მოთმინებით უცდიდა როდის „შეამჩნევდნენ“, ვერც დაეტოვებინა იქაურობა, სკამზე უხერხულად აწრიალდა, წამოდგა.

— ვერ ვიტან გულგრილობას, უსამართლობებს... – წარმოთქვა თავისთვის.

ყავისფერპიჯაკიანმა გაზეთი გაშალა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ყველაფერი აინტერესებდა, რაც იქ ეწერა.

— ღვთის კანონებს ეწინააღმდეგება ადამიანთა ქცევები – დაამატა იობმა.

არავინ მოუსმინა. მიიხედ-მოიხედა, საუზმე ჯერ არ მოეტანათ. დარბაზი გაბუტულ ადამიანთა საკრებულოს მიამსგავსა.

— უკაცრავად! – მიმართა ყავისფერპიჯაკიანს – აქ ყოველთვის ასე გაუცხოებულნი სხედან?

ყავისფერპიჯაკიანმა მოთმინება დაკარგა.

— აქ არავის აინტერესებს თქვენი გულჩვილობა, თუ ღმერთი გწამთ, მოისვენეთ.. მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, ვერ ხედავთ ყველა თავის ნაჭუჭში ზის... თქვენ კი... თქვენ არამარტო ამ სახლისთვის ხართ ახალი, არამედ მგონი, ამ საუკუნისთვისაც...

იობი გაოცდა, გაშეშდა. ყავისფერპიჯაკიანმა მოუბოდიშა გაცხარების გამო.

— მოდით შევცვალოთ სიტუაცია, დავმეგობრდეთ, აქ საშინელებაა ასე ცხოვრება... – თქვა იობმა, მაგრამ მასთან მოსაუბრე ისევ გააცხარა ამით.

— სცადეთ, დაამეგობრეთ ადამიანები ერთმანეთთან, სულ მალე თქვენ თვითონ აიღებთ ხელს თქვენსავე განზრახვაზე.

საუზმეც მოიტანეს.

თავშესაფრის ბინადარნი სათითაოდ იღებდნენ თავიანთ ულუფას და მოღუშულებს მიჰქონდათ მაგიდებთან.

— მეგობრებო! – თქვა იობმა. ყველამ მისკენ მოიხედა – მე ამ სახლის ახალი ბინადარი ვარ, ძალიან მსურს თქვენთან ვიმეგობრო... იმედია, მიმიღებთ...

— მიღებული არა ხარ? – დაცინვით გამოსძახა ყვითელმაისურიანმა. ყველამ გაიცინა.

— ახალს რას გვთავაზობ? – ახლა წითელმაისურიანმა გამოსძახა.

— მეგობრობას – დაიბნა იობი.

— ხომ ვერ გვეტყვი მეგობარო, რა არის მეგობრობა? – აწკიპა წარბები ქალმა, რომელსაც ყელზე დიდი ბაფთა მიემაგრებინა.

— მეგობრობა თანაგრძნობა და ურთიერთგაგებაა, კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმა. ჩვენი ქცევები წრფელი განცდებით უნდა იყოს გაპირობებული, მოკრძალება გვმართებს ერთმანეთის მიმართ...

— გამოჩნდა ახალი ფილოსოფოსი – თქვა ფაშფაშამ და დიდი ლუკმა ჩაყლაპა — ეგ სიტყვები, ალბათ, რომელიღაც სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოიკითხა...

ფარფლებიანქუდიანმა ქალმა ნაზად გადაიკისკისა, სწორედ ისე, ზოგიერთმა რომ იცის თავისი ასაკის დასაფარავად.

— ესე იგი, მეგობრობას გვთავაზობ? ისე, ჰარმონიული საზოგადოების საძებნელად, ჩვენ, ყველანი, სიამოვნებით აგედევნებოდით, ბატონო!

ახლა უკვე ყველა ჩაბჟირებული იჯდა სიცილისგან, იობი არ იცინოდა, არც ყავისფერპიჯაკიანი.

მოღუშული ადამიანები გამხიარულდნენ, დათითოკაცებულნი, დაცალკევებულნი, თითქოს, ერთბაშად შერიგდნენ, გაერთიანდნენ.

ხმამაღლა წარმოთქმულ წინადადებებს, იობი გულში აგრძელებდა, მეგობრობა რა მარტო ორ კეთილს, არამედ ორ ბოროტსაც აერთიანებს... ერთიანობა ორგვარია: ღვთის მოყვარულთა და მოძულეთა... თურმე, ყველაზე დიადი მიზნებიც კი შეიძლება ჩაწიხლონ, არად ჩააგდონ, შეიძლება გენიალურ აზრებზე ააღებინონ ხელი ბრძენკაცს, საკუთარი თავის რწმენა დაუკარგონ...

იობმა სწრაფად დატოვა იქაურობა და თავისი პატარა ოთახისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯებით. ყველაფერი ამაოა. ტყუილად გაისარჯა, არათუ ჰარმონიულ საზოგადოებას, არამედ დედამიწაზე, ალბათ, ერთ პატარა ჯგუფსაც ვერ იპოვი ურთიერთშეთანხმებულს, ჰუმანურს. ერთხელაც ხუნ ძიჩენის გამონათქვამი, როცა კითხულობდა, დაუჯერებლად მიიჩნია, ნეხვის მატლები სიბინძურეში ღაფავენო სულს, მაგრამ ჭრიჭინობელებად ქცეულნი, შემოდგომის ქარში ცვარს სვამენო... ფუღურო ხომ არ ანათებს, მაგრამ ციცინათელად გარდასახული შემოდგომის მთვარეზე იწვის და... არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რომ სუფთა ყოველთვის ჭუჭყიდან გამოდის, ნათელი ყოველთვის წყვდიადში იშვისო... ესე იგი, არ შეიძლება იობმა უარყოს, დატოვოს ეს საცოდავი საზოგადოება... აქ ყველაფერი დინების საწინააღმდეგოდაა, მაგრამ ისევ ხუნ ძიჩენის აზრები ახსენდება, ცხოვრება ჩვენი სურვილების საწინააღმდეგოდ მიიმართება, ჩვენ ირგვლივ განფენილი სამყარო სამკურნალო ნემსებსა და შინაურ წამლებს ემსგავსება – ის შეუმჩნევლად გვკურნავს. როცა წინააღმდეგობას ვაწყდებით, ჩვენი გარემომცველი სამყარო ჰგავს მოპირულ ცულსა და ბასრ ლახვარს, - ის თანდათან გვჭრის და გვკლავსო... უნდა დაბრუნდეს ისევ იმ ადამიანებთან, რომლებიც, ალბათ, ჯერ კიდევ მასზე იცინიან, თან მადიანადაც ილუკმებიან...

სასადილო ოთახში მისმა ხელახალმა, მოულოდნელმა გამოჩენამ ყველა დააფრთხო, სიჩუმემ დაისადგურა. იობი ყავისფერპიჯაკიანის გვერდით მოთავსდა და თავის რამდენიმე წუთის წინათ დატოვებულ საუზმეს შეექცა, არაფერი შეიმჩნია, არც ის როგორ გაეყინათ ღიმილი სახეებზე დამხვდურებს და არც ის, თუ როგორ გაისუსა ყველა... თითქოს არაფერი მომხდარიყოს... ვიღაცამ გამოაცხადა, ერთ საათში ლექცია დაიწყება და დაესწარითო.

დათქმულ დროს, საკონფერენციო დარბაზად წოდებულ ოთახში შეიკრიბნენ თავშესაფარი სახლის ბინადრები. როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ასეთ შეხვედრებზე ყველა არ მოდის სურვილით, ისინი მოჰყავთ როგორც სავალდებულო შეხვედრის მონაწილე.

დარბაზში ორ ქალბატონს ვიღაც მამაკაცი შემოუძღვა, ბატონი ლუკა, როგორც მას მიმართავდნენ თანმხლები პირები, საქმიანი იერით დააბიჯებდა, რაღაც განკარგულებებს იძლეოდა. მერე შეკრებილთ მიმართა: დღეს, ქალბატონები, თქვენთან, საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის სტრატეგიების შემუშავებაზე ისაუბრებენო.

- ასეთ საკითხებზე ჩვენი სახლის ახალი ბინადარი მუშაობსო – შეაწყვეტინა – ჩამოფხატულქუდიანმა მწვრთნელს და ხელი იობისკენ გაიშვირა.

სტუმრების გარდა, ყველამ გაიცინა. იობი შეიშმუშნა. როცა დამშვიდდნენ, ლუკამ სცადა აეხსნა დარბაზისთვის, აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ შეძლებისამებრ, ცხოვრების ყველა სფეროს შევხებოდით თეორიულად და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე რაღაც ახალი მეთოდები დაგვენერგაო.

ყავისფერპიჯაკიანი ფეხზე წამოდგა:

— არ მაინტერესებს... თუ შეიძლება დაგტოვებთ, თქვენ ცდილობთ სამყაროსავით მარადიული, უცვლელი პრობლემების შეცვლას... ჩვენთან, სხვა მარადისობაში სამოგზაუროდ მომზადებულ ადამიანებთან, ალბათ, ეგ მეტისმეტია...

— მართალია, მართალი, — წამოიძახა რამდენიმემ და წამოიშალნენ – ჩვენ მოხუცები ვართ, თქვენი ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ ახალგაზრდები მოესწრებიან...

— მთელი ცხოვრება უსამართლობას ვებრძოდი ჩემ ირგვლივ, ბოლოს, სახსოვრად პესიმიზმი მივიღე, ახლა კი, სიცოცხლის დარჩენილი დრო, რომელიც შეიძლება, ალბათ, ერთი დღითაც განისაზღვრებოდეს, რას მივაღწევ? – ბუტბუტით მიემართებოდა გასასვლელისკენ ყველაზე გამხდარი ქალი.

— სად მიდიხარ?.. – გაიოცა ერთ-ერთმა სტუმარმა ქალბატონმა.

— რომ დავრჩეთ, რას გვთავაზობ ახალს? – ჰკითხა ყვითელმაისურიანმა ირონიულად.

— დახმარებას... ფსიქიკური და ემოციური პრობლემების მოგვარებას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას, განვითარების პროგრამებს, გარემოსთან შეჩვევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას...

რამდენიმე წუთის წინათ, შეხმატკბილებულებივით შეკრებილები, ახლა ელდანაცემივით მიემართებოდნენ გასასვლელისაკენ...

— შეჩერდით! – მკაცრი შეძახილი მოისმა და წამით ყველა მოტრიალდა ხმის პატრონისკენ. ეს იობი იყო.

— ისევ ეს!.. – ჩაიღრინა ვიღაცამ და გზა განაგრძო.

— შეჩერდით, ნუ გახვალთ, მეგობრებო! – განაგრძო იობმა – ყველაფერი, რაც უნდა მოვისმინოთ, საინტერესო და საჭიროა, გამოცდილი, კეთილი მოხუცები ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის ხიდს წარმოადგენენ წარსულიდან მომავლისაკენ.. ღვთისთვის კი ისინი სასურველი კრავები არიან... რამდენიმე წუთით დაიკავეთ ადგილები...

რამდენიმე ბინადარი შეყოვნდა, ზოგიერთებიც ფეხს ითრევდნენ.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ!... – იობის ხმაში სიმკაცრე და თხოვნა ურთიერთში არეულიყო. თავშესაფრის ბინადრები ყოყმანით, უსიამო სახეებით, ინსტინქტურად მობრუნდნენ უკან...

სტუმრები, ორი ქალბატონი და მამაკაცი, გაოცებულნი შეჰყურებდნენ ყოველივეს. იობმა დაიყოლია თავშესაფრის ბინადრები, თითო-ოროლა ადამიანის მეტი ყველა უკან მიაბრუნა, ადგილები დაიკავეს. იობი სადღაც გაქრა, მაგრამ მალევე გამოჩნდა თავისი ავლადიდებით. ხელთ ლაოკოონისა და სიქსტის მადონას გამოსახულებები ეპყრა ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად, მერე ლექციის ჩატარების მსურველთ მიუბრუნდა.

— იცით, რატომ გარბოდნენ ეს ადამიანები? ყველამ იგრძნო, რომ თქვენი საუბრები ზოგად თემებზე იქნებოდა, თქვენ არ ცდილობდით ინდივიდთა ცხოვრებას გაცნობოდით... თქვენ ისაუბრებდით, ჩვენ მორჩილად მოგისმენდით, ყველაზე კარგი ვარიანტი, თქვენთვის ეგ იქნებოდა, მერე თქვენს გზაზე წაბრძანდებოდით და არასდროს არაფერი გეცოდინებოდათ ჩვენს სატკივარზე, ფიქრებზე, სურვილებზე... შეხედეთ ლაოკოონს, ხომ გაგონებთ ეს ქვეწარმავლები ცხოვრებისეულ პრობლემებს, უთანასწორებებს, ჩაგვრას, ძალადობას, სიცივეს... ამ თავშესაფარში, თქვენ ბინადრები, რამ მოგიყვანათ, განა პრობლემებმა არა? სიქსტის მადონა რომ ღრუბლებიდან ეშვება და კაცობრიობის მხსნელი მოჰყავს, განა მას ისე არ აღიქვამთ როგორც ხელოვნების ნიმუშს, აღიარეთ, რომ გრძნობთ უფლის სიახლოვეს...

მსგავსი აღნაგობის ატომთა ელექტრონული შრეები მეორდებიანო, ამ ქიმიის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე, საზოგადოებაშიც განა ასე არ მეორდება პერიოდულად ყველაფერი? წარსულის შეცვლა განა ვინმეს შეუძლია, მაგრამ ნუთუ მომავალიც მას უნდა ჰგავდეს?

სტუმრები, რომელთაც ლექცია უნდა წაეკითხათ, მოთმინებით ელოდნენ, როდის შეწყვეტდა იობი საუბარს, რომ თავიანთ საქმე შესდგომოდნენ, მაგრამ ის აგრძელებდა:

— ადამიანებო, სტუმრებო და მასპინძლებო, ყოველი ადამიანის ცხოვრება პატარა მოთხრობას ჰგავს... თქვენ, ყველანი, წუთისოფლის შეთხზული ჩანახატები, მოთხრობები ნოველები და მინიატურები ხართ, არ გინდათ ვინმემ წაიკითხოს ისინი ?..

— ჩვენ ხომ... – თავი შეახსენა სტუმარმა ქალბატონმა იობსა და შეკრებილებს...

— მოვუსმინოთ, იობს მოვუსმინოთ!.. – წამოიძახეს თავშესაფრის ბინადრებმა – ახლა არავის ეღიმებოდა მის სიტყვებზე, სადღაც გაქრა ირონია, სამაგიეროდ სტუმრები გრძნობდნენ თავს იგნორირებულად, მაგრამ ჯერ კიდევ ითმენდნენ, იმ იმედით, რომ მათი ჯერიც დადგებოდა.

იობი საუბრობდა, მისი წინადადებები, გამოთქმული აზრები, მსმენელებს ზოგჯერ გადაპრანჭული, მანერული, ვიღაცის მიერ, უკვე გამოთქმულის მსგავსი ეჩვენებოდათ, მაგრამ მაინც იზიდავდა თითოეულს, რაღაც მოსწონდა და უსმენდა...

— ცხოვრებას ხშირად ზღვას ადარებენ, - საუბრის ეშხში შევიდა იობი – მე კი მგონია, რომ ის გენიოსი შემოქმედია, თხზავს ადამიანთა პატარ-პატარა ისტორიებს, ის ხან პანდორას ყუთით გვევლინება, ხან ფორტუნას ბორბლით, მის მიერ შეთხზულ თუნდაც, გენიალურ ისტორიებსაც კი, ყველა არ კითხულობს... წარსულს ბარდება ზოგიერთი წაუკითხავი ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – პოეზია, ადამიანი – რომანი, ადამიანი – ჩანახატი, ზოგიერთი კი ეპოქების სამაგიდო წიგნებად ქცეულა...

ყურადღებით უსმენდნენ იობს, მხოლოდ ერთხელ, ისიც მორიდებით, ჩაეღიმა ზოგიერთს, იმიტომ, რომ აკვიატებული ფრაზა ისევ წამოცდა მოსაუბრეს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ჰარმონიული ქვეყნის, ანუ ადამიანთა უნივერსალური, ზნეობრივად ამაღლებული ურთიერთობების სადღაც არსებობაში, იქნებ ეს ჩვენს ყოველდღიურობაში იყოსო საპოვნი... ხუნ ძიჩენიც კი, რომლის აფორიზმები მხოლოდ სიმპათიას იწვევენ მკითხველებში, ასეთ ქვეყანას გონებასთან დიალოგით ეძებდაო. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მიმომხილველის თქმით, ხუნ ძიჩენის აფორიზმები ადამიანთა ურთიერთობის ღრმად ზნეობრივ ხელოვნებას გვასწავლიან და სამყაროსთან ჩვენი უეჭველი სისხლხორცეული კავშირის გრძნობას გვინერგავენ. ხუნ ძიჩენის შემოქმედება ოპტიმიზმითა�ა გამსჭვალული, ის ადამიანის სრულქმნის, თვითსრულყოფის უნარს ემყარება, ურთიერთობის ხელოვნება კი გამოიხატება ყველაფრის, რაც კი არსებობს ადამიანის ცხოვრებაში, მათ შორის სათნოებისა და გონების, შეზღუდულობის ჩვენებაშიო. მიმომხილველი აგრძელებს, მის გამონათქვამთა გმირი ბრძენკაცს განასახიერებს, როგორც სარკის, ტრადიციულ, ჩინურ იდეალს, რომლის წყალობითაც, ყველა შეიცნობს თავის თავს და ხდება ისეთი, როგორიც არის...

ხუნ ძიჩენი გვასწავლის, როგორ ვამუშაოთ გონება ყველაზე კეთილშობილურად, როგორ აღმოვაჩინოთ საზღვრულში საზღვარდაუდებელი და ღრმა აზრი იქ, სადაც იგი, თითქოს არცაა: „ნუ გწყურია ამქვეყნიური წარმატება. შეუცდომლობა უკვე წარმატებაა. ნუ ეძებ წყალობას ადამიანთაგან, თუ მათგან სიძულვილს არ დაიმსახურებ, ეს უკვე წყალობაა“... მისთვის უმაღლეს ფასეულობას ადამიანი წარმოადგენს... მისი კრებულიდან რჩეული აფორიზმები დღესაც და მომავალშიც, საშუალებას მოგვცემს, ვიპოვოთ ქვეყანა, რომელსაც ჰარმონია ჰქვია და რომელიც დასახლებულია კეთილშობილი, სათნო, წმინდა, მართალი ადამიანებით.

იობი შეჩერდა.. ადამიანებს გადახედა, ყველას სურვილი გასჩენოდა ესაუბრა... ისინი ხომ ადამიანი – პოეზია, ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – რომანი... იყვნენ, ერთმანეთისგან განსხვავებულნი... გამოდიოდნენ რიგრიგობით და საუბრობდნენ... სადღაც წარსულში მიჩქმალული სიკეთის, ამ ბუნების მიერ მომადლებული საგანძურის, დაბრუნებას ცდილობდნენ...

სტუმრები მათ უსმენდნენ, თავიანთი ლექციის ჩატარების სურვილი უკვე დაჰკარგვოდათ. მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა ლუკამ, როცა იობმა მოულოდნელად ჰკითხა: თუ გიპოვიათ საცოდავი, კეთილი ადამიანის მიერ დაკარგული ნივთი, რომლის დაბრუნებაც გიცდიათო...

ლუკა შეკრთა, არა, არ მიპოვიაო, - წაილუღლუღა და გაუკვირდა, რომ მესამედ უარყოფდა ერთსა და იმავეს.

იობისთვის ეს შეკითხვა მარადიული გამხდარიყო და ვინ იცის მერამდენე ადამიანს მიმართავდა ამით...

თამარ თედიაშვილი

ერთი ნაბიჯი... პიროვნებიდან ბრბომდე...

„არა, არა მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით დაჭკნეს როდესმე ჩამოცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არა მჯერა! “

„ყვავილი კი არა მზის ნაკადულის კამკამია !.. “

„მარიტას მერე, მე აღარ გამკვირვებია ყინცვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა. “

„ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა მისი სილამაზე !.. “

ეს მომხიბლავი არსება ბუნებას ნამდვილად უხვად დაეჯილდოვებინა: ,, მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს ! გულში ია ამოსდიოდა ! “ ერთი შეხედვით ნუსხავდა ყოველი სულიერის გულს. მიუხედავად გოგონას დიდი სისპეტაკისა, ბრბომ არ დაინდო, მკაცრად განიკითხა, ქმრის ღალატი დასწამა.

მაინც რა სასტიკები ვართ ადამიანები, ,,ბალბალუკები“... კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, მრავალმა საუკუნემ განვლო , ძველი ახალმა შეცვალა, ბევრი რამ უკიდეგანო სივრცეში გაქრა, უამრავიც მიივიწყა ხალხმა, მაგრამ ბრბო უკვე ათასწლეულებია ჰეგემონობს კაცობრიობაზე. ბრძნულ გამონათქვამებში ამომიკითხავს: ,,ბრბოს თუ გაჰყევი მასში დაიკარგებიო. “

და მაინც, რა არის ბრბო ?! რა ამოქმედებს მას?! ისეთი რა ფენომენია, რომ ერთი ადამიანის წამოძახილიც კმარარა ფენომენია, რომ ერთი ადამიანის წამოძახილიც კმარა მის სამართავად. იქნებ, ყველაფერი ისე მარტივად არაა, როგორც გვეჩვენება. ალბათ, თითოეული ჩვენგანი ერთხელ მაინც ათქვეფილა ბრბოში... როგორი განსხვავებული წარმოდგენისაც არ ვიყოთ, მაინც მისი ზეგავლენის ქვეშ, ალბათ, მოვქცეულვართ ან, უბრალოდ, მასში მოხვედრილს, საკუთარი თავისთვის არ მიგვიცია უფლება, თავისუფლად გამოგვეხატა აზრი, შიშისა თუ სხვა გარემოებების გამო...

მოდით, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა ,, ეშმაკის ქვა “ გავიხსენოთ. ორმა ყმაწვილმა იმსხვერპლა ქვრივი, ფულის გამო, ერთმა აღიარა დანაშაული, თითქოს მოინანია და ის გადაურჩა კიდევაც ხალხის რისხვას. მეორემ გაქცევა სცადა, ბრბომ იგი ჩაქოლა. მისკენ გასროლილი ქვებიდან ერთი სოფიოს ეკუთვნოდა, რომელსაც შემდეგ ძალიან განიცდიდა: ,, - ერთი ქვა ვისროლე... მხოლოდ ერთი... ისიც ეშმაკმა მასროლინა... მე არ მისვრია, არა... “ ეს რამდენიმე წინადადება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს თვით სათნოება, ,,სოფლის ანგელოზიც“, კი ადამიანთა დიდ მასაში. სამწუხაროდ,სოფიოს კეთილშობილება არ აღმოჩნდა საკმარისი ბრბოზე გასამარჯვებლად.

მოგეხსენებათ, ბრბო უმართავია, ვფიქრობ, მისი ყოველი ქმედება უამრავი ადამიანის ერთიანი სულის ამოძახილითაა განპირობებული. ბრბო იმას ჩადის, რისი გაკეთების საშუალებაც სხვა დროს არ მიეცემოდა. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, დასაშვებია, რომ სოფიოც გულისთქმას ემსხვერპლა, დამნაშავის გასამართლება მოინდომა, ვინ იცის.

ბრბოს ფსიქოლოგია რთული განსასჯელია. ვაჟა-ფშაველამ მაპოვნინა პასუხი ამ მარადიულ ჰეგემონზე:

,,გველი ჭრელია გარეთა
ადამიანი შიგნითა. “

ლუკა რაზიკაშვილის პოემებსა და ლექსებში ხშირად ვაწყდებით ბრბოს თემას. მოვიგონოთ ზვიადაურის მსხვერპლშეწირვის ეპიზოდი. მთელი სოფელი უხმოდ შესცქეროდა საშინელ სცენას, მხოლოდ ერთი ქალი ნაღვლობდა:

,,და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,.....მიშველებასა ჰლამობდა:
,,ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო“,..

(,,სტუმარ-მასპინძელი“)

აღაზამ ხმა ვერ ამოიღო, პირიქით, თანასოფლელების უკან იმალებოდა, ცრემლიან სახეს მალავდა. აღსანიშნავია, რომ სხვებიც იმავე აზრზე იდგნენ, თუმცა, ვერ გამოხატავდნენ ემოციებს:

,,სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდნენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ? “

ალუდაც ბრბოს აღუდგა წინ, არ მოჭრა ქისტ მუცალს მარჯვენა, რადგან თავის სწორ ვაჟკაცად იგულა. ბევრს ეცადა თანასოფლელებისთვისაც აეხსნა ყოველივე, მაგრამ უშედეგოდ:

,, ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღთისშვილთ უკეთეს იციან;
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!

(,,ალუდა ქეთელაური“)

ალუდა ბრძენ კაცად გვევლინება პოემაში, სამწუხაროდ, ცალკეული პიროვნებები მარცხდებიან ბრბოსთან დაპირისპირებაში. იგი სოფლიდან გარიყეს, განსხვავებული აზრის გამო, და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

მე თუ მკითხავთ, საზოგადოება დიდი ძალაა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია სწორად განსაჯოს, მანამდე, სანამ ის ბრბოდ გადაიქცევა...

გიორგი გოგინაშვილი

ძვირფასო დედა!

რამდენი რამის თქმა მინდა ხოლმე შენთვის, როცა გეუბნები „მიყვარხარ“, მაგრამ შენი სიყვარულით ისე ვარ გაბრუებული, მხოლოდ მაგ ერთი სიტყვის თქმას ვახერხებ. ხშირად მეუბნები, ვერასოდეს მიხვდები და დააფასებ სათანადოდ დედობასო. შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ ყოველთვის ვეცდები შესაბამისი სიყვარული შეძლებისდაგვარად გამოვხატო. ვიცი, რომ მე შენი ერთადერთი ვარ. ისე როგორც შენ - ჩემი.

იცი, ერთხელ დამესიზმრა, რომ სახლში მოსულს არ დამხვდი, არავინ შემეგება კარში ღიმილით, არავის გაუკეთებია ჩემთვის სადილი, არავის დაულაგებია ჩემი ოთახი, არავის დაუუთოებია ჩემი ტანსაცმელი, არავის აინტერესებდა ჩემი იმდღევანდელი ნიშანი, არავის ვაინტერესებდი მე. მე და მამა კი ერთმანეთს უსიტყვოდ, თვალებით ველაპარაკებოდით -მთელი დღე სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. საღამოს კი სასაფლაოზე ავდივარ, რომ შენი გაყინული სახე ვნახო. უცებ შეშინებულს მეღვიძება. მინდოდა მოვვარდნილიყავი და მძინარეს ჩაგხუტებოდი, მაგრამ ჯერ ისევ ადრე იყო და ეს საქმე შემდეგისთვის გადავდე. ვაიმე, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, სიზმარი ყოფილა, სიზმარიიიიიი..... დიდება უფალს... ავდექი, სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე და კომპიუტერი ჩავრთე, ვეღარ დავიძინე.

ვიცი, ხშირად გაბრაზებ და განერვიულებ, მაგრამ შენ თვითონაც იცი, რომ ყველა ბავშვი ასე იქცევა. ისიც ხომ იცი, რომ ყველანაირად ვცდილობ კარგად მოგექცე, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?! მაგრამ რა ვქნა, ბავშვი ვარ და ჩემს თავს ვერ ვერევი. ხშირად ვერ გიმეორებ ამ სიტყვებს, მერიდება, ან მეშინია არ გახუნდეს. ამ ერთხელ გეტყვი და მთელი ცხოვრება გულით ატარე და დაიმახსოვრე: მიყვარხარ უზომოდ... მიყვარხარ დაუსრულებლად... მიყვარხარ სულით ხორცამდე... მიყვარხარ კივილამდე... მიყვარხარ დეეეე..... მინდა, სულ გვერდით მყავდე, მინდა, სულ ღიმილიანი იყო. მინდა, სულ სიყვარული დაგქონდეს გულით და ირგვლივაც სულ სიყვარულს აფრქვევდე.

შენი გიო

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.

ვედრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი

ნათლის-მშობელო,
ივერიის მფარველო დედავ
გადიდებთ მზეზე უბრწყინვალესს
და გევედრებით,
ყველა ჭირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა,
იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა
არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება,
ვიდრე შენ ჰფარავ, საქართველოს
ყოვლად-წმინდაო
აღამაღლე გონება ჩვენი
ზეციური მამულისადმი,
რათა წარმავალის დამტევებელთა
ვიფიქოთ წარუვალზე,
მოგვეცი ძალი შეწევნისა,
მოთმინებისა და სიყვარულისა
„ყოველთა შექმნულთა ნათელთა
უბრწყინვალესო ნათელო...
ყოველთა ქმნულთა სამკაულთა
უმშვენიერესო სამკაულო.
გამოაფხიზლე გონება ჩვენი,
განასპეტაკნე სული ჩვენი.
შენ გშვენის დიდება სამარადისო
ლოცვის მადლით უხრწნელად
აყვავილებულო.
ასულნი ჩვენნი კვლავ შემოსე მაღალი სულით,
პატიოსნებით, ერთგულებით,
სიწმიდით, რწმენით,
მამულისათვის თავდადებით, მზიურ ხილვებით,
რათა მოიღონ მათ ტევანნი ჯანსაღ ვენახის.
ჭაბუკნი ჩვენნი აზიარე ქრისტეს მცნებათა,
ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ
უკვდავების გზას,
წინაპართაგან ანთებული წმინდა ლამპარი
რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ ბნელში
უმწეოდ.
ო, გევედრებით მოკრძალებით და სასოებით,
ლმობიერებით, წმიდა ცრემლთა უხვად
მფრქვეველნი,
ვედრება ჩვენი შეისმინე სახიერებით
და სიხარულად გარდასცვალე წუხილი ჩვენნი.

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა —
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

რწმენა მაცხოვრისა...

“მე ვარ ანი და მე ვარ ჰოე – ბრძანებს უფალი“
(წმინდა იოანეს გამოცხადებიდან)
შენი ტკბილი წყალობა
არ მოგვაკლო, უფალო...
მართალ რწმენის სიმაღლით
სულ გვამყოფე უბრალო...
მარადიულ გაზაფხულს
ცაში დაუვანია...
რწმენა მაცხოვარისა
სიცოცხლის ანბანია...
შევინანოთ ცოდვები,
გვირჩევს რაცხა ხანია...
ის არასდროს ძველდება –
მარად რაც ახალია...
ბოროტს რაც მიეზღვება,
გულის მოსაფხანია...
კეთილის პირს დასცვივა
ხან ვარდი და ხან ია...
ჯოჯოხეთურ ყოფისგან
დაგვიხსენი, მაღალო,
სიხარულო მოჰფინე,
დამძიმებულ სამყაროს.

ფრთებს გაშლის ლაღი სიცოცხლე

უწმინდესს

თავს დახრის გვირგვინოსანი,
როცა უფლის წინ ილოცებს
და მხატვარს თეთრი ღრუბლები
ბატკნებად აჰყავს ტილოზე.
ფრთებს გაშლის ლაღი სიცოცხლე,
ნათლდება ხატი ცხოველი
და გრძნობ განგების დიდ ძალას
ემორჩილება ყოველი,
სიცოცხლის გადასარჩენად
ანთია სვეტიცხოველი.

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ —
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

* * *

უფლის კეთილმა თვალმა დაგვხედოს
და შეგვიწყალოს მუდამ,
უკვდავებაზე უფრო ლამაზი,
ნატვრა გულს რაღად უნდა...
მშვენიერია ორივ სოფელი
თუ მწყალობელი გვწყალობს,
უმისოდ ყოფნა ჯოჯოხეთია,
ვიტანჯებით და ვწვალობთ.
უკეთუ ღმერთი მადლს მოგვანიჭებს,
წამების ჟამსაც ვხარობთ,
იგია ჩვენი გამხარებელი
და უკვდავების წყარო.
როგორ დამძიმდა წუთისოფელი,
ვეღარც ერთმანეთს ვბრალობთ,
ზრუნვამ დაღალა ადამის ძე და
უაზროდ დაუმცხრალობს.
ცაზე ვარსკვლავი აყვავებულა,
ბაღში ბულბული გალობს,
ცვარ-მარგალიტნი ყვავილს პირს ჰბანენ
და წყარო მოჩქრიალობს.
იქ კი სამოთხის შუქი იღვრება,
ნატვრა ზეცის კარს აღებს,
მადლი დაჰნათის ციურ სიმღერას,
და აყვავებულ ბაღებს.

ვაჟა აქიმიშვილი

თუ ვერ დავლეწავ

ამ ღამეს დარდებს თუ ვერ დავლეწავ
და თუ არა ვარ წიქარა ხარი,
და თუ ამ ღამეს წუხანდელივით
უიმედობას მომაყრის ქარი,
თუ კი ამ ღამეს არავინ არ მყავს,
არვინ იქნება გამღები კარის,
ამ ღამეს ისეც დარდი თუ მომკლავს
არ დამეხსენბა ფიქრი მშფოთვარი,
მაშინ საშველად ლექსებს მივმართავ
ლექსი იქნება ჩემი მოძღვარი.

მეწერება

მეწერება დავწერ ლექსებს,
გრძნობებს როგორ ვმალავდი
და ჩუმ-ჩუმი შემოხედვით
სილამაზეს გპარავდი.
სასახელო ქალბატონი,
სასახელო ქართველი
უამრავი დიდი საქმის
დედოფალი მმართველი.

რა ცეცხლი და რა სიკეთე
შენით გულში ტრიალებს,
არასგზით არ გამოითქმის
ვერვინ გაიზიარებს,
გრძნობით ისევ დავწერ გრძნობებს
ცრემლებს დავღვრი ვიტირებ...
იმ იმედით წაიკითხავ
გულიანად იცინებ.

ჩემი სიტყვები

შემომათენდა შენზე ფიქრებში,
რით დავიწყნარო მშფოთი გონება...
ან ვინ დამწყევლა მხოლოდ ცალმხრივად,
უნდა მიყვარდეს მთელი ცხოვრება.
მზემ სხივი დაჰკრა და მიწას მოსავს
ნაირ-ნაირი ოქროსფერებით,
მე ხასიათი მზისა მაქვს ალბათ,
და თანაგრძნობით მოგეფერები.
მე ხელოვნება შენთვის დავხარჯე,
გაგილამაზე გარემოება...

ოხ, როგორ მიჭირს ჩემო ძვირფასო,
შენს ლამაზ სახლთან გამოთხოვება.
ვერ ვკონტაქტები რადგან არა გსურს,
ვერ შემოგწვდები როგორც ვარსკვლავებს...
გითხარი მხოლოდ და როგორც ფიცი
მე ჩემი სიტყვა ისე მაკავებს,
არ გითხოვია მე კი ვიგრძენი
და შევასრულე დანაპირები
როგორ მიზიდავს გადასერილი.
შენი ნატყორცნი თვალთა სირმები.

მახსოვს

შენი თვალების სხივები მახსოვს,
ჩემთან მოსული ნაზად მკრთომელი.
მათი გრძნობები ისე სუფთაა,
როგორც მცხეთაში სვეტიცხოველი.
მონა ვარ შენი რადგან იმედი,
მათში ჩანს ჩუმი ჩემსკენ მთოველი,
ვიცი სიტყვას რომ ვერ შემოგკადრებ...
რაც უნდა იყოს ძნელი ყოველი.

რა მტანჯველია უსიტყვო ბოღმა,
გრძნობიდან გრძნობის გამომწოველი,
რასაც განვიცდი თქმას ვერ გავბედავ,
შენს თანაგრძძნობას მე არ მოველი.
გამრიყა ისევ უდრეკმა ბედმა,
მასავით ურჩი მასთან მებრძოლი,
არ ვტყდები და კვლავ სიკეთეს ვთესავ,
არ მწყალობს თუმცა წუთისოფელი

მწამს

ნეტა რატომ მიცხარდები
ვერ გაიტან შენსას,
იმედი გაქეს თქვენი შხამის,
რომ ფიალს შევსვამ.
სხვა კალაპოტს მიუჩენენ
დიდ მდინარეს შემდგარს.
სულს ჩანჩქერად გადაქცეულს,
შიშიც ვერ შებედავს.
ვარდს მოვკრიფავ და გაჩუქებ
სანამ გული ფეთქავს.
თუნდაც ჯვარზე გავეკვრები,
რომ ვაჟკაცი მერქვას.
დამიჯერეთ გენაცვალე,
ღმერთს შეხედეთ ერთხანს...
მიზანდასახული ვარ და
მწამს გავიტან ჩემსას.

რწმენა
(ჯუმბერ ლეჟავას)

ვაჟკაცთა რწმენა ახარეთ,
სიცოცხლეს როცა ბადებდით...
ღვთიური მეცნიერებით,
მეცნიერებას ანგრევდით.
თქვენ სული შეუდრეკელით,
სიცოცხლის გზაზე დადეგით...
ოთხჯერ უკვალი გაკვალეთ,
ბედის წინაშე ამხედრდით.
მსოფლიო რეკორდსმენებთან,
შეჯიბრებაში გახვედით...
თქვენი რწმენით და ლოგიკით,
შიშის კანონებს არღვევდით.
ხუთასი წელი შიშების
ძალას ტყუილად ვაქებდით.
შექსპირი შეატრიალეთ
სიკვდილის შიშს არ დანებდით.
თქვენ სხვა ხართ, იმედს ხალხისთვის
სიყვარულისგან აგებდით...
ბოროტს გზა გადაუკეტეთ,
კეთილს კი რწმენას აძლევდით.
თქვენს თავზე არ გიფიქრიათ,
სხვის სიცოცხლეს რომ არჩენდით,
გარემოს ზავს ვერ დაუდებთ,
თქვენი სპეტაკი გაგებით.
ვაჟკაცის რწმენა ახარეთ,
სიცოცხლეს როცა ბადებდით...
თქვენივე მეცნიერებით,
მეცნიერებას ანგრევდით.

ცოდნის მოძღვარი
(გულნაზ ხარაიშვილს)

აქვს სათნოება ცის ანგელოზის,
თვალთა სხივები მზესთან სადარი....
ღვთის ყურადღებით გამორჩევა.
ყოველს შეიცნობს ისე რაც არი.
და გაოგნეულ მარტოობაში,
გულში დარეკა თითქოს მიასმა...
ჩემი გულისთქმის შემფასებელი
ბრძენი მზრუნველი ხმა, რომ გაისმა.
მე გამაოცა მისმა მიდგომამ
განწყობამ გრძნობამ თანაგრძნობისა,
ჩემი აზრების სანუგეშებლად,
მან რწმენა მომცა მეფე ლომისა.
იგრძნო, გამანდო, სად მიდიოდა...
ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღვარი,
ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუწოდებთ
ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი.

თვალები

თვალები მკრთომი იმედით სავსე,
მათში გამხვევი ნისლების ფენა...
დაბნეულობა და მისი მადლით
ბედნიერების ბურუსში ფრენა.
ზღვა სიხალისე უძირო ნდობა,
ყვავილებიან მინდორზე რბენა
არდაღლა, სითბო, სიტკბო ულევი,
და თვალებიდან ვარსკვლავთა ცვენა.
რა ლამაზია გრძნობების ელვა
და ბუნებაში, ბუნებით ღელვა.

კახა ბაციკაძე — ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ცრემლის გოგონა

ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად,
და შენს თვალებზე სიზმრობდა ლოცვას;
ის სიკვდილივით სასტიკად სდუმდა, —
ვერ ერეოდა საკუთარ გრძნობას.
შენ გიგზავნიდა ლურჯ ცეცხლს, ვით ვარსკვლავს,
და ისევ მხოლოდ შენზე ფიქრობდა...
ასეთ სიყვარულს სიკვდილიც ახლავს, —
ეს მან ძალიან კარგად იცოდა.
სულის თითებზე ცრემლის ბეჭდებით
აელვარებდა სივრცეს უფერულს,
უფრთხილდებოდა საკუთარ გრძნობას,
ვით გენიოსი პოეტის რვეულს.
ბოლოს, ნელ-ნელა, სევდამ დალია,
ვით შემოდგომა — ფოთლების ქროლვამ,
თვალებში ცრემლის ლურჯი წყალია,
— არ დამივიწყო... — მხოლოდ ეს მთხოვა...
ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად...

პოეტის მონოლოგი

არის სიკვდილი, როგორც მზის ველი,
როგორც უსაზღვრო თავისუფლება,
განთიადივით მე მას მოველი, —
სიყალბის ყველა შტრიხი უქმდება,
როდესაც მოდის სიკვდილის ღმერთი, —
ის ერთადერთი, რომელსაც ძალუძს
სივრცეს ჩამოხსნას ტკივილის ფარდა...
სუყველაფერი არის ტყუილი,
ლექსებისა და სიკვდილის გარდა...
წყდება სხეულში სისხლის არია,
და მხრებს ამშვენებს გიგანტი ფრთები,
ხოდა მივდივართ მე და სიკვდილი,
მე და სიკვდილი — ორივე ვკვდებით.
ტაძრის ორღანთა მძაფრი მუსიკა
სივრცეს ახელებს ბგერათა ლოცვით,
და ანგელოზი ამბობს: „ნუ მიგყავს,
სიკვდილო, ლექსთა სასახლის ლორდი“...
მაგრამ სულს უხმობს თავისუფლება,
თავისუფლება — შეგრძნება ღმერთის,
ამ გულში, მუდამ, გრძნობა სუფევდა,
უსაზღვროების განცდასთან შერთვის.
მე მესმის მხოლოდ პოეტურობა,
მარადისია გზანი წამების,
და პოეზია მე გავიაზრე,
როგორც მეოთხე წევრი სამების...
იწვის სამყაროს ყველა მტკაველი,
ჩამოშლილია ცათა ზეცები,
კაცობრიობა, როგორც ბრმა ბავშვი,
უფალს დაეძებს ხელის ცეცებით.
გადადნა სულის ყველა ლითონი,
ვილევი ისე, როგორც სანთელი...
პოეზიაა ჩემი მირონიც,
უკანასკნელი ჩემი სათქმელიც!..
მე და სიკვდილი — ორივე ვკვდებით,
თუმცა სამყაროს მაინც ვიოცებთ;
მე მწამს სიკვდილი, როგორც ღვთის ველი,
როგორც ყველაზე დიდი სიცოცხლე...

პოეტური გრძნობა

ხვალ, როცა დილა გათენდება, — მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, —
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, —
უკვე ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად — მთელს სამყაროში,
და მაშინ, ადამიანებს,
საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

ემილია

ყოველ კვირა დღეს
მე ვხვდები ემილი დიკინსონს.
ჩვენ ვსეირნობთ ბაღში,
ვსაუბრობთ, —
აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს...
ის მიკითხავს თავის ლექსებს
და კიდევ უფრო არამიწიერი ხდება
ამ დროს...
მე ვეუბნები მას:
— „ემილი,
შენ ხარ პოეზიის დედოფალი.“
ამაზე მიღიმის,
თუმცა, ვფიქრობ,
სჯერა ჩემი სიტყვების.
ემილი ამბობს,
რომ პოეზია მისთვის ყველაფერია;
მას მიაჩნია, რომ
ჩემი ძალები უსაზღვროა პოეზიაში;
მეუბნება, რომ
სურს გამოვცეთ ერთობლივი წიგნი...
ჩვენ არა ვართ შეყვარებულები,
უბრალოდ, გვიყვარს ლექსების წერა...

სისხლისფერი გლადიატორები

რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს,
სისხლით ირწყვება პოეზიის ვრცელი არენა,
სიმშვიდის ღმერთო, სთქვი, პოეტი ვით
გეამბოროს,
ვით აერიდოს შეშლილობის მძაფრ ზეგავლენას;
ან რა ჩააქრობს ჩემს თვალებში ცეცხლის
დემონებს,
დაცხრილულია თავად ზეცაც მძიმე ფიქრებით,
როგორც ქარონი, გარდაცვლილთა სულთა
მებორნე,
მეც საკუთარ სულს ჯოჯოხეთის ცეცხლში
მივყვები...
გავიფანტები თვით უშავეს განცდის ყორნებად,
და საკუთარ გულს ვფლითავ ასე გაფაციცებით,
დგანან გრძნობები ჩაბნელებულ ლამპიონებად,
მეფერებიან სიძულვილის ცივი თითები...
ვიხსენებ ფაუსტს და ვალპურგის ღამის აღრევას;
სისხლის წვეთების ძოწისფერი კარნავალია...
მე მოგიწოდებთ ყველა წესის ფარდის
დარღვევას, —
ანარქია ხომ პოეზიის რთული ვალია.
და ვანადგურებ წინ აღმართულ ქარის
წისქვილებს, —
ბოლომდე მიმყავს დიდი საქმე, მე, ლამანჩელის;
და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ
აქილევსს, —
ბრძოლის შავ ველზე სამუდამო სტუმრად
დავრჩები...
ხშირად მიყვარდა სმენა, მშვიდად, მდინარე
ლეთის;
პოეტურობა ღვთაებრივი და წარმტაცია;
დაიბზარება დედამიწის ფუჭი ხმელეთი, —
ის ვეღარ უძლებს პოეზიის გრავიტაციას!...
რა შეაჩერებს პოეზიის გლადიატორებს...

გაგიკ დავთიანი

თარგმნა: მაყვალა გონაშვილმა
(მწერალთა კავშირის თავჯდომარე)

ფერიცვალება

ო, რა ადვილად გამიმეტე,
რა უმოწყალოდ,
იმედის კარი
მომიხურე, გადამირაზე,
თითქოს მიწიდან ამომძირკვე,
ვით ხე — ხენეში,
რტოებით მიწას ვეჭიდები,
ვდგავარ ყირაზე.
თვალებში ჩამრჩა
ტკივილები გაუსაძლისი,
გაქრა იმედი, ცად ავდივარ
თითქოს ვმაღლდები,
ჩემი რწმენაც და სიყვარულიც
ფერფლად იქცევა
და მიწას ცრემლად ეწვეთება
ხსოვნის ვარდები.
გთხოვ, დამელოდო იქ,
ზეციურ, ულურჯეს კართან,
ყვავილწნულებით,
ვარსკვლავების ქორაკანდელით,
ვიცი, კარიბჭე გაიხსნება,
მთელი სამყარო, .
10 11
მოინუსხება ზეციური,
უცხო ჰანგებით.
ციურ ჭიშკართან შენ დამხვდები
უღრუბლო დილას,
გემუდარები, რომ უსიტყვოდ
გამიღო კარი,
ვაი თუ, უცებ,
შენს სიტყვებზე გამომეღვიძოს,
ვაი თუ, უცებ,
გამიფრინდეს ტკბილი სიზმარი.

* * *

როგორ მიჭირს მოლოდინი შენი,
ასე ყოფნა, ადვილია, განა?
დავიღალე სტუმრის როლში ყოფნით,
კმარა ტანჯვა, სასურველო, კმარა!
სიზმრად ვიყავ და მწყუროდა წყალი
და მესმოდა რაკრაკებდა წყარო,
თითქოს ისევ სიზმარს შევრჩი, მესმის
შენი ხმა და უშენობით ვწვალობ.
12 13

დიდება შენდა ღმერთო

მავანნი ისე
თავაწევით დააბიჯებენ,
თითქოს კალთის ქვეშ
ატარებენ მოოქვრილ ბარძიმს
პირთამდე სავსეს
სიყვარულით,
მადლით,
სიკეთით...
მთელი ცხოვრება
თავგამოდებით ირწმუნებიან: —
კაცობრიობის ბედზე
ზრუნვით სავსე აქვთ გული...
მხოლოდ და მხოლოდ
მოძმის დარდით დამწუხრებულან
და ჩვენც ვიჯერებთ,
ისინი რომ არ ყოფილიყვნენ,
მზე უსათუოდ
დასავლეთიდან ამოვიდოდა
გადაივლიდა ზეცის გუმბათს
და მერე, ალბათ,
ჩავიდოდა აღმოსავლეთში.
ბედის რჩეულებს
უყვართ გულზე მჯიღის ცემა და
ციმ-ციმ მიაქვთ
გრძნობით სავსე
ოქროს ბარძიმი.
ჰო, ფრთხილად, ფრთხილად,
უცებ რომ არ წაიბორძიკონ
და თავზე ზეცა
არ დაექცეს კაცობრიობას

და უფლის ცრემლმა
არ წალეკოს მიწა ცოდვილი
და აი, ასე,
გაბრუებულნი საბრალო
კაცობრიობის სიყვარულით,
და აი, ასე,
„გაწამებულნი“ სხვათა ტკივილით,
მოდიან და მოაქვთ თასი
სავსე მხოლოდ ფუჭი სიტყვებით,
მოაქვთ და გზა-გზა
წვეთ-წვეთ იღვრება
ცრუ დაპირება,
ცრუ სიკეთე,
ცრუ მოწყალება...
ვთავისუფლდებით მათი ცრუ მადლის
აუტანელი სიმძიმისაგან...
მხრებში ვსწორდებით,
ჩავისუნთქავთ ჰაერს განწმენდილს...

როგორ ხარ ნეტა?

შენ ჩემში ცხოვრობ,
თუმცა ცოცხლობ შენ ჩემზე მეტხანს,
შენ ერთადერთო,
სასწაულო,
შენ, გულზვიადო
ტკივილო ჩემო...
მაპატიე, რომ
ერთხანს კიდეც გადაგივიწყე,
რომ შენი გული
აღსავსეა კმაყოფილებით,
რომ დაიღალე
ფუჭ სიტყვათა ტკაცა-ტკუცისგან,
მე კი უსიტყვოდ, მორჩილად
ვყლაპავ ერთფეროვანი
სიტყვების მძივს და
თითქოს ბედით კმაყოფილიც ვარ...
ჩემო ამაყო მეგობარო,
ჩემო ტკივილო,
გთხოვ, მაპატიო,
ეს მონური ქედმოხრა ბედთან!
მითხარი, განა,
ჩემზე მეტად
შენ არა ცოცხლობ?
და მადლი შენ, უფალო!
საკვირველია, მზე კვლავ
აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება,
გადაივლის ზეცის ლურჯ მინდორს
და ჩადის,
ჩადის,
დასავლეთში
ჩაინავლება.
16 17
მითხარ, რომ ისევ
ჩემთანა ხარ,
სულიდან დევნი
არარსებულ ცოდვებს
და ამით, გგონია,
თითქოს განიწმინდე,
რომ თითქოს ასე,
უახლოვდები საკუთარ თავს და
რა კარგია, რომ შენ არასდროს
იქ არ გეძებენ,
სადაც წამითაც არ ყოფილხარ
და მაინც ერთ დღეს,
მოულოდნელად და შემთხვევით
იგრძნობ, ძალუმად,
შენი სიზმრების ყრუ საკეტთა
კანკალს და ღრჭიალს,
და უძილობის მტვრით
დამძიმებულ შენს თვალებში
ერთ ძველ შელოცვას
წყვიადის მრუმე
კვალი დაუტოვებია.
და ირწევიან,
მძიმედ ირხევიან,
შენს წინ
ნატვრის ხავერდოვანი ფარდები.
არ მახსოვს მხოლოდ,
ო, ღმერთმანი, მართლა არ ვიცი,
რამდენი წელი მოგეცი
ჩემში ყოფნის უფლება?
როგორა ცოცხლობ
ამ ხნის მანძილზე?
საკუთარ თავთან განშორებული,
ამდენი წელი
როგორა ცოცხლობ
ასე, უჩემოდ?
ჩემო ამაყო მეგობარო,
ჩემო ტკივილო,
ვერ გამიგია...
18 19

ნუნუკა გურალია

ძვირფასო იცი, რომ შემოდგომას

ძვირფასი იცი, რომ შემოდგომას
გაასვენებენ მალე ქარები.
დადგება ისევ ცივი ზამთარი,
უიმედობის რეკენ ზარები?!

გაძარცულ ხეებს როვა ვუყურებ,
ცრემლით მევსება უმალ თვალები,
ძვირფასი იცი რომ შემოდგომას
გაასვენებენ მალე ქარები?!

***

ნაცრემლარ მიწას მარჯნისფერი
მზე მსურს ათბობდეს
და აღარ ძალმიძს დავემსგავსოთ
მუხის ნაფოტებს,
დრო—ჟამისაგან ნაგვემნი რომ
ჩუმად ნაღვლობენ
ფესვებს რომელზეც ყვავ—ყორნები
იავარდობენ.
8აგვისტო 2013წ.

***

ძოწისფრად ნაქანდაკები
დღეები შორით გარბიან,
მკათათვისფერი სხივები
მზეს ტანზე შემოძარცვია.
ნისლები დუმან მთის წვერზე,
ალვებიც ჩუმად არიან,
ვერ გაუგიათ ლამაზი
წამები რამ გადარია.
3 სექტემბერი 2013წ.

სიჩუმე მტკივა

ჩუმი ფიქრებით დაღლილი
უჩუმრად დავიარები.,
მტკივა ძალიან მამულის
სხეული ნაიარევი.
მტკივა მე მისი მზის სევდა,
ცრემლებით სავსე თვალები
და ცის თავანზე აშლილი
ვარსკვლავნი ნამტირალევნი.
მტკივა ფერსავსე იები
მტერმა ფეხით რომ გათელა,
ლამაზი ყაყაჩოების
და გვირილების ნათება.
სიჩუმე მტკივა მამულის,
მისი სიმღერა მწადია
და შორით, შორით გავურბი,
წამებს უჟმურს და დარდიანს.
ჩუმი ფიქრებით დაღლილი
უჩუმრად დავიარები,
ღმერთო განკურნე მამულის
5 სხეული ნაიარევი.

5 მაისი 2013 წ.

ტერენტი გრანელს

ისევ ქუხს ჟამი

ქედუხრელი,
ჟამი ძლიერი.
ლეგენდადქცეულს
გრიგალებიც
ვერ გელევიან.

შენი ადგილი ზეცაშია
ანგელოზებთან
და შენით ზეცა ბევრად უფრო
მომხიბვლელია.

10 იანვარი2013წ.

მზერას ვარიდებ

ხმელი ფოთლები დაღლილ თვალებს
ძლივსღა ახელენ
და ფოთოლცვენის მიმქრალ დღეებს
სევდას მატებენ.
გაძარცულ ხეთა თრთოლვას ჩუმად
თვალებს ვარიდებ
და ვაკვირდები მაღლა ზეცის
შეშლილ ნაპირებს.

იქნებ მზემ ფრთხილად ღრუბლებიდან
გამოანათოს
და ფერმიხდილი ლელიანი
ოდნავ გაათბოს,
მანამდე სანამ თავს დახრიან
დაბლა ტიტები
და ფოთლებივით სულს დალევენ
თეთრი იები.

10 აგვისტო2013წ.

***

შეშლილი ფიფქების
ხარხარი ზეციდან
ფიფქები საოცრად
ურჩი და უბელო.

იქნება სულ მალე
ჩათავდეს ეს თოვა,
რომ ისევ გაზაფხულს
შლეგივით ვუმღერო.

ბაბუაწვერები

ბაბუაწვერები,
ბაბუაწვერები,
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით,
რაც უნდა ეფერო

და კრიფო ფერებით,
ზეცისკენ მიჰქრიან
ბაბუაწვერები,
ქათქათა ფრთებით და
ქათქათა წვერებით.

ოცნებებით გავთამამდი

ნეტავ ვიყო მუხასავით
უდრეკი და ფესვმაგარი,
რომ არასდროს მაშინებდეს
ცოფიანი გიჟი ქარი.
პაწაწინა ბალახი ვარ
უმწეო და ერთობ ნაზი

მუხა ლამის მზეს შეწვდეს და
მე კი მიწას ძლივსღა ავსცდი.
უფლის ნებას ვერვინ შეცვლის
და რადა ვარ ასე ხარბი
მაგრამ ვატყობ ოცნებებით
წამიერად გავთამამდი.

***

აღარც შეწყობილი
ხმები სალამურის,
აღარც სიყვარულის
დღეთა სასწაული.

მხოლოდ ცაში გააქვთ
ღრუბლებს რია—რია
დაბლა სიჩუმე და
ჩუმი მისტერია.

***

მთვარის ნათელი სულში
იღვრება
და უმალვე ვგრძნობ რომ
ვფრთიანდები

რადგან მეტს უკვე ვეღარ
დამღლიან
მაგ ქარაფშუტა გიჟი
ქარები.

ვაჟა ეგრისელი



* * *

გავყურებ დიდგორს,
ქსანს და ასპინძას,
ძველი,
ამაყი თავმომწონე,
ჩემი კრწანისით და მარაბდით მეწვის
თვალები,
შენს დიდ წარსულში მიღველფილი სევდის
კოცონი,
მამულო! ჩემში არასოდეს მიინისლება.

* * *

ჩვენ ერთმანეთზე ვფიქრობთ
და ვფიქრობთ,
ყოველი წუთი, ყოველი წამი.
და ოცნებათა სრა-სასახლეს
მთვარეზე ვიგებთ...
ერთმანეთისკენ მივისწრაფით
დღისით და ღამით,
მაგრამ ფიქრების უღრან ტყეში
გზას ვეღარ ვიგნებთ.

შეხედეთ ზეცას

პოეზიის სისხლი გახლავთ
მზე მეწამული...
ახლა ღამეა თვალებრიალა, და განა ბეცი,
ჩვენ კი მარადის ფიქრით ვიწვით
და ვიღვინთებით...
შეხედეთ ზეცას!
პოეტებო!
შეხედეთ ზეცას!
დაწინწკლულია პოეზიის სისხლის წვეთებით.

ღმერთო შემინდე

შენ შეჰქმენი და შენი არის
ეს სამყარო,
არ მავიწყდება მე ის წამითაც.
და შორით ვუმზერ
ოქრო ნაყარ
შენს მთებს,
შენს მინდვრებს,
მაგრამ უნებურ, თუ რამეზე ხელი წამიცდა
და თუ შევცოდე,
ღმერთო, შემინდე!

ისევ თავისუფლება

ვუხმობ ნათელს და...
ყოფენ წყვდიადში
უფალმა უწყის სანამდე გასტანს,
ათასწლის მერე
მოგძახით,
გაბმით მოგკივით:
ეჰეი, ბატა!
ბატა,
ვო ბატა!
შენ მაშინ იყავ...
ჩვენ კი ახლაც ვართ გათოკილი.

* * *

წარსული უცებ ამომზიანდა:
გაცოცხლდა ყველა,
ვინც მყვარებია...
ოცნებების და
სიყვარულის
თეთრი დღეები
წასულან?
— არა!
უბრალოდ თვალებს მიმფარებია...

* * *

ცა —
მიწის უფროსი ძმა არის,
და კითხვას ასწავლის,
ვარსკვლავთა ასოებს
უწერს და უწერს
ღამის შავ დაფაზე,
ხან კი ელვის ენას უყოფს მას ღრუბლიდან
და მიწას —
თავის დას აბრაზებს.

* * *

დაე, სადმე აგიმაღლო მიწა,
თუ ვერ გამიგებ
ამ სოფელში მოცდით.
ჰე, მამულო!
მინდა მოვკვდე შენთვის,
შენს დარაჯად ვიდგე
ერთი ბორცვი.

ზაურ ნოზაძე

მსურს

მსურს ლამაზად ვთქვა
თვალს ვუკოცნი თქმულს,
გულს ვუმრთელებ სხვას
ქვას ვარიდებ ცულს.
სულს ვუსწორებ ფრთას
გზას მივყვები სრულს.
სულ რითმაა ცა
ჩანს მოვწველი ფურს.
რულს ვაშორებ მთას
წამს განვმუხტავ რთულს,
მუხლს ვუმაგრებ ხმას
მწამს დავთესავ ხნულს.
ღრმულს მოვტაცებ ლალს
ალს ვუკეთებ შურს.
ცურს ვუძებნი ქნარს
ვწნავ მომავლით წნულს.

მოლზე

მიკამკამებენ დილას მშვენებით
ბელები ღრუბლებს იწამწამებენ,
იმაქმანებენ თვალებს მზერები
ფერები ცაზე მიმაქანებენ.

წამოწოლილი ვკოცნი სიმშვენეს
სიწრფელეს ვყავარ ამოცნობილი,
ჩამოსროლილი სხივი მიხსენებს
ვისვენებ მოლზე წამოწოლილი.

ჩემია

ჟრიალა წყარო ჩემია
ჩემია სიო შრიალა,
წკრიალა სული ჩემია
ჩემია ია ცქრიალა.

კიალა რწმენის ფრთებია
ფრთებია ჩემი კრიალა,
მთლიანად მთები ჩემია
ველიან-ტყიან-მზიანა.

ველი

ჯერს მოელიან მერნებიც
ველების სისადავეს ვმზერ.
ჯერ ილაშქრება სერები
ვევლები უნაგირზე ცხენს.

ფერს შეიცვლიან ჩქერებიც
მშვენების ეშინია ბნელს,
წელს ვაათასებ თენებით
ფერების შრიალია ნელს...

ენის სადღეგრძელო

მადლია შენში ზოსიმეს უთქვამს
სუფთა საუნჯე შენში ანთია,
ქართლია გულით ჩაფლული სულთან
სუნთქვას სიცოცხლის შუქი ჩართვია.
დადიან რწმენით აღვსილი შვებით
შვების ბგერები ლხენით დადიან,
ანთია შენით აზრები ჩვენი
გშვენის სიახლე მუდამ მადლიანს.
მშვენებით ახლაც ვამაყობთ, ვმხნეობთ,
ძეო ქართლოსის თავზე გევლებით,
გევლებით თავზე უღრანო ტყეო
მზეო იმკობ სულს ლამაზ ფერებით.
ბალადას და ლექსს უსხივებ სათქმელს
ფართე სისხლძარღვი ადრეც გფარავდა,
ბარადაც, მთაშიც აფრქვევდი ნათელს
ქართველს ედექი გვერდით მარადჟამს.
მხატვრულო ენავ, იცოცხლე, გლოცავ
ცოცხალს ვხედავენ ენით მამულო,
ვნატრულობ, მუდამ კალამით კოცნას
გლოცავს ქართველი ენავ ქართულო.

სალამი

სალამი ნაპერწკალს კოპიტის
ლოდინის დამთავრდა ვარამი,
ნანატრი სტუმარი მომიდის
მოყვრისთვის იღება კარავი.

მოება თავი ფიქრს აზრიდან
მაღლიდან იხსნება გონება,
ცხოვრება იწყება ახლიდან
თვალიდან გამქრალა მონება.

დრონი

დრონი მოკვდა გეგონება
გეგონება მოკვდა დრონი,
მონის ფიქრი შეგონებას
ეკონება ახლაც მგონი.

საფირონი მოშავდება
მოშვავდება წამში დრონი,
გონი გულთან მოთავდება
ცოტავდება გული მგონი

დათმენა

მარცხდება ყველა და იწყებს ვერას
ყველა იწყებს და იცის დაწყება,
დაცხება როსმე ტყუილის ენას
წყენა ოდესმე ალბათ დაცხრება.
ნაღვერდლებს ჰყრიან თვალები ელვის
გრდემლი და ურო ტკივილს გახვედრებს,

გახევდეს ლამის, შავდება მრევლი
ცრემლი შეუშრე, თვალში ჩახედე,
დათმენით და წვით გეცოცხლა გსურდა
შურდათ ტყიურებს შუქი სანთელის,
თათები დათვის რადგანაც გძულდა
ცუდად ესმოდათ დათვებს სათქმელი.

იმედებს

მიიწევ მაღლა ბილიკით ახლა
მაღლა იმედებს ცასთან მიიმწყვდევ,
ივიწყებ ვარდით გზადაგზა დაღლას
რახან ბილიკით ისევ მიიწევ.

წკრიალებს სული და ფერი თბილი
ტკბილი მომავლით ზეცა კრიალებს,
ფრიალებს თეთრად ლაჟვარდი თლილი
დილის ნიავი ირგვლივ ტრიალებს

მოდის გაზაფხული

წამი ქრება საავდრებო
საავდრებო ქრება წამი,
ჟამი დგება სავარდებო
სავარდებო დგება ჟამი.
ლოდინს უჩანს დასასრული
გაზაფხული მოდის... მოდის...

ლოდის გკლავდა სამსახური
დაჩაგრული თრთოდი... თრთოდი...
მიდის ცისკენ შენამკრთალი
შენამკრთალი თათი ბინდის,
რიდით სავსე ხელთათმანი
ფერდამთვრალი ნისლი მიდის...

საცეცები

წამი-წამით მოშხამულა
მორკალულა მხრებში ჟამი,
ღამით გული მოჟამულა
მოღალულა ფიქრი ჩქამით.
მიკრობს უნდა გაიქროლოს
ჩაიკონოს ვარდი ფიქრობს,
მიქრობს იმედს სადიდგოროს
სადიდთოვლოდ საქმეს მიწყობს.

ახლაც ნათელს ეუფლება
სნეულებამ გრძნობა ჩახრა,
მახრას სული ებუხრება
მემუქრება აქეთ ახლა.
ფერი ისევ იფატრება
მიშავდება შურით ჭერი,
ქვევრი მურით ისანთლება
იჟანგება ფარი ერის.

გოგიტა მელიქიძე

საქართველო

ფართქალებს და ქართან დაობს
საქართველოს დროშა,
თითქოს ლექსი დაიშრიტა,
ლექსი საკარგხმებო,
და იმედი ნაღვლიანი დღის პრიზმაში მოჩანს,
ისევ იბრძვის და თავს იცავს
დედა -საქართველო!
ღამის წყვდიადს, უკუნ ბნელ და
მრუმე პეიზაჟებს,
კვეთავს მრავალწერტილების
ცეცხლოვანი ჯერი,

მაგრამ ღმერთი ჩვენსკენ არის,
ღმერთი შეგვიბრალებს,
კვლავაც იბრძვის, კვლავაც ომობს
საქართველო ჩემი!
პირმოქუფრულ სანაპიროს
ზღვის ტალღები ლოკავს,
დენთის სუნით გაჟღენთილა ჰაერი და მიწა,
საქართველო კვლავ თავს იცავს,
კვლავ ბრძოლის ველს მოჰგავს.
დაილოცოს, ვინც სიკვდილის თავს უფლება მისცა,
ქართველს ძმობას ვინ ასწავლის,
ძმობა ჯიშით მოგვდგამს,
თუ გინდ მტრობას,...
ჩვენ ხომ მტრობაც სანაქებო ვიცით.
მაგრამ ახლა ძმობის დროა,
ძმობის ჟამი მოდგა,
მივცეთ დედა საქართველოს
ერთგულების ფიცი!
არა მხოლოდ სიმღერის და
არა მხოლოდ ლექსის,
და სამშობლო არა მხოლოდ
სადღეგრძელოს თემად,
საქართველო, დღეს ეს სიტყვა
ყურს სხვაგვარად ესმის,
საქართველომ სულ სხვაგვარი
შეიძინა ჟღერა!

ომის თაობა

ლექსიდან ქრება მთვარე, ოცნება,
აღფრთოვანება, სხივი, ფოთოლი,
ახალი წლებით, ახალი გზებით
მოვდევთ, მოვყვებით ახალ მოთოვილს.
სამაგიეროდ ლექსებში ჩნდება
ტყვია, ცრემლები, დაუნდობლობა,
გაშინაურდა სიტყვა ომი და
გაშინაურდა სისხლი, ობლობა.
ირგვლივ ჩამოდგა რკინის სიცივე,
და მდუმარება სასაფლაოთა,
დღენი მიდიან ზათქით, ქუხილით
და ჩვენ კი ვდუმვართ ომის თაობა.

ასპინძობა

წმიდათა შორის წმიდაა ხსოვნა
სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლის,
ასპინძის ველზე დაცემულ გმირთა
ბედაურების ჭიხვინი ისმის.
მოვდივარ, იმათ ნაფეხურს მოვდევ
და თვალი ისევ მათკენ მიჭირავს,
მომაქვს სამშობლოს დიადი განცდა
გარდასულ გმირთა მომაქვს ყიჟინა.
შეჩერდით, წამით შეკარით სუნთქვა,
ნუთუ არ გესმით შეძახილები.
მესხეთი გვიხმობს, მესხეთი გველის
მესხეთს სუყველა ერთად ვჭირდებით.
აქ დავუჩოქებ დედა სამშობლოს
და მიწად ქცეულ ჩემს ძველ წინაპარს,
არ უნდა შედგე, არ უნდა შედრკე,
როცა ასპინძის გმირნი წინა გვყავს.

მესხეები

წინაპარს ჩვენსას სისხლში უვლია,
სისხლის წვიმები თავზე გვესხმოდა,
მესხობა ჩვენთვის ქრისტეს რჯულია,
ჯვარზე გაკვრაა ჩვენთვის მესხობა.
ვიღაც თურქ-მესხურს თუ ისევ მოთქვამს,
სხვათა ცოდვა-ბრალს ჩვენ ნუ დაგვადებთ,
არ ვუღალატეთ ჩვენ ქართულ მოდგმას,
ჩვენ ქართულ რწმენას არ ვუღალატეთ.
და რაც კი ჩვენში იყო მესხური,
უპირველესად იყო ქართული,
ქართული იყო ჩვენში ზნე სრული,
ჩვენი ქართულით ვიყა გართული!
ცრემლჩამდგარ თვალით
გავყურებ ტაძრებს,
მესხთა სალოცავს და სანაქებოს,
უსაქართველოდ მესხი ვერ გაძლებს,
ვინა თქვას, მესხი უსაქართველოდ.
ჩვენი მესხობით და ქართველობით
მთაში ვსახლობდით თუ ვიყათ ბარად,
ვიყათ ქართველნი სანაქებონი,
და იგივე ვართ მარად და მარად!

პოეზია

ერის უმაღლესი საზომი მისი პოეზიაა.
უოლტ უიტმენი

აქ პოეზია ძალზე ღრმაა, ძალზე ძველია,
ჭირსა თუ ლხინში ქართველს ლექსი ყველგან
სწვევია,
ლექსით ლხინობდა და სატირალს ლექსით
ტიროდა,
უკვდავებასთან პოეზიით დასდო პირობა.
ლექსის საზომი ჩვენში მუდამ იყო მაღალი
და ღვინდებოდნენ პოეტები ახალთახალი,
აქ პოეზია ცაა იმდენად მაღლა ასწია,
რომ მის ლაჟვარდში ვერ იფრენდა ჩიტი პაწია.
ყველან პლაგიატს მუზა უმალ გაბერწებია,
როს მოუპარავს სხვისი სიტყვა, - სხვისი ფერია,
არ მეგულება უფრო მეტი ქონდრისკაცობა,
ვიდრე ქურდობა, სიტყვის პარვა, - პლაგიატობა
მაგრამ თუ თვითონ აჯახირე ღამის წღვდიადი,
საკუთარ ოფლით მოიპოვე სიტყვა დიადი,
პლაგიატობა მას უწოდო ძალზე ძნელია,
არ მოგიპარავს?
გიპოვნია?
აწი შენია!

მსოფლიო სევდის ჭირისუფალი

თვალში წარსული ჩაგვდგომია მშობლიურ სევდად,
ცრემლის წვეთიდან გვიმზერია სამყარო ჭრელი,
ქვეყნიერებას გულგრილობა ოდიდგან სდევდა,
და დარდი არვის არ ჰქონია არასდროს ჩვენი.
ბედთან ვიყავით ქართველები თურმე უმძრახად
და ღვთის ტირილი თანა გვდევდა ძაძით შემოსილთ,
რისი შავი ზღვა, რა შავი ზღვა, ერთი თუ ძმა ხარ,
ცრემლია, ცრემლი ზღვად დამდგარი საქართველოსი.
წელიწადებმა გადიარეს ქარაშოტებად,
წარსულის ქარებს გამოვცდით და ზურგი ვუყავით,
მაგრამ ახალი ქარიშხლების არის ოტება
და ღელავს, ღელავს საქართველოს ცრემლის კურცხალი.
ფეხზე დგებიან სულ ახალი საუკუნენი
და სიტყვას ითხოვს კიდევ ერთი ათასწლეული,
სამშობლოს განცდა ტკივილია განუკურნები,
რომლითაც ყველა დრო და ჟამი არის ძლეული.
დავემხე მიწას და ჩურჩულით მიწას ვუთხარი,
რადგან ქვეყანას მწუხარების დაეცა ჩერო,
მსოფლიო სევდის შენ იქნები ჭირისუფალი,
უჭირისუფლოდ დარჩენილო სამშობლოვ ჩემო!

ერეკლე საღლიანი

წმინდა ნინო

ფარავნის წყალს ნისლის ჯარი
ფარავს . . . წმინდა ქალწული
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.
გვერდზე გადგნენ თეთრი მთები,
სანთლად იწვის მაშვრალი
მიწის ძახილს გრძნობენ თმებიც,
თმები, ქარში გამშრალი.
დრო – თვით სვავი მყივარი და
ბრუნავს, როგორც ფანტელი,
თავზე ადგას მყინვარი და
სულიწმინდის ნათელი.

მივა მცხეთას, ავა წობენს,
უფლის მადლის ტარებით,
ჩვენს სიმშვიდეს დარაჯობენ
სადაც ზეცის კარები.
ტალანებში სისხლი მსხვერპლის
დუღს, ვით გესლი მამონის,
არა ქმნათო თქვენში კერპი,
არც უფსკერო ბომონი.
ფარავნის წყალს ნისლის ჯარი
ფარავს . . . წმინდა ქალწული
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.

რ ა შ ო უ დ ა

რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების, ცხონდების უკუნით, რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა,
რაშოუდა, აგვივსე ყოველი წუთი – დღე ალმობით, რაშოუდა,
რაშოუდა, ილევა ალერდი მტრავლისა ჩვენს სისხლს რომ აშრობდა, რაშოუდა,
რაშოუდა, შენ იქეც, შენ იქეც ყოველი ჩვენგანის სიფხიზლედ, რაშოუდა,
რაშოუდა, სახლ–კარს გვიჯარავს საქმენი ავთაგან ნაშობთა, რაშოუდა,
რაშოუდა, ო, მეც მსურს, იმ დარდის სიმაღლე, რითაც ხარ აღსავსე, რაშოუდა,
რაშოუდა, სულს სწადის სილაღე, სილაღე, ჩვენს ქმნამდე რაც ჰქონდა, რაშოუდა,
რაშოუდა, ზიდილი სუყველა მამულის გამომხვრელს, რაშოუდა,
რაშოუდა, საქვეყნო ფიქრი ხარ, რომ ვერვინ, რომ ვერვინ გახშობს და, რაშოუდა,
რაშოუდა, სირცხვილ არს, სირცხვილ არს ყოველი ჩამუხლვა, რაშოუდა,
რაშოუდა, მოარულ სიკეთედ მოხველ და ისევე, ისევე, ისევე მახვშობ და, რაშოუდა,
რაშოუდა, თითქოსდა სამყაროს შექმნის დღეს ესწრები, რაშოუდა,
რაშოუდა, წადილ ხარ ბედნიერ, ძვრას შობ და, წვას შობ და, ცას შობ და, ხსნას შობ და, რაშოუდა,
რაშოუდა, მიდრეკილ ავისგან ცხონდების, ცხონდების უკუნით, რაშოუდა,
რაშოუდა, ძახილი შენი მდევს, შენი მდევს, დღემდე არ გამშორდა, რაშოუდა.

* * *

სავსე ვარ შენით, სიცოცხლე მინდა,
მინდა შენს ხსოვნას შემოვრჩე წმინდად,
გავყვე მორევში ცხოვრების ტალღებს
და შენს სუნთქვაში სითეთრედ გავლღვე.
რომც აღარ ვღირდე, არ ვღირდე ჩირად,
ლოცვებში მაინც მაცოცხლე ხშირად,
ის მეაბჯრე ვარ, შენს გამო ვინაც,
კვლავ ალგეთის მგლის გვარად რომ გმინავს.
სავსე ვარ შენით, სიცოცხლე მინდა,
მინდა შენს ხსოვნას შემოვრჩე წმინდად.

სამშვილდე

დაიღვარა დარდზე დარდი, ცოდვებს როდის მოვიბანთ?
გამოსტყვრება ბნელით ლანდი, ლანდი ძველი დროიდან.
დაიღვარა დარდზე დარდი, და წარსულის ჩეროდან,
შვიდი ღამის დანატანჯი, შვიდი სული მღეროდა.
გახსოვს? როგორ კანკალებდა ეკლესიის კანკელი,
როცა გზნებით მაწვალებდი, როცა გზნებით დამჭერი,
გახსოვს? როგორ აშუქებდნენ ბნელში ჩვენი თვალები,
გახსოვს? როგორც აშუღებდი, ღამეს ვტეხდით წვალებით.
მიუფანტავთ დილის გზებზე, ქარებს მრეში რტოები,
და მარმარის ნამტვრევებზე დარდებს ვემარტოებით.
დაიღვარა დარდზე დარდი და ჩრდილებიც ქრებიან,
გამომტყვრალი გრძელი ლანდი ურცხვად მოგვჩერებია.
დაიღვარა დარდზე დარდი, და წარსულის ჩეროდან
შვიდი ღამის დანატანჯი, შვიდი სული მღეროდა.

მზის მონატრება

ვხედავ ხატებს თვალებში რომ ირწევიან,
ირწევიან, სულიც რარიგ ღელავს,
დამიჯერე, ეს სიწმინდე მირჩევნია,
ეს სიწმინდე მირჩევნია ყველას.
ღმერთმა უწყის, ვის გორაზე თენდებოდა,
ვის საყდარში ღამდებოდა გუშინ,
როცა გულში არაფერი არ ქრებოდა,
სიყვარული არ ცხრებოდა გულში.
ციხე იყავ, ციხე ლიბო ურყევი და
მზე ამღერე გაზაფხულის პირზე,
თორემ დროის ნაისრალის ფურცლებიდან,
ასი თვალი უდრტვინველად გიმზერს.
მზე ამღერე, სანამ კიდევ ძალა გრჩება,
მზე დაუბი სამამულე ერქვანს,
ნეტარ იყოს, გული ვისაც ეურჩება,
სიმართლისთვის ტანჯულ ვისაც ერქვას.
ვხედავ ხატებს თვალებში რომ ირწევიან,
ირწევიან, სულიც რარიგ ღელავს,
დამიჯერე, ეს სიწმინდე მირჩევნია,
ეს სიწმინდე მირჩევნია ყველას.

ქეთევან ნათელაძე

პარადოქსი

ის თავსხმა წვიმა ვიცოდი, რომ გადაიღებდა,
და დაგვრჩებოდა მოგონების მკრთალი ფერები,
დღეს მე კარგად ვარ, მხოლოდ, როცა სული იღლება,
ათასში ერთხელ მესიზმრება შენი ხელები...
გული არ უცემს მონატრებას, ყელი გაუშრა...
შენთვის ნაწერი წერილები შენ არ მოგსვლია,
რა სიყვარული მაშინ, როცა ამ სამყაროში,
ჩვენი შეხვედრაც ერთი დიდი პარადოქსია!
ქარი გზად ფოთლებს აგროვებდა, კართან აწყობდა,
ბზარი გაუჩნდა სიყვარულის მზისფერ სათვალეს,
გადასდებია შემოდგომას ჩემი განწყობა -
- ნერვებს გიშლის და შუა გზაზე გიწყობს სკანდალებს.
მზის მთებში ჩასვლას ვმგვანებივარ ასე არასდროს,
დროში ფიქრივიით გაცამტვერდა მოსვლის იდეა,
ჩემი წერილიც, მარტივი და უშინაარსო,
ჩემში ამტყდარი ქარიშხლების რეკვიზიტია.
ქარმა ფოთლები წამოხვეტა ისევ გზებიდან,
და მაშინდელი ვარსკვლავებიც უხმოდ ჩამიქრეს,
უკვე გეტყოდნენ, რომ მე უკვე სხვა მზით ვთბები და,
სხვა მეწერება ლექსებად და რომ სხვა მაფიქრებს.
მეც არ მეგონა, თუ დაგთმობდი ასე ადვილად,
არც მიფიქრია, გულმა შური ისე იძია,
მე შენ მიყვარდი ისე წრფელად, ისე ნამდვილად,
რომ დღეს არაფრის პატიება არ შემიძლია.
...ჩვენც ხომ ვიცოდით, ბედი ბოლოს მაინც გაგვყოფდა,
და დაგვრჩებოდა ხვედრი ჩვენთვის შეუფერები,
ათასში ერთხელ უჭირს სულს და სტკივა არყოფნა,
ათასში ერთხელ მესიზმრება შენი ხელები...

მამას

მამა, ამ დროის გადავლახავ უძლეველ ლოდებს,
და ყველა სურვილს ძველებურად გვირილებს შევთხოვ,
სახლში, რომელშიც ქეთევანი დამარქვი ოდეს,
სახლში, რომელშიც მეძახოდი უბრალოდ ქეთოს...
ცა ჩვენი სახლის სახურავზე ვარსკვლავებს ყრიდა,
სიმწიფე აჩნდა თუთის ხეზე შემომჯდარ ლოდინს,
და როგორც შეშა, ღამისფერად დაბურულ ტყიდან,
ეს შემოდგომაც მოიკიდე მხრებზე და მოდი
სახლში, რომელშიც ყველა კუთხე მიცნობს და მიტევს,
და ერთნაირად მინაწილებს ღიმი და სევდა,
სახლში, რომელშიც თოვლობისას მიჭერდი ჩიტებს,
და მარტის თვეში იასამნებს მიქსოვდა დედა.
მე ვწერდი ქარებს და ეგონათ, რომ ლექსებს ვწერდი,
მშველოდა ღმერთი და ეგონათ მიხსნიდნენ ლოცვით,

დღეს უცილობელ ხვედრად დამაქვს პოეტის ბედი,
და როგორც გსურდა ქართველი ვარ "სულით და ხორცით".
მამა შორს ვარ და უძილობა ღამეებს მითევს,
ვარ ასე ხოლმე – ფიქრისა და ოცნების პირად,
დავწერ, ჰო, დავწერ, ვეთამარო იქნება რითმებს,
შენ ხომ მითხარი – სამშობლოზე წერეო ხშირად.
მანდ ალბათ ახლა ყრუ ხმაური მოისმის გზიდან,
მზერაში მალავ უსიტყვო და უჩინარ ლოდინს,
და როგორც რწმენა, გადმოსული მაღალი ციდან,
წამოიკიდე შემოდგომა მხრებზე და მოდი.
მეც დავბრუნდები მა, გპირდები დადგება ეს დღე,
სახლში, რომელშიც მზე ჩავაქრეთ და მთვარე გვენთო,
სახლში, რომელშიც ქეთევანი დამარქვი ერთხელ,
სახლში, რომელშიც მეძახოდი უბრალოდ ქეთოს.

ქოლგებს აღარ უნდათ წვიმა!..

უკვე გამითავდი ლექსად, გულში იმდენი დრო გზოგე,
იქნებ არ იცი და უკვე ზურგი შეგაქციე ცივად,
წვიმა დაჟინებით კოცნის ვნებაგამოლეულ ქოლგებს,
ქოლგებს ესიზმრებათ ქარი, ქოლგებს აღარ უნდათ წვიმა!..
კაფე, სიგარეტის კვამლი, შენი სიგარეტის არა,
მაინც კვამლია და ჩემში მსუბუქ დეჟავიუს ტოვებს,
წვიმა ვიტრინებს და ფიქრებს თითქმის ერთნაირად ბზარავს,
ჩვენი სიცილივით წასკდათ ლურჯი გაზაფხული რტოებს.
ალბათ დაგტოვებდი გულში, გულში დატოვების წილად,
ველარ ვჩერდები და ლექსებს ვწერ და აღარ უჩანს ბოლო,
გვერდით მაგიდიდან ვიღაც, ჩემსკენ თვალს აპარებს ხშირად,
მაგრამ მე უცხო ვარ მისთვის, მისთვის პოეტი ვარ მხოლოდ.
წვიმა ქოლგებს შორის ვერ ძლებს, სახლებს ენარცხება გზებზე,
ანგარიშს ვიღებ და ქოლგით, კაფის გასასვლელთან ვდგევარ,
კაფეში რატომღაც ამ დღით, იმდენი ვიფიქრე შენზე,
მგონი, ანგარიშში შენზე ფიქრის საფასურიც შევა...
ბეთჰოვენს დროებით მაინც, ტელეფონს ვუყენებ ზარად,
ვკითხულობ დროებით ბოდლერს და მჭირს დროებითი დარდი,
სიტყვა "ჩვენ", იცოდე მაინც, მხოლოდ ხმარებიდან არა,
მხოლოდ გონებიდან არა, ჩემი გულიდანაც გადის.
და დგას გაძარცვული სივრცე და ძველ რეგალიებს არ ჰგავს,
მე ვარ რტოებიდან წამსკდარ, ლურჯი გაზაფხულით სავსე,
მივდივარ და ასე ვფიქრობ – შენ ალბათ იქნები კარგად,
ყოველ შემთხვევაში მაინც, ვიცი, ვისურვებდი ასე...
კაფე, სიგარეტის კვამლი, შენი სიგარეტის არა,
მაინც კვამლია და ჩემში მსუბუქ დეჟავიუს ტოვებს,
წვიმა ვიტრინებს და ფიქრებს, თითქმის ერთნაირად ბზარავს,
ჩვენი სიცილივით წასკდათ ლურჯი გაზაფხული რტოებს.

დავით შემოქმედელი



***

ბწკარები ცრემლის მძივებად თოვდა,
რითმების მღვრიე ღარში დამფლავი,
ლექსი ზოგისთვის ძეგლი იყო და
ზოგისთვის — საძმო მცირე საფლავი.
შენ კი რა სნება აგიტყდა შარზე,
სიტყვებით ბლანდვას რომ ვერ ეხსნები,
დიდბატონების ცრუ კარნავალზე
დადიხარ შენი დარდი-ლექსებით.
სტრიქონის შუბი გეპყრა საომრად,
ფარას რომ ფარად ეფარვის მწყემსი,
წყევლა იყო თუ უფლის დალოცვა,
სულში რომ ჩადნა პირველი ლექსი.
ჩამოისამხრეს ნისლებმა ახლო,
როცა ცას პირველ სტრიქონს ჰპარავდი
და ლეგაქულა ლექსსამოსახლო
მეტაფორების გედგა კარავი.
ბავშვმაც იცოდი, სისხლს რა ნდომია,
პარნასის კართან ფრთით ასატანი,
რომ პოეზიაც თურმე ომია,
დიდგორის დარად გადასატანი!...

***

მამაო, დღეა სააღსარებო,
გზა მოკლდება და მიდის არსაით,
ჩამომაკივლეთ საყდრის ზარებო,
მერე გაყუჩდით ზამთრის ცასავით.
ხორცი ამ მიწას როგორ ავყარო,
სად ჩამოვცალო ცოდვები ჩემი,
ორკესტრი არის მთელი სამყარო,
ადამიანი დაღლილი ხემი.
ამ კარნავალზე ყველა ნიღაბი
ჩადრიან ცაზე უფრო ბაცია,
დგას სალონების ცრუ ელვარებით
ყალბი ცრემლების დეკორაცია.
მამაო, სული გაცვდა ოხვრაში,
გაძაძისფერდნენ ქართლის ხედები,
და სოლოლაკის ვიწრო ოთახში
პატიმარივით, მგონი, ვბერდები.
მამაო, ცრემლი ციმციმებს ზენა,
მდუმარებაში დანთქმულან მთები,
მე გულგრილობის ყინულზე ვწევარ
და შობის ღამის საკმევლით ვთბები....

სიცოცხლის იქით...

მიხსენ განგებავ, თავსაყუდრად მომაგეს აქ მე
ღამე მიღმური, ვიწრო სარკმლის გრძნეული ნიში,
ცა ვარსკვლავებით ორსული და დაღლილი მთვარე,
დოინჯშემოყრილ დედამიწას ამუნჯებს შიში.
ვდუმდები ... ხომლი ნისლებ ზემოთ წრესა ჰკრავს მგონი,
გალაქტიკების სული მე ვარ ბალახში, ხეში,
საწუთრომ წყრომით მომივლინა სხვა ჩემთვის როლი,
ბებერ წვიმებით მოქვითინე ღვარების თქეშში,
გაჰფითრებიათ საზვერეებს სამზერი არე,
აწმყოა ეს თუ სხივმქრალობით დაცლილი ჟამი,
დაღდასმულ ჩემს ბეჭს ვერ ვუმრთელებ ნაისრალ ბზარებს,
სვეგამოცლილი დედამიწა, ღამის სულ გვამი...

აღანთე ღმერთო, სული მიწურ საცდურებს სტოვებს,
აპოკალიფსი მხრებზე მაწყობს შიშის ნაპრალებს,
ვერ მოვერიე ქარებს, შლეგა, აჯაგრულ მსტოვრებს,
მაინც მაჯობეს, ზედ ზამთრის პირ მაინც დამღალეს.
მზე კი ვერ დაჭრეს ჩემში ისევ ღვივის უქრობი,
ზენასრულ გარსთა უუნათლეს მენამულფერთა,
სიცოცხლის იქით სიცოცხლეა ჯერ სულ უცნობი,
სიკვდილს რომ შურს და კოსმიურ სულს აერთებს ღმერთთან..

***

შენაც ჩემსავით კაცი იყავ ერთ დროს, უფალო,
შენ ცად ამზევდი, მე კი მიწად მიქცევა მელის,
მამლის ყივილი ასჯერ მაინც გაჰკვეთს უდაბნოს
დამჭკნარ ყვავილთა, უწყლო ველთა სიცარიელის
სიმძიმე მთრგუნავს, უსაყრდენო ვგავარ სამყაროს,
ელამი თვალი დედამიწის შერთვია მიღმეთს,
ცდილობს მეც შემკრას, მეც მიმონოს, მეც მასაპყაროს,
ეგოს კივილში სად მოიძევ იმედად იქ ღმერთს,
რომ ითბოს სულმა, დაივანოს ცის ნათელ კართან
ამოიგმანოს უგუნურთა გრძნეული გზნება,
გადააფარეთ ცოდვილ მიწას ბერების კაბა,
მძივივით ია სატრფოსავით წინ მეგეგება.
ოკეანეთა მიმოქცევა იქნება ვნახო,
წყარო გალობს თუ ანგელოსთა ქორო ხმიანებს,
ჩამოდგა სხივი ჩამომუხლდა სადღაც სულ ახლო,
და მზე ხელს ადებს დედამიწის ნაჭდევ იარებს...

აღსარება
(თადეოზ იორამაშვილს)

რას მეტყვი, მამავ?! ვერ დავასრულე
წუთისოფელთან ჩემი წანწალი,
გეზი აუცდა ამ გზებს საუღლეს,
ჯიბრში მყავს ჯიქურ ბედი წაწალი.
რაც ვიცოდვილე, წრიალებს სულში
სულ ამიწეწა ფიქრის სამანი,
ვერ ჩავრგე ნერგი ზესიყვარულში,
ვერ ვამზეურე იასამანი.
მამავ, იქნება, ეს გზაც ნისლია,
და მირაჟ-მირაჟ დავალ ცეცებით,
სანთლების შუქზე ლურჯი ბიბლია,
თითქოს ცის შემთბარ სამოსს ვეხები.
სხივი ცას მკრთალი სხივით ლამბავდა.
სწუხდნენ ქარები, ნელი თუ მალი,
და თავქვე მედო უფლის ლაბადა,
მიწა მზის თბილი თავსასთუმალი.

დავდივარ ასე სულის ხსნისათვის,
სიტყვების ზვავის დამატყდა თქეში,
და ერთი ციდა სტრიქონისათვის,
რამდენი ღამე ჩამადნა ხელში.
ხანდახან თითქოს სივრცე-მანძილი,
წამში ჩემ თვალწინ უხმოდ დამთავრდა,
რას მეტყვი, მამავ?! როცა დაღლილი,
სულს ძლივს ვიბრუნებ დედის საფლავთან...
გახიდული ვარ, ცხოვრების ჯვარზე,
ხორცით ვცოდებ და ლექსით ვმარხულობ,
ჩემი ხმა ჩიტსაც არ ესმის გზაზე,
მაშ, სტრიქონ-ხილვებს რისთვის ვნახულობ?...
ახლა ცრემლ-ყინულ ბილიკზე დავალ,
ვით სხივი ბინდში ნაფერკმთალები,
და გზას ცისკრისკენ მიკვალავს, მამავ,
იესოს თბილი ნატერფალები...

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

უკვდავება

(ეძღვნება ყველაზე უფრო პოეტურ ქალს, მეტად პოეტურ სილამაზეს.)

შენ არ მოკვდები,
რადგან, შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდები, —
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
ბოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები
კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.

დრო მოვა, როცა
სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება!..
უღრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს...
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ
შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
ბოლო წამია...
შენ არ მოკვდები!..

მცენარე

შენ ჩემს სარკმელთან ქოთანში დგახარ,
და მოწყენილად სივრცეს გაჰყურებ.
მე მოვალ შენთან, დაგისხამ წყალს და
შენგან მადლობას დავიმსახურებ.
მცენარე, ჩემო მწვანე ოცნებავ,
ნუ სტირი, წვიმას ნუ ემსგავსები,
მეც ხომ მარტო ვარ, მაგრამ არ ვდარდობ,
არც მე მეღირსა ფრთები განგების.

მცენარე, ჩემო ციცქნა ძმკაცო,
მისჩერებიხარ დაღალულ სარკმელს,
ნეტა რას ფიქრობ და რას განიცდი
როცა მზის სხივი თბილ ხელებს გახებს...
ვიცი, ოდესმე შენ კაცად მოხვალ,
მე კი, სარკმელთან, შენებრ ვიდგები,
დამისხამ წყალს და მაჩუქებ ლოცვას,
თბილი იქნება ჩვენი ფიქრები...

სიყვარულისთვის

(ეს ლექსი შთამაგონა შალვა კარმელის ერთმა ცნობილმა ლექსმა — შედევრმა)

ისევ ანათებს ციდან
სემირამიდას ბაღი,
გული — კვლავ ერთი ციდა,
კვლავ მთისოდენა — დაღი.
ისევე გხედავ სიზმრად,
თეთრი ნისლებით დაღლილს,
და მე მიყვარხარ წვიმავ —
ქალო, ბავშვური სახის..
მე ვგავარ ვაჟას არწივს, —
ვკვდები თუმც ომი კვლავ მსურს...

ვეღარ მომისწრებ, დაჭრილს...
შენ — მარადიულ ქალწულს
მე მაინც გხედავ სიზმრად,
გხედავ ფიქრით და განცდით,
და გულში დაჭრილ პოეტს
შინდისფერ ღვინოს მაწვდი.
ასეა — გხედავ სიზმრად,
თეთრი ნისლებით დაღლილს,
და მე მიყვარხარ წვიმავ —
ქალო, ღვთისმშობლის სახის...

ფერადი კლოუნი

გზა ყვითელია,
გზაზე მიდის ველოსიპედი,
მასზე ზის ბიჭი,
ბიჭი არის მწვანე და ლურჯი,
მას დაუხურავს ქუდი წითელი,
და სხვა სამყაროს,
ხეების თუ ჩრდილების იქით,
ჯადოსნური დახატავს ფუნჯი.
გზა მაღლა იწევს,
გადაივლის მთებსა და ღრუბლებს,
ბიჭი ქვევითკენ იყურება
ანთებულ მზერით,
მაღლიდან იგი
დაღონებულ კაცთ მოდგმას
უმზერს,
თვითონც ღონდება,
დარდს იქარვებს ჩუმი სიმღერით.
მერე სიმღერაც მაღლდება და
მთებს ეფინება,
მერე — სოფლებს და
ქალაქებს და...
სამყარო მთელი
გადაიქცევა სიფერადედ,
ვით იგი ბიჭი,
რომელიც ცაში დასეირნობს,
და მისთვის მღერის.
მერე,
სუყველა ბედნიერი იქნება როცა,
მერე, როდესაც
მთელს ქვეყანას ღიმილი შვენის,
ვერ მიაგნებენ
ცად გაფრენილ პატარა მოცარტს,
თუმც მთელი ზეცა ანთებულა
სხვადასხვა ფერით...

უმანძილობა

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,
მაინც ხომ დაიტევს უდაბნოს (და ფიფქებს)...
მერე ჩემს ცხოვრებას ვიღაცა გადაწერს...
მთავარი სხვა არის, — გული არ ჩამიქრეს!
მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში
როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა,
ვიცი, — გადავეშვი დიდ აურზაურში,
საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...
ალბათ დამივიწყებ. მე დამივიწყებენ.
ჩემი უკვდავება დავიწყებაშია.
ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...
და მე მიხარია, რომ დამივიწყებენ.
გავქრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,
მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ,
რომ უდიადესნი არ იკარგებიან,
რადგან უსიტყვოდაც სტოვებენ ნაწერებს.
ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს,
ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთვარის სონატას,
მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,
მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,
სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,
სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება!..
მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუმზერ იმ ველებს,
სად სეტყვამ წაშალა ტალღები ყანათა;
მე ვუმზერ მონასტრებს, რომელთაც აბერებს
ის, რომ ადამის ძეს სიბნელე წარმართავს.
მე ვუმზერ დაცემას საკუთარ ბედისაც,
(ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),
მაგრამ ვგრძნობ, — მეფე ვარ, და რადგან
მეღირსა
ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ!
არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...
გზა — ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...
ემაგ შენს მზერიდან ტაძართა თაღები
თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,
მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...
ყოველ შემთხვევაში, — ცდი ჩემს დავიწყებას...
თუმცა პოეზიას მაინც აბარია
მთვარისფრად ელვარე სულის გასივრცება.
იქ, ზეცის გუმბათში, განცდა მზისებრია,
და ანგელოზები გასწევენ ამქრობას...
გული ჯვარცმულია, სული ბისეია.
მე მაინც შევძელი მანძილთა გაქრობა!..

ვასო ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ცხრის ნახევარი

ნახევარია ცხრის,
ღრუბლები წვიმად ცრის,
ცრემლი ასველებს ქალაქს
ატირებული ცის.
ვხედავ მე დაცლილ გზებს
და მიტოვებულ ბაღს,
წვიმის ნაღვლიან ფრთებს,
შორს — ეკლესიის თაღს.

წვიმა გუბეზე კრებს
ათას პატარა წრეს,
ფოთლებში ვიჭერ, გზად,
წვიმის შხაპუნა ხმებს.
ლანდად გაივლის ბარს,
ვისაც ვეძებდი — ის,
გულში საათი რეკს —
ნახევარია ცხრის.

* * *

რა მანძილი გავიარე დღემდე,
მაგრამ ცეცხლი გულში ღვივის ჯერაც,
ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
სილამაზის ახლა უფრო მჯერა.
მზე ჩაჯდება ოქროცურვილ ნავში,
გაცურდება ლაჟვარდოვან ტბაზე,
მე განვიცდი ზეციერთან კავშირს,
როგორც ჩემგან ცამდე გაბმულ ხაზებს.

ახლაც მინდა უხილავის ხილვა,
შეუცნობლის სურნელებით ვთვრები,
ფუნჯით ხელში დამათენდა დილა,
ქარს დახატავს ოქროსფერი თმები...
მე ამ ქარებს მოვყვებოდი დღემდე,
ამ ქარების ხმა ჩამესმის ჯერაც,
ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
სილამაზის ახლა უფრო მჯერა.

ლურჯი სონატა

ჩემი ფიქრები გაივლიან ნაწვიმარ ცაზე,
ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...
ღმერთო, მიიღე ჩემი ლოცვა, ასე გვიანი,
შენი ნათელი ბილიკებით მინდა ვიარო,
შენ გააჩინე შენს ხატებად ადამიანი,
რომ შენი ტანჯვა, შენი ჯვარცმა გაუზიარო.
ადამიანი ცდილობდა და მუდამ ეცდება,
სუსტი ხელებით აიტაცოს სამყარო სრული,
თუმცა გონება გამოუცნობ საზღვარს ვერ სწვდება,
მაგრამ იდუმალ ოკეანეს განიცდის სული...
თეთრ ნიჟარებთან, ლურჯ ტალღებში, ვარსკვლავთა სხივი
მარჯნის ყვავილებს მოციმციმე შუქით დანამავს,
ზეცის ვარსკვლავი ზღვის ვარსკვლავებს ესაუბრება,
ზღვის სასახლეში მიელიან თევზთა ქარავანს...
ჩემი ფიქრები გაივლიან ნაწვიმარ ცაზე,
ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...

თეთრი აფრები

მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ,
თქვენთან ვერასდროს ვერ დავბრუნდები,
როცა თქვენი ხმა მომენატრება,
მაშინ მე ჩემს თავს ვესაუბრები.
მე ყოველ დილით ნაპირთან ვდგევარ,
გავცქერი სივრცეს დაუსაბამოს,
მხოლოდ ღრუბლები, დაუზარებლად,
ცას მოხატავენ ყოველ საღამოს.
ნუთუ ბოლომდე ასე დარჩება,
ნუთუ ბოლომდე ასე გავქრები...
მაგრამ იქნება ჩემს ჰორიზონტზე
მეც დავინახო თეთრი აფრები...
მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ.

ბაღში რაღაცა გამოიცვალა

დგას ეკლესია პატარა ბაღში;
აქ თითქოს რაღაც გამოიცვალა...
ამ სკამთან ხშირად ვხედავდი მოხუცს,
რომელიც გუშინ გარდაიცვალა.
მოდის საღამო, ზეცა მშვიდია,
ბაღში ვიღაცა უცნობი დადის,
სადღაც ღრუბლები ნელა მიდიან...
და ახლა ვხვდები, დრო როგორ გადის.
მოხუცი მოკვდა. სხვაც ბევრი ხდება.
ვის, ანდა რისთვის დასწყდება გული...
სადღაც, მახლობლად, ჩიტი უსტვენდა,
და ბაღში იდგა სიმშვიდე სრული.
და მაინც, მაინც რაღაცა მოხდა,
აქ თითქოს რაღაც გამოიცვალა...
ამ სკამთან ხშირად ვხედავდი მოხუცს,
რომელიც გუშინ გარდაიცვალა...

წვიმდა

ფანჯარასთან მარტოობა იყო,
ფანჯრის იქით ნაცრისფერად წვიმდა.
პაწაწინა, დასველებულ ფოთოლს,
ახლაც მახსოვს, რაღაცა რომ სწყინდა.
შორს, წვიმაში ჩაფიქრებულ ხეებს,
ცივი ბინდი მწუხარებას ჰგვრიდა.
ფანჯარასთან მარტოობა იყო,
ფანჯრის იქით ნაცრისფერად წვიმდა...

წვიმა ტყეში
**(ტყეში სველი კლდეები საუბრობდნენ. დროდადრო წვიმდა.
ამ სივრცეში ცხოვრობდა წვიმის სიზმარი...)**

ღრმა სიჩუმეა ტყის სილურჯეში,
ნისლი ჩამოწვა, ნაწვიმარია,
გარინდებულა სველი ტოტები,
გუბეს ბილიკი დაუფარია.
ტყეში დამდგარა წვიმის სურნელი,
ფიქრიან ხეებს წვიმაში სცივა,
რძისფერი ნისლის სველ სიჩუმეში
ცივი წვეთები მიწაზე ცვივა.
...ნისლის ბილიკი, ლოდებიც ნისლის,
და ნელი წვიმის ღრმა, მშვიდი ძილი.
მხოლოდ ხანდახან გაისმის ტყეში
სველი კლდეების გამოძახილი.
წვიმის სურნელი დამდგარა ტყეში...

გიორგი ზუხბაია, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

მიუწვდომელი

და გატყდა სარკე სინათლის აქეთ,
ოცნებაც გაქრა, გაქრა უკლებლივ,
მზის ბრწყინვისაგან გატეხილ სარკეს
ანარეკლები მოსწყდა ღრუბლების.
და მაშინ სარკის ნატეხებისგან
გაჩნდა ფრინველი, ფიქრთა ამრევი,
თითქოს თვით სულმა ფრთები შეისხა
და გადაცურა ლურჯი ჰაერი.
ჯერ ნატეხების მტვერმა იღელვა,
გამშვენიერდა, თითქოს ილოცა,
მერე ეს იყო — დიდმა ფრინველმა,
სარკის ფრინველმა ცა გაიოცა.
გაფრინდა თითქოს ჰაერზე მაღლა
და მზის თითებში აღმოჩნდა მალე,
სარკის ფრთები კი ღრუბელთა სახლთან
შეერწყა სივრცის გახელილ თვალებს.
ბრწყინავდა უცხო ხაზების რიგი,
მზეს ეღვრებოდა ცისარტყელებად,
და ცოტა ხანში დაფარა იგი,
იგი, საკუთარ ანარეკლებმა.
სარკის ფრინველი განიბნა ბრწყინვად,
(ასე ხომ ქრება თვით სიყვარულიც),
ჰო, როგორც წყალში დაფლული მინა,
ისიც არ ჩანდა, ცით დაფარული.
ფერად ფრინველად ქცეულმა სარკემ
დატოვა მხოლოდ სიჩუმე სრული...
იმ ფრინველივით მეც მინდა გავქრე,
დამღუპოს ღელვამ საკუთარ გულის!..

მარტოობის განლმერთება

ტკივილს მარადის ფიქრი უძღვოდა,
მოლოდინისგან გრძნობა გამუქდა.
ვიჯექი ზღვასთან, და საუბრობდა
ცისფერი შუქი იისფერ შუქთან...
საკუთარ თავთან ვიგრძენი მტრობა.
გულს ოცნებებმა დიდხანს სდიესო.
ვიჯექი ზღვასთან, და მარტოობა
ვიდოდა წყალზე, როგორც იესო...

აბსოლუტური პოეტი
(ყინულის ხალხი)

ცაში წასვლისთვის როდესაც მზად ხარ,
მაშინ ოცნება მზედ აზიდულა;
არავინ იცდის, არავინ დადნა,
ხვდები — ყინული დარჩა ყინულად.
წასვლა, მიწიდან, არას იძლევა,
გზას ქაოსები, ფიქრთა, აოსებს,
და შენც, მარტოსულს, გაგეღვიძება
იდეალების სასაფლაოზე.
არავინ არის საზღვარის იქით;
გული გაგონებს გრძნობიერ ლითონს;
მაგრამ შენ გჯერა, და რწმენა იგი,
ადამიანო, შენა ხარ თვითონ!..
წყვდიადი მზეთა ჩანჩქერებს ფარავს,
და ქარი, ღრუბლებს, მთებზე მოდევნის...
წასვლა, მიწიდან, იძლევა არას,
მაგრამ წასვლა სჯობს, სანამ მოკვდები...
ცაში წასვლისთვის როდესაც მზად ხარ...

საღამო მწვერვალიდან
(საღამო, განათლებული უფლის ანარეკლით).

ახლა, როდესაც არის სულერთი,
როცა მზის სხივი მთებში ჩავიდა,
მან დაინახა კვამლი სოფელთან,
მას რაღაც ეცნო მთის მწვერვალიდან.
პატარა სახლი, ყამირი მიწა...
მთის მწვერვალიდან მოჩანდა ღმერთიც...
მან დაინახა ოცნების სახე
ახლა, როდესაც არის სულერთი...

ნისლის ალუზია

მთის თეთრ თითებთან, ჰაერი სადაც
ხატავს იისფრად გატეხილ ხაზებს,
ვიხილე ნისლი, ყვავილთა სადა
ფერით გართული.
არ იყო სიზმრად. თვალი დამეფლა
ლანდების ცურვით, და მსხვილ ალმასებს
აფენდა ჰავა ნისლის ტერფებთან,
მზის თბილ ალმასებს.
რა მარტოობა მოელით მაღალ
მწვერვალებს მაშინ, როცა ეს ნისლი
აჰყვება უცნობ ფერდობის აღმართს,
რა მარტოობა,
არავინ იცის, — სიჩუმემ მხოლოდ,
უდნობი თოვლის სიზმარში მყოფმა,
მარტოობისთვის მთებში რომ ცხოვრობს,
სიჩუმემ ერთმა.
მზის თეთრ თითებთან, ჰაერი სადაც
ფერთა უმკრთალეს მარაოს გაშლის,
ვიხილე ნისლი—მოხუცი ბავშვი...

ბრმა კაცი

მე ვარ ბრმა კაცი, თვალები მტკივა,
შორეულ მთებში მზე ჩავა მალე,
და ჩემთვის ვამბობ, რომ ცა ლურჯია, —
ასე ვატყუებ საკუთარ თვალებს.
ისევ მზის ცეცხლი გულში ჩაიდნობს
უმზეო თვალთა მინას მინანქარს,
მე ვარ ბრმა კაცი, მაგრამ ნუ დარდობ, —
როცა შენ მოხვალ, მე დაგინახავ.
შორეულ მთებში, დღეთა დუმილში,
ცას ეფინება ფრინველთა გზები,
და თვალებს ტკივილს გაუფანტავენ
ჩემი ოცნების მწუხარე ფრთები.
თვალებს ამ გრძნობამ მზე დაანახა,
ო, როგორ ჰგავდა ბედნიერებას!..
და როცა ვიგრძნობ, რომ შენ აქა ხარ,
დავიწყებ შენი თმების ფერებას.
და მოგატყუებ, რომ ვხედავ ისევ
შენ ოქროს თმებში დარჩენილ ყვავილს,
შენს მოკამკამე პატარა თითებს,
და გვირილების გვირგვინებს დაშლილს.
და როცა მთებში მზის წითელ სხივებს
საღამოს ბინდი მოაიავებს,
ასე იტყვიან, რომ ვიღაც კაცი
ეფერებოდა გამჭვირვალ ჰაერს...
ისევ მზის ცეცხლი გულში ჩაიდნობს
უმზეო თვალთა მინას-მინანქარს,
მე ვარ ბრმა კაცი, მაგრამ ნუ დარდობ, —
როცა შენ მოხვალ, მე დაგინახავ.

გრანელისათვის
(იგი იყო გენიალური ქართველი პოეტი, ქართულენოვანი ლექსის მოცარტი.)

ბევრია ლექსი, — ლექსებს ვინ ითვლის,
სულს პოეზიით სურს — რომ დაიწვას.
მე დავიბადე მხოლოდ იმისთვის,
რომ ჩემი სევდა ენახა მიწას,
მიწას რომელსაც უკვე დავცილდი, —
რა ტკბილი იყო ეს განშორება!..
(და როგორც ბავშვი მოხუცს დასცინის,
ვამბობ, — დამცინა ჩემმა ცხოვრებამ!)...
დღეს მწვერვალია ჩემი ფიქრის მთის, —
აქ ვარ, ხმაური მე აღარ მესმის...
მე დავიბადე მხოლოდ იმისთვის,
რომ წამეკითხა გრანელის ლექსი!

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

მამის სახელით გვცნობენ

როცა ფიქრები წამეკიდება,
როცა ჩამძირავს ეგზომ,
ჩემი ტკივილი ილაპარაკოს –
შენს მოღობილმა ეზომ.
იმ გაკეთებულ სიკეთეს შენსას
არ გიკარგავენ ღერსაც,
ხალხის ურვა რომ მიგქონდა გულთან
იხსენიებენ დღესაც.
მათზე მზრუნველი იყავი რადგან,
აუგს როდესაც გმობდნენ;
- მისი შვილები ჩამოვიდნენო,
დღესაც შენითა გვცნობენ.

მილიონი მოწმე

მილიონი სასამართლო,
განა შენი, განა ჩემი,
მილიონი მოწმეა და
მილიონი განაჩენი.

სასწაულად მეც მომიწყონ,
სასამართლო თუნდაც ერთი,
ჩემს სიმართლეს დამოწმებს,
ძირს მიწა და მაღლა ღმერთი.

პარადოქსი

მაიმუნობდა მაიმუნი, ,,ვოლვოს“ სარკმლიდან,
ბანანს, ანანასს, ატმის კურკებს სადღაც ისვრიდა,
გამლხვალ ნაყინს და ფანტას ზუსტად ისე წრუპავდა,
რომ ერთ ბეწვსაც კი, ერთ ღერ ბეწვსაც, რომ არ ისვრიდა.
იქვე, კუთხეში, დედაბერი იჯდა ძაძებში,
და მოთმინებით, დამჭკნარ სახით გამვლელს უცდიდა,
მისი ჯერი რომ დადგებოდა, ის იმ წამებში
ნაჯაფარ ხელებს სამათხოვროდ გამვლელს უწვდიდა.
შუბლზე აწერდა კაცს თავის ბედს, ბედის მწერალი,
ავსაც და კარგსაც, როგორც სურდა ისე ბედავდა,
უირონიოდ ღმერთს შევხედე მწარე ღიმილით
დიდ ღმერთს, რომელიც ყოველივეს თვალით ხედავდა.

ვჯობივარ

ქმარი ქუჩაში დამიდის,
თავის ლამაზი თვალებით,
არვისზე არ ვეჭვიანობ,
ვერ მაშინებენ ქალები.
არც მე ვაშინებ არავის,
არწივი და არც ორბი ვარ,
ქმარი არავის შეხედავს
ვიცი სუყველას ვჯობივარ.

თვალებით

სიტყვებით რადგან არ ძალმიძს,
გიხნის სიყვარულს თვალებით,
შენ ვერ მიხვდი და მიმიხვდნენ
ყველა, კაცნი თუ ქალები.
ნეტავი რით ვერ ჩაუწვდი,
გრძნობის თვალებით ახსნასა,
შე კაი კაცო, ხო მარ გთხოვ:
თოხნას, ბარვას და ან სხვლასა.

ერთ ღამეზეც

ქალებზე მომისმენია:
ლამობენ გრძნობის არა თქმას,
მე ისიც მომისმენია:
ზოგჯერ თქმა რომ სჯობს, არა თქმას.
დღემდის თუ დუმილს ვარჩევდი,
და ამოვიღე ახლა ხმა;
ჩემი საქმისა მე ვიცი
ერთ ღამეზეც ვარ თანახმა.

ერთ დროს

ვხვდები: კარგად გრძნობ, (თუმც არას ვამბობთ),
რომ უღვთოდა ვარ შენგან პყრობილი,
რომ შევთხოვ უფალს; ფიქრის ახდენას,
დაჩოქილი და ხელაპყრობილი.
ვიცი ზეიმობ, (იცინი იქნებ),
შენს წინ, როდესაც კანკალსაც ვიწყებ,
თუმც მინდა მიხვდე: - როგორც სხვა, ბევრი,
ერთ დროს შენც ისე გადაგივიწყებ.

გ-უ-ლ-ნ-ა-ზ ხ-ა-რ-ა-ი-შ-ვ-ი-ლ-ს

გ – გულით დაგაქვს საქართველოს დიდება,
უ – ნდა შენი... დავიღალოთ ფერებით,
ლ – ამაზ ჰანგით რომ უგალობ ქვეყანას
ნ – აზ გრძნობით და მინდვრის ყვავილფერებით.
ა – ზარფეშა პოეტისა ღვთით გერგო!
ზ – არებს რეკენ შენეულა რითმები,
ხ – არ სამშობლოს ქალი – ლექსით მეხოტბე...
ა – ნას შემდეგ – პირველად რომ ითქმები.
რ – არიგ გშვენის მასე წმინდა მანდილი,
ა - ქროსტიხის ფერ-მადლშიც არ იჭრები...
ი – სევ ლექსის თბილი ფრთების კამარით
შ – ენი სტროფის ბწკარით ღმერთთან იჭრები.
ვ – იამაყებ, რადგან დღეისდღეობით
ი – ვერიის წმინდა ,,**ათინათი**“ ხარ!
ლ – ამაზ რითმის, ლექსთა ბაირაღებით,
ს – აქართველოს დიდ ჩირაღდნად ანთიხარ!

მომენატრე დედა
(ლექსს ვუძღვნი საზოგადო მოღვაწეს, პოეტ გულნაზ ხარაიშვილს)

გ – ული თუმცა არ მწყდება ჩემით,
ე – ხლა მეუფლება სევდა...
ლ – ამაზ თვალს რომ გივსებ ცრემლით
ა – მად მენანები **დედა**.
ს – იხარულს დაგანატრე – ვიცი
ხ – არ თითქოს ვითომდა... მხნედა,
ი – ს დრო მენატრება იცი...
რ – ომ ლექსს მიკითხავდი **დედა**.
ტ – ანში ჟრუანტელი მზარავრს,
ლ – ოყას ცრემლიანს რომ ვხედავ,
ა – ხლა კი გაგიმხელ მთავარს: -
ძ – ალიან მომენატრე...
ე – ხლაც შენზე ვნაღვლობ **დედა**!...

მიმოზა ცანავა

შენ ხარ, მამულო!

მზე როგორც სიცოცხლის წყაროა,
მაცოცხლებელი შენ ხარ, მამაულო!
როგორც რუსთველის უკვდავი წიგნი,
გზის გამკვალავი შენ ხარ, მამულო!
როგორც დავითის უთქმელი სევდა,
ფიქრთა დამტევი—შენ ხარ, მამულო!
ვით სულხან—საბას სიბრძნე—გონება,
დამრიგებელი შენ ხარ, მამულო!
როგორც აკაკის მდუმარე ლანდი,
მათრთოლებელი—შენ ხარ, მამულო!
ვით ლელთ ღუნიას მართალი სიტყვა,
დიდი ილია, შენ ხარ, მამულო!
,,ვით ნიკორწმინდა ცამდე აწვდილი”,
გალაკტიონი შენ ხარ, მამულო!
„ის გაუთლელი ლერწამის ღერი”,
ო, ტიციანი შენ ხარ, მამულო!
ვაჟას დაჭრილი ლუხუმის კვნესა
და მთის არწივი—შენ ხარ, მამულო!
პატარა კახის გონების ძალა
და აღმართული ხმალი მტრისაკენ—
შენ ხარ, მამულო!
ლადოს კრწანისის ყაყაჩოები
და დიდებული სადარბაზონი
შენ ხარ, მამულო!
და დიდოსტატის მოჭრილი მკლავი,
კონსტანტინე ხომ— შენ ხარ, მამულო!
ჩემი გრანელის უსაზღვრო სევდა,
განცდა, ტკივილი, შენ ხარ მამულო!
შინმოუსვლელთა საფლავები,
ძაძად ქცეული ქართვლის დედაი—
შენ ხარ, მამულო!
სხვათა ცოდვათა მიმტევებელი,
გმირთა გამზრდელი და დამმარხველიც
შენ ხარ, მამულო!
გადაგლეჯილი დედის ძუძუი ასე წამებით,
გაუძლის დღეთა ვაი—ვიში— შენ ხარ, მამულო!
თვალს რომ მიხელ და თანაც მიბნელებ,
გრძნობას რომ მართმევ, განცდას მიმატებ,
ღამეს უძილოს მათევინებ და
გულისგულამდე მათქმევინებ მხოლოდ
სიმართლეს,
აი, ვინა ხარ, ჩემო მამულო!
წმინდად ნაკურთხი, ნასათუთარი
ღმერთისგან ასე დალოცვილი ძლიერი ერი,
დიდი ტაძარი ლოცვის და რწმენის,
შენ ხარ, მამულო!

ვერ დაგარბიეს, ვერ მოგხარეს,
მაგრამ ვაი, რომ სიმი გაწყვიტეს,
ის გაწყვეტილი სიმთა კვნესა—
შენ ხარ, მამულო!
აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩემი იარა,
ჩემი ჭრილობა, შენ ხარ, მამულო!
ვაი, დედასა! რა ყოფილა სიკეთის ძალა,
ვერ მოერია მუმლი მუხას, ვერ მოერია,
ვერ შევეგუე ამ შინაურ შურსა დაღალატს.
გიფარსადანეს! ძმამ გადაგკრა მწარედ მათრახი,
მაგრამ გონება არ დაკარგე და დარჩი ბრძენად,
ვერც პირფერობით, ვერც მახვილით,
ვეღარც მუქარით,
ვეღარ წაგართვეს ქართული ენა,
დგახარ ამაყი! ვით მზის ტაძარი!
დაარეკვინე მოყვასთა შენთა სხივთა ზარები,
შემოიკრიბე ერთგულები, რომ დაგიკოცნონ
ნამიანი სველი თვალები.
შენი შვილები შველას ელიან, მამულო ჩემო!
ნუ გეშინია, გაშალე შენი ძლიერი ფრთები,
არცროს მოკვდები!
უძლეველი ხარ! უძლიერესი!
ვერ შეგიცვალა მტერმა იერი, რომელი ერთი
გაგიხსენო, მამულო ჩემო!
ქალები გინდა? ქეთევანი! დიდი თამარი!
რწმენის კედელი, ურყევი ძალა!
იყავ სულდიდი, იყავ თამამი და ამიტომაც
ერევი ღალატს!
ვერ მოგეფერე საკადრისად, ვერ გითხარი
ჩემი სათქმელი:
მაცოცხლებელო, მაამებულო, მიმტევებელო,
ლაღო, ამაყო, ზოგჯერ უძლურო, მაინც ძლიერო,
ლუკმის გამყოფო, შემფარვებელო,
თვალმარგალიტო,
აუწონავო, განძო ურიცხვო და ჯიშიანო,
პირმოხატულო,
ცრემლიანო, ფიქრთა დამტევო, ასე ზღაპრულო,
ასე ნატრულო,
ცეცხლოვანო, დალოცვილო, გაზაფხულის ვარდო
უჭკნობო,
ხან შემოდგომის ჩუმო სიყვითლევ, სიზმარო მწარევ,
თანაც ტკბილო, ახდენილო და აუხდენელო, დიდო
სიმაღლევ,
სულის წუხილო, მზის ნათელო, ხან ღამის ჩრდილო,
შფოთავ და შვებავ, არმოსაწყენო სიტყვავ და ქნარო,
ვარსკვლავთ ნათებავ, მარადისობავ, უსასრულობავ,
დღევ საოცრებავ, დღევ სასწაულო,
ჩემო რწმენავ და ჩემო იმედო,
აი, ვინა ხარ, ჩემო მამულო!

იამზე ჭელიძე

მინდა გავფანტო ბურუსი დროში

ჩემს სურვილების უსაზღვრო ფრენას
თუ არ გავუღე მე ფართედ კარი,
მომკლავს მე მძიმე ცხოვრების თმენა,
კარს შემომიმტვრევს ცივი ზამთარი.
და მერე სულიც გაიყინება
ის არასოდეს გაიყიდება,
ახლა ავდივარ მწვერვალზე თმენით,
მინდა შევიგრძნო დიდება ჩვენი.
მინდა გავფანტო ბურუსი დროში,
მინდა სიამე შევიგრძნო მოსვლის
ამ ქვეყნად, რათა ვიცხოვრო მზეში,
მეც მქონდეს ჩემი ფერი და ეშხი,
მაგრამ ხომ ვხედავ, ქვეწარმავალი
მოდის, რომ მოსპობს მე წარმავალი
დროზე ადრე და ჩამკეტოს ბნელში,
მე ფხიზელი ვარ, ყოველი მესმის.
ავდივარ თმენით მწვერვალზე ისევ,
თან წამომყევი შენ სიხალისევ.
დავაგუგუნო სიმღერა ჩვენი,
ისევ ვიცხოვროთ ჩვენ აღმაფრენით.

* * *

არ ვიცი ახლა ფიქრიც გამირბის,
ამ აღელვებას რა მოვუხერხომ
დროვ, რამდენ ნათელ ფერებს დამპირდი,
მე გადახიზვნა ნუთუ არ მეყო.

* * *

რამდენმა ფიქრმა დაიდო ბინა
და გაიშალა ლოგინიც ჩემთან.
ვერ დამამარცხა დრომ, თუმც მიკბინა,
მაინც ვუმღერე ლამაზად

სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი

სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი,
არ დაიკარგა, იგი შეიცნეს.
მე შორი გზიდან მისკენ მოვრბოდი,
ცრემლი მოვწმინდე, ისე შევიგრძენ.
და ახლაც მახსოვს სტრიქონი მისი,
ახლაც ვმღერივარ ჩემს გულში უხმოდ,
ყველა დაჩაგრულს მე მისკენ ვუხმობ,
ლექსი ლამაზი სიმაღლის ღირსი
ყველას ანცვიფრებს, ყველას და ეტრფის,
რადგან დევილი შორიდან მღერის,
სულიერებავ, მე ვცხოვრობ შენთვის,
კიდევ და კიდევ სათქმელი ბევრი
გაქვს საოცნებო მქუხარე ლექსო,
შენი სიმაღლით შეივსოს ყველა,
ფესვ-ძარღვიანი სტრიქონი ვკვესოთ,
მარად დახატოს ცა ცისარტყელამ.
სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი,
არ დაიკარგა, იგი შეიცნეს.
მე შორი გზიდან მისთვის მოვრბოდი,
ცრემლი მოვწმინდე, ისე შევიგრზენ.
ჩემს ცას.

მაინც შემოვა იმედის წამი

ლექსი ობოლი ჩემთან ხალისობს,
რა ქნას, თუ ლხენის ფუძე დაენგრა.
რა ქნას, თუ ჟამმა თვალი დაუვსო,
რა ქნას, თუ დიდი ზნე დღეს დაეცა.

* * *

ამოვისუნთქე, როგორც მინდოდა
მშვენიერებავ, შენთან მოვედი
და სულში ჩაწვა დიდი მშვიდობა
და უფრო მეტსაც ახლა მოველი.

მაინც შემოვა იმედის წამი,
მაინც დასჭექავს სიტყვა მეფური
და გვეტყვის მაღლით, ყველას სალამი,
დღეს ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის.

მეტ სითბოს მჩუქნის

უიმედობა წამოვაჩოქე
რწმენა, იმედი, მაინც ვაჩუქე
დაბინდულ ფანჯრებს მოევლო შუქი
ახლა უფალი მეტ სითბოს მჩუქნის.

ვუძღვნი რუსუდან გურალიას

სამოთხისფერი ღიმილი გქონდა
კოლხურ ბუნებით გამთბარ თვალებში,
და სისათუთე კეთილს გახსოვდა
შენს სიყვარულში უმხურვალესში.
ანგელოზური ეგ მზერა თბილი
მრავლის გულებში ტრფობას ბადებდა,
ხატისფერებით იყავ მოსილი,
ფრესკის ანგელოზს დიდ შუქს გაძლევდა.
ის რომ მშვენების დედოფლად ჩანდი
მხატვრის პალიტრის აელვარებით,
ეხლაც უდიდეს სიამედ დარჩი
ლამაზი სულის გულის კარები,
ღია გაქვს და მეც გიძღვნი ყვავილებს
გავხარ გაზაფხულს მარად რომ ღიმილს
უტოვებს ყველას მეტსაც აპირებ
ძგერს უკვდავების მაღალი სიმი
სამოთხისფერი ეხლაც გაჩნია
ნატრისთვალივით მოსჩანხარ ხშირად
შენს ირგვლივ უკვე შუქთა განშლაა
მაგ შენს ღიმილში საოცრად თბილა.
მე მიხარია შეხვედრა შენთან
კოლხურ სიამეს უხუნარს გხედავ,
ვხედავ ჩვენს შორის მხატვარი ჩნდება
უფრო მდიდრდება სილაღე ფერთა.
დე, ქართულ ზენამ გიყუროს დიდხანს
დე, სიხარული გიღებდეს კარებს
მშვენიერებავ კოლხური მზით ხარ
იარე დიდხანს და გაიხარე.

სადამდე ასე, ღმერთო

ამ დროის სუნთქვა ზოგჯერ კარგია
ზოგჯერ მწარე კვალს ტოვებს,
დროში მგზავრები ზოგჯერ გარბიან
ბრაზით ტოვებენ ყოველს
და თავდაყირა დგება ფიქრები
შლეგი კვლავ ჭარბობს კეთილს
შენც აღარ იცი საით იქნები,
ჟამია სულის ცვეთის
მერე ცისკარი გამოანათებს
რყევას ერევა წუთი,
დრო ამბობს ისევ მშვენიერ სათქმელს
ფიქრობ, რა დიდხანს ვწუხდი.
მერე კვლავ ხახას გააღებს ბინდი
დაგძაბავს, შეგძრავს ერთობ,
როგორ დარჩები ბოლომდე მშვიდი
სადამდე ასე, ღმერთო.

ლამზირა შეყილაძე

ერთხელ მაინც

ერთხელ მაინც გაიბრწყინე სიხარულო ბოლომდე
რომ შევივსო შენი ეშხით, სულში აღარ ბოლავდეს.
ვთქვა: მივლია მაინც გზებით სანეტარო წამებში
ახლაც გელი სიხარულო, მხოლოდ შენ მიწამლებდი.
უშენოდ ხომ დარღვეული ქაოსური რბოლაა
გაავება ცხოვრების და ხელჩართული ბრძოლაა.
სიხარულო შესდექ, გვედრებ, ხარ მეუფე სულისა
თორემ ჟამი გადამკიდე, მიშენს უღვთოდ სულ ისარს,
სიხარულო, მოგდევ ლოცვით: მცირედ მაინც მაამე
აღარ მინდა სურვილებში ცრემლიანად დაღამდეს,
სიხარულო, ისევ გელი: ნუ დამტოვებ უშენოდ
ჩემს ცხოვრებას ერთხელ მაინც გაბრწყინდება უჩვენო.

მერე

მოხვალ თუ არა? არ ვიცი ახლა,
უიმედოა შენი წერილი,
გულს ჩამისახლდა შეშლილი დაღლა,
სიმარტოვესთან ჯვარდაწერილი.
დამატარებენ უგზო-უკვალოდ,
ავი ბედი და ცეცხლის ეტლები.
გული მოგიძღვენ წმინდა, უბადლო,
ნეტავი მასში რად ვერ ეტევი?!

ხვალ შემოდგომა დაკარგავს ძალას,
სხეულში ზამთრის სიცივე მივლის.
მე შენზე ფიქრმა დამღალა განა?...
ვწუხვარ რომ წლები უშენოდ მიდის...
ვერ გაპატიებ მდუღარე ცრემლებს,
ამდენ ლოდინს და ამდენ სიცივეს...
და როცა მოხვალ, შემოგხვევ ხელებს,
მერე... არასდროს არ მოგიცილებ.

28/ X 2013 წელი

გულს რა დაემალება?!

წუხელ სიზმრად ვინც მეწვია,
ის არ იყო საბედო...
კარს ვკეტავდი, ვერ დავკეტე,
კარი უგასაღებო.

ახლაც თვალწინ ჩამიარა,
მონუსხულმა თვალებმა...
ის არ იყო ჩემი თორემ,
გულს რა დაემალება?

2013 წელი

დედა

ნუ სწუხარ დედა!... რომ ვერ მოვედი,
თუ ამერია დროებით კვალი.
ჩემთან ხარ მარად, ჩემში თენდები,
ჩემში ანთიხარ სულმნათი კვარი...
შენ სიყვარულის მგზავრი ხარ ქვეყნად,
სიყვარულით გაქვს გული ავსილი.
ლოცვით საუბრობ შენ დიად ღმერთთან,
ზეცისკენა გაქვს მზერა აწვდილი.

შენ ხარ ნათელი, ბნელის მკვესავი,
მოგძალებია მამულის ჯავრი...
უერთგულესი თბილი მზესავით,
სამშობლოს უმზერ, ვით უფლის ჯვარი.
ნუ სწუხარ, დედა!... რომ ვერ მოვედი,
შენკენ გამორბის გონების თვალი.
მოვალ და ისე მოგეფერები,
გულში არ დაგრჩეს ტკივილის კვალი.

13. 08. 2013

მამას

არ მიყვარს უსამართლობა,
თითქოს ასლი ვარ მამის!...
დღეს ამოვხსენი მამიკო,
მიზეზი შენი დარდის...
ცდილობდი მალე მესწავლა,
დედამიწაზე ფრენა,
რომ არ შემშლოდა ამქვეყნად,
სიხარული და ლხენა...
შენს ყვავილს არ შეხებოდა,
ქარი აშარი, ზენა...
ჩემში სიმორცხვეს ბადებდა,
შენი თვალების მზერა.

ისევ ის მშვიდი გოგო ვარ,
მჯერა შორეულ ამბის.
რა ძლიერ მომნატრებიხარ,
გულში ტკივილი დადის...
კრძალვით მივყვები ცხოვრებას,
წლები რაც მეტი გადის.
თუმცაღა მამა აღარ მყავს,
მაინც ხათრი მაქვს მამის.
არ მეშინია ამქვეყნად,
სევდის და არცა დარდის.
მამა ზეციდან მამხნევებს,
მჯერა ღვთაებრივ მადლის...

10. 10. 2013წელი

თუ მოდიხარ...

შემოდგომა მიილია,
ზამთარს თრთოლვით შევყურებ.
მოდიხარ და ვერ მოხვედი,
მოვკვდი შენი შემყურე.
დღე და ღამე შენზე ვფიქრობ,
ღამე ნერვებს მიწეწავს...
გული შენი მომლოდინე,
ზღვის გულივით მიღელავს.

ღამე ნისლში გახვეულა,
პირველს ათი აკლია...
შენს ბარათებს ვკითხულობ და
გულში ცეცხლი ანთია...
თუ მოდიხარ, მოდი მალე,
გულში ჩამცხე მახვილი...
ყვავილები დამაყარე,
შენი ცრემლით დაღლილი.

27/ X 2013 წელი

* * *

როგორ მიკვირს ამ ქაოსში,
ამდენ ხანს რომ ვიცხოვრე...
ღმერთო!... რომ გარდავიცვლები,
სული... მაინც მიცხონე.

ამირან შალიკაშვილი

* * *

ბათუმში წვიმს,
ბათუმში თოვს,
ბათუმი წარსულ,
ოცნებას მთხოვს.
ბათუმის მზე და
ბათუმის ზღვა
წასულა ჩემგან
ძალიან შორს.
ბათუმის ღამე,
ბათუმის ზეცა,
ბათუმი სულის
სიმღერად მექცა.
მინდოდა სიტყვა
ბათუმზე მეთქვა,
ვიღაც ბათუმზე
სიმღერას სწერდა,
ბათუმში დარჩა
ოცნება ჩემი,
ზღვისა და ცისა
ნამღერი ფერი.

საოცრებათა
გადამრჩენელი
ბათუმი არის
ედემი ვრცელი.
ბათუმში მოდის
ოცნების გემი,
გემს ალამაზებს
ცის ცისარტყელი.
ბათუმი ცოცხლობს
ზღვის ზღვისა ფერით
ბათუმში დადის
ოცნება ჩემი
ბათუმში წვიმს,
ბათუმში თოვს,
ბათუმი წარსულ,
ოცნებას მთხოვს.
ბათუმის მზე და
ბათუმის ზღვა
წასულა ჩემგან
ძალიან შორს.

მოვიშორე ის,
შევიყვარე ეს,
როგორ შევხვდე იქ
სიყვარულის ღმერთს.
მოგიშორე შენ,
მოვეფერე მას,
უნდა ვუღალატო
ყველა ლამაზ ქალს.
ღმერთო, დაიფარე
ვისაც ერთი სწამს,
ერთგულება ერთის
წაუღია ქარს.
ეს ლამაზი ზეცა
მრავალ ფერში სჩანს,
ერთი ქალი როგორ
დაამშვენებს კაცს,
ღმერთო, შემახვედრე
ქვეყნად მრავალ ქალს,
მარად ამღერებულ
ყვავილების ზღვას.

ათინათი

მე ყოველ წამს ვხვდები
ფერიცვალებას.
მრავალ ფერში ვხედავ
მზეს ცით ამოსვლას,
მთა-ბარს ამწვანებს,
ფერთა ფერში ცვლას,
ერთი არაფერი
ქვეყნად არა მწამს.

მრავალ შვილთაშვილებს
დავულოცავ გზას,
ამდენ სილამაზეს
როგორ მოსწყვეტ თვალს.
ჩემს გულს მრავალ ქალის
უბედობა ჰკლავს.
რა ვქნა, სიყვარული
მრავალ ქალის მწამს,

ქალი დამილოცეთ,
კაცის გულს ვინც ჰკლავს...
მოგიშორე შენ,
მოვეფერე მას,
უნდა უღალატო
ყველა ლამაზ ქალს.

ქალბატონ მარინა თბილელს

სულო ატირდი, ატირდი,
ცრემლებო, ტკივილს ჩაბარდი,
ჩემო ლამაზო მზეთამზევ,
მუდამ ქალღმერთად გსახავდი.

დღეს ჩვენ სულიდან გაბრძანდი,
ალბათ ყვავილებს ჩაბარდი,
აქ ვარდებს ედარებოდი,
იქაც ვარდებად გამრავლდი.

* * *

მატარებელი მიდის, ხმაურობს,
აწყობილ რიტმში ცეკვა მინდება,
სიამოვნებით შენთან ვიცეკვებ
ასე ჩამძახეს ჩემმა ფიქრებმა,
მატარებელმა მთები დალაშქრა,
ჩამოიტოვა მწვანე მინდვრები.
ვიცი უფრთებოდ სადღაც მივფრინავ...
სივრცეს მიჰყვება ჩემი ფიქრები.
მატარებელი გვირაბს მიაპობს
უკან რჩებიან მთები ნისლები,
შენთან მოფრინავ მთელი არსებით,
წიფის გვირაბს არ შევუშინდები,
მატარებელი გამითამამდა,
უკან რჩებიან მთები, ნისლები,
ყველა ხეს და ბუჩქს ვემშვიდობები,
მემშვიდობება ხმათა რიტმები,
მატარებელი მიდის, ხმაურობს,
აწყობილ რიტმში ცეკვა მინდება,
სიამოვნებით შენთან ვიცეკვებ,
ასე ჩამძახეს ჩემმა ფიქრაბმა.

* * *

თოვლი, თოვლი, თოვლი,
თოვლი, თეთრი თოვლი,
თოვლი უთოვია,-
თეთრად თეთრი ბროლი.
თოვლმა ჩამოთოვა
მოუთოვარ თოვლში,
ჩემო თეთრო თოვლო,
თეთრად ციდან თოვდი.
ღმერთო დამილოცე
თეთრად თოვლის თოვა,
რა კარგია თოვლმა
წელს რომ შემომთოვა.
თეთრი თოვლის თოვამ
რომ არ მიმატოვა,
თოვლის თეთრი ფიფქი
ფანჯრებს მიათოვა.
იმ ცისფერმა ზეცამ
თეთრად ჩამოთოვა,
თოვლმა თეთრი კაბით
ჩემს ნინ ჩაიქროლა.

* * *

გახსოვს, გახსოვს, ვთამაშობდით
ნეტავ ის დრო სად არის.
მე წითელი ვაშლი მქონდა
ვმალე, ფაფუ, სად არის!
ვერ იპოვე და ცრემლები
წამოგცვივდა ბავშვივით...
დაგანახე, კვლავ დავმალე,
ფაფუ, მითხარ – სად არის.
ბავშვებივით ვთამაშობდით,
ბავშურ გრძნობით გეტრფოდი.
გახსოვს, სახეს გიკოცნიდი
და ბუჩქს ვეფარებოდით.
გავა დრო და დავბერდებით,
ვიტყვით, დღენი სად გარბის,
ცხოვრებაც ხომ თამაშია
ფაფუ, მითხარ სად არის.

* * *

სიბნელეს აპობდა სანთლების შუქი,
ზამბახებს არხევდა ტანჯული ქარი.
იდგა და ტიროდა, იდგა და ტიროდა,
შავებში ჩაცმული მწუხარე ქალი.
საფლავს დასტიროდა, საფლავიც ტიროდა
გლოვობდა ცხოვრებას ბნელეთი მწყრალი.
ყველა ტანჯული იმ ქალს დასტიროდა,
სტიროდა შავებში ჩაცმული ქალი.
სიბნელეს აპობდა სანთლების შუქი.
თავაწყვეტილი დაჰქროდა ქარი,
იდგა და ტიროდა, ცხოვრება ტანჯული
და მასთან ცრემლს ღვრიდა მწუხარე ქალი...

* * *

ღმერთო, ეს გოგო მიცოცხლე,
როგორც ვარსკვლავი ცისაო,
ღმერთო ეს გოგო დალოცე,
როგორც ნათება მზისაო...
ღმერთო ეს გოგო აფრინე,
როგორც ხოხობი ტყისაო,
ღმერთო ეს გოგო მაჩუქე.
ვითარცა სხივი მზისაო.

ლეილა შუბითიძე

ნატვრისთვალი

ახლა რომ ნატვრის თვალი მქონდეს,
იცით რა იქნება ჩემი პირველი
ნატვრა, მთავარი?!
ვინატრებ: საქართველო გამთლიანდეს,
გაძლიერდეს, გამზიანდეს
მტერი არ ვგყოლოდეს მრავალი...
შეწყდეს შუღლი, მტრობა,
შიდა აშლილობა,
გასაგონად ვამბობ მავანის,
ვერავინ გაგვიბედოს საზღვრის გადმოწევა,
მიწიდან ამოგვიგდოს
წინაპრის ჩაგდებული ქვა გამყოფი-სამანი...
და, ახლო მომავალში საქართველოს
მეფედ ყოფილიყოს ქალი.
ნინო, ელისაბედ, ელენე, მარიამი, თამარი.
ჩემი თუ შენი, არა აქვს მნიშვნელობა,
— სახელიც არ არის მთავარი...
მხოლოდ იყოს ნაღდი ქართველი,
პატრიოტი, ძლიერი, ჭკვიანი,
ერთი სიტყვით ისეთი, როგორც
იყო მეთორმეტე საუკუნეში,
მეფე თამარი.

მონატრება

ძალიან მინდა
მივცე სათაური,
სახელი
ყველა ჩემს ლექსს
მაგრამ მე, მინდა თუ არა,
— თავის და უნებურად
სამშობლოზე,
ჩემს სოფელზე,
ჩემს ხალხზე,
ჩემს მიწა-წყალზე
მონატრებაზე ვწერ.
ასე რომ მონატრებას
დავარქმევ
ყველა ჩემ ლექსს.
ასე მგონია,
თითქოს მონატრება
ყველა ჩემ ლექსს წერს.

* * *

გარდაიცვალა,
მაღალფარდოვანი,
სიყვარულით გამთბარი სიტყვები,
და უჩვეულო ბევრი,
ნაირფერი ყვავილების ზღვა...
ვიღაცას წამოცდა,
„ამდენი ყვავილები,
ასეთი სითბო,
სიცოცხლეში რომ ენახა,
ამ საცოდავს“,
— რაღა მოკლავდაო ცა...

* * *

როგორ მომაკლდა
დედაჩემის ბებრული ხელი,..
მისი სითბო და
მისი სიტყვის მადლი, მარილი..
ამას ამბობდა კაცი შუა ხნის,
ცხოვრების შაბში
გაწმენდილი, გამოყვანილი...
ვიცან ტკივილი ყველასერთა,
არა უბრალოდ ენის ქავილი.

* * *

„Ясная поляна,”
— აქ დღესაც თითქოს
დადის, დააბიჯებს
მოხუცი, წლებით
გათეთრებული
დიდი მწერლის
მშფოთვარე, მაგრამ
ბრძენი სული,
მართლა სასწაული.
აქ ერთი პატარა ბუჩქიც,
მიწის ნაგლეჯიც არ არის,
რომელსაც უბრალოდ ისე,
— გვერდით აუვლი.
თითქოს რაღაცა მშობლიური,
თბილი შეგრძნება მეუფლება,
როცა აქ დავსეირნობ,
სულს მოყიალეს,
აბა რას დაუშლი.
იქ სადღაც შორს,
ჩემს მშობლიურ სოფელში,
მთებში რომ დაიძახებ,
და ეხო, მარტო ყურებში კი არა,
გულშიც რომ გაუვლის.

* * *

კიდევ ერთი ქართველი
გოგო გათხოვდა...
ცოლად გაჰყვა,
არა ქართველს, — სხვას...
ვინ მისცა ქართველ ქალს,
სათავისოდ ჭკუა,
ან ქართველ მამაკაცს ფხა...

* * *

და ვგავარ ახლა,
გაზაფხულის პირველ ყვავილს,
ფურცლებ-გაყინულ ციცქნა ენძელას...
მთელი ცხოვრება თოვლქვეშ
რომ ეძინა,
მზემ გამოიტყუა და გაღვიძება,
— ასე რომ ეძნელა.

* * *

როგორ მომაკლდა
დედაჩემის ბებრული ხელი,..
მისი სითბო და
მისი სიტყვის მადლი, მარილი..
ამას ამბობდა კაცი შუა ხნის,
ცხოვრების შაბში
გაწმენდილი, გამოყვანილი...
ვიცან ტკივილი ყველასერთა,
არა უბრალოდ ენის ქავილი.

დავით ტიგინაშვილი (ივრისპირელი)

საქართველოს მატიანე
(ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს ილია II-ს)

აყვავებულა ქვეყანა,
ცაში ჭიკჭიკებს ფრთოსანი,
იხარე, ჩემო სამშობლოვ,
სიტყვას იძახის მგოსანი.
ღმერთო, ნეტავი ამ ლექსის
რითმები არსად გამექცეს,
თუ რამე გულით არა ვთქვა,
თავზე ოჯახი დამექცეს.
ნეტავი, ჩემო სიტყვაო,
ქართველს დასდევდე ლანდივით,
ისედამც დამშვენებოდე,
სულში ჩაგაწნა ვარდივით.
იმღერეთ, ჩემო ბნკარებო,
ღვინო დამისხით ლომფერი,
იქნება ისე ჩამავთვრე
გული გამისკდეს ოხერი.
ცრემლი მიმძიმებს წამწამებს,
როცა გავხედავ ანანურს,
რა შეედრება ცისკარზე
კელაპტრიშვილის სალამურს.
რა სუფრა გაიშლებოდა,
შენ არ დაგეტკბო ოხერო,
სადა ხარ, ქართვლის ბულბულო,
გონაშვილების ბოკვერო?!
დიდება, ვინაც პირველად
მაღალი ღმერთი ახსენა,
ვინც ქრისტიანად განათლა
ჩემი გოგლა და არსენა.
თვით ლომებს ერკინებოდა
ბერმუხა კულა-გლდანელი,
ღმერთმა აცხონოს, ბიჭებო,
ჩვენი ტერენტი გრანელი.
კაცი ყოფილა, ვენაცვლე,
საუფლო გზა გაიკვალა,
რომ მარგარიტას აჩუქა
მთელი ცხოვრება ნიკალამ.
ღვინო დამისხით, ლომებო,
გადააწოდეთ ჭიქა შვილს,
ერთი დამწვრისა ვუმღეროთ
ტატოს, ბესიკს და გრიშაშვილს.
ღვინით მოვურწყათ საფლავი
გულზედ შევუხსნათ საკინძე,
ილიას, ვაჟას, აკაკის
და გალაკტიონ ტაბიძეს.
შენ შემოგევლე, სიცოცხლევ,
შენმა ნათელმა განგვბანოს,
გოგებაშვილის ენავ და
ჩემო ქართულო ანბანო!
ერთად ვიმღეროთ, მგოსნებო,
ლექსები შევქმნათ საჩინო,
ეს მადლიანი ქვეყანა
როგორმე გადავარჩინოთ.
დიდება უფალს, ლოცვები
დილას კვლავ გავიმეორე,
რომ მოგვივლინა ღვთის კაცი -
წმინდა ილია მეორე!
მისი ლოცვით და ვედრებით
მშვიდობის დილა თენდება,
დედა ღვთისმშობლის სამოთხე
არასდროს გადაშენდება.
გამთლიანდება ქვეყანა,
მთვარე დაჰყურებს ალავერდს,
ნიკოფსიიდან - დარუბანდს
მალე გადავალთ ალავერდს.
დავლოცავ, ოქროს აკვანი
ვინც გულზედ გადამარწია,
ვინც კლდეში ააჩუქურთმა
უფლის ციხე და ვარძია.
ნეტავი, ქართვლის საგანძურს
შვილივით ვინ ჩაიშვილებს!
ერის მადლობა ექვთიმეს,
მის მოდგმა თაყვანიშვილებს!
ამალოკინა ნეტავი,
პაპის წვერ-ულვაშ-შუბლია,
ჰაი, დედასა, მათ ანდერძს
უკვალოდ არ ჩაუვლია.
ხის კავიანო გუთანო,
შრომის დრო დადგა და ხანი,
სისხლით მორწყული ყამირი
ზედ გულზედ გადამახანი.
მონატრებია ცრემლიანს
ხანდახან პაპის სილაქი,

ძველთ ნამუხლარზედ ვახაროთ
ჩვენი ჯიში და ჯილაგი.
კევრით გალეწეს ბალღები
ჯერ ხელშიც არ აგვეყვანა,
მაინც ლომივით ღრიალებს
ჩვენი ლამაზი ქვეყანა.
ალაზანივით ოდესღაც
ჩამოგვივლია ჩვენს მდორედ,
ამ მიწას გამოუზრდია
ცოტნე და ბერი თევდორე.
ალბათ, იმიტომ გაჰკივის
ყოველ ცისკარზე მამალი,
რომ ტრფობას დაუფერფლია
დიდი შოთა და თამარი!
რა მშვენებაა, უფალო,
ნიკორწმინდას და ზედაზენს,
რომელ ტაძარში დავანთოთ
შვილო, სანთელი მე და შენ.
ქართული მირონისათვის
დღესაც ცრემლებით სტირიან,
დიდი პატივი მივაგოთ
ფარნავაზს, ნინოს, მირიანს.
გიზგიზებს ძველი ბუხარი,
მეკვლე მოგვადგა მურაბით,
ვაიმე, სურამის ციხევ,
ცრემლი ჩამოგდის ზურაბის.
რას გვამცნობს ჟამთაღმწერელი
კრწანის, მარაბდას, მარტყოფსა?
სისხლის ტბორები დამდგარა
გადაუვლია ღვარცოფსა.
ჩვენს მტრებს და ამმაოხრებლებს
ერთად შეჰყრიათ ბნედაო,
რა სინანულით დაჰყურებ
ძველ ნარიყალას დედაო.
რა ცოდო-მადლი ტრიალებს
ღმერთო, ადამის ხანიდან,
გურამიშვილი ლეკებმა
მოგვტაცეს ლამისყანიდან.
კაეშანმა და სატანამ
ლამის ერთმანეთს აკოცეს,
ვაიმე, დავით გარეჯში
წმინდა ბერები ჩახოცეს!
წმინდა გიორგში ვილოცებ,
სანთელს დავუნთებ ხატსაო,
თელავში მუხლზედ ვემთხვევი
მეფე ერეკლეს ხმალსაო.
თავდადებულნო გმირებო,
თქვე მტრისა სისხლის მსმელებო,
ლაშარი ჯვარი გფარავდეთ,
ვაჟკაცნო არაგველებო!
რა არის მასზედ ძვირფასი,
ალალ გულით რომ დალოცავ,
ბებერ ზარებს რომ ჩამოჰკრავ,
დიდ რუსთველის სალოცავს.
გენაცვლე პაპის ვენახო,
ხომ ხედავ, ვეღარ გეშვები,
შემოაქსოვე სამშობლოს.
ეგ შენი ჯაჭვის ფესვებ,
რომ ერთხელ ზეციურამდე
შენი სურნელი ავარდეს,
მტერიც ჩამოთვრეს ოხერი,
ხმალი ხელიდან გავარდეს.
ღამეს კივილით აყრუებს,
კვლავვ შფოთავს გარდასულიო
უჯარმის ციხე-ნანგრევში
ვახტანგ გორგასლის სულიო.
გული სიცოცხლით მევსება,
ბაგრატ-გელათის მხსენებელს,
დიდება საქართველოს და
დიდება აღმაშენებელს!
ვაიმე, დედის ცრემლებო,
ცაში არწივთა კივილო,
ლომგულა სააკაძის და,
ო, ქეთევანის ტკივილო.
ჩამოვუქროლებ ალავერდს,
მივეგებები მაყრიონს,
ალუდა ქეთელაურო,
დაგელოდები ბახტრიონს.
გული გამკაწრეს ოხერი,
მთის არწივმა და ძერამა,
დამღალა ბაგრატოვანთა
თვალცრემლიანმა მზერამა.
ხმალი ავლესოთ არაგვზე,
შე, გულკლდიანო ფხოველო,
შენ დაიფარე სამშობლო,
ჯვარო და სვეტიცხოველო!
ამ ლექსის მადლი გამიწყრეს,
ჭინკა დამაჯდა მხარზედა,
მზევარსკვლავედი მეძახის,
ჩვენთან ამოდი ცაზედა.
ავალ და წვიმად წამოვალ
მტრის გულის დასამარხადა,
მინდორს მოვაბნევ ყაყაჩოს,
ქართვლის ბაღ-ვენახს დავხატავ.
ისე დაგივსებთ ქვევრ-მარანს,
აკივლდეთ სადევგმიროთი.
მგონია მშიერ-დაღლილნი,
ტანს იზელავდეთ ღვინოთი.
იქუხე მატიანურო,
მადლი მათ კარგად მხსენებელს,
დიდება საქართველოს და
მომავალ აღმაშენებელს!

ნინო ტარყაშვილი

ჯვარიმც გწერია!

თვალს ცრემლი ვკიდე, წყاროსპირს,
წარვედ ირემი წყლისადა,
სიყვარულს კოშკი ავუგე,
რქებგაკიდული ცისადა,
ჯვარიმც გწერია მიჯნურო,
არ მემეტები სხვისადა.

თბილისში ბევრგან შეხვდებით წარწერას „მე შენ მიყვარხარ“. ერთგან მთელს ქუჩაზე ეწერა: „მე შენ მიყვარდი“

მიყვარხარ!

ათას წარწერას ხვდები „მიყვარხარ“,
როცა დაივლი ქალაქის ქუჩებს,
და შენ ის ხარ თუ, შენ ჯერ ის არ ხარ,
ელი ამ გრძნობას, ნაცნობს თუ უჩვევს.
თურმე ამ წამსაც მრავალი ვინმე,
უხმობს სითბოს და ყვავილთა თოვას,
და თუ იმისთვის მზად არის გული,
ის უსათუოდ, უთუოდ მოვა.
სიყვარულს ნავში აღვმართავთ აფრად,
დრო გადის ისევ — სწრაფი და მარდი,
კედლიდან ვიღაც გულს გვიხსნის მძაფრად,
მიყვარხარ? — არა, „მე შენ მიყვარდი“.

მიყვარდი

თუ ის გიყვარდა და აღარ გიყვარს,
მაშ რად აკვნესებ თბილისის ქუჩას,
რაღაც დათრგუნე და თავად გტკივა,
გადავიწყებას პირი რომ უჩანს.
დრო სიყვარულის ტკივილსაც კურნავს,
და თუ კვლავ გრძნობას ეწვევა მარტი,
აღარ მიყვარხარ, ნუ ეტყვი სულაც,
სჯობია უთხრა: „მე შენ მიყვარდი!“

წმინდა მეფე დავითს

შენ აღასრულე ღვთისა მცნებანი,
შემოიზღუდე სურვილთ ნებანი,
დათრგუნე ამა სოფლის ვნებანი,
შენ ამოიცან ღვთის განგებანი,
განკურნე ერის სნეულებანი.
ემსგავსა დავითს შენი ებანი,
გვიბოძე სულის აღსარებანი,
შენ მოუტანე ქართველთ შვებანი,
ქედდრეკით გვინდა გითხრათ ქებანი!

მამულს
სისხლის ფასი აქვს სამშობლოს

ფერეიდნელი ქართველები

ფულის კი არა სისხლის ფასი გაქვს,
დედის ცრემლებით გადანამულო,
უშენოდ ყოფნა რა საკითხია,
მაცოცხლებელი შენ ხარ, მამულო!

ცხრა ძმა ხერხეულიძის ხსოვნას

ვაი, დედა, სიწითლე შეეპარა მზესაო,
ცხრა ვაჟკაცი მოგიკლეს, ცუდ დღე დაგიდგესაო.
ცხრა შავი ნაბდის ქუდი სისხლში მოსვარესაო,
ცხრა შავი ჩოხის კალთა სისხლში გახუნდესაო,
ცხრავე წყვილი მხარ-მკლავი, სულ უძრავად ძევსაო,
მზემ ცხრა თვალი დახუჭა, დღე მთლად დაღამდესაო,
ცხრა მდინარე, ცხრა წყარო ერთად, ატირდესაო,
ცხრა მთა, მდელო, ცხრა ქედი ერთად იგლოვდესაო,
მათი ცხრა ანგელოზი ეაჯება ღმერთსაო,
ცხრა ძმის სული აცხოვნე, ნათელ დაადგესაო.
ცხრა ძმის ნაჭერსა დროშას და მაღლა ასწევსაო,
ვაი, დედა, სიწითლე მოემატა მზესაო,
ცხრა ძმას დაძ მოუკლეს, მთანი აბღავლდესაო.
— დაო, შენც ჩვენთან მოხველ, აქ გვიმშვენებ გვერდსაო,
— დედა რატომ დატოვე, რად უჩივის ბედსაო?
არა, ბედს არ უჩივის, მხოლოდ გული კვნესსაო,
დროშა იპყრო ხელში რომ ლაშქარს წინ უძღვესაო,
ვაი, მზე სულ გაწითლდა, დედა დაგვიჭრესაო!
— შვილნო, მეც თქვენთან მოვალ, ვაი, დედის მზესაო,
ია-ვარდი აყვავდეს, ღამე გადღევდესაო,
ისეთ ნანას გიმღერებთ, არ სმენოდეს ბევრსაო.

წმინდა დიდმოწამედედოფალ ქეთევანს

მოჩითულა ცისთვალა
ყვავილებით ველი,
ცამაც ვერ დაითვალა
დედავ, დარდი შენი.
მიწა უნდა გტკიოდეს,
ძლიერ უნდა გწამდეს,
დედოფალო, მხოლოდ შენ
დაითმენდი ამდენს.
შენთან ერთად ეწამა
მაცხოვარი ოდეს,
მკერდზე გახურებული
ცხელი შანთი მოგდეს.
ცრემლის მძივებს ასხამდა
ღვთისმშობელი ოდეს,
წყლულზე გახურებული
ცხელი ტაფა მოგდეს.
წამებით ჯალათებმა
ვერ მოგდრიკეს, ვერა.
კვლავ შენით, დედოფალო,
წამოვდგებით, მჯერა.
„უფალო, გამარჯვება
მოგვეც მტერთა ზედა,“
ეს ლოცვა საუკუნო
აღმობრწყინდა მზედა.
სულს გვინათებ დღესაც,
ცას მნათობად შვენი,
დედოფალო სხივნი,
ახლაც მათბობს შენი.

დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვაშენე, ვამკე სოფელი, აღმა ავფარცხე დავითო,
გავლიე ესე საწუთრო, სიბრძნით და არა დავითო,
ნუ გაჰკვირდებით, იუბნებთ, ჰქმნა ესე ვითარ და ვითო,
ამას ყოველსა ვიქმოდი უფლით არ ჩემი თავითო.

ელგუჯა სხირტლაძე

* * *

რა მშვენიერია, ეს გაზაფხული,
შეხეთ, გამწვანდა მდელო,
მოფრინდა ჩვენი ჭიკჭიკა ჩიტი,
ამღერდა საქართველო.
გამოიღვიძეს დინჯად ხეებმა,
მთებმაც დაიწყეს დრეკა,
და გაზაფხულის ცისარტყელის ქვეშ,
თოვლიც ლამაზად დნება.

ტყიდან წამოსულ კოხტა ნაკადულს,
წყარო, რომ უერთდება,
იქვე ნაპირზე, ტყის ლამაზ ვავილს,
ფუტკარი ეფერება.
რა მშვენიერია ეს გაზაფხული,
ნაირფერებში ელავს,
გახედეთ მინდორს თვალს ვერ მოსწყვიტავ,
როგორ ზღვასავით ღელავს.

* * *

ამ ცხოვრებამ გამამწარა,
ხელი კიდა არ მაცალა,
რასაც გულით მოვეკიდე,
იმ წუთსავე ამაცალა.
ხან პურს მაჭმევს, ხანაც მჭადით,
გულ-მუცელი ჩამაცალა,
დალოცვილმა გასართობად,
რაღა ჩემთვის მოიცალა?. .
ხან მადლიან ხელს დამადებს,
ხან ქოქოლას ამომადენს,
მაღლა წარსულს, ფრთას მომტეხს და,
ძირიანად ამომაგდებს.

p.s. ვერც წინ მიტანს,
და ვერც უკან,
მათამაშებს,
წინ და უკან. . .

* * *

როცა ოცნების ლაბირინთებში,
ჩაძირულ კუნძულს დავემსგავსები,
მარგალიტებით მოჭედილ ღამეს,
გადამივლიან ფიქრთა ტალღები.
როცა დაღალულ თვალებს კურცხალი,
როცა სულს, სევდა შემოაწვება,
როცა ოცნება აუხდენელი,
მოწყენილ სანთელს დაემსგავსება.
როდესაც მკერდ ქვეშ, ტკივილი ჩემი,
გაუსაძლისად მწველი გახდება,
საშველად ვიხმობ, ჩემს გულის დობილს,
ღამეს რომელიც მედაქალება. . .

* * *

ავსწევ ამ სასმისს, შენი დღეგრძელობის,
და თითქოს, ისე ძალიან მთვრალი ვარ,
შენი სიყვარულით, ჩემო ანგელოზო,
ბახუსის ფრთებით, ზეცას დავფრინავ.
ისე მომეპარე, როგორც ყოჩივარდი,
ცისარტყელასავით, გაჰქრი წამიერად,
სული ჩემი გაგყვა, უცხო სამყაროში,
ოცნება დამრჩა, მრავალჟამიერად . . .
ნუთუ, ვერ ვიხილავ ცისარტყელის ბოლოს?..
ნუთუ, აყვავდება უჩვენოდ ვარდები?.. ნუთუ,
ვერ მოვითხოვ, ჩემს წილ სიყვარულს?..
ნუთუ, ჩავიწვები როგორც სანთელი?..

* * *

საითაც გავიწიე,
შენც იქეთ დამეწიე,
რას მერჩი, არ მახსოვს,
რა ჯინი გაგიწიე ? . .
რაც ჩემსკენ მოვიწიე,
სულ შენსკენ გაიწიე,
რაც მე მომეწონა,
ზენც ის აირჩიე.
თუ რამ, მოვიპოვე,
სულ შენ ,,დაითრიე”,
მარტო სული დამრჩა,
ქვესკნელს ჩაითრიე.
საიდან მოხვედი და,
ან რისთვის ამირჩიე ? . . .
მანამ არ მომეშვი,
სანამ არ მითრიე . . .
ბოლოს გავბრაზდი და,
თამაშში გაგიწვიე . . .
რომ ვერ მოგიცილე,
ჩაყოლა ავირჩიე.
თვალები დავხუჭე და,
შენც თვალი აიხვიე,
კლდიდან გადავეშვი და,
უკან არ დაიხიე . . .
რას მერჩი, არ მახსოვს,
რა ჯინნი გაგიწიე ? . . .

* * *

დაუთოვია შენზედ ჭაღარას,
თურმე, რა უცებ გასულა წლები,
ვინ მოსთვლის რამდენ გაზაფხულს ითვლი,
ჩემო ლამაზო, ჭაღარა დედი.
ბერმუხასავით ფესვებ მაგარო,
შენც ბევრი ნახე, ავი და კარგი,
მყინვარწვერივით გათეთრებულო,
კაჟი კლდესავით ძლიერო მამი.
თქვენი ჭაღარის იმედით ვხარობ,
თქვენ ჩემი სულის დიდო იმედო,
მრავალჟამიერ ჯანმრთელად
მყავდეთ,მრავალჟამიერ ჩემო ტკბილებო . . .

* * *

ნეტავ სადა ხარ ბედნიერო,
ჩემო ორეულო,
ოდესღაც ძლიერო, კადნიერო,
ცოდვას მორეულო,
ღვთის მოშიშო, სიმართლისთვის,
მახვილ მოღებულო,
ჩემგან განსხვავებით, სიკეთეში,
გზა-კვალ არეულო,
კეთილშობილების, უანგარო,
ტკბილო მზარეულო,
როგორ მომენატრე, ჩემი ცოდვით,
ფუჭად გაბნეულო,
ჩემო ორეულო, მაგრამ ჩემგან,
უკვე შორეულო . . .

ციური ხეთერელი

თქვენი სახება
ჩემს მშობლებს

1.
ხუთი ზამთარი
გავაცილე,
ხუთი ზაფხული,
ხუთი აპრილი,
შემოდგომა, —
სულის მზარავი...
ხუთი ზამთარი
ხუთი ზაფხული,
ხუთი აპრილი,
შემოდგომა, —
სულის მფარავი,
შენს გარდა
არვინ
არ მყოლია
სასოდ,
არავინ.
თებერვლის
ქარით
დამსხვრეული, —
შენთან ვარ მარად,
შენთან, იმ
მწარე განშორების
ავი ჟამიდან,
რაწამს
სოფელმა
მწუხარების
დაღი დამასვა, —
ხუთი ზამთარი
ხუთი ზაფხული,
ხუთი აპრილი.
შემოდგომა, —
ჩემს ცივ დარბაზში, —
განშორების
ცივ აკლდამაში, —
მე ვცხოვრობ
შენით, —
შენს წერილებთან,
შენს პატარა
მრგვალ მაგიდასთან,
შენს
ყავისფერ შალის კაბასთან, —
თებერვალის
ქარით
რბეული.
და სულს
მინათებს
ეს საუნჯე,
აურაცხელი, —
ცრემლებით სავსე,
სევდიანი
შენი რვეული.
2.
რა მოკლე გზებით
მოირწევა
შენი შორეთი,
როგორ
მწყურია,
მოგეხუტო
ნატიფს
და ლამაზს.
ოი, როგორ წუხს
ოცნებების
ლურჯი შორეთი.
რა
ახლოს ვხედავ
დაღუპულ მამას.
3.
რა უცნაურად
მოირწევა
თქვენი შორეთი,
ქარვით დაყურსულ
ცის კამარაში.
რა სევდიანი მეჩვენება

თქვენი სახება,
დაგვიანებულ შემოდგომის
ფერთა გამაში.
რა მოკლე გზებით
მოირწევა
შენი შორეთი.
რა ახლოს ჩანხარ
მზისფერ კაბაში...
ო, რა ძნელია
ოცნებების
სიტყვა „მოვედინ“,
და
რა მწარეა
ბედთან თამაში

ისე ციმციმებს შენი ვარსკვლავი

მინაწერი შალვა კაშმაძის წიგნზე
„ვანო სარაჯიშვილი“
„ვანო სიმღერაში მხატვარია“
ვალერიან გუნია

1.
რად მაგონდება
ავი საღამო,
წიგნი ჩასმული
ცრემლების ყდაში,
ისე ციმციმებს
შენი ვარსკვლავი,
თვალებს აბრმავებს
მისი კაშკაში.
2.
ის ჯადოქრობა
შენი სულის
ისევ სწვავს, ვანო,
თბილისს.
გადატეხილი სალამურის
კვნესა კვლავ გვატკბობს
თბილი,
ისევ ეხება
ჩელოს ქვითინს
შენი თითები
თლილი.
3.
არ წყდება შენი
ჰანგი
ქართული.
როგორც მინდორი
ყვავილებით იწყებს გართობას,
ისე გრძელდება „ეთერიანი“,
დასტირის ქალი
განწირულ ტრფობას.
4.
ახსოვხარ
ბორჯომს,
ნატახტარს
შენი მოლხენით, სიმღერით,
ბუნების მადლს და მშვენებას
ებმოდი გულის სიმებით.
აჯილდოებდი განთიადს
შენი „ურმულის“ სიგელით.
5.
— ვანო,
„ჯომარდი მონადირის“, —
შენი მოწყენაც ახსოვთ.
(იქნებ გლოვობდი „ნადირს“),
ხან „ბაირონის სევდა“, —
ვერ ეწყობოდი ნადიმს.

ეგ შენი ოხვრაც, —
„თავო ჩემო“
ამოა, ვანო,
სარაჯივით.
სულის საოხია
ბელ-კანტოც,
სარაჯიშვილის —
„სარაჯინის“.
6.
მაინც დამეჭდო გულზე
შავი ფიქრების გროვა, —
„ტკბილი ჰანგების მეფის“
უღვთო სიკვდილი, გლოვა...
შენ, —
საქართველოს ორფეოსს,
„ეთერის ბაღში“ გძინავს,
ცრემლით გიგონებს თბილისი,
მგოსანს,
მხატვარს და
მომღერალს,
მადლობას შემოგწირავს.

თამარ ჯაჭვაძე

ქართული სული

უკუნი ღამე ვეღარ გათენდა,
ვერ უპოვიათ გზა-კვალი აზრებს...
თურმე რამდენჯერ დავიბადე და
რამდენჯერ მოვკვდი ცხოვრების გზაზე.
მე დავიბადე ცეცხლოვან ცაზე
კრატერადქცეულ მთების საშოდან,
ხეებს აგვისტო ეწვოდათ ტანზე
და მზის კომეტა მიწას დაშორდა.
მე დავიბადე, როცა ვიღაცამ
გამომიწოდა დაცემულს ხელი,
როცა მაჩუქეს მოულოდნელად
იასამანი სულ ერთი ღერი.
როცა ვიღაცა თავისი მკერდით
ჩემსკენ მომართულ ქვას აეფარა,
როცა ტკივილებს ლექსებად ვწერდი
და ღამეები საგზლად მეყარა.
ვიბადებოდი ყოველ გაზაფხულს,
როცა ენძელა თვალებს ახელდა...
როცა ძარღვებში ენგურად ჩქეფდა
მონატრება და გრძნობის გამხელა.
როცა შორი გზით წასულ სიყვარულს
მოვწყურდებოდი, მჯეროდა მისი...
და მახარებდა ძალიან ცოტა,
კვირტებდახუჭულ ხეებს ვკოცნიდი.
მე დავიბადე დაბადებიდან,
მერქვა ადამი და მერქვა ევა,
მერქვა ლაზარე, მერქვა გიორგი,
ხმალი, სანთელი და ცრემლთა ფრქვევა.
მე დავიბადე მაშინ, როდესაც
შემოდიოდა ჯვრით ხელში ნინო...
დედის ცრემლივით უანკარესი
თან ზიარების მომქონდა ღვინო.
მე დავიბადე ვაზის ყვავილით,
მეჭირა ხმალი და გუთნის ტარი,
ვედარებოდი მესსიის მახვილს
და დარუბანდის მებარა კარი.
მე დავიბადე მაშინ, როდესაც
ვეფხვის და მოყმის ბალადას ვწერდი,
თაფლით გაპოხილ მოძმეთა გვერდით,
როს გავიშიშვლე ზურგი და მკერდი.
მაშინ, როდესაც მამულს უჭირდა
და მიაშველა დედამ ცხრა ვაჟი,
როცა არაგვზე მტერი ჩაიხრჩო
სამასი რკინის მკლავის ლავაში.
მე დავიბადე ძალიან ხშირად,
მე დავიბადე ძალიან ბევრი,
მაშინ, როდესაც სიცოცხლეს თმობდა
მამულისათვის ერი და ბერი.
მაგრამ, როდესაც მწუხრი მკორტნიდა,
სიყვარულისგან არ დავიცალე,
ათი ათასჯერ დაბადებული
ასი ათასჯერ გარდავიცვალე.
მე მაშინ მოვკვდი, როცა ვტიროდი,
არ მანუგეშა ქვეყნად არავინ...
უკაცური და მიტოვებული
ქარებს მიჰქონდა ჩემი კარავი.
მე მაშინ მოვკვდი, როცა ზაფხულმა
არ ჩამიღვარა ძარღვებში სითბო,
როცა ბიჭებმა არ შემომხედეს,
როცა გოგონამ სკამი დამითმო.
მე მაშინ მოვკვდი, როდესაც სიტყვა
ტყვიაზე მწარედ მეტკინა გულში...
როცა მეძავის საწოლში ჩაწვა,
ვინც სიგიჟემდე მიყვარდა გუშინ!
მე მაშინ მოვკვდი, როცა მეგობარს
აღარ ეტკინა ჩემი წუხილი,
როცა სამშობლოს მიგინებდნენ და
ხელ-ფეხ გაკრული მე თავს ვუხრიდი.
როცა მომგლიჯეს გულივით მიწა
და სამშობლოდან გამომაძევეს...
როს ბავშვი ციცქნა კუბოში იწვა
და მთებს შევბღავლე, ღამენათევებს.

მოვკვდი, როდესაც მართმევდნენ ენას
და სხვის ენაზე ამაჭიკჭიკეს...
ჩემი წიგნები წყალს გაატანეს,
ჩემი ტაძარი მიუგდეს ჭინკებს.
როდესაც შვილი, თავისი ნებით,
გზას გაუყენეს სტამბოლისაკენ,
როცა წამართვეს დედის ძუძუ და
ბეღურასავით მიყრიდნენ საკენკს.
მე მაშინ მოვკვდი, როცა აპრილმა
სისხლით შეღება ცაცხვების კალთა,
მე გაზაფხულის მოსვლას ველოდი,
სატანა მოდგა თბილისის კართან.
მოვკვდი, როდესაც ნაწისქვილარში,
ზუბოვკის გზაზე ქარი კიოდა,
გადაკარგული, გარუსებული
მგოსნის – ქართული გული მტკიოდა.
მე მოვკვდი, როცა უცხო მხარეში
გადაიხვეწა დიდი გენია...
და სალოცავად მშობელ მიწაში
წმინდა საფლავიც არ დამრჩენია.
მე მაშინ მოვკვდი, როს განჯის გზაზე
სიკვდილს ებრძოდა ერთი მერანი,
ხელმოცარული, გაოგნებული
უკან იხევდა ბედის მწერალი.
მე მაშინ მოვკვდი, ნადედოფლარი
ქარს რომ მიჰქონდა თეთრი მანდილი,
ერთგულებას და ერის სიყვარულს
ვერ ახუნებდა დრო და მანძილი.
როცა ოქროთი ნაჭედი სკივრი
ბედნიერ ღიმილს ვერ იფარავდა...
და მძიმე იყო მამობის ტვირთი,
მარტყოფის ველზე წუხდა მარაბდა.
მე მოვკვდი, როცა მეტეხის ხიდზე
პირქვე დაამხეს ქართვლის სინდისი,
ასიათასჯერ სისხლმა შეღება
დედის კალთა და ხატება მისი.
მე მოვკვდი, როცა ბერდანკის ტყვიამ
გზაში მოცელა თეთრი ირემი,
თუ საქართველო გოლგოთის ტყვეა,
დადგეს აღდგომა დანაპირები!
როს წვიმად მოსვლას ნატრობდა ბავშვი
ცალთვალა დევის ნესტიან ქოხში...
და მოუძებნა მამის გენიამ,
ობოლ გოგონას, შვლის ნუკრის ქოში.
მე მაშინ მოვკვდი, როს ლექსთა მეფეს
ხელი ვკარით და ცაში გაფრინდა,
ვიღაცა ალბათ შეიფერებდა,
ვიღაცა სხეულს დაუდაფნიდა.
მე მოვკვდი, როცა ავი სენივით
ფილტვებს ეკვეთა მამულზე დარდი,
ეული მხატვრის გასახსენებლად
თბილისში დადის მაღალი ლანდი.
მე მოვკვდი ბელორუსიის ტყეში
და ქერა თმები მიჰქონდათ ქარებს...
ასი წლის შემდეგ მოვა ვიღაცა
და ნატყვიარი ლექსით იხარებს.

* * *

ეწამებოდა მარად პოეტი,
სიყვარულით და მამულით სავსე,
დაბადებიდან ვიბადებოდი,
დაბადებიდან ვკვდებოდი ასე.
როცა შვილები დაივიწყებენ
აიყრებიან ჭაღარა მთები...
უკანასკნელად გასკდება გული,
უკანასკნელად მაშინ მოვკვდები!

ნანი ჭირაქაძე

ეპიტაფია

ცხოვრება ნათლის და ბნელი თამაშია,
ბნელში შენ მიძღოდი როგორც ნათლის სვეტი,
სხვისი შესაშური მე რა გამაჩნია-
შენი მშვენების და ერთგულების მეტი.
შური დამამხობდა დედაბუდიანად,
ალბათ ვერ შევძლებდი ამდენის ატანას,
შურმა შენს სიკეთეს დიდხანს უტრიალა,
ნაკლი ვერ უპოვა პატარაც.
კარი ვერ უპოვეს შენს წმინდა საყდარს,
რწმენა ვერ წაგართვეს მორწმუნეს,
შენი ერთგულების ციხე არ გატყდა,
ვერაფერით შენი თავი ვერ გამიორგულეს.
ჩემთვის არც ღამეა, არც დღეა,
შენც იქეთ უშენოდ რადგან,
შენი ერთგულება გალავნად მარტყია,
შენი სიყვარული გვირგვინად მადგას.
შენს ღალატს ვინც ფიქრობს
წაღმა ნურც უვლია,
ნუ შეუშინდები შენს სამტროდ აშლილებს,
შურიც უძლურია, ღვარძლიც უძლურია.
სიკვდილი?- მოვიდეს მე არც ის მაშინებს.

ადამიანი

ადამიანო, რა საწყალი ხარ,
ადამიანო, რა ბედკრული ხარ,
განგებამ შუბლზე რაც დაგაწერა,
ვერც აიცილებ დაჩაგრული ხარ.

ეცადე იყო მხოლოდ კეთილი,
და არ იქმოდე ამ ქვეყნად ბოროტს,
რადგანაც სწორედ ამ დიდ სიკეთეს.
შენ დაგიფასებს უფალი ბოლოს.

აფხაზეთო!

გნატრობ, ჩემო სალოცავო,
საკამათო, საგაზეთო.
მშობელ დედას მოწყვეტილო,
დაჩოქილო აფხაზეთო.
სისხლდაცლილო ძველო მიწავ,
დაგწვეს როდის გნახავთ ნათელს,
აქ უვლია დავითს, თამარს,
საბა იშხნელს გრიგოლ ხანძთელს.
შენ ძირძველო საქართველო,
ის გიშენდა ტყვიის გუნდებს,
ვინც ტიტველი შემოსე
და გულში თბილად ჩაიხუტე.
ვინც პირქუში მთის წვერიდან
სამოთხეში დაავანე,

ვისაც ენა ასწავლე და
გზად მიეცი შუქი მწვანე.
ვინც ღვიძლივით აკაცე და
მკვიდრივით შეითვისე,
ნუთუ მართლა გაგყიდეს და
აკვნიანად გაგასხვისეს?
შენ ვინ დაგთმობს, ვინ დაგკარგავს,
სჯობს მშვიდობით დაგვიბრუნდეთ,
თუ არადა სისხლით მოვალთ,
შენს პალმებთან ჩავიმუხლებთ.
მონატრებას ვეღარ ვუძლებთ,
სამოთხეო, საზღაპრეთო,
გაყიდულო, დანგრეულო,
დაგიბრუნებთ აფხაზეთო.

რა სპეტაკი ხარ.

რა სპეტაკი ხარ შენ დალოცვილი თოვლის ფანტელო,
შენ რომ გიყურებ, თვალწინ მიღიმის მთელი სამყარო.
მისი მთა-ველი ხოდაბუნები, ბაღ-ვენახები,
მდინარეები, ნაკადულები და სანახები.
მთა-კურორტები, ზღვის ნაპირები, ბარი და ახო,
ვინძლო ასეთი სისპეტაკე ველარსად ვნახო,
შენ ფრთების ქვეშ შებუდული ვი ზარდე ალბათ,
მე შენს ტკივილებს მონატრებული ვეხვევი ხარბად.
და მინდა ერთხელ ჩემს მეგობრებს შევეხმიანო,
შენ ამ სიმდდირეს რად არ აფასებ ადამიანო,
ეს სიმდიდრე ხომ არ ეკუთვნის მარტო ერთს და ორს,
ეს წალკოტი ხომ სუყველასია ვინც მასში ცხოვრობს.
თქვენ გასაგონად დავიფიცებდი მამა ზეციერს,
ეს დედამიწა სრულად ეყოფა ყველა ნაშიერს,
რა ხმაურია, ვის ვედავებით, რისთვის ვბობოქრობთ,
ამით ხომ მარტო თავს ვი ზიანებთ, ჩვენს სანთელს ვაქრობთ,.
თუ სისპეტაკით იმ თოვლის ფანტელს შევეჯიბრებით,
მაშინ ხომ უფრო ვიძლიერებთ და მხნედ ვიქნებით,
რა სპეტაკი ხარ შე დალოცვილო თოვლის ფანტელო,
მინდა რომ მართლაც კარგი იყოს მთლად საქართველო.

ნუ გავყიდით.

ნუ გავყიდით მამა-პაპის,
სისხლით მორწყულ მიწას,
მას ხომ მუდამ ხალხის აზრი
იცავდა და იცავს.
სისხლითა და ოფლით მორწყულს,
მამულს ვინაც არ სწუხს,
ყველას ხალხის მომავალი
აგებინებს პასუხს.
ყველა ომი, სისხლის ნთხევა,
მიწისათვის მოხდა,
დღემდე თითქმის შევინახეთ
ლამაზი და კოხტა.
დღეს კი ჩვენი მიწა-წყალი
იყიდება მუქთად,
ჩვენ კი მკლავი და მგლის მუხლი,
რისთვის გვიდგას უქმად.
სად გაგვიქრა ქართველობას
მიწის სიყვარული,
ასე მუქთად რომ ვარიგებთ
რად არ გვწყება გული.
ამ ჩვენს მამულს ბაღს და ვენახს,
თუ არ მოვეფერეთ,
ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს
რაღა ვუთხრათ მერე.
წინაპართა საფლავები
აფუსფუსდნენ ერთად
მათ ხომ ჩვენი მიწა-წყალი
აღიარეს ღმერთად.
ერთხელ კიდევ ავხმაურდეთ
ნუ გავყიდით მიწას,
მამულს მუდამ ხალხის აზრი,
იცავდა და იცავს.
ჩვენს მშობლიურ ბარს და ვეანხს,
ვინც ყიდის და არ სწუხს,
ვიცოდეთ, რომ მომავალი,
ბოლოს მოსთხოვს პასუხს.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები —
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, —
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, —
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტრებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
— გონს მოდით მეთქი! — ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
— ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
— არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
— მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე —
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა —
...ეს შენ იყავი...

* * *

ფეხმძიმე ზეცას, ზენაქარმა
გაფატრა მუცელი ელვის ლაზოთი და შეეძინა
ძირულას ფეხმარდი შვილები, —
ღელეები.
დიდი გადაიხადა მიწამ ძეობა,
ტაში აცემინა ფოთლებს სიხარულის
და ცის ნაჟურით გამომთვრალი
ბებერი მუხები
მთელ ღამეს ბარბაცებდნენ
დაკოჟრილ ფესვებზე.

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება —
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია —
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი —
მე და იმედს.

ტარიელ ხარხელაური

ბრძანე, მოძღვარო, დღეს ერის გული
შენს გონებაზე მიბმული ფეთქავს,
ბრძანე მოძღვარო, გაიმცვრა სული,
დააავადა შიშმა და კეთრმა.
ბრძანე, მოძღვარო, ნათელს – ისე მწირს
შემოაძარცვეს კალთა ქარებმა,
ბრძანე, მოძღვარო, სისხლი სისხლის წილ,
დავუდოთ ზღვარი ამ მოკრძალებას!
თორემ სამშობლოს თავზე გვაქცევენ,
სამშობლოს ჩვენსას – უფლის მშვენებას,
აღარ უშველის მერე არც ცრემლი
ჩვენს აღდგომას და აღმოცენებას.
ბრძანე, მოძღვარო,

უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს

ბრძანე, მოძღვარო, გონებავ ერის,
უნდა ვდუმდეთ და უნდა ვიფრხილოთ?
სულებს გვირყვნის და გვიწამლავს მტერი,
ვითმინოთ?!
როცა ჩვენ თვალწინ წმინდანებს რყვნიან,
უწმინდეს შუბლებს ფურთხით ბილწავენ,
თუ შენთვის მკერდს არ მივუშვერ ტყვიას,
სამშობლოვ!
ხატად რისთვის გიწამე.
ვგავარ საძვალეს
და ყველა ნერვი არის გამწყდარი,
მოძღვარო! დროშა გამოაბრძანე –
საქართველოსთვის ლოცვით დაგვძარი!
ბრძანე, ბრძენკაცო, ჯერ კიდევ დროა,
ვიდრე ძარღვებში სისხლი მოძრაობს,
ვიდრემდის ცრემლებს სისხლის გემო აქვთ,
ვიდრე სიკვდილი გვილხინს, მოძღვარო!
ვიდრე ქართულ ჯიშს აქცევენ არცრად,
გადაუჭერენ მკერდზე არტახებს,
მთლად ეს სამყარო ქცეულა ნაცრად,
თუ საქართველო ამიპარტახეს!

* * *

როდესაც ტკივილს ცრემლებს შევუფენ
და ლოცვა ჩემი მოჰგავს მზის სუნთქვას,
შემოვიფლეთავ ნიღბებს, მეუფევ
წმინდა ფსალმუნებს აღვუვლენ უფალს
და ჩემი ტაძრის კედლებს ნესტიანს
დამავალი მზის ფერები შეცვლის,
მეუფევ, ახლა ბევრად მეტია
მოღალატე და მოყვარე ვერცხლის.

მეუფევ! მაინც მოთმენას მირჩევ,
ვაგრძელებ ფიქრის გარშემო ბრუნვას,
მეუფევ, შიში ნელ-ნელა მიჩვევს,
ვკარგავ სამშობლოს შეგრძნების უნარს.
ვგმინავ და წუთისოფელს მოვბეზრდი,
მეც წუთისოფლის მიმძიმს ტარება
და კიდევ ერთხელ, მაინც როდემდის –
ასე მწუხარედ რეკონ ზარებმა....

* * *

მანძილი შენამდე დიდია,
შენიდან ჩემამდე – არც ისე,
ამინდი საგრძნობლად მშვიდია,
მანცვიფრებ....
ჯერ კიდევ ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ჭორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, იღიმი საეჭვოდ.
ღამდება,
ვარსკვლავნი აენთნენ,
რომ ვხედავ შორი-შორს საკმაოდ,
მე ახლა გიჟი ვარ საერთოდ –
ჩემს ჭკვაზე გადმომყავს სამყაროც.
მუდმივად რაღაცა მაწამებს
და ჩემშიც მუდმივად ბინდია,
და მაინც მიზიდავს წამწამებს
მთვარე რომ ნისლივით ჰკიდია.
შორს სადღაც ჰყვავიან ატმები,
ქარია – მომიტანს რამე ჭორს,
მე ვამბობ, არ მომენატრები,
შენ სდუმხარ, იცინი საეჭვოდ.

* * *

აღარ მწყურიხარ, როგორც მამრს მდედრი,
აღარ მინდიხარ, როგორც კაცს ქალი,
არ მხიბლავს შენი გაშლილი თმები
შუაღამით რომ ათრთოლებს ქარი.
მამწუხრებს შენი თვალები სველი
და ბაგეთაგან ოხვრის აღმოსვლა,
შენს გამოჩენას მზეზე წინ ველი
და გეფერები – როგორც სალოცავს.

* * *

ჯიხვი ვარ და გადავწექი კლდეზე,
დილით ნისლის მსიამოვნებს ლოკვა,
მონადირევ, რა გინდა, რომ მეძებ,
ღირს კი ბიჭო?! — ახლა ჩემი მოკვლა...

* * *

ბუბუნით მივალ სერ-სერა,
ფეხს ვუცემ,
კლდენი წივიან,
არ მკმაობ წუთისოფელო,
ეგ ბაგა
ჩემთვის მწირია.
ომს ითხოვ? – ომი მწადია –
გაწყდეს, იქ, სადაც წვრილია....

თინათინ ხაბურზანია

მწყემსი კეთილი

და მერე რა, რომ ჩვენ ისევ ვცოდავთ,
მაძღარნი ვერ ვცნობთ ხშირად მშიერსო.
რადგან ვუყვარვართ, ჩვენ კაცთა მოდგმას,
გვწამს მოგვიტევებს ცოდვებს იესო.
და მერე რა, რომ ვერცხლისთვის ხშირად,
ჩვენს მეობას და სინდისს ვძლიეთო.
ოცდაათ ვერცხლად გაყიდა ვინაც,
მასაც შეუნდო ცოდვა იესომ.
ზოგჯერ გვგონია თავი თვით ღმერთი,
ხატება მისი დავამსხვრიეთო.
რა დიდსულოვნად ითმენს ღრმა რწმენით,
ამ ურწმუნობას ჩვენსას იესო.
მისი სახელით ბევრჯერ ნამუსის,
ქენჯნას თავიც კი ავარიდეთო.
რა გვენაღვლება ვიცით, რომ გულში,
ჩვენთვის ლოცულობს წმინდა იესო.
ღალატი, მტრობა, შური და ღვარძლი,
მიწაზე ველარ დავატიეთო
და გოლგოთაზე მძიმე ხის ჯვარი,
ამ ცოდვებისთვის ზიდა იესომ.
და ამ ძნელ გზაზე მას ტანჯვით შემდგარს,
რწმენაში ზურგიც შევაქციეთო.
რა მოთმონებით, რა მშვიდად შევხდა,
უმადურობას ჩვენსას იესო.
და ჩვენც შეგნებით, თუ შეუგნებლად,
ცოდვებს თავები მიუსიეთო
და ვით მშობელი შვილს უგნურებას,
ისე გვპატიობს ამას იესო.
განკითხვის ჟამი, როცა დადგება,
შეგვიფასებენ იქ საქციელსო,
მძიმედ ცოდვილსაც არ დასჯის მჯერა,
მწყემსი კეთილი, ჩვენი იესო.

ნარიყალიდან

ნარიყალიდან გავხედე თბილისს,
ვეფხის ტყავივთ ფართედ გაშლილა
და მთაწმინდა, ეს ნაკრძალი ფიქრის,
ქარვისფერ მთებით შემომაფრინდა.
ძველი თბილისი მიწიდან ცამდე,
დღისით არწივის ფრთებით დაფრინავს,
ღამით კი თითქოს ჭრელხატულ ნარზე,
ნიკალას ნანახ სიქმრებით ძინავს.
მეტეხი მაღალ ციდან დაგვყურებს,
ღვთიური მადლით, რომ იღიმება.
მტრის ავ განზრახვას დრო თუ გვაუწყებს,
ქონგურებითაც კი იკბინება.
მტკვარი-მთავარი ძარღვი თბილისის,
რომ ჩაყურსულა ჭადრების ტევრში,
შიგ ძარღვში ისხამს წვიმას ივლისის
და ეთიმ გურჯის ბაიათს მღერის.
მას ბანს აძლევენ ზორბა ჭადრები,
ააყოლებენ ვერხვების შრიალს,
ტევრში ლაღობენ ცელქი ქარები,
ფოთლებიც ტეხენ შიგ რია – რიას.
თათრის მედიანს შავხალა კინტო,
ხილის ხონჩებით ფერხთით მომიტანს
და ცხადად ვხედავ აქედან თითქოს,
დროს შემორჩენილ ამ ძველ მოჰიკანს.
ჟრუანტელივით ვგრძნობ ტანში თბილისს,
სტუმრისთვის მუდამ კარი აქვს ღია.
ძარღვში ნამუსი სდის ნაცვლად სისხლის
და სიყვარულის ქალაქი ჰქვია.

მიზანი ჩემი

ჩემს პატარა სიყვარულებს, ჰყავთ დიდი დედა ერთი,
ეს ჩემი საქართველოა, თვით კურთხეული ღმერთის.
დაუვარცხნელი აზრით, გაურანდავი ლექსით,
მის ბაღ-ვენახის მომყვან კაცსა და მიწას შევტრფი.
დაბადებულად ქართველს, არ მინდა სხვა რამ მეტი,
მისი ცის თაღის ამწევთ, ვეშველებოდე მხრებით.

ზურგს მიმაგრებდეს მე ძალა, გმირ წინაპართა ძვლების.
და თავგანწირვა მისთვის იყოს მიზანი ჩემი.

რა მჭირდება

მე მათი ხსოვნა მჭირდება, რომ თავმომწონედ ვიარო,
დრო დაგებული ხაფანგად სიმართლით გადავიარო.
მე მათი სული მჭირდება, რომ ჩემმა ლექსით იფრინოს,
იმათმა სისხლმა ყიჟინით, რომ ჩემს ძარღვებში იდინოს.
სულსა და გულს მიკაწრავდეს ხსოვნა ქეთევან დედოფლის,
თავი ამაყად მომქონდეს იმისი მოდგმის ჩემობით.
მზის გულში დავითს ვხედავდე, სხვებში მის ცხენს ფაფარაყრილს,
ვარსკვლავში ყმას ომგადახდილს, მთვარეში რუსთაველის ფიქრს.
საფლავებიდან მესმოდეს ძახილი გმირი პაპების,
გზას მინათებდეს სულ შუქი მათი ჩამქრალი თვალების.
მე მათი სიბრძნეც მჭირდება, მიმავალს გზაზე სიმართლის,
რომ ცოდვა ამ სიამაყის, გამოვისყიდო სიმდაბლით.

კონსტანტინე გამსახურდიას

ჟამთააღმწერლის სიდინჯე და ქველმოქმედების სული,
მოგცა შენ არსთა განმრიგემ, სალხენად ჩვენი გულის.
ბედის ფლოქვების თქარუნმა და მესაფლავე დრომაც,
ვეღარ წაგგლიჯა ხელიდან მემატიანის დროშა.
მწერლობაში ხარ პირველი, რაინდი ბრძენთა ბრძენი,
მეფეებს შორის პირველი, ვით აღმაშენებელი.
დროსთან მებრძოლი მუდამჟამს დინებას უქცევ აღმა,
ვით პირმშო შეუპოვართა, თავადიშვილი თარაშ.
შემფასებელი ღირსების და სილამაზის ქალის,
რაინდი მოდარაჯე ამ შეუფარებელ განძის.
წარსულის ლაბირინთებს ის შემოივლის ბევრჯერ,
შენს უკვე უკვდავ ნაწარმოებებს, ვინც წაიკითხავს ერთხე.
მეოცნებე თუ მებრძოლი, მეჯოგე თუ მეფენი,
სამშობლოსათვის იწვიან აქ სიყვარულის ცეცხლით.
თვით ჟამთა უკვდავმყოფმა, შენ კალმის საჭრეთელით,
შენივე ხელით აიგე აუღებელი ძეგლი.
შენს სახელს კოსტა ბატონო! მოსილს შარავანდედით,
დრომ მიაკუთვნა ადგილი დიდი მგოსნების გვერდით.

რაც შენში ვიპოვე

პოეტ თამაზ ცაბუტაშვილს

მე შენში ვპოვე იეთიმ – გურჯის
ალმოდებული ალალ გული.
ოცნება მართლაც ლადოსეული,
მსოფლიო სევდა გრანელის სულის.
მე შენში ვნახე ამბოხებული,
მართალი კაცის ვნებები მწველი.
თავს დატეხილი ჭექა – ქუხილი,
ქართული ლექსის ელვა და მეხი.
რა დედამ გშობა, რა გულმა გზარდა,
ხარ დიდი მადლი, წყალობა ღმერთის.
ტკივილი ყველა რამაც გაწვალა
და ყველა ბრძოლა მოიგე ლექსით.
ლექსით მიაგე შესანდობარი,
ამ დაუნდობელ და ცრუ ცხოვრებას.
მაინც შეძელი აწმყოს, მომავლის
წარსულთან დიდი დამეგობრება
მე შენით ვნახე ქართული სულის,
ვარსკვლავის კიდევ გამობრწყინება.
მისი კაშკაშით მკითხველის გულის,
დატყვევება და დამორჩილება.

გულნაზ ხარაიშვილი

იმედო, მომყევი სამარის კარამდე

ვიცი, რომ ჩემს იმედს დრო ვეღარ გათიბავს,
ამ დილას ყვირილას ჩამოვესაუბრე
ნაქარგო ზაფხულო, ნაზო და ქათიბავ,
ოდითგან გეტრფი და სულ შენთან ვსაუბრობ.
გამოზაფხულდება რა რიგად გიხდება,
ორთქლი რომ მისწვდება ყვავილებს ფაქიზად.
შენეულ სიეშხით ფიქრები დიდდება,
ამ წუთშიც ეს გული თქვენ მოგეფაქიზათ.
ძირულის ტალღავ და ძირულის ყინვებო,
ენძელავ, ძმერხლო და პეპლების ფარფატო,
საჩხერის მოდგმავ და საჩხერის სიმებო,
იმედით გჩემობთ და გულშიდაც დაგხატავთ.
მოვედი სითბოთი და ღია ბარათით,
ერს ვხედავ სიახლით, სინორჩის ასაკით.
რარიგად მხიბლავს მე წინაპრის ადათი,
უფალთან რომ სახლობს მგოსანი აკაკი.

ლოცულობს ზეციდან, მუხრანიც იქ არის,
იქ არის ბეჟანი, ლექსებად ჩართული
გულღია მგოსნებით გაიხსნა ცისკარი,
უფალთან სახლობენ ღმერთების ნათლულნი.
ლოყაზე ლურჯ ზეცას მზე ჩამოეკიდა,
უელავს გულ-მკერდი სხივებით საჩხერეს.
ხვანი და ჭალვანიც ჰყოლია მემკვიდრედ,
ველ-მინდვრის ეკლები ლექსებით აჩეხეს.
ო, ახლა უნდა ვთქვა სიფრთხილით სიმართლე,
ბოდიშსაც მოვიხდ თუკი სტროფს დასჭირდა.

იმედი „ოცნების“ საჩხერეს უმართლებს,
საჩხერე მე თვითონ ბევრ რამეს დამპირდა.
ამავსე სიკეთით, ბუნების სამყაროვ,
თბილ სიტყვებს ღრუბლები არ უნდა ფარავდეს.
ვეცდები ლექსებით დარდები გავყარო...
იმედო, მომყევი სამარის კარამდე.
საჩხერის მთებო და საჩხერის ყვირილავ,
ბალახის ცვარო და მდინარე ძირულავ,
მინდვრების ყაყაჩოვ, ლამაზო გვირილავ,
ლექსების რითმები აქ გამოპირულა.

სხვისთვის იმედი ვარ

სხვისთვის იმედი ვარ, გულზე ანაფენი,
ჩემში მხოლოდ გლოვის მთათა ნისლებია,
რატომ დამიწერეს მე ეს განაჩენი,
თვალთა გუბეები ცრემლით ივსებიან.

ვეღარ გამოვალღვე გული გაყინული,
ფიფქმა ხვავრიელად სუსხში გამახვია,
უკვე რას მიშველის დროის სინანული,
წლები-ტკივილი და ცრემლის სამარხია.

გულის იარაღო

უნდა გამოგპირო, გულის იარაღო,
თორემ ქარიშხალი ისევ მემტერება...
იქნებ, მდუმარებავ, გაგაიარაღო,
შესდექ! ჩემო წლებო, საით გეჩქარებათ.
დარდი მაპატიე, გულო ნებიერავ...

ვიბრძვი იმიტომ, რომ მზარავს
მათხოვრობა,
უკვე დაგაძინებ მკლავზე გემრიელად...
ოღონდ არ მომთხოვო ზეცით გათხოვება.

ნუღარ იგვიანებ

ნუღარ იგვიანებ... მიხმე სამეგობროდ,
გცივა?.. ერთგულების საბანს დაგაფარებ...
მტერი საყვარელო, ერთად გამოვროზგოთ,
წვიმს და მუხის ტოტებს თავი შევაფაროთ.

სახეს მოგიჩრდილავ თვალის მარაოთი,
გულში შემოგაფრქვევ ცისკრის ათინათებს...
იმედს ბღუჯა-ბღუჯად ვიღებ გირაოთი,
მჯერა, უკუნეთსაც რწმენით გავანათებ.

აფხაზეთი

აფხაზეთის ომის ცეცხლი ვნახე,
სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა.
იქ კვლავ ცივა, ქარი ჭადრებს არხევს,
კვლავ ბატონობს სიკვდილი და ძარცვა.
ყვავ-ყორნებით დაკორტნილი გალი,
მკერდს უშვერდა მტრის ყუმბარებს დახლილს.
კრთოდა სივრცე, წითლდებოდა წყალი,
ზღვა რეცხავდა იქ სისხლიან მახვილს.
სუსხს აფრქვევდა მარტოსული მთები,
ვიხანჯლავდით იმ ტკივილებს გულთან.
ქართველების მოჭრილ თავებს მტრები,
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად.
მაგრამ ქრება, დრო სატანის კვალი,
ვარსკვლავები განაგრძნობენ ციმციმს,
აფხაზეთი საქართველოს თვალი,
კვლავ ქართულად ამღერდება ვიცი!

მგლების ხროვა
(გ. ჩოხელის „მგელი” ლ. სორდიას წიგნის მიხედვით)

რკალის გარღვევა ძალიან ჭირს, მგლების ხროვაა,
ფილთა ქვებივით ჩაწოლილა ღრუბლები ცაზე,
მწერალი წუხს და ნაღვლიანობს ფიქრთა გლოვაა...
გედი რომ მღერის სხვის ენაზე, სხვადასხვა ხმაზე.
დასჯაა მხოლოდ, ხალხის სულის მსჯავრის ბეჭედი,
გლოვის ხალიჩა დაფენილა, ფეხის ბილიკად,
რწმენას მოუხმე, და იმედებს კბილით ვიჭერდი,
ნადირთა ბრბომ, რომ ცხვრები ერთად გააქილიკა.
წმინდა სამებავ, დაილოცოს შენი განგება.
შენით მადლსა და შემწეობას გულით მოველი,
გაუტანლობა არის მუდამ ბრძოლის წაგება,
აი, ამას სწუხს, ამას ჯავრობს კალმით ჩოხელი.
ახლაც ჩამესმის: რომ ტკივილი მეფობსო სადღაც,
კლდის არწივები ტირიან და ტირის მხედრები,
მეც მოთმინების ბოლო ძაფი გამიწყდა მაგრამ,
ამ მგლების ხროვას არასოდეს არ დავნებდები.

ძირულისპირი

ყაყაჩოებით მოფენილა ძირულის პირი,
ხმალი ქარქაშში ჩაჟანგებულ – დადუმებულა,
საიმერეთოს წინაპრებო, წარსულში ვყვირი,
ჩვენი მიწები მტრების ხელში გარინდებულან.
იქ „მოდინახეს“ ზეციური ადგათ ნათელი,
აუ, რამდენი დაგიკარგავს სამშობლოვ გმირი,
ერმა დგინთოთ სამუდამო ლოცვად სანთელი,
სოხუმს და გაგრას ტირის, გლოვობს ძირულის პირიც.

ღრუბელო, სევდის მკვიდრო დიშვილო

მინდა ლექსებო, შვილად გიშვილოთ,
ტკივილს მიქარვებს ჩემი კალამი...
ღრუბელო, სევდის მკვიდრო დიშვილო,
ცაზე ბრინჯაოს ფერით დალაგდი.
რად გიყვარს შავი ფერის სამოსი,
გადაიქეცი ოქროს ზოდებად...
შენ აღარ გესმის ხმები წყაროსი,
და შენი სული ნესტით ფორდება.
ალბათ ეგ ცრემლი ზეცას აწვდება,
ფაფარაყრილი არის აშლილი...
მითხარ: შენს გულში სევდა რად გხვდება,
ალბათ საბრალოვ, მოგიკვდა შვილი.

მწვერვალებისკენ გზა დამილოცეთ

კლავიშებს მოჰგავს ძირულას ტალღა,
მთების ხმაური – ამ გულის ხმაურს,
მთები მიიწევს მაღლა და მაღლა,
ღელეები კი უვლიან დავლურს.
ზღაპარეთია: წმანი, ჭალვანი,
ლიჩი, ღოდორა, ულუმბა, ხვანი...
აქ სხვანაირად მწიფობს მტევანი,
აქ მადლია და სიკეთის ხვავი.
ამ მთებს, ამ ტყეთა ჰაერს ვანაცვლებ,
ლექსთა ქარავანს, მთელ ჩემს სიცოცხლეს,
მათ სიყვარულში უნდა დავნაცრდე...
მწვერვალებისკენ გზა დამილოცეთ.

გამოძერწე

მწვანე ფერის კაბა ეცვა სოფლის ხედს და
საქორწილო მაყრებს ჰგავდნენ ბალახები,
სიმაღლიდან ცა მიწვდიდა თავის ხელს და
გადამაკრა სიყვარულის არტახები...

მოვეფერე ბორბალას და ტყის ენძელას,
ბავშვობა კი ეზო-ეზო, გზებზე ვძებნე,
ველავ ვნახე, მისი პოვნა გამიძნელდა
და წარსული მაინც გულში გამოვძერწე.

გულს ვესაუბრე

მიჩუმათებულ გულს ვესაუბრე,
აღარ გავბრაზდეთ, ჩემო კეთილო...
სული ცოდვაა, გზას ნუ აუბნევთ,
ამაყია და ცრემლებს თაკილობს...
სხვაზე არასდროს ცუდი არა ვთქვათ...
სიკეთის ღერძი დავატრიალოთ,

მოდი, ჩვენ სახელს, გრძნობა დავარქვათ,
დარდიც ვარდისფრად გავაღიავოთ...
გავშალოთ მხრები... ზღვას შევერკნოთ,
გავცდეთ ზენიტს და ნაპირებს მივწვდეთ,
უცხო სამყარო მიმოვირბნოთ,
დავისვენოთ და მზის მკლავზე მივწვეთ.

უშენობა მიჭირს

აღარ მინდა მწუხარების ფიქრი
ტკივილია, ცრემლები და ჯვარცმა...
წლები ისეც უკვე ზევით მიქრის
გადიარა გულზე დარდის ფარცხმა,

ვწუხარ... ვტირი, უშენობა მიჭირს,
ყოველ ღამე სიზმრად მელანდები...
დილით ადრე იმედის პურს ვღიჯნი,
გავღოღნი და კვლავ შენ გელოდები.

წიგნის საჩივარი

მკითხველო, გავხდი ობობას სატრფო,
ნესტში ვარ... ვდარდობ, ვერაფრით გავშრი,
თვალით დაგეძებ, ყოველდღე გნატრობ,
მე ვტირი, როგორც პატარა ბავშვი.
მომხედე, მტვერი შემომაცალე,
გადამშალე და დაიწყე კითხვა,
ჯადოსნურ ქსელში რატომ გამცვალე,
ან რა გირჩიო, კიდევ რა გითხრა.
ჩემით ისწავლე ანი და ბანი,
აი ია და მწვანე ჯეჯილი.
შემომხედე და ველარ მიცანი,
გვერდზე მიმაგდე გულგაგლეჯილი.
მე არ მჭირდება ჩართვა, გამორთვა,
ტექნიკის ცოდნა არანაირი...

არც მაუსი და არც ფერით მორთვა,
არც საწვავები ნაირნაირი.
წიგნი ვარ, წიგნი, მტვერდადებული,
დაწუნებული ამ საუკუნის...
შენი სულიდან გამოდევნილი
და მოჩურჩულე ღამის უკუნი.
მე ვარ ილია, მე ვარ აკაკი,
იაკობი და ვაჟა-ფშაველა...
მე ვარ ზღაპარი, მე ვარ არაკი,
მე წიგნი მქვია ერთი მტკაველა.
ე, მაშინ ალბათ აღარ მოვკვდები,
მკითხველო, ჩემთვის თუ მოიცალე
წამიკითხე და გამოვცოცხლდები
თორემ საცაა გარდავიცვალე.

რაღა მექნა

ვიხრჩობოდი აზვირთებულ ზღვაში,
ვერ ვუძლებდი ცრემლიან თვალს მლაშეს...
ხან ვტიროდი, როგორც თოთო ბავშვი,
ხანაც ნისლი მზის მკლავებით ვაშრე.

როცა ბედმა ტანთ ჩამაცვა სევდა,
სიკვდილს უკვე ერთი წამი აკლდა.
რაღა მექნა, გადვიქეცი კლდედ და...
ახლა ვიცი თვით სიკვდილსაც მოვკლავ!

ნათელა ხარაიშვილი

ღმერთო, წარსულში მაცხოვრე

მომავალს ვერც კი ვუმზერ თვალებში,
შიშველი ვზივარ სულ მთლად,
პატარა სივრცე დამრჩა საკუთრად
მხოლოდ ერთ ამოსუნთქვად.
ღმერთო, წარსულში მაცხოვრე მუდამ,
მე სულ დაკარგულს ვეძებ,
გულისთქმით ერთხელ მაინც მაცნობე,
იმ განძის პოვნას შევძლებ?
დავკარგე ხანძთა, ოშკი, ხახული,
მთელი სიმდიდრე ჩემი.
მომავალში კი რა მიპოვია
ამათი მე შემცვლელი.
თავიც დავკარგე, ღვთით ნაბოძები,
ზნეობა, ადათ-წესი,
გავანიავე, რაც კარგი მქონდა,
ვარ უნიათო მწყემსი.
საინგილოდან ხმა მესმის მხოლოდ
ჩემი ჯიშის და გენის,
მოძველებული, დაწუნებული
მივიწყებული ენის.
სულ ყველაფერი ნებით დავკარგე,
ბრალს ვერავის ვერ დავდებ,
რაც რომ დავკარგე, მთელი ცხოვრება,
ახლა იმ სიას ვადგენ.
მაქვს ტკივილები სულის შემძვრელი,
ლექსით ვხატავ და ვქარგავ,
ფეხქვეშ მეცლება მიწა ქართული,
მამის სახელსაც ვკარგავ.
სიტყვაც გავტეხე გაუტეხელი,
ქართველთ სიმტკივე, ფიცი,
დაკარგული მაქვს მთელი წარსული,
ვინა ვარ, არც კი ვიცი.
მინდა აღელდეს სისხლი ძარღვებში,
ლექსებით შევძლო ბრძოლა.
უსინდისობამ მძარცველს მოჰგვაროს
ლექსებით შიშის ძრწოლა.
მონობის უღელს ვეღარ დავიდგამ,
რაც რომ ვიწამე, ღირდა.
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
თავისუფლება მინდა!!!
გარდაცვალების ფარად მიჯდება,
პოვნა დაკარგულ გზების,
ლოცვებით, ღმერთო, მე მთოხვნელი ვარ,
წარსულში დაბრუნების.
ჩემი სამოთხე, ედემის ბაღი,
სიცოცხლის უკვდავება,
იქ დამაბრუნე, სადაც დავკარგე
თავისუფლებ

* * *

ემობრუნდა თითქოს წუთისოფელი,
დრომ, მესაჭემ, წლებით უკან დასწია.
დაგვიბრუნდა სილაღე და ხალისი
და ვიგრძენით სულის მოთქმა პაწია.
მიჯაჭვული ამირანი ახსნა და
მხსნელმა რამე ამბავი დააწია,
ირმის რქებით ავსებული ზედაშე
საქართველოს სადღეგრძელოდ ასწია.
ბრუნდებიან დაკარგული შვილები
სამზადისში არის გაწამაწია,
მზემ შეათბო მოკაშკაშე სხივები
ოქტომბერში გაზაფხული გვაწვია.



ზაურ მოლაშხია

მუდამ მინთია ერთი სანთელი

„ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“!
დუტუ მეგრელი

მამით — მეგრელი, დედით — გურული,
სივრცე მაქვს ნაბდად წამოხურული.
ჩანს იმედივით ჩემი გელათი,
იმერელი ვარ დედისდედათი
და უმტკიცესი კუნჭულ-კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით: —
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!
ამიტომ მე ვარ ნაღდი სვანი და
ჩემი სალოცავ- საესავითა
მე ვარ თუში და ფშაველ-ხევსური
და რას დამაკლებს ვინმე, ბნელსული...
ვარ აჭარელი, რაჭველი, მესხი...
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის!
მაგრამ... მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!

მე ვარ მოხევე, ვარ ლეჩხუმელი,
მუდამ თბილი მაქვს ჩემი ღუმელი
ზამთარში, როცა სტუმარს ველი და
ზაფხულში ვხვდები ტალავერითა!
რა მაქვს სააჯო ან დასამალი —
მე ვარ ქართლელი — გულით ალალი,
არ ვარ მშიშარა, უკანდამხევი,
რადგან ეს მე ვარ — მტკიცე კახელი!
მე ვარ ლაზი და... ისევ ის მესხი,
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის...
და, ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით:
—
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია — ქართველი!

1986 წ.

დღეს უსათუოდ რაღაც მოხდება!

დღეს უსათუოდ რაღაც მოხდება!
დაგეძაგრება ბრაზით კუნთები;
წამოიწევი ასამბოხებლად,
მაგრამ... ცხოვრებას კვლავ უჩუმდები!
და... გიცახცახებს სახის ნაკვთები,
სკამზე ეშვები, ვით გულმტკივანი;
თითს აჭერ ღილაკს და ფეხაკრეფით
კარს შემოაღებს შენი მდივანი.
და... რასაც ეტყვი, წინასწარ იცის,
კვლავ გაბრუნდება უკან მორჩილად...
მხოლოდღა მასთან დიდგულობ, ვინც კი
შენი სურვილის თარგზე მოჭრილა.
მაგრამ... ცხოვრება იცვლება უკვე
და მოყანყალე სკამის ფეხებით
ქანაობ წყალზე.. უკან და უკან...
და, იცი, სადმე გადიჩეხები.

წერილები

ტიტე მოსია

დიმიტრი გულიას „აფრა“

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „აფრა ეწოდების ნავთა და ხომალდთა აფქიოსა, რომელ არს ქართა გამბერველობით ნავთა მატარებელი; კვალად აფრა ქუდის ანაკეცი“.[1] ცნება „აფრა“ ფიგურირებს ბიბლიაში: „აღიპყრეს აფრაძ იგი მცირე ქარით კერძო“ (საქ. მოც. 27,40) „აფრის“ სინონიმია „იალქანი“. საინტერესოა, რომ არც „აფრა“ და არც „იალქანი“, საერთოდ არ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსანში“. დავით გურამიშვილი ხმარობს ამ ტერმინს:

„ახლა რა ვქნა, სად წავიდე? გზა შემექნა დახლათული,
ქარი ქრის და აფრა-გაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული.
ბრძანებანი წინ წასულა ხელმწიფისა ხელ-ჩართული,
ღმერთმან თქვენს მტერს წარუმართოს, ვით მე გზა მაქვს წარმართული“.[2]

დავით გურამიშვილი „აფრის“ სინონიმსაც („იალქანი“) მიმართავს:

„კიდევ შევხედე, გავშინჯე, გარჩევით დავინახეო;
თავთ იალქანნი ქალთანი დევთა რქად გამოვსახეო;
ვთქვი, თუ: ვაი, თუ მაცდურმან დამირწყო რამე მახეო,
მუნ მოსვლა ვეღარ გავბედე, შორს წასვლა განვიძრახეო“.[3]

ივანე გიგინეიშვილი დამოწმებული სტროფის მეორე ტაეპს ასე განმარტავს: „იალქანი — ჯვრისწერის დროს ხმარებული გვირგვინი პატარძლისა. აქ: ქალის თავსაბურავი, თავის სამკაული“.[4]

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „აფრა-ხომალდის (ნავი) ანძაზე მიმაგრებული საგანგებო ტილო ხომალდის ასამოძრავებლად ქარის ძალის გამოყენებით“. საგულისხმოა, რომ სიტყვა „აფრა“ მეგრულ ლექსიკაშიც გვხვდება განსხვავებული შინაარსით. იგი „ბოყვის“ მნიშვნელობას მოიცავს: „აფრა (მეგრ.) ხის სახლის ნაწილი ბოყვი“[5] „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კი „ბოყვი“ ასეა ახსნილი: „ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული. ნაღარში ორივე მხრივ კედლის ფიცრებს თავები აქვთ დატანებული“.[6]

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ ავტორი თედო სახოკია ყურადღებას ამახვილებს „აფრის“ ხატოვან მხარეზე: „აფრის აშვება, პირში თქმა მკვახე სიტყვისა, ჩხუბი, ანჩხლობა“.[7] აქვე სანიმუშოდ მოტანილია დიდი ილიას „ოთარაანთ ქვრივიდან“ ნაწყვეტი: „ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, უთხრა ღიმილით ქალმა (კესომ) ოთარაანთ ქვრივს“. „აფრის“ ფიგურალურ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ა. მაჩაბელიც: „ჩემს გემის აფრას სამშვიდობო ქარი დაბერავს“. დროთა მანძილზე აფრას, იალქანს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. აფრის სიმბოლურობაზე მეტყველებს ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტური იეროგლიფი, რომელშიც ქარი, შემოქმედებითი სუნთქვა და აფრა ერთი ნიშნით არის გამოსახული. შუა საუკუნეების ემბლემაში აფრა სულიწმიდის ალეგორია იყო, ზოგან უბრალოდ სულის, სუნთქვის, ქარის. მის სიმბოლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფერს: თეთრი, ქათქათა აფრები განხორციელებული მისიის, იღბლის, სიხარულის ასოციაციას იწვევდა, ხოლო შავი, მრუმე განსაცდელის მომასწავებელი იყო, ალისფერი – სანუკვარი ოცნების, გამარჯვების...[8]

როდესაც დიმიტრი გულიას „აფრა“ წავიკითხე, იმთავითვე მომაგონდა დიდი რუსი მწერლის მიხეილ ლერმონტოვის დიდებული ლექსი „აფრა“:

„ეული აფრა ქათქათებს თეთრად

---

[1] **სულხან-საბა ორბელიანი,** ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 73.
[2] **დ. გურამიშვილი,** თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 135.
[3] იქვე, გვ. 131.
[4] იქვე, გვ. 380.
[5] **ო. ქაჯაია,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001, გვ. 199.
[6] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 104.
[7] **თ. სახოკია,** ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979, გვ. 32.
[8] **ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი,** სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, I, თბ., 2011, გვ. 28.

ზღვის ცისფერნისლა არემარეში.
ნეტავ რას ეძებს შორეულ ქვეყნად,
ან რა დატოვა მშობელ მხარეში?
ბორგვენ ტალღები, ქარის ხმაურში
ანძა ირყევა, მძიმედ ჭრიალებს...
ბედნიერებას ის არ გაურბის,
არც მის საპოვნად დაბორიალებს!
ლაჟვარდა ტალღებს სრბოლით არისხებს,
თავს ოქროს სხივთა მოსავს არშია.
ის კი, ამბოხი, ელტვის ქარიშხლებს,
თითქოსდა შვება ქარიშხალშია!"[1]

(თარგმნა გ. ციცქიშვილმა)

დიმიტრი გულია როგორც ქართულ, ისე რუსულ კლასიკურ მწერლობას ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა. მათ შორის, ცხადია, მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედებასაც, ასევე ზემოთ დამოწმებულ ლექსსაც „აფრა". თუმცა ორივე პოეტის „აფრა" შინაარსობრივად და იდეურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რაიმე პარალელების ძიება უშედეგოდ სრულდება, ერთი დამთხვევის გარდა. მიხეილ ლერმონტოვი: „ლაჟვარდ ტალღებს სრბოლით არისხებს, თავს ოქროს სხივთა მოსავს არშია"; დიმიტრი გულია: „ზღვის ლურჯ ტალღებზე დაცურავს აფრა, მაღლით მზე დასცქერს ნარინჯისფერი".

დიდი რუსი პოეტის ლექსი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ დაგვეფიქსირებინა: საერთოდ, პირველად ლერმონტოვმა უძღვნა ლექსი აფრას. დიმიტრი გულია, როგორც ზღვისპირელი პოეტი, ამ ტრადიციის გამგრძელებელია. მისი „აფრის", ისევე როგორც ლერმონტოვისა, იდეური დატვირთვა მიმზიდველია და ბრძნული. ორივე პოეტმა აფრის არსი თავისებურად გაიაზრეს და არა ერთნაირად. რუსული და აფხაზური „აფრის" იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა ისე განსხვავებულია ერთმანეთისგან, ისე დაშორიშორებული, როგორც ცა და მიწა. დიმიტრი გულიას „აფრა" შთამბეჭდავი სიბრძნის შემცველია. ლექსის პირველი სტროფი ავტორს სჭირდება ფონის შესაქმნელად მთავარი სათქმელისათვის ხორცის შესასხმელად:

„ზღვის ლურჯ ტალღებზე დაცურავს აფრა,
მაღლით მზე დასცქერს
ნარინჯისფერი...
მაგრამ სად გაქრა
უეცრად აფრა,
რომ ნაკვალევიც არა ჩანს მისი?
თითქოს აქ იგი არც დაცურავდა!.."[2]

ამ სტროფში პოეტი ჩვეულებრივ სურათს აღწერს, რაც ზღვის ზედაპირზე არაერთხელ უნახავს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პირველი ტაეპის თარგმანი შესწორებას ითხოვს: „ზღვის ლურჯ ტალღებზე დაცურავს აფრა". აფრა კი არ დაცურავს ზღვის ზედაპირზე, არამედ ხომალდი ან ნავი, რომლის ანძაზეც მიმაგრებულია აფრა (საგანგებო ტილო). იგი ქარის ძალის მეშვეობით აძლევს გემს მოძრაობის თუ ცურვის საშუალებას. ციტირებული სტრიქონების მიხედვით, ზღვის მინდორზე მცურავი აფრიანი ხომალდი, რომელსაც მაღლიდან ნარინჯისფერი მზე დაკაშკაშებს, უეცრად თვალს მიეფარება და ქრება, თანაც ისე, რომ კვალს არ ტოვებს. თითქოს იგი ზღვაზე იყო და არა იყო რა, არც დაცურავდა.

ამ სურათის მნახველი და განმცდელი დიმიტრი გულია შემოდის ამქვეყნიური ცხოვრების ზღვის სივრცეში, სადაც ანალოგიურ ვითარებას პოულობს. გაიცნობიერებს წუთისოფლის წარმავლობის სიმწარეს, ამაოების გარდუვალობის შეუპოვრობას. ადამიანი ამაოების ქარის ქროლვის მსხვერპლია, უნდა, არ უნდა, მისი დამყოლია. მასთან დაპირისპირება შეუძლებელია, დინების საპირისპიროდ ვერანაირად ვერ გაცურავს:

„ზოგთა ცხოვრება ასეა სწორედ, —
მიდიან იქით, საითკენაც კი
დაჰქროლებს ქარი ამაოების...

[1] **დ. გულია,** ლექსები... გვ. 83.
[2] **დ. გულია,** ლექსები... გვ. 83.

არავითარი პროტესტი და სურვილი თუნდაც —
საპირისპიროდ
რომ გასცურონ ერთხელ დინების“...[1]

სტროფის დასაწყისში სიტყვა „ზოგთა“ საჩოთიროდ მოჩანს. ზოგთა (იგულისხმება ზოგიერთი ადამიანი) ცხოვრება კი არა ყველა ადამიანის ხვედრი ერთი და იგივეა — წარმავლობის და ამაოების ქაოსში ბინადრობა. ეს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ გაცნობიერებული. ამ მხრივ უამრავი მაგალითი იპოვება ბიბლიაში: „განვიდა ჩემგან სასოება ვითარცა ქარი და ვითარცა ნისლი ცხოვრება ჩემი“ (იობი, 12, 15); „ხოლო კაციღა აღესრულა, წარსდგა, დაეცა და არღა რა იყოს“ („იობი, 14, 10).

ხორციელი კაცის ცხოვრებას ამაოებად რაცხს დავით ფსალმუნთმგალობელი: „რამეთუ ყოველითავე ამავო არს ყოველი კაცი ხორციელი“ (ფს. 38,6) იობის წიგნის წაბაძვით დავით წინასწარმეტყველი ცხოვრების დღეებს აჩრდილად ნათლავს, ადარებს მას თივას, რომელსაც გახმობა ელის: „დღენი ჩემნი, ვითარცა აჩრდილნი, წარხდეს, და მე, ვითარცა თივაᲫ, განვხემ“ (ფს. 101,12). ან კიდევ: „კაცი ამავოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი, ვითარცა აჩრდილნი, წარვლენ“ (ფს. 143,4).

საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიური გოდებანი ამაოებათა შესახებ: „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლეს. 1,2); „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ (ეკლეს. 1,4). მკითხველს, ალბათ, გაახსენდა „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნის ფორმულა: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

როდესაც დიმიტრი გულია გარკვევით ამბობს: ზოგთა ცხოვრება ამაოების ქარს მიჰყვებაო, ალბათ, გულისხმობს ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანებს, რომელთაც ამაოების დინების საპირისპიროდ ცურვის უნარი არ შესწევთ, ანუ სიცოცხლეში არ შეუძლიათ ისეთი რამის შექმნა, რომლითაც სამუდამოდ დატოვებენ კვალს ისტორიაში და სიცოცხლეშივე დათრგუნავენ სიკვდილს, ამაოებას გაუმკლავდებიან. ამაში, ბუნებრივია, ქვეცნობიერად საკუთარ თავსაც მოიაზრებდა. მას სამართლიანად სჯეროდა, რომ სიკვდილი და ამაოება სიცოცხლეშივე ჰქონდა დამარცხებული. ამიტომაც, ბუნებრივია, მას „ზოგთა ცხოვრების“ წრეში არ ეგულებოდა თავისი თავი. ამის გამოც თქვა ხაზგასმით; „ზოგთა ცხოვრება ასეა სწორედ, — მიდიან იქით, საითკენაც კი დაჰქროლებს ქარი ამაოების“.

80 წელს გადაცილებული დიმიტრი გულიას მიერ 1956 წელს დაწერილი „აფრა“ ასე მთავრდება:

„როგორც ის აფრა,
გაიელვებს მათი (მოკვდავ კაცთა — ტ.მ.) ცხოვრებაც
და სამუდამოდ
უგზო-უკვლოდ გაქრება სადღაც...
და ვინ გაიგებს,
ცხოვრობდნენ თუ არა ისინი?!“[2]

ერთი სიტყვით, ბრძენი აფხაზი პოეტი მოკვდავ ადამიანთა ხვედრს ადარებს ზღვის ტალღებზე მცურავ აფრიან ხომალდს, რომელიც უეცრად ისე ქრება, რომ მისი ნაკვალევიც არ გამოჩნდება („რომ ნაკვალევიც არ ჩანს მისი? თითქოს აქ იგი არც დაცურავდა“). ცხოვრების წარმავლობის და ამაოების განცდას „აფრაში“ მივყავართ მის უპირველეს წყაროსთან — ბიბლიასთან. ცნობილია, რომ დიმიტრი გულია კარგი მცოდნე და თაყვანისმცემელი იყო ბიბლიისა. ამიტომაც სულაც არ არის მოულოდნელი „აფრის“ წერისას იგი შთაგონებული ყოფილიყო იობის წიგნით, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ხოლო ცხოვრებაᲫ ჩემი უმალეს არს მსრბოლისა, წარივლტოდეს და არა იხილეს, ანუ არს ნავისა კუალი გზისაᲫ, ანუ თუ ორბისა მფრინვალისაᲫ, რომელი ეძიებენ საჭმელსა“ (იობი, 25,25). ამ სიტყვებმა უნებლიედ მომაგონა გურამ ოდიშარიას ლექსიდან ასეთი ტაეპი: „არწივის ფრენა აღარ ტოვებს კვალს“.[3]

ამრიგად, დიმიტრი გულიამ შექმნა მშვენიერი ლექსი „აფრა“, რომელშიც წარმოსახულია ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობის, ამაოების განცდანი. ლექსის წერისას ავტორი უეჭველად შთაგონებული იყო ბიბლიური სიბრძნით. ამ აზრს განამტკიცებს გავლებული პარალელები „აფრისა“ ბიბლიაში.

---

[1] **დ. გულია,** ლექსები... გვ. 83.
[2] **დ. გულია,** ლექსები... გვ. 83.
[3] **გ. ოდიშარია,** უნებლიე ვედრებანი, თბ., 1984, გვ. 37.

ლუარა სორდია

ტერენტი გრანელის ენიგმების სამყაროში – „და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას“.

ტერენტი გრანელის ენიგმების უმეტესობა რელიგიური შინაარსის არის და ქრისტიანულ მსოფლგანცდას უკავშირდება. ლექსების დიდ ნაწილში ეს პოეტური გამოცანები ძირითადი აქცენტის მატარებელია და მათი ავტორის სათქმელის, მსოფლმხედველობის უმთავრესი პრობლემების წვდომის უპირველესი ორიენტირია.

ერთ–ერთი ასეთი იდუმალებით მოსილი სახეა „საოცრება“ და მისი ვარიაციები: „საოცრების რუხი ხაზები, საოცარი იღბალი, სხვა საოცრება, საოცრება წარსული, საოცრების კარები, საოცრების ლანდები, სულის საოცრება, საოცრების ლოდინი“...

„საოცრება“ საღვთო სახელია.

მივმართოთ ფსალმუნს: „უფალო, რომ ვიღაღადო მადლობის ხმით და ყველა შენი საოცრება ვილაპარაკო“ (ფს. 25/26,7)1,544).

„გადიდებთ შენ, ღმერთო, გადიდებთ, რადგან ახლოა შენი სახელი: ლაპარაკობენ შენს საოცრებებს“ (ფს. 74(75,2)(1,601).

„გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და სამართალნი მისთა ბაგეთა“ (ფს. 104/105,5)(1,635).

„დაე, უქონ უფალს წყალობა მისი და საოცრებანი მისნი ადამის ძეთა მიმართ“ (ფს. 106,21)(1,641).

„ადიდეთ უფალი... მარტოდმარტო მოქმედი დიდთა საოცრებათა“ (ფს. 136,4) (1,70).

უფლის „საოცრებით შენივთული“ (ფს. 138,14) დავით წინასწარმეტყველი უფლის... საოცრებათა სიღრმეებია (106,24). მისი „სამახსოვრით საოცრებებში (ფს. 111,4), „სასწაულებით და საოცრებებით“ (ფს. 117-118,23) გაოგნებული ასე მიმართავს უზენაესს: „აღმიხილე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი მარჯვენისა“ (ფს. 118,27)(1,653).

„გზა შენითა ბრძანებითა გამაგებინე და ვილაპარაკებ შენს საოცრებებზე“ (ფს. 118,27)(1,653).

ტერენტი გრანელს, რომელიც მეორედ მოსულ ქრისტედ გვეცნაურებოდა, ემშობლიურებოდა ჯვარცმის მისტერია, ეშაფოტი, სიკვდილი: „საოცრების წარსული, ეშაფოტზე ასული, ჩქარი და მოქანცული სიკვდილს არ ვენანები, ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმომება და იწვევს გაოცებას შორეული ალები“ (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე)(2,85).

პოეტს აოცებდა „შორეული ალები“, ანუ „შორეული ცეცხლი“, ეს კი უფლის სახელია. ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში ღმერთი წარმოიდგინება არა როგორც შემწველი, არამედ განმანათლებელი ცეცხლი.

ეს სახე არსებობას იწყებს ბიბლიიდან. ებრაელი მოსე ქორიბის მთაზე ცხვრებს მწყემსავდა და მან იხილა ცეცხლი, რომელიც მაყვალს ეხვეოდა, მაგრამ მაყვალი არ იწვებოდა (გამოსვლა,3,1-5)(3,59) ცეცხლი ქრისტე ღმერთის, მაყვალი მარიამ ღვთისმშობლის სახედ არის გამოცხადებული ბიბლიის კომენტატორთა მიერ.

„მე საოცრებას მივსდევ და მცილდებიან სხვები“, აცხადებდა მართლმორწმუნე ქრისტიანი პოეტი, რომელიც გაუცხოებული იყო ათეისტური ეპოქის ღვთისმგმობელი მასებისგან.

„საოცრების“ (ღმერთის) ხელდასხმულ გენიალურ ნიკო ფიროსმანს მიმართავს ასევე უზენაესის რჩეული პოეტი: „ჩუმად გეწვია საოცრების რუხი ხაზები, ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მინაში“ (ფიროსმანიშვილს) (2,43).

შთაგონების პროცესში პოეტს ევლინებოდა სანთელი, საოცრება, განსაცდელი: „მწუხარე ეს ოცნება, მწუხარე ეგ სანთელი და ისევ საოცრება და ისევ განსაცდელი“.

საოცრებასთან ერთად, სანთელიც საღვთო სახელია (4, 124).

„სიჩუმის ქარი“ (საღვთო ნიავი, შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდა) გულში ცეცხლს“ ანთებდა, პოეტის „თეთრი სული“ „ლამპარს“ ელტვოდა, წამების შედეგად იყო აისი, „ცისფერი ყვავილი“, „მდინარესავით“ დაულეველი ფიქრები, რათა სასწაულებთან, საოცრებასთან წილნაყარ სულს მუზის პოეტური სასწაულები ემცნო მკითხველისთვის: „... გულში ცეცხლი ინთება და სიჩუმის ქარია. სადღაც ელავს ლამპარი, ჩემი თეთრი სულივით... ეს წამება გაივლის, თუ აისმა ინათა. და ცისფერი ყვავილი დაეცემა მინასთან“. (მგლოვიარე სერაფიმები)(2,63-64).

საღვთო ცეცხლთან, საოცრებასთან წილნაყარი პოეტის სულში „ლამპარი“ ელავს, ლამპარი კი საღვთისმშობლო სახელია: „გიხაროდენ, ლამპარო დაუვალო ნათლისაო“ (5,12)

ლექსის ავტორის იდეალია ცისფერი ყვავილი. ყვავილი საღმრთო სახელია: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისგან იესესსა და ყვავილი ძირისგან აღმოხდეს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 11,1) (6,82).

წამებული, ციხეში განმარტოებული პოეტის იმედი იყო „საოცრება“ – ღმერთი: „ ... და ვფიქრობ ასე განმარტოებით და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას, მე მომაშორეს თბილისს დროებით, თბილისი გახდა ჩემთვის ოცნება“ (მოვიდა ღამე ასე აშკარა) (2,68).

უმზეო, უშთაგონებო დღეებში, როცა „იღბალი და საოცრება“ უჩინარდებოდა, მგლოვიარე პოეტი ოცნების ფრთებს ნატრობდა გასაფრენად: „ისევ იღბალმა და საოცრებამ უმზეო დღენი ჩემს წინ გაფინეს, შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ! – მომეცი ფრთები და გამაფრინე (გათენდა, ვაღებ დაკეტილ კარებს) (2,123).

ხშირად არა „მზიანი ღამე“ (ღმერთის სიმბოლოა) (7) არამედ „შავი და საშინელი ღამე“, ყორნის სახეში პერსონიფიცირეული ბოროტება ზეიმობდა ირგვლივ, „ღალატი და შური“ იყო შეუცნობელი, მსოფლიო სევდით დაფერფლილი პოეტის თანამდევო, მაგრამ თბილისში სამუდამო განსასვენებელი, მომავალი დიდება ეიმედებოდა პოეტს და დარწმუნებული იყო, გენიოსის ხვედრი „საოცრებასთან“ შეხვედრა იქნებოდა: „ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები (ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე). დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლოს თბილისთან თუ სამარე ვიშოვე... ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია, საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი“(2, 127-128).

წამებული ეშაფოტის და საფლავის მომლოდინე პოეტის ნუგეში მხოლოდ „საოცრება“ იყო: „აელვარდა გუშინ უიმედო მინა და წამებულ სულში საოცრებას სძინავს“ (სიშორის ცეცხლი) (2,154).

„მწუხარე მელოდიის“ (2,162) ლირიკული გმირის „უმანკო ბაგე“ ლოცვებს აღავლენდა, „საოცრების ლანდები“ კი „ბრილიანტივით საიდუმლო ოცნებით“ აჯილდოებდა: „მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს, შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდნენ ლოცვები. საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“.

იყო ვედრება, მოგონება, სინანული, ვარდების „ლურჯი სინაზე“, ბროლის არმაზი, უნაზესი გამები, სასაფლაოს, უმზეობის სევდა, მაგრამ სულიწმინდის ქარის მოვლინებას მოჰყვებოდა ფიქრები, იმედები, მუსიკა, ხეტიალი საყვარელ ქალაქში: „ როცა ქარი იწყება, გადვიქცევი ფიქრებად, ალბათ ბევრი იქნება იმედები ქარვაში, მესმის ხმა როიალის, ვით ფოთლების შრიალი, მიყვარს მე ხეტიალი შეშლილივით ქალაქში“.

ლექსის მთავარი აქცენტი მოდის „საოცრებაზე“ (ღმერთზე), სულიწმინდის (საღვთო ქარის) მოვლინებაზე...

„საოცარი იღბალი“ იყო პოეტის ურთულეს გზებზე მისი გზამკვლევი (თეთრი ფიქრებიდან) (2,44).

სიკვდილ–სიცოცხლის გზასაყართან მდგარ პოეტს აწამებდა სიშორეში გაუჩინარებული იდეალი, ყორნის– შემზარავი ბოროტების–სიახლოვე, მაგრამ „შორეული იმედით“ „საოცრების კარებს“ უახლოვდებოდა: „... შემდეგ მწუხარება გამეფდა, ჩუმად მოვიდა ზაფხული. ვდგავარ საოცრების კარებთან, როგორც სიზმარი წარსულის“.

ზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 84,12)(7, 1,614)

უიმედო წამშიც პოეტი გაფრენას ნატრობდა, თუმცა მის გულში „ნისლიანი ღამე“ იყო, „სულში–ცისფერი სინათლე“.

„ცისფერი სინათლე“ უფლის სახელია. ღმერთი არის „ნათელი დიდი“ (მათე, 4,16) (1,6) ნათელი სოფლისა (იოანე 8,12)(1,195-196)

შთაგონების თანამდევი იყო ოცნება, ფიქრი, წვალება, დარდი, ცრემლი, ხოლო იმედი იყო უზენაესი – „საოცრება“: „დუმილი არის თეთრი ოცნების ღამეა ქარის და საოცრების. ეს ფიქრი მივლის, ქრიან თვალები. ღამეა წვიმის და გაწვალების“ (დღეა წვალების) (2, 166-164).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
2. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
4. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა, საპატრიარქოს უწყებანი, №2, 3-9 აპრილი, 2009
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
7. ტიტე მოსია, ოქსიმორონი „მზიანი ღამის“ პრობლემატიკა, თბ. 1999

ამირან ლომაძე

“აღზრდის” ცნების ოპტიმალური განსაზღვრება და კვლევის წყაროები

პრაქტიკოს პედაგოგთა ფართო საზოგადოების და ორთოდოქს პედაგოგ-მკვლევართათვის მთელს მსოფლიოში სადაო არ იყო და არ არის, რომ **პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის** შესახებ, ე. ი. პედაგოგიკის კვლევის **საგანია აღზდრა,** მისი არსი, მისი კანონზომიერებანი.

სახელწოდება “პედაგოგი”, “პედაგოგიკა” პირდაპირ უკავშირდება “ბავშვს” (“პაიდო” — ბავშვი და “აგოგე” მიმყავს, ვუძღვები) კლასიკური პერიოდის საბერძნეთში, როცა ჩამოყალიბდა ათენური აღზრდის სისტემა და გაჩნდა სიტყვა-ტერმინი “პედაგოგი”, ეს ტერმინი **“ბავშვის ხელით ტარების” მნიშვნელობით კი არ იხმარებოდა,** როგორც ეს ე. ნ. მედინსკიმ და გ. ე. ჟურაკოვსკიმ დაამკვიდრეს პედაგოგიურ ლიტერატურაში, არამედ **“აღზრდის”** მნიშვნელობით არის სიტყვა “პაიდეია”, რაც ნიშნავს აღზრდას, “პაიდეიო” — ვზრდი. სხვა ცალკე განსხვავებული სიტყვა-ტერმინი **“აღზრდა”** კლასიკურ ბერძნულში არ ჩანს.

სანამ პედაგოგიკა თეორიად, მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა, ცხადია, მას წინ უსწრებდა აღზრდის ხანგრძლივი პრაქტიკა. ყველაზე სრული სახით, ყველა თავისი ძირითადი კომპონენტით, აღზრდა **ათენის** სააღმზრდელო სისტემაში ჩამოყალიბდა, სადაც აღზრდის პრაქტიკა **აღსაზრდელის** ყოველმხრივი, **ჰარმონიული განვითარების იდეას** ეფუძნებოდა და მოიცავდა აღზრდის შემადგენელ **ოთხივე** ძირითად კომპონენტს: **გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიურ და ფიზიკურ** განვითარებას. იგი გამოიხატებოდა ანტიკური ეპოქის ლეგენდარული პოეტი ქალის — საფოს (VII-VI სს.ძვ.წ.) მიერ შემოტანილი ტერმინით “კალოკაგათია”.

დღეს სრული სახით **აღზრდის** როგორც პედაგოგიკის საკვლევი დეფინაცია ასე წარმოგვიდგება: **აღზრდა არის მიზანმიმართული, თანამიმდევრული, გეგმაზომიერი და სისტემური ზეგავლენა ბავშვის გონებრივ, მორალურ, ესთეტიურ და ფიზიკურ განვითარებაზე, რომლის შედეგი ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებაა. უწ. ყოვლისა მოცემული ქვეყნის ბრძენი მოქალაქეა.** ამ პროცესში წამყვანია პედაგოგი და პედაგოგიკაც ის მეცნიერებაა, რომლითაც პედაგოგი უნდა შემოქ-

მედებითად ხელმძღვანელობდეს აღზრდის პროცესში, **ეს მეცნიერება განსაზღვრავს პედაგოგის პროფესიის სპეციფიკასაც.**

პედაგოგიკა და მისი საკვლევი საგანი — აღზრდა, მაშასადამე, მოიცავს სკოლამდელ და სასკოლო ასაკს, როცა მოზარდი საბოლოოდ ეთხოვება თავის ბავშვობას და დგება ე. წ. "სიმწიფის ატესტატის მიღების ჟამი, როცა ახალგაზრდა გადის დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, იგი თავისუფლდება **პედაგოგის მეურვეობისგან,** უკვე როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე კანონის წინაშე პირადადაა ვალდებული თავისი მოქმედებისათვის, **პედაგოგსაც ეხსნება საშუალო სკოლადამთავრებულთა მიმართ პედაგოგიური მოვალეობა.** ამდენად, შემთხვევითი როდია, რომ აღზრდის მეცნიერებას საბოლოოდ დაუმკვიდრდა სახელწოდება **"პედაგოგიკა",** რომელიც პირდაპირ ბავშვთანაა დაკავშირებული.

დღეს საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებულია აზრი, რომ აღზრდა თავისი ისტორიის სათავეს იღებს ადამიანთა საზოგადოების წარმოშობიდან. დამწერლობის შემოღებამდე იგი მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პრეისტორიულ პერიოდს.

რას წარმოადგენდა აღზრდის პრაქტიკა კაცობრიობის პრეისტორიაში, ამ კითხვაზე ოპტიმალური პასუხი იმავე წყაროებში უნდა ვეძებოთ, რომელი წყაროებითაც სარგებლობენ კაცობრიობის პრეისტორიის მკვლევარები დღეს.

მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც უფრო თანამედროვე მიღწევებს ეფუძნება, პრეისტორიის წყაროებში ასახელებენ და ამ თვალსაზრისით განიხილავენ პირველ ყოვლისა **ენას**. აღიარებულად თვლიან, რომ ენა "სოციალური ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ასევე ენა ადამიანური ქცევის წარმართვის საშუალებაცაა (ვთქვათ ზნეობრივი შთაგონებით, დარწმუნებით, ახსნით, წახალისებით და ა.შ.)... მართალია, მეცნიერება ნამარხ ენებს არ იცნობს და ამდენად ჩვენი უძველესი ნამარხი წინაპრების, ვთქვათ ზნეობრივ შეგნებაზე პირდაპირი ენობრივი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაგრამ მეცნიერება ფლობს უძველესი ადამიანის ენის რეკონსტრუქციის საკმაოდ სანდო საშუალებებს — ესაა იმ პირველყოფილ ხალხთა ენების შესწავლა, რომელი ხალხებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ ჩვენს პლანეტაზე და ამ ენათა პალეონტოლოგიური ანალიზი".

პირველყოფილ ადამიანთა ენები მრავალ სანდო ცნობას გვაწვდიან ზნეობრივ ცნებათა და ჩვეულებათა წარმოშობაზე, გონებრივ-ესთეტიკური განვითარების დონეზე... "მოცემულ მიმართებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტასმანიელთა ენა, ენა იმ ხალხებისა, რომლის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ის ცხოვრობდა ძველი ქვის ხანაში. ზოგიერთ გარემოებათა გამო, ეს ხალხი თავის კულტურულ განვითარებაში ჩამორჩა ევროპის ხალხებს დაახლოებით 40 ათასი წლით.

...ეთნოგრაფებმა, მისიონერებმა და ლიტერატორებმა მოასწრეს (სანამ კოლონიზატორები ტასმანიელებს გაანადგურებდნენ) და შეადგინეს ტასმანიელთა ცოცხალი ენის ლექსიკონები ამ ხალხის ტომობრივ სახესხვაობათა გათვალისწინებით. და თუმცა ეს ლექსიკონები არ არიან სრულნი, მაინც წარმოადგენენ ძვირფას წყაროს პრეისტორიის და, მაშასადამე, მაშინდელი აღზრდის პრაქტიკის შესწავლისათვის. ენის სიმდიდრე, როგორც იაკობ გოგებაშვილი გვასწავლის აღზრდაში გონებრივ განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ტასმანიელთა ენა ამ მხრივ ძალზე ღარიბია. თუ თანამედროვე ევროპის ხალხთა ლექსიკონები შეიცავენ დაახლოებით 80 ათასზე მეტ სიტყვას, ტასმანიელთა ლექსიკონი სულ რამდენიმე ასეული სიტყვით შემოიფარგლება"...

მომდევნო წყაროა "არქეოლოგია", საერთოდ, ეს ყველაზე ღრმა ისტორიული წყაროა. დღეს ჩვენ გვაქვს არქეოლოგიური ინფორმაცია ადამიანზე, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობდა დაახლოებით ორი მილიონი წლის წინათ. ლაპარაკია "ოლდოვაის" ადამიანზე. ასევე არქეოლოგიური აღმოჩენები ეთიოპიაში და სხვაგან გვიდასტურებენ, რომ ადამიანთა ასაკი 4,5 მილიონ წლამდე თარიღითაა განსაზღვრული. ამასვე ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში. არქეოლოგიით დღეს გაცილებით ფართო და ღრმა მნიშვნელობის ცნობებს ვიღებთ, ვიდრე ეს ადრე ხერხდებოდა.

კვლევის მომდევნო წყაროა "პალეონტოლოგია", რომელიც გვაწვდის ინფორმაციას უძველესი და ძველი ადამიანების ფსიქიკური წყობის ზოგიერთ ნიშანზე, ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და ზნეობრივ მიდრეკილებებზე, ეყრდნობა რა ადამიანის ფიზიკური ევოლუციის მონაცემებს... თუმცა პალეონტოლოგიური წყაროები ფრაგმენტულია, მიუხედავად ამისა, ისინი გვაძლევენ შესაძლებლობას ავხსნათ უძველესი ცხოვრების ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა"...

რაც შეეხება “გეოლოგიას, პალეოზოლოგია და პალეობოტანიკას” ისინი გვაწვდიან ინფორმაციას ადამიანთა არსებობისთვის მაშინდელი ბუნებრივი პირობების შესახებ, რომელთა ცოდნის გარეშე “შეუძლებელია უძველეს ადამიანთა სულიერი სამყაროს ადექვატური რეკონსტრუქცია. ფაქტობრივად, ამავე თვალსაზრისს იზიარებენ პრეისტორიის სხვა მკვლევარებიც, რომელთა შრომებში ვკითხულობთ, რომ პალეოჰომინიდის შემეცნების უნარის, მის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით მრავალ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს (ფაქტებს) გვაწვდის “ანთროპოლოგია, არქეოლოგია, მატერიალური კულტურის ისტორია, ბიოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, ბავშვის ფსიქოლოგია, ზოოფსიქოლოგია”.

კვლევის უახლესი, მრავალმხრივ გაუმჯობესებული და სრულყოფილი მეთოდებით მოპოვებული, აღნიშნულ წყაროებში თავმოყრილი და გაანალიზებულია კაცობრიობის პრეისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელთა გათვალისწინებით პირველად შეიქმნა და ძირითადად გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გამოქვეყნდა გამოკვლევები, რომლებიც გვაძლევენ შესაძლებლობას მივიღოთ შედარებით სანდო წარმოდგენა **აღზრდის პრაქტიკის წარმოშობასა და განვითარებაზე** პრეისტორიის ხანგრძლივ პერიოდში.

ნანი ჭანიშვილი

ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს კვლევითი და სასწავლო ცენტრის „ენა, ლოგიკა და მეტყველება“ ხელმძღვანელი, ტეხასის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი

გია კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოსა და კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფვრის შესახებ

როგორც ბიბლიაში წერია: „მხედველნი ვერას ხედავენ, მსმენელნი ვერას ისმენენ, და არც არა გაეგებათ რა. ...ვინც ისმენს სიტყვას, მაგრამ არ ესმის იგი, მიადგება უკეთური და მოსტაცებს გულში ჩათესილ სიტყვას. ...და ასე ღვარძლმაც იჩინა თავი“.

ჩვენს გარშემო უამრავი რამ არსებობს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რადგან „ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!“

რაც ჩვენ ვერ დავინახეთ, ის სხვებმა დაინახეს და გაიგონეს... ვინაიდან „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“.

ალბათ, განგების ნება იყო, რომ სწორედ ჩვენ დროში, ჩვენს ქვეყანაში, მოხდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომელიც ახალგაზრდა ქართველ მათემატიკოსს გია კვაშილავას ეკუთვნის.

წინამდებარე წერილი ეხება გია კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას და გამოთქმულია სარწმუნო მოსაზრება, რომ ეს წარწერები შექმნილია პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. ამასთან დაკავშირებით განხილულია შემდეგი საკითხები:

I. სამხრეთ ევროპისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობისა და ენების შესახებ

გამოჩენილი ავსტრიელი ლინგვისტის პ. კრეჩმერის აზრით, მრავალი სიტყვა ბერძნულ ენაში ნასესხებია არაინდოევროპული მოდგმის, წინაბერძნული მოსახლეობის (მაგ., ლელეგების, პელასგებისა და სხვების) ენებიდან, რომლებიც მას კავკასიური ტომების მონათესავე ენებად მიაჩნდა. ნასესხები სიტყვები, პირველ რიგში, წარმოადგენს ბალკანეთის ნახევარკუნძულის, კუნძულ კრეტისა და მცირე აზიის ტოპონიმებს. პ. კრეჩმერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახ-

ლეობა, ფრიგიელების გარდა, არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყო; ეს იყო თვითმყოფადი ხალხი[1].

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების მოსახლეობის არაინდოევროპულობას იზიარებს გამოჩენილი ავსტრიელი ისტორიკოსი ფრ. შახერმაირიც[2]. ასევე შვეიცარელი ლინგვისტი ედ. შვიცერი ამბობს, რომ წინაბერძნული და მცირე აზიის (არაანატოლიური და არაფრიგიული) ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და არც ინდოევროპული. იგი აღნიშნავს, რომ ამ ენათაგან ზოგიერთი უეჭველად ერთმანეთს ენათესავებოდა; ეს ენები ქმნიდნენ მცირეაზიურ ანუ ეგეოსურ-მცირეაზიურ ენობრივ ჯგუფს, რომელსაც კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთ¬კავკასიურ, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულ ენებთან[3].

ფრანგი ლინგვისტის ან. მეიეს აზრით, ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური (კერძოდ, სამხრეთკავკასიური – ქართველური) ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რის ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს[4].

გამოჩენილი ინგლისელი ლინგვისტი ჯ. ჩედვიკი აღნიშნავს, რომ ძვ.წ.-ის XX საუკუნეში ერთიანი ბერძნული ენა ჯერ არ არსებობდა. მისი აზრით, ეს ენა შეიქმნა ბერძნების მიერ ზემოხსენებული ტერიტორიების კოლონიზაციის შედეგად, როდესაც ბერძნულად მოლაპარაკე მეომარი ხალხი შემოიჭრა ბალკანეთის ნახევარკულძულზე. იგი იქვე ამბობს, რომ ბერძნული ენა ჩამოყალიბდა ადგილობრივი მოსახლეობის ენისა და შემოჭრილი დამპყრობლების სხვა ენის შერევით[5].

II. კორიბანტების, კოლხური დამწერლობისა და ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ

ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი (X.3.19) ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები/კირბანტები, ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი. ძველი ბერძენი სწავლულების: თეოპომპოს ქიოსელის, თეოფრასტოს ერესოსელის, აპოლოდოროს ათენელის, ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კრეტელ კორიბანტებს კირბების – საკრალური სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ. კრატინოსის, ლისიასის, პლატონის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, არისტოფანესის, პლუტარქეს, ძენობიოსის, კომეტასისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე[6].

---

[1]. Kretschmer, P., 1896. Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache. *Göttingen, Vandenhoeck und Ruprecht, 1896, 292, 407.*

Kretschmer, P., 1940, 1943. Die Vorgriechischen Sprache- und Volksschichten. *Glotta, XXVIII, 1940, 231-278; XXX, 1943, 84-218, 244-246.*

Kretschmer, P., 1953. Die Leleger und die Ostmediterrane Urbevölkerung. *Glotta XXXII, 1953, 161-204.*

ურუშაძე აკ., 1964. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1964, 113, 114.*

[2]. Schachermeyr, Fr., 1955. Die ältesten Kulturen Griechenlands. *Stuttgart, W. Kohlhammer, 1955.*

Schachermeyr, Fr., 1964. Die minoische Kultur des alten Kreta. *Stuttgart, 1964.*

Schachermeyr, F., 1967. Ägäis und Orient. Die überseeischen Kulturbeziehungen von Kreta und Mykenai mit Ägypten, der Levante und Kleinasien unter besonderer Berücksichtigung der 2. Jahrtausends v. Chr. *Österreichische Akademie der Wissenschaften. Philosophisch-Historische Klasse. Denkschriften, 93. Bd., Graz und Vienna, 1967;* uruSaZe ak., 1964*, 112, 112[15], 113[18], 114[19].*

[3]. Schwyzer, E., 1939. Griechische Grammatik. *Auf der Grundlage von Karl Brugmanns Griechischer Grammatik. C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung. Band I (Allgemeiner Teil, Lautlehre, Wortbildung, Flexion), München, 1939, 58-59, E, 2.*

ურუშაძე აკ., 1964*, 114, 116, 116[26].*

[4]. Meillet, A., 1930. Aperçu d'une Histoire de la langue Grecque. *Paris, 1930, 35, 180.*

ურუშაძე აკ., 1964*, 115.*

[5]. Chadwick, J., 1976. The Mycenaean World. *Cambridge University Press. New York, 1976, 1, 2, 4.*

[6]. ურუშაძე აკ., 1964*, 154-166.*

კვაშილავა გ., 2008. კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008, 204-205.*

ძველი ბერძენი ეპიკოსი აპოლონიოს როდოსელი (IV.277-281) წერდა, რომ „კოლხებმა შემოინახეს თავიანთი მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“[1].

გერმანელი გეოგრაფი კ. რიტერი ამბობდა, რომ „კირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“[2]. ვლ. სიჭინავას მოსაზრებით, ფორმა „კირბი“ დაკავშირებულია კოლხურ (მეგრულ) „კირიბი“ სიტყვასთან, რაც ნიშნავს „კრავს“[3]. იმავე ფუძის კოლხური (მეგრული) სიტყვა „კირიბუა“, გია კვაშილავას კვლევის თანახმად, ბეჭვდას ნიშნავს[4].

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ კორიბანტებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ხარაქს პერგამონელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფია“-ს ანუ „ოქროდამწერლობა“-ს (ოქროთი წერას) უწოდებდა, რასაც იმოწმებს ბერძენი ეპისკოპოსი ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისას[5].

პ. ინგოროყვა და შ. ნუცუბიძე გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ძველბერძნულ წყაროებში დადასტურებული დამწერლობა „ხრისოგრაფია“ იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო ვერძის ტყავზე – „ოქროს საწმისზე“ და არგონავტებმა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბეძნეთიდან ოქრომრავალ კოლხეთში[6].

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე აზიაში[7]; ხოლო აკ. ურუშაძეს მიაჩნდა, რომ ეს ნიმუშები აღმოჩნდება საბერძნეთის ტერიტორიაზეც[8].

2004-2007 წლებში ბოლნისის რ-ნში, დაბა კაზრეთში, საყდრისში ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ გამოავლინა ოქროს მომპოვებელი მაღარო და ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. ბალიჭში – ნამოსახლარი და სამაროვანი, რომლებიც 5000 წლის წინანდელია[9]. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა რომ, ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე – ოქრომრავალ კოლხეთში განვითარებული იყო დეკორატიულ-გამოყენებითი და საიუველირო ხელოვნებაც. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი წინაპრები არიან სამთო-მეტალურგიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლები მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში და მათი საზოგადოება იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული და განვითარებული. აქედან გამომდინარე სრულიად მოსალოდნელია, რომ 1000 წლის შემდეგ ამ ხალხს უკვე შექმნილი აქვს კოლხური დამწერლობა, გააქვს თავისი ცოდნა და გამოცდილება ხმელთაშუაზღვისპირეთში და იქ ქმნის ქართული კულტურის კერებს. სწორედ ამიტომაა სრულიად გეგმაზომიერი ის, რომ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები შესრულებულია პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. ამაში არაფერია გასაკვირი. ეს არის ის უძველესი კულტურა, რომელიც ერთ-ერთი წამყვანია იმდროინდელ სამყაროში სხვა უძველეს კულტურებთან ერთად.

---

[1]. ურუშაძე აკ., 1964, *151-152.*

[2]. Ritter, C., 1861. Geschichte der Erdkunde und der Entdeckungen. *Vorlesungen an der Universität zu Berlin gehalten von C. Ritter. Herausgegeben von H. A. Daniel. Mit Carl Ritter's Bildniß. Berlin, 1861, 60-61.*

[3]. სიჭინავა ვლ., 1953. ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან (კოლხური „კირბების“ ადგილისათვის ქართული დამწერლობის ისტორიაში). *ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953, 81-101; ურუშაძე აკ., 1964, 154.*

[4]. კვაშილავა გ., 2008, *205-206.*

[5]. ურუშაძე აკ., 1964, *150, 447;* კვაშილავა გ., 2008, *206.*

[6]. ინგოროყვა პ., 1939. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, I, ქართული მწერლობის დასაწყისი, პირველი ქართული მწერლობისა – ანტიური ხანა. *„მნათობი“, 1, თბილისი, 1939, 169-170.*

ურუშაძე აკ., 1964, *151.*

ნუცუბიძე შ., 1983. შრომები. *VIII ტ. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1983, 31, 98, 99;* კვაშილავა გ., 2008, *206.*

[7]. ჯავახიშვილი ივ., 1949. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. *წიგნი III, ნაკვეთი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1949, 236.*

[8]. ურუშაძე აკ., 1964, *145-168.*

[9]. Stöllner, Th.; Gambaschidze, I.; Hauptmann, A., 2008. The Earliest Gold Mining of the Ancient World? Research on an Early Bronze Age Gold Mine in Georgia. *International Conference AMITEM 2008, Ancient Mining in Turkey and the Eastern Mediterranean, Ankara, June 15-22, 2008, 271-288.*

III. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების შესახებ

მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტი – ფესტოსის დისკო[1] ნაპოვნია ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე იტალიელი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მიერ 105 წლის წინ. ფესტოსის დისკო დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წ.წ.-ით. ის არის თიხის დისკო, რომლის დიამეტრი დაახლოებით 16 სმ-ია, ხოლო წონა – 380 გრ. თავიდან ნოტიო თიხის ფირფიტის ორივე მხარეს ოქროს ყალიბების საშუალებით დაბეჭდილია 244 ნახატ-ნიშანი; შემდეგ დისკო ცეცხლშია გამომწვარი. ამჟამად ის ინახება კრეტაზე, ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში[2].

1900-1909 წლებში A კლასის ხაზოვანი წარწერები აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა, სერ არტურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე არქეოლოგიური გათხრებისას. ეს წარწერები, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. 1900-1500 წ.წ.-ით, გვხვდება თიხის ფირფიტებზე, საბეჭდავებზე, ჭურჭლეულზე, დოქებზე, ვაზებზე, ძვირფასი მეტალის სამკაულსა და სხვა საგნებზე. ამჟამად ამ ნიმუშების რაოდენობა შეადგენს 1427 საგანს, რომლებიც ინახება კრეტის მუზეუმებში[3].

ევროპისა და ამერიკის ავტორიტეტული მეცნიერები თვლიან, რომ ამ წერითი დოკუმენტების შემქმნელმა ხალხმა ადრე ბრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში დააფუძნა პირველი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია.

მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები: ა. ევანსი, პ. კრეჩმერი, მ. ვენტრისი, ჯ. ჩედვიკი, ა. მორპურგო დევისი და სხვები წერდნენ, რომ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები შესრულებულია არაბერძნულ ენაზე; მეტიც, ს. ლურიე, ფრ. შახერმაირი, ალ. ლეისი, აკ. ურუშაძე, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, რ. გორდეზიანი და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ წარწერების ენა არაინდოევროპულია[4].

ფრ. შახერმაირის აზრით, A კლასის ხაზოვანი წარწერების ენა, რომელსაც იგი ეგეოსურს უწოდებს, არის სამხრეთკავკასიური (პროტო-ქართველური), რომლის გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში[5].

აკ. ურუშაძის მოსაზრებით, „როცა კრეტის წარწერები შეიქმნა, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი სხვა პუნქტი წინაელინური – პელასგური [მაგ., მაკრიელთა, დოლიონთა და სხვა] მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. მინოსურ მოსახლეობაში კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. ქართველურ ტომებს, რომელთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან თითქმის ყველა დარგშია გამომჟღავნებული. მრავალი ძაფი აკავშირებს უძველეს კულტურის ისეთ კერასთან, როგორიც კუნძული კრეტა იყო (თქმულება კოლხთა და კორინთელთა გამგებელ აიეტზეც პელასგურ-კოლხურ სამყაროს მჭიდროდ აკავშირებს კრეტას: კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის მეუღლე პასიფაე ჰელიოსის ასულია; იგი აიეტისა და კირკეს დაი, მედეას მამიდა და არიადნეს დედაა)“[6].

---

[1]. Chadwick, J. 1990. Linear B and Related Scripts. *In: Reading the Past - Ancient Writing from cuneiform to the Alphabet. Introduced by J. T. Hooker. University of California Press, British Museum, 1990, 190.*

[2]. კვაშილავა გ., 2007. ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX ტ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2007, 207.*

[3]. კვაშილავა გ., 2011. A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIII. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2011, 175. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012, 17.*

[4]. კვაშილავა გ., 2011*, 163-171, 175-176.*

[5]. Schachermeyr, Fr., 1955*, 252, 255;* ურუშაძე აკ., 1964*, 167.*

[6]. ურუშაძე აკ., 1964*, 166.*

აკ. ურუშაძის საბოლოო დასკვნა იყო: „მინოსური [პელასგურ-კოლხური] დამწერლობის კვლევა-ძიებაში პელასგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის – იბერიულ-კავკასიური ენების ჩართვამ შეიძლება საქმე წარმატებით დააგვირგვინოს“[1].

1988 წელს ავსტრიელმა ინჟინერ-ქიმიკოსმა, დოქტ. ჰ. ცებიშმა ბუდაპეშტის ეირენეს საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე განაცხადა, რომ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები ამოკითხული უნდა იქნეს პროტო-ქართველურ-კოლხურ (იბერიულ) ენაზე[2].

ასი წლის განმავლობაში ამ წარწერების გაშიფვრას ცდილობდა მსოფლიოს გამოჩენილი მრავალი მეცნიერი, თუმცა ამოკითხვა ვერაფრით ვერ მოხერხდა.

თითქმის ყველა უძველესი წარწერა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა ამოკითხეს. ასევე, ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფვრაც ჩვენმა თანამემამულემ და ნიჭიერმა ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ შეძლო.

უძველესი წარწერების გამშიფვრელები არიან:

1. სილვესტრ დე სასი (1758-1839 წ.წ.) – ფრანგი ენათმეცნიერი, ეგვიპტური დემოტიკური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამშიფრავი;

2. იოჰან ოკერბლადი (1763-1819 წ.წ.) – შვედი დიპლომატი, ეგვიპტური დემოტიკური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამშიფრავი;

3. თომას იუნგი (1773-1829 წ.წ.) – ინგლისელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი და ექიმი, ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამშიფრავი;

4. ჟან-ფრანსუა შამპოლიონი (1790-1832 წ.წ.) – ფრანგი სწავლული, ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის გამშიფრავი;

5. კარლ რიხარდ ლეპსიუსი (1810-1884 წ.წ.) – გერმანელი სწავლული, უძველესი ეგვიპტური წარწერების ამომკითხველი;

6. გეორგ გროტეფენდი (1775-1853 წ.წ.) – გერმანელი სწავლული, გიმნაზიის მასწავლებელი, ძველი სპარსული ლურსმული დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამშიფრავი;

7. ეჟენ ბიურნუფი (1801-1852 წ.წ.) – ფრანგი სწავლული, ძველი სპარსული ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

8. ედუარდ ჰინკსი (1792-1866 წ.წ.) – ირლანდიელი მღვდელი, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

9. უილიამ ფოქს ტალბოტი (1800-1877 წ.წ.) – ინგლისელი ფიზიკოსი, ქიმიკოსი და მათემატიკოსი, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

10. ჰენრი რაულინსონი (1810-1895 წ.წ.) – ინგლისელი ოფიცერი, ძველი სპარსული და ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

11. ჟიულ ოპერტი (1825-1905 წ.წ.) – ებრაელი სწავლული, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

12. ბედრჟიხ ჰროზნი (1879-1952 წ.წ.) – ჩეხი ენათმეცნიერი, ხეთური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;

13. ელის კობერი (1906-1950 წ.წ.) – ამერიკელი ისტორიკოსი და არქეოლოგი, რომლის ნაშრომი გახდა საფუძველი B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრისა;

14. მაიკლ ვენტრისი (1922-1956 წ.წ.) – ინგლისელი არქიტექტორი, მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გამშიფრავი;

15. ჯონ ჩედვიკი (1920-1998 წ.წ.) – ინგლისელი ენათმეცნიერი და ელინისტი, მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი წარწერების ამომკითხველი.

---

[1]. ურუშაძე აკ., 1964*, 168.*

[2]. Zebisch, H. R., 1992. Die Kretischen Linear-Schriften und die Iberische Sprachfamilie. *Cretan Studies, Vol. 3, Adolf M. Hakkert-Publischer-Amsterdam, 1992, 203-230.*

IV. გია კვაშილავას ბიოგრაფია

გია კვაშილავა დაიბადა 1972 წლის 26 აგვისტოს საქართველოში, მარტვილის რ-ნ სოფ. კურზუში.

1989 წელს დაამთავრა ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა.

1989 წელს დაჯილდოვდა დიპლომით მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიპიადაში გამარჯვებისათვის.

1995 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მათემატიკის სპეცი-ალობით.

1995 წელს დაჯილდოვდა „საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების“ სტიპენდიით.

1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, მათემატიკური ფიზიკის სპეციალობით.

1990 წლიდან მუშაობს ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების დეშიფრირებაზე, რაც 2006-2010 წლებში დაასრულა.

2006 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენა, ლოგიკა, მეტყველების“ ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

2007 წელს არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

2008 წელს მოისმინა შემდეგი კურსები: ეგვიპტური რელიგიური ტექსტები, ლუვიური ენის შესავალი კურსი და ხათუსას არქეოლოგია.

2010 წელს დაინიშნა კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „აია-კოლხეთის“ დირექტორად.

2007-2013 წლებში გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი – „ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფვრა“, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებულში „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „ქართველოლოგია“ [1].

---

[1]. კვაშილავა გ., 2007. ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX ტ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2007, 206-240.*

კვაშილავა გ., 2008. კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008, 202-241. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პიველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 26-45.*

კვაშილავა გ., 2009. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (1). ცული. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2009, 285-312. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №11. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 78-102.*

კვაშილავა გ., 2010. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2). ვარდული. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2010, 144-236. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №1, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011, 20-55, 5-43.*

კვაშილავა გ., 2011. A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIII ტ. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2011, 161-226. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №2, 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012, 5-29, 5-50.*

კვაშილავა გ., 2012. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3). ფრინველი. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2012, 142-164. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, №1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2013, 13-28.*

Kvashilava, G. D., 2007. The Phaistos Disc – Colchian Goldscript. *In: Studies in History and Ethnology. Vol. IX. The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2007, 241-273.*

იგი დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

V. გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის შედეგები

გია კვაშილავამ 20 წლის მანძილზე ზედმიწევნით შეისწავლა ლინგვისტიკა, რამაც შესაძლებლობა მისცა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტები ეკვლია ლინგვისტური კუთხით. მისი სამეცნიერო კვლევებით მიღებულია განსაკუთრებით საინტერესო შედეგები:

1. გია კვაშილავას მიერ გაკეთებული ფართო და ღრმა ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური, ისტორიული და ტიპოლოგიური კვლევა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ნიშნებისა (მაგ., „ვარდულის“, „ცულის“, „ფრინველისა“ და სხვა ნიშნების). ეს მასალა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტო-ქართველურ, პროტო-ინდოევროპულ და პროტო-ქამიტურ-სემიტურ ენებს შორის, პროტო-ქართველურ კულტურასა და სხვა კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთო-ქართველური ენის გავრცელების ტერიტორია და დადგინდეს ის მიგრაციები, რომელთა შედეგად ისტორიული ქართველური ტომები ჩამოყალიბდნენ (რაზეც ვარაუდებს გამოთქვამდნენ აკად. თ. გამყრელიძე და აკად. ვ. ივანოვი, 1984 წ.);

2. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყო – ეს იყო პროტო-ქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ., ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს მინოსური (პელასგურ-კოლხური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ., ბერძნული) კულტურა და ენა;

3. პროტო-ქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძული;

Kvashilava, G. D., 2008. On the Phaistos Disk as a Sample of Colchian Goldscript and its Related Scripts. *In: Studies in History and Ethnology. Vol. X. The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2008, 242-308.*

Kvashilava, G. D., 2009. On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (1). Axe. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XI. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2009, 313-348.*

Kvashilava, G. D., 2010. On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (2). Rosette. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XII. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2010, 237-362.*

Kvashilava, G., 2011. Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XIII. The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2011, 227-310.*

Kvashilava, G. D., 2012. On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (3). Flining Bird. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XIV. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2012, 165-209. In: Kartvelology, 2013, N1, 29-43.*

გია კვაშილავას სამეცნიერო ნაშრომები იხ.: www.Scribd.com/Gia_Kvashilava და www.TSU-Ge.Academia. Edu/GiaKvashilava ინტერნეტ-საიტებზე. ასევე იხ.: www.youtube.com/channel/UC6vbGf7B65d5yUdeJVGAllw/videos https://plus.google.com/111875411501165773378/posts De.Wikipedia.Org/wiki/Diskos_von_Phaistos www.quickiwiki.com/en/Phaistos_Disk ინტერნეტ-საიტები.

გია კვაშილავას სამეცნიერო მოხსენებები და საჯარო ლექციები მოეწყო სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებსა და ცენტრებში (მაგ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედი ლინგვისტური სემინარი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემია, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემია, თბილისის სასულიერო აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტიონოლოგიის განყოფილება, ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოება, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და სხვა).

4. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. გ. მაჭავარიანის ჰიპოთეზა პროტო-ქართველური ენობრივი სისტემისა და ელემენტების სტრუქტურის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციაც მათ მოახდინეს თავიანთ ფუნდამენტალურ და რევოლუციურ ნაშრომში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“ (თბილისი, 1965 წ.);

5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული თიხის ფირფიტები არის მინოსური ანუ პელასგურ-კოლხური კულტურის უძველესი წერითი ნიმუშები – კირბები;

6. ფესტოსის დისკოს A მხარეზე დაბეჭდილია ვედრება კოლხი კორიბანტებისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე, ხოლო დისკოს B მხარეზე – ვედრება პელასგ-კოლხთა ნაყოფიერებისა და მიწის დედაღვთაების ნენასადმი (ანუ რეა-კიბელესადმი), თარხონისა და ჰეფესტოსადმი, რათა ააყვავონ, განაახლონ და განწმინდონ ტაძარი, ოჯახი და სასახლე;

7. A კლასის ხაზოვანი წარწერები არის რელიგიური და სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტები. ამ წარწერებში მოცემულია პელასგურ-კოლხური ღვთაებათა სახელები, ადამიანთა სახელები, ტოპონიმები და ეთნონიმები, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მაგ., ლეღვის, სელის, ღვინოს), მცენარეთა ენდემურ ჯიშთა (მაგ., ხორბლის, ქერის) და შინაურ ცხოველთა (მაგ., ცხვრის, თხის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ღორის, ცხენის) აღრიცხვა, სამეურნეო ანგარიშის ტერმინები, მთელი რიცხვები, წილადი რიცხვები და სხვა;

8. A კლასის ხაზოვანი დამწერლობის მსგავსი ნიშნებით შესრულებული დაბლაგომის დოქის წარწერაზე ამოკითხულია კოლხური ანთროპონიმი – *ტეკუსკა* (რომელშიც ტ/თ, კ/ქ/ხ, ს/შ თანხმოვნები იცვლება).

VI. ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩატარდა ფესტოსის დისკოს აღმოჩენის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ორგანიზება გაუწია ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო მიმოხილვითი ჟურნალ „მინერვა“-ს რედაქციამ[1].

კონფერენციის შესახებ იუწყებოდნენ: ამერიკის ფილოლოგიური ასოციაცია (American Philological Association), ბრიტანეთის ეპიგრაფიკის საზოგადოება (The British Epigraphy Society) და გაზეთები: The Times, The New York Times Science და BHMA Science.

საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი 100 თეზისიდან საორგანიზაციო კომიტეტმა აირჩია მხოლოდ 12, მათ შორის გია კვაშილავას მოხსენება „კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოს წარწერის ამოკითხვა“[2].

ამ მოხსენებით წარსდგა გია კვაშილავა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა წინაშე იმავე დარბაზში, სადაც თავდაპირველად (1802 წ.) გამოფენილი იყო როზეტის ქვა, რომელზეც მოცემული ეგ-

---

[1]. http://MinervaMagazine.co.uk/archive_pdfs/2009_Vol_20_01.pdf *http://lawpundit.wordpress.com/2008/10/27/the-new-york-times-features-the-upcoming-international-phaistos-disk-conference-sponsored-by-minerva-magazine-at-burlington-house-piccadilly-london-2*

[2]. International Conference on the Phaistos Disk, on the occasion of the 100th anniversary of its discovery, Friday, 31 October – Saturday, 1 November 2008; At the Society of Antiquaries of London, Royal Academy of Arts, Burlington House. *London 2008, 1-14.*

Eisenberg, J. M., 2009. The International Phaistos Disk Conference. *In: 'Minerva', the International Review of Ancient Art & Archaeology. Great Britain, January/February 2009, Vol. 20, Number 1, 31-33.*

აიზენბერგი ჯ. მ., 2009. ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ანგარიშები. *სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი 2009, 46-50.*

შენგელაია ნ., 2009. ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ. *სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი 2009, 51-56.*

ვიპტური იეროგლიფური წარწერა გაშიფრა ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა და სადაც წარმოადგინა მაიკლ ვენტრისმა B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრის თეორია.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი ნანა შენგელაია, რომელმაც ბრწყინვალე შეფასება მისცა მოხსენებას:

„ბატონ გია კვაშილავას მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოცწუთიანი მოხსენება მაქსიმალურად იყო დატვირთული ინფორმაციით. დარბაზში სასიამოვნო საზოგადოება იყო შეკრებილი. ისინი ყურადღებით და მოთმინებით უსმენდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამავდროულად იყვნენ ძალიან პრინციპულები და მკაცრები. შეცდომას, ხარვეზს არავის პატიობდნენ, უმალ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას. ამ სახელმოხვეჭილ ადამიანებს, რომელთა მთელი ცხოვრება ფესტოსის დისკოს კვლევასთან იყო დაკავშირებული, ბატონი გიას მოხსენებაში რამე უზუსტობა ან მიუღებელი ვარაუდები რომ შეემჩნიათ გარწმუნებთ, არ დაგვინდობდნენ. კონფერენციაზე წარმოდგენილი ძალიან კარგი, ამავე დროს ძალიან კონკრეტული მოხსენებების ფონზე გია კვაშილავას მოხსენება ნამდვილად გამორჩეული იყო. ეს ერთხმად აღნიშნეს კიდეც. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონ გია კვაშილავას მოხსენება ამ კონფერენციის გვირგვინი იყო“. ერთმა მხცოვანმა მეცნიერმა ასე მიმართა ბ-ნ გიას: „ყოველივეს, რაც აქ თქვენგან მოვისმინეთ, გამოწვლილვით ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ, სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით!“[1].

VII. სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფვრის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან ამონარიდები, რომლებიც დაიბეჭდა სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებში.

1. „მათემატიკოს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას ბრწყინვალედ ასაბუთებს ძალიან ზუსტი ლინგვისტური მასალა, რომელიც ქართველური ენების უძველესი საფეხურის რეკონსტრუქციას ეხება. ლინგვისტურ მასალას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფესტოსის დისკოს წარწერის დათარიღებაში. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება ისეთი ფონეტიკური მასალა, რომელიც მხოლოდ პროტო-ქართველურისათვის არის დამახასიათებელი – უფრო გვიანდელი პროცესები, რომლებიც პროტო-ქართველურის დაყოფის შემდეგ მოხდა, ამ ტექსტებში არ არის ასახული. იგივე ითქმის პროტო-ქართველურის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თავისებურებაზე და სხვა. ...ცხადია, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახადა გ. კვაშილავას დიდი ხნის განუზომელმა, თავდადებულმა შრომამ და ნიჭმა. ამ წარწერების გაშიფვრისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, რომ გ. კვაშილავა ღია აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ იყო შეზღუდული წინასწარი განწყობით, რომელიც როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხშირად ყველაფერში ასე ძალიან გვიშლის ხელს. ყოველივე ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან ერთი საუკუნის შემდეგ გია კვაშილავამ ამოიკითხა XX საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები“ (ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ., ნ. შენგელაია)[2].

2. „ბ-ნმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაო ფესტოსის დისკოს დეშიფრირების ისტორიის, პრობლემების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით. საყურადღებოა ის არგუმენტები, რომელსაც იგი გვთავაზობს ამ წარწერის წაკითხვის მი-

---

[1]. ჯიშკარიანი ჯ., 2008. ქართველმა მეცნიერმა მთლიანად გაშიფრა ფესტოსის დისკოს წარწერა. *გაზეთი „თბილისი - New York“, 8, 12.2008, 8-9.*

[2]. შენგელაია ნ., 2010. ფესტოსის დისკოს წარწერის ამოკითხვის შესახებ. *სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2010, 6-15.*

მართულებასთან დაკავშირებით. დამაჯერებელია მისი თვალსაზრისი გარკვეულ ნიშანთა პოზიციისა და მათი სემანტიკური თუ მორფოლოგიური ფუნქციების ურთიერთმიმართების შესახებ“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ., აკად. რ. გორდეზიანი, 2007 წ., 17 მაისი)[1].

3. „ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვის დაწყება ცენტრიდან მომხსენებელმა, გია კვაშილავამ დამაჯერებლად დაასაბუთა. წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ყურადღება გაამახვილა ერთი და იმავე ნახატ-ნიშნების ძნელად შესამჩნევ განსხვავებულ პოზიციაზე, რაც მის ფაქიზ მკვლევრისეულ უნარზე მეტყველებს. შესაშურია მისი თვალსაწიერი და ინტელექტის დონე საკვლევი საკითხის შესახებ“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედ ლინგვისტიკურ სემინარის მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ. მ. ჯიქია, 2007 წ., 11 ივნისი)[2].

4.„ფესტოსის დისკო წარწერა უნდა იწოდებოდეს როგორც „მსოფლიოში პირველი მითოსურ-ფოლკლორული და რელიგიურ-ლიტერატურული ძეგლი“. ლიტერატურულად შეგვიძლია ჩავთვალოთ იმის გამო, რომ იგი პოეტური სიტყვიერების ნიმუშია – საგალობელი, გადმოცემული წერილობითი სახით, მართალია, არა ანბანური, მაგრამ მაინც წერილობითი სახით. ...მითოლოგიურ-ფოლკლორული თხზულებაა, ე.ი. ზეპირსიტყვიერი მოვლენა, 40 საუკუნის წინ ჩაწერილი. როცა დღეს გია კვაშილავასეულ თარგმანს (უძველესი ქართულიდან თანამედროვე ქართულზე გადმოღებულს) ვეცნობით, ნათელი ხდება, რომ სახეზეა ჭეშმარიტი მითოსური სიდიადე, ღვთაებრივი საგალობელი. ...ეს არის საერთო-ქართველური ენა, რომელიც გულისხმობს ზანების, სვანებისა და ქართების ერთიან მეტყველებას. ...მეცნიერი გია კვაშილავა, არც მეტი, არც ნაკლები ქართველი შამპოლიონია. ...ახალგაზრდა მკვლევარი დამსახურებულად იკავებს თავის საპატიო ადგილს საამაყო მამულიშვილ მეცნიერთა შორის“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ. გ. ჭელიძე)[3].

5. „გია კვაშილავამ გაშიფრა ფესტოსის დისკოს წარწერები. ისინი მართლაც პროტო-ქართველურ-კოლხური აღმოჩნდა. თავად ტექსტი კი გამოდგა სავედრებელ-საგალობელი მიძღვნილი კოლხთა ქალღმერთ ნენა/ნანასადმი. გაირკვა, რომ სხვა, 1900-1909 წლებში აღმოჩენილი ე.წ. A კლასის ხაზოვანი წარწერებიც ამავე ენაზე აღმოჩნდა შესრულებული. მასში ფიქსირებულია კოლხური ტოპონიმები, კოლხური ხორბლის ჯიში, კოლხური სელი, კოლხური ღვინო და ა.შ. გია კვაშილავას ამ წაკითხვამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიო მეცნიერებაში“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. მ. თოდუა)[4].

6. „ფესტოსის დისკოს გაშიფვრამ დაადასტურა ხმელთაშუა ზღვის აუზში ძველი კოლხური კულტურის არსებობა და კოლხური ოქროდამწერლობის გავრცელება. ...კოლხური ოქროდამწერლობით შესრულებული სილაბურ-ლოგოგრამული ტექსტი ფესტოსის დისკოზე წარმოადგენს კოლხური ენის, აზროვნების, მოქმედებების, ღირებულებების, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ნიმუშს და იმ პერიოდის სოციალური ურთიერთობის სურათს. მასში მოცემულია აბსტრაქტული, მეტაფორული აზროვნება, სიმბოლოთა განზოგადება, კონოტაციები და ენის ხატოვანი სა-

---

[1]. ბერულავა ნ., 2012. გია კვაშილავას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა – ფესტოსის დისკოსა და ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა. *საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „მოამბე“, XVI-XVII. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 2012, 116.*

[2]. ბერულავა ნ., 2012, *116.*

[3]. ჭელიძე გ., 2009. ქართული ლექსი (საგალობელი) 4000 წლის გადაღმიდან. *შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი 2009.*

[4]. თოდუა მ., 2012. საკვლევაძიებო ცენტრის „ჭყონდიდის სამეცნიერო ექსპედიცია“. *სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2012, 85-86.*

შუალებები რიტორიკული ტროპების სახით“ (გერმანისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფ. დ. ბახტაძე)[1].

7. „ძვირფასო ბატონო გია კვაშილავა, ჩემი გამოკვლევა ახლა უკვე მიუთითებს პიქტოგრაფიული დამწერლობის წარმოშობაზე კოლხეთში. ...ფესტოსის პიქტოგარაფია ალბათ დაკავშირებულია თქვენს ცივილიზაციასთან. ...აქ ჩვენ ვდგევართ ევროპული ცივილიზაციის დასაწყისთან“ (დოქტ. მ. კორსინი, იტალია, 2006 წ., 14 ივნისი. Digilander.Libero.It)[2].

8. „ძვირფასო ბატონო კვაშილავა, ნამდვილად თქვენსავით მიმაჩნია, რომ ძველი მითები შეიცავს მეტ ინფორმაციას, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ. ძალიან ვაფასებ თქვენ სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას. რამდენადაც ვიცი, თქვენ ფესტოსის დისკოს წარწერის ერთადერთი მკვლევარი ბრძანდებით, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიური პერსონაჟები. ჩემი თვალსაზრისით, თქვენ მეტისმეტად ღრმად იხედებით ამ საკითხში. მე მაინტერესებს თქვენი წიგნი“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, პროფ., დოქტ. დ. რუმფელი, გერმანია, 2006 წ., 13 ნოემბერი; 2008 წ., 8 დეკემბერი. Uni-Due.De)[3].

9. „პროფესორო კვაშილავა, გილოცავთ, ფესტოსის დისკოს წარწერის შესახებ, თქვენი გამოკვლევის მოსალოდნელ გამოცემას! ყოველთვის მაინტერესებს, რას ამბობენ სხვები. ძალიან მინდა შევისწავლო თქვენი აღმოჩენები უფრო ღრმად, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება. იკვლიეთ ფესტოსის დისკოს წარწერა ახალი პერსპერქტივით და გამოაქვეყნეთ აღმოჩენები. თქვენი დებულებები პროფესიონალურია და საინტერესო. გილოცავთ! გისურვებთ იღბალს თქვენს შემდგომ გამოკვლევებში!“ (ენათმეცნიერი, დოქტ. ქ. მესი, აშშ, 2006 წ., 12 ნოემბერი. KeithMassey.com)[4].

10. „დოქტორო კვაშილავა, თქვენი მოხსენება [ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე] კარგი და სრულიად განსაცვიფრებელი იყო. მასში, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია ფესტოსის დისკოს ამოცანის გადაჭრისადმი საინტერესო მიდგომა. გისურვებთ წარმატებას თქვენს შემდგომ კვლევაში!“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნე, პროფ., დოქტ. ჯ. აიზენბერგი, აშშ, 2008 წ., 12 ნოემბერი. RoyalAthena.com)[5].

11. „ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დარწმუნებული ვარ, თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ ბევრ ძველ შეხედულებას“ (დოქტ. ი. ციგენფუსი, ავსტრია, 2008 წ., 14 ოქტომბერი)[6].

12. „დოქტორო კვაშილავა, თუ გახსოვთ, მე [ლონდონის] კონფერენციაზე გითხარით, რომ განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა თქვენი ანალიზი ნიშანთა როტაციაზე, რომელსაც განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. არც ერთ „ორგანულ“ სისტემას არ ვიცნობ, რომელსაც ეს თვისება ახასიათებდეს. ამითაც, თუ ეს ფესტოსის დისკოს სისტემის დამახასიათებელი ნიშანია, დისკოს წარწერა კიდევ უფრო უჩვეულო აღმოჩნდა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, ილინოისის უნივერსიტეტის მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტი, პროფ., დოქტ. რ. სპროუტი, აშშ, 2009 წ., 22 იანვარი. Linguistics.Illinois.Edu)[7].

13. „დოქტორო კვაშილავა, მე წავიკითხე თქვენი ნაშრომი. იგი ძალიან შთამბეჭდავია, ხაზგასმით და გულწრფელად ვამბობ ამას. თქვენ გადალახეთ ყველა დაბრკოლება და დაამტკიცეთ,

---

[1]. ბახტაძე დ., 2010, 2011. კოლხური ცივილიზაციის კვალი გერმანიკულ დამწერლობაში და შესაბამისი ეპოქის მენტალურობის მანიფესტაცია ენაში. *სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“. ნაკვეთი I: ქუთაისი, 2010, 4; ნაკვეთი II: 2011, 5.*

[2]. ბერულავა ნ., 2012, *117.*

[3]. ბერულავა ნ., 2012, *117, 118.*

[4]. ბერულავა ნ., 2012, *116-117.*

[5]. ბერულავა ნ., 2012, *118.*

[6]. ბერულავა ნ., 2011. გია კვაშილავას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა – ფესტოსის დისკოსა და მონათესავე დამწერლობების ამოკითხვა. *სამეცნიერო ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 1. თბილისი, 2011, 90.*

[7]. ბერულავა ნ., 2012, *118-119.*

რომ ფესტოსის დისკოს წარწერა არის კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში. ყველაფერი რაც თქვენ გააკეთეთ არის ბრწყინვალე. ჩვენს დროში თქვენი შრომა არის მაცოცხლებელი ენერგია. თქვენ ბრძანდებით ბრწყინვალე მკლევარი. ...ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვის მიმართულების დადგენა იყო განმსაზღვრელი ფაქტორი დისკოზე გამოსახული არქაული სიმბოლოებით გადმოცემული ლინგვისტური მასალისა და შეტყობინების ამოსაცნობად. გილოცავთ! თქვენ საბურველი ახადეთ წინაბერძნულ, პროტო-ქართველურ, პელასგურ-კოლხურ წარმოშობას. თქვენი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგად მიღებული შედეგები დიდებული მიღწევაა" (ისტორიკოსი, დოქტ. რ. მორიტი, კანადა, 2010 წ., 20, 23, 24 იანვარი; 2013 წ., 15 აპრილი. HistoryOfRecording.com)[1].

14. „წლების განმავლობაში ვიხილავდი და ვსწავლობდი მთელ რიგ ნაშრომებს, რომელიც ეხებოდა ფესტოსის დისკოს ნიშნებს. ერთ-ერთი მათგანი იყო, მგონი, ნიუ-იორკელი ლეონ პომერანსი. იგი იხილავდა დისკოს როგორც ალმანახს [ასტრონომიულ კალენდარს]. თქვენ ნაშრომთან შედარებით, მისი ხედვები დამყარებული იყო მხოლოდ ვარაუდებზე. თქვენი ნაშრომი უაღრესად შთამბეჭდავია. თქვენ ჭეშმარიტად მეცნიერულად მიუდექით ამ საკითხის შესწავლას. ვისურვებდი, რომ მნიშვნელოვანი კონსტრუქციული კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა მქონდეს თქვენს ნაშრომზე, მაგრამ, როგორც თქვენ ალბათ გახსოვთ, მე მხოლოდ ვარ არქეოლოგი – არალინგვისტი. მიუხედავად ამისა, მე შემიძლია თქვენ გულითადად მოგილოცოთ ასეთი კარგი სამუშაოს შესრულება!" (ტეხასის უნივერსიტეტის პროფ., დოქტ. დ. შმანდტ-ბესერატი, აშშ, 2013 წ., 21 აპრილი, UTexas.Edu).

VIII. მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურაში ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფვრის შესახებ

ქართველოლოგ გია კვაშილავას მიერ გაშიფრული ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტები დიდი ფასეულობაა ქართული ენათმეცნიერებისთვის. ისინი შესანიშნავ მასალას შეიცავენ პროტო-ქართველურ სამყაროს პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ისტორიის შესასწავლად.

დღეს სახეზეა გია კვაშილავას მრავალწლიანი, დაუღალავი, მაღალპროფესიული კვლევის შედეგი და მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. გია კვაშილავას მიერ ამ წარწერების ამოკითხვა სათანადო ანალიზითა და შეფასებებით გაზიარებულია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, რაც არის ჩვენი ქართული მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მსოფლიო მაშტაბის აღიარება. მისი შესახებ იბეჭდება მსოფლიოს ყველაზე გავლენიან სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, ენციკლოპედიებსა და მონოგრაფიებში.

ერთ-ერთი მონოგრაფია „Stones that Speak" („ქვები, რომლებიც მეტყველებენ"), რომელიც ინგლისში, „კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობა"-შია (Cambridge Scholars Publishing) დაბეჭდილი 2010 წელს და რომლის ავტორია რ. მორიტი (ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც 1942 წელს დაიბადა ინგლისში)[2]. ამ 400-გვერდიან წიგნის დიდი ნაწილი (გვ. იხ, 91, 99-238, 391-393, 397-398) ეძღვნება გია კვაშილავას გასაოცარ აღმოჩენას. ავტორი იმდენადაა აღფრთოვანებული გია კვაშილავას ფუნდამენტური კვლევით, რომ ამავე მონოგრაფიაში (გვ. 228-229, 379-380) აქვეყნებს ბატონი გიას ბიოგრაფიასა და სამ სურათს, რათა მსოფლიომ დაინახოს კაცი, რომელსაც წილად ხვდა პატივი შეეცვალა, შეევსო კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია ახალი ხედვით.

---

[1]. ბერულავა ნ., 2012, *119.*

[2]. Morritt, R. D., 2010. Stones that Speak. *Cambridge Scholars Publishing, Cambridg 2010. www.c-s-p.org/flyers/978-1-4438-2162-9-sample.pdf*

„აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გერმანიაში, ზაარბრიუკენში, „ლამბერტის აკადემიურ გამომცემლობა“-ში (Lambert Academic Publishing) დაისტამბა რ. მორიტის მეორე წიგნი „Colchia – Colchis“ („კოლხეთი – კოლხები“)[1]. ამ 242-გვერდიან წიგნში წარმოდგენილია კოლხეთის შესახებ ძველი ბერძნული წერილობითი ცნობები, პელასგებისა და კოლხების ნათესაობის, კოლხური (ქართული) დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების, საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ისტორიის ზოგი საკითხი. ამ მონოგრაფიაში ასეთი თავია: „კვაშილავას მიერ წარმოდგენილი კოლხური ოქროდამწერლობა“ („Colchian Goldscript – Presentation by Dr. Kvashilava“, გვ. 94-110; აგრეთვე იხ. გვ. 32, 72, 75), რომელსაც თან ერთვის გია კვაშილავას ბიოგრაფია და სურათი (გვ. 110).

ამ აღმოჩენამ გია კვაშილავა მსოფლიოს მეცნიერების თვალში ნიკო მარის გვერდით დააყენა და მათ ერთად მოიხსენიებენ, როდესაც ლაპარაკია ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუაზღვისპირეთში 7-4 ათასი წლის წინ და შემდგომ პერიოდში. „ლინგვისტიკური ანთროპოლოგიის ჟურნალი“-ს (Journal of Linguistic Anthropology, N21/1, აშშ, 2011 წ.) სტატიაში არის ასეთი პარაგრაფი: „ნიკო მარი და ლინგვისტიკურად დადასტურებული ქართული საწყისები“ („Niko Marr and Search for Linguistically Proven Georgian Origins“), სადაც წერია შემდეგი რამ:

„ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევები არქაული რეფერენციალური ენისა ნიკო მარისა და გია კვაშილავას სტილში, ერთი მხრივ, და მობილიზაცია ლინგვისტიკურად არადეტერმინირებული ავანგარდისტული ესთეტიკისა, მეორე მხრივ, ეს არის გზა, რომლითაც ქართული ტრადიციული სიმღერების არარეფერენცალური ტექსტები აღიქმება როგორც კულტურული განსხვავებულობის ინდექსი თანამედროვე ერაში“[2].

2010 წელს ირლანდიაში, დუბლინში გამოიცა ენციკლოპედია „ატლანტიპედია“, რომლის ავტორია ტ. ო’კონელი (ცნობილი მეცნიერი და გამომცემელი, რომელიც 1943 წელს დაიბადა დუბლინში)[3]. ეს არის 504-გვერდიანი ფუნდამენტური ენციკლოპედია, სადაც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის შესახებ. ენციკლოპედიაში გამოყენებულია უაღრესად ვრცელი და სრული ბიბლიოგრაფია მინოსურ-კრეტულ ცივილიზაციაზე, ეგვიპტეზე, საერთოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მის ქვეყნებზე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და ცივილიზაციებზე, საბერძნეთსა და პონტოზე, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციის ეპოქაზე, ძველი რომის იმპერიასა და ალექსანდრიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკებში არსებულ ცნობებზე, ფესტოსის დისკოსა და გია კვაშილავას სამეცნიერო მიღწევებზე.

ფესტოსის დისკოსა და მის გაშიფვრას გია კვაშილავას მიერ ამ ენციკლოპედიაში ეძღვნება მთელი თავი (გვ. 331-332). ამ არაჩვეულებრივად საინტერესო ენციკლოპედიურ სტატიაში ვკითხულობთ, რომ „ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, ვისი კვლევაც მოიცავს განსაკუთრებით ვრცელ და ფართო ბიბლიოგრაფიას, შემოგვთავაზა ყველაზე მეტად მისაღები და რეალური დეშიფრირება ფესტოსის დისკოს წარწერისა, რომელიც შესრულებულია პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე და რომელიც დაბეჭდილია ოქროს ყალიბების საშუალებით, უნიკალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრამუ¬ლი ტიპის „ოქროდამწერლობის“ ნიშნებით“. ეს საენციკლოპედიო სტატია მთავრდება გია კვაშილავას

[1]. Morritt, R. D., 2012. Colchia – Colchis: Ancient Georgia from the Prehistoric era, the age of antiquity, early Kingdoms and rise of the Church. *Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2012.*

[2]. Horoschak/Ninoshvili, L., 2011. The Historical Certainty of the Interpretively Uncertain: Non-Referentiality and Georgian Modernity. *The American Anthropological Association. In: Journal of Linguistic Anthropology, Vol. 21, Issue 1, 2011, 86.*

[3]. O’Connell, T., 2010. Atlantipedia. *Published by Original Writing, Dublin 2010. http://Atlantipedia.Ie/Samples/Phaistos-Disk*

დეშიფრირების შეფასებით. მისი ნაშრომები რეკომენდებულია როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მაღალი კურსების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისა და ამ დარგის მეცნიერებისათვის მთელ მსოფლიოში[1].

უნგრეთში გამომავალ ინტერნეტ-ჟურნალ „არგონავტიკაში“ და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 2012 წელს და რომლის ავტორია ცნობილი უნგრელი მეცნიერი ქ. სანდორი, ფართოდ და მრავალმხრივ არის გაშუქებული გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა ასპექტები და ნათლადაა ნაჩვენები, რომ არგონავტიკისათვის ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფვრა უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს[2].

„ქართველი გია კვაშილავას მოხსენების ნაკითხვა, ათწლეულების წინ ავსტრიელი პროფესორის, ჰერმან ცებიშის მოსაზრებებზე დაყრდნობით, „პელაზგური ენისა“ და მათი კავშირის შესახებ ქართულთან, შთამბეჭდავი იყო. ცებიშმა თავისი კომპიუტერი გამოიყენა A კლასის ხაზოვანი წარწერებისა და ძველი კოლხური ენის შედარებითი ანალიზისთვის. გია კვაშილავამ არა მხოლოდ აჩვენა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა უძველესი კოლხურია, არამედ ის კრეტაზე ჩაიტანეს მათმა ქურუმებმა – კორიბანტებმა, რომლებიც ლემნოსელი და სამოთრაკიელი კაბირებს უკავშირდებიან. ამ ენაზე მეტყველებდნენ: მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, მისი ძმა – კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი მედეა და აიეტის და – ჯადოქარი კირკე“. ამას წერს ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი (BHMA Science, საბერძნეთი, 2009 წ.). მისი აზრით, ყველა მაჩვენებლით, კრეტელები იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები იყვნენ!..[3]

ბოლო დროის სამეცნიერო პუბლიკაციები ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იკვლიო ეს დრო, ეს არეალი, ეს თემა და, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარების ისტორია ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის შედეგები, რომლითაც მსოფლიოს მეცნიერებმა სხვაგვარად დაინახეს მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციის განვითარების ისტორია და ქართველთა როლი ამ პროცესებში[4].

ამით სახეზეა ქართული კულტურის 50-საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალა. ქართველური ტომის – პელასგ-კოლხების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივილიზაციას.

---

1. O'Connell, T., 2010*, 332.*
2. Sándor, C., 2012. Az Aranygyapjú elrablása, 3. rész - Kolkhisz és az Aranygyapjú *(უნგრულად) http://titkostortenelem.org/ mitoszok-es-legendak/5-az-aranygyapju-elrablasa-3-resz-kolkhisz-es-az-aranygyapju*
3. Kafantaris, T., 2009. The Secret "Alphabet" of Phaistos*. In: BHMA Science. Lambrakis Publishing Group. Athens, 18 January 2009, 6-7 (ბერძნულად).*
4. Andriadze T. 2009-2010. Geopolitica della Georgia. *Università degli Studi di Trieste. Anno accademico 2009-2010 (იტალიურად).*
   სიხარულიძე ა., 2010. ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი. *გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2010.*
   Özkurt, P., 2011. Phaistos Diski: Gia Kvashilava. *In: Lazika, 2011, 11-14 (თურქულად).*
   Ruhadze, N. R., 2011. Stones that Speak. *In: Weekly Georgian Journal, N16, Tbilisi, 2011, 18.*
   ღაღანიძე დ., 2012. ქართული გონის გაბრწყინება. *საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „მოამბე“, XVI-XVII. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი 2012, 110-113. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 49, 21 ივნისი, 2013.*
   Colavito, J., 2013. Jason and the Argonauts: The Epic History of a Greek Myth. *New York, 2013.* www.*Argonauts-Book.com* Watson, C. G., 2013. The Phaistos Disk. *www.DiskOfTheWorld.com/index5.htm*

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

კოსმიური პოეტი...
ანუ
,,პეპლის ფრთაზე დაწერილი ლექსი“...

ვინ იცის ჩვეულებრივი ჩაცმულობის გამო, ვინმეს უბრალო ადამინიც ეგონოს. (,,თუმცა წარმატებები თითქმის არასოდეს ასახულა ჩემს ეკონომიურ მდგომარეობაზე, ჩემს მდგომარეობაზე საერთოდ“, ,, პიროსის გამარჯვება“), არ შეგაწუხებს არანიარი მიმიკით. ზის თავისი მიზნით, ყოველთვის მშვიდად, ჩუმად. (,,მგონი რაიმე მიზანს უკვე აღარ ვისახავ და გინდა მიზნით, გინდ უმიზნოდ ჩემთვის ვევნები“, ...,,დიდი ხანია, რაც შევეშვი კითხვების დასმას“, ...,,უდიდეს გრძნობებს გულის ფსკერი ჩუმად ინახავს“, ,,პოეტის ვნებანი“), მაგრამ...

მაგრამ საკმარისია გამოაცხადონ მისი გვარი, ეს საშუალო აღნაგობის კაცი მივიდეს მიკროფონთან, მერე მიხვდები, რა უბრალოა: - გიპყრობს, გაოცებს, გაგიჟებს, თავბრუს გახვევს, თავს გაკარგვინებს, გალოცებს (პოეზიაზე), თავს გაყვარებს თითქოს შორეულ ღრუბლებში კიარა (,,ღრუბლის ტანზე დაწერილ ჩემს ლექსს სევდიანს“, ,,პოეტური გრძნობა“), გულთან ახლოს, ძალიან ახლოს იყოს, და ხვდები: - ეს ახალგაზრდა პოეტი ღმერთკაცობამდისაა მისული (,,მე მსურს შევხედო უფალს თვალებში“, ,,რუსთაველი“, ...,, გზები არსებობის მინორთა აკორდია, სული პოეტისა უფალს ედარება“, ,,წყვდიადის ეფემერა“). ისეთ კვალიფიციურ-პროფესიულ-ემოციურ ლექსს წაგიკითხავს და არა მარტო წაგიკითხავს, ფანტასტიურად გიმღერებს კიდეც, (ასეთი უახლეს ისტორიას ოთარ რამიშვილი ახსოვს), რომ მოგნუსხავს, ჩაგფერფლავს, (,,გაღებულია კარი არყოფნის, ჩემგან რა დარჩა, მე ვიფერფლები“, ,,პოეზიის ზეცა“, - შენს წინ ულამაზეს, უტყუარ კადრივით გაიელვებს პოეტი-კახა-ლეგენდა, საოცრება...

რა ხდება? არ გინდა დამთავრდეს მისი, ფავორიტი, უმდიდრეს-დაუშრეტელ-წყარო-ლექსიკის, ცქერა-მოსმენის წუთები ამ საზოგადოებრივ შეკრებებზე.. მწერალთა სახლში, მხატვართა და ხელოვანთა აკადემიებში, წმინდა სამების ტაძარში, გალერეაში, საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერ ტრიბუნაზე. ის არის მომნუსხავი, ფილოსოფოსიც, მსახიობიც, ზებუნებრივი დიქციის ორატორიც (როგორებიც ლეგენდა კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე იყვნენ), პოეტიც, ღმერთკაციც, ოპტიმისტიც, პესიმისტიც, რომელიც კიარ მოვა მოფრინდება შენს გულში, ზღაპარივით კი არა, სინამდვილე-რეალობაში (,,ვიღაცა ისევ სიყვარულს უცდის, ვიღაცას ისევ ზღაპრების სჯერა“, ,,პოეზიის ზეცა“) და რადგან ის შენთვის ,,შორია“, თავად მოდის შენთან მუჰამედივით. არ გინდა ოცნებიდან გამოხვიდე... (,,მკვდარი ოცნება თვალს ისევ აახელს“, ,,წყვდიადის ეფემერა“).

მისი სიყვარული არა განკერძოებული, სახალხოა, საეროა, საყოველთაოა... მსგავს სიამეს სხვა ვერ მოგანიჭებს, (...,,ადამინებმა კერპად გამიხადეს, პოეზიასთან ვასოცირდები“, ...,,ტრიუმფი ტრიუმფზე მოდის ბოლო დროს“, ,,პიროსის გამარჯვება“). როცა ამ აღსატაცებელ ლექსებს კითხულობს, თითქოს ავადაა ამ ლექსით, ბორგავს, სტკივა, წრიალებს, რაც თითქო სნეულებასავით გადამდებია და შენც მისი გრძნობით ავადდები, პოეზიით პყრობილი ხდები... (...,,ალბათ ამას ავადმყოფობა უნდა დავარქვათ“, ,,ცვლილება“, ,,ვგრძნობ პოეზით ვარ შეპყრობილი“, ,,რუსთაველი“)... ისეთი მზერით იცქირება, თითქოს ექსპრომტს ახლა თხზავსო, თითქოს ახლა ჩაუდგაო თვალებში უცხო ქვეშეცნეულ-ზეციური ლანდი... (,,მაგრამ რა ვქნა თუ თვალებში ჩადგა, პოეზია ცაზე უფრო ლურჯი“, ,,გრანელი – ღმერთი“). როცა ამ ვულკანური დაცხრომის, (,,და უამრავი ვულკანის მიღმა“, ,,გრძნობა როგორც სამყარო“), ლექსის კითხვის ბოლო წამებია, გისაბუთებს, გიმტკიცებს:.. რა დარჩება პოეზიის გარდა? (,,გრანელი-ღმერთი“), და დასასრულ სიზმარ-ცხად-ზღაპარივით შეგახსენებს თან კიარ გინელებს უფრო გიღვივებს: ...,,პოეზიის საღამოებზე ჩემი გამოსვლები სიტყვით არ გადმოიცემა, არც ფოტოებით, არც ვიდეო ჩანაწერებით.... ვინც ნახა პირდაპირ, ცოცხლად მხოლოდ მან იცის, თუ რა ხდებოდა იქ“, ...,,პიროსის გამარჯვება“.

და გებადება სურვილი, გრძნობა, მოძებნო (წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში) კახას სურათები, ლექს-ხედვები, როცა შენ გინდა მაშინ ,,გყავდეს შენს გვერდით“, ახლოს უს-

მენდე, ხედავდე, გრძნობდე – რომელი გრძნობა-სურვილის (ქვეყანასთან ერთად) უპირველესი დიდი მეტოქეა პოეტი-აკადემიკოსი, პროზაიკოსი, რეცენზენტი, ლიტერატურული ყოველგავრი ჟანრის კალამმპყრობელი, ჭეშმარიტ ავტორთა უკვდავმყოფ-მომფერებელ-მაღმერთებელი, (ავტორი წიგნისა ,,გზა მწვერვალისკენ"), დიდ კვარცხლბეკზე მდგომი, დღევანდელი ქართული ენის ქომაგ-მოსათუთ-მოამაგე-გამამდიდრებელი, უთვალსაჩინოესი, მითიური, ბატონი სერგი ლომაძე.

(ერთ-ერთ პოეზიის საღამოს კახას მამაც ესწრებოდა. გავკადნიერდები, გავბედავ: - ნეტა თუ იცის რა შვილი ჰყავს? ზოგჯერ ხომ უკეთ ხედავენ უცხოები შორიდან, რასაც ახლოდან ვერ ,,ამჩნევენ"(?). ხომ მომისმენია - ,,შინაური მღვდლის არ შენდობაზე"... თუმცა ამდაგვარი რა შუაშია)...

თავში ისაა, ერთ-ერთ სარეცენზენტო სტატიაში (,,ბეწვის ხიდზე") ოპონენტთა დაურიდებლად კახას ხედვა ტატოს ხედვასთან გავაიგივე. ვერ ვიტყვი კარგად შემრჩა მეთქი, ამის მტკიცება ფაქტ-არგუმენტებით სარწმუნოდ ყოველ წამს შემიძლია, თანაც არ მომწონს მხოლოდ ზეციელ უკვდავთა ერთიდაიგივე გადაღეჭილ-გადამღერებული ხოტბა-დიდების მეათასედ გამეორება. ნურავის ვეგონები მშობლიური საგანძურის შეუცნობ-უარმყოფელი, მაგრამ რა დააშავეს დღევანდელი, კომპიუტერული სისტემის, თანამედროვე, ძლიერ-გონიერ-მოაზროვნეებმა? ერთიდაიგივე პლასტინკის ბრუნებას მიჯობს ვთქვა: - მაშ რას ნიშნავს თქმა: - ...,,და განწირული სული მიმიძღვის ჩემი ლექსებით შექმნილ ზეცაში", ,,პოეზიის ზეცა" – თუ არა კლასიკურ-გენიალური ხედვა-თქმა? (...,,არაა გასაკვირი, რომ მართლაც მოინახოს რაღაც პარალელები ბაციკაძის ნაწერებსა და ამ გენიოსთა ნაწერებს შორის. სერგი ლომაძის წიგნიდან ,,გზა მწვერვალისაკენ" 107 გვ.).

კახას განსაკუთრებულ-პოეტურ-ხიბლიანი, სრულიად ჯადოსნურ- ემოციური სუბიექტური პალიტრა-პეიზაჟურ-არგუმენტირებულ-ღირებულ-თვითმყოფადი (და არა ისეთი, როგორიც მრავალ ველოსიპეტის ხელმეორედ გამომგონებელ მოპოეტოებს რომ ემართებთ), ცინცხალ-ცოცხალი, მაღალ-მხატვრული, სრულყოფილი ხედვები გაჩნია. არასოდეს ცდილობს ისტორიული ფაქტების ცოდნის გადმოფრქვევა-თავგამოდებას ან რომელიმე კუთხის აკვიატებულ ქება-მოძღვრება-დიდებას: ართქმულ, არსმენილ აზრ-სახეებს მარტო მთლიან ლექსში კიარა, ზოგჯერ გარკვეულ წინადადებებშიც კი ქმნის, რომელთა კონცეფცია მთლიანად რეალურ-ბეჭედდასმული, წარმოსახვითი სამყაროა: ...,,თვით ოკეანეც ერთი წვეთია, პოეტის ერთი ცრემლის წინაშე", ...,, მაგრამ სევდა ოკეანესავითაა პოეტი კი ნაპირივით", ,,პიროსის გამარჯვება", მზის სხივზე დანთებულ კოცონივით, ვულკანივით აფრქვევს ცეცხლოვან სტრიქონს: ,,მილიარდი მზეც დაიფერფლება, პოეტის გულის ცეცხლის კოცონზე" ....,,მანვიმს სიკვდილის დიდი სინათლე და პოეზია ღმერთის გულია", ,,გრძნობა როგორც სამყარო". ,,ქრისტეს ხელებზე ნალურსმევები, ლამაზ მნათობებს მოჰგვანან", ,,წუთისოფელი". მისგან შორია ინსტიქტ-ინტუიციები, იგი ყოველთვის კონკრეტულია. უმრავლეს ლექსთა კონცეფცია ძირითადად წარმოსახვითი სამყაროს პოეტური შუქის ციალია: ...,,მე მსურს შევხედო უფალს თვალებში", ,,რუსთაველი", ,,მე მწამდა მხოლოდ პოეტური შუქის ციალი", ,,პოეტური ვნებანი".

იშვიათობაა, (ყოველშემთხვევაში მე არ მსმენია) როცა ერთი და იგივე ლექსს და მელოდიას ორი ავტორი ჰყავს. ერთ-ერთ გულში ტყვიასავით მოსახვედრის ავტორები კახა ბაციკაძე და სერგი ლომაძე არიან. კახა უკრავს და მღერის ამ სიღერას, თუ როგორ ეს უნდა მოისმინო და ნახო მხოლოდ: ,,ბედნიერება სრული, მარადისობას მიაქვს, პოეტს ეყოფა გული და გულს პატარა ტყვია", ,,ჩემი ლირიკა". (თუმცა რაა გასაკვირი, ისინი ხომ სასიქადულო მამულიშვილები, საყოველთაოდ ცნობილ პოეტური ჯგუფი - ,,ზღვარის" წევრები არიან).

კახა ბაციკაძის ერთ-ერთი ცნობილი და სრულიად განსხვავებულ-გონიერებით შეთხზული ლექსია ,,წყვდიადის ეფემერა", რთულია ამ ლექსიდან სტროფის ან სტრიქონის გამოყოფა ისეა ერთი ამოსუნთქვით თავიდან ბოლომდე ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული, და მაინც: ,,ან ვით შეაჩერებს ლექსის ოკეანეს, რაღაც უსუსური ყოფის ჯებირები, ...გულო არასოდეს შენ არ იგვიანებ, როცა შეშლილ დოღში სიკვდილს ეჯიბრები, კლდეთა მდუმარება მუხლზე დავიმსხვრიე, სუფრას მივუჯექი ლექსის ტიტანებთან, ჩემს სულში ახლა ისეთი სიცოცხლეა, თავად სიცოცხლეც რომ მარად ინატრებდა", ...,,გზები არსებობის მინორთა აკორდია, სული პოეტისა უფალს ედარება".

მას უმშვენიერეს-გემოვნებიანი სამიჯნურო ლირიკა აქვს: ,,სიყვარული მაჩუქე ოცნებების ფიროსმანს," ,,ყვითელ ვარდებს გაჩუქებ, დავკრეფ გულის ტკივილთან", ,,მე ხომ შენი ძვირფასო, ჩუმი სევდაც მიყვარდა", ,,ოცნებების ფიროსმანი". - ...,,ასეთ სიყვარულს სიკვდილიც ახლავს, ეს მან ძალიან კარგად იცოდა", ...,,არ დამივიწყო... – მხოლოდ ეს მთხოვა.... ის ყოველღამით ტიროდა ჩუმად", ,,ცრემლის გოგონა"

როცა კახა თავის ე.წ. პოეზიის იმპერია-კოშკში მოგიმწყვდევს, მიხვდები, თუ როგორ უწოდა მან ...,,კოსმიური პოეტი“, თავის თავს. შენ მხოლოდ ლოგიკურად უსმენ მის კოსმიური გულისცემის ბერკეტს: ,,ან რა აზრი აქვს თუნდ კოსმიურ სივრცეში გასვლას, თუკი უფალი მაინც რჩება შეუცნობელი“, ,,პოეტის ვნებანი“ ...,,სანამ არ ვნახავ უფლის სამყოფელს; კოსმიურ შუქთა დიად ტალღებში გულს უკვდავების ფიქრი ამკობდეს... მე მსურს შევხედო უფალს თვალებში“, ,,რუსთაველი“. თანაც მოგაქცევს რა პოეზიის კოსმიურ ზეიალბუზზე, აქვე გაგემეს საგვირგვინო სათქმელს: ...,,იმყოფებოდა სიზმრის სიზმრებში, სადაც ჰყავდა კოსმიური ჩიტები, რომელთაც სპეციალურად მისთვის კოსმიური სხვადასხვა ადგილებიდან მოჰქონდათ ადამინებისთვის ჯერაც უცნობი ფერები“. ,,ცვლილება“

კახას ერთიდაიგივე ლექსს რამდენჯერაც წაიკითხავ, იმდენჯერ სხვადასხვა ლოგიკური, უმშვენიერესი გრძნობა-აზრი გებადება. ხოლო, ერთ-ერთი ლექსი ,,პოეტის მონოლოგი“, გაფიქრებს - სხვა რომ არა დაეწერა, ასაღიარებელ-უკვდავსაყოფად ესეც ეყოფაო. რომელშიც ამბობს: ...,,არის სიკვდილი, როგორც მზის ველი, როგორც უსაზღვრო თავისუფლება“, ,,სუყველაფერი არის ტყუილი, ლექსებისა და სიკვდილის გარდა“, ...,,და პოეზია მე გავიაზრე, როგორც მეოთხე წევრი სამების“, ...,,პოეზიაა ჩემი მირონიც, უკანასკნელი ჩემი სათქმელიც“, ...,,მე და სიკვდილი ორივე ვკვდებით, თუმცა სამყაროს მაინც ვიოცებთ: მე მწამს სიკვდილი, როგორც ღვთის ველი, როგორც ყველაზე დიდი სიცოცხლე“. ხოლო ლექსში ,, იდეალისტი“, კახას უწერს: - ...,,შენ უმზერ სიკვდილს, როგორც ბავშვი – სათამაშოებს“, სერგი ლომაძე. (...,,ცხოვრებას ვერ გავუგე, ალავერდს ვარ სიკვდილთან“, ,,ოცნებების ფიროსმანი“).

კახას თვითეული სვლა-წინადადება-აზროვნება, გარკვეულ-კონკრეტულ-შემეცნებად-ჩასაწვდომ-შესასწავლია, მისი ლექს-თემატიკის გაცნობა კი ძველთაძველ მამა-პაპურ ანდაზასთან იგივდება: ...,,ფუტკართან ყველა ტყუისო“, რადგანაც ასეთი თვალით აღქმული პოეზია ფენიქსივით მითიურ-ძალისმიერია და რაც მეტად იფერფლება მასში (ანუ რაც მეტად იწერება ისინი პეპლის ფრთაზე), მით უფრო კვლავდაკვლავ ახალ-ახალ, უნიკალურ ლექსს ჰქმნის, რომელთა სიყვარული აზარფეშასავით გადასაცემი კიარა, ბუნებრივადაა იგი ყველას მხარზე დასკუპებული: ...,,პეპლის ფრთაზე დაწერილი ლექსი“, ,,გრანელი – ღმერთი“.

როგორც სულდგმულისთვის ჰაერ-ბუნება, ისეა პოეზიისთვის რითმ-რიტმი, რომელიც მის შემოქმედებაში ლალ-მარგალიტივით ასხმული, კოკა-ნაკადულივით რუკრუკა, სიმივით წკრიალა, ჩანჩქერ-შხეფივით, ზღვა-ოკეანის კენჭ-ქვიშასავით უთვლელ-ულევია, (,,ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“).

კახას მხოლოდ ერთ წინადადებას (თუმცა განსხვავებულ ამპლუაში თქმულს) ვხსნი პარადოქსულად: ,,ოღონდ დასკვნები არაა თაფლივით ტკბილი“, ,,წუთისოფელი“, თაფლივით და პლუს შარბათივით ტკბილია მისი შემოქმედება.

პოეზიის, მშობლიური ენის განცალკევებულ-გამორჩეული სიყვარული, მის გაღრმავება-გამდიდრებაზე (პოეტის სახასიათო) ყოველწამიერი ზრუნვა, ის მეცნიერებაა, სამშობლოს გაათასმაგებული, უანგარუკიდეგანო, კოლოსალური სიყვარული რომ ჰქვია. რადგან, ავტორი ასე ღრმა, ლამაზი, მომხიბლავი ლექსებით ფანტასტიურ შუქურა-შანდლებს უჩირაღდნებს ქვეყანას, კახას ეს სიყვარული არ მოეშალოს.

სიყვარული ძნელი, თან მოპარული ცხენივით სამალავიაო.... ჯადოსან პოეტის სიყვარული ყოფილა ადვილი, საქვეყნოდ საცხადებ-საღიარებელ-საღაღადებელი, ჩაუწვდები, შეისნავლი ლექს-მძივ-აზრთა-კონებს და გეყოლება ცისარტყლის ანუ ლამაზ პეპლისფრად გულში ჩაკრულ-ჩახუტულ-ამოქარგული, რაც მიწიერ-ზეციერი ძალ-სამართლით, თვითეული მოკვდავის აბსოლუტური, სრულიად კანონიერი, უკვდავ-ულამაზესი უფლებამოსილებაა.

ჯიბო ჯიმერი



ორი გენიოსი

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ბევრი უცნაური და საინტერესო კურიოზებით არის გაჯერებული. ბევრ იდუმალებით მოცულ მოვლენებს და საიდუმლოს ინახავს, რომელსაც შემდგომი საუკუნეები დიდი სიფრთხილით და მოკრძალებით გზადა-გზა ხსნის. ზოგი ისეთი საიდუმლოც არის დავიწყების ფარდაგადაფარებული, რომელსაც მარად საიდუმლოდ დარჩენა უწერია.

ჩვენი ეპოქაც ალბათ ახალ საიდუმლოებათა გვირგვინებს წნავს, რომლის ამოხსნაც შემდგომ საუკუნეთა მკვლევარების აღტაცებას და შესაძლებელია გაოცებაც კი გამოიწვიოს.

ზოგიერთი მკვლევარი საუკუნო საიდუმლოებათა ამოხსნას პირადი „მეს“ წარმოჩენის მიზნით იწყებს, ზოგი კეთილი ნებით და ჭეშმარიტების დადგენის მიზან-სურვილით. ასეთ მკვლევარებს თუნდაც მცდარი თვალსაზრისი ჩამოაყალიბონ-ეპატიებათ; ნათქვამია „არ ცოდნა-არ ცოდვაო“. მისასალმებელია ისეთი გამოვლენა, როცა ესა თუ ის მკვლევარი მეცნიერული ღირსებით შეუდგება მიჩქმალული ამბის გაცხადებას და ჭეშმარიტებას დაადგენს. მომრავლდა მკვლევართა ისეთი ფსევდო მეცნიერები, რომლებიც ლექსიკონებში კირკიმალობენ-რაც შეიძლება მეტი უცხო სიტყვა ამოკენკონ, გამოიყენონ ფართო განათლებისა და ნაკითხობის მოსაჩვენებლად.

ამ ნარკვევში (რაც გინდათ ის დაარქვით) ორი გენიოსი მწერლის ორ ნაწარმოებზე გვექნება მსჯელობა. ერთია გერმანელი, მეორეა ქართველი. სანამ მათ შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, მიზანშეწონილად ჩავთვალე მკითხველს გავახსენო ჩვენი ქართული ლიტერატურის ახლო ისტორიიდან ერთი საჩოთირო ამბავი, („ფაქტი“) რომელზედაც საკმაო ხმაურიანად წარიმართა კამათი იმ დროის (60-იანი წლები, გასული საუკუნის) პერიოდულ პრესაში.

სახელოვანი მწერალი ლეო ქიაჩელი გააკრიტიკა პროფ. აკაკი თოფურიამ, რომელიც შეეცადა „ტარიელ გოლუას“ წარმომავლობა და ზოგიერთი სურათი დაეკავშირებინა მაქსიმ გორკის რომან „დედასთან“. ეს იყო ყვითელ ნეკიდან გამოწოვილი, აშკარა ახირებული თვალსაზრისი, მხოლოდ იმისათვის რომ საზოგადოების ყურადღება მიექცია თავისკენ და კიდეც მიაღწია მიზანს, მაგრამ თავის საზიანოდ და გასაბითურებლად.

ლეო ქიაჩელმა უტყუარი საბუთებით და სათანადო თარიღებით საკადრისი პასუხი გასცა. ქიაჩელს არ შეიძლებოდა ცოდნოდა გორკის რომანი „დედა“ უბრალო მიზეზის გამო: „ტარიელ გოლუა“ ადრე დაიწერა ჟენევაში, (მწერლის იქ ცხოვრების პერიოდში) ვიდრე „დედა“, გამოქვეყნებითაც გვიან გამოქვეყნდა ვიდრე „ტარიელ გოლუა“. რაც შეეხება ქიაჩელთან ჟენევაში გორკის ხელთნაწერის მოხვედრას, ეს გამორიცხულია იმდროინდელი სოც-პოლიტიკური ვითარების გამო. დაწვრილებით ამ საკითხზე იმიტომ არ ვაგრძელებ საუბარს, რომ ეს სქემატური გახსენებაც თავის მიზანს მიაღწევს რადგან ორი სხვა-და-სხვა ერის, ორი დიდი მწერლის, ორ ნაწარმოებზე გვექნება მსჯელობა.

გავიხსენოთ გერმანელი მწერალი-გენიოსი ფრიდრიხ შილერი და მისი ბალადა „ხელთათმანი“. საჭიროდ ვთვლი მკითხველს შევახსენო ამ ბალადის მოკლე შინაარსი.

მეფე თავისი დიდებულებით, ქალიშვილით და მისი რამდენიმე თაყვანისმცემელი რაინდით შეკრებილან აივანზე და იქედან უნდათ ცქერით გაერთონ, ქვემოთ გალიაში მხეცების ჩხუბით. მეფემ ხელი ასწია, იღება კარი, გამოდის ლომი, მიივლის-მოივლის გააზმორებს და წვება. მეფემ ასწია ხელი და იღება მეორე კარი, გამოვარდება ვეფხვი, დაიღრიალებს, წრეს გააკეთებს შემოვლით და ისიც წვება. მეფემ ასწია ხელი, იღება მესამე კარი და გამოვარდა ორი ავაზა, რომლებიც ვეფხვს წაეტანენ. ვეფხვმა ისინი ტორის მოქნევით მიმოფანტა, იღრიალა ლომმა, მხეცები შიშით ყუჩდებიან და წვებიან. ამ დროს გალიაში, ვითომ უცაბედად, ვარდება მეფის ასულის კუნიგუნდეს ხელთათმანი. იგი მიუბრუნდება ერთ-ერთ თაყვანისმცემელს და ეუბნება;

„დე-ლორჟ, ბატონო რაინდო ჩემო,
თუ ასე ძლიერ გიყვარვარ მართლა,
სჯობს დამიმტკიცოთ, საქმით მიჩვენოთ,
ის ხელთათმანი აქ მომიტანოთ“.

რაინდი უსიტყვოდ, უშიშრად მიდის გალიასთან, აღებს კარებს, წამოიმართება ვეფხვი, ასევე ავაზებიც, დაიღრიალებს ლომი და მხეცები შიშით ცხრებიან და წვებიან, ასე განმეორდა კვლავ და ამასობაში რაინდმა ხელთათმანი აიღო, კარები გამოიხურა და მის შესახვედრად გამოემართა მხიარული სახით კუნიგუნდე რათა პირობაზე დასტური მისცეს;

„მაგრამ რაინდი, აღსავსე წყრომით
ესვრის ხელთათმანს და ეტყვის ზიზღით:
„-მე მოწყალებას არ ვარ ჩვეული-"
და განშორდება გულამღვრეული".

რომელი ქართველი მწერლის, რომელ ნაწარმოებს გახსენებთ შილერის ბალადა „ხელთათმანი" თავისი იდეით და მიზანდასახულობით?

საკამათო არ არის ის, რომ ბალადა „ხელთათმანში" ჩადებული იდეა ზოგადია და მარადიული. ევრიპიდედან და ჰომეროსიდან დღემდე ბევრი გენიოსი მწერალი, (და არა მარტო გენიოსი) ჩაფიქრებულა და ჩაფიქრდება მომავალშიც ამ თემაზე და იდეაზე. მაგრამ მთავარი სულ სხვა რამეა. მთავარია ესა თუ ის შემოქმედი, რა ფონს, რა ფორმას, რა სიუჟეტს შექმნის იმ ეპოქის შესატყვისად, რომელ დროშიდაც შლის ნაწარმოების გმირთა სამოქმედო არეალს.

თვითონ ფ.შილერმა, გ. ნადირაძის განმარტებების მიხედვით ბალადა „ხელთათმანის" იდეაც და სიუჟეტიც აიღო რენესანსული ეპოქის საუკუნეებიდან, (მეთოთხმეტე- მეთექვსმეტე სს.) მაგრამ ევროპულ ცივილიზებულ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას, (სამეფო კარის ბალ-მასკარადები და სხვა სანახაობები) ისე ბუნებრივად მოარგო, ისე გაითავისა, რომ მისთვის არავის უსაყვედურია, რომ იდეაც და სიუჟეტიც აღებული ქონდა ცნობილ წყაროებიდან.

ახლა გავიხსენოთ ქართველი გენიოსი კლასიკოსის ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელეონორა". ეს მოთხრობა ალბათ ყველამ იცის, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად ვთვლი მკითხველს შევახსენო მოკლედ.

თავადის ასულს, ელეონორას შეუყვარდება სახელგანთქმული თავისი გმირობითა და რაინდობით უცხო ტომელი ასლან გირეი. ადათ-წესები, რჯული და მამამისიც ქალს ნებას არ აძლევს გაამხილოს მისი სიყვარული. ასლან გირეისაც თავდავიწყებით უყვარს ელეონორა, მოსულია ლაშქრით ქალის წასაყვანად. იქმნება რთული ვითარება. აქ მწერალი ახერხებს და ქმნის ისეთ სიუჟეტს, რომ თითქოს ბუნებრივად ხდება მოვლენების განვითარება. ელეონორას წინადადებას ეთანხმებიან ორივე მხრიდან, რომ საკითხი, ვის უნდა გაყვეს ცოლად, გადაწყდეს ორთა ბრძოლებში გამარჯვებით ასლან გირეისა და ელეონორას ქართველ თორმეტ თაყვანისმცემელთა შორის. ელეონორა დარწმუნებულია, რომ მის ქართველ თორმეტ თაყვანისმცემელთა შორის არავინ არის ფიზიკურად ისეთი ძლიერი-ასლან გირეი დაამარცხოს, მაგრამ მაინც აქეზებს მათ და იმეტებს სასიკვდილოდ.

როდესაც ასლან გირეიმ თორმეტივე ქართველი თაყვანისმცემელი დახოცა, ამას მშვიდად უყურებდა ელეონორა, ბოლოს თითქოს გამოფხიზლდაო, მწერალმა მასში ეროვნული სიამაყის ნერვი გააღვიძა, თითქოს ეთანაღრებოდა გული უცხოტომელის ცოლი ყოფილიყო და მიუბრუნდა იქვე მდგომ მასზე უიმედოდ შეყვარებულს, დაბალი წრის წარმომადგენელს აზნაურ კრეჭიაშვილს და ეუბნება: „კრეჭიაშვილო! ვინც ასლან გირეის თავს მომიტანს მისი ცოლი შევიქნები". კრეჭიაშვილს მეტი რაღა უნდოდა, უიმედო შეყვარებულის ოცნება შეიძლებოდა სინამდვილედ ექცია. იგი უსიტყვოდ გადაფრინდა ასლან გირეისთან საბრძოლველად. დიდი ჭიდილისა და დაძაბული ორთაბრძოლის ვითარებაში კრეჭიაშვილმა ქართული სარმით ასლან გირეი თავისივე ხანჯალზე წამოაგო. გაიმარჯვა კრეჭიაშვილმა. ამ გამარჯვებამ და კრეჭიაშვილისადმი ქება-დიდების შეძახილებმა ხალხს წუთიერად დაავიწყა დახოცილი 12 ქართველი თავადიშვილის გლოვა.

„მარტო კრეჭიაშვილს ჩაეკიდა თავი და დაღვრემილი პირი არ უღიმდებოდა" (ალ. ყაზბეგი).

ელეონორა მღიმარი სახით, თითქოს არაფერიც მომხდარიყოს ეუბნება გამარჯვებულს: „ღვთის წინაშე აღთქმა მქონდა, რომ ვინც ასლან გირეის მოკლავდა ჩემი ქმარი შეიქნებოდა... წამიყვანე". კრეჭიაშვილი დუმდა.

„კრეჭიაშვილო! — სიმკაცრე გაურია ქალმა, — ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები? "

— „გავიგონე, მაგრამ უარსვყოფ.... ქალი რომელიც ამდენ მოძმეს გასწირავს თავმოყვარეობისათვის ქართველის ცოლობის ღირსი არ არის. მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ.... საზიზღარი ხარ, მაგრამ

მაინც მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია... ამბობს კრეჭიაშვილი და თავისივე ხანჯლით იკლავს თავს.

ლიტერატურულ გმირთა მოქმედების ფონი საზოგადოებრივ აზრთან-შეხედულებასთან შენივთებული, როცა რაინდის ტიტული, მისი ღირსების დაკნინებისათვის უკან დახევის ნებას არ გაძლევს, ორივე ნაწარმოებში: „ხელთათმანში“ და „ელეონორაში“ ქმნის საბედისწერო ვითარებას. სასწაულად გადარჩენილი კუნიგუნდეს რაინდი საკადრის პასუხს აძლევს მეფის ასულს, მაგრამ სატრფიალო გრძნობით იმ სიმაღლეზე ვერ დგას, როგორც ელეონორაზე შეყვარებული. ყაზბეგი აქ ამჟღავნებს სამხრეთულ სიმძაფრეს, სიყვარულისათვის და ღირსებისათვის თავგანწირვის იდეას, რითაც სულ სხვა თვისებებს ანიჭებს კრეჭიაშვილის გმირის სახეს. ევროპელი მწერალი ასეთ ვითარებაში მსგავსი ტრაგედიით ვერ და არ დაასრულებდა ამბავს. აქ თავს იჩენს ქართული მენტალიტეტი და ყაზბეგი არ ღალატობს თავის სტიქიას.

ამ ორივე ნაწარმოების შინაარსის გახსენება იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ უფრო მკაფიოდ აღვიქვათ, როგორ გვანან ერთმანეთს ამ ორი ნაწარმოების გმირები და ამავე დროს რამხელა განსხვავებაა მათ შორის. ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ბევრი რამ განასხვავებს და სულ სხვადასხვა პოლუსზე აყენებს მათ.

შილერის კუნიგუნდემ იცის, რომ რაინდი რომელსაც ხელთათმანის ამოტანას ავალებს მხეცებით სავსე გალიიდან — ცოცხალი ვერ გადარჩება და მაინც იმეტებს სანახაობისათვის სასიკვდილოდ. რაღაც სასწაულებრივად რომ არ გადარჩენილიყო რაინდი და მხეცებს დაეგლიჯა, ვინ იცის რამდენი თაყვანისმცემელი გაიზიარებდა მის ბედს, ისე როგორც ელეონორას მზაკვრული ჩანაფიქრით მოწყობილ ორთაბრძოლებში მოხდა.

შილერის „ხელთათმანი“ დაიწერა 1797-წელს. მისი პირველი ქართული თარგმანი შეასრულა გიორგი ერისთავმა 1836-წელს ადამ მიცკევიჩის მიერ პოლონურად თარგმნილი ტექსტის მიხედვით.

რომ არ ყოფილიყო ქართული თარგმანი, ყაზბეგი შილერის „ხელთათმანს“ ფრანგულიდან გაიცნობდა, (ყაზბეგმა ხომ ფრანგული კარგად იცოდა) მაგრამ მნიშვნელობა აღარ ააქვს — ყაზბეგი იცნობდა თუ არ იცნობდა შილერის „ხელთათმანს“. მთავარი სულ სხვა რამ არის.

საქართველო და ქართული საზოგადოება არასოდეს ყოფილა ისე განებივრებული სანახაობათა გართობით, როგორც ევროპა, კერძოდ შილერის პერიოდში. ამიტომ შილერმა ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე გაშალა ბალადის შინაარსი, მისცა მას ორიგინალის ფორმა და გერმანული სული შთაბერა.

საქართველოს ყოფა— ცხოვრება რადიკალურად განსხვავდებოდა ყოველთვის თავისი კოლორიტული ბუნებით, თავდაცვითი ბრძოლებით, ქართველ მეფეთა ტახტი იყო ცხენზე დადგმული უნაგირი, ხოლო სამეფო გვირგვინი ფოლადის ჩაფხუტი. ქართველი კაცი ხნავდა თუ მკიდა, ლხინობდა თუ ჭირის დღე ჰქონდა, მუდამ თან ატარებდა იარაღს. ძილის დროსაც კი სასთუმლად იარაღი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ყაზბეგმა იმ მარადიულ იდეას რაც „ხელთათმანსა“ და „ელეონორას“ აერთიანებს მოუძებნა შესაფერისი ფონი, ფორმა, სიუჟეტი და ისეთი სახე მისცა ნაწარმოებს, რომ მწერლური მსგავსების ნიშანწყალი გამქრალია. ვიმეორებთ, რომ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ბევრი რამ ისეთი ხასიათი და ზნე შესძინა ყაზბეგმა თავის გმირებს რომ შილერის კუნიგუნდეს და მის რაინდს არა აქვთ. ამ ხასიათებზე და თვისებებზე ზემოთ უკვე გასაგებად ვისაუბრეთ.

ბოლოს და ბოლოს რა ჰქვია ლიტერატურის ისტორიაში ისეთ გამოვლინებას, რის შესახებაც გვქონდა მსჯელობა ორი დიდი მწერლის ორი ნაწარმოების მიხედვით: მწერლის მწერალზე გავლენა, მწერლის მიბაძვა მწერლისადმი, ლიტერატურული ქურდობა თუ სხვა რამ?

მსგავსი არაფერი არ შეიძლება ითქვას ფ. შილერისა და ალ. ყაზბეგის ამ ორი ნაწარმოების მიხედვით მსჯელობისას, პირიქით, ორმა გენიოსმა ერთიდაიგივე თემას და იდეას მოუძებნა თავ-თავისი გამოხატვის ფორმა, სიუჟეტი და მისცა ორიგინალური სახე.

შეიძლება გამოჩნდეს ვინმე აკაკი თოფურიას მსგავსი მკვლევარი რომელმაც შეიძლება დაინახოს მიმბაძველობა, ან ზეგავლენა ერთი მწერლის მეორეზე, ან ჩათვალოს ლიტერატურულ ქურდობად, მაგრამ ეს იქნება არა ობიექტური განსჯა და შორს იქნება ჭეშმარიტებისაგან.

ისეთი ნიჭის გამოვლინება როგორიც იყო ალ. ყაზბეგი, არის ბედნიერება ერის კულტურულ ცხოვრებაში. ასეთი შემოქმედი ამდიდრებს ეროვნული ლიტერატურის ფონდს მსოფლიო მიღწევების შესატყვისად, რომელიც ეროვნულ სამოსელში ახვევს ყოველივე კარგს და ამით სულიერ საზრდოს უმზადებს

მომავალ თაობებს. ჯერ კიდევ ადრე გრიგოლ ორბელიანმა (მაჩხუბარიძეს, ალ. ყაზბეგის ფსევდონიმია) ალ. ყაზბეგს ჩვენი დროის ჰომეროსი უწოდა, დღეს-დღეობით ყაზბეგი ისე არ არის შესწავლილი და დაფასებული როგორც მას ეკუთვნის და ეკადრება. ამას ხელს უშლიდა და უშლის რუსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობა საქართველოზე. საქვეყნოდ ცნობილია როგორ ილაშქრებს ალ. ყაზბეგი რუსი ყაზახების აღვირახსნილი მოქმედების წინააღმდეგ და ამიტომ რუსული კანონმდებლობისაგან ყაზბეგის შემოქმედება მიუღებელი იყო და არის.

2013 წ. 5 აგვისტო

ვალერი მოსიაშვილი, საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ-ს პროფესორი, ბიზნესის
მართვიდ ფაკულტეტის დეკანი

სულხან მახათაძე

საგადასახადო ურთიერთობათა ევოლუცია საქართველოში

როგორც უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში, საქართველოშიც საგადასახადო ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიული წყაროები მიანიშნებენ გადასახადების ოთხ-ათასწლიან ისტორიაზე. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების შემოღება საქართველოში XI საუკუნიდან იწყება.

გლეხს, რომელსაც არ გააჩნდა პირადი თავისუფლება, ვალდებული იყო გადაეხადა ბეგარა. თუ პირადი დამოკიდებულებისგან მომდინარეობს გლეხის ვალდებულება - ემსახუროს პატრონს (შრომითი ბეგარა), გადასახადის გადახდის ვალდებულება მომდინარეობს გლეხის პატრონთან ეკონომიკური დამოკიდებულებიდან. გლეხი პატრონის მიწას ამუშავებს და ამიტომ ვალდებულია ამ მიწიდან მოყვანილი მოსავლის ნაწილი მიწის მეპატრონეს გადაუხადოს. ეს ვალდებულება ყველასთვის ერთნაირი არ იყო, და იგი პატრონსა და გლეხს შორის პირადი გარიგების საფუძველზე ხდებოდა. მასზე ასევე გავლენას ახდენდა ტრადიცია და ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტორები.

XI საუკუნეში საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ თავისუფალი მიწის მოქმედები, რომელთა პატრონისგან ვალდებულება სოციალური ხასიათის იყო: პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური. შემდგომში ფეოდალების მიერ მოხდა ამ ფენის სოციალური და ეკონომიკური დამორჩილება. თავისუფალი მწარმოებელი ჯერ მიწას კარგავდა, ხდებოდა ეკონომიკურად შეუძლებელი და შემდგომში ყმად გადაიქცეოდა (ეს პროცესი ძირითადად დამახასიათებელი იყო ადრე ფეოდალური ხანისთვის). გლეხად ქცევის, ანუ პირადი თავისუფლების დაკარგვის ერთ-ერთი საშუალება იყო *კაბალა*. იგი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს იჯარას. მაგ., სხვადასხვა მიზეზთა გამო გლეხმა დაკარგა მიწა, მაშინ ახალმა მეპატრონემ ეს მიწა კვლავ დაუტოვა მას, ე. ი. გლეხი ამუშავებს (პირადად ჯერ კიდევ თავისუფალი) მის ყოფილ (ახლა უკვე სხვის) მიწას და სამაგიეროდ იხდის კაბალას.

ქართულ ისტორიულ წყაროებში გვხვდება რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდებოდა მეპატრონის მიწის დამუშავება გლეხების შრომითი ბეგარით. გლეხს ვალად ედო მუშაობა მისი ბატონის ყანებსა და ვენახებში, დაუნაწილებელი საბატონო მიწების (ზვარი, ხოდაბუნი) დამუშავება.

ბატონის ოჯახს, საგვარეულო „სახლი" ერქვა, ხოლო საგვარეულოს უფროსს — „სახლის პატრონი". სახლის პატრონი განაგებდა მთელ მუშა ხელს, მისი თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა გლეხებზე გადასახადების დაკისრება ან გათავისუფლება. ბატონის (აზნაურის) სახლის შემოსავალი ორი ნაწილისგან შედგებოდა, ეს იყო „მამული" და „სოფლისაგან ანაღები". „მამული" იმ მოსავალს ერქვა, რომელიც მას მოუდიოდა თავისი მიწის იმ ნაწილიდან, რომელიც გლეხებზე არ იყო დანაწილებული და მას ფეოდალი ამუშავებდა გლეხების შრომით ბეგარაზე გამოყვანით. „სოფლისაგან ანაღები" კი ის იყო, რომელიც ფეოდალის მიწაზე მომუშავე ყმა-გლეხებისგან შემოუდიოდა ფეოდალს კულუხის, ღალისა და სხვა საგლეხო გამოსაღებების სახით.

გამოსაღებების ამოღება ხდებოდა მოხელეების საშუალებით. ესენი იყვნენ: *ხელისუფალი, ციხისთავი, მესახმარე, მაწყინარი, მენუკვარი, მოხარაჯე* და *მესაბანჯრე.* ამათგან *მესახმარე, მაწყინარი* და *მენუკვარი* გადასახადის ამკრეფთა ზოგადი სახელებია. გადასახადის კონკრეტული სახეობის ამკრები მოხელეა *მოხარაჯე* და *მესაბანჯრე.* მოხარაჯე ხარაჯას კრეფს (ხარაჯა – სახელმწიფო გადასახადი), მესაბანჯრე კრეფს საერთო საძოვრების გამოყენებისთვის დაწესებულ გადასახადს - საბანჯარს. აღსანიშნავია, რომ ეს საქმიანობა ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათის იყო.

ზემოთ დასახელებულ მოხელეებს ემატებოდა გზირი და მსახური. მათაც ევალებოდათ ბეგარის აკრება, კერძოდ, „საჭირისუფლო" და „საქორწინო" გადასახადებისა. აღსანიშნავია, რომ ლხინისთვის დადებული გადასახადი მოიხსენიება ტერმინით — სანიჭარი, ხოლო სიკვდილის შემთხვევისთვის — შესაწევარი. ჭირის დროს ყმა პატრონს შეეწევა, ლხინის დროს კი სანიჭარს, ე. ი. საჩუქარს გაიღებს. ამ ტერმინოლოგიაში ჩანს ამგვარი გამოსაღებების წარმოშობის კვალი. ორივე თავდაპირველად, თავისუფალი თემის არსებობის პერიოდში დახმარების ძალდაუტანებელი, ნებაყოფლობითი ფორმა იყო. შემდეგში კი ეს აუცილებელ საგლეხო გამოსაღებად იქცა.

საქართველოში საეკლესიო მამულების სახელმწიფო გადასახადებისგან გათავისუფლება საკმაოდ გავრცელებული იყო. ამასთან სახელმწიფო გადასახადების შეუვალობით სარგებლობდა ზოგიერთი ფეოდალი.

საზოგადოებაში ერთ-ერთი დამოუკიდებელი სოციალური ფენა იყო მსახურთა კატეგორია. ისინი მიწისმოქმედნი იყვნენ და ამით გლეხებს ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური.

საქართველოს მიერ დაპყრობილი ქვეყნები მას ხარკს უხდიდნენ. ხარკით საქართველოს სამეფოს დიდძალი შემოსავალი შესდიოდა. საგარეო ხარკი, ნაალაფევი (მეზობელი ქვეყნების რბევით ნაშოვნი ქონების 1/5 მეფის ხაზინაში შედიოდა), საშინაო გამოსაღებები ჰქმნიდნენ სამეფო შემოსავალს. საშინაო გამოსაღებებს შეადგენდა საქართველოს მკვიდრ მოსახლეობაზე დადებული სახელმწიფო გადასახადი. ძირითადად იყო ხარაჯა და სხვადასხვა ნატურალური გამოსაღებები. გადასახადთა ასაკრებად არსებობდა ფისკალურ მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი. ისინი მიმაგრებული იყვნენ ყოველ ცალკეულ უბანზე. ყოველ სოფელს, საციხისთავოს, საერისთავოს თავისი საგადასახადო მოხელეთა შტატი ჰქონდა დადგენილი.

გვიანფეოდალურ პერიოდში საქართველოში არსებობდა:

1. *შრომამიგებითი რენტა,* კერძოდ გლეხებს მებატონეებისთვის გაზაფხულზე იმდენი უნდა დაეხნათ, რამდენიც მებატონეებს სურდათ - ბატონის მცენარეების, ფეტვის, სიმინდის, ქერისა და ცერცვის დასათესად უნდა მოერწყათ, გაემარგლათ და დაემუშავებინათ;

2. *რენტა პროდუქტით,* კერძოდ გლეხების გაყრის დროს მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მებატონე იღებდა გასამრჯელოს პირუტყვით, ნივთით. მებატონე აჯარიმებდა დამნაშავეს შეძლების მიხედვით ჩხუბისთვის, ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინებისთვის. საბატონო მიწაზე გლეხს რაც მოსავალი მოუვიდოდა, მებატონე ახდევინებდა ღალას და კულუხს, ხოლო ცხვრებისა და ღორების საძოვრებისთვის - საბალახოს;

3. *ფულადი რენტა.* გლეხს ეკისრებოდა ფულადი ვალდებულებაც. კერძოდ: მებატონე გლეხს შეაწერდა მათი შესაძლებლობის მიხედვით თავის საქორწილო ხარჯებს 5-დან 50 მანეთამდე ვერცხლით. თუ გლეხის ქვრივი გათხოვდებოდა, მებატონე საქმროს ახდევინებდა 10-დან 50 მანეთამდე ე.წ. „საქვრივოს". გლეხის ქალის გათხოვებისას მებატონე ან მოურავი ღებულობდა სამი აბაზიდან 4 მანეთამდე „საჩექმეს". საბატონე გლეხები - ვაჭრები, რომლებიც ქალაქად ცხოვრობდნენ, შეტანილი იყვნენ გამოსაღებთა განაწილებაში და ახდევინებდნენ ფულად გამოსაღებს.

ამ პერიოდში საკმაოდ მოუწესრიგებელი იყო საბაჟო სისტემა, რომელიც ხელს უშლიდა ვაჭრობის განვითარებას. ფეოდალის მამულზე გავლისას ვაჭარი არ იყო დაცული ფეოდალის თვითნებობისგან. ბაჟების თვითნებური დაწესება, ძარცვა და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა მოეწერიგებინა საშინაო ბაჟები, მაგრამ არ აუქმებდა მათ, რადგანაც ეს სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო.

საქართველოში ხაზინის სასარგებლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემდეგი გადასახადები იკრიბებოდა: *სურსათი, კოდის პური, მახტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი,*

კულუხი, საკომლო, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე, საჩექმე, შევარდენი, ნაბადი და სხვა. ამ გადასახადების სახე, მოცულობა და წარმოშობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი თავისი შინაარსით ადგილობრივი ხასიათის იყო და რუსეთთან შეერთებამდე ბევრად ადრე არსებობდა საქართველოში. ჩამოთვლილი გადასახადების გარდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, გარკვეულ შემთხვევებში და არა მუდმივად, იკრიბებოდა „სარუსო" და „სალეკო" გადასახადები.

ბატონ-ყმური მეურნეობა საქართველოში ხასიათდებოდა ნატურალური მეურნეობის ბატონობით. გადასახადების დიდი უმრავლესობა ნატურის სახით იკრიბებოდა, თუმცა ვხვდებით ფულადი სახის გადასახადებსაც. ფეოდალურ საქართველოში გადასახადების მთელი სიმძიმე ძირითადად გლეხობას აწვა. გარდა საკუთარი მებატონისა, გლეხობას ექსპლუატაციას უწევდა სახელმწიფო და ეკლესია.

საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ ბეგარა-გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, სხვა სახელმწიფო შემოსავალთან ერთად, საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახელმწიფო-სახაზინო ექსპედიციას გადაეცა. რუსეთი ცდილობს გადასახადი თავისი ინტერესების შესაბამისად აკრიბოს, ამიტომ იკვლევს გადასახადის რაობას, რაოდენობასა და მოცულობას, აღწერს გადასახადის გადამხდელ მოსახლეობას. ახლად შემოღებული მმართველობა ცდილობს გადასახადები ან ფულადი ფორმით იქნეს აკრებილი, ან პურეულით (ნატურალური გადასახადებიდან), ხოლო სხვა ნატურალურ გადასახადებს (ღალა, ყალანი, საბალახე, ძღვენი, სააღდგომო, საშობაო და სხვ.) ცდილობს ფულადი სახე მისცეს.

ბეგარა-გადასახადებში ცვლილებები მოხდა XIX საუკუნის 40-ანი წლებიდან, როცა გატარებულ იქნა საგადასახადო რეფორმა, რომელიც სახელმწიფო გადასახადებში ფულადი რენტის გაბატონებას გულისხმობდა (რეფორმა არ შეხებია თუშ-ფშავ-ხევსურეთს). რეფორმის შედეგად ძირითადად სამგვარი გადასახადები გვხვდება:

- ნატურალური (სურსათი, კოდის პური);
- ნახევრად ფულადი, ნახევრად ნატურალური (ღალა, ყალანი, მახტა);
- ფულადი (მალი, კულუხი, საბალახე, სააღდგომო, საშობაო, საქვრივე, საჩექმე, საკომლო, სამასპინძლო, შევარდენი).

იმავე პერიოდში იქნა შემოღებული ადგილობრივი საქალაქო გადასახადები, კერძოდ:

1. საპოლიციო გამოსაღები;
2. უძრავი ქონების გადასახადი;
3. ვაჭრობის გადასახადები;
4. გადასახადები დაქირავებულებზე;
5. მესაკლავეობის მოსაკრებელი.

ამ პერიოდის საქართველოში გადასახადებისგან თავი-სუფალ წოდებას ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. საგადასახადო რეფორმის შედეგად ნატურალური გადასახადები შეიცვალა ფულადი გადასახადებით. ფულადი რენტის შემოღებამ ხელი შეუწყო საქართველოში სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, მან კი, თავის მხრივ - კაპიტალიზმის განვითარებას.

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის ფორმირება დაიწყო 1991 წლიდან, როცა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1991-1992 წლების მიჯნაზე ქვეყანაში მიმდინარე კარდინალურმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარეს საგადასახადო სისტემას. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობამ, კანონმდებლობის შესამუშავებლად დაშვებულმა შემჭიდროებულმა ვადებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, კვალიფიციური კადრების არ არსებობამ უშუალოდ იმოქმედა მის ჩამოყალიბებაზე.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა იქმნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ბაზაზე. სწორედ ამის გამო, იგი საერთო სტრუქტურითა და აგებულების პრინციპებით ძირითადში შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკაში გავრცელებული გადასახადების დაბეგვრის სისტემებს.

ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება მოითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას. 1993 წლის დეკემბერში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი), რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება სამეწარ-

მეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს, განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშების და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ.

სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, პირველმა საგადასახადო კოდექსმა დადებითი როლი შეასრულა. იმის გამო, რომ კოდექსის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან ორგანულ, სინქრონულ კავშირში არ იყო, მან არსებითი გარდატეხა ვერ შეიტანა საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაში. ამასთან, საგადასახადო კოდექსში ასეულობით შეტანილმა ცვლილებებმა ეფექტი ვერ გამოიღო. უფრო მეტიც, გადასახადის როგორც გადამხდელები, ისე გადასახადის ამკრებები არ ითვალისწინებდნენ არც სახელმწიფოს და არც ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს.

1997 წლის 13 ივნისს მიღებული საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შემდეგი სახის გადასახადები:

- *საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:*
  - ა) საშემოსავლო გადასახადი;
  - ბ) მოგების გადასახადი;
  - გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
  - დ) აქციზი;
  - ე) ქონების გადასახადი;
  - ვ) მიწის გადასახადი;
  - ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
  - თ) გადასახადი ქონების გადაცემისთვის;
  - ი) სოციალური გადასახადი;
  - კ) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის;
  - ლ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის;
  - მ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისთვის.
- *ადგილობრივი გადასახადები:*
  - ა) გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისთვის;
  - ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
  - გ) საკურორტო გადასახადი;
  - დ) სასტუმროს გადასახადი;
  - ე) რეკლამის გადასახადი;
  - ვ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ სერიოზული განაცხადი გაკეთდა საგადასახადო კოდექსის ამოქმედებით, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2004 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შემდეგი სახის გადასახადები:

- *საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:*
  - ა) საშემოსავლო გადასახადი;
  - ბ) მოგების გადასახადი;
  - გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
  - დ) აქციზი;
  - ე) სოციალური გადასახადი (ამოღებულ იქნა 2008 წლის 1 იანვრიდან);
  - ვ) საბაჟო გადასახადი.
- *ადგილობრივი გადასახადები:*

ა) ქონების გადასახადი;
ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

2005 წლის შემდგომ პერიოდში, ეტაპობრივად მიმდინარეობდა რეფორმები საგადასახადო კოდექსის დახვეწა-სრულყოფის მიმართულებით. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2010 წლის 17 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ახალი საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობების პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის გზებს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა მიზნად ისახავდა:

ა) გადასახადების რიცხოვნების შემცირებითა და დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესებით ეროვნული ეკონომიკის ზრდისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას;

ბ) საგადასახადო კულტურის ამაღლებას;

გ) საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას;

დ) ბიზნესის მხარდაჭერას.

გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს შემდეგი სახის გადასახადები[1]:

- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:

ა) საშემოსავლო გადასახადი;
ბ) მოგების გადასახადი;
გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
დ) აქციზი;
ე) იმპორტის გადასახადი.

- ადგილობრივი გადასახადი:

ა) ქონების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის პრინციპებია: ა) პირი ვალდებულია გადაიხადოს კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები; ბ) დაუშვებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე გადასახდის გადახდევინება კოდექსით დადგენილ ვადაზე ადრე; გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს შემოიღოს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი.

[1] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2010.

ჯუმბერ ხარაიშვილი

საბანკო ბარათების წარმოშობისა და განვითარების რეტროსპექტივა

პლასტიკური ბარათების წარმოშობის თარიღი გარკვეულწილად სადავო საკითხს წარმოადგენს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ბარათებზეა საუბარი. ხშირად ბარათებზე საუბრისას ერთმანეთში ერევათ სხვადასხვა ცნებები. ერთნი საუბრობენ საკრედიტო ბარათებზე, მეორენი მათ თვლიან საბანკო ბარათებად, ხოლო მესამენი – პლასტიკურებად. ეს ურთიერთგადამკვეთი ცნებებია, მაგრამ იდენტური არ არის. სინამდვილეში, პლასტიკურ ბარათებზე საუბრისას ვგულისხმობთ მხოლოდ მასალას, რისგანაცაა ისინი დამზადებული. როდესაც ვამბობთ - საბანკო ბარათები, ვაზუსტებთ მათ ემიტენტებს, ხოლო როცა საუბარია საკრედიტო ბარათებზე, იგულისხმება ანგარიშსწორების სქემა ბარათის მფლობელსა და ემიტენტს შორის, რომელიც შესაძლოა იყოს არა ბანკი, არამედ მაგალითად, მაღაზია ან სადაზღვევო კომპანია.

ითვლება, რომ პირველად გაჩნდა სწორედ საკრედიტო ბარათები, რომლებიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ არც საბანკო და არც პლასტიკურ ბარათებს. მათი დანიშნულება იყო მფლობელის გადახდისუნარიანობის დადასტურება ბანკის ფარგლებს გარეთ. ბუნებრივია, რომ ისინი გაჩნდა აშშ-ში, სადაც ფიზიკური პირების სამომხმარებლო კრედიტმა აქტიურად დაიწყო განვითარება XIX საუკუნის ბოლოდან. უკვე 1914 წელს მაღაზიების ნაწილმა თავის ყველაზე უფრო მდიდარ კლიენტებზე სპეციალური ბარათების გაცემა დაიწყეს, რათა კლიენტები სხვებს არ გადაებირათ. 1928 წელს ბოსტონის კომპანია *Farrington Manufacturing*-ის მიერ გამოშვებულ იქნა ლითონისგან დამზადებული პირველი ფირფიტები, რომლებზეც ამოტვიფრული იყო მისამართი და გაიცემოდა კრედიტუნარიან კლიენტებზე. გამყიდველი ასეთ ფირფიტას დებდა სპეციალურ მოწყობილობაში – იმპრინტერში და ასოები, რომელიც ფირფიტაზე იყო ამოტვიფრული, აღიბეჭდებოდა სავაჭრო ჩეკზე. შემდგომში გამოიგონეს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ვალის მინიმალური ყოველთვიური დაფარვა, განვადების პერიოდი და სხვა.

სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ **საბანკო საკრედიტო ბარათებს** სათავე დაუდო **ჯონ ს. ბიგინსმა**, რომელიც წარმოადგენდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ რაიონში – ბრუკლინში მდებარე ნაციონალური ბანკის *Flatbush*-ის სამომხმარებლო კრედიტის სპეციალისტს. 1946 წელს მან წამოიწყო მუშაობა საკრედიტო სქემით სახელწოდებით Charge-it. ეს სქემა ითვალისწინებდა ხელწერილების არსებობას, რომლებიც ადგილობრივი მაღაზიების მიერ კლიენტებისგან მიიღებოდა წვრილმანი საყიდლებისათვის. ყიდვის განხორციელების შემდეგ მაღაზია ხელწერილებს აბარებდა ბანკში, რომელიც მათ ანაზღაურებდა მყიდველთა ანგარიშებიდან. *Flatbush*-ში პირველად იქნა აპრობირებული ანგარიშსწორების კლასიკური ჯაჭვი, რომელიც ამჟამად საბანკო ბარათების სფეროში საყოველთაოდ გამოიყენება.

თუმცა საბანკო საქმის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი **ლუის მენდელი** თვლის, რომ პირველ მასობრივ საგადახდო ბარათების სისტემას წარმოადგენდა 1949 წელს შექმნილი **Diners Club**. წინა სისტემებისგან მის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა ის, რომ კლიენტებსა და საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელ კომერციულ კომპანიებს შორის არსებობდა შუამავალი ორგანიზაცია, რომელიც თავის თავზე იღებდა ანგარიშსწორების განხორციელებას. სწორედ ამ განსაკუთრებულობამ მისცა საშუალება Diners Club-ს გამხდარიყო პირველი მასობრივი **უნივერსალური** (განსხვავებით მაღაზიების, ბენზინგასამართი სადგურების და ა. შ.) **ბარათი.**

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთხელ 1949 წელს, აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მაღაზიების ქსელის დამაარსებლის შვილიშვილი ალფრედ ბლუმინგდეილი ნიუ-იორკში ჩაფრენისას შეხვდა თავის დიდი ხნის მეგობარს ფრენსის მაკნამარუს. მაკნამარა სათავეში ედგა საფინანსო კომპანიას *Hamilton Credit Corp.*, რომლის მიმართაც კლიენტებს გააჩნდათ დავალიანება 35 ათასი აშშ დოლარი, კომპანიის მიერ მათი უკან მიღების არც თუ ისე დიდი იმედით. ამ გარემოების გამო მაკნამარა დროის უდიდეს ნაწილს ატარებდა თავის იურისტთან რალფ სნაიდერთან. იმ საღამოსაც მანჰეტენზე მდებარე რესტორანში შეხვედრისას, საუბარი შეეხო მაკნამარას ერთ-ერთ კლიენტს – მეწარმეს ბრონქსიდან, რომელიც უფლებას აძ-

ლევდა მეზობლებს პროცენტების სანაცვლოდ ესარგებლათ მისი საბანკო ანგარიშით. მაღაზიების გამყიდველები ურეკავდნენ მას ტელეფონზე და იღებდნენ ნებართვას საყიდლების საფასურის მის ანგარიშზე ჩაწერაზე. დაკრედიტების ეს მეთოდი არ წარმოადგენდა სიახლეს, მაგრამ ორიგინალური იყო ის, რომ მასში მონაწილეობდა შუამავალი, რომელიც თავის კრედიტუნარიანობას იყენებდა იმ ადამიანებისათვის კრედიტის მიცემაში, რომლებიც სხვა გზით მსგავს კრედიტს ვერ მიიღებდნენ.

ეს უკანასკნელი გარემოება ამ უჩვეულო ფინანსურ სქემაში მეგობრებს მოეჩვენათ ყველაზე ნაკლოვან მხარედ, ვინაიდან სწორედ იმ ადამიანების დაკრედიტება არ ღირს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკრედიტო ხაზი მაღაზიებში, რადგან ყველაზე ხშირად მათთან იქმნება პრობლემები. მეორეს მხრივ, ნიუ-იორკის პერიფერიული რაიონი მაღაზიების მცირე რაოდენობით, არ წარმოადგენდა მსგავსი ოპერაციების განხორციელებისათვის საუკეთესო ადგილს. ალბათ სწორედ იმის გამო, რომ ისინი სადილობდნენ რესტორანში მანჰეტენზე, ეს რაიონი რესტორნების უზარმაზარი რაოდენობით, რომლებსაც ყოველდღიურად სტუმრობდნენ ათასობით საქმიანი ადამიანები, მათ მოეჩვენათ ახალი ბიზნესის წამოწყებისათვის შესაფერის ადგილად. მეგობრებმა ენთუზიაზმით დაუძახეს რესტორნის მეპატრონეს და ჰკითხეს, რამდენის გადახდაზე იყო ის თანახმა იმ კლიენტებისათვის, რომლებსაც ისინი მიუყვანდნენ. მეპატრონემ თვალის დაუხამხამებლად უპასუხა - „7%“ - ტარიფი, რომელიც მოქმედებდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საკრედიტო ბარათების ბაზარზე. მოგვიანებით, როცა მეგობრების ბიზნესი წარმატებით ვითარდებოდა, მათ რესტორნის მეპატრონეს ჰკითხეს, საიდან მოიტანა მან ეს განთქმული „7%“, რაზეც რესტორნის მეპატრონემ უპასუხა: „სამოგზაურო აგენტი მოითხოვდა 10%-ს“.

რესტორნებში კლიენტების იდენტიფიკაციისთვის და მათი წრის გაფართოებისთვის პარტნიორებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ტვიფრიანი ფირფიტებით, რომლებიც იმ დროისათვის უკვე გამოიყენებოდა მრავალი მაღაზიისა და ბენზინგასამართი კომპანიის მიერ. მეგობრებმა შექმნეს ახალი კომპანია: მაკნამარამ სნაიდერთან ერთად წილის სახით შეიტანეს *Hamilton Credit Corp.*-ი, მისი დავალიანების - 35 ათასი აშშ დოლარის სახით, ხოლო ბლუმინგდეილმა შეიტანა 5 ათასი დოლარი ნაღდი ფული. სწორედ ეს 5 ათასი დოლარი წარმოადგენდა ერთადერთ რეალურ ფულს, რომლითაც დაიწყო საქმიანობა. მაკნამარა და სნაიდერი, ბლუმინგდეილის გამგზავრების შემდეგ ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმეს. ისინი მეზობელი ოფისების კარებების ქვეშ უბრალოდ აცურებდნენ ფურცლებს ახალი მომსახურების შეთავაზების შესახებ. კლიენტებს პირველ ბარათებზე გადასახადებს არ ახდევინებდნენ და საკრედიტო ისტორიაც არ მოწმდებოდა. ბარათის მისაღებად საკმარისი იყო კლიენტს ჰქონოდა სანდომიანი შესახედაობა და განეცხადებინა, რომ მუშაობს იმავე შენობაში. ამ კლიენტთა მომსახურებისთვის მოიზიდეს 10-12 ახლომდებარე რესტორანი. პირველ თვეს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 140 დოლარი 2 ათასი დოლარის ბრუნვით. მეორე თვეს ბიზნესი უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა და სასწრაფოდ საჭირო გახდა დამატებითი კაპიტალის მოზიდვა. დახმარებისთვის ისევ ბლუმინგდეილს მიმართეს, რომელმაც მეგობრებს პირობა წაუყენა: გაეზარდათ მისი წილი კომპანიის კაპიტალში. მეგობრებმა, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ საქმის წარმატებაში, ბლუმინგდეილს არ დაუთმეს. მაშინ ბლუმინგდეილმა ანალოგიური სქემით ლოს-ანჟელესში დაიწყო ოპერაციები საკრედიტო ბარათებით, რომელიც ცნობილია სახელით *Dine and Sign* („ისადილე და მოაწერე“). მან შეძლო 25 რესტორნის მოზიდვა. 3 თვის შემდეგ ყოველთვიურმა ბრუნვამ 150 ათასი დოლარი შეადგინა და მალე მასაც წარმოექმნა სიძნელეები სახსრებთან დაკავშირებით, ვინაიდან თვითონ მას არ გააჩნდა კრედიტის არსებითი წყაროები. ამავე დროს ნიუ-იორკში მაკნამარას და სნაიდერის კომპანიის ოპერაციების ყოველთვიურმა მოცულობამ 250 ათასი დოლარი შეადგინა.

პარტნიორებმა გაერთიანება გადაწყვიტეს პრინციპით: „თუ გავკოტრდებით, ერთად გავკოტრდებით“. უკვე 3 თვის შემდეგ მათმა წამოწყებამ მიიღო „ეროვნული მასშტაბები“, ისინი საქმიანობდნენ ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელესში, ბოსტონში, სადაც მათ ასევე გამოისყიდეს ბლუმინგდეილის ყოფილი პარტნიორის მიერ ადრე დაწყებული ოპერაციები.

გაერთიანების შემდეგ ბიზნეს დაერქვა *Diners Club,* სადაც 70% ეკუთვნოდა მაკნამარას, ხოლო დანარჩენი წილი თანაბრად სნაიდერსა და ბლუმინგდეილს. ამ დროისათვის ბლუმინგდეილს საქმეში სულ შეტანილი ჰქონდა 25 ათასი დოლარი, რომელიც თავდაპირველ 5 ათას დოლართან და მცირეოდენ თანხასთან ერთად, რომელიც დაიხარჯა *Dine and Sign*-ზე, წარმოადგენდა ერთადერთ რეალურ თანხებს, რომლებიც ოდესმე იქნა ჩადებული ამ ბიზნესში.

უკვე ერთი წლის შემდეგ *Diners Club*-ს ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული 285 კომერციულ ობიექტთან და 35 ათას ბარათის მფლობელთან, რომლებიც ბარათებით სარგებლობისათვის წლიურად იხდიდნენ 3 დოლარს. 1951 წლის ბოლოს *Diners Club*-ს ჰქონდა 61 222 დოლარი წმინდა შემოსავალი 6.2 მლნ დოლარის ბრუნვით. მომდევნო წლებში სისტემა განაგრძობდა გაფართოებას როგორც გეოგრაფიულად – ევროპაში, ისე კომერციული ქსელის გაფართოებით.

ამერიკული ბაზრის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა ასევე საბარათე ოპერაციების ინტერნაციონალიზაცია, რაც ჯერ კიდევ 1951 წელს დაიწყო, როდესაც *Diners Club*-მა გასცა პირველი ლიცენზია თავისი სახელისა და სქემის გამოყენებაზე დიდ ბრიტანეთში. შემდეგ გაჩნდა დღეისათვის ცნობილი ისეთი სისტემები, როგორიცაა *American Express, Visa, MasterCard*. თავიდანვე უნივერსალური ბარათები იყოფოდა ბარათებად „მოგზაურობისა და გართობისთვის“ (Travel and Entertainment - T&E) და „წმინდა“ საბანკო ბარათებად. პირველებს უშვებდნენ კომპანიები *Diners Club, American Express, Cart Blansh* და ძირითადად გამოიყენებოდა სასტუმროებში, რესტორნებში, ანუ უმეტესწილად მოგზაური ბიზნესმენებისთვის. ბანკების მიერ გამოშვებულ ბარათებს კი გააჩნდათ უფრო „სამომხმარებლო“ ხასიათი და განიზნული იყო „ჩვეულებრივი კლიენტებისათვის“.

XX საუკუნის 50-ან წლებში 100-ზე მეტმა ამერიკულმა ბანკმა დაიწყო საკუთარი პროგრამები საკრედიტო ბარათებით. მაგრამ პრინციპულად ახალი პერიოდი საბარათე სისტემის განვითარებაში დაიწყო 1958 წელს, როდესაც მასში ჩაერთო ამერიკის სიდიდით პირველი ბანკი - Bank of America.

ამავე წელს შეიქმნა სისტემა *Cart Blansh*, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა სასტუმროების კორპორაცია „ჰილტონის“ კერძო ბარათს. 1965 წელს *Cart Blansh*-ი გაიყიდა National City Bank-ზე (შემდგომში City Bank).

1958 წლის 1 ოქტომბერს გამოშვებულ იქნა კომპანია *American Express*-ის პირველი ბარათი. უკვე ერთი წლის შემდეგ კომპანია ითვლიდა 32 ათას დაწესებულებას და 475 ათასზე მეტ ბარათების მფლობელს. *American Express*–ის ასეთი წარმატება აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ კომპანიამ შეიძინა ამერიკული სასტუმროების ასოციაციის მიერ გამოშვებული Universal Travel Card. მაგრამ მთავარ მიზეზს მაინც წარმოადგენდა *American Express*-ის საგზაო ჩეკების მომსახურების არსებული ფართო საერთაშორისო ქსელი და უზარმაზარი ფინანსური სახსრები, რომელიც კლიენტების დაკრედიტების საშუალებას იძლეოდა.

დაახლოებით იმავე დროს სასტუმროების და რესტორნების ბრიტანულმა ასოციაციამ დაიწყო საკრედიტო ბარათის - BHR გამოშვება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენდა საბანკოს, მაინც უნივერსალური იყო. 1965 წელს ეს სისტემა გაერთიანდა თავის შვედ კონკურენტ Rikskort-სთან, რომლის მფლობელს წარმოადგენდა ვალენბერგების ოჯახი, რის შედეგადაც დაარსდა კომპანია EuroCard შტაბ-ბინით შვედეთში. პარალელურად იზრდებოდა ამერიკული საბარათე ასოციაციების კონკურენცია ევროპაში.

საბარათე პროგრამების განვითარების კვალობაზე ბანკების უმრავლესობა აღმოჩნდა მთავარი წინააღმდეგობის წინაშე – საკუთარი ბარათების მომსახურების ქსელის ლოკალურობასთან. ამასთან ერთად ბარათების ბიზნესი ბანკების მიერ აღიქმებოდა როგორც მეორეხარისხოვანი, დამატებითი მომსახურება კლიენტებისათვის. შედეგად ბარათების მფლობელთა რაოდენობა მცირდებოდა, ხოლო საოპერაციო ხარჯები და კრედიტების დაუბრუნებლობა იზრდებოდა. იმ დროს როდესაც სხვა ბანკები განიცდიდნენ წაგებას, იზრდებოდა BankAmericard-ის წარმატება, რომელსაც უშვებდა *Bank of America*. ამ ბანკის მთავარი უპირატესობა მდგომარეობდა იმაში, რომ გააჩნდა განყოფილებების განშტოებული ქსელი კალიფორნიაში მისი მდიდარი კლიენტურული ბაზით. თავისი როლი ითამაშა ასევე შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ: 1966 წლიდან *Bank of America*-მ დაიწყო BankAmericard ბარათების გამოშვებაზე ლიცენზიების გაცემა სხვა ბანკებისათვის.

1960-ანი წლების ბოლოს BankAmericard-ის გამომშვები ბანკების დაჟინებით საბარათე სისტემა გამოვიდა *Bank of America*-ს კონტროლიდან. ამგვარად 1970 წლის ივლისში შეიქმნა National BankAmericard Ink. - NBI. 1976 წელს NBI-მ თავის ბარათს BankAmericard-ს გადაარქვა სახელი და უწოდა დღეისათვის ყველასთვის ცნობილი *Visa.*

BankAmericard ბარათების სწრაფმა ზრდამ საერთოეროვნულ ანგარიშსწორების საშუალების რანგში შეასრულა კატალიზატორის როლი ბანკირთა ჯგუფის შესაქმნელად, რომლებიც წარმოადგენდნენ 17 საფინანსო დაწესებულებას და არ წარმოადგენდნენ NBI-ის წევრებს. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ბანკომატების ქსელი ბანკების განყოფილებებს გარეთ, სადაც ყველაზე მაღალია პოტენციური კლიენტების თავშეყრის ალბათობა, მაგალითად რკინიგზის სადგურებზე.

დღეისათვის მსოფლიოში ბანკომატების საერთო ოდენობის დაახლოებით 30% მოდის დასავლეთ ევროპაზე, 26% - იაპონიაზე, 25% - აშშ-ზე. როგორც გამოკითხვებმა აჩვენა, თანხის მოხსნის ოპერაციების უმეტეს ნაწილს ახორციელებდნენ „მუდმივი“ კლიენტები, რომლებიც ფულს იღებდნენ არა უმცირეს კვირაში ერთხელ. ამ ოპერაციების ყველაზე მეტი ოდენობა განხორციელდა დიდ ბრიტანეთში, შემდეგ ადგილს იკავებს საფრანგეთი, მესამეს კი – გერმანია.[1]

ექსპერტების აზრით, ყველაზე პერსპექტიულ ბაზრებად სატერმინალო მოწყობილობის დასადგმელად წარმოადგენს ინდოეთი, რუსეთი და ჩინეთი, სადაც მოსალოდნელია ბანკომატების რიცხვის საგრძნობი ზრდა.

სერგი ლომაძე — **ჯგუფ „ზღვარის“ წევრი**

ოთხმოცდაათიანელები

დრო: ორიათასცამეტი წელი; ვიგონებ წარსულს...

გასული საუკუნის ოთხმოცდარვა-ოთხმოცდათერთმეტი წლები იყო გარდამავალი პერიოდი საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში. იმ დროისათვის, იცით, ხალხის სათავეში აღმოჩნდნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, აკაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე და სხვა პოლიტიკოს-მოღვაწენი; ხოლო ოთხმოცდათერთმეტ წელს, როცა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახალი დრო, ახალი ხანა დაიწყო, ანუ ოცდამეერთე საუკნემ და მესამე ათასწლეულმა თითქოს უკვე მაშინ შეამობიჯა ჩვენს ხალხში.

და პირველი თაობა, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვა დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს სიზმარს, ახალი დროის, ეპოქის მაუწყებელი თაობა სწორედ ოთხმოცდაათიანი წლებისა იყო, ანუ — ოთხმოცდაათიანელები.

თავისუფლების დიდი ზეიმი, როგორც გრანდიოზული თეთრი სიზმარი, უკვე მომდევნო წელს ნაცარტუტად იქცა. მოხდა ღალატი. ეროვნული ხელისუფლება დაემხო. ქვეყანაში გამეფდა სრული ქაოსი და განუკითხავობა. გამსახურდია—ასათიანი—ბურჭულაძის ტრიუმვირატი ახალმა ტრიუმვირატმა ჩაანაცვლა: იოსელიანი—კიტოვანი—სიგუა. მათ ნიადაგი მოუმზადეს საქართველოში შევარდნაძის დაბრუნებას. ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ისეთი პრობლემები, რომელთა გადალახვასაც შემდეგში ორი ათეული წელიც კი არ ეყო.

ეს ყველასათვის ცნობილი ისტორიაა.

და ყველასათვისაა ცნობილი ომების, თავისებური რევოლუციების, უსასრულო აქცია-მიტინგების ჯაჭვი, რომელიც ახალმა ეპოქამ მოიტანა.

მოკლედ, ისეთი წყვდიადის მეფობის ხანა დადგა წლების განმავლობაში, რომ ოთხმოცდაათიანელები იქცნენ ყველაზე უფრო განწირულ, დაწყევლილ, ნაცრისფერ თაობად. ისინი თითქოს სრულიად გაიწირნენ დასაკარგად.

ოთხმოცდაცამეტ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. ეს იყო და არის ერთ-ერთი ცენტრი. იქიდან დაიწყო იმ დროისათვის ახალი თაობის, ახალი აზროვნების ფორმირება. მთავარი

[1] http://www.carddesign.ru/articles/Istorija_vozniknovenija_bankovskih_kartochek.html

ის გახლდათ, რომ არ დაკარგულიყო ახალგაზრდობა, ამდენი სიბნელე-სისხლის, ამდენი გაჭირვების ფონზე არ ჩაკარგულიყო მასში (ახალგაზრდობაში) შემოქმედებითობის უნარი. ამიტომ მე და რამოდენიმე სხვა ახალგაზრდამ, სტუდენტმა, საკუთარ თავზე ავიღეთ შემოქმედებითი პროცესის შეუწყვეტელობა-განვითარების საქმე. ეს ხაზი წარმატებით მივიდა ბოლომდე. თაობამ მიიღო თავისი ლიდერები. გადარჩა ხელოვნების სული. უნივერსიტეტსა და მის გარემოცვაში გამოჩნდა ხელოვანთა ჯგუფები — „მირაჟი“ და სხვები რომელთაც გააცოცხლეს თითქმის ჩამკვდარი გარემო. ყინულმა გალღობა დაიწყო. ქაოსის ფონზეც კი იჭედებოდა ახალი, მშვენიერი ხელოვნება...

დავიბადე სამოცდაათიან წლებში და ბავშვობიდან მოყოლებული სულ ვწერ. ხელოვნება ჩემთვის მთელი ცხოვრებაა, პოეზია ჩემი გულია. ოთხმოციან წლებში გარკვეული წრეებისათვის უკვე ცნობილი იყო ჩემი ხელოვნება, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მე მაინც ოთხმოცდაათიანელი ვარ, — ნაცრისფერი, გაუხარელი თაობის ერთ-ერთი თავისუფალი წარმომადგენელი.

მგონი ოთხმოცდაცამეტი წელი იყო მაშინ, როცა დავწერე ლექსი „თეთრ როიალთან“. ოთხმოცდათოთხმეტი წლის იანვარში ვცადე მისი გამოქვეყნება (ლექსების გამოქვეყნება უფრო ადრეც მიცდია, — ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, სასკოლო ასაკში). იანვარში, ზამთარში დაწყებული საქმე ზაფხულშიღა დასრულდა. მერე კი საქმე უკვე სწრაფად დაიძრა წინ.

ოთხმოცდათოთხმეტი წლის სექტემბერში (შვიდ სექტემბერს) შემოქმედებითი ჯგუფი „მირაჟი“ დავაარსე, სადაც, სხვადასხვა დროს, ირიცხებოდნენ შემდეგი ხელოვანები: კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, ჩემი ძმა — ვასო ლომაძე, რომან აფაქიძე, გიორგი ქურასბედიანი, ერნესი, რატი ნინუა, გოგა არაბული და სხვები. შვიდი სექტემბრის პროექტმა გაამართლა. ამ ადამიანების ნაწილმა თავისი სიტყვა ნამდვილად თქვა ხელოვნებაში. ჩვენს წრესთან ახლოს იყვნენ, ასევე, მიშო თუმანიშვილი, გიორგი არჩემაშვილი, კოტე ონიანი, ლევან (ლეო) ცალუღელაშვილი და სხვა ახალი ფორმაციის პოეტები... ჯგუფ „მირაჟს“ მე ვმეთაურობდი...

მოკლედ ნელ-ნელა შეფერადდა ლიტ-გარემო. პოეზია-ფილოსოფია, უკვე მაშინ, ჩემთვის ბედისწერასავით იყო, და როცა, მოგვიანებით, შევქმენი ხელოვანის სახე პოემაში „ირეალური მეფე“, იქ მე ჩემეული ხედვები ჩავატიე მხატვრულ ფორმებში. საერთოდ, რამოდენიმე ათას პოეტურ-ფილოსოფიურ პაექრობაში მიმიღია მონაწილეობა და ორივეგან წარმატებული ვიყავი, განსაკუთრებით — პოეზიაში, თუმცა ფილოსოფიური პაექრობანი მაინც უფრო ხშირად მქონია. მე სულ ვეძებდი და ვეძებ პოეტურ (პოეტურ-ფილოსოფიურ) ჭეშმარიტებას.

ხოლო პოეზია და პოეტური ფილოსოფია, მუსიკასთან ერთად, მიმაჩნია უმაღლეს გზად ძიებისა, ოღონდ — მუსიკაც პოეტური უნდა იყოს, ისევე, როგორც — თვითონ ღმერთი, სიტყვა-უფალი, როგორც — მთელი სამყარო.

ოთხმოცდაცხრამეტი წლის სამი—შვიდი მაისის დღეებაში ჩამოვაყალიბე ჩემი ყველაზე უფრო წარმატებული ჯგუფი — „ზღვარი“. ამ პროექტმა — შვიდი მაისის პროექტმა კიდე უფრო გაამართლა. ჩვენს ძველ, „დიდ ოთხეულს“ (სერგი, კახა, ზუხბა, ვასო) დაემატა გიორგი მიჩიტაშვილი და ლუკა ამირანაშვილი. ჯგუფში მოიაზრებოდა ზოგი სხვა ხელოვანიც, მაგალითად — მიშო თუმანიშვილი... კახა ბაციკაძემ, ისევე, როგორც, ვთქვათ, გიორგი ზუხბაიამ, ნელ-ნელა უმაღლეს დონეზე აიყვანა საკუთარი შესაძლებლობანი ხელოვნებაში...

„ზღვარის“ მთავარ საქმედ პოეზია და მუსიკა იქცა (ვფიქრობ, რომ ამ ორმა ხელოვნებამ დაუდო საათავე ხელოვნების ყველა სხვა სახეს, ასევე: ხელოვნება-მეცნიერებად მიჩნეულ ფილოსოფიასაც, რომელიც, თავის მხრივ, ყველა სხვა მეცნიერებათა მამაა), თუმცა, ჩემი დიდი მეოხებით, ფილოსოფიას არც აქ („ზღვარში“) დაუკარგავს თავისი ადგილი, ხოლო უკვე გვიან — ახალი საუკუნის ათიანი წლების დასაწყისიდანვე, მუსიკა თითქოს ჩაანაცვლა კიდეც და, პოეზიის გვერდით, დაიბრუნა წამყვანი პოზიცია ჩვენს ცხოვრებაში. საბოლოო ჯამში ჩვენ მაინც მხოლოდ პოეტები ვართ, ფანატიკოსი პოეტები, მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება (ისევე, როგორც პროზა, მუსიკა, მხატვრობა და ზოგი სხვა რამ) ძალიან გვიტაცებს.

ჩვენს ცნობიერება-აზროვნებაში პოეზია ყოველთვის უპირველესი იყო. უბრალოდ, ოთხმოცდაათიან წლებში თუკი მის გვერდით, უფრო, ფილოსოფია იდგა, ორიათასიანებში ეს ადგილი, თითქოს, მუსიკამ იგდო ხელთ, თუმცა ათიან წლებში, ჯერ-ჯერობით, ძველი „სტატუს ქვო“ აღდგენილია: პოეზია-ფილოსოფია ახლა ჩვენთვის წამყვანნი არიან.

დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებდი მთელი ჩემი შემოქმედების გაერთიანებას, გაერთნაწარმოებებას საერთო სათაურის ქვეშ. ბოლოს, მხოლოდ ჩემს ნაშრომ-ნაღვაწს, ჩემივე ჯგუფების — „მირაჟის“ და „ზღვარის“ სრული ნამოღვაწარიც ზედ დავამატე, და ამ ყველაფერს, ერთად აღებულს, „ფერთა წიგნი“ ვუწოდე. (ხანდახან „თეთრ წიგნსაც“ ვუწოდებ ხოლმე, მაგრამ „ფერთა წიგნმა“, ათასნაირად გააზრებულმა, ათასგზის განსჯილმა, თითქოს მაინც გადასძალა და ასე დავარქვი). ეს გრანდიოზული ქმნილება ალბათ ყველაზე სრულად გადმოსცემს ოთხმოცდაათიანელთა გულისნადებს, განცდებს, სულისკვეთებას იმ თაობისას, რომელმაც ყველაფერი დაიწყო, რომელმაც პირველმა შეაღო ახალი დროის კარიბჭე და თუმცა გაიწირა (მწვერვალებზე, ალბათ, სხვები ავლენ, — „ეგვიპტიდან“ პირველგამსვლელნი ხომ იღუპებიან, „აღთქმულ ქვეყანას“ ვერ აღწევენ!), მაგრამ პირადად მე, მაინც, სრულიად განსაკუთრებულ და უდიადეს თაობად მიმაჩნია ოთხმოცდაათიანელები. ალბათ ობიექტური არცა ვარ ამ შემთხვევაში, — ხომ თვითონვე სწორედ ოთხმოცდაათიანელებს მივეკუთვნები და...

რაც შეეხება ამ სტატიას, იგი, რა თქმა უნდა, ძალიან არასრულად გადმოსცემს ოთხმოცდაათიანი წლების თაობას. მე არცა მქონია, აქ, სრულყოფილების პრეტენზია. უბრალოდ, კაცის სული ხომ მის გონში ცხოვრობს და გულში ირეკლება—სახლდება, და მაშასადამე, სული, გონება, გულია მთავარი ადამიანში. ასეა თაობებშიც. მე შტრიხებად მოვხაზე ოთხმოცდაათიანელების სული, თორემ აქ, ამ ერთ სტატიაში, ჭეშმარიტი ეპიკური ტილოს დახატვა არც მიფიქრია. კი, სათქმელი კვლავაც ბევრი დამრჩა. საერთოდ, ვინ ამოწურავს სათქმელს? ვერავინ...

მაინც ვიტყვი ორიოდ სიტყვას სტატიის სათაურზეც.

საერთოდ, სათაურთა დარქმევა ჩემი პროფესია მგონია: როგორც საკუთარ, ასევე სხვების (ვთქვათ: მეგობარ-ახლობლების) ქმნილებათა უმეტესობას თვითონ ვასათაურებ ხოლმე. სწრაფად მომდის თავში აზრად რამდენიმე ვარიანტი, სახელწოდებისა, და მერე იმათგან ერთს ვჯერდები, თუმცა ყოყმანი შემდეგაც გრძელდება. მაგალითად: ზუხბას ლექსი „ყოვლისშემძლე“, ან ვასოს ლექსები „ლურჯი სონატა“ და „თეთრი აფრები“, — სამივე მათგანი ჩემი დასათაურებულია, სამივე ეს სათაური ახლაც მომწონს, თუმცა ახლაც, ახლაც კი ვყოყმანებ ამ დასათაურებათა საკითხზე.

ჩემი სტატიაც ასეა, — შეიძლებოდა, რომ უფრო მოკრძალებული სათაურიც დამერქმია, და არა, ვთქვათ, — მთელი თაობის გამომხატველი. მაგრამ რაც არის, არის. რა ვქნა, — ამჯერად ეს სახელწოდება მომეწონა განსაკუთრებით...

გიორგი ზუხბაია (ზუხბა)

დიდებული წიგნის დაფასება-აპოთეოზი

რა სჯობს სამზერლად: მშვიდი ზღვა, — მზის სხივებით სავსე სიზმარი ნელად მოტორტმანე დიადი წყალისა, თუ ზღვა აზვირთებული, შეშლილივით რომ ეხეთქება სალ კლდეებს და მეამბოხე პოეტის სულს გვაგონებს?

ვისთვის როგორ, ისე კი, ორივე ლამაზია, დიდებულია თავისებურად.

და მაინც, — მე აზვირთებული ზღვა მირჩევნია, როგორც ყოველგვარ საზღვარგადასული სული ბაირონის, სიზმარი პოეტის.

სწორედ ასეთ ატალღულ, აბობოქრებულ ზღვასა ჰგავდა ის შესანიშნავი ლიტერატურული საღამო, რომელიც შემოგვთავაზა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიამ, და რომელიც მიეძღვნა სერგი ლომაძის წიგნს — „გზა მწვერვალისკენ“. ეს საღამო განსხვავებული, განსაკუთრებული იყო თავისი არსით, ბუნებით: იგი აშკარად გამოირჩეოდა იმ ერთფეროვანი შეხვედრებისაგან, სადაც ყველა ყველას მხოლოდ აქებს, ეფერება, და რომელნიც ასე მომრავლდა დღევანდელობაში. და აი, ამ ნაცრისფერ საღამოებს შორის გამოერია ერთი ფერადი სიზმარი, თავისი მეამბოხე სულით, თავისი კრიტიკული აზრით (როგორც დადებითით, ასევე უარყოფითით, — შენიშვნებიც იყო, მრავალი ქების საპირწონედ), თავისი, მთელ რიგ მომენტებში, აზვირთებული დარბაზით (დამსწრეებით), და ამ ატალღებულ, მაგრამ მაინც კეთილისმსურველ დარბაზთან მორკინალი ლიტ-საღამოს სამი გმირით:

საღამოს ერთ-ერთი (და მათავარი) წამყვანი — კახა ბაციკაძე;

ავტორი წიგნისა „გზა მწვერვალისკენ“ — სერგი ლომაძე (იგი ხანდახან წამყვანობასაც ითავსებდა);

და საღამოს ცენტრალური ფიგურა — ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, — პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მიეძღვნა სერგის დიდებული ნაშრომი.

აი ის ტრიუმვირატი, ტრიუმვირატი ჩვენი აკადემიისა, რომელთაც რამდენიმესაათიანი საღამო-ჭიდილი, აზრთა, იდეალთა ჭიდილი, სრული გამარჯვებითა და აპოთეოზით დააგვირგვინეს.

დიახ, არიან ხოლმე ხელოვნების ისეთი საღამოებიც, რომელნიც თავისებურ რინგს ემსგავსებიან, ბრძოლის ველს, და ასეთ შეხვედრა-საღამოებზე უკეთესად წარმოჩინდება ხოლმე სულიერ-გონებრივი შესაძლებლობანი ხელოვანისა, ოსტატისა, მისი პიროვნული ძალმოსილება.

გამოცდა დიდი წარმატებით იქნა ჩაბარებული.

შესანიშნავმა სამეულმა თავისი ცოდნა და გამოცდილება მაღალ რანგში წარმოადგინა.

აქვე აუცილებლად უნდა ჩამოვთვალოთ იმ პიროვნებათა ნაწილი მაინც, რომელნიც საღამოს ესწრებოდნენ (უმეტესობა მათგან მონაწილეობასაც იღებდა ამ ღონისძიებაში): მეუფე თადეოზი, რევაზ მიშველაძე, რევაზ ადამია, ტიტე მოსია, ლუარა სორდია, ნუგზარ შარია, ჯულიეტა ალავიძე, სიმონ ზაქარაია, მანანა დანგაძე, ნუნუკა გურალია, მანუჩარ მაჩაიძე, მარინა კოლხიდაშვილი, ლამარა გერგედავა, ნუგზარ ბაბუხადია, თამარ ჯაჭვაძე, ლია ოსიაშვილი, ნაილი ხარაიშვილი, გვანცა ხარაიშვილი, ქეთი ნათელაძე, თამუნა რაზმაძე, შორენა ელისაბედაშვილი და სხვები. ცალკე აღინიშნოს ის რომ, ფაზისის აკადემიამ ჩვენი აკადემიის თავყრილობას შემოამატა კიდევ რამდენიმე მეცნიერი, მათ შორის — სიმონ ზაქარაია, ჯემალ ჯიქია. რაღა თქმა უნდა, ასეთი რანგის ღონისძიება არ ჩატარდებოდა (და არც ჩატარებულა) ბატონი ჯუმბერ ლეჟავას გარეშე.

ძირითადად ეს იყო სამეცნიერო-პოეტურ-მუსიკალური შეკრება (მაგალითად, მუსიკალური მხარე წარმოაჩინეს მარინა კოლხიდაშვილმა და მანონი ყუბანეიშვილმა. იყო ერთი მისტიკური ეპიზოდიც, — როცა კოლხიდაშვილი მღეროდა იმ სიმღერას, რომლის ტექსტიც მეუფეს ეკუთვნის, ოდნავ დაგვიანებით მოსულმა მეუფე თადეოზმა ზუსტად მაშინ შემოაღო დარბაზის კარი!.. რატომღაც ველოდი რომ შესრულდებოდა კახას და სერგის მიერ დაწერილი დიდებული ჰიტიც — „ჩემი ლირიკა“, მაგრამ საღამოს წამყვანის ტვირთმა კახას აღარ დაუტოვა მუსიკალური ნომრების შესრულების დრო. სამაგიეროდ სერგიმ წაიკითხა თავისი ორი ბრწყინვალე ლექსი).

საერთოდ, პოეტი ყველაფერს თავისებურად აღიქვამს. იგი მშვენივრად პარადოქსული მოვლენაა. მაგალითად, თქვა ერთხელ ერთმა პოეტმა: „დონ კიხოდი.“ მას გაუსწორეს: დონ კიხოტია იმ ლეგენდა-გმირის ნამდვილი სახელიო. პოეტს გაეცინა: რა ვქნაო, მეჩვენება, რომ დონ კიხოდი უფრო ლამაზად ჟღერს, და ასეც რომ ვთქვა ხანდახან, ცოდვაში ნუ ჩამითვლითო.

მაშ, პოეტებს არ მოსდით შეცდომები.

მაშ, შეუძლებელია მათი კრიტიკა.

მკითხველი შეატყობდა, რომ ამ სტატიას ასე ვთქვათ, „სერგის სტილში“ ვწერ, რადგნაც გაოგნებული ვარ მისი წიგნის ძლიერებით, იმ წიგნისა, რომელმაც საღამოზე, სრული აღიარება დაიმსახურა. „გზა მწვერვალისკენ“. აქ, ასსამოც გვერდში, მართლაც რომ მონუმენტურად, საოცრადაა ასახული პიროვნება და საქმენი გულნაზ ხარაიშვილისა. ესაა წიგნი-ძეგლი, უკვდავება, რომელიც უძღვნეს ჩვენს დიდ ქალბატონს, ჩვენი აკადემიის სულიერ დედას. და არ გამკვირვებია ბატონი რევაზ მიშველაძის დიდებული შეფასება წიგნისადმი. და არც ის გამკვირვებია, ქალბატონმა ლუარა სორდიამ, პროფესორმა, სერგის რომ უთხრა, — რომ მქონოდა ოქროს კალამი, იმას გადმოგცემდი ამ ნაშრომის შექმნისთვისო. თუმცა ქალბატონმა ლუარამ ძვირფასი ავტოკალმები მაინც გადასცა საჩუქრად თუ პრიზად ჯგუფ „ზღვარს“, უფრო კონკრეტულად — სერგის და კახას, როგორც საუკეთესო ხელოვანებს. ცხრა ნოემბრის საღამო დაამშვენა მეორე საჩუქარმაც, „ზღვარის წევრებს აკადემიამ გადასცა თეთრი ყანწები (ბროლის ყანწები) საპირისპიროდ ძველი დროის ლეგენდებისა — „ცისფერყანწელებისა,“ და სიმბოლოდ სამარადისო პოეზიისა, ბოჰემური პოეტურობისა. „პოეტურობა“ — ესაა სიტყვა, რომელმაც თვითონ სერგის და კახას აზრით, სიტყვა „მშვენიერებაც“ კი ჩაანაცვლა, დაჩრდილა. ხოლო ჯუმბერ ლეჟავას აკადემიამ ზუსტი სიმბოლო შეარჩია საჩუქრად.

მიუხედავად სრული აღიარებისა, უნდა ვთქვა, რომ საღამოზე, აზრთა ურთიერთკვეთების გამო, ნელ-ნელა მატულობდა „დუღილის ტემპერატურა“. რაღაც მომენტში, ეპიზოდში, ამან აპოგეას მიაღწია.

მაგრამ, სწორედ მაშინ, ქალბატონი გულნაზი გამოვიდა წინა პლანზე, და დროებით, სულ რამდენიმე წუთით, ხელთ იგდო საღამოს გაძღოლა. დამატყვევებელია ძალმოსილება ამ ადამიანისა, მისი ლიდერული თვისებები, მისი აშკარა ზეგავლენა სხვებზე, ყველაზე. ასეთი ძლიერება ქალისაგან სხვაგან არსად მინახავს. მან სწრაფად ჩაიგდო ხელში ღონისძიების სადავეები და დარბაზი დააშოშმინა. კახამ და სერგიმ მალე ისევ გადაიბარეს ესტაფეტა, ასე რომ, ყველაფერი დიდებულად დასრულდა; მაშ, ლიტერატურული საღამო, — პირველი განხილვა წიგნისა „გზა მწვერვალისკენ," გამარჯვებით დასრულდა. როგორც ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ თქვა: „საღამო შედგა."

მთლიანობაში ეს მაინც ღრმა და ბობოქარი თავყრილობა იყო, ყოვლისმომცველი, ზუსტად ისეთი დაუვიწყარი, მრავლისმთქმელი, როგორიცაა თვითონ წიგნი სერგი ლომაძისა: წიგნი — „გზა მწვერვალისკენ."

წიგნი სადაც, —

დემონსტრირებულია დიდი პოეტურობა და განსწავლულობა-ერუდიცია ავტორის. იგი ტიტანივით ეჭიდება მოზღვავებულ აზრებს, იდეებს, ჰიპოთეზებად კრავს მათ, ავითარებს ახალ თეორიებს, ხანდახან თითქოს იმეორებს თავისივე ნათქვამს, ამასობაში კი სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს რომელიმე დეტალს, ხანდახან კი თითქოს საკუთარივე თავსაც ეწინააღმდეგება, ამასობაში კი ატყობ, თუ როგორ მიდის წინ, თუ როგორ იკვლევს გზას მაღალ ჭეშმარიტებამდე...

ეჰ, ჩემს ხელში რომ იყოს ეს საქმე, სერგის თუნდაც მარტო ამ წიგნისთვის მივანიჭებდი დოქტორობას და პროფესორობას!

ხოლო ყველაზე დიდი ქების ღირსი, რა თქმა უნდა, არის თვითონ ქალბატონი გულნაზი, რომელსაც ისეთი დონის პოეტი, ლიტერატორი, როგორიც არის სერგი ლომაძე, თავის ერთ-ერთ მასწავლებლად აღიარებს და წიგნსაც კი უძღვნის!

გილოცავთ, ქალბატონო გულნაზ, —

როგორც ჩანს, თქვენ უკვე ახვედით სამოღვაწეო მწვერვალზე!

და ღმერთმა ინებოს, რომ სამარადისოდ შეინარჩუნოთ ეს სიმაღლე!..

Ratiani Lali
Assozierte Professorin Suchumer Staatlichen Universität Deutschlehrertagung in Italien



Die Stadt Bolzano /Bozen/ in Norditalien /Südtirol) war Veranstaltungsort der nächsten 15.Internationalen Deutschlehrertagung vom 29. Juli bis 3. August 2013, die alle 5.Jahre stattfindet

2600 Teilnehmer aus der ganzen Welt, aus 110 Ländern und fünf Kontinenten kamen in diesem Sommer in Bolzano zusammen, um Gedanken und Erfahrungen auszutauschen und sich beruflich weiterzubilden. Prof. Dr. Hans Drumbl, Tagungspräsident.

Lehrende, Forschende und Studierende aus der ganzen Welt waren zur aktiven Teilnahme an der Tagung eingeladen. Neben Vorträgen, Podiumsdiskussinen und Ausstellungen erwarteten den Besucher auch ein umfangreiches Rahmenprogramm.

Für diese weltweite Interesse kammen viele Faktoren zusammen, unter denen besonders zu nennen sind: die Verbindung von Theorie und Praxis, die sich auch dank dem geglückten Tagungskonzept effektiv entfalten kann; das Tagungsthema „Deutsch von innen-Deutsch von aussen", dass mit den Schwerpunkten Deutsch als Fremdsprache, Deutsch als Zweitschprache und Deutsch als Muttersprache der heutigen Sprachrealitäten in einer zunehmend globalisierten Welt entspricht/Prof, Marianne Hepp Präsidentin des IDV/

Der zentrale Ort der aktiven Arbeit und des fachwissenschaftlichen Austausches fand in den 48. Sektionen statt, die sich in acht Themenfeldern gliederten .

Immer war mein Wunsch nach Italien zu fahren. Mein Wunsch ist in Erfühlung gegangen. Ich hatte Glück als Forschende an der Tagung an der freien Universität Bozen teilzunehmen. Ich freute mich in Italien zu sein, die Schönheit dieses Landes zu geniessen, so viele Germanisten aufeinmal zu sehen und sie kennenzulernen.

Ich hatte an dem Themenfeld: Linguistische Grundlagen für den Unterricht, an der Sektion

C1 – Von der grammatiktheorie zum sprachlichen Handeln, am Donnerstag 11.30-11.55 im Kölpinghaus, Saal 2 teilgenommen. Präsentationsthema lautete:"Linguistische Darstellung struktiurell-semantischer Besonderheiten der Satzgefüge"-

Ich hatte die Anwesenden rechtherzlich begrüsst und mich bei der Organisatoren der Tagung und Sektionsleiter für ihre unermüdliche Arbeit und Bemühungen bedankt, dass sie allen Lehrenden, Forschenden und Studierenden eine Möglichkeit gegeben haben, sich zu verschiedenen Thematen auszusprechen, unsere Meinungen und Erfahrungen umzutauschen und ein bischen Kritik auszuüben..

Bevor ich mich mit dem Thema meines Beitrages befasste, hatte ich eine kleine Abweichung gemacht, ein paar Worte über **Georgien** gesagt, dass ich das Land Georgien vertrete, das etwa 4 Mill. Einwohner zählt, wo über mehr als 80. Nationalitäten Schulter an Schulter arbeiten und leben

Georgien besteht aus Ost und West Georgien, zwei autonomen Republicken und einem autonomen

Gebiet,Ost Georgien besitzt ein trockenes, kontinentales Klima, wenn in West Georgien ein Meeres, subtropisches Klima ist. Heute sind abchasische autonome Republick und Südosetisches Gebiet verloren gegangen durch schwere Kriege gegen Russland im 1989-1992 und 2008. Die Folge: viele Umgekommene, Verletzte, Vertriebene in der ganzen Welt, vernichtete Städte und Dörfer. Ein Schreckliches Gefühl, sich im eigenen Land als Vertriebene, Flüchtlinge zu fühlen. Mehr als 20. Jahre bin ich in meiner Heimatstadt nicht gewesen.Vor einem Monat haben die russische Truppen die Grenze verletzt, verschoben und versuchen sich der Hauptstadt zu nähern.

Weiter hatte ich Landkarte Georgiens und Grenzstaaten Türkei, Russland, Armenien, Aserbeidjan, Russland gezeigt und über die Hauptstadt **Tbilisi /** 1Mill. /Einwohner/erzählt, die 1500 Jahre alt ist, die 40 mal zerstört und dann wiederaufgebaut. wurde.

Beim Eingang in die Stadt einander gegenüber stehen zwei gigantische Skulpturen: als Wahrzeichen unserer Stadt. Das ist Denkmal unseres Königs **Wachtan Gorgasali aus 5. Jahrhundert**, seine gehobene Hand bedeutet: "Herzlich Willkommen in unsere Stadt". Dem König gegenüber, in einer Anhöhe steht das gigantische Denkmal **der Mutter Georgiens**-als zweites Wahrzeichen der Hauptstadt. In einer Hand hält sie eine Schale mit Wein gefüllt, als Symbol der Gastfreundlichkeit, in einer anderen Hand hält Sie eine Schwert, als Symbol der Verteidigung, weil vom ersten Jahrtausend her vor unserer Zeitrechnung bis zum heutigen Tagen Georgien von verschiedenen ausländischen Erobern überfallen. wurde..

Dann hatte ich über die **georgische Sprache und Schriftum** gesprochen. Georgische Sprache–eine der kompliziertesten Sprachen/mit ihrer Grammatik wer in der georgischen Grammatik gut beschlagen ist, hat keine Probleme mit dem Deutschen und dazu soll auch ein bischen russisch hinzugefügt werden. Die georgische Sprache ist in der Welt unter den 14 .Sprachen erwähnt, die ihr eigenes Schriftim haben. Es wird so geschrieben, wie es ausgesprochen wird, gehört zu den kartvelischen Gruppen der ibero- kaukasischen Sprachen. Wir Georgien nennen uns **Kartveli**, das Land Sakartvelo, was es in der Übersetzung Georgien bedeutet, Griechisch heisst Geo-Acker, sie

nenenen uns Georgier, was es in der Übersetzung Ackerbauerland bedeutet, für Engländer und Französen sind wir Georgi, Georgier.

Stand der deutschen Sprache in Georgien: Es soll interessant sein eine Information darüber zu bekommen, wie sich Tradition der Deutschen-didaktik in der nicht deutsprachigen Welt, nähmlich in Georgien entwickelt, womit die deutsch-sprachige Länder in Kontakt treten.

Heutzutage haben die Kinder und die Jugendliche nahezu problemlos mehrere Sprachen gleichzeitig zu erwerben können. In Georgien hat man eine Möglichkeit einige Sprachen von der Kindheit her zu erlernen. Man weiss gut, dass frühe sprachliche Förderung im Kontext des Lernens eine entschei-dende Rolle spielt, dass die Sprachen aber auch später und im Alter noch gelernt werden können. Früher hatten die Studenten und die Schüler mehr Stunden Woche,

sowohl in den Schulen als auch an den Hochschulen gehabt. Suchumer Universität, wo ich gegenwärtig tätig bin, ist zur Zeit einzige Hochschule, wo Deutsch intensiv gelernt wird /Wir haben jetzt 80 Studenten, 50-Germanisten, 30 –haben Deutsch als Nebenfach.

Lernen erfolgt ausser durch Instruktion, Imitation und vor allem durch Interaktion. Die deutsche Sprache hat sich im Zeitalter einer global diktierten Monolingualität entwickelt, verändert und den Platz als Erstsprache, Deutsch als Fremdsprache und Deutsch als Zweitsprache behauptet. Diese Entwicklungen werden neben und miteinander gebraucht und beeinflussen sich gegenseitig. Wir möchten nebem dem Englischen Deutsch, Französisch und andere Sprachen lerenen. Uberall hört man die Klage von den Lernenden, Lehrkräften darüber.

Motivation:Warum die Georgier Deutsch lernen, was motiviert die georgischen Studirende die deutsche Sprache als Erstsprache, als Fremdsprache, Deutsch als Zweitsprache nach Englischem zu lernen, welche Motivationsasprofile weisen DaF –Lernende auf und welche sind am meisten angegebenen Motivationsaspekte: Es sind verschiedene Gründe....Da Sprachen immer dichter aufeinander treffen, berühren sich, aufeinander einwirken, Blickrichtungen sich geändert haben , will man einfach weitere Lehre in Deutschland fortsetzen, um die Sprache zu vervollkommnen;.

Empirische Unterrichtsforschung erlaubt man sich nicht nur tiefere Einblicke in die Prozesse des Lernens, sie fordern vielmehr auf didaktische Handeln zu überblicken und leibgewordene Theorien über Bord zu werfen.

Die Grammatik wird allgemein als wichtig beim Erlernen der Fremdsprache eingeschätzt. Das Lehrbuch ist die wichtigste und oft die einzige Quelle für Grammatikdarstellungen und –Übungen. Oft scheint den meisten Lehrer und Lerner mit ihren Lehrbüchern unzufrieden sind. Oft scheint ihnen die gewählte Reihenfolge der Regeldarstellungen nicht logisch, fasst immer hört man Klagen über fehlende Übungen. Über eine solche Grammatik für Sprachlernzwecke sagt Helbig:„**Ihr letztes Ziel ist es, sich selbst überfüssig zu machen; dieses Ziel ist dann erreicht, wenn Fremsprachen lerner/innen die Fremdsprache rezeptiv wie produktiv frei beherrschen, ohne die „Krücke „ Grammatik.“**

Es bleibt festzustellen, dass es in vielen Fällen den Lerner schwer ist, sich in den Grammtiken zurechtzufinden, die Verbindungen zwischen den Begriffen in Register und den Verweisen herzustellen. Fremdsprachelehrwerke sind jedoch in der Regel für einen grossen undifferenzierten Adressantenkreis konzipiert werden.

Probleme, Schwierigkeiten

Man hat Angst vor den Seminaren in Grammatik, **Grammatikproblemen, die bei den Lernern häufig zu Fehlern geführt haben.** Gerade in der Vermittlung von grammatischen Regeln scheint jedoch und noch weit mehr das „Anwenden“ besonders schwer. Die Vermittlung der Grammatik einer fremden Sprache nimmt oft viel Zeit im Unterricht in Anspruch und läuft häufiger alle anderen Phasen des Sprachlernens im Frontalunterricht ab. D**er Präsentation der Grammatik,** kommt im Unterricht und darüber hinaus offensichtlich eine zentrale Bedeutung zu. Fehlerhäufigkei steigt, man versteht die grammatischen Zusammenhänge schwer, haben typische Fehler, Schwierigkeiten mit der Aussprache, grammatischen Geschlecht/ , Satztbau, Wortfolge.

Fremdsprachenlehrwerke sind jedoch in der Regel für einen grossen undifferenzierten Adressatenkreis konzipiert werden. Wir haben Fehlertypen gesammelt, analysiert, durchgearbeitet, Fehlerreparatur gemacht.Wird versucht, eine Übersicht über die grammatischen Probleme zu geben. die Nachteile der Lehrbücher führen oft zu Schwierigkeiten. Man muss einschätzen, welche Grammatik mehr und welche Grammatik wenige Probleme für Lerner bereitet.Alle Grammatiken haben Vor- und Nachteile. Wichtig ist, dass die Lerner mit ihrer Grammatik umgehen können. Die

grammatischen Modellen haben wir vor allerdiengs für einen bestimmten Adressatenkreis, Georgier-vorbereitet und dargestellt. Mit diesen Grammatikdarstellungen, Modellen praktischen Grammatik der deutschen Sprache wollen wir dem vergessenen Prototyp des Übungsbuches ein neues Leben einhauchen, dem Satzgefüge unter Berücksichtigung des gegenwärtigen Forschungsstandes der grammatischen Theorie beleuchten und es mit dem neuen lexikalischen Lehrstoff anreichen.

Nach jeden Modell stehen am Anfang paradygmatische Übungen, die nach und nach komplizierter werden, in denen entsprechende Muster vorkommen. Die Anfänger können sich mit den leichten Übungen begnügen und die weiteren schwierigeren ausser Acht lassen. Den Fortgeschrittenen wird die Möglichkeit gegeben, die leichtere Übungen als Wiederholungsstoff zu betrachten und an den schwierigen Übungen mit grösser Sorgfalt zu arbeiten.

Die meisten Lernende finden, dass zu viele Fremdwörter verwendet werden, dass die Sprache der Grammatik häufig unverständlich, abstrakt, und kompliziert ist. In einer Umfrage kritisieren Sie ausserdem, dass Beispiele und Erläuterungen oft langweilig, trocken und uninteressant sind..

Die meisten Lehrer sagen selbst, dass sie Schwierigkeiten haben, ihren Lernern die neue Grammatik zu vermitteln und die meisten Lernende haben Schwierigkeiten mit den Erläuterungen ihrer Lehrer. Damit sind zwei Probleme angesprochen: die Probleme der Lehrer bei der Vermittlung von Regeln die Probleme der Lernenden, wenn sie während des Unterrichts oder zu Hause ohne den Lehrer versuchen in ihren Materialien, Grammatikwerken die grammatischen Zusammenhänge zu verstehen oder nachzuvollziehen.Viele Lerner finden, dass die grammatische Erklärungen des Lehrers im Unterricht zu schnell, zuviel auf einmal, zu kompliziert und aufgeladen mit grammatischen Begriffen sind. Also, didaktische Handeln sind zu überblicken und liebgewordene Theorien über Bord zu werfen.

Wir stützen uns auf folgende Grammatiken: Helbig G. Buscha J. Kurze deutsche Grammatik für Ausländer.1997. Dreyer H. Schmitt R. Lehr-und Übungsbuch der deutschen Grammatik. 1995. Feodorova M.Deutsche Grammatik. 1994.. Sessiaschvili T. Malinowsky. Lehrbuch der deutschen Sprache. 1989. Purzeladse V. Tabukaschvili. Praktische Grammatik der deutschen Sprache. 2001

Ich schlage ihnen einige Ausdrücke über die Grammatik:

-Wer niemals Deutsch studiert hat, kann sich keine Vorstellung machen, wie kompliziert die Grammatik dieser Sprache ist. Mark Twain.

-Die deutsche Grammatik des Deutschen speziel geniesst den Ruf, besonders schwierig zu sein.

--Die deutsche Grammatik gilt als sehr komplex und das nicht nur für diejenigen, die die deutsche Sprache als Fremdsprache erwerben wollen.

-Die Grammatik unentbehrlich für richtiges Deutsch

-Grammatik- ein kleiner Schritt für einen menschen, aber ein grosser Schritt für die Menschheit.

-Sie können Deutsch, verstehen anderen und auch sind von anderen verstanden, sie brauchen dennoch fundierte Grammatik.und viele andere/

Wieviel Grammatik braucht der Mensch und welche?-mehr als bisher und differenzierter als bischer? Antwort: Man weiss nicht, wieviel Grammatik notwendig ist.

Was versteht man unter dem Begriff Grammatik?

Nach dem Helbig: die deutsche Grammatik kommt vielen komplizierter vor des die englischen. Das Thema Grammatik im Fremdsprachenunterricht ist kein Modethema, aber im Alltag des Fremdsprachlehre ist das Thema immer präsent.

In diesem Vortrag geht es nicht um Unterricht, es geht um die Darstellung theoretischer Modelle. In unserem Deutschunterricht haben wir unter anderem mit Grammatik zu tun. Was meinen wir mit dem Begriff „Grammatik“ eigentlich, in welchem Sinne verwenden wir und die Studierende meistens den Begriff „Grammatik“. Helbig(1981) unterscheidet bei der Verwendung des Begriffs Grammatik drei verschiedene Bedeutungen. Er spricht von einer Grammatik A, B, C.

Grammatik A meint hier das komplexe Regelsystem einer Sprache, unabhängig von dessen Benennung oder Beschreibung durch die Sprachwissenschaft. Das bedeutet: die Grammatik einer Sprache , Regelsystem existiert auch ohne die Linguisten, unabhängig von seiner wissenschaftlichen Beschreibung.

Die sprachwissenschaftliche Beschreibung des Regelsystems, sein Abbild durch die Sprachwissenschaft, wird als Grammatik B bezeichnet. Grammatik B meint hier ein Modell, ein sprachwissenschaftliches Bezeichnungssystem. Die Sprachwissenschaft hat von unterschiedlichen Ausgangsfragen her eine Reihe verschiedener Beschreibungsmodelle entwickelt. Einig dieser Modelle sind auch im Fremdsprachenlehrwerken verwendet werden.

Grammatik C meint das Regelsystem, das sich Sprachlerner im Sprachunterricht systematisch aneignen oder ohne Sprachunterricht unsystematisch erwerben. Die Definition meint die Grammatik im Kopf,. soweit diese wichtige Unterscheidung.

Bei der Grammatik B unterscheidet Helbig noch etwas genauer. er fragt hier, zu welchen Zweck die Beschreibung von Regeln und Strukturen dient. Die Grammatik B ist zunächst eine Sprachb- eschreibunng zu sprachwissenschaftlichen Zwecken- eine linguistische Ghrammatik also. Diese Grammatik bezeichnet er als Grammatik

B1, wenn grammatischen Regeln und Strukturen zum Zweck des Sprachlernens in Lehrbüchern dargestellt werden, spricht **Helbig** von einer Grammatik **B2,** von einer didaktischen oder pädagogischen Grammatik. Diese Begriffe werden in der Grammatik oft Synonym gebraucht. Dort finden wir auch manchmal den Begriff **Lerner-Grammatik** für die Grammatik B2 ./Schema/

Eine Grammatik für Sprachwissenschaftler im Unterricht praktisch nicht zu verwenden ist. Im Unterrichtsalltag ist nicht üblich, dass eine Grammatik zum Unterrichtsgegenstand gemacht wird. Es hat sich in der Praxis gezeigt, dass die meisten Lehrer zwar ab und zu eine linguistische Grammatik zur Hand nehmen, um grammatischen Problemen auf Grund zu gehen. Im Alltag jedoch überwiegt der Umgang mit lernerorientierter/ pädagogischen Grammatiken, die auch für den Unterricht viel besser nutzbar gemacht werden können.

Es sei erwähnt, dass es im Fremdsprachenunterricht und –lehrwerken eine Reihe von den verschiedenen Beschreibungsmodellen verwendet werden, wichtig ist zu bestimmen zu welchem Zweck solch eine Beschreibung von Regeln und Strukturen dient.....In Frage kommt , ob man

mehr Klarheit über das Satzgefüge der deutschen Sprache bekommen möchte?

Ehe wir uns mit dem Charakteristika der Satzgefüge Typen befassen, geben wir den Lernenden eine vollständige Information darüber, was **man unter dem Begriff das Satzgefüge** verstehen soll?

Unter dem Begriff das Satzgefüge / die Hypotaxe ist die Verbindung eines übergeordneten Satzes-Hauptsatzes mit einen oder mehreren syntaktiscnh gleich/ungleichwertigen Nebensätzen zu verstehen. Es ist die Verknüpfung mehrerer Nebensätze zu einem Satzganzen, in dem jeder Nebensatz als ein Satzglied des übergeordneten Satzes dient? Kleines Wörterbuch sprachwissenschaftlicher Termini Leipzig. 1978. Verbindung syntaktisch ungleichwefrtiger Teile, Unterordnung-Grosses Fremdwörtrbuch.Leipzig 1978/

Der Hauptsatz enthält den Hauptteil der Aussage, **d**er Hauptsatz wird durch die Nebensätze erweitert, d ie Nebensätze erfüllen die Funktion eines Satzgliedes, die Nebensätze existieren ohne Hauptsätze nicht, die Nebensätze und Hauptsätze bilden ein Ganzes, Zwischen den Haupt – und Nebensätzen bestehen gegenseitige semantisch-grammatische Beziehungen.

Charakterisierung der Nebensätze im Satzgefüge:1. nach der Stellung: Vordersätze oder Stirnsätze, Kernsätze, Nachsätze, Zwischensätze. **2.nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz:Konjunktionale Nebensätze** eingeleitet durch unterordnenden Konjunktionen: als, wenn, weil, da, dass, ehe, bevor, bis, sobald, ob, trotzdem, falls, obwohl, obgleich u. a.z.B. Uns ist bekannt, **dass** aus unserem Tierpark ein Elefant entlaufen ist. (Chr. Hirte).

Relative Nebensätze-eingeleitet durch **Relativpronomen**:der, die, das, welcher, welche, welches, wer, was oder z.B. Die Leute, die da herumstanden, hielten mich für einen vom Bereitsschaftsdienst…(Chr. Hirte)

Relativadverbien: wo, worin, woran, wofür, womit, worüber, wodurch, woraus, u. a.

z.B. Zornig eilte er in dieGrotte des Königs der der Winde, wo er die wilden Windemit strengen befehl gebunden hielt. (B. Garstense)

Konjunktionslose, asynthetische Nebensätze ausgeführt ohne irgendwelche Bindemittel

z. B. Einige protestantischen Herren erscheinen und verkündeten, der Admiral Colyng sei im Hause, er steigte die Treppe, er nahe, er sei angelangt. (H. Mann)

Konjunktionslose, asynthetische Nebensätze ausgeführt ohne irgendwelche Bindemittel

z. B. Einige protestantischen Herren erscheinen und verkündeten, der Admiral Colyng sei im Hause, er steigte die Treppe, er nahe, er sei angelangt. (H. Mann)

Da die Nebesätze im Satzgefüge eine bestimmte syntaktische Funktion erfüllen, werden sie ihrer Funktion entsprechend genannt:

3. nach der suntaktischen Funktion der Nebensätze im Satzgefüge

1.Subjektsatz,Gegenstandsatz.2.Prädikativsatz,Prädikativergänzung.3.Objektsatz,Ergänzungssatz.4.Attributsatz, Beifügesat.5.Lokalsatz, Umstandsatz des Ortes.6. Temporalsatz, Zeitsatzt, Umstandsatz der Zeit. 7. Kausalsatz, Begründungssatz.8. Modalsatz, Adverbialsatz der Art und Weise. 9. Komparativsatz, Vergleichsatz.10. Konsekutivsatz,Folgesatz.11.Finalsatz, Finalbestimmung. 12. Konditionalsatz,Bedingungssatz. 13. Konzessivsatz, Konzessivbestimmung. 14. Restriktivsatz, Einschränkungssatz

4.nach dem Grad ihrer Verbindung mit dem Hauptsatz nterscheidet man die Nebensätze des ersten, zweiten, dritten, vierten und so weiter Grades/ Ranges oder der Stufe .

z.B. Es kam ihr immer wie ein Märchen vor, dass sie, ein uneheliches Kind nur in solche Häuser gehen durfte, in denen die gebildeten Menschen sassen, die sicher nie etwas erfahren hatten von all dem Schmutz, denn sie so genau hatte kennenlernen müssen. (H. Fallada)

Korrelate als Verstärkungsmittel der Verbindung der Hauptsätze mit den Nebensätzen, ihrer Wechselbeziehung und gegenseitigen Abhängigkeit, Aufeinanderbezogenheit

Als **Korrelate** werden verwendet:**Pronominaladverbien**;daran, darauf, dafür, damit.

Demonstrativpronomen: der, die, das, derjenige, diejenige, dasjenige, selber, dermassen u. a.

lokale Adverbien:da, hier, dort, dorthin, oben, unten, nirgends, überal, außen, vorwärts u.a.

temporale Adverbien: jetzt, erst, damals, bald u.a.**Partikel**: **zu, so, es, desto.**

Konjunktionen:deshalb, deswegen, daran, dann

Man soll achten auf : die richtige Wortfolge im Satzgefüge, die fehlerfreie Position des Prädikats, Verbs im Satzgefüge , die erste Position- dreiteiliges Prädikats bei dem Hauptsatz vorangestellten konjunktionalen Nebensatz, die Endstellung-in den konjunktionalen,relativen Nebensätzen, nach den reflexiven Verben im Nebensatz

Strukturell-semantische Besonderheiten der Satzgefüge:

Die Strukturell**-semantische Besonderheiten** der Satzgefüge sind als zahlreiche semantische Modelle dargestellt. z.B. Subjektsätze sind durch elf, Objektsätze durch vier, Prädikatsätze durch fünf, Attributsätze durch sechs gegeben u. a.

In modernen **Grammatikdarstellungen gibt es oft Verstehenschwierigkeiten**. Lerner, die selbst etwas einordnen wollen, haben grosse Schwierigkeiten. Die Benutzung einer Lehrwerkunabhängige Grammatik muss gelernt werden. Zumindest müssen die Lerner den Aufbau einer Grammatik kennenlernen, d.h. sie sollen die verschiedenen Verzeichnisse nutzen können und mit den Untergliederungen arbeiten können. das ist nicht immer ganz einfach, wie sie gleich an sich selbst überprüfen können. Das Verständnis für die Sprache und die Systematik eines Nachschlagewerks kann jedoch im Unterricht systematisch geübt werden. Die Lerner sollen mit grammatischen Begriffen vertraut sein, sollen in der Lage sein , die wichtigsten Begriffe beim Nachschlagen in einer Grammatik zu erkennen zu verstehen, Grammatik selbstständing zu benutzen. Für den Lehrer bedeutet dies im Unterricht eine grosse Erleichterung, da er auf die Kenntnisse der Lerner dann aufbauen und zurückgreifen kann.. Wir sollen die Eignung einer Grammatik für uns selbst und Studenten feststellen.

Der Lehrer soll einige **Anregungen von Grammatiken** im Unterricht geben: Gebrauch des Lexikons im Unterricht lernen. dazu braucht man Übungen und auch einschätzen können , welche Grammatik mehr und welche Grammatik weniger Probleme für Lerner bereitet. Alle Grammatiken haben Vor- und Nachteile, wichtig ist, dass die Lerner mit ihrer Grammatik umgehen können. das Nachschlagen in einer Grammatik üben. der Lehrer soll mit ihrer Grammatik umgehen können. Verschiedene Probleme solche und ähnliche gibt es praktisch mehr oder weniger im Umgang mit jeder Grammatik. z.B. unübersichtliche Regelldarstellungen, schwierige Regelbeschreibung, zu abstrakte Srache, zu viele Fremdwörter, zu abstrakte Symbole, zu viele Deteils bei einer Regel, zu wenige Beispiele, zu uninteressant. Aus diesen Gründen ist es wichtig, nicht vorauszusetzen, dass die Lernenden selbstständig mit einer Grammatik arbeiten können.

Unterrichtsvorschläge: Lernende entdecken Regeln selbst. Um den Lernern das Arbeiten mit Grammatikregeln zu erlauben, können sie im Unterricht üben, sprachlich Gesetzmässigkeiten selbstständig zu erkennen. Die Lerner sollen zunächst allein die vorhandenen formalen Gemeinsamkeiten und Unterschiede sehen lernen, eine **Arbeitseinweisung, Übungsvorschläge, Lerntips** im Unterricht geben:

-beim Vergleichen sollen die Lerner Ähnlichkeiten herausfinden, die z.B.im Satzbau oder in der Ähnlichkeit oder Gleichheit ganzer Wörter oder Ausdrücke liegen.

Über eine solche Grammatik für Sprachlernzwecke sagt man: „Ihr letztes Ziel ist es, sich selbst überfüssig zu machen; dieses Ziel ist dann erreicht, wenn Fremsprachen lerner/innen die Fremdsprache rezeptiv wie produktiv frei beherrschen, ohne die „Krücke „ Grammatik.“(Helbig)

Was ist es an Innovationes an diesen Grammatiken und Modellen?

Vorallerdings ist das für einen bestimnmten Lernkreis, für Georgier/Adressantenkreis /bestimmt, berücksichtigt besondere Bedürfnisse bestimmter Lerngruppe, Anordnung der Information,

Spezifik der verwendeten Terminologie, Systematik des Materials,Aufbau der Grammatik, ein klar strukturierter Aufbau, Grammatikdarstellungen, Beispiele , Erklärungen, Progression nach dem didaktischen Prinzip: von einfachen zum kompliziertesten: was kommt zuerst, was kommt danach,

Anwendung verwendeter Terminologie, Regeln als Lernhilfe, die Vermittlung der Grammatik,

Anleitungen zur Übersetzung, Übungsvorschläge für den Unterricht, Übungsanweisung an die

Studirenden u. a.

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელისა — **გერმანული ენის ფილოლოგი**

პოეზიის უკიდეგანო სივრცეში

სამყარო ურთულესი ამოცანაა. მაგრამ ყველაფრის ამოხსნაა შესაძლებელი. ამ ურთულეს მდგომარეობაშია მოქცეული ადამიანის სული და სხეული, რომელსაც სამყაროსმიერი მძიმე მდგომარეობის განტვირთვის მისია აქვს დავალებული და გამორჩეულ ადამიანებად გვევლინებიან. ისინი გვაოცებენ, გვეამაყებიან. სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას გვჩუქნიან. ღრმად გვაფიქრებენ თავიანთი საოცარი სიცოცხლით და ისეთ მადლს აფრქვევენ, სამყაროს ამ ურთულესი ამოცანის ამოხსნამდე მივყავართ. ასეთ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება პოეტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი თავიდან პოეტი ტრაგიკული ბედით გავიცანი და თითქოს სამყარო ჩემ თვალწინ ჩამოინგრა, როცა გავიგე, ამოდენა ტკივილების დამტევი ქალბატონი არსებობდა. საშინელი ტკივილი შემოვიდა სულში. ვხედავდი საყვარელ საფლავებს შორის თვალცრემლიან მოსიარულეს — მამა, დედა, ძმები, ქმარი, შვილი, ვაიმე... რამდენს გაუძლოს ერთმა გულმა... ძლიერები უძლებენ, მაგრამ თუ მარტო სიტყვებით ვილაპარაკებთ, ძლიერებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ვერავინ გაუძლებს, რომ არ იყოს დატვირთვასთან ერთად დამტვირთველის ტვირთში თანაზიარობა.

„რა დროს ლექსიაო“, ათრთოლებული თითებით დავიწყე ქალბატონი გულნაზის ლექსების წიგნის ფურცვლა, როგორც მისმა ერთერთმა გულდათუთქულმა ჭირისუფალმა. რუსთაველის საქართველოში ძნელია ლექსით ვინმე გააკვირვო. მაგრამ სხვაა ხმა ლექსისა და დანიშნულება პოეტისა. მართლაც, გაოცებული, ლექსებით მოხუბლული. გამხნევებული და ახალი ცოდნით აღჭურვილი გავხდი, როცა პოეტ გულნაზის პოეზიას გავეცანი. ჩემს წინ დანგრეული სამყაროს ამოხსნა და აღდგენა დავიწყე. ძნელია, მაგრამ სამყარო ისეთი უნდა მიიღო, როგორიცაა. დავიწყოთ ნამდვილთა, მართალთა ფენომენით. ვუსმინოთ ნამდვილებს, საზოგადოების ყველა სფეროში, რადგან ისინი დიდ ცოდნას გვაძლევენ, სხვა განზომილებაში გადავყავართ და საკუთარ ფესვებზე მყარად გვამაგრებენ, ასეთნაირთა ლექსის ხმა პირდაპირ მოდის ზეციდან და ისიც გათვლილია, ვინ უნდა მეტყველებდეს ამ ხმაზე. მანამდე კი იმხელა ტკივილი უნდა გაიაროს, რომ გახსნილი გონებით ერთმა ათასები ღრმად დააფიქროს სიცოცხლის არსზე, განწმენდაზე. მარადიული გზის ძიებაზე. ყოფნა-არყოფნის ურთულეს კანონებზე.

დავიწყოთ აკროსტიხით — ლექსის წერის ეს ურთულესი ტექნიკა გონების ღრმად დაძაბვას, რითმებისა და სიტყვების ძებნას, დიდ დროს უნდა მოითხოვდეს. მუზა კი ამოუცნობი საიდუმლოებაა, სწრაფმავალია, მიდის და მოდის. უნდა მოასწრო, მას ვერ აიძულებ... და შევხედოთ, როგორ უწყვეტად, წყაროს წყალივით მოედინება აკროსტიხით ლექსები. პოეტს ამოსუნთქვისთვისაც არ სცალია. ყველაფერი მზამზარეული მიეწოდება, მარჯვე ხელია ოღონდ საჭირო, რომ სიბრძნე არ დაიკარგოს და ისიც გვაოცებს ზენაარის მადლით. იწყებ ჩვეულებრივი გრძნობით, და ამთავრებ არაჩვეულებრივი გაოცებით. როგორ მოგროვდა ამდენი სიტყვა, რითმა შესაფერისი და შესატყვისი. ჰარმონიაა ცისა და მიწის. რჩეულებს ეწოდებათ საზრდო მრავალთა დასაპურებლად. ასეთი რთული ტექნიკით წერა დიდი სიამოვნებაც გამხდარა პო-

ეტისათვის, რათა აკროსტიხით გამოგვაფხიზლოს. ღვთიური და ადამიანური ერთ ჭრილში დაგვანახოს და მიუხედავად წუთისოფლის ასეთი გნიასისა, განღმრთობისკენ მოგვიწოდოს. მეუფისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს — „სიკვდილი მოვკალ... მეუფეო შენი იმედით... მერე ნერგები გავახარე სულის არეში საკურთხეველთან ჩემი ფეხით, რწმენით მივედი. აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში. არის სულის შემძვრელი ტკივილი, მაგრამ არის ღაღადისი გულის სიღრმეებიდან წამოსული, რომელსაც ვერაფერი აკავებს აღთქმულ ქვეყნებამდე, რადგან პოეტი ღვთისგანაა დავალებული და მსხვერპლს სწირავს, რომ გულგაქვავებულებს ცრემლი მოადინოს, მადლი აპოვნინოს ღვთის თვალში. როდის მოგირჩება გული სამშობლო?!. იქნებ უხმობდით თქვენს ახლობლებს, ჩვენო ბიჭებო რამდენჯერ მიწას მოპოტნიდით გამწამებული... ჩაწყდი სამარხო, ქვა და რიყევ, ეკალ-ჭინჭრებო, ერთი კი არა დღეს შვიდით ვართ გამწარებული.

გარდაცვალების საიდუმლოება. გარდაცვლილ სულთა მსოფლმხედველობა მათი უხილავი კავშირი და მქადაგებლობა ჩვენს თვალდანახულ სამყაროში ერთი მთავარი თემაა პოეტის შემოქმედებაში, რომ აზროვნებისკენ მოუწოდოს საქართველოს გაბრწყინების მომლოდინე ერს. თერთმეტჯერ დანით დარტყმული, სადისტურად მოკლული მერაბის იმღამინდელი ამბის ლექსად გადმოცემული ამბავი დიდი იმედია გამწარებული დედისადმი. გაფრთხილება, ბოროტმოქმედთა ჭეშმარიტ ცხოვრებაზე დაფიქრება ყოველი მოკვდავისა, რომ ყოველ ნაბიჯზე სიკეთეს უნდა თესავდე, რადგან წუთისოფლის მხოლოდ სტუმრები ვართ და სიკეთის კეთება გაგვიხსნის სახლის კარს, რომლიდანაც პირველი ცოდვის ჩადენისთანავე გამოგვაძევებს და ყოველნაირი მანქანებით ვეძებთ თავშესაფარს ამ ცხოვრებით უკმაყოფილონი. მერაბი კი სამოთხის კარის გასაღებს გვაძლევს ხელში თუ ბოროტების ჩამდენის მიმართ სიბრალული გვექნება. — ერთს ვნატრობ მხოლოდ, ვევედრები დედას და ჩემს შვილს ნატანჯი ვარ და კიდევ უფრო არ დამაღონონ სევდით ნუ ივლით დაამძიმებთ ისევე ჩემს სულს სიტყვით აუგი მკვლელის დედას არ გააგონოთ შვილს კი კაცური ნაბიჯითა და სიყვარულით ცხოვრებას უქადაგებს „ია იები გაამრავლე საფლავის ირგვლივ, საუკუნეებს გაუძელი, წიე ჭაპანი არ დამეჩაგრო და გადადგი უშიშრად ბიჯგი კაცურ ნაბიჯით ამოკაფე გზა ეკლიანი უფაქიზესი დედაში კი შენიშნე მწუხრი თავნება არა უნდა იყო შვილო ჭკვიანი, არ დაგენანოს მიაწოდე მათხოვარს პური, საიდან იცის ეს მერაბმა, განა მართლა პოეტმა აჩუქა მას სამოთხე? მან თავად შეაღო სამოთხის კარი და პოეტის ბაგეებით გველაპარაკება.

პოეზიის უკიდეგანო სივრცეში პოეტ ქალბატონს ნამდვილი ვუწოდე და ამ კუთხით მინდა მის შემოქმედებაში პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე ვილაპარაკო. პოეტი იზიარებს ერის ყველა ტკივილს და ათასჯერ დანაღმული გული ტკივილების ოკეანედ უქცევია. იქ ზის, სადაც ქარიშხალია. ამიტომაა, რომ მრავალგზის ნატანჯი სული და გული უფრო სრულყოფილად შეიგრძნობს ტანჯვასა და ნეტარებას. მოურჩენელი ტკივილია სამშობლო, დაკარგული მიწები, ნიჭიერი პოეტი ისეთი ლამაზი სიტყვებით, რითმებით კინძავს ქვეყნის ტრაგიკულ მოვლენებს. ტკივილის სიმძიმესთან ერთად გეუფლება სიამოვნების განცდა ასეთი მაღალმხატვრული ხერხებით რომ არის აღწერილი სინამდვილე „აფხაზეთის ომის ცეცხლი ვნახე, სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა იქ კვლავ ცივა ქარი ჭადრებს არხევს კვლავ ბატონობს ყაჩაღური ძარცვა სუსხს აფრქვევდა მარტოსული მთები ვიხანჯლავდით ამ ტკივილებს გულთან, ქართველების მოჭრილს თავებს მტრები სტადიონზე აგორებდნენ ბურთად. მართლმადიდებლური რწმენით ნასაზრდოებს ღრმად სჯერა ეკლესიის ძლიერებისა, რომ ლოცვითაა შესაძლებელი ყოველივე და აფხაზეთიც ღმერთის კურთხევით დაგვიბრუნდება — „ჩემი ბუნების სუფთა ჰაერით, მამულში ისევ გაზაფხულდება, დაირეკება საყდრის კარები, და აფხაზეთიც დაგვიბრუნდება". გულის გულამდე აღწევს პოეტის ლექსის სტრიქონები. წერს ყველასათვის გასაგები ენით. მისთვის არ არსებობს ცნობილი სახეების გამორჩევა პოეტისთვის ყველა ცნობილია, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისათვის ერთი აგური დაუდევს. პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში მოხვედრა საკუთარი თავის ახლებურად დანახვაა, სიამაყე, ადამიანის ღირსების შეცნობა, სიკეთისა და სიყვარულის მოძღვავებაა. პოეტისთვის მტრისადმი მტრობა მიუღებელია. სიყვარულის პოეტს ერთი აუგიც არავისზე არ დასცდება. ლექსში „აღარ გამოჩნდა – გულწრფელად ამბობს: „ნაგვემ-ნატანჯი დავიარები, საბნად მახურავს თოვლის ფიფქია, აღარ გამოჩნდა გულში დარეხი. ვინმეს აუგი?.. არც მიფიქრია... ყველას დაძმურად, დედაშვილურად ეფერება, ყველა მისი შვილი და მეგობარია. ზღვარის ბიჭებო, როგორ ეამაყება და ეიმედება პოეტს თქვენი სიყვარული „ხან ქარიშხალობთ ხან სანთელს ანთებთ, ამ სიყვარულით ერს გადაარჩენთ". ტკივილებში გამოწრთობილი გული სხვათა სიხარულით ხარობს, გულს აძლევს თავის მკითხველებს და ბედნიერია თუ სხვას მხიარულს

დაიგულებს. გულის სისავსისამებრ მეტყველებს პოეტის ენა როცა ამბობს: „გულს მოცემთ და... წვიმის დროსაც შეგიფარებთ, ულამაზეს ვარდს გაჩუქებთ გაზაფხულზე, ლოცვით იმედს ტანზე საბნად დაგაფარებთ, ი-ებს დავრგავ წინაპართა ნაფეხურზე. ლექსებში ეძებს პოეტი ძალას, რომ ლექსით მიეშველოს მრავალტანჯულ ქვეყანას „... გადმომაბარდნე სიკეთის თესვა მუზის მადლი და სურვილი წერის, იქნებ ისეთი სიტყვები მეთქვას, მოყვარედ მექცეს სამშობლოს მტერი.

ქართველი ქალის კლდემამოსილება, პატიოსნება, სინაზე, მამულიშვილობა ჭკუა-გონება მუდამ აოცებდა მსოფლიოს. სწორედ ქალბატონ გულნაზისნაირი ქლბატონები უქმნიდნენ იმიჯს ქართველთა ქვეყანას უცხოთა თვალში. ოჯახის სიმტკიცე, სიყვარული და პატივისცემა უფლის ტახტამდე რომ მიჰქონდათ შეუბილწავად, აი, სახე ქართველი ქალისა, ორ მოჩხუბარ მამაკაცს შორის მანდილის ჩაგდებით უსიტყვოდ მშვიდობა რომ ისადგურებდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულთა შორის. აი, სიტყვები, რომელიც მას ეკუთვნის, ვინც, რომ მისი ღირსია — ლექსში პატივს ვცემ „პატივს ვცემ ყველას, ვისი გულიც ერთს თუ ეკუთვნის, ფარჩა დათმო და წამოუსხამს ნაკემსი შალი... სპეტაკი არის — ისე, როგორც ცივი თეთნულდი, სხვები არ ვიცი... ასეთია პოეტი ქალი. მუდამ მონატრებულ მეუღლეს კი ზეცაში ესმის დაობლებული მეწყვილეს გლოვა-გალობა: „ისევ შენ გელი... უნდა მოხვიდე. ყური დამიდგო და მომისმინო გაყინულ ხელზე, ხელი მოგკიდე, გითხარ, ტკივილი როგორ ვითმინო. ...არ დამიჯერო, ყველაფერს გეტყვი ფიქრს ვანდობ კალამს, თან მეტირება... ღამის სიზმრებში უჩუმრად გეტრფი... დღისით კი გული გაგეტირება...

კითხულობ პოეტის ლექსებს და სათქმელი არ ილევა. თითოეული ლექსი ისეთ მადლს აფრქვევს, თითქოს სუნთქვა გემსის, როგორც სულიერისა, როგორც ეს ლექსები კითხვის დროს სადღაც სხვა სამყაროში გაგიტაცებენ და ის დიდი ტრაგედიაა, სულისშემძვრელი ტკივილები რაც ლექსებშია, გგონია, რომ ბუნებრივი მდგომარეობაა ეს ყველაფერი დროებითია, კაცობრიობის გამოსაცდელად საფეხურია ზემოთ და ზემოთ. რაც უფრო ღრმად სულიერი ხარ, გოლგოთაც მძიმეა შენი. რაც მეტად უყვარხარ ღმერთს, ტვირთიც მეტი გხვდება უფლისმიერი. ქალბატონი გულნაზის პოეზიით და პოეტის გამორჩეული ყოფაცხოვრებით სამყაროს ხსნი, რომ ტანჯვითა და განსაცდელების გზითაა შესაძლებელი მარადიული ფასეულობების მოპოვება, ნეტარებაც ტანჯვის შემდეგ მიიღწევა. ამაღლდი საკუთარ თავზე მეტად და ხედავ ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც როგორ სჭირდება შენი თანადგომა. ამიტომ მოსვენების უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს. არ ჩერდები, მიდიხარ ტანჯვაში, წამებაში, მარტოობაში. მიდიხარ ძალმოსილი, უშიშარი და გაბედულად, ხმამაღლა ამბობ, რომ მიმბაძველებიც გამოგიჩნდნენ.

მინდა პლანეტა განვაცვიფრო ჩემი გონებით, გავინავარდო ვარსკვლავებში, მსურს მივწვდე ცასაც, ვთესო სიკეთე, დავარიგო მილიონები, თუ მტერს დასჭირდა გავუწოდო მცირედი მასაც...

ქალბატონო გულნაზ, თქვენს ლექსებზე სათქმელი არ ილევა, გმადლობთ ამხელა სინათლეს რომ გვაზიარეთ. გმადლობთ, რომ თქვენი სიბრძნით ჭირთათმენა გვასწავლეთ, თქვენი ლექსებით ცხოვრებას გვასწავლით. დიდხანს სიცოცხლეს და ცათა მოქალაქეობას გისურვებთ. მრავალი მოხიბლულიყოს თქვენი ნამდვილი ქართველი ქალობით, თქვენი პოეზიით. მრავალს ამოეცნოს თქვენი სულის სიღრმეები და წრფელი გულისნადები.

ისევ გინატრე ყვავილობისას

(პოეტ ბეჟან ხარაიშვილის 60 წლისადმი)

ბეჟან ხარაიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტია იმ ცნობილ ქართველპოეტთა შორის, რომლებმაც ადრე დატოვეს ეს ცოდვილი წუთისოფელი, მაგრამ გვასაზრდოვებენ ისეთი ნიჭით აღსავსე და სიყვარულით გაჟღენილი პოეზიით, რომელიც დიდხანს ეყოფა საგზლად ქართველ ერს.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსები მუდმივად აზროვნებენ მკითხველის ნაირფერად მორთულ გაზაფხულში. თუმცა გაზაფხული ზოგჯერ ისეთი აელვარებული არ ეჩვენება კაცს, ბავშვობაში: “ცა რომ მტერდისფერობდა, ტყე რომ ფერი-ფერობდა”. ატმის ყვავილს დაჟინებით შესცქერიან პოეტის უკვე ასაკოვანი მეგობრები, ეჭვის თვალით უყურებენ, ოსევ ისეა, “აფეთქებული” თუ ოდნავ ჭკნობის ელფერი გადაჰკრავს? ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება, ისევე, როგორც ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და სხვა მარადიულ სასუფეველში გადასულ

ახალგაზრდა ქართველ პოეტთა შემოქმედება, არ გვაძლევს უფლებას, გული დავიმძიმოთ ბუნების კანონზომიერი, აუცილებელი, უსიამოვნო მოვლენებით.

გასაოცარი, ამაღლებული ნათელით დაუკავშირა პოეტმა თავის შემოქმედებაში ორთავ სოფელი — დროებითი და მუდმივი. თითქოს მაინც ზებუნებრივად მონაწილეობს იმ სილამაზის შექმნაში, რასაც სიცოცხლე და ცხოვრება ჰქვია.

მისი ლექსები ლხინითა და იმედით ავსებენ ადამიანების გულებს."ყველაზე დიდი სასაფლაოა გული" — ამბობს პოეტი. მაგრამ იქვე გვმოძღვრავს და მოგვიწოდებს — "გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება."

მსოფლიოში აღიარებული პოეტებიც კი ვერ პოულობენ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის ასეთ ლამაზ გზას. ამიტომაც ეს ახალგაზრდა კაცი განსაკუთრებულად ამოირჩია თანამგზავრად ორთავ სოფელმა და სამუდამოდ ჩაიკრა გულში ნაღდი ქართული პოეზიის მოყვარულთა სულებში სიყვარულით ცოცხლობს ბეჟან ხარაიშვილი. ყოველი ცისკრის ამოსვლას მისი პოეტის იდუმალი სხივიც მოსდევს თითქოს და ის დღე დალოცვილია, ის დღე ჩვენია, — სრულიად საქართველოსი. სამშობლო მისთვის გამოიხატება სიტყვაში "ჩვენია". "ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება".

მხოლოდ უფალი განსჯის ადამიანის ცხოვრებაში ბედნიერებას და სიხარულს. ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება გვასწავლის, რომბედნიერებაც და სიხარულიც მოაქვს ადამიანთა შორის მართალ და ერთგულ ურთიერთობას. ეს უაღრესად ადამიანური ფასეულობები განსაზღვრავენ პოეტის ცხოვრების კრედოს.

მას სურს, რომ სამყაროში ყოველი დღე იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადამიანთა მეფური ურთიერთდამოკიდებულებით. თვით პოეტი და მისი შემოქმედება კი ემონება ყველას, რადგან სხვას მეტი სულიერი კეთილშობილება შესძინოს ამ ახალგაზრდა კაცის სიყვარული ქრისტესმიერია. ქრისტესმიერმა სიყვარულმა კი მანძილი არ იცის. მისი პოეზიაც თითქოს ჩვენი ტვირთის მტვირთველია, ჩვენი მსახურია. სწორედ ამიტომ ჩვენც, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს, ვისაც მტკივნეული გულის კარბი გაგვიღო, ქედს ვიხრით მისი მოღვაწეობის წინაშე. ის ხომ თვითოეულ ჩვენთაგანს თავისთავზე მაღლა აყენებს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს გვჭირდება, ბეჟანისეული გაგებით ადამიანი იმსახურებს იყოს ყოველთვის ამაღლებულ სულიერ მდგომარეობაში. პოეტისათვის ფასეული მხოლოდ სულიერი სიყვარული არსებობს. სპეტაკი, ჭეშმარიტი, საღმრთო მადლით მოსილი. "კოდის წყალთან... იწყებოდა სიყვარული" სწორედ ასეთი. განსხვავებით სხვა პოეტებისაგან, რომლებიც ხორციელი გრძნობების გამოვლენას არ გაურბიან, თავიანთ ლექსებში, გულწრფელობა და სანდოობა ლაიტმოტივად გასდევს ბეჟან ხარაიშვილის სატრფიალო სტრიქონებს

ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ორი სოფლის ურთიერთობის გზა გაუიოლა თითქოს. სულთა კავშირის შესახებ თეორიულ ახსნაში, მეტი სიცხადე შემოიტანა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

ბეჟან ხარაიშვილი შეგნებულად არ ცდილობს სიცოცხლის გზაზე შემხვედრი ბილიკების გაანალიზებას. ბილიკი ყველასთვის ერთია ნარ-ეკლიანი, ეკალბარდიანი, ქვაღორღიანი. შეგვახსენებს, რომ ნაკადულებთან მეგობრობაც წარმავალია: "ღელეებს შეუერთდებიანო ნაკადულები". "გულში ჩამეტკბობა პირველ ყოვლის." პოეტის შემოქმედება გვასწავლის, რომ ბუნების ქმნილებებიც ერთმანეთს ეძებენ. ჩვენც, ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვინდოდეს. ერთგულება და მორჩილება გვმართებს ერთმანეთისადმი. როგორ აღწერს პოეტი ბუნებას, ისე, როგორც სხვა არა! —"ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე". რა ტკბობა, მშვენება და ხიბლია ამ სტრიქონებში გადმოცემული. ეს განცდა უჩვეულო გრძნობას ბადებს, თითქოს ადამიანი და ბუნება შესისხლხორცებულია ერთმანეთთან.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში სინანული ბედნიერების აუცილებელი კომპონენტია. ყოველი ადამიანი ცოდვილია, ამ წუთისოფელში სასიამოვნო მხოლოდ მოულოდნელობებია. ბედი ნაკლებად უღიმის წკვიანებს და ღირსეულთ. არავითარ ფიზიკურ თუ სულიერ ნაკლს არ ეძებს ადამიანში და არც განიკითხავს მას.

დარდი პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თანამგზავრია. მისი შემოქმედება კი ადამიანებს დარდს უმსუბუქებს. გვაიმედებს, რომ მისი დაძლევა კაცს ძალუძს, თუ ის მართალია, ძლიერი სულის პატრონია.

პოეტი თავისი ლექსებით გვიმტკიცებს, რომ ძლიერი და უძლური სიყვარული არ არსებობს. სიყვარულს ერთი ძალა აქვს მხოლოდ — ის მარადიულია! —"მე იანვარში დავბადებულვარ და გაზაფხულზე მოვკვდები ლელავ". უიმედოდ არ ეძებს, ოღონდ იმედი რეზულტატის გარეშე არაფერია. "ახალი წელი კი დადგა, მაგრამ მე ძველებურად მეყვარები".

არიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობას წყვეტენ ერთმანეთთან და ეს ჭრილობად აჩნდება გულს. ზოგჯერ ეს ჭრილობა სასიკვდილოა. უნდა გვეშინოდეს ამგვარი ურთიერთობების, თუ ვთხოვთ უფალს "გაგვხადოს ამ ტანჯვის ღირსი"? (შექსპირი) — "ისევ გინატრე ყვავილობისას, თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო."

პოეტ ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება ქართული უკვადავი პოეზიის ის ღირსეული ნაწილია, რომელიც ასე გვხიბლავს და გვაიმედებს ამ ბედუკუღმართ საწთროში. "დიდი გადაიხადა მიწამ ძეობა". დედამიწა მისთვის დიდი დარბაზია, და ამ დარბაზში, ამაღლებულ ამბიონზე, აწყობს ქართული პოეზიის კდემამოსილი სულის აღზევებას. ამ დარბაზში შეჰყავს ადამიანები, ვის მიმართაც მისი სული მოკრძალებას გამოხატავს. სულიერების ამ დარბაზში ეპატიჟება სატრფოს. პოეტს კარგად ესმის, რომ პატიოსან სხეულში ბინადრობს მხოლოდ კეთილი სული, და რა კდემამოსილებით მიმართავს მას — "კოცნა? — არასდროს არ მითხოვია". იმიტომ, რომ "მას" — "ურთიერთს" დროსა და სივრცეში აღიქვამს, როგორც მხატვრულ ტილოს, ამაღლებულს, ღვთიურს. ქალისადმი სიყვარულს ასეთი ფორმით ვერ გამოხატავენ, კლასიკოსი მწერლები, თავიანთ ნაწარმოებებში, სადაც ხშირად ხორციელი სიყვარული მეტად არის წინა პლანზე წამოწეული, ვიდრე სულიერი.

სხვა პოეტებივით არ აბრმავებს ქალის სურნელი. საყვარელი ქალისათვის ერთგულებას დროის დაკარგვად არ თვლის. პოეტი თვითონ საიმედოა და სიყვარულს ენდობა სხვა პოეტები იშვიათად ენდობიან ამ ძალას.

ის ენდობა, რადგან არის სიმართლე ამ გრძნობაში, რომელიც იმედს უსახავს სულში. — "შენს თვალებში ციმციმებდა მახსოვს, უსაზღვრო ცა იმედებით სავსე". დროისა და სივრცის კავშირი დარღვეულია. პოეტის სიტყვას უნდა ღრმად გაგება და არა ფრაზას მათგან შემდგარს.

პოეტ ბეჟან ხარაიშვილს თავისი ძვირფასი მეგობრები პატიოსნება და ერთგულება ეხმარებიან მარგალიტებად აკინძოს სიტყვები. — "მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს, მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?"

მღელვარე იყო პოეტის ცხოვრება. დიდი საქმეები ჰქონდა განსაზღვრული. სიცოცხლის ტვირთი ხომ შრომით და ჯაფით უნდა ზიდოს მოკვდავმა. ადრე წავიდა ამ სოფლიდან. ღრმა სიბერემდე ვერ ზიდა ცრუ საწუთროს აბგა. მისი გარდაცვალება კი უფლის მიერ ბოძებულ საიდუმლოს მკვეთრად აცხადებს: — კეთილი სულები არ კვდებიან, ისინი მარადიულ სოფელში აგრძელებენ ცხოვრებას.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია შეგვახსენებს, რომ ამ ცხოვრებისგან გამათრახება არავის ასცდება! — "ამ ცხოვრებამ ხან დამძლია, ხან დავძლიე." — "შენ ორს ებრძვი მა და იმედს."

მისი პოეზია კი გვამხნევებს, იმედს გვაძლევს უფლისა და მისი სულის სადიდებლად.

სერგი ლომაძის წიგნის აღიარება
(„გზა მწვერვალისკენ")

დასაწყისში იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; (იოანეს სახარება). „სიტყვა თავაზიანი; აზრითაც თავაზიანი! ჟამთა მოყვასნო! ძონძისგან არჩვდე ძოწეულს! ბალამწარისგან — ბროწეულს! (პოეტი ავთანდილ ხარაიშვილი).

აზრის გამოსათქმელად მხოლოდ სიტყვა საკმარისი როდია, მას პოეტური ოსტატობა, შრომა, მონდომება და ადამიანის სულში ჩაწვდომა სჭირდება, სულში, რომელიც ხან ბობოქარია, ზღვასავით მღელვარე, ხან იასავით ნაზი, ფაქიზი და ლამაზი.

ბატონო სერგი, ჩემში შლეგის თთაბეჭდილებით შემოხვედი. აივაზოვსკის ნახატს მაგონებ. შედევრს — „მე-9ე ტალღას"! ნავს რომ ასკდება და ლამობს ჩაძიროს. შენც ასევე აბობოქრებულ ტალღასავით ეჯახები შენსავით ჯიქსა და მოუდრეკელ სამყაროს — ხელთუქმნელს, იდუმალს, შეუცნობელს.

აღმაფრთოვანებ! როგორ ძერწავ სიტყვისაგან გრძნობას, რომელსაც მხოლოდ ერთი სახელი აქვს — სიყვარული!

მაგრამ რას იტყვი იმედზე? როგორი ზეშთაგონებაა სიტყვისა საჭირო, რომ იმედგადაწურულს კვლავ ნაპერწკალი აუნთო სულში და ამ საწუთისოფლოში სიცოხცხლის გაგრძელების სურვილი ჩაუსახო.

შენ შეგიძლია კაცის, — მამაკაცის ბუნების და სულის ამოცნობა ისე, რომ არ შეცდე! მაგრამ ქალი?! ქალის სულში თარეშისას მგონი მისტიური მოდუნება გეუფლება, სულიერი ექსტაზიც. მოეშვები, ღრმად ჩაისუნთქავ და იწყებ ყველაზე ნაზი და ფაქიზი სულის სიმის ძებნას, რომელსაც ძალზედ ფრთხილად უნდა შეეხო. ქალი — პოეტი! შენი კარგად მესმის! ამ დროს უნდა გაირინდო. მოჩურჩულე ბრბოს ყური აარიდო, რადგან იცი, რომ ბრბო საინტერესო არ არის. „აღელვებულ ადამიანთა ბრბო, მხოლოდ მხატვრის მიერ შექმნილ შემოქმედებაში აისახება ლამაზად“ — ამბობს ერთი მეცნიერი.

რთულია, აღწერო კალმით პოეტი ქალის ცხოვრება და შემოქმედება. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ფიქრობდი დღისით თუ ღამით, ფიქრებიდან აზრები გადაგქონდა ქაღალდზე, ცდილობდი გაგემარტივებინა რთული კომპოზიცია და ხალხისათვის ადვილად გასაგები გაგეხადა სათქმელი. ყველაზე დიდ შრომას რთულის გამარტივება მოითხოვს. რადგან მიმზიდველობა სწორედ სირთულეშია, შენ გიჭირს მასთან განშორება! მაგრამ შორდები სირთულეს, რათა სხვას აღქმა შემოქმედებისა გაუმარტივო. — ამას კლასიკა ჰქვია! ზოგჯერ მგონია, რომ მიზანმიმართულად ეძებ სისუსტეებს ქალში! ეს ნაწილობრივ გამოსჭვივის შენს მიერ აღწერილ პოეტი ქალის პორტრეტში. გჯერა, რომ ქალი არ არსებობს სისუსტეების გარეშე. მოიშველიებ ვაჟას, გალაკტიონს, ბაირონს.

ამ ქალში სისუსტეს ვერ პოლობ! როგორ იპოვი, როცა სისუსტე არ არის ქალ-პოეტში! კარგად ვხვდები შენს სიჯიუტეს პოეტი ქალის ცხოვრების განხილვისას. ამბობ, რომ ეს ქალი არის — გამონაკლისი! ვკითხულობ, რა წიგნს — „გზა მწვერვალისაკენ“, ქვეცნობიერად ვგრძნობ, რომ ამ ქალის ცხოვრებაში იქნებოდა რაღაც სკანდალები, მაგრამ ის მხოლოდ ინდივიდს ეკუთვნის, და უპრეტენზიოდ უტოვებ მას.

ბატონო სერგი, შენს სიტყვაში ვგრძნობ სუნთქვას, — სუნთქვას, რომელიც გაჯერებულია ადამიანის სიყვარულით. ეს სიყვარული მომწონს შენში!

შენ ხარ მწერალი, რომელიც სულ წერს და წერს. მე კი მგონია, რომ სულ კითხულობ და კითხულობ. მადლიერების შეგრძნება ლაიტმოტივად გასდევს შენს ცხოვრებას და შემოქმედებას. მადლობას წირავ მცირედისთვისაც. ქება? — არ აქებ არც შენ თავს, და არც სხვას სჭირდება ქება, შენ მიერ აღიარებულს! გამჩნევ, რომ ბოდიშს არასდროს იხდი. ბოდიშს იხდიან მხოლოდ სიმკაცრისა და სისულელისთვის. ასეთი ბოდიშის მოხდა შენ არ გჭირდება — ბედნიერი ხარ!

არ აკრიტიკებ! — აანალიზებ! ოღონდ, არ ხარ მკურნალი! ეხები პოეტი ქალის სულს, და არ ცდილობ უმკურნალო მას. კარგად იცი, ის, რაც ქალს ეკუთვნის პირადად, მას ვერავინ შეეხება!

წარმომიდგენია შენი შინაგანი ბობოქარი განცდები, მამაკაცის მიერ შეთხზულ შემოქმედების განხილვისას. იქნები მკაცრი, მომთხოვნი, შედარებითი, ეჭვიანი...

და შენ, ასეთს, ზუსტი მამაკაცური თვისებებით აღჭურვილს, ცდილობ განაზოგადო პოეტი ქალის სული, სული ნამდვილი ქალისა!

მაოცებ! როგორ გესმის შენ — ძლიერს, ათლეტურს, ღონიერს, მიმზიდველ მამაკაცს ქალის სლის ტკივილი ისე, როგორც სხვას არა!

აკადემიური კრიტიკა და შემოქმედებითი ანალიზი ამ ბოლო დროს იშვიათობა გახდა. შენ ცდილობ მიგვაჩვიო სხვისი შემოქმედების პატივისცემას. გსურს შეგვაგნებინო, რომ ადამიანი ზედმეტი არასოდეს არ არის. ზედმეტი შეიძლება იყოს ნივთი, ავეჯი და სხვ., მაგრამ მტრისგანაც ხომ ვსწავლობთ! შენ გინდა თითეულ ჩვენთაგანში აღმოაჩინო ნიჭი უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლისა. გწამს, რომ ეს ნიჭი ღვთისგანაა ბოძებული — ადამიანურია!

ვერ ეგუები სიცრუეს, თამაშს. თუმც ძალიან კარგად გაქვს შეგნებული, რომ ცრუ წუთისოფელში ცხოვრობთ და ყველანი ტაკიმასხარები ვართ. გინდა თამაში, ნაღდი თამაში! არ გინდა დაიჯერო, რომ ეს უკვე არის! ამიტომ სხვანაირია შენი წერის მანერა და წესი. შენ არ ემორჩილები სხვის წესებს. შენ თვითონაც იქექები და დაბორიალებ შენი სულის და სხეულის არსში. ვერ ამოგიცვნია?!.

ზოგჯერ, წამიერად, შენი შემოქმედებით ერთი საუკუნით უკან გადაგვისვრი! ზოგჯერ კი ცხვირწინ გასრესილ საპოვნელას გვაპოვნინებ. ბატონო სერგი, — სწორი ხარ! ჯერ შენი მთავარი როლი არ გაქვს ნათამაშები. ყოველივე წინ არის!

მიზეზი, შენი ასეთი ჯიქური შემართებისა, ვფიქრობ, არის სურვილი — აღმოაჩინო, შეისწავლო, გააანალიზო და განაზოგადო სუსტი სქესი. გამოხატო მის მიმართ სიყვარული პატივისცემა და მუხლმოდრეკილი რაინდული თაყვანისცემა.

გასაგებია! ვიცი, ეს არის შენი ბედნიერება! მთელი ცხოვრება უნდა იყო ასეთი ბედნიერი! ამ ბედნიერებისათვის უნდა იცხოვრო ღრმა სიბერემდე, ბატონო სერგი!

სერგი, შენ დაწერე წიგნი პოეტი ქალი ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ნეტავ, თვითონ ცხოვრება როგორ წიგნს დაწერს შენზე?

ვინ იქნება შენი თანამგზავრი ან თანამგზავრები? ვინ აგყვება და დაგყვება ჰარმონიულად შენ — „მე-9 ტალღას!“ შეხეთქებულს გემბანზე!

„შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არანაყოფიანი, ვაიმე ცუდის ლაყბითა თუ სული დავაზიანო“ (თეიმურაზ I).

2013 წ.

ალი უსუფ გუსეინოვი

ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიული ფესვები

„მიყვარს შენი მთები და
ცად აწვდილი გორები,
შენ მადლიან მიწა წყალს
გულით ვეამბორები. „
სულეიმან რუსთმმა

საუკუნეების განმავლობაში გარდა პოლიტიკური ურთიერთობისა ქართველ ერს მჭიდრო კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა უწინარეს ყოვლისა კავკასიელ ხალხებთან.

თავად საქართველო კავკასიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო თბილისი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი.

ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, ყაბარდოელები და ა.შ ბევრი მათგანი კარგად ფლობდა ქართულ ენას, იცნობდა მის კულტურას და მეგობრობდა ქართველ მოღვაწეებთან. მათი ნანილი თავის მშობლიურ ენასთან ერთად ქართულ ენაზეც კი ქმნიდა შედევრებს.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ქართველ და საქართველოში, თუ მის საზღვარ გარეთ მაცხოვრებელ ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა კულტურულ თუ ლიტერატურულ ურთიერთობას. რამეთუ ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს არა მარტო ერთად ცხოვრება არგუნა ბედმა, არამედ მათ მუდამ საერთო ქონდათ სიხარულიცა და განსაცდელიც, ჭირიც თუ ლხინიც. სწორედ ასეთმა კავშირმა განაპირობა მათი მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული თუ ლიტერატურული ურთიერთობა.

მათ ურთიერთობას არა ერთმა მკვლევარმა მიუძღვნა მათი გამოკვლევები, მაგრამ 1990-იანი წლებიდან ქართელ ხალხს და საქართელოში მაცხოვრებელ აზერბაიჯანელებს იმდენი უბედურება დაატყდათ თავს, რომ ნაკლები ყურადღევა ექცეოდა ასეთ ურთიერთობებს. ჩვენ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ რომ დღეს ქართველი ახალგაზრდობა, ასევე საქართველოში მაცხოვრებელი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა ძლიერ ბუნდოვნად ერკვევა ამ ურთიერთობის საკითხებში, სწორედ ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა ამ ორი ერის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიულ ფესვების შესწავლასა და აწმყოს.

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობა, მათი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა საუკუნეთა წიაღში ჩაისახა. ისინი ხმალშემართულნი ერთად ებრძოდნენ საერთო მტრებს.

ვიმეორებთ, ტერიტორიულმა სიახლოვემ, გარეშე მტრეთან მრავალწლიანმა ომმა შეადუღაბა ამ ორი ერის კავშირი და მეგობრობა.

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საქართველოსა და შირვანს შორის შეიკრა სამხედრო კავშირი თურქ სელჩუკთა წინააღმდეგ. ისტორიული ფაქტი ცხადყოფს რომ 1123 წელს თურქმა სულთანმა მაჰმუდმა

შირვანზე ილაშქრა, ქალაქი შამახი აიღო, მისი მმართველი მანუჩოჰრ II ტყვედ აიყვანა, დავითმა სასწრაფოდ შეკრიბა ქართველთა ლაშქარი და მტერს მუსრი გაავლო. ორი ერის კავშირი დინასტიურმა ურთიერთობამ კიდევ უფრო გააღრმავა. მანუჩოჰრ II-მ დავით მეფის ქალიშვილზე იქორწინა.

საყოველთაოდ ცნობილია , რომ დავით აღმაშენებელი რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა რჯულშემწყნარებლობის პრინციპს, იგი ყოველნაირად ხელს უწყობდა, მატერიალურად ეხმარებოდა სხვა რელიგიის მორწმუნეებს. პატივს სცემდა მათ მეცნიერებს, კულტურისა და ლიტერეატურის თვალსაჩინო მოღვაწეებს.

ქართულ ენას ფლობდნენ და ქართული მასალებით სარგებლობდნენ აზრბაიჯანელი პოეტებისა და მწერლების დიდი ნაწილი. ასევე ქართულ ენაზე ითარგმნებოდა მათი ნაწარმოებები. არანაკლები ინტერესით ეკიდებოდნენ ქართველი კულტურის მოღვაწენი. ისინი სწავლობდნენ და ქართულად თარგმნიდნენ აზერბაიჯანული ლიტერატურისა და პოეზიის შედევრებს.

საქართველოსადმი უდიდეს სიყვარულს ამჟღავნებს მეთორმეტე საუკუნის სახელგანთქმული პოეტი აფზალედინ საყანი, მისი მრავალი ლექსი საქართველოსა და ქართველი ხალხისადმია მიძღვნილი.

საყანს თბილისში საკმაო ხანი უცხოვრია და ქართული სიტყვები თავის პოეზიაშიც შეუტანია. პოეტი მარტო ჩვენი ბუნებით როდი მოხიბლულა, ასევე დიდი სიმპატიებით გამსჭვალულა ქართველი ხალხის მიმართ, ქართველი ქალის სილამაზესა და კდემამოსილებას აღტაცებაში მოუყვანია. ერთ-ერთ რობაიში იგი წერს:

„თმადაწნული სატრფოს ეშხით ვდნები
წავალ აფხაზეთში დავსახლდები.“

12-ე საუკუნის მეორე დიდი აზერბაიჯანელი პოეტი იყო ილას იბნ იუსუფ ნიზამი-განჯელი. რომლის „სამსეთმა“ და ხუთმა პოემამ : „საიდუმლოებათა საგანძური“ , „ხოსროვ და შირანი“, „ლეილმეჯნუნიანი“, შვიდი მთიები“, „ისკანდერნამე“, მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

ნიზამი არა მარტო შორიდან იცნობდა საქართველოს, არამედ პირადად იყო ჩვენი ქვეყნის მხილველი. მისაღებია ვერსია, რომ ნიზამმა ქართველ ქალს უძღვნა ლექსი „ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ“.

პოეტი მიისწრაფის მონასტრისაკენ, სადაც ლამზი ქრისტიანი ქართველი ქალი ეგულება. იცის, რომ შეიძლება საზოგადოებამ ის არა მარტო არ დაინდოს, არამედ შეაჩვენოს კიდეც და მაინც;

„ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ,
ის ჩემი ხატი და ტაძარია,
სად მუსლიმანი, სად ხატზე ლოცვა,
ჩემზე იტყვიან რამ გადარია.“

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობა ვერ გაანადგურა ვერც ჯალალალედინის, ვერც თემურ ლენგის და სპარსელთა შემოსევებმა.

სისხლისმღვრელ ბრძოლებში მრავალი ლიტერატურული და ხალხური ტილო შეიქმნა , როგორც საქართველოში ისე აზერბაიჯანში. აზერბაიჯანულ პოეზიაში ერთ-ერთი სათანადო ადგილი უკავია თქმულებას „ქოროღლის“ შესახებ. ქართველმა ხალხმა არსენასავით შეიყვარა ქოროღლი, ხოლო კოჯრის მიდამოებში ერთ-ერთ ძველ ციხესიმაგრეს დღესაც კი ქოროღლის ციხეს ეძახიან.

18-ე საუკუნეში მწიგნობრივი ქართული ლიტერატურის გვერდით დიდი ადგილი დაიკავა აშუღურმა პოეზიამ, აშუღებით გაივსო თბილისი.

ამ პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ ალავერდა, იგი ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის ნარიმან ნარიმანოვის პაპა გახლდათ. ნიკოლოზ ბარათაშვილი გვერდიდან არ იშორებდა აშუღურ სათარას.

აზერბაიჯანულ პოეზიაში დიდი როლი ითამაშა აბას სეჰეთიმ, სწორედ მან თარგმნა აზერბაიჯანულად ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. მისმა სხვა ნათარგმნებმა ქარტული პოეზიიტ გაამდიდრა აზერბაიჯანული პოეზია.

აზერბაიჯანელმა აშუღმა შიქისთე შირანმა თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართველი ხალხის ბრძოლას აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ. იგი უმღერის იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომლებიც მკერდით იცავდნენ თბილისს.

18-ე საუკუნის გამოჩენილი პოეტები იყვნენ ვიდადი და ვაზიფი. მათ მიერ შექმნილი და ხალხში გაბნეული ათასობით ლექსი ხალხისვე კუთვნილებად იქცა. ცნობილია რომ ვაზიფი საქართველოს ხშირი სტუმარი იყო, მეფე ერეკლე მეორე მას დიდი ნდობით და პატივით იღებდა.

ვაზიფი განსაკუთრებულ ხოტბას ასხამდა ქართველ ვაჟკაცტა სიმამაცეს და ქართველ ქალთა განსაკუთრებულ სილამაზეს. ლექსში „საქართველოში თუ კი არის ლამაზმანი“ პოეტი ქართველ ქალს ცოცხალ ხატებად თავისი სილამაზით და უნაკლობით:

„ ვით ქანდაკება, კეკლუცი ტურფა,
ეკლესიიდან გამოდის იგი
ვით მზე ნათელი, ახდილი სახით
ეკლესიიდან გამოდის იგი.“

ვაზიფი თავის პოეზიაში განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებს საქართველოსა და თბილისს, იგი წერს :

„ დიდება თბილისს, დედამიწაზე
ეს ედემია ბაღი შვებისა,
შემოკრებილან მასში8 გუნდები
ჰურიების და ფერიებისა.“

თავის შემოქმედებაში საქართველოსადმი დიდ სიყვარულს ავლენს აბასყული-აღა ბაქიხანოვი. მან მრავალი შესანიშნავი ნაშრომი შექმნა საქართველოში . მათ შორის აღსანიშნავია ლექსები: „მუხამბაზი თბილისს“ და „ქართველებს შორის“ ეს უკანასკნელი ლექსი თავის დროზე თვით აზერბაიჯანელი პოეტების მიერ იყო შექებული.

საქართველოს და თბილისს უძღვნა პოეზიის მრავალი შედევრი სულეიმან რუსთთამმა. საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსის ერთი კუპლეტი ჩვენ წინ წაუმძღვარეთ ამ სტატიას, რაც თბილისს როსთთამმა მან ასე უგალობა:

„გაზაფხული გამკობს და გზატავს ნაირფერებად,
გაზაფხული ყოფილა შენი სრული მშვენება,
გაზაფხულზე მეტად ჩანს შენი ბედნიერება,
დაუჯერე შენს სტუმარს, ჩემო თბილისი ქალაქო.“

აზერბაიჯანში და საქართველოში ძალზე ხშირად მოიხსენიებენ პოეტს მირზა შაფის და მწერალ,ფილოსოფოს მათემატიკოსის მირზა ფატალი ახუნდოვის სახელებს.

მათი სახელები განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოსთან, სადაც გაიფურჩქნა ორივე შემოქმედის მხატვრული ნიჭი. დიახ, სწორედ თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისინი და აქვე არიან დაკრძალულნი.

ისინი გარდა ლიტერატურული საქმიანობისა ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მირზა შაფიმ შეადგინა ქრესტომათია, ხოლო ახუნდოვმა-ანბანი, რომლის მიზანი იყო არაბული შრიფტის გამარტივება.

მირზა შაფიმ განსაკუთრებით ისახელა თავი „ სიმღერებით“ მისი ნაწარმოებები, თარგმნილი ფ. ბოდენშტედტის მიერ გერმანულ ენაზე სამჯერ გამოიცა და ითარგმნა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ქართულად ისინი ნაწილობრივ 19-ე საუკუნის 60-იან წლებში თარგმნა მ. ყორღანაშვილმა.

მირზა შაფი როგორც პოეტი პირველად იხსენიება 19-ე საუკუნის 20-იანი წლების მიწურულში. ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობის დროს ხშირად აქვეყნებდა მირზა შაფის ლექსებს.

1840 წელს შაფი განჯიდან თბილისში ჩამოვიდა, აქედან დაიწყო მისი ძირითადი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა. სწორედ თბილისში გატარებულმა წლებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-შექმნაში სწორედ მან უძღვნა ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი თბილისს:

„ ჰე, მირზა შაფი, შენც უმღერე მშვენიერ თბილისს,
ისე როგორც უმღეროდა შირაზს ჰაფეზი,
აქე, ადიდე და მაგ შენი მომხიბლავი ხმით
მისი სახელი აამაღლე სხვა ქალაქებზე.“

თბილისში მირზა შაფი გაეცნო გერმანელ მასწავლებელს ფრ. ბოდენშტედტს. 1850 წელს ბოდენშტედმა გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“. მასში ასახულია

საქართველოში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებანი. წიგნს დიდი წარმატება ქონდა უმთავრესად იქ მოთავსებული მირზა შაფის ლექსების გამო, რომელთა დიდი ნაწილი 1851 წელს ცალკე ძიგნად გამოიცა სათაურით „მირზა შაფის ლექსები ფ. ბოდენშტედტის პროლოგით“. მას ისეთი დიდი წარმატება ქონდა, რომ მსოფლიოს ყველა ენაზე ითარგმნა . ამ გარემოებამ აფიქრებინა გერმანელს წიგნის ავტორად საბოლოოდ თავის თავი გამოეცხადებინა. კიდევ უფრო მეტი შემდგომში მისი მეშვეპბით გავრცელდა ყალბი აზრი, რომ მირზა შაფი გამოგონილი პიროვნებაა და „სიმღერების“ ავტორი თავად ბოდენშტედტია. ეს ვერსია დიდხანს იყო გაუქარწყლებელი, ამჟამად უკვე აღმოჩენილია მირზა შაფის ნაწარმოებათა ორიგინალები.

მირზა შაფი, ყველსაგან მიტოვებული გენიალური პოეტი გარდაიცვალა 1852 წლის 29 ნოემბერს ქ. თბილისში. იმდროინდელმა გაზეთმა „კავკაზმა“ საჭიროდ არ ჩათვალა ნეკროლოგი მაინც მოეთავსებინა მის შესახებ პრესის ფურცელზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა მწერალი, ფილოსოფოს-მათემატიკოსი მირზა ფატული ახუნდოვი, რომელიც დაიბადა 1812 წლის 30 ივნისს ქალაქ ნუსაში. პატარაობიდანვე მისი მომზადება დაიწყეს სასულიერო მსახურის თანამდებობის დაკავებისათვის. ამიტომ შეასწავლეს არაბული, ფრანგული ენები და ყურანი. განჯაში სწავლის დასამთავრებლად გადასული ახუნდოვის ცხოვრებაში უდიდესი როლი იტამაშა მირზა შარაფთან შეხვედრამ. სწორედ მირზა შარაფმა აუხილა მას თვალი ცხოვრების მოვლენებზე და დააყენა სწორ გზაზე . სულ მალე ახუნდოვი თბილისში გადმოვიდა. აქვე მოკიდა მან ხელი თავის პედაგოგიურ, სამწერლო და სამეცნიერო საქმიანობას.

1837 წელს გამოქვეყნდა ახუნდოვის ცნობილი პოემა „პუშკინის გარდაცვალებაზე“, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელ ამიერკავკასიაში. თვითონ ახუნდოვმა თარგმნა იგი რუსულ ენაზე და გაგზავნა ჟურნალ „მოსკოვსკი ნაბლუდატელი“-ს რედაქციაში, სადაც პოემა მაშინვე დაბეჭდეს.

გარდა ამ პოემისა მირზა ფატალი ახუნდოვმა დაწერა მთელი რიგი სხვა პოეტური ნაწარმოებები, აგრეთვე თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერა, მაგრამ მისი ძირითადი ლიტერატურული შემოქმედება დრამატურგიაში აისახა. მან შექმნა რამოდენიმე საინტერესო რეალისტური პიესა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია „მოლა იბრაჰიმ ხალი- ფილოსოფიური ქვის მფლობელი“, „ლენქორანის სახანოს ვეზირი“, „ყაჩაღის დამმამარცხებელი დათვი“, „ბოტანიკოსი მუსიო ჟორდან“.

ახუნდოვი ნაყოფიერად მუსაობდა აგრეთვე მხატვრული პროზის დარგში. ამ მხრივ ყურადღების ღირსია მისი მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“

1853 წელს მირზა ფატალი ახუნდოვის 5 პიესა ცალკე წიგნად გამოიცა. მირზა ფატალი ახუნდოვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია „ინდოეთის პრინცის ქემალ-უდდოვლეს სამი წერილი სპარსეთ პრინც ჯალალ-უდდოვლესადმი და ამ უკანასკნელის პასუხი“. ახუნდოვის ფილოსოფიური შეხედულებანი ემყარება შუასაკუნეების აღმოსავლეთის სტოლასტიკის კრიტიკას. ახუნდოვის პიესები დიდხანს არ იყო გამოყენებული. 189 წელს აკაკი წერეთელმა თავის კრებულში დაბეჭდა ახუნდოვის პიესა „ ლენქორანის სახანოს ვეზირი“-ს თარგმანი. თარგმანთან ერთად ახუნდოვის ვინაობაც გაუცვნია ქართველი მკითხველისათვის.

ამ პიესის დადგამ ისევ აკაკის ინიციატივით 1890 წლის 3 იანვარს განახორციელა ქართულმა თეატრალურმა დასმა.

მირზა ფატალი ახუნდოვი გარდაიცვალა ყველასაგან მიტოვებული 1878 წლის 10 მარტს. გაზეთმა „კავკაზმა“ რომლის თანამშრომელადაც იგი იყო 1850-იან წლებში მოათავსა ცნობა ახუნდოვის გარდაცვალების შესახებ.

XX საუკუნის პირველ და მეორე ნახევრის 80-იან წლებამდე ქართველ-აზერბაიჯანელთა კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა ახალ საფეხურზე ავიდა. თმცა ამ საკითხს უფრო ვრცლად განვიხილავთ ამ სტატიის გაგრძელებაში.

2013 წლის დეკემბერი

ლია წურწუმია

„აღმოსავლური რენესანსის“ თეორია

ქართულმა საზოგადოებამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს აღნიშნა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავი. აკად. შალვა ნუცუბიძის სახელი ორ დიდ აღმოჩენას უკავშირდება მე-20 საუკუნის ქართულ აზროვნებაში. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების ავტორია მე-5 ს.-ის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის შექმნით კი საკაცობრიო აზროვნებასა და კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა.

პირველად ქართულ ფილოსოფიაში შემუშავდა აზრი იმის შესახებ, რომ რენესანსი არ არის მხოლოდ ევროპული მოვლენა. ქართველი მკვლევარი, რომელმაც „ევროპაცენტრისტული“ თეორია უარყო და რენესანსის დასაწყისი აღმოსავლეთში დაინახა, აკად. შ. ნუცუბიძე იყო. მან ამოწია ეს პრობლემა, რომელიც შემდგომ კვლევის ობიექტად იქცა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს პრობლემა შ. ნუცუბიძემ პირველდ დასვა მონოგრაფიაში „აღმოსავლური რენესანსი და ევროპაცენტრიზმის კრიტიკა“ (1941 წ.). უფრო სრულად კი 1947 წ. გამოცემულ წიგნში „შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. მასში შ. ნუცუბიძემ წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ რენესანსი აღმოსავლეთ-დასავლეთის კონკრეტული რეგიონის (ხმელთაშუა ზღვის აუზი) ერთიანი მსოფლმხედველობრივი მოძრაობაა, რომელსაც ერთ-ერთი პირველწყარო V ს. ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერის არეოპაგიტულ თხზულებებში აქვს. იმთავითვე მხარდაჭერასთან ერთად ბევრი მეცნიერი უარყოფითად შეხვდა ამ თეორიას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც (კ. კეკელიძე, ს. დანელია, ვ. ჟირმუნსკი, ი. ბრაგინსკი). მოწინააღმდეგეთაგან, მოგვიანებით, ბევრი მათგანი (ვ. ჟირმუნსკი, ი. ბრაგინსკი, აკად. ნ. კონრადი) არა თუ მხარს უჭერენ შ. ნუცუბიძის თეორიას, არამედ ავითარებენ მას სხვადასხვა მხრივ. ასე, მაგალითად, გ. კონრადმა გლობალურად გაიაზრა აღმოსავლური რენესანსის გავრცელების არეალი და იგი ჩინეთის, ჩრდ. ინდოეთის, შუა აზიის, ირანის ტერიტორიებზეც განავრცო, მან „ვეფხისტყაოსანი“ ჩააყენა იმ დიდ ქმნილებათა შორის, როგორიცაა „შაჰნამე“ - ფირდოუსისა, „ვის-ო-რამინ“ - გორგანისა, „ლეილ-მეჯნუნიანი“ - ნიზამ განჯელისა, ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი“.

შ. ნუცუბიძის თეორია „აღმოსავლური რენესანსის“ შესახებ შიშველ ქვაზე არ წარმოშობილა. მას წინ უძღოდა ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების გარკვეული დონე რენესანსული პრობლემატიკის კვლევაში (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ზ. ავალიშვილი, პ. ინგოროყვა, ვ. ბარნოვი, ს. გორგაძე და სხვ.).

XI-XII სს. საქართველოში რენესანსული ტიპის მოვლენებს იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და ტერმინი „რენესანსი“ ამ ეპოქის დასახასიათებლად პირველად მან გამოიყენა. მისი სიტყვებით, იმდროინდელი ქართველი საზოგადოება „დაეწაფა იმ ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ე.წ. „რენენსანსი“ წარმოშვა. საქართველოში ეს მოძრაობა XII ს. დასაწყისში დაიწყო, მაგრამ ეს მოძრაობა მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“.[1] უფრო ადრე კი სოლომონ დოდაშვილი ცდილობდა აეხსნა როგორ მოხდა „ოქროს ხანაში“ აზროვნების არნახული აღმავლობა. პ. ინგოროყვა ქართული საერო მწერლობის წარმოშობას „რენესანსს“ უკავშირებს. კ. კეკელიძემ საერო მწერლობის წარმოშობა და მისი რენესანსული აღმავლობა მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიული განვითარების ბუნებრივ შედეგებზე წარმოიდგინა და მისი აღმოცენება საერთო კულტურულ აღმავლობას დაუკავშირა. ასე მივიდა ქართული საზოგადოებრივი აზრი ნუცუბიძისეულ თეორიასთან.

შ. ნუცუბიძემ შოთა რუსთაველის პოემა რენესანსის აღმოსავლური სამყაროს ნიშანსვეტად გამოაცხადა. ამით მან ქართული კულტურის ამ ფენომენს უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის გლობალური მასშტაბით ყველა ქვეყნის (განურჩევლად რელიგიუროისა) კულტურულ აღმავლობის დონესთან მისადაგებამ ერთგვარად გააფერმკრთა-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 302.

ლა „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული სახე და აღმოსავლური პოეზიის ზღვაში აღმოჩნდა გადასროლილი.[1] მართებულია ეს შენიშვნა, რადგან აქცენტირება აღმოსავლური რენესანსის არსებობაზე არაქრისტიანულ ქვეყნებში, სწორედ „რენესანსის“ ცნების არაზუსტი შინაარსით დატვირთვას ნიშნავს.

რენესანსი სპეციფიკურად ქრისტიანული აზროვნების პროდუქტია, კონკრეტული მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა. მაგრამ ამ ცნების შინაარსი დაზუსტებას მოითხოვს, მით უფრო, რომ „აღმოსავლური რენესანსი“ სხვაგვარად ესმოდათ ქართველ მკვლევარებს, ვიდრე ზემოთ ნახსენებ მეცნიერებს. ინტენსიურმა კვლევამ პრობლემა შემდეგნაირად გადაწყვიტა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლეთ-ევროპულ მეცნიერებაში: „აღმოსავლურ რენესანსზე“ საუბრისას არ შეიძლება მხედველობაში გვქონდეს მაჰმადიანური სამყაროს კონკრეტული ქვეყნების კულტურული აღმავლობის კონკრეტული პერიოდები მხოლოდ განვითარების მაღალი დონის გამო. პრობლემის გადაჭრისას – რა უნდა ვიგულისხმოთ „აღმოსავლური რენესანსის“ ცნებაში? – საფუძველმდებლად უნდა მივიჩნიოთ ის არსებითი სპეციფიკური ნიშანი, რითაც „რენესანსი“ ხასიათდება დასავლეთ-ევროპული გეოგრაფიული მდებარეობის ქვეყნების სააზროვნო სივრცეში. კერძოდ, ის, რომ ევროპული რენესანსი ადამიანის შესაძლებლობებისა და უფლებების განსაკუთრებული აღიარებაა, რომელიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიაღიდან წარმოიშვა ნეოპლატონისტური ფილოსოფიისა და არეოპაგიტული მოძღვრების საფუძველზე. ადამიანის გაღმერთების იდეა უცხოა მაჰმადიანური კულტურისათვის. მაჰმადიანობა ალაჰის შემეცნებაა, რომელშიც ღმერთის იდეა ადამიანის იდეას აუქმებს, რაც თავისთავად ფანატიზმის პირობას წარმოადგენს და თუ მაჰმადიანობამ რიგ ქვეყნებში აჯობა ქრისტიანობას, ეს – ფანატიზმის გამო.

ქართული სინამდვილისათვის მაჰმადიანობა არ იყო სარწმუნოებრივი თუ კულტურული ორიენტაციის პირობა, ამიტომაც შეიქმნა ძველ ქართულ მწერლობაში ანტიმაჰმადიანური ლიტერატურული ძეგლები. ქრისტიანობამ, სხვა რელიგიებთან შედარებით, ყველაზე ცხადად ადამიანი გამოაცხადა უმაღლეს ქმნილებად ღმერთის შემდეგ და ეთიკური სრულყოფის იდუმალებით გზა გაუკაფა მისი პიროვნების ევოლუციას. მუსლიმანური რელიგიის მიხედვით, ღმერთი ადამიანის შეგნებაში მკვიდრდება შიშით და შეზღუდვებით (ი. იმედაშვილი). მაშინ, როცა ქრისტიანული რელიგია ღმერთისადმი სიყვარულს მოითხოვს (არეოპაგიტიკა). მაჰმადიანობამ ყველგან, სადაც კი გავრცელდა, ღმერთის აბსოლუტიზაციით დესპოტური საზოგადოება წარმოშვა, პიროვნება კი რელიგიურ მონობაში დატოვა და მასში აზროვნება ჩაკლა. ამიტომაც მუსიმანობამ მაჰმადიანური ქვეყნები ჩამოარჩინა მსოფლიო ცივილიზაციის დონეს.

ამრიგად, „აღმოსავლური რენესანსის“ ცნებაში იგულისხმება ქრისტიანობის მსოფლმხედველობის საფუძველზე აღმოცენებული ახალი მსოფლმხედველობა, რომლის ერთ-ერთი გამოვლენა XI-XII სს. ქართულ კულტურაში მოხდა. საბედნიეროდ, საქართველოც აღმოჩნდა ის ქვეყანა, სადაც შესაძლებელი გახდა რენესანსი, როგორც კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქაში შემუშავებული მსოფლმხედველობა, შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის აღმოცენებული. ის, რომ ირანს, შუა აზიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს X-XI-XII სს. მაღალი კულტურული დონე ახასიათებს, ეს უდავოა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აღმოსავლეთის რეგიონების ეს აღმავლობა რენესანსული მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი აუცილებელი სპეციფიკური ნიშნით არ ხასიათდებოდა და ძირშივე დაშორებული იყო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. ევროპული რენესანსული აზროვნების მოდელზე თუ განვიხილავთ ქართული კულტურის განვითარებას (XI-XII-XIII სს. I ნახ.), მას „რენესანსული“ შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ დასავლურ მოდელთან მსგავსების გამო.

უდავოა, რომ „რენესანსი“, როგორც ახალი მსოფლმხედველობრივი მოძრაობა, ზუსტი მნიშვნელობითა და თავისებურებით დასავლური ცივილიზაციის მოვლენას ეწოდება, მაგრამ მისი ძირითადი მსოფლმხედველობრივი ნიშნები ქართულ კულტურაში 3 საუკუნით ადრე გამოვლინდა. აქედან გამოდიოდა შ. ნუცუბიძე, როცა „ქართულ რენესანსს“ განიხილავდა, როგორც წინაპერიოდს, ხიდს, დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის მჭიდრო ურთიერთობის მანიშნებელს. შ. ნუცუბიძეს „რენესანსი“ ქრისტიანული კულტურის პროდუქტად მიაჩნდა, ასეთი აზრისანი ირიან დღეს მისი მომხრეებიც. შ. ნუცუბიძეს სავსებით მართებულად სწამდა, რომ სადერმაკაციო ხაზის გავლება აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურებს შორის შეუძლებელია. კულტურამ არ იცის გეოგრაფიული საზღვრები. ელინისტური ხანის კულტურა, რომელიც ალ. მაკედონელის კონგლომერატული იმპერიის ფარგლებში შეიქმნა, აღმოსავლეთ-დასავლეთის

[1] აკ. სურგულაძე, ნარკვევი ქართული კულტურის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 180.

კულტურათა სინთეზს წარმოადგენდა. ქართული კულტურაც, რომელიც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო აღმოსავლეთ-დასავლეთის გასაყარზე წარმოიშვა, არ შეიძლება წმინდა აღმოსავლური ან მხოლოდ წმინდა დასავლური კულტურა ყოფილიყო.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან ისტორიულად ოდითგანვე დაკავშირებული ქართული კულტურა აღმოსავლეთთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში ვითარდებოდა. მარტო იმის თქმაც კმარა, რომ ქრისტიანობა საქართველოში ორი გზით შემოვიდა – აღმოსავლეთით – სირია-პალესტინიდან, სომხეთის გავლით და დასავლეთით – ბიზანტიიდან.

ქრისტიანობა იყო ის მთავარი ფაქტორი, რამაც შუა საუკუნეებში საქართველოს მოაძებნინა მაჰმადიანურ სამყაროთა გარემოცვაში დაკარგული კულტურული ორიენტაცია დასავლეთისაკენ. VII-VIII სს. დიოფიზიტობისათვის მხარდაჭერამ, ბიზანტიასთან სარწმუნოებრივი ერთიანობის კურსის აღებამ საქართველო მჭიდროდ დააკავშირა მის დასავლეთით არსებულ ქრისტიანულ სამყაროსთან.

„ქართული“ და საერთოდ, „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის შექმნა ქართველი მეცნიერების უდიდესი მონაპოვარი იყო, რომელმაც უდიდესი რეზონანსი გამოიწვია არ მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს თეორია მეტად გაღრმავდა და გაფართოვდა, ამასთან ბევრი დაიწერა მისი კრიტიკისა და უარყოფის მიზნითაც. მაგრამ უარყოფის შემთხვევაშიც მეცნიერება გვერდს ვერ აუვლის იმ რენესანსოლოგიურ პრობლემატიკას, რაც შ. ნუცუბიძემ დააკვალიანა.

მაღალ შეფასებას აძლევს შ. ნუცუბიძის თეორიას თვალსაჩინო რუსი მეცნიერი აკად. ა. ლოსევი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღორძინების ესთეტიკა“: „ქართულ რენესანსს“ ნეოპლატონიზმი უდევს საფუძვლად. ეს უნდა ჩაითვალოს დიდად მნიშვნელოვან აღმოჩენად იმის გამო, რომ გვაძლევს შესაძლებლობას უფრო ღრმად მივუდგეთ იტალიურ რენესანსსაც“. ა. ლოსევის ზემოთ მოტანილი ამონარიდიდან და მის მიერ ქართველ მკვლევართა, კერძოდ, შ. ნუცუბიძის ღვაწლის შეფასებიდან ჩანს, რომ ა. ლოსევს აღმოსავლური რენესანსი დასავლურის საწყის ეტაპად მიაჩნდა – მის წინა ხიდად, რომ შ. ნუცუბიძემ მოგვცა გასაღები მსოფლიო რენესანსის შესასწავლად.[1] ეს გასაღები კი არის იმის დასაბუთება, რომ რენესანსის უმთავრესი საყრდენია ქრისტიანული ნეოპლატონიზმი – არეოპაგიტიკა. ა. ლოსევი დაწვრილებით აანალიზებს შ. ნუცუბიძის თეორიის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. ჯერ პოზიტიურზე: აკად. ა. ლოსევი იზიარებს შ. ნუცუბიძის თეორიებს აღმოსალურ რენესანსისა და არეოპაგიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით. იგი გამოჰყოფს სამ ძირითად თეზისს: 1) აღმოსავლურ-დასავლური რენესანსის ფილოსოფიური საფუძველია ანტიკური ნეოპლატონიზმის შემდგომი ქრისტიანული გადამუშავება – არეოპაგიტიკა. 2) შუა საუკუნეების მოაზროვნეებს (ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს) უდიდესი პრიორიტეტი აქვთ დასავლეთ ევროპის წინაშე არეოპაგიტული იდეების ქადაგებაში. 3) სარწმუნოა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტიფიკაცია. ლოსევი ხაზს უსვამს შ. ნუცუბიძის დამსახურებას, რომ „მან უაღრესად ენერგიულად და რეალური ფაქტების მომარჯვებით დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთზე დასავლური რენენსანსის საწყის ეტაპზე“.[2]

[1] ა. ლოსევი, სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე, წიგნში: ქართული რენესანსის საკითხები, თბ., 1988, გვ. 86.
[2] ა. ლოსევი, აღორძინების ესთეტიკა, მ. 1978, გვ. 63 (რუსულ ენაზე).

ვანო შუშტაკაშვილი

საბანკო რისკების მართვის პროცესი

რისკების მართვის პროცესი მოიცავს რისკების დადგენას, რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს, რისკების მართვის საინფორმაციო სისტემებს, რისკების კონტროლს, აქტივების და ვალდებულებების მართვას, რისკების შეფასების მოდელების სტრეს-ტესტების გამოყენებას.

რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რომელმაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს. რისკის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების მხედველობაში მიღება: პროაქტიული (მოსალოდნელი) და არა რეაქტიული პოზიციის ქონა, ყველა სახეობის ოპერაციის მოცვა, ინფორმაციის ნებისმიერი შესაძლო წყაროს გამოყენებით რისკების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი, რისკების ალბათობის ანალიზი და ამ რისკების შედეგები.

რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი. ამ მიდგომით შესაძლებელი უნდა გახდეს შემდეგი შეფასებების გაკეთება: პროდუქტის/საქმიანობის მგრძნობელობა ფაქტორების ცვლილებისადმი, რომლებიც ზემოქმედებს მასზე, როგორც ნორმალურ, ისე ანომალიურ მდგომარეობაში; სხვადასხვა ფაქტორის ცვლილებების დინამიკა წარსული ცვლილე¬ბებისა და მერყეობის საფუძველზე და კორელაცია; რისკების ფაქტორები ინდივიდუალურ საფუძველზე; აგრეგირებული რისკი რისკის კორელაციის გათვალისწინებით; ყველა საბანკო ოპერაციისა და პროდუქტისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლებიც შეიძლება ინტეგრირებულ იქნენ ბანკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში.

რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაოდე¬ნობრივი და ხარისხობრივი მეთოდი. როგორც წესი, რისკების შეფასების ყველაზე მარტივი მიდგომა არის სტანდარტული მეთოდის გამოყენება, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, თუმცა პრაქტიკოსები ეყრდნობიან და გამოიყენებენ ალტერნატიულ მოდელს. ალტერნატიული მოდელის გამოყენება მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იყოს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნა გამოყენებული მეთოდის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ბანკს, რომელიც დიდი ოდენობით ოპერაციებს ახორციელებს და მაღალი კომპლექსურობა ახასიათებს, შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს შიდა მოდელი. ამასთან, შიდა მოდელის გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა მიზნებისთვის, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და ბანკის მომავალი პოლიტიკის გათვალისწინებით.

რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესა¬ბამებოდეს ბიზნეს-ოპერაციების სახეობას, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატის და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შეზღუდვათა საბოლოო შედეგები. რისკების შეფასების მეთოდი გასაგები უნდა იყოს ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ რისკებს, მათ შორისაა (და არა მხოლოდ) რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.

რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მინიმუმ შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები;

გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;

ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროების შემთხვევაში - დირექტორატს.

ლიმიტების დადგენამ უნდა მოიცვას შემდეგი:

ა) ლიმიტი ოპერაციებზე/პროდუქტზე;

ბ) ლიმიტი უცხოურ ვალუტაზე;
გ) ლიმიტი ბრუნვაზე;
დ) ლიმიტი ღია სავალუტო პოზიციაზე;
ე) დასაშვები ზარალის (დანაკარგის) ლიმიტი;
ვ) დღიური ლიმიტი;
ზ) ლიმიტი ინდივიდუალურ მსესხებელზე და ოპერაციის მონა¬წი¬ლე მეორე მხარეზე;
თ) ლიმიტი დაკავშირებულ მხარეებზე;
ი) ლიმიტი სამეურნეო და გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით.

ლიმიტების განსაზღვრას ახდენს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ამტკიცებს რისკების მართვის კომიტეტი ან სხვა კოლეგიალური ორგანო (აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი, დირექტორატი) მათი უფლებამოსილების შესაბამისად. ლიმიტების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საქართველოს შესაბამისი კანონები და ნორმატიული აქტები, მათ შორის დებულებები მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით, დაკრედი¬ტების ლიმიტების, ღია სავალუტო პოზიციის შესახებ და ა. შ. ლიმიტების ნებისმიერი სახით გადამეტების შემთხვევაში, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს კორექტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ ფაქტორმა ზემოქმედება არ იქონიოს რისკის მიმართ დადგენილი და განსაზღვრული კაპიტალის მთლიან ოდენობაზე. ლიმიტის ნებისმიერი გადამეტება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დადგენილი და გათვალისწინებული დირექტორატის მიერ, ხოლო ღონისძიებები ლიმიტების გადამეტებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს მხოლოდ დირექტორატის ან უფლებამოსილი პირის ნებართვით, ბანკის შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ბანკმა უნდა შეიმუშაოს სარეზერვო სისტემა და ეფექტიანი პროცედურები იმისათვის, რომ დაცული იყოს რისკის მონიტორინგის პროცესები და განახორციელოს სარეზერვო სისტემის რეგულარული შემოწმება და განხილვა.

რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია, რომელიც რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებლად უნდა შემუშავდეს. რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით ამ საინფორმაციო სისტემამ უნდა უზრუნველყოს: სათანადო ინფორმაციის საფუძველზე აგრეგირებული/კომპოზიტიური რისკის შეფასება დროულად, როგორც ბანკის ბიზნეს-საქმიანობის, ისე საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკების მიხედვით; რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისობა და რისკების ლიმიტების დადგენა; რისკების მართვის შედეგები (პროგრესი), ბანკის მიერ რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად დადგენილ ორიენტირებთან შედარებით. რისკების შესახებ ანგარიში, რომელიც რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, უნდა მომზადდეს რეგულარულად რისკების მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ოპერაციებში ჩართული ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან. დირექტორატისა და რისკების მართვის კომიტეტისადმი შესაბამისი პირების ანგარიშგების სიხშირე უნდა გაიზარდოს ბაზრის პირობების ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში.

ანგარიშგება, რომელიც სცილდება დირექტორთა საბჭოს, დირექტორატის წევრებისა და რისკების მართვის მენეჯმენტის დონეს, შეიძლება წარდგენილ იქნეს ნაკლები სიხშირით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ადეკვატური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ამ მხარეებს, რათა მათ შეძლონ ბანკის რისკის პროფილში ცვლილებების შეფასება. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს რაოდენობრივ-ტექნიკურ ფორმატში შეფასებული რისკების ხარისხობრივ ფორმატში გადაყვანას, რომელიც ადვილად გასაგები იქნება დირექტორატისა და ბანკის სხვა პასუხისმგებელი პირებისათვის. ნებისმიერი ახალი საინფორმაციო სისტემის, ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ახალი საინფორმაციო სისტემისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ არ გამოიწვიოს რაიმე შეფერხება.

დირექტორატისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი ფოკუსი¬რებული და ადეკვატურად დოკუმენტირებული უნდა იყოს, რათა დირექტორატს გაუადვილდეს შეფასებების გაკეთება. კომიტეტის ანგარიშების მასშტაბმა, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება მოიცვას შემდეგი:

ა) კომიტეტის ოქმები, მათ შორის წინა პერიოდის ოქმებიც, რომლებიც შეეხება განსახილველ საკითხებს;

ბ) მოგება/ზარალის უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;

გ) საბალანსო უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;

დ) ბიუჯეტის გეგმური პარამეტრები;

ე) ახალი საკრედიტო ანგარიში;

ვ) ანგარიში მარჟების ანალიზის შესახებ;

ზ) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამონათვალი, რომელსაც თან ერთვის ბანკის მიერ ბოლო თვესა და კვარტალში განხორცი¬ელებული ოპერაციები;

თ) ლიკვიდობის ანალიზის ანგარიში, კერძოდ თანხების წარმოშობის წყაროებისა და მათი გამოყენების ანალიზი;

ი) ანგარიში ფასწარმოქმნის მონაცემების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება პროდუქტის ფასი ან ღირებულება;

კ) ჰეჯირების ანგარიში, თუ ბანკი იყენებს ჰეჯირების სტრატეგიას.

კომიტეტის პოლიტიკის და გადაწყვეტილებების სისტემა, სამოქ¬მედო გეგმა და მისი საფუძვლები მუდმივ გადახედვას (განხილვას) უნდა ექვემდებარებოდეს, კერძოდ უნდა ასახავდეს ისეთ ცვლილებებს, როგორიცაა მოქმედი კანონმდებლობების დებულებები, ბაზრის მდგომარეობა და მომხმარებელთა ქცევა. ბანკის მიერ მთავარი რისკების, როგორიცაა საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი და საოპერაციო რისკი, შეფასებისათვის გამოყენებული მოდელები ბანკის მოთხოვნებს, მისი ოპერაციების მოცულობას, კომპლექსურობას და ბანკის მიერ მიღებულ სარგებელს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ბანკს აქვს შიდა მოდელები (ბექ-ტესტები), როგორიცაა მაგალითად, საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების ინსტრუმენტები, რისკის ღირებულება და ცალკეული რისკების სტრეს-ტესტები, მაშინ ბანკმა უნდა გამოიყენოს საკუთარ ისტორიული მონაცემები/პარამეტრები და დაშვებები და/ან სებ-ის მიერ განსაზღვრული შეფასებები.

მოდელის გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების მიმართ მოთხოვნები ასევე უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისობას, რომელსაც ეროვნული ბანკი მოითხოვს. ბანკებმა, რომლებიც რისკების შესაფასებლად შიდა მოდელებს იყენებენ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სულ ცოტა შემდეგი საკითხები:

ა) სტატისტიკური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და მათი მომზადების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს;

ბ) უნდა არსებობდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომე¬ლიც საშუალებას მისცემს სისტემას, რომ დროულად აღადგინოს სათანადო და ზუსტი მონაცემები და ინფორმაცია;

გ) უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მოიპოვებს მონაცემებს რისკების შესახებ (კერძოდ საბაზრო რისკის) ბანკის ყველა პოზიციისათვის;

დ) დოკუმენტაცია მონაცემთა გამოყენებული წყაროების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს რისკების შეფასების პროცესს;

ე) მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა შენახვის პროცესები უნდა შეადგენდეს სისტემის ნაწილს, რათა აღკვეთილ იქნეს სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება.

გარკვეული რისკების შეფასების მოდელების გამოყენებით გამოწვეული სისუსტეების აღსაკვეთად ბანკმა უნდა მოახდინოს მოდელის დადასტურება. დადასტურების პროცესი უნდა განხორცი¬ელდეს შიდა ან გარე მხარის მიერ, იმ ერთეულისგან დამოუკიდებლად, რომელიც ამ მოდელს იყენებს. საჭიროების შემთხვევაში, დადასტურება უნდა განხორციელდეს ან დახმარება გაეწიოს გარეშე მხარის მიერ, რომელსაც რისკების შეფასების მოდელებში ტექნიკური კომპეტენცია და გამოცდილება აქვს. რისკების შეფასების პროცესმა მკაფიოდ უნდა დაადგინოს დადასტურების პროცესი, მისი სიხშირე, მოთხოვნები მონაცემებსა და ინფორმაციაზე, აგრეთვე გამოყენებული დაშვებების შეფასება მანამ, სანამ ბანკი დაიწყებს მოდელის გამოყენებას.

ნათელა ხარაიშვილი

სიყვარულის პოეტი

სამყარო ურთულესი ამოცანაა. მაგრამ ყველაფრის ამოხსნაა შესაძლებელი. ამ ურთულეს მდგომარეობაშია მოქცეული ადამიანის სული და სხეული, რომელსაც სამყაროსმიერი მძიმე მდგომარეობის განტვირთვის მისია აქვს დავალებული და გამორჩეულ ადამიანებად გვევლინებიან. ისინი გვაოცებენ, გვეამაყებიან. სიკეთეს, სიყვარულს, ბედნიერებას გვჩუქნიან. ღრმად გვაფიქრებენ თავიანთი საოცარი სიცოცხლით და ისეთ მადლს აფრქვევენ, სამყაროს ამ ურთულესი ამოცანის ამოხსნამდე მივყავართ. ასეთ გამორჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება პოეტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი თავიდან პოეტი ტრაგიკული ბედით გავიცანი და თითქოს სამყარო ჩემ თვალწინ ჩამოინგრა, როცა გავიგე, ამოდენა ტკივილების დამტევი ქალბატონი არსებობდა. საშინელი ტკივილი შემოვიდა სულში. ვხედავდი საყვარელ საფლავებს შორის თვალცრემლიან მოსიარულეს — მამა, დედა, ძმები, ქმარი, შვილი, ვაიმე... რამდენს გაუძლოს ერთმა გულმა... ძლიერები უძლებენ, მაგრამ თუ მარტო სიტყვებით ვილაპარაკებთ, ძლიერებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ვერავინ გაუძლებს, რომ არ იყოს დატვირთვასთან ერთად დამტვირთველის ტვირთში თანაზიარობა.

„რა დროს ლექსიაო“, ათრთოლებული თითებით დავიწყე ქალბატონი გულნაზის ლექსების წიგნის ფურცვლა, როგორც მისმა ერთერთმა გულდათუთქულმა ჭირისუფალმა. რუსთაველის საქართველოში ძნელია ლექსით ვინმე გააკვირვო. მაგრამ სხვაა ხმა ლექსისა და დანიშნულება პოეტისა. მართლაც, გაოცებული, ლექსებით მოხუბლული. გამხნევებული და ახალი ცოდნით აღჭურვილი გავხდი, როცა პოეტ გულნაზის პოეზიას გავეცანი. ჩემს წინ დანგრეული სამყაროს ამოხსნა და აღდგენა დავიწყე. ძნელია, მაგრამ სამყარო ისეთი უნდა მიიღო, როგორიცაა. დავიწყოთ ნამდვილთა, მართალთა ფენომენით. ვუსმინოთ ნამდვილებს, საზოგადოების ყველა სფეროში, რადგან ისინი დიდ ცოდნას გვაძლევენ, სხვა განზომილებაში გადავყავართ და საკუთარ ფესვებზე მყარად გვამაგრებენ, ასეთნაირთა ლექსის ხმა პირდაპირ მოდის ზეციდან და ისიც გათვლილია, ვინ უნდა მეტყველებდეს ამ ხმაზე. მანამდე კი იმხელა ტკივილი უნდა გაიაროს, რომ გახსნილი გონებით ერთმა ათასები ღრმად დააფიქროს სიცოცხლის არსზე, განწმენდაზე. მარადიული გზის ძიებაზე. ყოფნა-არყოფნის ურთულეს კანონებზე.

დავიწყოთ აკროსტიხით — ლექსის წერის ეს ურთულესი ტექნიკა გონების ღრმად დაძაბვას, რითმებისა და სიტყვების ძებნას, დიდ დროს უნდა მოითხოვდეს. მუზა კი ამოუცნობი საიდუმლოებაა, სწრაფმავალია, მიდის და მოდის. უნდა მოასწრო, მას ვერ აიძულებ... და შევხედოთ, როგორ უწყვეტად, წყაროს წყალივით მოედინება აკროსტიხით ლექსები. პოეტს ამოსუნთქვისთვისაც არ სცალია. ყველაფერი მზამზარეული მიეწოდება, მარჯვე ხელია ოღონდ საჭირო, რომ სიბრძნე არ დაიკარგოს და ისიც გვაოცებს ზენაარის მადლით. იწყებ ჩვეულებრივი გრძნობით, და ამთავრებ არაჩვეულებრივი გაოცებით. როგორ მოგროვდა ამდენი სიტყვა, რითმა შესაფერისი და შესატყვისი. ჰარმონიაა ცისა და მიწის. რჩეულებს ეწოდებათ საზრდო მრავალთა დასაპურებლად. ასეთი რთული ტექნიკით წერა დიდი სიამოვნებაც გამხდარა პოეტისათვის, რათა აკროსტიხით გამოგვაფხიზლოს. ღვთიური და ადამიანური ერთ ჭრილში დაგვანახოს და მიუხედავად წუთისოფლის ასეთი გნიასისა, განღმრთობისკენ მოგვიწოდოს. მეუფისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს — „სიკვდილი მოვკალ... მეუფეო შენი იმედით... მერე ნერგები გავახარე სულის არეში საკურთხეველთან ჩემი ფეხით, რწმენით მივედი. აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში. არის სულის შემძვრელი ტკივილი, მაგრამ არის ღაღადისი გულის სიღრმეებიდან წამოსული, რომელსაც ვერაფერი აკავებს აღთქმულ ქვეყნებამდე, რადგან პოეტი ღვთისგანაა დავალებული და მსხვერპლს სწირავს, რომ გულგაქვავებულებს ცრემლი მოადინოს, მადლი აპოვნინოს ღვთის თვალში. როდის მოგირჩება

გული სამშობლო?!. იქნებ უხმობდით თქვენს ახლობლებს, ჩვენო ბიჭებო რამდენჯერ მიწას მოპოტნიდით გამწამებული... ჩაწყდი სამარხო, ქვა და რიყევ, ეკალ-ჭინჭრებო, ერთი კი არა დღეს შვიდით ვართ გამწარებული.

გარდაცვალების საიდუმლოება. გარდაცვლილ სულთა მსოფლმხედველობა მათი უხილავი კავშირი და მქადაგებლობა ჩვენს თვალდანახულ სამყაროში ერთი მთავარი თემაა პოეტის შემოქმედებაში, რომ აზროვნებისკენ მოუწოდოს საქართველოს გაბრწყინების მომლოდინე ერს. თერთმეტჯერ დანით დარტყმული, სადისტურად მოკლული მერაბის იმღამინდელი ამბის ლექსად გადმოცემული ამბავი დიდი იმედია გამწარებული დედისადმი. გაფრთხილება, ბოროტმოქმედთა ჭეშმარიტ ცხოვრებაზე დაფიქრება ყოველი მოკვდავისა, რომ ყოველ ნაბიჯზე სიკეთეს უნდა თესავდე, რადგან წუთისოფლის მხოლოდ სტუმრები ვართ და სიკეთის კეთება გაგვიხსნის სახლის კარს, რომლიდანაც პირველი ცოდვის ჩადენისთანავე გამოგვაძევებს და ყოველნაირი მანქანებით ვეძებთ თავშესაფარს ამ ცხოვრებით უკმაყოფილონი. მერაბი კი სამოთხის კარის გასაღებს გვაძლევს ხელში თუ ბოროტების ჩამდენის მიმართ სიბრალული გვექნება. — ე რთს ვნატრობ მხოლოდ, ვევედრები დედას და ჩემს შვილს ნატანჯი ვარ და კიდევ უფრო არ დამაღონონ სევდით ნუ ივლით დაამძიმებთ ისევე ჩემს სულს სიტყვით აუგი მკვლელის დედას არ გააგონოთ შვილს კი კაცური ნაბიჯითა და სიყვარულით ცხოვრებას უქადაგებს „ია იები გაამრავლე საფლავის ირგვლივ, საუკუნეებს გაუძელი, წიე ჭაპანი არ დამეჩაგრო და გადადგი უშიშრად ბიჯგი კაცურ ნაბიჯით ამოკაფე გზა ეკლიანი უფაქიზესი დედაში კი შენიშნე მწუხრი თავნება არა უნდა იყო შვილო ჭკვიანი, არ დაგენანოს მიაწოდე მათხოვარს პური, საიდან იცის ეს მერაბმა, განა მართლა პოეტმა აჩუქა მას სამოთხე? მან თავად შეაღო სამოთხის კარი და პოეტის ბაგეებით გველაპარაკება.

პოეზიის უკიდეგანო სივრცეში პოეტ ქალბატონს ნამდვილი ვუწოდე და ამ კუთხით მინდა მის შემოქმედებაში პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე ვილაპარაკო. პოეტი იზიარებს ერის ყველა ტკივილს და ათასჯერ დანაღმული გული ტკივილების ოკეანედ უქცევია. იქ ზის, სადაც ქარიშხალია. ამიტომაა, რომ მრავალგზის ნატანჯი სული და გული უფრო სრულყოფილად შეიგრძნობს ტანჯვასა და ნეტარებას. მოურჩენელი ტკივილია სამშობლო, დაკარგული მიწები, ნიჭიერი პოეტი ისეთი ლამაზი სიტყვებით, რითმებით კინძავს ქვეყნის ტრაგიკულ მოვლენებს. ტკივილის სიმძიმესთან ერთად გეუფლება სიამოვნების განცდა ასეთი მაღალმხატვრული ხერხებით რომ არის აღწერილი სინამდვილე „აფხაზეთის ომის ცეცხლი ვნახე, სისხლის ღვარი, ცრემლები და ჯვარცმა იქ კვლავ ცივა ქარი ჭადრებს არხევს კვლავ ბატონობს ყაჩაღური ძარცვა სუსხს აფრქვევდა მარტოსული მთები ვიხანჯლავდით ამ ტკივილებს გულთან, ქართველების მოჭრილს თავებს მტრები სტადიონზე აგორებდნენ ბურთად. მართლმადიდებლური რწმენით ნასაზრდოებს ღრმად სჯერა ეკლესიის ძლიერებისა, რომ ლოცვითაა შესაძლებელი ყოველივე და აფხაზეთიც ღმერთის კურთხევით დაგვიბრუნდება — „ჩემი ბუნების სუფთა ჰაერით, მამულში ისევ გაზაფხულდება, დაირეკება საყდრის კარები, და აფხაზეთიც დაგვიბრუნდება”. გულის გულამდე აღწევს პოეტის ლექსის სტრიქონები. წერს ყველასათვის გასაგები ენით. მისთვის არ არსებობს ცნობილი სახეების გამორჩევა პოეტისთვის ყველა ცნობილია, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისათვის ერთი აგური დაუდევს. პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში მოხვედრა საკუთარი თავის ახლებურად დანახვაა, სიამაყე, ადამიანის ღირსების შეცნობა, სიკეთისა და სიყვარულის მოძღვავებაა. პოეტისთვის მტრისადმი მტრობა მიუღებელია. სიყვარულის პოეტს ერთი აუგიც არავისზე არ დასცდება. ლექსში „აღარ გამოჩნდა – გულწრფელად ამბობს: „ნაგვემ-ნატანჯი დავიარები, საბნად მახურავს თოვლის ფიფქია, აღარ გამოჩნდა გულში დარეხი. ვინმეს აუგი?.. არც მიფიქრია... ყველას დაძმურად, დედაშვილურად ეფერება, ყველა მისი შვილი და მეგობარია. ზღვარის

ბიჭებო, როგორ ეამაყება და ეიმედება პოეტს თქვენი სიყვარული „ხ-ან ქარიშხალობთ ხან სანთელს ანთებთ, ამ სიყვარულით ერს გადაარჩენთ“. ტკივილებში გამოწრთობილი გული სხვათა სიხარულით ხარობს, გულს აძლევს თავის მკითხველებს და ბედნიერია თუ სხვას მხიარულს დაიგულებს. გულის სისავსისამებრ მეტყველებს პოეტის ენა როცა ამბობს: „გ-ულს მოცემთ და... წვიმის დროსაც შეგიფარებთ, ულამაზეს ვარდს გაჩუქებთ გაზაფხულზე, ლოცვით იმედს ტანზე საბნად დაგაფარებთ, იებს დავრგავ წინაპართა ნაფეხურზე. ლექსებში ეძებს პოეტი ძალას, რომ ლექსით მიეშველოს მრავალტანჯულ ქვეყანას „... გადმომაბარდნე სიკეთის თესვა მუზის მადლი და სურვილი წერის, იქნებ ისეთი სიტყვები მეთქვას, მოყვარედ მექცეს სამშობლოს მტერი.

ქართველი ქალის კლდემამოსილება, პატიოსნება, სინაზე, მამულიშვილობა ჭკუა-გონება მუდამ აოცებდა მსოფლიოს. სწორედ ქალბატონ გულნაზისნაირი ქლბატონები უქმნიდნენ იმიჯს ქართველთა ქვეყანას უცხოთა თვალში. ოჯახის სიმტკიცე, სიყვარული და პატივისცემა უფლის ტახტამდე რომ მიჰქონდათ შეუბილწავად, აი, სახე ქართველი ქალისა, ორ მოჩხუბარ მამაკაცს შორის მანდილის ჩაგდებით უსიტყვოდ მშვიდობა რომ ისადგურებდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულთა შორის. აი, სიტყვები, რომელიც მას ეკუთვნის, ვინც, რომ მისი ღირსია — ლექსში პატივს ვცემ „პატივს ვცემ ყველას, ვისი გულიც ერთს თუ ეკუთვნის, ფარჩა დათმო და წამოუსხამს ნაკემსი შალი... სპეტაკი არის — ისე, როგორც ცივი თეთნულდი, სხვები არ ვიცი... ასეთია პოეტი ქალი. მუდამ მონატრებულ მეუღლეს კი ზეცაში ესმის დაობლებული მეწყვილეს გლოვა-გალობა: „ისევ შენ გელი... უნდა მოხვიდე. ყური დამიდგო და მომისმინო გაყინულ ხელზე, ხელი მოგკიდე, გითხარ, ტკივილი როგორ ვითმინო. ...არ დამიჯერო, ყველაფერს გეტყვი ფიქრს ვანდობ კალამს, თან მეტირება... ღამის სიზმრებში უჩუმრად გეტრფი... დღისით კი გული გაგეტირება...

კითხულობ პოეტის ლექსებს და სათქმელი არ ილევა. თითოეული ლექსი ისეთ მადლს აფრქვევს, თითქოს სუნთქვა გემსის, როგორც სულიერისა, როგორც ეს ლექსები კითხვის დროს სადღაც სხვა სამყაროში გაგიტაცებენ და ის დიდი ტრაგედიაა, სულისშემძვრელი ტკივილები რაც ლექსებშია, გგონია, რომ ბუნებრივი მდგომარეობაა ეს ყველაფერი დროებითია, კაცობრიობის გამოსაცდელად საფეხურია ზემოთ და ზემოთ. რაც უფრო ღრმად სულიერი ხარ, გოლგოთაც მძიმეა შენი. რაც მეტად უყვარხარ ღმერთს, ტვირთიც მეტი გხვდება უფლისმიერი. ქალბატონი გულნაზის პოეზიით და პოეტის გამორჩეული ყოფა-ცხოვრებით სამყაროს ხსნი, რომ ტანჯვითა და განსაცდელების გზითაა შესაძლებელი მარადიული ფასეულობების მოპოვება, ნეტარებაც ტანჯვის შემდეგ მიიღწევა. ამაღლდი საკუთარ თავზე მეტად და ხედავ ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც როგორ სჭირდება შენი თანადგომა. ამიტომ მოსვენების უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს. არ ჩერდები, მიდიხარ ტანჯვაში, წამებაში, მარტოობაში. მიდიხარ ძალმოსილი, უშიშარი და გაბედულად, ხმამაღლა ამბობ, რომ მიმბაძველებიც გამოგიჩნდნენ.

მინდა პლანეტა განვაცვიფრო ჩემი გონებით, გავინავარდო ვარსკვლავებში, მსურს მივწვდე ცასაც, ვთესო სიკეთე, დავარიგო მილიონები, თუ მტერს დასჭირდა გავუწოდო მცირედი მასაც...

ქალბატონო გულნაზ, თქვენს ლექსებზე სათქმელი არ ილევა, გმადლობთ ამხელა სინათლეს რომ გვაზიარეთ. გმადლობთ, რომ თქვენი სიბრძნით ჭირთათმენა გვასწავლეთ, თქვენი ლექსებით ცხოვრებას გვასწავლით. დიდხანს სიცოცხლეს და ცათა მოქალაქეობას გისურვებთ. მრავალი მოხიბლულიყოს თქვენი ნამდვილი ქართველი ქალობით, თქვენი პოეზიით. მრავალს ამოეცნოს თქვენი სულის სიღრმეები და წრფელი გულისნადები.

03.08.2013წ.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი
განმარტება წერილის შესახებ, რომელიც ირანიდან გამოიგზავნა



მოურავს ის წერილი რომ არ წაეკითხა, ყიზილბაშებზე აჯანყებისთვის არ მოემზადებოდაო. ეს აზრი განმარტებას ითხოვს და აქვე ვიტყვით წერილის შინაარსის გაცნობიდან იმ დარჩენილ მოკლე დროში ასეთი გრანდიოზული აჯანყებისათვის მომზადება ვერ მოხდებოდა. გავიხსენოთ, ყორჩიხა-ხანის ირანული ჯარი 1625 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან შემოდის საქართველოში. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მოვლენას, როდის უმხელს სააკაძე აჯანყების გეგმას ზ. ერისთავს, რა აძლევს ამის თქმის გარანტიას, ზ. ერისთავისაგან მტკიცე თანხმობა მიიღოს და რაიმე მოულოდნელობა არ განვითარდეს. პირველი ის, რომ ირანულმა ჯარებმა საქართველოში დაიბანაკეს, უომრად ისინი უკან არ გაბრუნდებიან. მეორე, სააკაძისაგან ზ. ერისთავისადმი აჯანყების გეგმის გამხელა ხდება, ირანული ჯარების შემოსვლიდან ვითომ საქორწინო რიტუალების შემდეგ, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მტერი შეყოვნდეს, მოსახლეობის რბევა არ დაიწყონ, მათი უვნებლობის გარანტია ხელთ ჰქონდეთ. მაშასადამე, ლოგიკაც აქვეა, რადგან სააკაძემ იმედიანად გაუმჟღავნა საიდუმლო ზ. ერისთავს, მისი გულის მოსაგებად კი ლელა-თინათინის ცოლად შერთვაც მომხიბლავად გამოიყენებოდა და თან მისი ეროვნული ღირსებებიც გამოაღვიძა. ეს ხომ იმას ნიშნავს რომ სააკაძისაგან აჯანყება გარდაუვალია? სააკაძისაგან, საქართველოს ბედ-იღბალზე საფიქრელად უკვე მოქცეულმა ზ. ერისთავმა მარტყოფის აჯანყების წრედი შეკრა, მისი მოქმედებაში მომყვანი სადავეები კი სააკაძეს ეპყრა ხელთ. ირანული ჯარები ვითომ ქორწილის საბაბით, ერთი კვირის მანძილზე თბილისში რჩებიან, სადაც საზეიმო რიტუალებიც აღინიშნება, შემდეგ ყორჩიხა-ხანის და სააკაძის ერთობლივი თანხმობით ირანული ჯარები მუხრანთან ახლოს, აღაიანის ველზე დაიბანაკებენ, რომ შაჰის დავალება აღასრულონ. კახეთში დარჩენილი საომარი ძალა მათთვის უვნებლობის ფიცით გადმოიყვანონ, ვითომ თანამონაწილეებად იმერეთზე ლაშქრობისათვის, სინამდვილეში მათი განადგურება სწადიათ. კახეთში საომარი ძალა მთლიანად მოსპონ და ამით კახეთის საქმე მთლიანად მოაგვარონ. ირანელები ამ გეგმას ბოლომდე ვერ აღასრულებენ, კახეთის მეომრებისათვის ცნობის მიწოდება კონსპირაციულად ხდება, მათი განწირულობის თაობაზე, ისინი იარაღის საშუალებით გაარღვევენ მტრის რკალს და თავს დაიხსნიან. ეს მოვლენა გახდება მტრისაგან სააკაძის მიმართ დასაეჭვებელი. ირანიდან წამოსული წერილის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ საჭიროა ისევ ღრმად მივუბრუნდეთ ამ საკითხს. სააკაძის ხელში წერილის მოხვედრას მისი ოპოზიციური მხარე შემთხვევითობას მიაწერს.

ძნელი არ არის გავიხსენოთ მემატიანესაგან არაქელ თავრიზელის ნათქვამი: „ესე მოურავი იყო გონიერი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი მტკიცე განაზრახითა“. მისგან წინასწარი გათვლებითა და დიპლომატიური საზომებით ხორციელდებოდა მრავალი საქმე, მით უმეტეს მარტყოფის აჯანყება, „ასჯერ გაზომე ერთხელ გაჭერი“-ს ხერხებით მიმდინარეობდა, და სააკაძის, თავის მიწაზე მდგომის საქმიანობა გახდა მტრისათვის უკვე საეჭვო, რისი საფუძველიც აღაიანის ველზე, კახელ მეომართა განადგურების გეგმის ჩაშლამ გამოიწვია. ყორჩიხა-ხანი შეეცდებოდა სასწრაფოდ გაეგზავნა შიკრიკი ირანში შაჰ-აბასთან, იმის გასარკვევად, თუ როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. მისაგან ლოჭინის ხევში ქორით ნადირობა მიზეზად ჩანს, სინამდვილეში სააკაძე, ნადირობის იმიჯით, ჩასაფრებულია, როდის გამოჩნდება უბეში წერილ-შენახული შიკრიკი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოჭინის ხევის მიდამოებში მოთვალთვალე სააკაძეს, შიკრიკი ხელიდან რომ არ გასხლტომოდა, მისი შეპყრობის საგარანტიოდ თავისი რამოდენიმე თანამზრახველი ახლო-მახლო ჩასაფრებული ეყოლებოდა. ამ მიზნით, მას ყველა საქმე გადადებული აქვს, ნადირობა მოიმიზეზა და თვითონ წავიდა იმ ადგილას, სადაც ირანიდან წერილის წამომღებს უნდა გამოევლო. მას ხომ შეეძლო ამ საქმის გასაკეთებლად რამოდენიმე თავისი თანამოაზრე სანდო პირნი გაეგზავნა თავის გარეშე. მაგრამ არა, იმდენად მნიშვნელოვანია წერილის მოლოდინი იმ მომენტებში

არსებული მდგომარეობისათვის, აჯანყების ბედის გადაწყვეტაში, რომ თვითონაც გადაუწყვეტია წასვლა, ჩასაფრება და რამოდენიმე თანამოაზრესთან ერთად, წერილის ხელში ჩაგდება. რადგან ასეთი გეგმა-საზომით ელოდება ლოჭინის ხევში, მან ხომ იცოდა რასაც ელოდებოდა? უკვე ამ ეტაპზე შაჰისგან წერილს, ის იყო მისთვის უმთავრესი. ამიტომ სწადია თვითონ დაელოდოს, თვითონ ჰქონდეს ხელთ, რომ ამ ყოფნა-არყოფნის მოვლენებში აჯანყების საქმე არ წახდეს. ამდენად იმ წერილის სააკაძის ხელში მოხვედრა არაფრით არ არის შემთხვევითი.

როგორც ცნობილია საომარი პრაქტიკიდან, როდესაც ჯარი დაიბანაკებს მათთვის სასურველ ადგილას და მთავარსარდალთა მითითებით, დაბანაკებულ ჯარს ყოველთვის დარაჯობენ მორიგე გუშაგები, ცხენზე ამხედრებულნი, შემოვლითი სიფხიზლით. და მარტყოფის ველიდან ლოჭინის ველი სულ ახლოსაა. იქ იმ დროს მაცნეზე თვალთვალი სააკაძისაგან საეჭვო გახდებოდა, ამიტომ აღაიანის ველზე ირანული ჯარის დაბანაკების დროსაა წასული სააკაძე ლოჭინის ხევში სათვალთვალოდ, რომ საეჭვო არაფერი გამხდარიყო. როდესაც ირანელი შიკრიკი გამოჩნდა ლოჭინის მიდამოებში და მის შესახვედრად სააკაძე დაინახა, იგი ადრესატად არ მიიჩნია და გაქცევა სცადა. ისმება ლოგიკური კითხვა: რატომ სცადა უბეში წერილ-შენახულმა შიკრიკმა სააკაძისაგან გაქცევა? მან იცოდა, რომ საიდუმლო იყო წერილის შინაარსი და ვისთან მიჰქონდა იგი. სააკაძემ შიკრიკი შეიპყრო და მოკლა, ამით წერილის შინაარსის გავრცელების მიზეზიც მოისპო. სააკაძისაგან შიკრიკის მოკვლაც კანონზომიერია, და იმას მიგვანიშნებს, რომ წერილის შინაარსი საიდუმლოდ უნდა დარჩეს იქამდე, სანამ ქართველი ხალხისათვის სააკაძისაგან ცნობილი გახდება წერილში აღნიშნული საიდუმლო. მის ასეთ პოზიციაში ასევე იკითხება მარტყოფის აჯანყების სამზადისის დაზღვევაც. მუსტაფა-ნაიმას ცნობით, შიკრიკს სწორედ ვერ გაუგია ამ წერილის ადრესატი და ყორჩიხა-ხანის მაგივრად გ. სააკაძისათვის გადაუცია. ასეთ შემთხვევაში ეს მოვლენა შიკრიკის პატიოსნებაზე მიგვანიშნებს, მისი მოვალეობა არ იყო წერილის წაკითხვა, მისი მოვალეობა ადრესატამდე მიტანა იყო. და მისი ფიქრით, ყორჩიხა-ხანი და გ. სააკაძე იმ შემთხვევაშიც თანამოაზრენი ეგონა, რის საფუძველზეც შიკრიკმა წერილი სააკაძეს გადასცა.

შემთხვევითი და მოულოდნელი ის იქნებოდა, რომ მომლოდინე სააკაძისაგან გზის ავლით, მის გარეშე, ქართლში დაბანაკებული ირანული ჯარის ერთ-ერთ ვინმე მეომრის ხელთ, შემდეგ მაღალ ჩინოსანის ხელში აღმოჩენილიყო წერილი, ისინი მაშინათვე მიურბენინებდნენ ყორჩიხა-ხანს, და წერილის შინაარსის მიხედვით „მოურავს თავი მოჰკვეთეთ და ქართლი აჰყარეთ“ შაჰის ბრძანებას, ყიზილბაშები ყოველგვარი მიზეზის გარეშე აღასრულებდნენ.

შემთხვევითობა და მოულოდნელი იქნებოდა ისიც, თუ ხსენებული წერილი სააკაძის მომხრეთა ან მისაგან ახლად-შემორიგებულ ნაწილ დიდებულთა ხელში აღმოჩნდებოდა. წერილის მოხვედრა სააკაძის მომხრეთა ხელში საშიშროებას არ წარმოადგენდა, რამეთუ ისინი მაშინათვე სააკაძეს წარუდგენდნენ. მაგრამ თუ ქაიხოსრო ჯავახიშვილის თანამოაზრეთა ხელში აღმოჩნდებოდა, რომელთაც ხელმეორედ სცადეს სააკაძის მოკვლა, მართალია, შერიგების გზაზე დამდგარნი იყვნენ, მაგრამ სააკაძეს მათ მიმართ სრული ნდობა მაინც ვერ ექნებოდა. ქართლის მოსახლეობის აყრა დიდებულებს არაფრით არ ენდომებოდათ, თუ მოსახლეობა ქართლში აღარ იქნებოდა, მაშ ვისთვისღა იქნებოდნენ თავადები და ერისთავები? მაგრამ წერილში აღნიშნული სიტყვა-“მოურავს თავი მოჰკვეთეთ“- ეს ისეთი საფრთხილო პოზიციაა, დიდებულთა ნაწილს ისევ გაახსენდებოდათ მათი სააკაძის მიმართ შუღლი, რადგან ორჯერ ვერ მიაღწიეს საწადელს და ვერ მოკლეს სააკაძე, ამის შანსი, შემთხვევით წერილის მოხვედრა მათ ხელში, დიდი სარისკო იყო, შესაძლოა, დავიწყებოდათ სააკაძესთან შერიგების გზა, მარტყოფის აჯანყების სამზადისიც, მით უმეტეს, თუ მტრის ხელით მოიკვლებოდა სააკაძე, მათთვის უფრო სასურველიც იქნებოდა, ისევ დაბნელებოდათ გონება, გადახრილიყვნენ სატანისაკენ, და მათ ხელში შემთხვევით მოხვედრილი წერილი, პირდაპირ ყორჩიხა-ხანისათვის მიეტანათ. ყორჩიხა-ხანი — მეორე შემთხვევაშიც იმოქმედებდა ისე, როგორც წერილში იყო მითითებული შაჰისგან, პირველ რიგში სააკაძეს გაანადგურებდნენ.

ამიტომ თვითონვე გვეუბნება წერილის არსებობა და შინაარსი, მისი საიდუმლოება, სააკაძისაგან ქართველი მოსახლეობის წინაშე წაკითხვამდის საიდუმლოდ უნდა დარჩეს და ყოველი შემთხვე-ვითობიდან დაცული და დაზღვეული უნდა ყოფილიყო. წერილმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი და გამართლება, პირველ რიგში მტერს არ უნდა ჩაუვარდეს ხელთ. არც ახალ შემორიგებულ ოპოზიციის ხელში არ უნდა აღმოჩნდეს. ამის გამო ლოჭინის ხევში სააკაძისაგან წერილის ხელში მოხვედრა და მისი

შინაარსის სწორ გზაზე დაყენება, მარტყოფის აჯანყების გეგმის განმსაზღვრელ ნაწილად აისახება. დამაფიქრებელია, წერილი თუ შემთხვევით მოხვდებოდა სააკაძის მომხრეთა თუ ყოფილ ოპოზიციის, და იმ ეტაპზე უკვე შემორიგებულთა ხელში? მაინც ვერ იქნებოდა დამაჯერებელი სანდოობა სააკაძის მხრიდან, და შესაძლოა მიეღო არა სასურველი შედეგები. მით უმეტეს, თუ წერილი ყოველგვარი წინგაუხედაობის, ან ნაწილ დიდებულთა ამბიციათა საფუძველზე, მტრის ხელთ აღმოჩნდებოდა, მაშინ ხომ პირდაპირ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა თვით სააკაძის სიცოცხლე, და მარტყოფის აჯანყების გეგმაც?

რადგან სააკაძე მთელი მუყაითობით ელოდება ირანიდან წამოსულ წერილს, ცხადია, მასზედ მნიშვნელოვანი მდგომარეობაა დამოკიდებული, რასაც სააკაძე განსაკუთრებული დიპლომატიური როლის შემსრულედ გამოიყენებს. იმ ძირითადი არსის შესაცნობად, თუ რა ეწადა შაჰ-აბასს ჯერ სააკაძისათვის, მერე აღმოსავლეთ საქართველოსთვის. ვინაიდან იმ ხანად ისევ იარსებებდა სკეპტიკოსთა პოზიცია, წერილის შინაარსის გაცნობის დროს ქართველი ხალხის გონების დასანახად თვალსაჩინოდ გამოხატავდა შაჰის რადიკალურ პოზიციას, რომ მას სააკაძე ცოცხალი აღარ სჭირდებოდა და იგი თავმოსაკვეთია, ქართლის მოსახლეობა კი უნდა აიყაროს, და იმ შემთხვევაში წერილის შინაარსის საფუძველზე. უკვე ერთიანი ქართული ფსიქოლოგია დადგებოდა ერთ მყარ პოზიციაზე, მობილიზება მოეხდინათ მტრის გასანადგურებლად. ისტორიკოსი გივი ჯამბურია განმარტავს, წერილის შინაარსმა დააჩქარა მარტყოფის აჯანყებაო. რაც უდაოდ მტკიცდება იმ მოვლენების ლოგიკური მსვლელობით. რაც შეეხება შიკრიკს, რომელსაც წერილი მოჰქონდა, მისი მიზანი იყო იქ მიეტანა წერილი, სადაც ყიზილბაშები იყვნენ დაბანაკებულნი, იმ შემთხვევაში ისევ აღაიანის ველზე. იგი არ მოელოდა თუ მას ვინმე წინ დახვდებოდა, და მოსთხოვდა გაეგო ასეთი გამალებით რატომ მოიჩქაროდა. იგიც ჩვეულებრივი მტერია, თავისიანებთან მიიჩქარის, ყორჩიხა-ხანი ელოდება. მან პირველსავე შეხვედრისას სააკაძისაგან გარიდება სცადა,მას ისიც ხომ ეცოდინებოდა, რომ იმ ეტაპზე სააკაძე ყორჩიხა-ხანთან ერთადაა. ის კი აქ ლოჭინის ხევში ხვდება. შესაძლოა, სააკაძემ როგორც ქორით მონადირემ ტანისამოსი შეიცვალა და სახე-პირიც დაიფარა. და შიკრიკმა ამის გამო ვერ იცნო. შიკრიკის მოვალეობაა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე წერილის სახით მიიტანოს ინფორმაცია. წესით, მას არ უნდა სცოდნოდა წერილის საიდუმლო. მაგრამ თუ მეორეს მხრივ შევხედავთ იმ მოვლენას, რაც აღაიანის ველზე კახელი მეომრებისათვის, მათი განადგურების გამხელის სააკაძისაგან შეტყობინებული ინფორმაცია იყო. ამ მიზეზით ყორჩიხა-ხანი სასწრაფოდ აგზავნის შიკრიკს ირანში. რა უყონ სააკაძეს? ამ შიკრიკს ხომ გაცნობიერებული ექნებოდა, რისთვის უნდა წასულიყო ისევ ირანში. რა ინფორმაცია მიჰქონდა შაჰთან? მით უმეტეს მასაც როგორც ერთერთი მტერთაგანს, ეცოდინებოდა თუ რა გეგმებით დაიბანაკეს ყიზილბაშებმა საქართველოში, ახლა კი საეჭვოდ გამხდარა სააკაძის ყოფნაც თავის მიწაზე და შაჰის გეგმა-მიზნებიც უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ერთი მოვლენა კი უდაოა, რადგან შიკრიკმა სააკაძე ვერ იცნო, მას ნადირობის საბაბით ტანისამოსი და სახე დაფარული ჰქონდა, რადგან შენიღბული იყო, ამას მარტყოფის მოვლენები ითხოვდა, ძნელი წარმოსადგენია შიკრიკისაგან სააკაძის ვერ შეცნობა, რადგან ის ირანში 12 წელი იყო. ირანელი მაღალი თუ დაბალი ფენისათვის სააკაძე ფიზიკურად ცნობილი უნდა ყოფილიყო. რადგან შიკრიკმა სააკაძისაგან გარიდება სცადა, ეტყობა შაჰის ჯარებისათვის საგანგაშო ინფორმაცია მიჰქონდა, რაც შეიძლება მალე გასწორებოდნენ სიკვდილით მოურავს..

სააკაძისაგან ნადირობის საბაბით, დაჭერილ სიფხიზლეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ირანიდან წამოსული წერილი არასასურველთა ხელში არ მოხვედრილიყო. და სააკაძის ხუთ კაციანი ჯგუფის კარავში ჯდომა- ლოდინი, ქართულ ჯართან შეთანხმებულ დროზე მოსვლით, საორჭოფო არ გამხდარიყო. ამიტომაა „მარტყოფის ომი“ მსგავსებაში 1121 წლის „დიდგორის ომთან,“ სადაც დავით IV აღმაშენებლის თადარიგით, 200 კაციანი გამოჩენილ მეომართა ჯგუფი გაიგზავნა თურქ-სელჩუკთა ყურადღების მოსადუნებლად. მტერი ფიქრობდა, ქართველებს გასჭირვებიათ და ამიტომ მოლაპარაკება დასჭირვებიათო. სინამდვილე კი სულ სხვა იყო. ამ 200 კაციანმა თავგანწირულმა ჯგუფმა, როგორც კი ისინი მტრის შუა ბანაკში აღმოჩნდნენ, ხმლები ამოაგელავეს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ. ამით ძირითად ქართულ ჯარს საშუალება მიეცა იერიშზე გადასულიყვნენ. არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ასე ვიტყვით: როგორც 1121 წლის დიდგორის გამარჯვებით საქართველოზე თურქ-სელჩუკების ბატონობას ბოლო მოეღო — ისე 1625 წლის მარტყოფის გამარჯვებით, ყიზილბაშების აღმოსავლეთ საქართველოზე ბატონობას დიდი დროით ბოლო მოეღო. ყოველი შემთხვევითობიდან დაზღვეული, ემოცია გაწონასწორებული, დაწმინდავებულ, დაფაქიზებული სააჯანყებო სამზადისი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო. აღმოსავლეთ საქართველო ან ყიზილბაშურ მონობაში უნდა დარჩენილიყო,

ან სულის სისპეტაკით უნდა ეომა რომ გადარჩენილიყო. ეს ომი სააკაძისაგან დიპლომატიურ მოვლენებში ხანგრძლივ დროში ნაჭედ-ნაწრთობი მდგომარეობითაა დასანახი. მეორე მხრით, ეს ომი თავისი ფიზიკური საბრძოლო მოქმედებებით, დილით უთენიაზე დაიწყო და დაღამებისას დამთავრდა. სრული ერთი დღის მანძილზე, მტრის 27 ათასი მეომარი მიწასთან გასწორდა, როგორია?

ახლა წარმოვიდგინოთ ის, რაც არ მომხდარა; ირანიდან წამოსული წერილი მტრის ან თუნდაც შინაურის, ანუ ახალშემორიგებულთა ხელთ მოხვედრილიყო, თვით სააკაძე დარჩებოდა ცოცხალი? ან საერთოდ მოხდებოდა „მარტყოფის ომი“? ამიტომ ის წერილი სააკაძის ხელში არა შემთხვევითი, არამედ მისგან გათვლილი კანონზომიერი გზებით აღმოჩნდა.

ვის ეგადეგა ეჭვი

გიორგიმ შვილი სამშობლოს შესწირა,
პაატა... ჩვენდა გადასარჩენად...
ვის აქვს სადაო, ვის რა ეწყინა,
ან რას უდებენ ღალატს სარჩულად,
მსხვერპლად სარდალმა იხსნა მამული...
ქრისტიანობა... ძეგლი, მითები...
გადაგვყლაპავდნენ ვითარც ხრამული,
ნუ გებადებათ ეჭვით კითხვები.
მოაზროვნეთა სწორ შემფასებელს,
ღმერთმა უბოძოს გიორგის ხმალი,
იმედს ვერ ვხედავ ჯერ სასესხებელს,
კვლავ ვერ დავლიე მე ფსოუს წყალი.
ასეთი გმირი ო, როგორ მინდა,
მსხვერპლად თუ გინდა თავი მომკვეთოს,
მიწებს გვწინკნიან კვლავ ყოველმხრიდან,
და აღარ ცნობენ მტერს და მოკეთეს.
იძულებული ვტოვებთ მამულებს,
ლუკმა პურისთვის რას არ ვაკეთებთ,
მკლავს სამაჩაბლოს ხილვის წყურვილი,
და აქეთ-იქით თვალებს ვაფეთებ.
სამშობლოს იმედს ნისლები ფარავს,
ერთი სხივი კი რამდენს გაწვდება...
შემოვიგროვოთ დაშლილი ფარა,
თორემ ქართველი ერში გაწყვება.

გულნაზ ხარაიშვილი

რე ზო ადამია — **გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლისა და ვაჟა-ფშაველას პრემიების ლაურეატი**

ქრისტიანული საოცრება — „სუმელას“ მონასტერი



ტრაპიზონი და მისი შემოგარენი, მიწისქვეშეთიდან დაწყებული, ცივილიზაციათა კულტურისა და ხელოვნების ძეგლებითაა სავსე. ქალაქი თავის დროზე წარმოადგენდა ტრაპიზონის უძლიერესი იმპერიის ცენტრს, რასაც ადასტურებს უმთავრესი ციხის ნანგრევის თავზე, ქვეყნის მოთვალთვალედ დაშენებული იმპერატორის ოდა, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი...

დღევანდელი დღე მზიანი და ნათელი დაიწყო, უსასრულობაში ჩაძირული, ერთ დროს ლაზეთის ზღვა, უხმოდ გაწოლილა და კოსმიურად თვლემს.

ბატონი ნეჯათი, ტრაპიზონის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ბატონი წათე ბაწაში, საქართველოს კონსულის, გიორგი ჯანჯღავას, მოადგილე და თქვენი მონა-მორჩილი ქალაქიდან გავდივართ მამათა მონასტრის — „სუმელას“ მოსანახულებლად. დღეს ჩემი პირადი და მთავარი ამოცანაა მიტოვებული ისტორიული ძეგლის ფერწერულ ტილოზე გადატანა.

გზადაგზა გვეგებება ულამაზესი პეიზაჟები, კოხტად მოწყობილი თურქული სოფლები, საგულდაგულოდ დამუშავებული ყანები და ეზოები. ყოველი სოფლის ცენტრში აღმართულია თეთრი მინარეთები, რომლებიც მედიდურად გადმოჰყურებენ თავიანთ სოფლებს, ზეცისკენ უცნაურად რომ მიელტვიან და მითოლოგიური, ღრუბლისფერი ჩიტივით საამოდ გასუსულან. აქაური მეჩეთების უმეტესობას გააჩნია ურთიერთისაგან განსხვავებული არქიტექტურა, მაგრამ ეს მინარეთები უჩვეულო გეომეტრიული ფორმისაა, დღევანდელ საპლანეტაშორისო რაკეტებს მოგაგონებთ. შორეულ

ეპოქებში უცხოპლანეტელებმა ხმ არ ასწავლეს არაბთა წინაპრებს? უთუოდ აქ, არაბთა უძველესი ცივილიზაციის ხაზგასმული ელემენტებია ჩასახული. ურთიერთზე გადაბმული სოფლები და კანტიკუნტი დასახლებებიც შეწყდა. მშვენიერი კეკლუცი ხეობა თანდათან ვიწროვდება და ხშირტყიანი მთები უფრო და უფრო გოლიათურნი ხდებიან; მათ უწყვეტ წყებას ბოლო არ უჩანს, თითქოს დამძიმდა და მოიქუფრა ხეობა. მუქი კლდეებნარევი მთები გახშირდა, მრავალი მათგანი წაგორავებულა ან წამოწოლილივით გადაწელილა სიგრძივად, ზოგიერთნი გაავებული დევებივით ზეაღმართულან და ასე გავდივართ მშვენიერებათა სანახაობის და აღტაცებების მომგვრელ რამდენიმე ათეულ კილომეტრს. მოულოდნელად ჩვენს წინ აღიმართა საოცრება — უზარმაზარი კლდოვანი მთა და მის მკვრივსა და უდრეკ მკერდზე მიდუღაბებული, ვერცხლისფრად ანთებული მონასტერი, რომლის ღვთიურ შუქს სამოთხედ უქცევია სივრცე და გარემო. სამწუხაროდ, უკაცრიელია აქაურობა. ათას ხუთას წელზე მეტ ხანს ჩქეფდა ამ მიწაზე ქრისტიანული ცხოვრება და ბერმონაზვნური მოღვაწეობა. დღე და ღამე გაისმოდა ეკლესიური ლაზური ტკბილგალობანი და უფლის მადიდებელი ლოცვანი ქვეყნის, ხალხისა და სულის გადასარჩენად. ზოგიერთ რელიგიათა ფანატიზმმა და გულქვაობამ ჩააქრო ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია, „სუმელა“ და მისი დონის თუ უფრო ამაღლებული, სულიერი და კულტურის ცენტრები მოშალეს და უკაცრიელ უდაბნოდ აქციეს. აუცილებელია შექმნა შენი ეროვნული ხელოვნება და კულტურა და გააძლიერო საკუთარი რელიგია. ამით გაამდიდრებ კაცობრიულს, მაგრამ დამხვედრ კულტურას თუ შენს მეზობლად მყოფს, რომელიც წარმოადგენს უძველესს, უნიკალურსა და განუმეორებელს, ნუ დაანგრევ და ნურც მოსპობ. თქვენი, მათი და ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებითაა დედამიწა და სიცოცხლე საინტერესო. თუ არადა, ოი! როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და გაბრტყელებული იქნებოდა ეს ქვეყანა. სიცოცხლე გვაწვალებს, თითქმის გვტანჯავს. დედამიწაზე ხელოვნებათა და კულტურათა სიმრავლე რომ არ იყოს, განადგურებული სული რა მალე შეაბერდებოდა წამებულ სხეულს და უაზრო მარტვილობას დაემსგავსებოდა ამქვეყნიურობა. სხვისი ბუდის მიმთვისებელნი, უნამუსო, უშუბლო და გრძელნისკარტა ფრინველები, უხსოვარი დროიდან არ აკლდა ჩვენს ჯვარცმულ საქართველოს.

კოლხურ-ლაზური კულტურის უძველეს ძეგლებს აქ მიზანდასახულად მხოლოდ ბიზანტიურს მიაკუთვნებენ. დღევანდელი ლაზები კი — ჩვენებურიაო, — გვეუბნებიან და სრული ჭეშმარიტებაა. ბიზანტიის იმპერია დღეს არ არსებობს და სამუდამო განსასვენებელშია. ლაზურ-ქართული მარად უკვდავი ეროვნული ფენომენი პლანეტის სახეზეა. ჩვენი კულტურისა და ხელოვნების გამომზეურება თითქოსდა მათთვის მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ოცნება „სუმელა“, როგორც კი გამოგვეცხადა და ჩვენს წინაშე ამაღლებული წარსდგა ღვთისა და სამყაროს უდიდეს ტაძრად, იმისმა კოსმიურობამ, საკვირველმა სულიერებამ და სრულიად უცხო გარემომ ტანში ჟრუანტელი ამიტეხა და მკლავებზე ბურძგლები დამაყარა. მონასტერში დროის უქონლობის გამო არ ავსულვარ და იქაურობა არ დამითვალიერებია, თორემ მწარედ გავლიზიანდებოდი, დეტალურად რომ მეხილა უსასტიკესი იმპერიებისაგან ორჯერ დაპყრობილი „სუმელა“, ლაზური სიამაყე „სუმელა“. ჯვარს გაკრული მაცხოვარივით, მიმტევებლობით ყველას პატიობს და შორს გამხედვარი წმინდანურად მეტყველებს; არა იციან, რასა იქმან!.. ლაზური, მონასტრის პირველადი სახე, მიწის ქვეშ რომ ინახება, „სუმელას“ ბიბლიურ-კოსმიური სულიერებითაა გაჟღენთილი და ამ უზარმაზალ კლდე-მთასთან ვერაფერი მიწიერი ძალა ვერ გაყრის...

ასე რომ, მონასტერში ასვლით აურაცხელ შთაბეჭდილებას და ცოდნას კი მივიღებდი, მაგრამ ამ დროისათვის ჩემთვის მცირედი ვირჩიე „სუმელას“ მთლიანი ხედის, ფერწერული ტილოს შექმნის სახით. მხატვრის ცხოვრების შინაარსს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამ სახის საქმიანობა ამართლებს. როგორც მხატვარ-პეიზაჟისტს სჭირდება, ისეთი შესაფერისი ადგილი ავირჩიე და სამუშაოდ მოვეწყვე. „სუმელა“ კი განდგომილი უცხო პლანეტასავით უსასრულობის სივრცეში რაინდულად იმზირებოდა. ამაღლებულ მოწმენდილ ბორცვზე ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე ხმელი ხის ტოტებისგან ცეცხლს ანთებენ და ცისფერ-ნაცრისფერებში არეული კვამლის სვეტიც აღიმართა. მაგრამ ფერწერამ და „სუმელამ“, ძალაუნებურად, ერთმანეთისაგან გამოგვყო. ბატონმა ნეჯათმა ერთი ჭიქა რაქიც დამალევინა, თევზი და შავი პურიც მიმაყოლებინა. შინაგანად უფრო ავენთე და ამ წუთებში ალბათ ნახევრად გიჟს ვგავდი. ატეხილი ენთუზიაზმით დავიწყე „სუმელასთან“ ერთად უზარმაზარ ქანდაკებად აღმართული წმიდა მთის ხატვა და მოულოდნელად იწყება უფლისმიერი საოცრების გამოცხადება მუქი ლურჯი ცის სიღრმიდან: კოსმიური ცურვით დინჯად წამოვიდა თეთრი მტრედისფერი ღრუბელი, გარკვეული დროით „სუმელას“ გადაეფარა, ზეციურად მიეალერსა და თბილი ვერცხლისფერი ანგელოზის ნისლოვანი კაბა ჩააცვა; გაათბო,

შორეულიდან მოყოლებული ჭრილობები მოუშუშა და მთლიანად ციურ ტაძრად გარდასახა... შემდგომ, თანდათანობით, ზეძალამ მოხსნა თეთრი მზიური სამოსელი და მოკრძალებით განზე მიდგა, წუთებში გაირინდა, მერმე თითქოსდა შეუმჩნევლად ამოძრავდა, უზარმაზარ მთის ქიმს ნელი სვლით გადაუარა და დასავლეთის ცის შორეულ სილურჯეში გაქრა. მისგან განწმენდილი მონასტერი მზის შუქზე ათასობით წმინდა სანთლად აენთო, ალივლივდა და ღრმა საიდუმლოებით მოსილი „სუმელა“ მონასტრისეულ ლოცვად გარდაისახა. სრული სწრაფვაა აქ ზეცისაკენ და მთლიანად სამყაროსეულ სივრცეს განეკუთვნება. ამ დროს „სუმელას“ წმინდა სავანე ყველასათვის ღმერთივით ახლობელია და შორეულიც... უსასრულო ფიქრს, უდიდეს საიდუმლოებას და რამხელა სევდას მოიცავს ეს ლეგენდა მონასტერი. აბა, ვინ მოთვლის, რამდენი თაობის ბერებს ულოცვიათ. უამრავ ბერს სიბერე შეჰპარვია ამ სამოთხეში და სიკვდილს სიცოცხლე აუყრია მათთვის, სხეულიდან განდევნილი სული ცის უსასრულობაში აჭრილა. წარსულის იდუმალების სკივრშია ყოველივე ჩაკეტილი. ამჟამად მათი ნიჭი-გენია და ღვთისნიერი სულიერება შორეულშია მოფარებული, ცოცხალი ადამიანებისათვის გაუცხოებული და მიუწვდომელი...

ყოველი დროის ფუნჯის ოსტატებს და გენიებსაც გაუჭირდებოდათ იმ კოსმიური სილამაზის და ღვთიურობის გადმოცემა, რაც ამ წმინდა მთის ირგვლივ ტრიალებს. სრულიად სხვა სილამაზეა აქ, უფრო დრამად ქცეული კოსმიური სურათი. წუხელ უწვიმია და საკმაოდ ცივა. ამჟამად მზე თავისი გულუხვობით გვაწვდის თბილ სხივებს და ხალისიან განწყობილებას. დღის მთლიან მონაკვეთში აქაურობა ყოველ ხუთ წუთში იცვლის თავის იერსახეს, ფერს, განწყობილებას და კოლორიტს. ვინ მოთვლის იმ ფერთა სიუხვეს, რა ფერთა უთვალავი გამაც რიალებს. ვერც ერთი დიდი კომპოზიტორის მუსიკა ვერ შეედრება მათ მუსიკალობას, რომელიც მოტივის უხმო სივრციდან მომდინარეობს. აქ მხოლოდ სამყაროსა და ღვთის მუსიკა ორკესტრირებს. კომპოზიტორებისგან სრულიად განსხვავებულები არიან, მაგრამ დაბეჯითებით მჯერა: ბეთჰოვენი, მოცარტი, შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ვერდი, ბიზე, ტოსკანინი და ვაგნერი გასაოცარ მუსიკას ჩამოკრეფდნენ ამ საოცრება მთის გარემოდან.

მზე გაგვექცა! რაგინფ ეფერო და ესიყვარულო ამ გავარვარებულ დისკოს, ის მაინც ერთი წამითაც არ შეგიჩერდება... უმზეოდ დარჩენილ ქვეყანას მოუსაღამოვდა და სიბნელეში გაეხვია. ამავე დროს კოსმიურმა შემოღამებამ სრულიად განსხვავებული ციური შუქები ჩამოგზავნა, სადაც შეზავებულია უთვალავ ვარსკვლავთა სხივთა ნიუანსები. აქაური ღამის სილამაზეს ახლავს ჩრდილთა გოლიათური მოჩვენებებიც.

მზე შეუჩერებლივ დაშორდა დედამიწის ჩვენს მხარეს და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიისმაგვარი მუსიკა ქუხილით გაიყოლა...

„სუმელას“ მონასტერი IV ან III საუკუნისაა, უფრო ადრეული თუ არა. ეგრისის სამეფოში თუ ლაზიკაში, იმ პერიოდში შენდება არქეოპოლისის ორმოც მოწამეთა ეკლესია, რომლის მხოლოდ ფუნდამენტია აღმოჩენილი და კიდევ რამდენიმე უძველესი სალოცავი, დამპყრობელი ბიზანტიის იმპერიის პერიოდში, მონასტრის გაფართოება და კედლების ამაღლება ხდება XI-XII საუკუნეებში; შემდგომ ისევ მეორედ განახლება XIV საუკუნეში. ამჟამინდელი არქიტექტურა და მთლიანი ფასადის სახე, დასაშვებია, XIV საუკუნისა მოჰყვებოდეს.

ლეგენდაა ეს მთა! მთის ქიმზე გადაკრული ბუნებრივი ტყის ზოლი მუქ მომწვანო ლურჯად გამოიყურება, შემდეგ, გრანიტივით ჩამოირეცხება უზარმაზარი კლდის კედელი, მრავალფერად აფერადებული ზოგჯერ ვერცხლისფერია, შიგადაშიგ მოვარდისფრო, ეგერ-აგერ ნათელი წითელი აგურისფერი გადაჰკრავს; კლდის კიდეებზე მომწვანო კეთილშობილი ფერები თამაშდებიან, მთლიანი კედლის ფერთა მრავალსახეობას კალმით ვერ აგიწერთ, უფრო მიახლოებით, ფუნჯით ვეცდები დავხატო. მდიდრულსა და დიად „სუმელას“ მთის ძირიდან ვეებერთელა შერეულ ხეთა ტყე აწვება, უშველებელი ნაძვის ხეებით და წიწვნარით გიგანტურ წაბლის ხეთა რიგია ირგვლივ. ამ ძლიერი ტყის ენერგიით ქვემოდან მიწისმიერი სიძლიერით ზევით ეზიდება და ზეციური ამაღლებისკენ აჰყავთ მონასტერი. კოლხური ვერცხლის მონეტად ქცეულ ლაზურ „სუმელას“ ვერ მორევია ვერაგი დრო, ვერც უცხო რელიგია, რომელიც მეხივით ჭექს მის ირგვლივ... სრულიად სხვა სილამაზეა აქ, მშვენიერებაზე და დიადურობაზე უფრო მაღალი, სამყაროს უსასრულობასთან წილნაყარი. კრისტალური ჰაერით, ფრესკული ცისფერებით, მიწის მშვენიერებით და უხილავი სილამაზით გაჯერებულა „სუმელას“ ქმნილება. სრული სახით მხოლოდ უფალი გრძნობს და ხედავს მის ფიქრებს, გამჭვირვალე სევდას, მარტვილობას, უფალივით უდანაშაულოს ჯვარზე გაკვრას, რითაც მონასტრის ყოველი ფერი, ხაზი, ფორმა, სახე და განწყობილება მარადიულობის დრამას შერწყმია, გასაიდუმლოებულა, გაუცხოებულა, გამარტოხელებულა და ლაზური სიმბოლო „სუმელა“ მისეულ სევდის ოკეანეში მონარნარე, თეთრ იალქნიან ია-იასფერ ნავად გარდაქმნილა, რომელშიც ლეგენდად ქცეულ

ლაზს სათევზაო ოქროსფერ ბადეზე ხელი უშვია. ოი! შენ და ბედო ჩვენო, ზოგან ლაზის ხსენება რომ უხერხულია და მის კულტურაზე საუბარი მავანთა გამღიზიანებელია. ლაზი ხალხი ოდითგანვე მძიმე ბედის მქონეა, „სუმელა“ ლაზის წმიდათაწმიდა სახე და მისი სულიერი მთლიანობის სიმბოლოა...

სურათზე მუშაობა ჩქარი ტემპით უნდა წარვმართო, თორემ მალე მთის ბინდი ჩამოწვება და უფრო დაბნელდება. არც თურქული რაქი მერევა და არც მთის სიცივე, მხოლოდ „სუმელამ“ მშთანთქა და მთლიანად მას ვეკუთვნი.

ძველკოლხურ სივრცეში ყველაზე ლამაზად და ღრმა შინაარსით სიტყვა „ლაზი“ ჟღერს; ასეთია ჩემი შინაგანი ხედვა და განცდა... ილოცე, ჩემო ლაზო, იქ, სადაც შავმა ბედმა გარგუნა, ილოცე გამუდმებით, რათა გადაარჩინო შენი ჯიში და ჯილაგი.

„სუმელაც“ შენზე ილოცებს, კეთილო რაინდო ლაზო. მოვა დრო და „სუმელას“ უძველეს მონასტერში ლაზი კაცი დამთვალიერებლად კი არ მივა, არამედ მომლოცველად, მრევლად და პატრონად. ისტორია ბორბალივითაა, განსაკუთრებით ერი თუ ტომი, ლაზი და „სუმელა“ მომავალში სახარებასავით გამთლიანდებიან. გზა ყოველთვის ძველისძველ გზის ნაკვალევს უბრუნდებაო! მდინარე დროთა ჟამში თავის პირვანდელ კალაპოტში დგებაო! ასეა წინაპართა ნაამბობი. „სუმელას“ სურათზე მუშაობისას ეს ფიქრებიც მიღრღნიდა გონებას, ხოლო ჩემი მეგობრების, ბატონი ნეჯათისა და ბატონი წათეს კეთილმეგობრული საუბარი სასიამოვნო ფონს მიქმნიდა.

დაღამდა. მეგობრები და სუფრა დროებით დავტოვე. მერმე „ეტიუდნიკში“ მასალები, ფუნჯები და სხვადასხვა წვრილმანი ჩავალაგე, დავკეტე და ხელსაწყოები, ნივთები, „სუმელას“ წერტილდასმულ სურათთან ერთად, მანქანასთან ჩავიტანე. ჩვენთან ახლოს მუქი მწვანე ფერის უკაცრიელი საგუშაგო დგას. მეორედ ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედროებმა ჩამოგვაკითხეს და მეგობრულად გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთი ლაზი იყო, რიგითი ჯარისკაცი, სულ გვიღიმოდა, ძალიან კარგი ვაჟკაცი ჩანდა. ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე გამოელაპარაკნენ, ჩემი ვინაობაც მოახსენეს, ეფენდი გურჯი რესამიაო (ეს ბატონი ქართველი მხატვარიაო). გაუხარდა და განცვიფრებული მიყურებდა. მერმე სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ამჟამად ხეობაში მხოლოდ „სუმელა“ და ჩვენა ვართ, მაგრამ დავიჯერო, რომ აქ, ჩვენს გარდა, არავინაა?! ვდგავარ სიბნელეში აქაურობით აღტაცებული, რადგან მთის ღამე გაუგონარ და არნახულ იდუმალ სილამაზეს გვთავაზობს, მუქ უზარმაზარ სვეტად აღმართულა „სუმელას“ კლდე-პერანგი მთა, შავ ფიქრ-დარდად თავს დაგვდგომია და უხმო მუსიკა მოდის მისგან, მხოლოდ გენიალური ბეთჰოვენი თუ ამოიკითხავდა ამ უხილავ ნოტებს... ღამეულმა სიბნელემ ნამებული „სუმელაც“ მიიერთა და სევდიან მდუმარებაში ჩაძირა. ბებერი მთვარე აღმოსავლეთიდან ამობუსუნდა და გამარტოხელდა. გაოგნებული მივჩერებივარ ამ სურათებს, საიდანღაც დინჯი ნაბიჯებით მომიახლოვდა ვეერთელა ჩალისფერი ძაღლი, მუხლიდან კოჭამდე დამყნოსა, მხოლოდ თვითონ იცის, როგორი დიაგნოზი დამისვა; მჯერა, ეს დათვივით ძაღლი ჩემი ზნეობის გარკვევაში შეცდომას არ დაუშვებს... მაგრამ მაინც ძაღლია! შესაძლებელია, მთელი დღე შორიდან გვითვალთვალებდა. შორეული ისტორიიდან გამომდინარე, აქ ყველა გითვალთავლებს, გსწავლობს და სწავლობენ მას, შენ და მე... ძაღლი დგას უძრავად და თვალებში მიყურებს. ცხოველებიდან ყველაზე მეტ დროს ძაღლი და კატა უყურებს ადამიანს თვალებში — ძაღლის თვალები ადამიანისაზე არანაკლებ კეთილია, კატისა — მატყუარა და ცბიერი... მერმე ძაღლს თოხის ტარის სიმსხო კუდი შეუტოკდა, მაშინვე ვიგრძენი — ჩვენი დაძმაკაცება იწყებოდა. მორიდებით და მოზომილად გასრიალებულ შუბლზე ხელი გადავუსვი, თვალები არც კი დაუხამხამებია, ისე მიყურებს. ბანჯგვლიანსა და მეჭეჭიან ნიკაპზე გაშლილი მარჯვენა ხელის თითებით უშიშრად მოვეფერე და, ბაქული-მეთქი, წყნარი ხმით მივმართე. ძაღლს გაეღიმა, დათვივით ხახა დააღო და ხელების ლოკვა დამიწყო... ბატონმა წათემ მითხრა, მაშინ ზემოდან გაოგნებული გიყურებდითო. ბატონი ნეჯათი ცუდის მოლოდინის განცდისაგან დაპატარავდაო და წარბები შუბლზე ჰქონდა აყრილიო.

მიუხედავად სიბნელისა, სამივე დავფაცურდით და ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ მოვასუფთავეთ. ძაღლს საჭმელიც დავუყარეთ, მაგრამ პირი არ დაუკარებია და არც კი დაუყნოსავს. — ჩვენი წასვლის მერე შეჭამს, აბა რა იქნება, — ჩავილაპარაკე და, „სუმელას“ ნახატიდან დაწყებული, ყველაფერი მანქანაში ჩავალაგეთ. ძაღლი გზის განაპირას დინჯად იდგა და თვალს არ გვაშორებდა. ბატონმა წათემ მანქანა დაქოქა და ძრავის ხმა მთელ ხეობას მოედო. ბატონი ნეჯათი და მე მანქანაში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარით. ყოველივე უკან დაგვრჩა. მშობლიური განუყრელობით მხოლოდ მთვარე და ვარსკვლავები მოგვდევდნენ ბნელით მოცულ ხეობაში.

სიმონ ზაქარაია

სოხუმის გარშემო მტრის ალყა ვიწროვდება, ქალაქში გაძლება ჭირს... „ბეწვის ხიდი“

ე.წ. „პერემირიამდე“, რამდენიმე კვირით ადრე, მტერმა ქალაქ სოხუმს მწვავედ და ენერგიულად შემოუტია, ბომბები თითქმის ყველგან ცვიოდა და ფეთქდებოდა. გახშირდა რიგითი ადამიანების მსხვერპლი, ქალაქში ხანძარი მძვინვარებდა.

აფხაზეთის ა/ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაავრცელა განცხადება, იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგესთან საომარი მოქმედების გამწვავებასთან დაკავშირებით, ქალაქი სოხუმი უნდა დაეტოვებინა მოხუცებს და ბავშვიან ქალებს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი გამაფრთხილებელი ინფორმაცია, ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან, რადგან სოხუმიდან ქართული მოსახლეობის გამოძევების წინა დღეებშიც ისინი დუმდნენ.

(ე.წ) ხელმძღვანელობა იტყობინებოდა, რომ სოხუმის პორტში შემოსული იყო დიდი წყალწყვის სატვირთო სეინერი, რომელიც ევაკუირებულ მოსახლეობას გადაიყვანდა ფოთსა და ბათუმში. იმ დროს მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრი სოხუმში ვიმყოფებოდით. მე და ჩემმა მეუღლემ ლუდმილა დიხამინჯიამ, მაშინათვე გადავწყვიტეთ დედაჩემი და დეიდა ქალაქიდან გაგვეყვანა, რადგან შორიახლო ჭურვების აფეთქების ხმას ისინი მწარედ განიცდიდნენ. საწვავის უქონლობის გამო, ქალაქში ვერანაირ ტრანსპორტს ვერ შეხვდებოდით, გარდა კანტი-კუნტად გამვლელი სპეცდანიშნულების სამხედრო მანქანებისა. ჩვენ რკინიგზის ცენტრალურ ვაგზლის სიახლოვეს, ძიმარიას ქუჩაზე ვცხოვრობდით და გადავწყვიტეთ ზღვის პორტამდე ფეხით გვევლო. დედაჩემსა და დეიდას ასაკთან ერთად (80 წელს იყვნენ მიახლოვებულნი), სახსრების მძიმე ავადმყოფობა აწუხებდათ. თუმცა ლუდა ექიმმა ტკივილგამაყუჩებლებით საკმაოდ მოგვამარაგა, მაგრამ მათთვის 3.5-4 კილომეტრის ფეხით გავლა მეტად მტკივნეული შეიქმნა. მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა 2.5 საათში ქალაქის პორტში ვიყავით. სეინერს მოვუსწარით, მაშინ როცა პორტს ტოვებდა. ახალგაზრდების დახმარებით მოხუცები გემბანზე ხელში აყვანილი ჩავსვით. ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც წამსვლელთა გამცილებლები, ასევე დაინტერესებული ხალხი, ერთნაირად იყო აღგზნეული და აფორიაქებული. ამის მიზეზი მრავლად იყო, როგორც მთლიანად ქვეყანაში ასევე კატასტროფის ზღვარზე მყოფი აფხაზეთისა და მისი მთავარი ქალაქის სოხუმისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მმართველობა და მთავარსარდალი ხალხს არწმუნებდა, რომ სოხუმი მტრისთვის შეუვალიაო, შედეგი მუდამ საპირისპირო იყო, მტრის მიერ ქალაქზე გარშემორტყმული რკალი კი ვიწროვდებოდა, მათი საომარი მოქმედებები უფრო ორგანიზებული, მწვავე და შემტევი ჩანდა, ჩვენი კი დაბნეული, თავდაცვითი და დამთმობი.

ასეთივე გაუგებარი და საეჭვო მდგომარეობა იყო მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკების მაგიდასთანაც, რომელიც როგორც წესი „კეთილმოსურნე“ რუსეთის შუამავლობითა და ზედამხედველობით იმართებოდა. იქაც ჩვენი ქვეყნის დელეგაცია და მისი თავკაცი შევარდნაძე, მოწინააღმდეგესთან მუდამ დამთმობ და წამგებიან ხელშეკრულებას აწერდა ხელს, ეს ხდებოდა რაღაც საეჭვო ფორმაში, დახურულ ფარს მიღმა, არალეგალურად, ქართველი ხალხის ზურგს უკან, რაც მისი დამღუპველი შედეგები დროის მცირე მონაკვეთში ვლინდებოდა. სწორედ ამიტომ იყო პორტში მოსული ხალხი აფორიაქებული, ცოლები და შვილები, შვილიშვილები ტოვებდა სახლებს, ბინებს, ოჯახის მამაკაცებს და მიემგზავრებოდნენ სადღაც, უმისამართოდ, გაურკვეველი დროით ოჯახები რამდენიმე ნაწილად გაიხლიჩა, ხალხი, როგორც გამცილებლები ასევე უმისამართოდ ორგანიზებული მგზავრები, ერთნაირად გამოხატავდნენ უიმედობას და უნდობლობას ე.წ. საკუთარი ქვეყნის ხელმძღვანელების მიმართ.

მე და ჩემს დედებს პორტში გვაცილებდა ჩემი მეუღლე ლუდმილა დიხამინჯია და შვილები პაატა და ხათუნა. იმის გამო, რომ ლუდმილა სამხედრო (უფრ. ლეიტენანტი) ექიმი სამსახურს ვერ ტოვებდა, (ქალაქის I პოლიკლინიკა და ლეჩკომისიის საავადმყო), ამიტომ მოხუცების წაყვანასამშვიდობოში მე დამევალა.

ძმებს შორის ინსპირირებულმა ომმა უამრავი ტრაგიკული მოვლენები და მტკივნეული განცდები შექმნა ჩვენს დამშვენებულ და კოპწია აფხაზეთში, მი მთავარ ქალაქში სოხუმში. მართალია იმ საღამოს ჩემი დეიდა და დედა სამშვიდობოზე კი გამყავდა, მაგრამ ცეცხლმოკიდებულ სოხუმში ცოლ-შვილის და-

ტოვებამ, მათთან განშორებამ მოურჩენელი იარა დამიტოვა ჩემს მეხსიერებაში, ისევ ვიხილავდი თუ არა ამათ ცოცხალს. ამიტომ მთელს გზაზე მიმავალს ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა თავში, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებულიყავი ჩემს ქალაქში, სადაც ხალხი თითქმის განწირულად მეჩვენებოდა.

სოხუმის პორტი გემმა, რომელშიც რომ იტყვიან ხალხის ტევა არ იყო, საღამოს 7 საათზე დატოვა სოხუმის პორტი და გეზი ფოთის მიმართულებით აიღო. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენს სეინერს სამხედრო, სპეც დანიშნულების კატარღა წამოეწია და იგი დროებით შეაჩერა, გემზე სწრაფად რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცი ამოვიდა, რომლებმაც ხმამაღლა მოუწოდეს ახალგაზრდებს, ყოყმანის გარეშე უკან — სოხუმში დაბრუნებულიყვნენ. გაფრთხლება იმდენად მკაცრი იყო, რომ 5-6 წუთში 50-მდე ახალგაზრდა გამოეყო მგზავრებს და თანდათან კატარღაზე იწყეს გადასვლა, შემდეგ კიდევ დამატებით 20-მდე ყმაწვილი ჩამოიყვანეს და ისინი კატარღით სოხუმში დააბრუნეს. თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, 10-15 წუთის შემდეგ ჩვენი გემი ისევ შეაჩერეს იმავე სამხედროებმა და ამჯერად 50 წელზე ნაკლები ასაკის მამაკაცები ძალის გამოყენებით თავიანთ კატარღაში გადაიყვანეს. ბევრს, მეუღლესთან ერთად, მცირეწლოვანი ბავშვები მიჰყავდათ, იყო შეხლა-შემოხლა, ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი, მაგრამ სამხედროებისათვის მგზავრთა ასეთ მწვავე რეაგირებას ხელი არ შეუშლია. ამის შემდეგ სეინერის ცურვაში წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია, თუმცა სანამ ოჩამჩირის სანაპიროს არ ჩავუარეთ ხალხი შიშობდა ხმელეთიდან ან ზღვიდან გემი არ დაებომბათ. შიში უსაფუძვლოც არ იყო, რადგან ტამიშისა და ოჩამჩირის ბევრ სოფელს აფხაზი ბოევიკები აკონტროლებდნენ, მაგრამ ღვთის წყალობით მოსალოდნელ უბედურებას გადაურჩით.

სეინერმა ღამის 12 საათზე ფოთის პორტში ჩაგვიყვანა, მგზავრთა უმეტესობა იქვე ჩამოვედით, ხოლო დანარჩენებმა გემით ცურვა ბათუმისკენ განაგრძეს. იმ საღამოს, ჩემი სოხუმელი მეგობრის მიხეილ (მიშა) ყურაშვილის დებს ვეწვიეთ, რომლებიც პორტთან ახლოს ცხოვრობდნენ. მე, მიშასთან ერთად სოხუმიდან რამდენჯერმე ჩამოვსულვარ მათ ოჯახში და იმ საღამოსაც გულთბილად მიგვიღეს. ისინი ძალიან შეწუხებული იყვნენ აფხაზეთში გამწვავებული მდგომარეობით, სადაც მათი ერთადერთი ძმა ცხოვრობდა თავის ოჯახით. ქალბატონებმა მითხრეს, რომ მიშას დილით ტელეფონით დაკავშირებიათ სოხუმში და მას ყოველ წუთს ელოდებოდნენ ფოთში.

მოხუცები არაორგანიზებული და არაკომფორტული მგზავრობით ძალიან მოიქანცნენ, მაგრამ მათ დატოვებას შორეულ ნათესავებთან ფოთში, ხობში, ან კიდევ ზუგდიდში, ვარჩიე გალში თავის ძმასთან, ჩემს ბიძასთან ალიოშა ბახათელიასთან წამეყვანა, ისინი ბევრად უფრო თავისუფლად იქნებოდნენ თავიანთ ძირა სახლში, რადგან გალში ჯერ-ჯერობით სიმშვიდე სუფევდა. ბიძაჩემი ეკონომიურად კარგად ცხოვრობდა, იქვე იყო მეორე ძმის ოჯახი და სხვა ახლობლები, ამიტომ უჩემობა მათ არ დაეტყობოდა.

მეორე დილით, ადრე იქვე ახლოს ფოთის ავტოსადგურში გავედით. რადგან ფოთი-ზუგდიდის მიმართულებით პირდაპირი რეისი არ სრულდებოდა, ჯერ ხობში ჩავედით, ხოლო იქიდან კი ზუგდიდში. როცა ხობი-ზუგდიდის ავტობუსში მოვთავსდით, დედაჩემმა თავშალი მოიხადა, მუხლებზე დაიფინა და კარგად გაასწორა, შემდეგ აი თავისთვის მწარედ ჩაილაპარაკა: „ჩემი ახალშექმნილი ოჯახის ბედნიერება ომს შეეწირა, ორი ძმა, მეუღლე და მისი ძმა და უამრავი გაუბედურებული ოჯახები, სიბერემდე გამომყვა, იმ დროის მძიმე ჭრილობების ტკივილები და ახლა როგორ მეგონა ახალი ომის მრისხანება, უკვე ჩვენს ოჯახებს რისხვად მოევლინებოდა“. ჩემმა აღიარებულმა ბრძენმა და გონიერმა დედამ კარგად უწყოდა ჩვენი ცხოვრების გზა საკმაოდ რთული იყო და კარგადაც არ დამთავრდებოდა.

საღამოს ზუგდიდის ავტოსადგურში ჩავედით. მართალია ქალაქში რამდენიმე საიმედო ნათესავის ოჯახები გვეგულოებოდა, მაგრამ გადავწყვიტე ვწვეოდით ჩემი სტუდენტობის მეგობარს გურამ თოდუას ოჯხს. ბატონ გურამს სტუდენტობის პერიოდში სოხუმში გარკვეული დროით ჩვენს ბინაშიც უცხოვრია, მას ახსოვდა ჩემი დედის ალერსი და მის მიერ დამზადებული სადილი თუ ვახშამი, ჩვენი ძმური უერთიერთობები. გურამმა და მისმა მეუღლე ნანულიმ ყოველგვარი პირობები შეგვიქმნა დასვენებისათვის, დაწყებული ცხელი ვანებიდან, სასიამოვნო ვახშმით დამთავრებული. გურამმა, როგორც შესანიშნავმა მსახიობმა და იუმორისტმა, რამდენიმე ხნით ყველაფერი დაგვავიწყა, გაუხუნავი ანეგდოტებით ხასიათზე მოიყვანა ჩემი დედები, მაგრამ ქანცგაწყვეტილი მოხუცები დასვენებას ითხოვდნენ და იქვე თბილ ოთახში გემრიელად მოასვენეს კიდეც. გურამი და ნანული დიდად იყვნენ მონდომებულნი, რომ თუნდაც ერთი თვით ჩემი დედები ჰყოლოდათ ოჯახში. ისინი მპირდებოდნენ, რომ მათ ოჯახში ყველაფერი ქონდათ და არაფერს დააკლებდნენ, არც ჩემი გაშვება უნდოდათ ერთი კვირით მაინც, მაგრამ მე მათ ავუხსენი, რომ

ქალაქ სოხუმში მეტად საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი, მტრის მიერ გარშემორტყმული ალყა ვიწროვდებოდა, საცაა სოხუმის დაცემაც იყო მოსალოდნელი, იწვის სახლები, ხშირია ადამიანთა მსხვერპლი. სწორედ ასეთ პირობებში მყავს დატოვებული ცოლ-შვილი და უკან სწრაფად უნდა დავბრუნდე-მეთქი. ჩემი უკომპრომისო და ცალსახად ნათქვამი მოსაზრება, ჩემმა მეგობრებმა მიიღეს გულთან ახლოს და მეორე დილით ხელიც შემიწყვეს ცხენის ფაიტონით ენგურამდე, ერთ საათში ჩავსულიყავით.

მდინარე ენგურის ხიდთან 250-300-მდე მგზავრი დაგვხვდა, რომელბიც ამაოდ ცდილობდნენ მეორე — გალის მხარეზე გადასვლას. საქმის რეალობა ის გახლდათ, რომ მდინარე ენგურზე კაპიტალური ხიდის 25-30 მეტრის მონაკვეთი, იქ სადაც ყველაზე სწრაფი და წყალუხვი იყო, აფეთქებული დაგვხვდა, რის აღდგენაზე იმ პერიოდში არავის შეეძლო ფიქრი. ეს ცენტრალური ხიდი ვინ, ან რატომ ააფეთქეს, ეს ჭორის დონეზეც უცნობი იყო უბრალო მოქალაქეებისათვის.

როგორც იქ მყოფი მგზავრებისგან შევიტყვეთ, რამდენიმე ახალგაზრდა ერთი საათით ადრე წასულან მოხერხებული ფონის მოსაძებნად, სადაც შესაძლებელი ინქებოდა ხალხის უსაფრთხო გადასვლა, განსაკუთრებით კი ასაკოვანი ქალებისა და ბავშვებისათვის. ჩვენი იქ მისვლიდან ერთ საათში სამივე ახალგაზრდა ყმაწვილები დაბრუნდნენ. მათი თქმით ხიდიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ენგურის დინების მიმართულებით მოუნახავთ შედარებით მოხერხებული გადასასვლელი, რომელიც სხვა ვარიანტებთან შედარებით უფრო მოხერხებული იყო. ხალხის ნაკადი მაშინათვე დაიძრა „აღთქმული“ ადგლისიკენ. ჩვენც, გარკვეული დროით დასვენებულებმა, ტყე-ბუჩქებს შორის დანგრეული ბილიკებით ერთ საათში მგზავრებს შეუერთდით. ნათლად გამოჩნდა, თუ რა „მოხერხებული“ გადასასვლელიც იყო ჩვენი გადასალახავი ბეტონის ჯებირი.

იმ ადგილას, სადაც მგზავრები უნდა გადასულიყვნენ, მდინარე ენგურის კალაპოტი, ჩვენგან მეორე ნაპირამდე მთლიანად გადატიხრული იყო 5-6 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის ჯებირით, ხოლო მისი სასიარულო ბილიკის ზედაპირი 2 მეტრის სიგანის თუ იქნებოდა. ჯებირის სიგრძე ნაპირებს შორის ერთი კილომეტრი ყოფილა. მდინარეზე მძლავრი განივი ტიხრი ჰქმნიდა რამდენიმე ჰექტარის სიფართის წყალსაცავს.

ბეტონის ჯებირს მთელ სიგანეზე, თითქმის ყოველ 10 მეტრის დაშორებით, ფეხით სასიარულო ბილიკის ზედაპირის ქვემოთ 1-2 მეტრის სიღრმეზე თითო მეტრი დიამეტრის ბეტონის მილები იყო ჩაშენებული, საიდანაც ტიხრზე მოწოლილი წყლის ჭარბი რაოდენობა ჯებირის მეორე მხარეს მილებიდან 4-5 მეტრის სიმაღლიდან დიდი ხმაური იღვრებოდა. მილებიდან ჩანჩქერების ვარდნა სანახავად ძალიან ლამაზი გახლდათ, მაგრამ ბილიკზე მოსიარულე გატანჯული და დასუსტებული მგზავრებისავის, მთელ ერთ კილომეტრის სიგრძეზე გამაყრუებელი ხმაურით მათში შიშსაც იწვევდა.

როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გვითხრეს, ბილიკი ყოველთვის არ იყო გადასასვლელად ხელმისაწვდომი, ამიტომ მგზავრებს უფრო ჩქარი ტემპით გადასვლას ურჩევდნენ. როგროც ზემოთ ავღნიშნავდი ბარიერზე ქალები დიდის წვალბით და ხმაურით გადადიოდნენ. როგორც გვაცნობეს, ენგურპესის ზედა კაშხალები რიტმულ მუშაობას დღის 3-4 საათიდან იწყებდნენ, ხოლო წყლის ნაკადი ჯებირს ადგებოდა 5-6 საათზე. მოწოლილი წყლის ოდენობის მთლიანად გატებას ჯებირში ჩაშენებული მილები სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ, ამიტომ წყლის ჭარბი რაოდენობა ჯებირის ბილიკზე ზემოდან გადადიოდა, რაც ფეხით მოსიარულეთათვის, მდინარის მეორე მხარეზე გადასვლას წყვეტდა.

თუმცა ჩემს მიერ ჩამოთვლილი სირთულეები, რაც ჯებირზე გადასასვლელ ბილიკთან იყო დაკავშირებული, ძნელად, მაგრამ მაინც გადასალახავი იყო სხვებისათვის, ხოლო ჩემი და ჩემი დედებისათვის იგი ყველას წარმოუდგენლად მიაჩნდათ. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: ჯებირის ბილიკზე ნაპრიდან 15-20 მეტრის დაშორებით, აღმართული იყო რკინა-ბეტონის 3 მეტრის სიმაღლის კედელი, რომელიც მთლიანად კეტავდა გადასასვლელ გზას. თუმცა კედეზე, მის შუა ადგილას ქვემოდან ზემოთ მიდუღებული იყო რკინის მსხვილი არმატურის სრულიად ნორმალური დაშორების მქონე კიბე. მისი სიგანე 50სმ. იყო. ასეთივე კიბე მიდუღებული იყო კედლის მეორე მხარეზე, მომსახურეთა საჭიროებისათვის. ასეთ კიბეზე ჩემი დედების ასვლაც კი წარმოუდგენელი იყო..., ყველა ნაცნობ-უცნობი უკან დროეულად ზუგდიდში დაბრუნებას გვირჩევდნენ, მაგრამ მე სულ სხვანაირად ვფიქრობდი..., ორ გალელ ახალგაზრდას ვთხოვე დამხმარებოდნენ და გადასვლამდე ჩემთან დარჩენილიყვნენ. მე მათ გავანდე ჩემი ჩანაფიქრი, რომ ჩემს დედებს სათითაოდ თოკით ზურგზე მოვიკიდებდი და ისე თავისუფლად გადავიყვანდი, ისინი დამთანხმდნენ. ამასობაში გადასვლები გრძელდებოდა ნელ-ნელა, ზოგი ძალიან ხმაურობდა, ზოგიც შიშისგან პირმოკუმული ჩუმად გადადიოდა.

ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის მჭირდებოდა ძლიერი თოკი, სიგრძით 5-6 მეტრი მაინც. თოკის საშოვნელად მოსახლეობაში გავედი, რომელიც არც ისე შორს იყო. პირველი მოსახლის ჭიშკარს მივადექი და დავიძახე, მალე სახლიდან შუახნის ქალი და 10-12 წლის ბიჭუნა გამოივდა. მე მათ აუხსენი ჩემი მდგომარეობა და თოკიც ამიტომ მჭირდებოდა. ქალბატონმა უსიტყვოდ შემისრულა ჩემი თხოვნა და თან თავისი ბიჭი გამომაყოლა, ბაწრის უკან წამოსაღებად. სწრაფად დავბრუნდი, მალე 1.5 სათში წყალს უნდა დაეფარა ბილიკი. ჩემი აღქმული ბიჭები იქვე დამხვდნენ. მეც განზრახვის შესრულებაზე სრულებითაც არ შემშინებია, რადგან ადრე შორეულ მთებში, ურთულეს ბილიკზე სიარულისა და ცოცვა-ხოხვის საკმაო გამოცდილება მქონდა, ამიტომ სამმეტრიანი ბარიერის გადალახვა ჩემს დედებთან ერთად დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამასთან ერთად ძლიან ძლიერი ძალის პატრონი ვიყავი და ეს მაძლევდა გარანტიას ჩანაფიქრის განხორციელებაში. ჩემს დედას და დეიდას ყველაფერი კარგად ავუსხენი და ჩემს შესაძლებლობაში დარმწუნებულები უსიტყვოდ დამთანხმდნენ.

პიველად ბაწარი დეიდას შემოვახვიე, რადგან იგი უფრო მსუბუქი, 70კგ-მდე იწონიდა. ბაწარი ჯერ მუხლებთან, შემდეგ წელზე, ხოლო ბოლოს იღლებქვეშ შემოვახვიე, ამის შემდეგ ბიჭებმა მხრებზე მოსაკიდი ბაწარი გამიმართეს, დეიდა ზურგზე მოვისვი, თვითონაც პატარა ბავშვივით ხელი ყელზე მომხვია და ჰა... გავემართე კიბისკენ, 50-მდე მაყურებელი გვიმზერდა, გულისფანცაქალით. დავიწყე კიბეზე ასვლა და მშვიდად მივაღწიე კედლის კენწეროს, სადაც ძალიან მშვიდად გადავაბიჯე მის მიეორე მხარეზე, დავიწყე ნელა ჩამოსვლა და ჩემმა ბიჭებმა ხელში აყვანილი დამსვეს ძირს. დეიდა თოკებისგან გავანთავისუფლეთ. იგი ახლო ნაცნობებს გავაყოლე, თუმცა ფეხებს მაინც ითრევდა, თავისი დის ბედი ტანჯავდა, თან ბიჭებს ვარწმუნებდი, რომ 100კგ ხელებზე და ფეხებზე, ცოცვისას თანაბრად ნაწილდება და რაიმე ჩამოვარდნის საშიშროება გამორიცხულიამეთქი. ერთად-ერთი, ბიჭებმა რაც გააკეთეს იყო ის, რომ მოსახლეობიდან კიდევ 5 მეტრის სიგრძის თოკი მოიტანეს, რომელიც მე შემომახვიეს წელზე, ერთი მათგანი ავიდა კედლის კიბეზე ბოლომდის და ჩამოჯდა, საიდანაც ჩემი და დედას კიბეებზე ასვლისას თოკს ნელ-ნელა ქაჩავდა, ასე მალე ავედი ბოლომდე და ასევე ნელა გადავაბიჯე მეორე მხარეს, რამდენიმე წუთში მშვიდობიანად დავეშვი ძირს. თუმცა სათქმელად ამის გაკეთება ადვილია, მაგრამ შესრულება მისი უდავოდ რთული და სახიფათოა. ყველაფერს განსაზღვრავს ძალ-ღონე, უშიშარობა და ალბათ რაც მთავარია ღვთიური სიყვარული დედებისა. ალბათ ჩემზე უფრო განიცადა იქ მყოფმა მგზავრებმა, რომლებსაც ფეხი არ მოუცვლიათ ჩემი ჩანაფიქრის დასრულებამდე, მეორე დღეს ჩემი და ჩემი დედების ამბავი ზღაპარივით გავრცელდა მთელს რაიონში. როდესაც დედას ბაწრები შევუხსენით, იგი მომიბრუნდა და გულში ჩამიხუტა, ჩემი უძლეველი, ყოვლის მომრევი, შეუბღალავი მანდილის მატარებელი, სამართლიანობის დედა და უსამართლობის დამთრგუნველი მოხუცი ქალი, ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმაში, რომ ყოველთა ძლიერთა მშობელი ამ ქვეყნად დედაა, აქედან გამომდინარე დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ დედა მაინც ყველაზე და ყვეალფერზე ძლიერია და მისი სიყვარულიც უსასრულოა უფალივით.

თითქმის ყველა მგზავრი თუ ლტოლვილი უკვე გადმოსული იყვნენ აღმართულ კედლიდან და ბილიკს მიუყვებოდნენ, შესამჩნევად იმატა წყალმა, მილები მოწოლილი წყლით გაივსო, სასიარულო ბილიკამდეც მოაღწია, მაგრამ ყველამ მშვიდობიანად გავაღწიეთ მდინარის მეორე მხარეზე. სწორედ გზის იმ ნაწილს, რომელიც მდინარე ენგურზე გადავლახეთ, მე ვუწოდე „ბეწვის ხიდი“ და შეესაბამება თუ არა იგი სინამდვილეს, მკითხველისათვის მიმინდვია. როდესაც ნაპირზზე გავედით, ყველამ გადმოსვლა მოგვილოცა და დაგვემშვიდობა, ყველას დიდი გზა ქონდა გასავლელი, ზოგს 20, ზოგს 25 და 30 კილომეტრი. ჩვენი მიზანი იყო დაღამებამდე გაგვევლო ყველაზე ნაკლები 5 კილომეტრი და მიგვეღწია სოფლის პირველ მოსახლემდე, სადაც ღამით უნდა დავრჩენილიყავით. ეს იყო ერთ-ერთი ისტორიული მნიშვნელობის სოფელი ჯუბურხინჯი, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავალი ძეგლებია ნაპოვნი. ადრე ეს იყო მოსკოვი-თბილისი-ერევნის საავტომობილო ტრასა, სადაც 24 საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ დაქრიალებდნენ ყოველგვარი მარკის ავტომანქანები, დღეს კი მთვლიანად მკვდარი იყო.

კაშხლის ჯებირიდან სამანქანო ტრასამდე ერთი საათი მოვანდომეთ, ორივეს მუხლები ტკიოდა, ტკივილგამაყუჩებელი წამლები კი გვქონდა, მაგრამ, მისი მიღება ეფექტს არ იძლეოდა. მიუხედავად ამისა ჩემ დედებს შეგნებული ქონდათ, ნელ-ნელა გვევლო დაღამებამდე. ტრასაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე არა მარტო ვინმე ადამიანი, არამედ შინაური ცხოველებიც არ შეგვხვედრია. დაკვირვებული კაცი ადვილად კი მიხვდებოდა იმას, რომ შექმნილი მდგომარეობა ჩვენს ხალხს სიკეთეს არ უქადდა. მოსალოდნელი იყო ის ისტორიული პერიოდი, როცა ამ მიწაზე უცხო მხრის ველური მოძალადეები დათარე-

შობდნენ და აწამებდნენ ჩვენს ცივილურ ხალხს. თითქმის 4 საათზე მეტი დრო დაგვჭირდა ოცნების მი-საღწევად, გამოჩნდა ჰორიზონტზე პირველი სახლი, მალე ეზოს ღიად დატოვებულ ჭიშკარში შევედით, ჭა ახლოს იყო, ჩემი დედები გრძელ, ლამაზად შეღებილ სკამზე ჩამოჯდნენ. ჭის წყალი ჭიქით მოვუტანე მოწყურებულ დედებს, სული მოითქვეს, შემდეგ დედამ დეიდას გადაულაპარაკა, ეს ხომ სახელი და გვარი ახსენა და იმის სახლი უნდა იყოსო. სწორედ ასეთ დროს სახლიდან გამოვიდა ოჯახის დიასახლისი და ჩვენსკენ წამოივდა. მათ იცნეს ერთმანეთი, დედებმა მოუყვეს ქალბატონს აქ მოსვლის მიზეზი და გალში წასვლის მიზანი. ოჯახის დიასახლისმა აუხსნა ჩემებს, რომ გალში დღეს 15-20კმ. გავლას ფეხით ვერ შეძ-ლებდნენ, არადა სოფელში არანაირი ტრანსპორტი აღარ დადისო, ამიტომ შესთავაზა იმ საღამოს დარჩე-ნა და ნორმალური დასვენება. მეც ამის დიდი სურვილი მქონდა და გამიხარდა კიდეც ჩვენი შინ, სახლში მიმპატიჟება. ქალბატონს მეც თავი გავაცანი, მოვიკითხე ამ სოფლის ციტრუსების მეურნეობის დირექ-ტორის მოადგილე, ჩემი მეგობარი ზაურ აქუბარდია და იცოდა თუ არა მან მისი სახლში ყოფნის შესახებ რამე. მან დადებითი პასუხი მომცა. ზაური მას წინა დღეს უნახია და ახლაც სახლში იქნებაო. ყოველ შემ-თხვევაში ჩემ დედებს ღამით მასთან დარჩენაზე ერთხელ კიდევ ვთხოვე, ხოლო მე კი ჩემი მეგობრის სახ-ლისკენ გავემართე, მანძილი მხოლოდ ერთი კილომეტრი იყო. მას სახლი ცენტრალური ტრასის განაპი-რას გქონდა, ადრეც ვყოფილვარ სტუმრად მასთან. მალე ზაურის ჭიშკარს მივადექი და ერთხელ ცოტა მორიდებით კი დავიძაზე ჩემი მეგობრის სახელი და ცოტა ხანი დავაყოვნე. ერთ წუთში ქვედა სართულის კარები გაიღო და ჩემი მეგობარიც გარეთ გამოვიდა. მანძილი ჭიშკრამდე 30-35 მეტრი მაინც იქნებოდა. ზაური ზედ ჭიშკართან შემხვდა, შემომხედა და გაკვირვებულმა მითხრა შენ საიდან სიმონ, რაიმე ხომ არ გიჭირსო, ეს იყო მისი, გაოცებული კაცის შეკითხვა და ჭიშკრის ორივე კარი ფართოდ გააღო, ხელი ჩამო-მართვა და გადამეხვია. მე ერთი წუთით გამახსენდა ზაურის სტუდენტობის პერიოდი, იგი ჩვენი მემცენა-რეობის კათედრის, (საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი) დიპლომანტი იყო, ნიჭიერი, ზრდილი და მეგობრული. ჩვენი ორი წლის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მაძლევდა იმ სითამამეს, რომ მოურიდებლად გამეზიარებინა ჩემი მოსვლის შესახებ მასზე.

ზაურიმ სახლში შემიპატიჟა, სუფრა გაშლილი იყო და შინაურულად მივუჯექით, გემრიელად მივირ-თვი საჭმელი, 200 გრამი კარგი არაყიც დავაყოლე და შემდეგ ყველაფერი მოვუყევი. თან ჩემი დედების შე-სახებ ვაუმბე, სადაც მყავდა დატოვებული, მეორე დღეს ისევ სოხუმში უნდა წავსულიყავი ფოთიდან ზღვით, ამიტომ ჩემი დედების წაყვანაზე დახმარება ვთხოვე იმავე საღამოს, რითაც ეს იქნებოდა შესაძლე-ბელი. ზაურიმ მეზობელ ბიჭებს სთხოვა არ მოაწყინოთო და იგი სახლიდან გავიდა. ზუსტად ნახევარი საა-თის შემდეგ, ჭიშკარს მოადგა ყველაზე დიდი, რეზინის თვლებიანი ტრაქტორი K-700. ზაური შემოვიდა და მითხრა, თუ ამ საღამოს ჩემს სახლში აღარ გაჩერდებიო, მაშინ შენს დედებს და შენც ახლავე წაგიყვანთ გალშიო. მალე ჩემს დედებთან ვეებერთელა ტრაქტორით დავბრუნდით, რომლის კაბინა და ძარა 2 მეტრზე მეტი სიმაღლისაა. ზაურმა და მისმა მეზობელმა ვაჟკაცებმა ჩემი მოხუცები პატარა ბავშვებივით აიტაცეს და კაბინაში ჩასვეს, მე და ზაურიმ ძარაზე დავჯექით და ნახევარ საათში გალში, ჩემი ბიძის სახლში ჩავე-დით. უკვე ღამე იყო, ასეთი უცნაური ტრანსპორტით ჩვენი გამოჩნეა ჩემიანებსაც გაუკვირდა, თუმცა ყვე-ლაფერი მალე გახდა ცნობილი. ზაური და მისი ტრაქტორი იმავე წუთს გაბრუნდა უკან.

აქვე მინდა მკითხველს ვაცნობო, რომ მალე, აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ჩემს მეგობარს შევ-ხვდი ზუგდიდში და მომიყვა თუ როგორ პირწმინდად გაძარცვეს სოფლის მოსახლეობა ველურმა გადამ-თიელებმა, გულდაწყეტილი ყვებოდა თუ როგორ ხდიდნენ სახურავს თავის სახლს, ყველაფერი ნათლად იხდებოდა რუხის, ამაღლებული ადგილებიდან ძარცვის საზარელი სურათები.

ჩვენმა გამოჩენამ ყველა გააოცა, რადგან სოხუმი ალყაში იყო მოქცეული, ტამიშის გზას მოწინააღ-მდეგე მხარე აკონტროლებდა. სახლში შესვლის შემდეგ მათ ყველაფერი მოვუყევი, თუ რა წვალებაც გვერგო გზაში ორი დღის განმავლობაში.

ვალია დეიდამ და დედაჩემმა ცხარე ცრემლებით გაიხსენეს, უმცროსი, საყვარელი ძმის — მამიას უდროვო დაღუპვა. შემდეგ კი ქეიფის დიდოსტატმა ბიძამ და ჩემმა საყვარელმა სონია ბიცოლამ კარგი ვახ-შამიც გაგვიმზადეს, აქვე იყო ჩემი ბიძაშვილიც ჯუმბერ ბაგათელია სამართლიანობით ცნობილი ვაჟკაცი. მიუხედავად დაღლილობისა საკმაო ხანს ვისაუბრეთ. აი რა მითხრა ალიოშა ბიძიამ, რომელსაც საყვედურის იერიც გადაჰკრავდა: — იმის შემდეგ, რაც შენ მძიმედ დაიჭერი სოხუმში არ უნდა დარჩენილიყავიო, იგი კა-ტეგორიულად მთოხვდა თუ შესაძლებელი იყო, ცოლ-შვილი ალყაშემორტყმულ სოხუმიდან გამომეყვანა. საქართველოს მთავრობა-თქვა მან, საკუთარი ხალხისთვის არაარ გაჩენილი და მათგან სიკეთეს ნუ მოელი-

თო. ბიძაჩემი თვითონ იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, იგი იბრძოდა მანჯურიაში იაპონიის კვანტუნის არმიის წინააღმეგ, ორჯერ იყო დაჭრილი და ომის სიმწარე სრულიად ახალგაზრდას ჰქონდა ნაგემი. მას, როგორც გამოცდილ ოფიცერს, იმ თვითმარქვია გენერლების იმედი სრულიადაც არ ჰქონდა, იმ გენერლების რომელებიც აფხაზეთში ომს ხელმძღვანელობდნენ. თუ რამდენად გამართლდა ბიძაჩემის ვარაუდი და დაჟინებული რჩევები, ეს დროის მცირე მონაკვეთმა დაამტკიცა, სოხუმი ორ თვეში დაეცა.

მეორე დღეს, დილით ადრე ავდექი, სოხუმში მეჩქარებოდა, წინ შორი რთული და სახიფათო გზა მელოდა. გალიდან სოხუმამდე ჩვეულებრივი, საავტომობილო გზით ადრე ორ საათში ჩავდიოდით, ახლა კი უკან დაბრუნებისთვის ხმელეთითა და ზღვით ორი დღე, უკეთეს შემთხვევაში დღენახევარი მაინც მჭირდებოდა.

ჩემს უკან დაბრუნაბას, ყველაზე მეტად ჩემი დედა განიცდიდა, მან შესანიშნავად იცოდა, რომ ცეცხლმოკიდებულ სოხუმში ყოფნა უსათუოდ სახიფათო იქნებოდა. მით უფრო ერთხელ სიკვდილს, შემთხვევით გადარჩენილის, ბედი მის ცოლშვილთან ერთად ისევ ბეწვზე ეკიდა. თუმცა მეჩვენებოდა, რომ ჩემს დედას, რაც გულში ჰქონდა ყველაფერს ვერ მეუბნებოდა, რადგან ცოლ-შვილი განწირულ სოხუმში მყავდა დატოვებული. ბოლოს ერთი კი მითხრა აცრემლებული თვალებით — შვილო შენ ბავშვობიდან ყოველთვის უშიშარიც და ამასთან ერთად დამჯერი იყავი, მხენსა და უშიშარ კაცს ხიფათიც გაურბის, ეს ღმერთის წყალობაა — ღმერთი იყოს შენი მფარველიო მითხრა და ამით ყველას გამოვემშვიდობე და ქუჩაში გავედი. მალე ჩემმა ბიძაშვილმა ჯუმბერი ბაგათელიამ 10 წუთში თავისი მერსედესით ენგურის პირას, ე.წ. „ბეწვის ხიდის“ თავში დამსვა, იქ კიდევ ორი თანამგზავრი ცოლ-ქმარი დამხვდა, რაც ცოტა იმედიც მომეცა. ჯუმბერმა მითხრა, რომ მის გამზრდელ მამიდებს არაფერს დააკლებდა და მათთვის ერთი წუთითაც არ იფიქროო, შეეცადე, რაიმე ხიფათის მოხდენამდე ცოლ-შვილი იქაურობას განარიდოო, რაშიდაც რა თქმა უნდა ის მართალი იყო.

როცა გდავხედეთ გადასასვლელ ბილიკს, წყლის 5-10 სმ სიმაღლის ფენა კიდევ გადადიოდა, საჭირო იყო 2 საათით მოცდა, რათა თავისუფლად გადავსულიყავით. ერთი საათის შემდეგ, როცა წყლის ნაკადი კიდევ უფრო შენელდა, ყველამ ფეხებზე გავიხადეთ და დავადექით ბილიკს, სადაც აქა-იქ გაყინული წყალი ისევ იღვრებოდა, მიუხედავად ამისა, მას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, აღმართული კედელი თავისუფლად გადავლახეთ და 10-15 წუთში ზუგდიდის მიმართულებით ცენტრალურ საავტომობილო ტრასას დავადექით. ერთი სათი დაგვჭირდა ზუგდიდის ავტოსადგურამდე, სადაც ხობის წარწერით ავტობუსი დაგვხვდა. მთელი იმ დღეების განმავლობაში, ჩემი ნაჭრილობები ფეხი გამოდმებით მტკიოდა, მაგრამ იმ დიდ მოვალეობასთან შედარებით, რომელსაც მე ღმერთი მაკისრებდა, ის გადასალახავი იყო, ამასთან ერთად ტკივილგამაყუჩებელი წამალი ჩემმა მეუღლემ 3-4 დღის საკმარისი გამომატანა და არც მას ვიკლებდი კრიზისების დროს.

ერთ-ერთი სასიამოვნო შემთხვევა ის იყო, რომ ზუგდიდის ავტოსადგურში, მოულოდნელად შევხვდი ჩემს მეგობარს გურამ თოდუას, რომელმაც გალში გამაცილა წინა დღით. გურამს მოვუყევი ჩემი მგზავრობის სირთულეებზე, თუ რა სიძნელეებით გადავლახეთ მდინარე ენგური. მალე ავტობუსიც გავიდა სადგურიდან და საღამოს ფოთის პორტში ერთადერთ სოხუმში გამსვლელ კატერს მიუსწარი, რომელსაც ნესტორ ლაკობის სახელი „ამშვენებდა“. ბილეთები არავის მოუთხოვია, „ბარჟაში“ 20-მდე მგზავრი იყო, იმანაც გამაკვირვა, რომ მგზავრთა ნახევარზე მეტი ქალებს შეადგენდა, ისინი ჭირისუფლებს უფრო ჰგვანდნენ, ვინემ უბრალო მგზავრებს. მგზავრთა გუნება-განწყობილება არასასიამოვნოდ აღიქმებოდა. იმის მტკიცებაც ზედმეტი იყო თუ რა საგანგაშო იყო აფხაზეთში და კერძოდ სოხუმში მაცხოვრებელი ქართული მოსახლეობის საერთო მდგომარეობა, იქ დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ იძულებით ხდებოდა. „ბარჟაში“ კარგად მოვეწყვე, ორი დღის მწარე მგზავრობამ, რომელიც ფიზიკური და მორალური სიმძიმეებით იყო დატვირთული, უგრძნობელი ძილი მომგვარა და მალე გავითიშე კიდეც. ღვთის წყალობით დღემდე ჩემი ძილი აბსოლუტურად ჩუმია, ჩემი ხრიპინით არასდროს არავინ შემიწუხებია, რაც ბედს წესად აქვს ხოლმე. ალბათ ეს უსიამოვნო ავადმყოფობაა, რომელსაც სერიოზული მკურნალობა სჭირდება. დაახლოებით 1.5-2 საათის შემდეგ გამეღვიძა, მაგრამ ეს არ იყო კარგად დასვენებული კაცის გამოფხიზლება, არამედ იგი გამოწვეული იყო ძლიერი ტალღებით, რომელიც ჩვენს კატერს ქაღალდის ნაფოტივით ათამაშებდა აგორებულ ტალღებზე. კიდევ უფრო არასასიამოვნო იყო ქალთა უმწეო მდგომარეობა, რაც მათი გამუდმებული პირღებინებით იყო გამოწვეული, ხალხი რაღაცათი მაინც ერთმანეთს შველოდა, უფრო ძლიერები სუსტებს ეხმარებოდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის შმედეგ ტალღები უფრო დაწყნარდა, გაწამებული მგზავრები მისავათებულები ჩანდა, ღამის პირველ საათზე სოხუმის პორტს დავუბრუნდი. კატერიდან მგზავრებს ერ-

თმანეთი ამოჰყავდათ, ყველას დამხდურები ელოდნენ. უცნაური ის იყო, რომ როცა სანაპიროს გემის მისადგომს გავდიოდი, ფეხები არ მემორჩილებოდა, ისე ვგრძნობდი ვითომ თავი სხვა მხარეს, ხოლო ფეხები საწინააღმდეგოდ მიდიოდა. რამდენიმე წუთი სახელურს ხელი მოვკიდე და წონასწორობა აღვიდგინე, შემდეგ კი გავუდექი გზას სოხუმის რკინიგზის ცენტრალური ვაგზლისკენ, რომლის სიახლოვესაც ჩვენ ვცხოვრობდით და ჩემი ცოლ-შვილი მელოდებოდა. პორტიდან განიერი ქუჩა, პირდაპირ აფხაზეთის მთავრობის დიდ და ლამაზ შენობას ადგებოდა, მალე ეს ადგილი მარჯვნივ დავტოვე და გადავედი ორჯონიკიძის, სოხუმში ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩაზე, რომელსაც ამშვენებს ჭადრის ხეივანი. აქვეა სოხუმის ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი. უმშვენიერესი სახლები, რომლის ბოლოს რკინიგზის ესტაკადა მოჩანს. ქუჩის თითქმის ნახევარი გავიარე, უმთვარო ღამე იყო, თან მოღრუბლული, ამიტომ არც ვარსკვლავები ჩანდა ცაზე. წინ ორი სამი ნაბიჯის მეტი არაფერი ჩანდა, საითკენაც, რაიმე სინათლის წერტილიც არ ანათებდა, აბსოლუტურად ყრუ სიჩუმე, მთლიანი სივრცე მხოლოდ ავის მომასწავებლად „იმზირებოდა“. ქალაქს სიცოცხლის ნატამალი არ ეტყობოდა. გავიფიქრე, ადრეული პერიოდი, როცა ჩემი სოხუმი სიცოცხლით სავსე, დეკორატორებისა და არქიტექტორების ჯიბრით დამშვნებული, მთელი მსოფლიოს ხალხების საოცარ სანახაობას წარმოადგენდა, ძმობა, სიყვარული, ურიცხვი სტუმრები, რაც ქართველ კაცს აცოცხლებს და ახარებს ხოლმე. აფხაზეთში და კერძოდ სოხუმში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული იქნა ქართული ინტელიგენცია, რომელიც საქართველოს კლასიკური ინტელიგენციის ღირსეული შემადგენელი ნაწილი იყო. განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ქართველებისა და აფხაზების ძმური, მეგობრული ურთიერთობა, რასაც რომ იტყვიან, გენეტიკურად ვერ იტანდა რუსული კაცთმოძულე იმპერია. მისი იმპერიული მანქანა ახლა კავკასიისკენ იყო მიმართული და მისი უდიდესი პოლიტიკური ინსტიტუუტები და იქ მოკალათებული უდიდესი პოლიტიკოსები წერდდნენ ახალ-ახალ „სპექტაკლებს“, რომლის დირიჟორი და შემსრულებელი ყოვლისშემძლე სამხედრო მანქანა და მისი გენერლები. მათ მიერ შემუშავებულ თეორიებს, ე.წ. „გათიშე და იბატონეს“, რომელიც ყველა იმპერიების უტყუარ იარაღს წარმოადგენდა, ვერაფრით ვერ გაუგო. ვერც ერთმა კავკასიელმა და მათ შორის ქართველმაც, რომელსაც თავკაცობა ე.წ. „დიდი პოლიტიკოსი“. შევარდნაძემ არამარტო ვერაფერი ვერ გაუგო რუსულ დამპყრობელ პოლიტიკას, არამედ ყველა მისი შემხვედრი ნაბიჯები რუსებთან მოლაპარაკებისას, მთლიანად რუსულ წისქვილზე ასხამდა წყალს, იყო დანაშაულებრივი პიროვნება, რომელმაც საქართველოს აწმყო და მომავალი გაწირა. არცერთი მისი განზრახვა საქართველოსა და ქართველებისათვის სასარგებლო აღარ შეიქმნა, პირიქით ყოველთვის იგი იყო გამანადგურებელი. ეს აქ სხვათაშორის, თორემ შევარდნაძის აუგობაზე ასი ტომი მაინც იქნება დაწერილი და გამოქვეყნებული თავისი ზედმეტი სახელებით.

ერთი სიტყვით ორჯონიკიძის უკუნეთი მოვილიე და ვაგზლისკენ მიმავალ ტრასას დავადექი. თითქმის ერთი საათი დამჭირდა ჩემს ოჯახში მისასვლელად. როცა კარი გამიღო ჩემმა მეუღლემ, სწორედ იქ ვიპოვე მზე, შუქი, სითბო და დიდი სიყვარული, რომელსაც ჭეშმარიტი იმედი ახლდა თან. შვილებმაც გაიღვიძეს, 16-17 წლის ახალგაზრდებს სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ წარმოდგინათ ხვალინდელი დღის გაუთვალიწინებელი შედეგები.

ერთ დღეს რადიო-ტელე გადაცემამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის შედგა შეთანხმება, გარკვეული დროით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც რუსულად „პერემირიეს“ ვუწოდებდით. ამ პერემირიის დროს აღსდგა რკინიგზაზე მოძრაობა თბილისი სოხუმი და უკან.

სწორედ „პერემირიის“ დღეებში მე და ჩემი ახლობლები და მეგობრები ვიმყოფებოდით კელასურის (კაშტაკის) სახლში, ამ დროს ჩვენს წინ რკინიგზაზე გამოჩნდა სახლახო მატარებელი თბილისი სოხუმი, რამაც ძალიან გაგვახარა, მაგრამ საკმაოდ უცნაურობა იყო ის, რომ მატარებლის 10 ვაგონიანი შემადგენლობამ სიჩქარეს უკლო და იქვე გაჩერდა, სადაც არც სადგური და არც პლატფორმაც იყო. ჩვენ ყველა სულგანაბულები შევცქეროდით რა მიზნით გაჩერდა მატარებელი კაშტაკში და... წარმოუდგენელი მოულოდნელობა ვიხილეთ... ორმა ახალგაზრდამ ხელში აყვანილი, ვაგონიდან ჩამოიყვანა ორი მოხუცი ქალი, რომლებიც თქვენთვის ცნობილი დედა და დეიდა ჩემი იყო. მე უკვე მივხვდი, ეს იყო ჩემი დედის ოსტატური და ალერსიანი საუბრის ზეგავლენა მატარებლის მემანქანეზე და სხვა პასუხისმგებელ გამყოლებზე, რისი შედეგიც ჩვენ ვნახეთ. ჩვენ მაშინათვე გავიქეცით ჩემი ყოვლისშემძლე დედისა და დეიდის შესახვედრად. ჩემს შეკითხვებზე — დედა რატომ ჩამოხვედი აქ სოხუმში, კაცმა არ იცის ხვალ რა დღე გველისმეთქი..., ასეთი პასუხი გამცა: შვილო, მე თქვენ შემოგყურებთ იმედით და იქ გალში რა გამაძლებინებდა, მით უმეტეს, რომ მატარელებმა მგზავრობა დაიწყოო. დანარჩენი მკითხველმა ჩემი წიგნებიდან იცის...

ნათელა პავლეს-ასული ხარაიშვილი

ხარაშვილების გვარის დალოცვა სამების ტაძარში 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე... დღე, ისტორიული და საინტერესო. წარსული სევდიანი და ქარიშხლიანი, მაინც ლამაზი და აღმაფრთოვანებელი.

უწმინდესის ხმამ სუნთქვად აქ ცია ტაძარში მოსულნი, იმ დღეს 26 გვარს ლოცავდა პატრიარქი. ეს სიმრავლე ნიშანი იყო ერთიანობის, რამეთუ თითოეულ ქრისტიანს ჭირი და ლხინი ერთი უნდა ჰქონდეთ.

ხარაიშვილი საკმაოდ გავრცელებული გვარ-სახელია საქართველოში, ამიტომაც იყვნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ერთმანეთი უხაროდათ.

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში 3313 ხარაიშვილი ცხოვრობდა. აქედან, ყველაზე მეტი სახლობდა საჩხერეში – 436, თბილისში – 397, და ლაგოდეხში – 349.

ხარაიშვილების ისტორიული წყაროების დაყრდნობით, მათი თავდაპირველი საცხოვრისია საჩხერის რაიონის სოფ. ღოდორა, წმანი, ლიჩი, ჭალვანი, ხვანი. ეს ხუთი სოფელი, მდინარე ძირულის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული.

ისტორიული წყაროებიდანაც, და წინაპართა ზეპირი გადმოცემითაც, ცნობილია, რომ ხარაიშვილების გვარის ფუძე – საბანელაა, ეს არის მიწა, ულამაზესი კუთხის, ზემო იმერეთისა. საბანელას ღელე უერთდება მდინარე ძირულას.

ღელის მიდამოებში ნანგრევებია შემორჩენილი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც აქ ცხოვრობდა ხალხი.

ისტორიული წყაროებით, ჩადუნელები, ხარაიშვილები და ხარაზიშვილები ერთი გვარია. ამის დასტურია პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსი „ჩადუნელები, ხარაზიშვილები და ხარაიშვილები ერთი გვარიის რომ არიან.“

ვყოფილვართ ფუძით ჩადუნელები,
ვკითხოთ წინაპრებს, რა მოხდა მერე?
ვყვაოდით ისე, ვით ენძელები,
გვარის გაყოფას მითებში წერენ.
ხარივით ვხნავდით ჩვენს კუთვნილ მიწას,
დედით ირწოდა ტკბილი აკვანი.
ასე გამრავლდა, ოთარ და ნიკა,
ასე გამრავლდა, ხვანი, ჭალვანი.

მეცნიერები, მჭერმეტყველები,
ჩვენს გვარში უფლით ბევრი ერია,
და გაზაფხულის თეთრი ტყემლები,
ბებერ მიწაზე ახლაც მღერიან.
ალბათ უფალმა ასე ინება,
საგვარეულოს გვარის დაყოფა.
ღვთის სიყვარული ჩვენით იწყება,
ჩვენ ღმერთმა გრძნობით დაგვაწყალობა.

ლომისის წმინდა გიორგის ხატი დაურიგდა ხარაიშვილებს. ხატის კურთხევის შემდეგ, ბესიკ ხარაიშვილმა და ავთანდილ ხარაიშვილმა, გაამრავლეს და უსასყიდლოდ დაურიგეს მსურველებს. გვარის დალოცვის ინიციატორი იყო გვანცა ხარაიშვილი. იგი, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა იმისათვის, რომ ხარაიშვილების ჩადუნელების და ხარაზიშვილების გვარი დალოცვილიყო.

დაუფასდა გვანცა ხარაიშვილს შრომა, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს. ამ დღეს თუმცა წვიმდა, მაგრამ ხარაიშვილების გულში მზე ანათებდა, დაე, ეს მზე იყოს სამარადისო ხარაიშვილების, ჩადუნელების და ხარაზიშვილების ფიანდაზი საუკუნეები მანძილზე... ამინ!

ხარაიშვილთა გამგეობის სია

1. ავთანდილ ხარაიშვილი - სოხუმიდან
2. ნათია ხარაიშვილი- სოხუმიდან
3. ელენე ხარაიშვილი– ლაგოდეხიდან
4. ჯონი ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
5. გვანცა ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
6. ინგა ხარაიშვილი - ლაგოდეხიდან
7. ნაილი ხარაიშვილი - ხვანიდან
8. გულნაზი ხარაიშვილი – ხვანიდან
9. ნინო ხარაიშვილი – ღოდორიდან
10. ჯუმბერ ხარაიშვილი - ლიჩიდან
11. ნოდარი ხარაიშვილი - ლიჩიდან
12. მალხაზი ხარაიშვილი - ლიჩიდან
13. ნათელა ხარაიშვილი - ლიჩიდან
14. ქეთევან ხარაიშვილი - ლიჩიდან
15. ნიკა ხარაიშვილი – ლიჩიდან

ლომისის წმინდა გიორგის ხატი უნდა დაბძანდეს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში.

საკურთხევლიდან ხატის გამობრძანების, ინიციატორები იყვნენ ბექა და თორნიკე ხარაიშვილები.

ხარაიშვილების ლოცვა კურთხევის მადლი ჰქონდეთ: გვანცას, ნინოსა და თორნიკეს, რომლებმაც გვარის დალოცვისთვის ყველაზე მეტი შრომა გასწიეს.

იქმნება გვარის საგვარეულო ფონდი, ანგარიშის ნომერი გამოქვეყნდება.

სამართალი

ლაშა ხარებავა

სახელმწიფოებრიობის პროგრესი დღევანდელ მეცნიერებაში

სახელმწიფოს განსაკუთრებული თვისობრივი ნიშანი გააჩნია, რაც მისი სახესხვაობით გამოიხატება. იგი არის პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მართავს მთელ საზოგადოებას.

მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახელმწიფო არა მხოლოდ რომელიმე კლასის ან სოციალური ჯგუფის ბატონობის იარაღია, არამედ ასევე მთელი საზოგადოებაა და იგი მის გაერთიანების საშუალებად გვევლინება. სახელმწიფო ახორციელებს ზოგადსოციალურ ფუნქციებსაც, მოქმედდებს მთელი საზოგადოების ინტერესებით.

ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოებრივობის პროგრესის ცნებას დღევანდელ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, განსაზღვრულია მისი კრიტერიუმებიც. ეს არის პიროვნების უფლებებისა და განვითარების დონე, ხალხის ძლიერება, მატერიალური კეთილდღეობა, იდეოლოგიის ხასიათი და ა.შ. სწორედ ამ პოზიციას მიეკუთვნება სახელმწიფოს აღმოცენებისა და განვითარების ცივილიზაციური მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა, გათვალისწინებული იქნეს საზოგადოებრივი ფაქტორების მთელი რიგი ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოს განმსაზღვრელი ტიპის თვისებებს ანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი განვითარების დონით, ყველას მათ ახასიათებთ საერთო ნიშნები, რომლებიც ამ საზოგადოებრივ მოვლენას განასხვავებს სხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნებისაგან.

მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ხდება. სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ტერიტორიული ორგანიზაციაა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფო ხელისუფლება ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე, განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. მოსახლეობის ტერიტორიული დაყოფა ბადებს ახალ სოციალურ ინსტიტუტს. ტერიტორიული პრინციპით ხელისუფლების განხორციელებას მივყავართ მისი სივრცობრივი ფარგლების, სახელმწიფო საზღვრების დადგენამდე, რომელიც გამოყოფს ერთ სახელმწიფოს მეორისგან. ამრიგად, მოსახლეობა და ტერიტორია სახელმწიფოს აღმოცენებისა და ფუნქციონირების მატერიალური წინაპირობებია.

სახელმწიფოს მეორე ნიშანია საჯარო ხელისუფლება. სახელმწიფო თავად წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საზოგადოების მართვის სპეციალური მექანიზმი. ასეთი მექანიზმის მთავარ რგოლს სახელმწიფო ორგანოები ქმნიან. ამის გარდა, სახელმწიფოს აქვს იძულების სპეციალური აპარატიც, რომელიც შედგება შეუარაღებული ძალების, პოლიციის,

ჟანდარმერიის, დაზვერვის, ციხეებისა და სხვა დაწესებულებებისაგან. ასეთი სისტემის მეშვეობით იგი იცავს საკუთარ საზღვრებს, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს. სასამართლო ორგანოები, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება, როგორც სტრუქტურულად, ისე ფუნქციურად.

საგადასახადო სისტემა. ასეთი სისტემა მოიცავს მოსახლეობიდან გადასახადების მოსაკრებლების აკრეფას, რაც საჭიროა საჯარო ხელისუფლების შესანარჩუნებლად. დღესდღეობით გაფართოვდა საგადასახადო სისტემის შინაარსი — იგი ჩინოვნიკური აპარატის გარდა, გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის სოციალურის, ეკონომიკურის, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა დაფინანსებებს.

სუვერენიტეტი ეს ნიშნავს უზენაესობას, სახელმწიფოს სუვერენიტეტი ხელისუფლების ისეთი თვისებაა, რომელიც გამოიხატება მოცემული სახელმწიფოს უზენაესობასა და დამოუკიდებლობაში, სხვა ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტის ეროვნულ სუვერენიტეტისაგან განასხვავებენ — სახალხო და ეროვნული სუვერენიტეტისაგან. სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს ხალხის უფლებას, თავად გადაწყვიტოს თავისი ბედი, ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივები, მისი ორგანოების შემადგენლობა, გააკონტროლოს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა. ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის თვითგამოკვლევის უფლებას ცალკე გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდეც კი.

სახელმწიფოს სიმბოლოები. ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ოფიციალური სახელწოდება, ჰიმნი, გერბი, დროშა, სახელმწიფო და რელიგიური დღესასწაულები, რაც განასახვავებს მათ სხვა სახელმწიფოებისაგან.

ასეთია სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები, რომლებიც ჟამთა მსვლელობის პარალელურად ვითარება და შინაარსობრივად იცვლება.

სახელმწიფო მექანიზმი — ეს არის სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთიანი, იერარქიული სისტემა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, სახელმწიფოს ამოცანებსა და ფუნქციებს.

ეს განმარტება საშუალებას გვაძლებს გამოვყოთ სახელმწიფოს მექანიზმის ძირითადი თავისებურებები.

ერთი, სახელმწიფოს მექანიზმი შედგება ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფებისაგან, რომლებიც პროფესიონალურ საწყისებზე ახორციელებენ მმართველობას — მათ სახელმწიფო მოხელეებს უწოდებენ.

მეორე, მექანიზმის პირველადი ელემენტები — სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები ირარქიულად ექვემდებარებიან ერთმანეთს.

მესამე, სახელწიფო მექანიზმის ელემენტები ფლობენ სახელისუფლებო უფლებამოსილებებს. ამიტომ ისინი მოქმედებენ არა საკუთარი, არამედ სახელმწიფო სახელით.

რა სახით ახორციელებს სახელმწიფოს მექანიზმი საზოგადოების მართვას?

პირველ ყოვლისა, წარმოებს ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება სამართლის ნორმების მეშვეობით: გამოიცემა ნორმატიული აქტები. ყველა მოქალაქე, მათი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და სახელმწიფო ორგანოები უნდა დაემორჩილონ სამართლის ნორმებს, შეასრულონ მისი მოთხოვნები და არ დაარღვიონ ისინი. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სამი ძირითადი ფორმა: სამართალშემოქმედებითი, რომელიც მიმართულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და გამოცემისაკენ; სამართალგამოყენებითი — როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელისუფლების განხორციელების ფორმა, სამართლის ფორმების რეალიზაციის მიზნით; სამართალდდაცვითი — სახელმწიფოს სამართლებრივი საქმიანობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების დაცვას.

სახელმწიფოსა და სამართალს შორის ამგვარი მჭიდრო კავშირის არსებობის გამო სახელმწიფოს საკითხების ღრმად და ამომწურავად შესწავლა შუეძლებელია სამართლის უმთავრესი საკითხების ცოდნის გარეშე ისევე, როგორც სამართლის პრობლემების მეცნიერული ანალიზის გარეშე.

სახელმწიფოსა და სამართლის მოწყობის საგნის დადგენის შემდეგ ჩვენ გვჭირდება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ ხდება ეს შესწავლა, რა მეთოდით წარმოებს.

მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია კვლევის ობიექტები მეთოდი, რაც გულისხმობს განსაზღვრულ მიდგომას თავისი საგნის, კვლევის ობიექტების შესწავლისადმი, შეცნობის გარკვეულ წესსა და

ხერხებს, კვლევის შედეგების ახსნას და გაგებას, იმ აღმოსავლურ პოზიციებსა და პრინციპებს, რაც დამახასიათებელია მეცნიერების ამ დარგისათვის. ამასთან, ყოველი მეცნიერული დარგის კვლევის მეთოდის დასახასიათებლად მის სხვადასხვა მიმდინარეობათა მსოფლმხედველობითი, გათვალისწინებით, გამოიყენება ტერმინი მეთოდოლოგია.

ტერმინი „მეთოდი“ მეცნიერებაში ძველმა ბერძნებმა შემოიღეს და იგი ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნებისა და კვლევის ხერხს გულისხმობს. გამოჩენილი მეცნიერები შემეცნების მეთოდებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ფრიდრიხ ბეკონი მეთოდს ადარებდა ფარანს, რომელიც მეცნიერს გზას უნათებს და თვლიდა, რომ ფარნით გზაზე მიმავალი კოჭლიც კი გაასწრებს იმას, ვინც უგზო-უკვლოდ გარბის სიბნელეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერული ძიების ნაყოფიერება, რეალური სინამდვილის შემეცნების დონე და სიღრმე ბევრადაა დამოკიდებული მკვლევართა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე. მეთოდი თავისთავად არის შემოქმედებითი ინტელექტუალური აზროვნების პროდუქტი, რომელიც უწყვეტავდაა დაკავშირებული შესწავის საგანთან. კვლევის ახალი ხერხების, ფორმებისა და მეთოდების მუდმივი ძიება უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნის ზრდას, აღრმავებს წარმოდგენას საგნისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა შესახებ.

სახელმწიფოსა და სამართლის მოწყობის პრობლემები არ არის მზა ჭეშმარიტების, კანონებისა და დოგმების კრებული — ის სულ ძიებაში მყოფი მუდმივად განვითარებადი ცოცხალი დისციპლინაა. შემეცნების მეთოდები მარადიული განახლებითა და განვითარებით უახლოვდებიან თავისი ძირითადი დანიშნულების განხორციელებას — იყვნენ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრაქტიკის მეცნიერული ორიენტირი.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრობლემების კვლევის კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდები. მათი მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფო ხელისუფლების სამართლისებრივი რეგულირების ყველა შტოს ფუნქციონრების ეფექტურობის ხარისხი, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობა. კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე მუშავდება სახელმწიფოსა და სამართლის საკვანძო საკითხები, რომელთა შესასწავლად გამოიყენება სოციოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული ახალი სასიცოცხლო ინფორმაციები, სტატისტიკური და სხვა მონაცემები. კონკრეტული სოციოლოგიური მეთოდების ჩარჩოებში გამოიყენება ისეთი ხერხები, როგორიცაა დაკვირვება, ანკეტირება, ინტერვიუირება, დოკუმენტების ანალიზი და სხვა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და სამართლის მოწყობის პრობლემების კვლევის მეთოდები შემდეგნაირია:

1. **ზოგადმეცნიერული ანუ მარქისისტულ-დიალექტური მეთოდი;**
2. **ზოგადმეცნიერული კვლევის მეტაფიზიკური მეთოდი;**
3. **ზოგადმეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდი;**
4. **კერძომეცნიერული ფორმალურ-იურიდიული მეთოდი;**
5. **კერძოსამეცნიერული შედარებით მეთოდი;**
6. **მოდელირების სპეციალური მეთოდი;**
7. **კვლევის სპეციალური მეთოდი (ანკეტა, ინტერვიუ, ექსპერიმენტი).**

ახლა ამ მეთოდოლოგიის ბოლომდე აღსაქმელად სამართლის ნორმის ცნება განვმარტოთ: სამართლის ნორმა — ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ზოგადი ხასიათის ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს და მისი რეალიზაცია უზრუნველყოფა ხორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

სამართალი შედგება მხოლოდ და მხოლოდ ნორმებისაგან. სამართლის ნორმები მართლწესრიგის „ელემენტარული ნაწილებია“. მართლწესრიგი არის სამართლის ნორმათა ერთობლიობა.

სამართლის ნორმა გათვალისწინებულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ის ვრცელდება არა ერთ კონკრეტულ, არამედ ყველა იმ შემთხვევაზე, როცა აღმოცენდება ნორმით გათვალისწინებული სიტუაცია, ე.ი. მოცემული სახის შემთხვევების შეუზღუდავ რაოდენობაზე.

ნორმატიული აქტების იურიდიული ანალიზი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი სამართლებრივი საქმიანობისას, გულისხმობს ყოველი იურიდიული ნორმის აზრის სწორ გარკვევას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმის სტრუქტურის ცოდნას. თავის მხრივ, ნორმის სტრუქტურის

ცოდნა მნიშვნელოვანია კანონმდებლობისათვის, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტების მუხლების მკაფიო, რაციონალურ, ლოგიკურ ჩამოყალიბებას.

„ნორმა ადგენს იმას, რაც „უნდა იყოს“. ნორმის შინაარსს აყალიბებს. სამართლის ნორმას ეს არის ჰიპოთეტური ჯერარსული წინადადება სამართლის ნორმა განპირობებული, კერძო, ფაქტობრივი შემადგენლობით განპირობებული ჯერარსული წინადადებაა. ჯერარსის თემა ჯერაც სადაოა სამართლის ფილოსოფიაში“.

სამართლის ნორმის სტრუქტურა გულისხმობს მის შინაგან აგებულებას, მისი აუცილებელი შემადგენელი ელემენტების ურთიერთ კავშირს.

„სამართლის ნორმის სტრუქტურის კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს მისი დაყოფა სამრგოლიან კონსტრუქციად, რომლის თანახმად ნორმის შემადგენელი ნაწილებია: ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია.

ჰიპოთეზა — ნორმის ის ნაწილია, რომელიც მიუთითებს, თუ რა პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში გამოიყენება მოცემული ნორმა. სხვა სიტყვებით ნორმის ეს ნაწილი მიუთითებს მისი მოქმედების პირობებზე.

დისპოზიცია — ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მოცემულია, თუ როგორი უნდა იყოს სუბიექტთა ქცევა ჰიპოთეზის გათვალისწინებული პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ე.ი. ნორმის შინაარსის განსაზღვრული ქცევის წესი.

სანქცია — ნორმის ის ნაწილია, რომელშიც მითითებულია ჩამოყალიბებული განაწესის შეუსრულებლობის იურიდიული შედეგი, ანუ ის თუ პასუხისმგებლობის რა ზომა განისაზღვრება მოცემული ნორმის დარღვევის შემთხვევაში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

დარიკო ონიანი — სამართალი.

ხელოვნება

ციური ხეთერელი

„გალაკტიონი და კოსმოსი“

გალაკტიონის თემაზე შექმნილი რიგით მესამე პერსონალური გამოფენაა, რომელიც ცნობილმა ფერმწერმა და ესეისტმა, დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატმა ემელიანე (რეზო) ადამიამ პოეტის დაბადების დღეს მიუძღვნა.

ამჯერად თბილისელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უმასპინძლა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ უჩვეულო გამოფენას კიდევ უფრო მეტ შინაარსსა და მიმზიდველობას სძენს იმჟამინდელი სოფლის ეთნოგრაფიული სურათის წარმოჩენა, რასაც საგულდაგულოდ ცდილობს ფერმწერი და უცთომელი თვალით სათანადო შედეგსაც აღწევს: „ძველებური ბეღელი“ (სასიმინდე), „ძველისძველი ჯარგვალი გალაკტიონის ფონზე“, „ოდა თეთრი მთის ფონზე“, „მზის ჩასვლა ფიცრულ სახლთან“, „მზის ამოსვლა ბორცვზე შემდგარ ძველებურ სახლთან“, „მზის ჩასვლა ძველებურ ქოხებთან“.

ექსპოზიციის სივრცეში კურსივივით იკითხება ამომავალი და ჩამავალი მზით, მთვარის შუქით განათებული გალაკტიონის პატარა რიკულებიანი სახლის მიდამო. აქ ყველაფერი მხოლოდ პოეტის სახლ-მუზეუმს უკავშირდება — მთვარეც, ვარსკვლავებიც, მზეც და უხვად დათოვლილი ორღობეც:

„ზამთარი ჭყვიშში, მე გალას ველოდები“, დედის მოლოდინით იწყება პოეტის ფერწერული ცხოვრება. „ვერცხლად აციმციმდა მთვარე გალაკტიონის სახლთან“, „ღამე“. მგოსნის — გალაკტიონის ეზოში მთვარემ და

ვარსკვლავებმა გამოისეირნეს“, „გალაკტიონის სახლ-მუზეუმი. თოვლი — ღამე, გამჭვირვალე მთვარე და სული მგოსნისა“, „ჩვენთან მძიმე ზამთარია. ჩამოდი, გალა. დედის ძახილი“. გულზე ხელებმიჭდობილი დედა შვილს უხმობს. ნახატზე წუხს შვილს მონატრებული დედის გაუსაძლისი მოლოდინი და სიჩუმე.

სურათებზე მომეტებული თოვლი და მზის ჩასვლის ვარიაციები სევდიან შთაბეჭდილებას ჰქმნის. მხატვრის ფუნჯის მოძრაობას და ფერწერულ გამათა მოწყენილობას მგოსნის ნატკივარი ფიქრები აედევნება: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად... მოდის სიცივე და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის...“ „დიდია მეტად, დიდია მეტად ღელვათა ზვავი, იგი ცხოვრებას დაადგა სვეტად მკაცრი და ავი...“

ნახატს უსახური, მუქი ლაქები ადევს. უსახურობა თითქოს ფიგურას ფარავს თავისი სიბნელით. ფიგურები უამურად და უაზროდ, შენელებული დინამიურობით „მოძრაობენ“ და კარგს არას მოასწავებენ. ნამუშევარი თავადვე გკარნახობს, რომ ისინი ავი სულები არიან. სურათს ფერმწერის ასეთი მინაწერი ახლავს: „ხშირად მგოსანს გალაკტიონს უცნაური და უცხო ფორმის დემონი სტუმრობდა“. ამგვარი სტუმრობა კი რაოდენი იყო... აი, თუნდაც ასეთი: „არ მეძინება. თვალბოროტი და აბეზარი მღრღნის მწუხარება, ძლიერია სულში ანთება, დუმილი ბნელი დამზუზუნებს როგორც მეზარე, წარსულისაგან მე ნაცნობი ხმა მელანდება. ...აქ ვიქნები განთიადამდე შენი დემონი და სტუმარი გაუბედარი. ახალგაზრდობა გაგიმწარე მძიმე შხამებით, შენ საიდუმლო ჩემს გარეშე რა დაგრჩენია? სული აგივსე ბურუსებით და შეღამებით, მტრებს მორჩილებით მივაკუთვნე შენი გენია“.

„მე ყოველთვის მაოცებდა გალაკტიონის ლექსი — მისი ფორმაც, წყობა, მასში მოქცეული განწყობა და განსაკუთრებით ის შორეული მუსიკა, რომელიც მის პოეზიას უბრალოდ კი არ ახლდა, არამედ პოეტის დიდი ჩანაფიქრიც იყო“. სწორედაც, ნიშანდობლივია, რომ მგოსნის ლექსებიდან უმეტესად დაბალი ხმის საკრავები ხმიანობენ — ფაგოტი, ვიოლონჩელი... „კვნესის ვოლტორნი, სადღაც სტირის ვიოლონჩელი...“ „ფაგოტების მაგიჟებდა გოდება“.

„მისი და ჩემი აივნის ფანჯრები 25 წლის მანძილზე გვერდიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს — განაგრძობს მოგონებას მწერალი ქალი მარიამ გარიყული, — ხანდახან გადავიხედავდი გალაკტიონის მხარეს და იქ ჩასადგურებულ იდუმალებისაგან შიშის ქროლვა დამივლიდა... ჩემს წარმოდგენაში მის ბინას საუკუნეებით მიტოვებული ციხე-კოშკის ელფერი ჰქონდა გადაკრული...“ მაგრამ განა ვინ უწყოდა, რომ გალაკტიონი არა ამ ფანჯრების ახლოს, სულ სხვა განზომილებაში არსებობდა, აზროვნებდა, ქმნიდა და მოქმედებდა.

...და რამდენი წელი დასჭირდა ამ უცნაური „თეორიების ამოხსნას“, ურომლისოდაც აუხსნელი დარჩებოდა გენიოსი პოეტის შეუცნობი პროფილი.

სრულიად გაიშალა რადიუსი და ნათლად გამოჩნდა: „გალაკტიონი და კოსმოსი“, „სამყაროს სახე და გალაკტიონი“, „აბსტრაქტული მოტივი და გეომეტრიულ ფორმათა ხილვები კოსმოსში“, „სამყარო პირამიდა, გალაკტიონის მზერა და იდუმალება“. ეს სრულიად ახალი და ახლებური სააზროვნო არეალია გალაკტიონ ტაბიძის განსაკუთრებული ფენომენის ამოსაცნობად და სწორედ ამის შემოქმედია გამორჩეული ხელწერისა და აზროვნების ფერმწერი და ესეისტი ბატონი ემელიანე (რეზო) ადამია.

პირველი გამოფენა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს მიეძღვნა, გაიმართა 2012 წლის 22 ნოემბერს („ვერნისაჟში“), „პლანეტარიუმის“ სახელწოდებით, მეორე — 2013 წლის 15 ივნისს, — გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. გამოფენის სახელწოდება ფრიად ორიგინალური და უცხო იყო: „კოსმიურ მუზათა ქარიშხალია გალაკტიონში“.

— პლანეტარიუმის თემა ახალგაზრდობიდანვე მაწუხებს. ეს, არ არის ახალი თემა. 1987 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიურად ვმუშაობ ამ თემაზე. სხვათა შორის, მზის სისტემა გავაკეთე. უცხოეთში დაიბეჭდა. შემდეგ მუშაობა დავიწყე გრანელზე. გრაფიკაზე ვმუშაობდი“. მინდა აქ ბატონი რეზოს ბრწყინვალე ესსედან „ტერენტი გრანელი სისხლიდან ცრემლი“, რამდენიმე გრაფიკული ნამუშევარი შევახსენო მკითხველს, შექმნილი ტერენტის ლექსთა სტრიქტონებზე: „წუხს როიალი, მე რაღაც მტკივა“, „რა ვქნა, გამეფდა სულში ჩრდილები“, „სევდის ქვეშ იწვის ადამიანი“, „ისევ მაღალ ცას ვეთაყვანები...“

— სამი წელია დავიწყე გალაკტიონი /ყველაზე დიდი კოსმიური სივრცე შეიძლება ვწერო გალაკტიონიდან/. პარალელურად ვქმნიდი ჭყვიშის მოტივებს — თოვლის, მზის პეიზაჟებს. აქვეა სოფლის იდილიური სურათებიც, რაც მთავარია, ამ თემის პეიზაჟებს აქვს ეთნოგრაფიული გააზრებაც“.

„ჩემი თვალები ტავერნაა ნამაისარი, სადაც მოკლული დაკიდულა სიასამური“ — წერს გალაკტიონი და თითქოს ამ სტრიქონების გაგრძელებაა ფერმწერის ერთ-ერთი შესანიშნავი ნამუშევარი „ამღვრეული განწყობილება“ — ნახატის სივრცეს ავსებს სიბრტყეზე ასიმეტრიულად განფენილი მღვრიე, მონისლული ფერები. „ვხატო სული“ ესაა ჩემი სწრაფვა, — ამბობს მხატვარი და ეს ნათქვამი ბრწყინვალედ სახიერდება მის შესანიშნავ

ქმინლებებში: „მგოსნის სული და მუზა, კოსმოსიდან ღრუბლებად მოედინებოდა“, „გალაკტიონი, ელვად ქცეული სული“, გალაკტიონის ლექსთ კივილი კოსმოსს მისწვდა...“

მზე, მთვარე, თოვლი — ამ მოტივებს არაერთხელ მიუბრუნდება ხელოვანი. „თანაბრად მწვავდა პოეტურ შუქით ორგია მზის და მაგია მთვარის“, — ბრძანებს მგოსანი გალაკტიონი და ფერმწერიც მორჩილად უსმენს ბრძენკაცს, — მხატვრის თვალით და შეგრძნებით, მისეულად აღქმულ „მერვე ფერის სილურჯეში მოცურავე პოეტს“. თითქმის თანაბარი ოდენობით ჰქმნის მზისა და მთვარის მოტივებს. მაგრამ, ალბათ, დამთვალიერებელიც უთუოდ შეამჩნევდა, რომ შემოქმედს უფრო მზის ჩასვლის ჟამი იზიდავს, საგამოფენო დარბაზსაც თითქოს მზის წითლად დაღვრილი ტბორი გადაუვლის და მოხშირებულ სიწითლეს ნახატზე თანდათან ფრთხილად მოეგებება საღამოს ნისლი, ღრმა ჭრილობასავით რომ ედება სულს.

„მოვუსმინოთ“, ამ მომენტს როგორ „ახატავს“ თავად გალაკტიონი: „მზის ჩასვლის წამი აგვისტოსა ჰგავს, ჩასვლის მომენტი კი — ენკენისთვეს; ჩამობნელება იანვარს რგავდა, თითქოს დაზამთრდა წარმოდგენისთვის. სწრაფლ ელექტრონის მოვიდა თოვლი, არე აივსო მისი სისოვლით“. ალბათ, მკითხველს გაახსენდება პოეტის შედევრიდან ეს სტრიქონი — „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“ და განმარტებაც საჭირო აღარ იქნება.

მხატვარი მზეს უდიდეს კოსმიურ საოცრებად მიიჩნევს. მზის ჩასვლას „მჩქეფარე სხივების ორკესტრს“ უწოდებს, — „კოსმიური გამოთხოვების დღესასწაულს“. ხან ყველაფრისაგან ანთავისუფლებს ამ საოცრებას და, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, „შუაგულს“ განუმზადებს ჩარჩოში და მოწიწებით დააბრძანებს. შემდეგ განსაკუთრებულ სათაურსაც შეურჩევს თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ქმნილებას: „მხოლოდ მზე“, და, ვხედავ, როგორი აღტაცებით შესცქერის ნახატს — „შეხედეთ, შეხედეთ, როგორ ბრდღვიალებსო“. და აქვე ვიტყვი, საგამოფენო დარბაზში იშვიათი სიცხადით აღიქმება რეზო ადამიას ფერწერული შემოქმედების ეს საჩინო და გამორჩეული ნაკვთი — „მზისმეტყველებისა“. მას ჭირისუფლის როლიც კი აკისრია. ეს მკაფიოდ შეიცნობა ჩამავალი მზის ტონალობაში, „მზის ჩასვლა“ ორგანულად ერწყმის თეთრად მოსილი მთვარანგელოზის მიერ მგოსნის დატირების სცენას: „მთავარანგელოზიც დაამწუხრა გალაკტიონის უდანაშაულო სისხლმა“:

— რატომ, რატომ დაასწარი, მგოსანო, ზეციურ კანონებს? /ამ შეძრწუნებულ შეკითხვასა და უნაპირო ტკივილში ფერმწერის მგოსანთან შეკამათების წამიც გაიელვებს/, და მხატვრის ამ სულისშემძვრელ ფერწერულ ქმნილებას შესატყვისი „ფერწერული კონტექსტი“, სწორედ „მზის ჩასვლა“ დაასრულებს, რომელიც სიმბოლურად ავტორს მთავარანგელოზის გვერდით აქვს განთავსებული.

ალბათ, დამთვალიერებელი შენიშნავდა, რომ ფერმწერმა სათაყვანებელ პოეტს „დრამატული კუთხე“ მოუწყო, ხოლო ამ კუთხეშივე, მგოსნის დატირების სცენის ქვეშ იატაკზე ჭადრების გამხმარ ფოთლებს წითელი ფერი წინწკლებად გადააღვარა, როგორც მგოსნის უმანკო სისხლის გამოხატულება, ასეთი მინიშნებით წარმოაჩინა პოეტის ტრაგიკული სიცოცხლის ფინალი და ამ სახით გვითხრა, რომ მგოსნის ეს კოსმიური გარდასახვა მარად შეუშრობელი სისხლი, მარადის გაუნელებელი ტკივილია.

„დრამატულ კუთხეში“ თავმოყრილია მგოსნის ცხოვრების ტრაგედიის ამსახველი სურათები: „1959 წელი. გალაკტიონი და კოსმოსის სივრცე დაიძაბა“. „სამყარო, ტრაგედია და გალაკტიონის წმიდა სისხლი“, „გალაკტიონის სულის, სისხლის და კოსმოსის მთლიანობა“, „ზამთარი. ძაღლებმა და ყორნებმა პირველებმა იგრძნეს გალაკტიონის სიკვდილის მოახლოება“. თითქოს პოეტის წინასწარმეტყველებად აღიქმება სტრიქონები მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდან: „არ მოგვესმოდა სახლიდან მოთქმა, მაგრამ საოცრად ტიროდა სახლი“. შეუძლებელია, ერთხელ მაინც იხილო, რომ ოდესმე დაგავიწყდეს ფერმწერის მიერ იშვიათი მგრძნობელობითა და მწუხარებით აღწერილი მგოსნის მოსალოდნელი ტრაგედიის უაღრესად მგრძნობიარე სურათი, რომლიდანაც უსაზღვრო მწუხარება, სასოწარკვეთილებისა და უიმედობის წამლეკავი ნიაღვარი გადმოსჩქეფს.

ემელიანე (რეზო) ადამიას გამოფენა „გალაკტიონი და კოსმოსი“, გულთბილად მიიღო თბილისელმა დამთვალიერებლებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სამართლიანადაც მისცეს მაღალი შეფასება, მადლიერების აღსავსე გრძნობით ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს დიდ შემოქმედს, გალაკტიონის უზადო ტრფიალსა და თავგამოდებულ მოამაგეს.

ნოდარ ტაბიძე:

— ბატონო რეზო, მივცემ თავს ნებას და გავიმეორებ იმას, რაც არაერთგზის მითქვამს და დამიწერია. XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის. თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაცაა... ასეთი გენიალური თქვენი ნამუშევრები.

პირველი და უმთავრესი ნიშანი ბატონი რეზოს ნამუშევრებისა ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. უფრო მეტიც, ბატონი რეზო პირველი ბრძანდება, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკავშირებით წარმოაჩინა. დაუკვირდით სურათს: „გალაკტიონ ტაბიძის მზერა სამყაროდან“ ორიგინალურზე ორი-

გინალურია... „სამყარო და გალაკტიონის სახე“ ან თუნდაც მეორე ბრწყინვალე ნამუშევარი — „გალაკტიონის ამგვარი გახელებული ემოციებით იწერებოდა მგოსნის „ლურჯა ცხენები“... ისევ კოსმოსი „ხშირად მგოსანს უნცაური და უცხო ფორმის დემონი სტუმრობდა“, და აი ბატონი რეზო ცდილობს ჩასწვდეს ამ საიდუმლოებებს. ალბათ დამთვალიერებელი გაოცდებოდა უჩვეულო ნახატით „სამყარო“. მიაქციეთ ყურადღება სათაურს — „გალაკტიონი წმინდა სისხლით უკავშირდება სამყაროს“. ის სწორედ იმით არის განუმეორებელი და ერთადერთი, რომ მას თავისებურად ესმის ზეციდან ზარების რეკვა. მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ემელიანეს ასეთი ხედვისა და მოვლენებისათვის. ალბათ, ნებისმიერი, ფერწერასთან ახლოს მყოფი პიროვნება დიდხანს შეჩერდება ტილოსთან — „სამყარო, პირამიდა, გალაკტიონის მზერა და იდუმალება“. შემთხვევითი არ არის, მზერა და იდუმალება რომ კონტექსტშია მოქცეული. ესაა გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი შტრიხი და ეს კარგად შეამჩნია ბატონმა რეზომ.

დასკვნის სახით უნდა მოვიხსენიოთ, რომ გალაკტიონისადმი მიძღვნილი არაერთი სურათით დავმტკბარვარ, არ გამომიტოვებია საქართველოს სახალხო პოეტისადმი მიძღვნილი არც ერთი გამოფენა და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ასეთი ორიგინალური, როგორიც ბატონ ემელიანე ადამიას ნამუშევართა წარმოჩენაა, არც ერთი არ ყოფილა. ჩვენ აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ მხატვარი ხშირად ესიტყვება და ეკამათება პოეტს. ამ უცნაურ დიალოგში კარგად მჟღავნდება ფერმწერის მსოფლმხედველობა და ესთეტიკური მისწრაფებანი. ალბათ ეს გამოფენა არა მხოლოდ თბილისელებმა, არამედ სრულიად საქართველომ უნდა გაითავისოს. უფრო მეტიც, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი ტილო ევროპისა და ამერიკის სახელგანთქმულ მუზეუმებს დაამშვენებს. თავს ვხრი ბატონი ემელიანეს ნიჭის წინაშე და ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველ წელიწადს იგი ახალი შედევრებით გაგვანებივრებს.

რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ბატონი რეზოს შესრულების ტექნიკა, მსგავსი მანერით შესრულებული ნახატები მე ჯერ არ მინახავს. ალბათ სპეციალისტები დაინტერესდებიან მისი ფერწერის მანერით, ხატვისა და გააზრების ორიგინალობით და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ მივიღებთ ბრწყინვალე ნაშრომს ამ ბრწყინვალე ფერწერაზე.

ბოლოს მინდა დავძინო — ასეთი ფართომასშტაბიანი პერსონალური გამოფენა, მიძღვნილი რომელიმე მგოსნისადმი, მე არ მახსოვს. ბატონი რეზო მეუბნება, ეს სურათები მე გალაკტიონის დიდმა გენიამ და სიყვარულმა შემაქმნევინაო!

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე:

— აფრთოვანებული ვარ. მახსენდება კ. სტანისლავსკის სიტყვები: არ არსებობს ხელოვნება განცდების გარეშე. სასიამოვნო განცდები, გალაკტიონი და სამყარო, უსასრულო კოსმოსი. არაჩვეულებრივი ფერთა გამა. უაღრესად მომწონს მთვარიანი ღამეები იმერეთში. იმერეთის თოვლი, რამდენი სიყვარული და სითბოა გადმოცემული. ბატონო რეზო, თქვენს ნიჭს, ფანტაზიას, ხელოვნებას გაუმარჯოს!

ვერნერ რუდიგერი, გერმანელი მხატვარი:

— გამოფენას გილოცავთ. ჩემთვის დიდი სიხარული და სიურპრიზია. მე ვიცნობ თქვენს ნამუშევრებს დიდი ხანია. შთაბეჭდილება ფანტასტიკურია და ეფექტურია.

რუსუდან ფეტვიაშვილი.

„— რა საოცარი, მდიდრული, მრავალფეროვანი გამოფენაა! პარიზის ნახატები დაუვიწყარი და ცოცხალია. თითოეულ ადგილს იმ წამს იცნობ და მიხვდები, რომელ თვეშია შექმნილი თითოეული ქუჩა და ხედი. დიდი მადლობა ასეთი ლამაზი მშვენიერი გამოფენისთვის. დიდი მოწიწებით მახსენდება საფრანგეთის გამოფენა და თქვენი დაუვიწყარი პეიზაჟები, ფრანგები რომ მოხიბლა. დიდი მადლობა. პატივისცემით და სიყვარულით — რუსუდან ფეტვიაშვილი“.

გიორგი მელუა — პოეტი-მხატვარ-მოდერნისტი:

„—ბატონო რეზო! თქვენსავით არავინ ჩასწვდომია ტერენტი გრანელის პოეზიასა და ფერწერას, არავის უგრძვნია მისი გარდასახვა უსასრულობაში. თქვენსავით ძალზე ცოტას თუ ჰქონია ბედნიერება ვაჟა-ფშაველას გენიას მოფერებოდა. სხვანაირად — ძლიერ, ძლიერ, ძლიერ გიყვართ გალაკტიონის ყოველი ბწკალი, თქვენსავით ძალზე ცოტამ თუ იცის, რა ფერი აქვს ყოველივე იმ დიდ ღირებულებებს, რომელსაც თქვენი თვალი და გონება აღიქვამს პარიზის დიდებულ მუზეუმებში...

— იცით თქვენი შემოქმედების დიდი პატივისმცემელი გახლავარ და ამ ბრწინვალე საღამოსთვისაც კიდევ მრავალ-მრავალ მადლობას გეუბნებით!“

ლევან გორგიჯანიძე:

—აღფრთოვანებულნი დავრჩით ამ საოცარი გამოფენით. ღმერთმა მოგცეთ ძალა და ღონე, რათა ყოველთვის ვიხილოთ ეს საიდუმლო ხელოვნება.

ასმათ მაჭავარიანი. ბადრი ცერცვაძე.

—ბატონო რეზო! უდიდესი სიამოვნება მივიღეთ, თქვენი ნახატები სრულ ჰარმონიაშია გალაკტიონის პოეზიასთან და სწორედ მისი საკადრისია! თითოეულ სურათში განწყობა იმდენად იგრძნობა, რომ სათითაოდ შეიძლება კონკრეტული ლექსის გახსენებაც კი, ლურჯა ცხენების ჭენებიდან ცვრიან ბალახზე სიარულის ჩათვლით. დიდი მადლობა ამ საჩუქრისათვის.

ილო პატაშური — მხატვარი:

— რეზო სრულიად განსხვავებული მხატვარია. მას საკუთარი ხელწერა აქვს და ქართული სახვითი ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია.

კახა სარაჯიშვილი:

— მე, როგორც რეჟისორსა და მომღერალს ძალიან მომეწონა, ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედება. ვფიქრობ, კინო და მუსიკალურ სამყაროსთან ეს ძალზე ახლოს გახლავთ. რაღაც პოეტური და უკიდეგანოა, როგორც გალაკტიონი. პატივისცემით დიდი დავით და ვანო სარაჯიშვილების შთამომავალი.

თამარ შაიშმელაშვილი:

— ფერწერის დიდი ოსტატები სულისა და კოსმიურ უხილაობას გადმოსცემთ. ამ უხილავობის კოსმიური გამოსახულებებით ქმნის და საჭირო შედეგსაც აღწევს ბატონი რეზო ადამია.

გენო ზაქარაია — მოქანდაკე:

— ბატონო რეზო, რთულია გალაკტიონს შეეხო! — მიხარია, რომ შეხვედი შენი განწყობით — ნეტავ გალაკტიონი რას იტყოდა დანახულ სამყაროზე, რაც შენ დახატე? დიდი მადლობა.

მინდა აქ ყველასათვის საყვარელი, სათაყვანებელი მწერლის, დიდი ქართველის ბატონი ოტია იოსელიანის ხმაც „გავაჟღერო“, რამეთუ მისი ბრძნული აზრები სავსებით ეთანადება ემელიანე (რეზო) ადამიას ნამუშევართა დღევანდელ ექსპოზიციას, ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულსა და ფასეულს, რაც ხელოვანის ფერწერილობას მარადიული ხიბლის ძალას ანიჭებს და მიანიჭებს მარად.

ოტია იოსელიანი:

— სამწუხაროდ, ჩვენს უძველეს კოლხეთს რეზო ადამიას ქმნილებები თუ გადაარჩენენ...რეზო ადამიას კოლხეთი ისაა, რასაც ეს ესაა მოვუსწარით და გადავარჩინეთ.

ხელოვნება თუ სარკეა და თავისი დროის ასახვაა, ამ ნახატებში ჭეშმარიტადაა ასახული“.

მაინც, რა არის ის ნიშანდობლივი, რაც ასე ხიბლავს და აჯადოებს მხილველს რეზოს ადამიას ფერწერილობაში? — პროფესიონალიზმი, პოეტური ხედვა, ლამაზი კოლორიტი, ფერთა გამა, ოსტატობა, ქართული სული და ყველაფერი ეს თანაბარი ძალით აღიბეჭდება შემოქმედის ხელქმნილში და ეს არც არის გასაკვირი, ღმერთმა ორი მუზის მსახურება დაანათლა — კალმით და ფერით წერის.

თუ კითხავთ, — ამძიმებს ეს ტვირთი?

უმალვე გიპასუხებთ: — წერა ჩემთვის თავისუფალ ველზე განავარდებასავითაა.

და კიდევ:

— პოეზია და მწერლობა სულიერი დღესასწაულია და ძალიან მეხმარება პროფესიულ საქმიანობაში.

გულნაზ ხარაიშვილი:

— ჯ. ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი. ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი:

— რეზო ადამიას ნახატები დედამიწიდან კოსმოსს სწვდებიან და იქ განაგრძობენ სამუდამო ცხოვრებას.

გამოფენაზე რამდენჯერმე ვიყავი და გული ისევ იქით მიმიწევს „კოსმოსისკენ“ და დარბაზიდან გამოსულს თითქოს თან „მომდევს“ ნახატი „გალაკტიონის ლექსთ კივილი კოსმოსს მისწვდა“. და აქვე „ჩამესმის“ ტიციან ტაბიძის სიტყვები „მარტოობის ორდენის კავალერისთვის“ რომ ითქვა:

„ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე და ამიტომ მსურს, ვიპოვო რამე, რომ წავუღო ზეცას მედიდურს“. —

უკეთესი საჩუქარი რა იქნება მედიდურ ცისთვის, როგორც დამწვარი პოეტის სული!..“

2013 წლის 10 დეკემბერი

გაგა გულიაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის შესავალი
საგანი და ამოცანები

ხელოვნებათმცოდნეობა სინთეზური მეცნიერებაა თავისი შემადგენლობით. იგი რამდენიმე მეცნიერებას შეიცავს: ხელოვნების თეორიას, ხელოვნების ისტორიასა და კრიტიკას (ეს უკანასკნელი მეცნიერება არაა).

ხელოვნების თეორია თავის მხრივ იყოფა ხელოვნების ცალკეული დარგების მიხედვით: მუსიკის თეორია, თეატრის თეორია, არქიტექტურის თეორია, ლიტერატურის თეორია, ფერწერის თეორია და ა.შ. ხელოვნების ისტორიასაც იყოფა: არქიტექტურის ისტორია, თეატრის ისტორია, კინოს ისტორია, ფერწერის ისტორია და ა.შ.

ხელოვნების თეორია სწავლობს ხელოვნების რაობას, წარმოშობას, იმ პრინციპებს, ხერხებსა და საშუალებებს, რითაც იქმნება მხატვრული ნაწარმოები, ხელოვნების დარგების თავისებურება.

ხელოვნების ისტორია სწავლობს ხელოვნების განვითარებას ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, ხელოვნების ცალკეული ნაწარმოების შექმნის ისტორიას, ეპოქას, იმ იდეალებს, რითაც იქმნება ესა თუ ის ხელოვნების ნაწარმოები, ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან მომენტებს.

კრიტიკა – (სიტყვა ნიშნავს - „განჩხრეკას, გარჩევას, ანალიზს, შეფასებას, დაწუნებას ან მოწონებას“). სწავლობს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს, აფასებს მათ ადგილსა და მნიშვნელობას, როგორიცაა ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკურ-მხატვრული ღირებულება.

ხელოვნებათმცოდნეობა ყველა ამ ცოდნას აერთიანებს თავის თავში, იგი სწავლობს ხელოვნების თეორიულ, ისტორიულ საკითხებს და ამავე დროს თანამედროვე ხელოვნების შეფასებასაც ახდენს.

ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარში, მანამდე არსებობდა ცალკეული შეხედულებები, თეორიები, ისტორიული აღწერანი, XIX ს-ის II ნახევარში აზროვნებაში გაბატონდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი (მეთოდი - „გზა“).

თუ მანამდე მხოლოდ აღწერდნენ და ცნობებს გვიტოვებდნენ ამა თუ იმ ხელოვნების ან მხატვრულ-კულტურული ძეგლის შესახებ (მაგალითად, ჰეროდოტემ აღწერა პირამიდები, ჯორჯო ვაზარიმ თავისი დროის (XVI ს.) გამოჩენილ ხელოვანთა – ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ჯოტოს, რაფაელის და სხვ. ცხოვრება და მოღვაწეობა), XIX ს-ის II ნახევარში 1764 წ. ვინკელმანმა (გერმანელი ხელოვნებათმცოდნე) პირველად თავის სამ წიგნში: „უძველესი ხელოვნების ისტორია“, „მოხსენება ჰერკულანიუმის გათხრების შესახებ“ და „უცნობი ანტიკური ძეგლები“ - გამოიყენა შედარებითი მეთოდი, ერთმანეთს შეადარა აღმოსავლური ხელოვნება – ეგვიპტური და სპარსული ბერძნულ-ანტიკურს. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შეიძლებოდა არა მარტო აღწერა ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის ხელოვნების ნიმუშების, არამედ ისტორიულ ასპექტში გაეაზრებინათ მთელი გზა ხელოვნების განვითარებისა. ეს ხდებოდა შედარების, მსგავსება-განსხვავების პოვნის გზით. ისტორიული ფაქტების დაგროვებით, არქეოლოგიური გათხრებით მეცნიერებმა შეძლეს შეექმნათ ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც სისტემური (სისტემაში მოყვანილი) ცოდნა ხელოვნების თეორიისა და ისტორიის საკითხებზე. ხელოვნების თეორიის უპირველესი საკითხის – რა არის ხელოვნება? – პირველი თეორიული ანალიზი, ე.ი. გააზრება იმისა, თუ რა არის ხელოვნება, - ესეც ანტიკურ სამყაროში მოხდა („ანტიკა“ - ძველი, კლასიკური) პირველად საკითხი: რა არის ხელოვნება? – დასვა დემოკრიტემ, ბერძენმა ფილოსოფოსმა V ს. ძვ.წ.-ით, შემდეგ არისტოტელემ IV ს.ძვ.წ.-ით (384-322 ძვ.წ.-ით) თავის წიგნში „პოეტიკა“. I ს-ში ძვ.წ-ით რომაელმა პოეტმა ჰორაციუსმა არისტოტელეს გავლენით დაწერა ტრაქტატი: „პოეტიკა ანუ მიმართვა პიზონებისადმი“, რომელშიც იგი რჩევას აძლევს რომაელი დიდგვაროვანი ოჯახის პიზონების (გვარია) შვილებს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ვრცელი პოეტური ნაწარმოები: რამდენჯერმე გადაწერეთ, დიდხანს შეინახეთ და მერე გადაიკითხეთ, აზრი მოსაწყენი არ უნდა იყოს: „ზოგჯერ მოხუცი ჰომეროსიც კი წასთვლემსო“.

ხელოვნების ცალკეულ დარგების შესახებ თეორიულ ტრაქტატებს წერენ: ლეონარდო და ვინჩი (XV-

XVI სს. 1452-1519 წწ.) „ფერწერის შესახებ“, ლეონ-ბატისტა ალბერტის (1404-1472) ტრაქტატი „10 წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“, „სამი წიგნი ფერწერის შესახებ“. მიქელანჯელო ბუანაროტის „ოთხი საუბარი ფერწერის შესახებ“ (1475-1564 წ).

ახალ დროში (ასე უწოდებენ XVII საუკუნიდან პერიოდს) ხელოვნების თეორიის შესახებ სპეციალურ წიგნს წერს ჰეგელი სახელწოდებით „ესთეტიკა“ (XVIII საუკუნისა და XIX ს-ის მიჯნა). XIX ს-ში განვითარდა კრიტიკა, როგორც დარგი. ცნობილი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი IX ს. რუსული ხელოვნების კრიტიკულ ანალიზს აკეთებდა. მის გავლენას განიცდიდნენ ქართველი მწერლები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, რომლებიც თავისი დროის ლიტერატურული ნაწარმოებების კრიტიკას მიმართავდნენ, აფასებდნენ მათ ღირსება – ნაკლოვანებას, მათ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ხელოვნების წარმოშობის ზუსტი თარიღი არავინ იცის, ვიცით მხოლოდ, რომ ხელოვნების პირველი ნიმუშები პირველყოფილ საზოგადოებაში ზემო პალეოლითის ხანაში გაჩნდა. ე.წ. „კულტურული“ ადამიანი გამოქვაბულის კედლებზე პირველ ხაზებს ავლებს, შემდეგ აფერადებს, შემდეგ სქემატურ გამოსახულებას ხატავს. ეს ნიმუშები, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების პირველ ნიმუშებად.

ხელოვნების წარმოშობის შესახებ მეცნიერულ-თეორიული აზრის შემუშავება კი XIX ს-ის ბოლოს დაიწყეს, რადგან აქამდე მეცნიერებას არ გააჩნდა კონკრეტული მონაცემები მხატვრული განვითარების საწყისი ეტაპების შესახებ.

მანამდე კი ფილოსოფოსები ჰიპოთეზურად გამოთქვამდნენ შეხედულებებს ხელოვნების წარმოშობის შესახებ. პირველი ასეთი აზრი გულუბრყვილო ფორმით V სკ-ის ძვ.-წ-ით ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ გამოთქვა. მისი აზრით, ხელოვნების წარმოშობა ბუნების ბაძვას უკავშირდება. ადამიანებმა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით დაიწყეს თავშესაფრის მშენებლობა და ასე გაჩნდა არქიტექტურაო. ბუნებრივი გამოქვაბულის მსგავსი ნაგებობა თანდათან დამუშავების შემდეგ, ბუნების მიბაძვის შედეგად, არქიტექტურულ ნაგებობად იქცა. ჩიტების ჟღურტულმა, მდინარის ხმაურმა, ცხოველების მოძრაობამ ადამიანებს ასწავლა სიმღერა და ცეკვაო. V-IV სს.-ში ძვ.წ. ბერძენი ფილოსოფოსების – პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებში ჩამოყალიბდა ე.წ. „ბაძვის“ თეორია ანუ „მიმეზისი“ („მიმეზისი“ - ბაძვა) პლატონი (427-347 წ.წ. ძვ.წ.-ით) ხელოვნების წარმოშობას პირდაპირ უკავშირებს ადამიანის ბაძვის უნარს. ადამიანი ბაძავს ბუნებას და ზუსტად ცდილობს გადაიღოს მისგან გამოსახულებები. პლატონთან ხელოვნება ბუნების ასლია, როემლიც მექანიკური ბაძვით არის შექმნილი. უფრო წინ წავიდა მისი მოწაფე არისტოტელე (382-322 წწ. ძვ.წ.-ით), რომლის თეორიულ ტრაქტატში „პოეტიკა“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა „მიმეზისის“ თეორია.

არისტოტელე ხელოვნების წარმოშობის ორ მიზეზს ასახელებს:

1) ადამიანს აქვს ცნობისმოყვარეობის ანუ ცოდნის შეძენის უნარი და
2) ადამიანს ასევე აქვს ბაძვის უნარი.

შუა საუკუნეებში ხელოვნების წარმოშობას ღმერთს უკავშირებდნენ. ღმერთი ჩააგონებს ადამიანს იმას, რაც მან უნდა გამოხატოს. ამდენად, ხელოვანი არის მედიუმი (შუამავალი) ღმერთსა და მკითხველს, მსმენელს, მნახველს შორის. თვით სიტყვა „ნიჭი“ ძვ. ქართულში ნიშნავდა ღვთის საჩუქარს. ღმერთი აძლევს ადამიანს ნიჭს შემოქმედებისათვის. თვით ღმერთი არის უმაღლესი შემოქმედი, რომელიც ქმნის სამყაროს. ხელოვანიც ღვთის მიბაძვით ქმნის ახალ სამყაროს თავის ნაწარმოებში. ამ თეორიას, რომელსაც შუა საუკუნეების ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრი ქმნიდა, ხელოვნების წარმოშობის „ღვთაებრივ თეორიას“ უწოდებდნენ, მაგრამ მას არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან.

საქმის ვითარება რადიკალურად შეიცვალა XIX ს.-ის ბოლოს, როცა პირინეის ნახევარკუნძულზე ხელოვნების პირველყოფილი ნიმუშები აღმოაჩინეს, გამოქვაბულის კედლებზე ზემო პალეოლითის ეპოქის მოხატულობანი აღმოაჩინეს, მცირე აზიაში, აფრიკის, დასავლეთ ევროპის ტერიტორიებზე მსგავსი ნიმუშები აღმოაჩინეს. არქეოლოგიური ძიებებით მოპოვებული სკულპტურული გამოსახულებანი პირველყოფილი ხელოვნებისა, გამოყენებითი ხელოვნების – საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაულები – აურაცხელი მასალა უკვე საშუალებას იძლეოდა გახსნილიყო ხელოვნების წარმოშობის საიდუმლოება, უფრო ზუსტად, ხელოვნების მკვლევართ საშუალება მიეცათ

გაეანალიზებინათ ხელოვნების ისტორიული განვითარების გზა.

ამრიგად, ხელოვნების ისტორია, როგორც მეცნიერება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX ს.-ის II ნახევარში და ამან განაპირობა თავის მხრივ ის უდიდესი ინტერესი, რომელიც მეცნიერებმა პირველყოფილი ხელოვნებისადმი გამოიჩინეს. ამას კი მოჰყვა იმის აუცილებლობა, რომ დაედგინათ ხელოვნების წარმოშობის მიზეზები.

სპენსერის, ალენის, გროოსის, ლანგეს კონცეფციამ – თამაშის თეორიამ – არა მარტო დამახინჯებულად განმარტა ხელოვნების წარმოშობა, არამედ ადამიანთა საზოგადოებაში თვით თამაშის წარმოშობის და არსის სწორად ახსნა ვერ შეძლო, რადგან თამაში ინსტიქტური და იმპულსური ქმედება კი არა არის, როგორც მათ ესმოდათ, არამედ ადამიანის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდისათვის მოწოდებული, სოციალურად ორგანიზებული ქმედებაა, ესაა თავისთავში შინაგანად არსებული მიზნის განხორციელება. პირველყოფილ ხელოვნებასთან თამაშის კავშირი უეჭვოა, ისე როგორც ბავშვის თამაში შეიძლება განვიხილოთ როგორც იმპროვიზებული მხატვრული მოქმედება, მაგრამ ეს არ ნიშნავს თამაშიდან ხელოვნების წარმოშობას. თვით თამაშსაც კი წინ უსწრებს შრომითი საქმიანობა.

VII–V სს.-ში ძველ საბერძნეთში წარმოიშვა პირველი ფილოსოფიური სკოლები, რომლებიც ცდილობდნენ მითოლოგიური წარმოდგენებისაგან განსხვავებით ნამდვილი ცოდნა ჩამოეყალიბებინათ სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ.

სიტყვა „ფილოსოფია“ სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს (,,ფილოს”- მიყვარს, „სოფია“— სიბრძნე). იგი შემოიტანა VI ს.-ში სამოსელმა პითაგორამ. ფილოსოფიურ სკოლებში ძველ ბერძნებს სამყაროს, რომელსაც ,,კოსმოსს“ (მოუწესრიგებელი სამყარო) უწოდებდნენ, როგორც მთელის და მასში არსებული მრავალი საგნისა და მოვლენის წარმოშობა აინტერესებდათ. ამიტომ მთავარი კითხვა იყო: საიდან გაჩნდა კოსმოსი?- პასუხად თვლიდნენ, რომ კოსმოსში მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული მოვლენებისა და საგნების სიმრავლეს ერთი პირველსაწყისი (ბერძნ. ,,არხე”) უნდა ჰქონოდა. მეორე კითხვა შემეცნებითი ხასიათისა იყო: რა არის ის, რაც არსებობს? მესამე კითხვა: როგორია კოსმოსი და კოსმოსში არსებული მოვლენები და საგნები ადამიანისათვის?

ფილოსოფიის წარმოშობის საწყის ეტაპზე მთავარ კითხვაზე სხვადასხვა სკოლა განსხვავებულ პასუხს იძლეოდა, მაგალითად, მილეთელი ფილოსოფოსის თალესის აზრით, არხე იყო წყალი, ეფესელი ჰერაკლიტესთვის VI ს. ძვ. წ. — ცეცხლი, დემოკრიტესთვის (V ძვ.წ.) ატომი, პითაგორასთვის (VI ს.ძვ.წ.) — რიცხვი. მოძღვრებას, რომელიც მხოლოდ ამ კითხვით იყო დაინტერესებული ე.ი. აინტერესებდა საიდან გაჩნდა კოსმოსი, ,,კოსმოგონიას” უწოდებდნენ. ეს მოძღვრება მეცნიერების პირველი სახე იყო. ,,კოსმოგონია” ანუ ფილოსოფიის ადრეული ფორმა იქცა მეცნიერების დაბადების მანიშნებლად.

ამდენად მეცნიერება, როგორც ზოგადის ცოდნა, ძველ საბერძნეთში ჩაისახა VI ს.ძვ.წ.-ით და მას „ფილოსოფია“ ეწოდებოდა.

ფილოსოფია სწავლობდა სამყაროში ადამიანისთვის საინტერესო ყველა მოვლენას, ამიტომ იგი შემდგომ წარმოშობილი სხვადასხვა მეცნიერების ზოგად საფუძვლად, მეცნიერებათა მეცნიერებად არის მიჩნეული. მისგან წარმოიშვა ისტორია, ფიზიკა, გეომეტრია, ხელოვნებათმცოდნეობა, ესთეტიკა, ეთიკა, სოციოლოგია, პედაგოგიკა და ა.შ. მეცნიერებათა წარმოშობა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა და დღესაც გრძელდება. ფილოსოფია როგორც ზოგადი მეცნიერება აწვდის ცნებებს, კატეგორიებს, მეთოდებს კერძო მეცნიერებებს.

პლატონისა და არისტოტელეს ხელოვნების თეორიაზე საუბარი შეუძლებელია მათი ზოგადფილოსოფიური შეხედულებების გაცნობის გარეშე, რადგან კლასიკური ბერძნული ფილოსოფია (V – IV სს. ძვ. წ.) ხელოვნებას ადამიანის საქმიანობის ყველაზე აქტიურ ფორმად მიიჩნევდა და მას შემეცნებით და აღმზრდელობით როლს აკისრებდა.

პლატონი ბერძნული ფილოსოფიის ერთ - ერთი უდიდესი წარმომადგენელია (427 – 347 ძვ.წ.აღ. — ით). იგი სოკრატეს მოწაფე და თაყვანისმცემელი იყო, ამიტომ თავის ,,დიალოგებში” სოკრატე გამოყვანილი ჰყავს ერთ – ერთ მოსაუბრედ, მეორე კი — სოკრატეს რომელიმე თანამედროვე ფილოსოფოსი. პლატონის ფილოსოფია იდეალისტურია, რომელიც შეიძლება დავახასიათოდ როგორც მოძღვრება იდეებზე. საქმე ისაა, რომ პლატონისთვის სამყარო ორადაა გაყოფილი: იდეების სამყაროდ და ფიზიკურ საგანთა სამყაროდ. ფიზიკური სამყარო გრძნობადი სამყაროა, რომელშიც კონკრეტული, კერძო საგნები და მოვლენებია, ისინი იდეების გამოვლენას წარმოადგენენ. იდეები კი ზოგადია,

რომლებსაც მხოლოდ გონებით ვწვდებით. მაგალითად, ამ ქვეყნად ბევრი კერძო პირია: კოტე, თეკლე, ვანო, პეტრე და ა.შ. ისინი კერძო პირები არიან, რომლებსაც ვეხებით, ვხედავთ და ა.შ. ე.ი. გრძნობის ორგანოებით ვწვდებით. ამ კერძო პირთა ზოგადი იდეა კი არის ადამიანი, რომელიც მოკლებულია კონკრეტულობას. ,,ადამიანი" ცნებაა ე. ი. ზოგადი, რომელიც კონკრეტული პირების სახით ვლინდება. ასეა სხვა შემთხვევაშიც: მეგრობრობა, სიყვარული, სიკეთე იდეებია, რომლებიც არსებობენ ირაციონალურ სამყაროში, გონების მიღმა. კერძოსა და ზოგადს შორის ის კავშირია, რომ იდეები არიან პირველსახე კერძო საგნებისა, საგანი არის ბაძვა იდეისა, მისი აჩრდილია, ანარეკლია. ამდენად, ფიზიკური სამყარო არის ანარეკლი, ასლი, აჩრდილი იდეების. იდეები მარადიულია, უცვლელი. სიყვარული, მეგობრობა, ადამიანი, სკამი, მაგიდა და ა.შ. მარტივი ცნებებია, შეყვარებული ვანო, მეგობარი კატო, ადამიანი სიკო, წითელი სკამი, მრგვალი მაგიდა და ა.შ. კონკრეტული და ცვალებადია, რადგან დღეს არიან, ხვალ არა. იდეების სამყარო ნამდვილი სინამდვილეა, კონკრეტული საგნების სამყარო კი აჩრდილი ე.ი. მიბაძვა. ხელოვნება კი არის ამ კონკრეტული სამყაროს მიბაძვა ანუ ასახვა. ხელოვანი თავის ქმნილებაში გამოსახავს არა ჭეშმარიტ, ნამდვილად არსებულს, არამედ მათ ასლს. პლატონს ასეთი მაგალითი მოჰყავს: არსებობს საწოლის იდეა, რომელსაც გონებით მიწვდა ხელოსანი, ოსტატი და შექმნა საწოლი, კონკრეტული საგანი, მოვიდა მხატვარი და დახატა ე.ი. მიბაძა ოსტატის ნახელავს მივიღეთ ორმაგი მიბაძვა. ოსტატი ბაძავს იდეას, ხელოვანი კი ბაძავს ოსტატს. ამდენად, ხელოვანის საქმიანობა ანუ ხელოვნება არის ბაძვის ბაძვა. აქედან ასკვნის პლატონი, ხელოვნება უფრო შორს დგას ნამდვილისგან, ვიდრე ხელოსნობა.

პლატონის ხელოვნების თეორია უშუალოდ გამომდინარეობდა მისი ფილოსოფიისგან, რომელსაც იდეოლოგიური შეფერილობა ჰქონდა და სახემწიფოს დამცველი მოქალაქის აღზრდას ისახავდა მიზნად. პლატონმა თავის ნაწერებს ,,დიალოგი" უწოდა. სიტყვა ,,დიალოგოს"— კამათს ნიშნავს ორ მოსაუბრეს შორის, რომელიც მესამე ჭეშმარიტი აზრის დადგენას ისახავს მიზნად. პლატონის ,,დიალოგებშიც" ორი მოკამათეა, სოკრატე და რომელიმე თანამედროვე, ნამდვილად მყოფი ფილოსოფოსი, მაგალითად, იონი, ქსენოფონტე, ფედონი, ჰიპიასი, ალკიბიადე, ტეეტი და სხვ. პლატონს თავისი ხელოვნების თეორია გადმოცემული აქვს ,,იონში", ,,სახელმწიფოში", ,,ნადიმში".

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1) ხელოვნებას, მეცნიერებას, ხელოსნობას არისტოტელე ხშირად ერთი ტერმინით ახსენებს: „ტექნე" (რაც ოსტატურად საქმიანობას ნიშნავს ბერძნულად). ამით არისტოტელე ბერძნულ აზროვნებაში გაბატონებულ ტრადიციას არ ღალატობს და ყველაფერს, კარგად შესრულებულს, „ტექნეს" უწოდებს. თუმცა ეს არ უშლის ხელს, რომ მკაცრად გამიჯნოს ხელოსნობა, მეცნიერება და ხელოვნება.

2) ხელოვნებას და მეცნიერებას საერთო საფუძველი აქვს – ცდა, სინამდვილე. ორივეს საქმე აქვს ზოგადთან და კერძოსთან, მაგრამ განსხვავებულია მათი დამოკიდებულება მათთან.

3) ხელოვნება და მეცნიერება უანგაროა, დაუინტერესებელია პრაქტიკული მიზნების მიმართ, ხელოსნობა მხოლოდ ულიტარულ (მოხმარების) საგნებს ქმნის.

4) ხელოვნება და მეცნიერება ორივე გონითი სფეროა. მაგრამ გონება ორგვარია: თეორიული და პრქტიკული, ანუ მჭვრეტელობითი და ცხოვრებისეულ-ყოფითი. ორივეს – ხელოვნებასა და მეცნიერებას საქმე აქვს არაპრაქტიკულ თეორიულ გონებასთან.

ხელოვნება განზოგადებაა კერძოსი, მაგრამ არა რეალური ფაქტებისა და მოვლენებისა, არამედ შესაძლებლობათა სფეროდან. მეცნიერება ლოგიკურ მტკიცებათა სფეროა. მეცნიერება არსებულის სინამდვილეა, ხელოვნება შესაძლებლობის დადგენის სფეროა.

5) ხელოვნება სინამდვილის სიმბოლური განზოგადებაა, ტიპის შექმნა, შემოქმედებითი პროცესია და არა ბაძვა, ასლგადაღება.

6) მეცნიერება წმინდა ყოფიერებას განეკუთვნება, ხელოვნება კი მიმდინარე, არამდგრადი პროცესების სფეროა. ხელოვნება ადამიანური საქმიანობაა, რომელსაც თავისი სტრუქტურები, მეთოდები და პრინციპები ადამიანურ სუბიექტში აქვს და არა გარეთ. ხელოვნება თვითმყოფადია.

ეს იმაზე მიუთითებდა, რომ პრაქტიკულ შემოქმედებით მოღვაწეობაში ჩაბმულ ხელოვანებს გაცნობიერებული ჰქონდათ კულტურაში მომხდარი ის გადატრიალება, რაც ევროპაში მოხდა შუა საუკუნეების შემდეგ. ხელოვანები ქმნიდნენ არა სპორადულად, ხელიხ ცეცებით, არამედ თეორიულ-

შემეცნებით ბაზაზე, გონის მეშვეობით, თეორიული არგუმენტებით. მეცნიერული მიღწევები, რაც შუა საუკუნეებში არსებობდა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესი, (ანატომიის, ასტრონიმიის, მათემატიკის, ქიმიისა და ა.შ.) და ცოდნის დაგროვება მხატვრულ ოსტატებს სჭირდებოდათ შედევრების შესაქმნელად (ცნობილია, ლეონარდოს მრავალმხრივი ღრმა ცოდნა ანატომიისა, ფიზიოლოგიისა (რისთვისაც ღამღამობით მორგებშიც კი დადიოდა მალულად, რადგან გვამების გაკვეთა აკრძალული იყო). ხელოვანებს სჭირდებოდათ იმ მხატვრული ფორმებისა და ხერხების თეორიული დამუშავება, განვითარება, რაც ახალი, რენესანსული ესთეტიკური იდეალის მხატვრულ ხორცშესხმას განახორციელებდა.

ამრიგად, რენესანსის ეპოქა ხელოვნებას სინამდვილის ასახვად მიიჩნევს. იგი ანტიკური ბაძვის თეორიას იზიარებს, მხოლოდ არა პლატონისეულად. ხელოვნება ავსებს და ასრულებს ბუნებისეულ მშვენიერებას.

ნანა პაიაშვილი

ლეონარდო და ვინჩი
(ჩანახატი)

ღრმად ჩაფიქრებული ახოვანი მხატვარი ნელი ნაბიჯით, თითქმის ტაატით მიუყვება ერთ უთავბოლო ქუჩას. უცებ ბავშვების ჟრიამულის ხმა მოესმა და ერთ-ერთი სახლის ფანჯრის წინ შეჩერდა. ცნობისმოყვარეობამ სძლია და ფეხის წვერებზე აიწია, შეხედვა სცადა, თუმც ვერაფერი დაინახა. ინტერესი იმდენად მოეძალა, რომ უცებ კარების წინ აღმოჩნდა, რომელზეც ეწერა „კავშირი ია“. მოულოდნელად ყავისფერი კარები იღება. თავიდან ცოტა იბნევა, მაგრამ ხედავს გამოღებული კარების მიღმა ათობით თბილი, გაბედული სახე იმზირება... უნებურად თამამად შედის და ადამიანებში ერევა, იმ ადამიანებში, სადაც ზუსტად არ იციან რა არის შური, ბოროტება, ტყუილი, სიამაყის გრძნობა. სადაც ყველა და ყველაფერი მარტივი და ნათელია.

მონუსხულივით შედის და ბოლოს ერთ ოთახში ჩერდება, თვალები უშტერდება, რაღაცას იგონებს, თითქოს ხელებით ცარიელ ჰაერს ეპოტინება... მერე უშუალოდ, იმ ჩვეული უბრალოებით ასეთ ადამიანებთან, რომ განიცდის ფუნჯს, საღებავს და ფურცელს ითხოვს. დიდ მხატვარს ზღვისფერ თვალებში სიხარულის სხივი უელავს და იქვე ჯდება.

ნახატი ღია, ცისფერი ფონით იწყება, სიმწვანე ბობოქრობს, ეტყობა, ფანჯარასთან ახლოს ზის და ცასა და ბალახს უყურებს. შემდეგ იისფერს იღებს. ეტყობა ეს ჩვენი ოთახის ფერია, სადაც პატარა ასაკის ბავშვები მაგიდას მისხდომიან და გერმანელი ახალგაზრდა მოხალისის გაშლილ ხელებს უყურებენ. იგი მთელი ემოციით რაღაცას უყვება. მისი თვალები გარედან ნათელია ცოცხალი და მხიარული, ხელის თითები ნატიფი აქვს და ჰაეროვანი. სწორედ ისეთი ქართველი პოეტი რომ იტყვის: „მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელშიო“. ამ მხატვარსაც უყვარს პოეზია... შემდეგ მეორე ოთახში შედის , სადაც მოზრდილი ბავშვების სახეებია. იქ ყვითელ ფერს ირჩევს, ოთახიც ყვითელია. მაგიდასთან ქალი იხატება სათვალით, რომელიც ბავშვებს სპექტაკლის დადგმაში ამზადებს. ერთსა და იმავეს რამდენჯერმე იმეორებს. მაგიდასთან ქალი ზის, რომელიც ეხმარება. მას ჩამუქებული, იდუმალი ნაღველით სავსე თვალები, ფიქრით გადაღლილი აზრიანი სახე და სახეზე სწორი ნაკვთები აქვს... მისი მონუსხული ღიმილი „მონა ლიზას“ ღიმილს წააგავს. უფრო ცოცხალია, შორეული და მიუწვდომელი... ეს ქალი ბაბუდაა...

მხატავარი ნახატს ელვის სისწრაფით ხატავს. ჰგონია, რომ დაასრულა. ხედავს ქალს უბრალოებით აღსავსე სახით. არა, როგორ ვერ შეამჩნია?! ის ხომ სულ ახლოს დგას? მის წინ. ისევ ხატვას უბრუნდება. ეს ქალი ქალბატონი ნინოა. სულ ახლახანს გმირის ორდერი მიიღო პრეზიდენტისგან. ეს ქალი გმირი

დედაა, რომელიც თავის შვილთან ერთად ხელჩაკიდებული დადის და არავის ანდობს, ეფერება და ალერსსა და ზრუნვას არ აკლებს. მხატვარი ისე არ წავიდოდა, ეს სათნო და თბილი ქალი რომ არ ენახა და არ დაეხატა.

ბავშვი მხატვართან მიდის, არ ლაპარაკობს, უმეტყველოა. სურათი მიაქვს ვისია ნეტავ? თინიკო, მწვანეთვალება თინიკო. მის მზერაში სითბო და სიყვარული ჩანს. მხატვარი მის სახეს და თვალებს ხატავს, მაგრამ ვერ ამთავრებს, ეჩქარება. ნახატი კვლავ დაუსრულებელი რჩება...

... ნახატს დავცქერი. საღებავების იდუმალება მაფიქრებს და ვგრძნობ, რომ ყველა ძალა უძლურია, დროს და სივრცესთან ბრძოლაში, ჭეშმარიტი ხელოვნების გარდა!...

ფუნჯით და კალმით ჯადოქრობას ადამიანი განსაკუთრებული სიყვარულით კვებავს და აფრთიანებს... ადამიანი ხომ ბუნების უმშვენიერესი ქმნილებაა?! მეც სწორედ აქ ვეზიარე უმშვენიერეს ქმნილებათა ტრფიალს! მაგრამ ღმერთო! ჯერ კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი შთაგონების ბილიკია დასალაშქრი იმ მწვერვალის მიახლოვებამდე „ადამიანობის მარადიულმა მაძიებელმა ლეონარდომ“ ფუნჯის ერთი მოსმით რომ დაიპყრო. კვლავ კრძალული რიდით და მონიწებით ვეფერებით წარსულის ისტორიას.

ახლა აქ ოცნებით დავატარებ... „ლეონარდო და ვინჩის“ ხატებს ჩვენს ცენტრში და რატომღაც მჯერა, უსათუოდ დახატავდა ჩემს დაუხატავ, ფიქრით ფრთაშესხმულ ნახატს. რა თქმა უნდა, თუ ინებებდა გადმოსახლებას ოცდამეერთე საუკუნეში და ჩემსავით მოხვდებოდა ამ პატარა, გულღია ცენტრში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვხვდები, რომ ნამდვილი სიყვარული ჭეშმარიტებაა. მიუგნებელი და მიუწვდომელი რჩება ამ სამყაროში. თუმცა რა გასაკვირია, თვით სამყაროსაც ხომ აკლია სრულყოფა??? ხვდები და გეღიმება „მონა ლიზას“ უსასრულო ღიმილით გეღიმება.

ნაილი ხარაიშვილი

გაგა გულიაშვილი დაიბადა 1972 წლის 2 იანვარს ქ.ჭიათურაში. დაამთავრა ჭიათურის 9 საშუალო სკოლა და პარალელურაად ს. კავსაძის სახ.1 სამუსიკო სკოლის ათწლედი ფორტეპიანოს სპეციალობით (წარჩინებით). ექვსი წლის იყო როდესაც პირველად შეასრულა გ. თხელაძის სიმღერა „ჭიათურელი ბიჭი ვარ.” ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი ჭიათურის კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მართვეში“, სადაც იყო ანსამბლის სოლისტი. ვოკალურ ინსტიტუტის ანსამბლის ხელმძღვანელი იყო ბატონი გიზო კუპატაძე, რომელიც დღესაც მოღვაწეობს ქ. ჭიათურაში, იგი არის სახალხო ანსამბლი „ჩანგის“ მომღერალი. კლასიკურ მუსიკაში პირველი პედაგოგი ფორტეპიანოსი ქალბატონი სულიკო სამყურაშვიი იყო ათი წლის განმავლობაში. სანდრო კავსაძის სამუსიკო სკოლის დირექტორი იყო, ნარგიზ ჩუბინიძე. 1980 წელს მიწვეული იყო ქ.მოსკოვში კონცერტის ჩასატარებლად, შეასრულა სოლო სიმღერა. ოსტანკინოს ტელევიზიამ გადაიღო და რამდენიმე თვეში ტელევიზიით გადმოსცეს მისი კონცერტი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვა მაყურებელს. მეორედაც მიიწვიეს მოსკოვში და კიდევ უფრო მეტად გააშუქეს მისი შემოქმედება — შეასრულა სიმღერა რომელიც ეძღვნებოდა გმირთა ნათელ ხსოვნას. 1989 წელს სოლო კონცერტი ჩაატარა ქ. ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში. შეასრულა საფორტეპიანო მუსიკალური ნაწარმოებები. კონცერტის მთლიანი შემოსავალი გადარიცხა 9 აპრლს დაღუპულ ქართველ გმირთა მემორიალის ასაგებ ფონდში. 1989 წელს ჩააბარა პედაგოგიურ ინსტიტუტში მუსიკის სპეციალობაზე. სტუდენტობის პერიოდში იყო რ. ლაღიძის სახელობის სახელობითი სტიპენდიანტი, როგორც წარჩინებული სტუდენტი. აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა სუდენტურ პერიოდში. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე. ამავე წელს კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ — პედაგოგად, სდაც კითხულობდა ლექციებს, ასევე იყო პედაგოგი პრაქტიკის ხელმძღვანლი თბილისის 57 საშუალო სკოლაში. უამრავ კონცერტებსა და ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას.

ამჟამად მუშაობს სამ ადგილზე. ქ.საჩხერის 1 საჯარო სკოლაში მუსიკის პედაგოგად — (დირექტორი ქალბატონი ა. ჩხიტუნიძე.) არის აქტიური და წარმატებული პედაგოგი. ზრუნავს სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევებისა და კრეატიული აზროვნების განვითარებისათვის. მისი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც სასკოლო, ასევე სააქალაქო და ზონალურ ღონისძიებებში (სიმღერაში).

მუშაობს ქ. საჩხერის მოსწავლეთა სახლში — საბავშვო სტუდია „სხივების“ პედაგოგად. მოსწავლე ახალგაზრდობის (დირექტორია ბატონი ჯ. სამყურაშვილი) და ამავე დროს მუშაობს ჭიათურის კულტურის ცენტრთან არსებული ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში პედაგოგად. კულტურის ცენტრის (დირექტორი ბატონი ი.გიორგაძე.) სამუსიკო სკოლის მმართველი (ქალბატონი თ.ქადიძე.)

არის კონცერტმაისტერი და აფორმებს სხვადასხვა ღონისძიებებს. ასევე მუსიკალურად აფორმებს ჭიათურის კულტურის ცენტრში არსებული ბავშვთა თოჯინების თეატრის — მენეჯერი ქალბატონი (მ. ასანიძე.) კულტურის ცენტრში არის შემოქმედებითი საბჭო და ამ საბჭოს ერთ-ერთი წევრია იგი. სექტემბერში გამოუშვა პირველი გაზეთი საბჭომ, რომელსაც დაარქვეს „ხელოვნების ტალღა“. საბჭოს ხელმძღვანელია ქალბატონი (ნ. თუთარაშვილი.)

ალბათ არ არსებობს უფრო კეთილშობილური მიზანი, რომ ვაზიაროთ მოსწავლეები კაცობრიობის იმ გამოცდილებას, რომელიც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებშია ასახული.

გასულ წელს ზ.ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო მმართველ თამარ ქადიძეს მოწვეული ჰყავდა კომპოზიტორი მაცაცო სებისკვერაძე. აკომპანირება გაუწია კომპოზიტორის საბავშვო სიმღერებს. წელს კი ასევე მიწვეული ჰყავდათ კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, სადაც სამუსიკო სკოლის გუნდს გაუკეთა აკომპანირება და ბოტნი ვაჟას რამდენიმე სიმღერას.

პირადად მას დაწერილი აქვს სიმღერები: „იმერეთოჩემო ღმერთო,“ საკუთარ ტექსზე, სიმღერა — „საქართველო“ — (ხ. ბერულავას ტექსტზე) და საკუთარი კომპოზიცია სიმღერა „დიდება უფალო შენდა“.

მას ცნობილ სახეებთან უხდება ურთიერთობები: გაგა გულიაშვილს დიდი წარმატებები ელოდება ხელოვნების ლამაზ გზაზე.

როდესაც ეს ინფორმაცია ჟურნალ ათინათის რედქტორს წავაკითხე... იგი ერთ ხანს დაფიქრდა, შემდეგ დავინახე, რომ გაფაციცებით რაღაცას წერდა... წუთერი დუმილის შემდეგ მითხრა. აბა, ერთი მომისმინე რა გამოვიდაო და მან ეს ლექსი წაიკითხა.

გაგა გულიაშვილს

გ ავხალისდი, ჩემო კუთხის მშვენებავ,
ა—მოიფრქვა ვულკანივით ფრაზები..
გ—აგა უფალს ალბათ ასე ენება,
ა—მეკრიფა მოკაზმული აზრები.
გ—ულში დაჭრილს დამავიწყე ტკივილი,
უ—უღიმღამო დღე სხივებმა ჩაწურა.
ლ—ამაზია ჩემი კუთხის ყივილი,
ი—მერეთი და ქალაქი ჭიათურა,
ა—ელვარდა მონატრების ფერები,
შ—ავი ჭვარტლი ჩემთვის ოქროს ზოდია...
ვ—ინ დამიშლის მათ თუ მოვეფერები,
ი—სინიც ხომ ჩემთან გულით მოდიან.
ლ—ოცვით ღამეს გავათენებ ამაღამ,
ს—აჩხერეს და.. ჩემ შავ ქალაქს დავლოცავ...
დრომ კი ბევრჯერ უსამართლოდ დამღალა,
ალბათ ღმერთმა ჩამიტარა გამოცდა.
შენ კი გაგა, ხელოვნების საყრდენო,
გამახარე კიდევ შენი წინსვლებით...
სიკეთის და მადლის ბევრჯერ ჩამდენო,
მიმოფანტე საქართველოს ნისლები.

და მე კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ თუ უფალმა ინება, შეუძლებელი არაფერია. დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა.

ვახტანგ გაჩეჩილაძე

ექვთიმე თაყაიშვილი — 150

საქველმოქმედო საერთაშორისო ფონდმა „მამულიშვილთა გახსენება“ მისმა დამაარსებელმა და პრეზიდენტმა — „დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატმა მწერალმა — ბონდო კოპაძემ 2013 წლის 18-19 სექტემბერს ჩაატარა წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავი იუბილე, რომელიც დაიწყო ვერის ბაღში დღის 2-საათზე ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან. ძეგლი შემკობილი იყო დიდი გვირგვინით და ყვავილებით, გაიმართა სახალხო ზეიმი. ღონისძიებაში მონაწილენი და დელეგაციები სხვადასხვა რაიონებიდან ესტუმრნენ ვაშლოვანის ქუჩის 6-ში სახლ-მუზეუმს, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა — ექვთიმე თაყაიშვილი. ამის შემდეგ ზეიმის ყველა მონაწილე — სპეციალურად გამოყოფილი 3 მიკროავტობუსით ავიდნენ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც განისვენებს ექთვიმე თაყაიშვილი. შეამკეს მისი საფლავი დიდი სამთავრობო გვირგვინით, უამრავი ყვავილებით ტრადიციულად ყველა მამულიშვილის საფლავზე თითო ვარდი დაიდო. საფლავი აკურთხა დავით გარეჯის ტაძრის წინამძღოლმა, არქიმანდრიტმა მამაო — იოანემ. შემდეგ საღამოს 7-საათისთვის ყველა ზეიმის მონაწილენი პანტონიმის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს — „კრიმანჭული“ თეატრის დამაარსებელებმა საქართველოს სახლახო არტისტმა — ამირან შალიკაშვილმა, უფასოდ, ჩაატარა სპექტაკლი.

19 — სექტემბერს ექვთიმე თაყაიშვილის იუბილე გაგრძელდა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, სადაც ზეიმის დაწყებამდე მოხდა წიგნის „ექვთიმე თაყაიშვილი — 150“ 1000 გვერდიანი წიგნის პრეზენტაცია, რომლის ავტორია — ბონდო კოპაძე, რედაქტორი — მარიკა მშვილდაძე, მხატვარი — ემირ ბურჯანაძე, წიგნი გამოიცა გამომცემლობა „გლობალ პრინტ-პლუსში“ და დაიბეჭდა „შპს-სვეტი“-სტამბაში.

ზეიმის მონაწილეებმა გადაინაცვლეს რუსთაველის თეატრში. სცენის სიღრმეში, ეროვნულ და ქართულ დროშებთან, ქვის ფერწერის ოზურგეთელმა მხატვარმა — ალეკო ლომაძემ დაამზადა ქვაში ექთვიმე თაყაიშვილის დიდებული სურათი, რომელიც სვეტის სიღრმეში სპეციალურ დანადგარზე ანთებულ სანთლებთან ბრწყინავდა.

ვერის ბაღში, მთაწმინდის პანთეონში და რუსთაველის თეატრში მოგონებებით სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და სხვები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით — აკადემიკოსი — გურამ ლორთქიფანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე — მაყვალა გონაშვილი, კინორეჟისორი — რეზო ჩხეიძე, პოეტი — ჯანსუღ ჩარკვიანი, პროფესორი — ნელი ჩაფიძე. ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი — ემირ ბურჯანაძე, პროფესორი — ნინო მამარდაშვილი— ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი, პოეტი — დავით შემოქმედელი — რუსთაველის საზოგადოების თავჯდომარე, აკადემიკოსი — გელა მუხაშავრია — სამედიცინო აკადემიის პროფესორი. რეზო ადამია — მხატვართა კავშირის სახელით, აკადემიკოსი როინ ლიპარეტიანი — ეროვნული მოძრაობის „სამშობლოს“ ხელმძღვანელი. პოეტი — ერეკლე საღლიანი, პროფესორი — პაატა სურგულაძე. გრიგოლ რობაქიძის სამეცნიერო საზოგადოების თავჯდომარე, ავთანდილ იოსელიანი — ფონდ „ერთსულოვნების“ თანათავჯდომარე, საქართველოს სახლახო არტისტი — ჯემალ ჭკუასელი — ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი. საქართველოს სახალხო არტისტი — ანზორ ერქომაიშვილი — ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი პოეტი — ბაღათელ არაბული. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, პოეტი — გულნაზ ხარაიშვილი — ჯუმბერ ლეჟავას სხელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოეტი — ოთარ ურუშაძე — გაზეთ „ძველი თაობის“ რედაქტორი, პროფესორი — ბიძინა ნანობაშვილი — ისტორიკოსი, ჟურნალისტი. ხაჩატურ ვართანიანი — ხანდაზმულთა ასოციაციის „სავანეს“ პრეზიდენტი, ჯანგულ მჭედლიშვილი — პუბლიცისტი, ექვთიმე თაყაიშვილის სანათესაოს სახელით პროფესორი — გიორგი გოთუა, დისშვილიშვილი. „ჭაბუა ამირეჯიბის“ — წერილი მისალმება.

ზეიმში მონაწილეობდნენ და თავიანთი დიდი ხელოვნებით მსმენელები მოხიბლეს, ცნობილმა ხელოვანმა მსახიობებმა, საქართველოს სახლახო არტისტი — ელდინო საღარაძე, საქართველოს სახალხო არტისტმა მომღერალმა — თემურ გუგუშვილმა, ეთერ კაკულიამ, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მანონი ყუბანეიშვილმა,, ირმა სოხაძემ, სოფო და ბორის ბედიაებმა, ნინო მეტრეველმა, ნინი ნემსაძემ, სკოლის მოსწავლემ — გვანცა ლუტიძემ ანსამბლი „რუსთავი“, ანსამბლი „ერისიონი“, ტრიო “კელაპტარი“.

ვერის ბაღში, მთაწმინდის პანთეონში, რუსთაველის თეატრში, სახალხო-ეროვნულ ზეიმს და საღამოს თეატრში უძღვებოდნენ — საქართველოს სახლახო არტისტი — ჯემალ ღაღანიძე და ვახტანგ გაჩეჩილაძე.

ზეიმზე სიტყვით გამოვიდა და შეაჯამა საიუბილეო საღამო, ფონდის დამაარსებელმა და პრეზიდენტმა მწერალმა — ბონდო კოპაძემ.

ლამზირა შეყილაძე, ჯემალ ღაღანიძე

ლამზირა შეყილაძე, ეთერ კაკულია, ზაურ ნოზაძე

ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტი მხატვარი — ალეკო ლომაძე

ანსამბლი რუსთავი

მოგზაური

რობერტ ღარიბაშვილი, ხათუნა ლეჟავა

ჯუმბერ ლეჟავასთან შეხვედრების შთაბეჭდილებები

ამერიკის შეერთებული შტატები უკვე დიდიხანია იქცა კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის მთავარ რეგულატორად, თანამედროვე ცივილიზაციის დონისა და პლანეტის ხვალინდელი დღის ბარომეტრად, ადამიანის გონებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოვლენისა და მათი ხორცშესხმის უდიდეს ასპარეზად. დღევანდელ მსოფლიოში დაკისრებული უდიდესი საკაცობრიო მისიის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სხვა ქვეყნების ადამიანთა ყოველგვარი კონტაქტი მისი გაცნობისა თუ საქმიანი შეხვედრების მიზნით დღევანდელ ვითარებაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. რადგან სწორედ მსოფლიოს ამ წამყვანი სახელმწიფოს განკარგულებაშია თავმოყრილი გიგანტური ეკონომიკური პოტენციალი, საქმიანი წრეების ნაყოფიერი მოღვაწეობისა და მთელ მსოფლიოსთან სასარგებლო კონტაქტების განმტკიცების უდიდესი რესურსები, მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციის ყველაზე ოპერატიულად და ფართოდ გავრცელების შესაძლებლობები.

ამერიკაში ჩვენი მოგზაურობაც პირველ რიგში საქართველოს მოქალაქის მიერ დაწყებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით გაგრძელების ხელისშეწყობას ისახავდა მიზნად და ბუნებრივია, პარალელურად შესაძლებლობის ფარგლებში ან ქვეყნის გაცნობას მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით. 1993 წლის 13 აგვისტოს ქალაქ რუსთავიდან საქართველოს პარლამენტში ამ ქალაქის წარმომადგენლის ჟიული შარტავას მხარდაჭერითა და თანადგომით, რომელიც იმხანად უკვე აფხაზეთისა მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა, თბილისელმა ინჟინერმა ჯუმბერ ლეჟავამ დაიწყო ველოსიპრდით მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ და აგერ უკვე ხუთ წელზე მეტია, უამრავი სირთულეებისა და პრობლემების მიუხედავად აგრძელებს გზას, რათა, როგორც ქართველმა კაცმა კიდევ ერთხელ განაცვიფროს მსოფლიო თავისი ნიჭიერების, გონების, ნებისყოფისა და სიმტკიცის და პირველ რიგში თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წყალობით. მოგზაურობას, რომლის დამთავრების შემდეგ ჯუმდერ ლეჟავა გინესის კლუბის მორიგი რეკორდის ავტორი გახდება, საწყის ეტაპზე ხელმძღვანელობდა ჟუილი შარტავას ძალისხმევით შექმნილი საინიციატივო ჯგუფი, ჟიული შარტავას გარდაცვალების შემდეგ, რამოდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურს აქტიურად უჭერდა მხარს და შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსურად ეხმარებოდა სამეცნიერო საგამომგონებლო ფირმა"თემურ მაისურაძე", რომელსაც ფაქტიურად დაკისრებული ჰქონდა ამ მეტად მნიშვნელოვანი აქციის წარმართვისა და ხელმძღვანელობის ფუნქცია. თავის დროზე მოგზაურობის ხელშემწყობმა საინიციატივო ჯგუფმა ჟიული შარტავას ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლისა და იმ პერიოდში საქართველოში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამო მიიღო გადაწყვეტილება მოგზაურობის დროებით შეწყვეტისა და მისი განახლებისათვის სათანადოდ მომზადების საჭიროების შესახებ. ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმითაც იყო განპირობებული, რომ ჯუმბერ ლეჟავას, რომელიც იმ პერიოდისათვის ისრაელში იმყოფებოდა, არც ერთმა მისმა მეზობელმა არაბულმა ქვეყანამ არ მისცა თავიანთ ტერიტორიაზე მოგზაურობის მარშრუტის მიხედვით შესასვლელი ვიზა, ფუჭად დროის დაკარგვისა და ზედმეტი ხარჯების უმიზნოდ გაღების გამო, ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებაში მოგზაურის სამშობლოში დროებით დაბრუნება აღმოჩნდა. ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის დროებითი იძულებითი შეწყვეტისას უქმად არ დაუკარგავს დრო, იგი უკვე განვლილი გზისა და მისი მომენტების გათვალისწინებით აგრძელებდა ინტენსიურ ვარჯიშსა და მუშაობას. იგი სიტყვითაც გამოვიდა ჟიული შარტავას ფონდის დამფუძვნებელ კონფერენციაზე 1993 წლის 19 ნოემბერს, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი მოგზაურობა ჟიული შარტავას, როგორც ამ საქმის დაწყების ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის ხსოვნის უკვდავყოფის ნიშნით წარიმართება. თავის მხრივ ახლადშექმნილი ფონდის გამგეობამ მას

აღუთქვა სათანადო დახმარება, როგორც კი ამის პირველივე შესაძლებლობა გაჩნდებოდა. მოგზაურობა განახლდა 1993 წლის 26 ნოემბერს და მანამდე საინიციატივო ჯგუფსა და საგამომგონებლო ფირმა "თემურ მაისურაძეს" შორის მოგზაურის თანდასწრებით, მოხდა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა მოგზაურობის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ერთობლივ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას. ორივე მხარის ფუნქციებისა და ვალდებულებების ნათლად გამოკვეთისა და დაკონკრეტების გზით, მაგრამ შემდგომში საგამომგონებლო ფირმა "თემურ მაისურაძის" ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ თვითონ დამოუკიდებლად შესწევდა უნარი ეხელმძღვანელა მოგზაურობისათვის და გადაწყვიტა მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაშიც თვით ჯუმბერ ლეჟავაც დაარწმუნეს და ჟიული შარტავას ფონდი, რომელსაც უკვე 1994 წლის მეორე ნახევარში გაუჩნდა მოგზაურობისათვის აქტიური ფინანსური დახმარების შესაძლებლობაც, რომ აღარაფერი ვთქვათ თუნდაც მის გამგეობისა და მზრუნველთა საბჭოს წევრების, ფილიალების ხელმძღვანელების ორგანიზატორული მუშაობისა და ანალოგიური ხასიათის აქციების მართვის დიდ გამოცდილებაზე, იძულებული იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოგზაურობისადმი მხოლოდ მორალური მხარდაჭერის ფუნქციით დაკმაყოფილებულიყო. თუმცა იგი ყოველთვის ცდილობდა არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მიეღო მონაწილეობა მოგზაურობის მიმდინარეობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. ფონდის მხრიდან მოგზაურობისადმი ასეთი დამოკიდებულების კონკრეტული გამოვლინება იყო 1995 წლის ზაფხულში, მისი მხარდამჭერი დაწესებულებების დახმარებით 3 კაციანი /ჯუმბერ ლეჟავას სიძე — ვახტანგ აბრამიძე, გაზეთ "მსოფლიო მოგზაურის" რედაქტორი ნარიმან იაშაღაშვილი და ინდოლოგი ნიკო კენჭოშვილი/ გაგზავნა ინდოეთში, სადაც იმჟამად მოგზაურობის მარშრუტის თანახმად ჯუმბერ ლეჟავა იმყოფებოდა. ამასთან აღნიშნული ჯგუფის შეხვედრა მიზნად ისახავდა მის მიერ უკვე განვლილი გზის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მომენტების გაანალიზებას, ველოსიპედით მოგზაურობის ოპტიმალური მარშრუტების განსაზღვრას, მოგზაურის მხარდაჭერას მთელს მსოფლიოში მოგზაურობის შემდგომი პოპულარიზაციისათვის. მიმდინარე მუშაობის ყოველმხრივ სრულყოფას. სამწუხაროდ საგამომგონებლო ფირმა "თემურ მაისურაძის" ხელმძღვანელობამ ფონდის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი მხარდაჭერის ნაცვლად ხელისშეშლასა და მათ საქმეებში გაუმართლებელი ჩარევის ფაქტად ჩათვალა, რის გამოც მოგზაურობის საინიციატივო ჯგუფმა და ჟიული შარტავას ფონდმა გაავრცელეს სპეციალური განცხადება, მომავალში მოგზაურობისადმი დამოკიდებულების ძირითადი მომენტების შესახებ. აღნიშნული განცხადება განხილული და მოწონებული იქნა ჟიული შარტავას ფონდის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე, ხოლო შემდეგ ფონდის II კონფერენციაზე. საგამომგონებლო ფირმა "თემურ მაისურაძის" ხელმძღვანელობის არასწორ, შხირ შემთხვევაში ზედაპირულ დამოკიდებულებას, სათანადო შეფასება მიეცა III კონფერენციაზეც 1996 წლის ივნისში, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ფონდი მსოფლიო მოგზაურობისადმი საგნობრივი დაინტერესების მთავარ მოტივად თვლიდა იმ გარემოებას, რომ მოგზაურობა ჟიული შარტავას მხარდაჭერით დაიწყო და ჩვენი მხრიდან მისდამი პასიური დამოკიდებულება გაუგებარი იქნებოდა და არასწორად აღიქმებოდა ქვეყნის საზოგადოებრიობისა და თუნდაც თუსთავის მოსახლეობის მიერ, საიდანაც ეს მოგზაურობა დაიწყო, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ყოველთვის ვითხოვდით გარკვეული შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის შედგენას, სადაც მკაფიოდ იქნებოდა ფონდის ფუნქცია და შესაბამისი ვალდებულებები განსაზღვრული თუნდაც საგამომგონებლო ფირმა "თემურ მაისურაძის" მოგზაურობის საერთო ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის ფარგლებში, მაგრამ ჩვენს მცდელობას საერთო საქმისათვის სასურველი შედეგები ვერ მოჰყვა, ამასობაში ფირმა დარწმუნდა, რომ ფაქტიურად თვითიზოლაციისა და მოგზაურობის წარმართვაზე ხელმძღვანელობის პირობებში, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ დაწესებულებებთან ორმხრივი ხელსაყრელი თანამშრომლობის, სახელმწიფო ორგანოების სისტემატური ქმედითი დახმარებისათვის თანმიმდევრული მუშაობის, მოგზაურობისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმომჩენი დაწესებულებებისადმი ელემენტალური მადლიერების გრძნობის გამოხატვის, მოგზაურობის სათანადო რეკლამისა და პოპულარიზაციის, ქვეყნის მოსახლეობის და მსოფლიო საზოგადოებრიობის სისტემატური ინფორმირების, გაწეული მუშაობის, გაღებული ხარჯების შესახებ უტყუარი, სარწმუნო, გულწრფელი ინფორმაციის გავრცელების გარეშე, ასეთი რთული საქმის ბოლომდე მიყვანა ძნელია. მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა ფირმა "თემურ მაისურაძეს" ჟიული შარტავას ფონდი და დაიწყო პრეტენზიების გამოხატვა — ფონდი არ გვეხმარება მოგზაურობის გაგრძელებაშიო. როდესაც ეს პრეტენზია ჟიული შარტავას ოჯახის წევრებთან საუბარშიც გაისმა, მაშინ ჩვენ ახალგაზრდა მეც-

ნიერთა კლუბში ჟიული შარტავას ფონდსაც, გამგეობის ზოგიერთი წევრების მოგზაურობის ხელშემწყობი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების, ჟიული შარტავას ვაჟიშვილის ირაკლის თანდასწრებით შევხვდით თემურ მაისურაძესა და ზაზა კაციაშვილს და განვიხილეთ მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელებისათვის საერთო ძალისხმევით ხელისშეწყობითა და ამ მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის პრობლემები. გადაწყდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ სათანადო წინადადებებს ამ საქმეში მომავალი თანამშრომლობის პირობების შესახებ, მაგრამ კვლავ არ შეასრულეს მათივე სურვილით ნათქვამი დანაპირები, რითაც კიდევ უფრო გაურთულეს მდგომარეობა მსოფლიო მოგზაურს. ასეთ პირობებში ჯუმბერ ლეჟავამ კარიბის ზღვის კუნძულოვანი ქვეყნების გავლის შემდეგ დიდი სირთულეების დაძლევის შემდეგ, როგორც იქნა ჩააღწია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტაში და აფრიკის ქვეყნებში გამგზავრებამდე დროებით აქ შეისვენა, რათა მოეგვარებინა მოგზაურობის გაგრძელებასთან დაკავშირებული მთელი რიგი, მათ შორის საგამომგონებლო ფირმასთან "თემურ მაისურაძე" მომავალი ურთიერთობის საკითხები. მანამდე ჯუმბერ ლაჟავას ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა თხოვნით მიმართეს ჟიული შარტავას ფონდს დახმარება გაეწია მსოფლიო მოგზაურისათვის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის საქმეში. ჟიული შარტავას ფონდის გამგეობამ მიმდინარე წლის სექტემბერში განიხილა საკითხი მიმდინარე ეტაპზე მსოფლიო მოგზაურობისადმი დამოკიდებულების ძირითადი მომენტების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელების საქმეში აქტიური ჩაბმის მიზანშეწონილობის შესახებ. ამავე დროს გადაწყდა მოგზაურობისადმი მიძღვნილი 25 ტომეულის გამოცემისა და გავრცელების მიზნით ფონდის შესაძლებლობათა აქტიურად გამოყენების შესახებ. ქალაქ რუსთავის მერიის დახმარებით უკვე გამოვიდა მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის პირველი წიგნი, რომელიც ჯუმბერ ლეჟავას შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების დამუშავების საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა მწერალმა საქართველოს არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბის პრეზიდენტმა ნარიმან იაშაღაშვილმა. დაიწყო აღნიშნული მღავალტომეულის სპეციალური ტალონების გავრცელება ხელის მომწერებზე, სათავგადასავალო ლიტერატურის მოყვარულებზე, გამოსაცემად მომზადებულია მეორე წიგნი და დამუშავებულია მოგზაურის შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც კიდევ 8 წიგნის გამოცემისათვისაა საჭირო. მოგზაურობის განვლილი პერიოდის ანალიზისა და მისი შემდგომი გაგრძელების ძირითადი მომენტების გათვალისწინებით შემუშავდა ამ მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქციის იდეოლოგიური, ორგანიზაციური და ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელსაც გაეცნო ჯუმბერ ლეჟავა. იგი მის მიერ მოწონებულია ზოგიერთი საკითხის დამატებით, რომლის განხორციელება შექმნის მოგზაურობის სათანადო რეკლამისა და ფართოდ გაშუქების, უკვე განვლილი გზისა და მოგზაურობის მიმდინარეობის ყველა ძირითადი მომენტის სისტემატური ანალიზის, საინფორმაციო საშუალებებით მისი მთელს მსოფლიოში გავრცელების დაძლევის შესაძლებლობებს. მოგზაურს ამჟამად მისი დაწყების დღიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთი — აფრიკა აქვს გასავლელი. საჭიროა დღეს, როცა საქართველო სულ უფრო აქტიურად იმკვიდრებს თავის ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში, მსოფლიო მოგზაური მითუმეტეს 110 ქვეყნის გავლასა და დასახული მიზნის ორი მესამედის უკვე შესრულების შემდეგ, ღირსეულად უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. იგი თავისი აუცილებელი აღჭურვილობით, მატერიალური უზრუნველყოფით, ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერით ჩვენი სამშობლოს ღირსეული დესპანი უნდა იყოს, ყველგან, პლანეტის ნებისმიერ წერტილში და არა უბრალოდ ღვთის ანაბარად მიტოვებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ხშირად უდიდესი ნებისყოფისა და ენერგიის, ალბათ სამშობლოს დიდი სიყვარულის გამო პირველ რიგში, მაინც ძლევს წარმოშობილ უდიდეს სიძნელეებს, მაგრამ ენერგიის უდიდესი, უმრავლეს შემთხვევაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაკარგვის გამო, ყოველთვის ვერ ახერხებს იყოს ქვეყნის პრესტიჟისათვის შესაფერის ფორმებში.

სწორედ ზემოთაღნიშნულმა მრავალმა გარემოებამ გვიკარნახა ამერიკაში გამგზავრება და მიგზაურთან შეხვედრა. ჩვენს ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა მისი ქალიშვილი ხათუნა ლეჟავა, რომელსაც 5 წელიწადზე მეტია მამა არ უნახავს და მოუთმენლად ელის მასთან შეხვედრას, რათა გაამხნევოს, მეტი ძალა და სიმტკიცე ჩაუნერგოს ამ მეტად რთული მისიის შესრულების გზაზე.

ამერიკაში მიმდინარე წლის 8 ნოემბერს გავფრინდით მარშრუტით თბილისი-პრაღა-ნიუ-იორკი. საქართველოს დედაქალაქსა და ამერიკის უდიდეს ქალაქს შორის დროში დიდი სხვაობის გამო 12 საათის ფრენის მიუხედავად ნიუ-იორკში იმავე დღეს 3 საათზე ჩავფრინდით. აეროპორტში დაგვხვდნენ გაერთი-

ანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლები: კონსული ბატონი ზურაბ ბერიძე, ქალბატონი ლიკა შხვაცაბაია და მისი მეუღლე ლაშა დოლიძე. მათი დახმარებით ოპერატიულად მოხერხდა ბილეთების აღება ატლანტის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში, რომლითაც ორი საათის ფრენის შემდეგ საშუალება მოგვეცა ჩავსულიყავით ატლანტაში. დღისით ნიუ-იორკში თვითმფრინავით დაშვებისა, ხოლო საღამოს უკვე ატლანტისაკენ გაფრენისას ჩანს მსოფლიოს ყველაზე უდიდესი და ცათამბრჯენების სიმრავლით ყველაზე გამორჩეული ქალაქის გრანდიოზული პანორამა. ღამის წყვდიდში მოწმენდილი ამინდის პირობებში თვითმფრინავიდან მოსჩანს ნიუ-იორკი-ატლანტის გზაზე მდებარე ქალაქების ღამის პეიზაჟი ვარსკვლავებივით მოციმციმე ქალაქების სილუეტებისა და უამრავ სატრანსპორტო შეკრული გზებისა და მათზე მოსიარულე უწყვეტ ნაკადად მოძრავი ავტომობილების სახით. საღამოს 7 საათზე უკვე ატლანტაში ვართ. ყურადღებას იპყრობს აეროპორტის გიგანტური კომპლექსის ცალკეული ნაწილები, სადაც ასაფრენ ზოლებზე ასაფრენად და დასაფრენად გამზადებული თვითმფრინავების ცოცხალი რიგია. ეს აეროპორტი მსოფლიოს სხვა გიგანტურ ანალოგებთან ერთად თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევისა და ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტად ითვლება. ამაღლებული და დაუვიწყარი შეხვედრა ატლანტის აეროპორტში მსოფლიო მოგზაურთან. მამა-შვილი ცრემლებს ვერ ფარავენ, ჯუმბერ ლეჟავა უკვე აეროპორტიდან იწყებს ჩვენს მეგზურობას და გასასვლელისაკენ მიგვიძღვება. მისი პირველი შეხვედრისთანავე იგრძნობა, რომ შესანიშნავ ფორმაშია და მიუხედავად უამრავი ხიფათით აღსავსე მომქანცველი მოგზაურობისა, იგი შესანიშნავ სპორტულ ფორმას ინარჩუნებს. ატლანტაში იძულებითი შესვენება, როგორც გაირკვა და შემდგომში ჩვენი მოგზაურთან ერთად ყოფნისას კიდევ უფრი ნათელი გახდა, მან შესანიშნავად გამოიყენა რათა სისტემატიური და ინტენსიური ვარჯიშის წყალობით ენერგიის უდიდესი დანაკარგისა და ოპტიმალური წონის კომპენსაცია მოუხდენია. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე რთული მარშრუტის — აფრიკის კონტინენტის წარმატებული გავლისათვის. აეროპორტში გასვლისას გვხვდებიან ჯუმბერ ლეჟავას უშუალო მასპინძლები — მისი მოგვარეები იაშა და ზურაბ ლეჟავები. ამ უკანასკნელმა ჩვენთან ერთად იმგზავრა თვითმფრინავით თბილისიდან ატლანტამდე. ატლანტაში მცხოვრები ქართველის — კუკური სამხარაძის მანქანით, რომელიც სპეციალურად მოვიდა ჩვენთან ერთად აეროპორტში, მივემგზავრებით ჯუმბერისა და კუკურის მიერ შერჩეულ საცხოვრებელ ბინაში, სადაც მასპინძლობას გვიწევენ ასევე თბილისიდან რამოდენიმე წლის წინ სამუშაოდ ჩამოსული ქართველები ლიკა დვალი, სანდრო დავითაძე, გიული ბიბილაშვილი. ვთავსდებით ქალაქის ერთ-ერთ მყუდრო უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში, რომელიც ჩვენთვის ატლანტაში ყოფნისას ქართული მასპინძლობისა და გულისხმიერების შესანიშნავ მაგალითად იქცა, ალბათ იმიტომაც, რომ ამ თვისებებსა და სტუმართმოყვარეობას, რითაც ცნობილია მთელს მსოფლიოში ქართველი ხალხი უფრო მეტი ძალით ვგრძნობდით. პირველივე შეხვედრიდან ჩვენი მასპინძლისა და ჯუმბერის თანდასწრებით იშლებოდა ქართული სუფრები, სადაც ჯუმბერის საყვარელი, ამდენხანს მონატრებული საჭმელები სჭარბობდა და სხვა სუფრასთან მყოფი ქართველები დიდი სიამოვნებით შეექცევიან შებოლილ სულგუნს, აჯიკას, ჩურჩხელას, სახლში გამომცხვარ ნამცხვარს. სიამოვნებით უსინჯავენ ჭაშნიკს ქართულ ღვინოებს ქინძმარაულს, ხვანჭკარას, ალადასტურს, სამარკო კონიაკ ენისელს, მინერალურ წყლებს ბორჯომსა და საირმეს, ახლა ქართული ლუდის შესანიშნავ ნიმუშებს ყაზბეგსა და არგოს. ჩვენი ატლანტელი ქართველი მასპინძლები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ ქართული პროდუქციის მაღალ ხარისხსა და მსოფლიო სტანდარტების დონეზე მათ გაფორმებას და მას ქვეყანაში მომხდარი დადებითი ძვრების გამოვლინებად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაური საერთოდ არ სვამს ღვინოს, იგი ჩვენთან ერთად რამოდენიმე ტრადიციულ სადღეგრძელოს წარმოსთქვამს და სიამოვნებით ცლის ჭიქას, თან კმაყოფილებით ამბობს: ქინძმარაულისა და ალადასტურის, ჩვენი შეუდარებელი საჭმელების გემო მთელი ჩემი მოგზაურობის მანძილზე თან წამყვება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მოგზაური ბოლო ორი თვის მანძილზე ხშირად რეკავდა თბილისში ახლობლებთან, იგი მაინც მრავალ შეკითხვას გვაძლევს და აინტერესებს როგორ არიან ახლობლები, მეგობრები, განსაკუთრებით სითბოთი კითხულობს როგორ სწავლობენ და ცხოვრობენ შვილიშვილები. დიდ გულისწყრომასა და მწუხარებას გამოხატავს უდროოდ წასული მეგობრების, ახლობლების, ქვეყნის ცნობილი ადამიანების გამო, როგორც ატლანტაში მცხოვრებმა ყველა ქართველმა, ჯუმბერმაც დიდად განიცადა ქართველი ხალხის უდიდესი დანაკლისი — შესანიშნავი მსახიობის ლია ელიავას და ცნობილი მომღერლის მედეა ძიძიგურის

გარდაცვალება და სუფრასთან ტრადიციული შესანდობარიც დალია მათი ხსოვნის არდავიწყების ნიშნად. მეორე დღეს 9 ნოემბერს ვეცნობით ქალაქს თან პარალელურად ჩვენს თანამემამულეებს ვხვდებით. დილით პირველად კუკურიმ მიგვიწვია სახლში. იგი შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცი და ოჯახის უზომოდ მოყვარული პოროვნებაა, მასთან სახლში მისვლისას გვეგებება უსათნოესი ქართველი ქალბატონი, კუკურის მეუღლე — გულიკო პაპავა. იგი ქართულად და ინგლისურად ღიმილით წარმოთქვამს ოჯახში მიპატიჟებისა და მიწვევის სიტყვებს და მისაღები ოთახისაკენ მიგვიძღვება. აქ კი მისი შვილიშვილი — გუგა, საოცარი გარეგნობის, უაღრესად მოძრავი, ცოცხალი და ალერსიანი ბავშვი გვეგებება. იშვიათი გარეგნობის ბავშვია, მისი სახით ჩვენ ხვალინდელი საქართველოს იმედისა და მომავლის, ქართული ენისა და ჯიშის, მისი გონიერების და გარეგნული მომხიბვლელობის რეალურ სახეს ვხედავთ. ქალბატონი გულიკო და ბატონი კუკური დიდი სითბოთი გვიყვებიან თავიანთი ქალიშვილის ნათიასა და სიძის ნიკას შესახებ, რომლებიც მოგვიანებით გვეცნობიან. ნიკას პაპა დედის მხრიდან ახმეტიდანაა წარმოშობით და ამჟამად თელავში ცხოვრობს, გვარად კურდღელაშვილი, მის ბიძას, რამაზს მე კარგად ვიცნობ, იმართება გულღია ქართული საუბარი, რომელიც ორივე მხარეს მისთვის მრავალი საინტერესო ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს. შემდეგ ბატონი კუკური გვთავაზობს ქალაქის ზოგიერთი ნაწილის დათვალიერებას. მივდივართ ატლანტის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, სადაც ფეხით ვაგრძელებთ ჯუმბერის მეგზურობით ქალაქის დათვალიერებას. ატლანტა უზარმაზარ, ლამაზ ტყეში გაბნეული სხვადასხვა სიმაღლის შენობების არქიტექტორულ ანსამბლს წარმოადგენს 60-70 სართულიანი ცათამბრჯენების გვერდით, რომელიც ძირითადად ძვირფას სასტუმროებს, ცნობილი ფირმების ოფისებს და ბანკებს უკავიათ, ენაცვლება ულამაზესი მდიდრული ვილებით დამშვენებული კვარტალები. რომლითაც ამერიკული ცხოვრების მაღალი დონე განსაკუთრებული სიდიადით წარმოჩინდება. თითოეილ მათგანს განსაკუთრებულ სილამაზეს მატებს შესანიშნავად მოვლილი მწვანე საფარი და მრავალფეროვანი მცენარეული სამყარო, შესანიშნავი ტყით დაფარული აქ როგორც მდიდართა კვარტალების დათვალიერებისას დავრწმუნდით, უკანასკნელ ხანს ამჯობინებენ მშენებლობისას ხის მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებას, რომლის მოპირკეთება შემდგომში ხდება აგურის თხელი ფილებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტყის მასივებისა და გარემოს მოვლას. ყოველდღიურად ხდება მთელი ტერიტორიის დასუფთავება ჩამოცვენილი ფოთლებისაგან, ხოლო ხეების ტოტების ნამსხვრევები სპეციალური მანქანით იკრიბება და გადამუშავდება. ისე, როგორც ამერიკის სხვა ქალაქებში, ატლანტაშიც იგრძნობა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა, აქ ბევრი რამეა შთამბეჭდავი და გრანდიოზული, ქუჩაც და გზაც, მაღაზიაც და ცადაზიდული შენობები, მანქანების საოცარი სიმრავლე და რეკლამების არნახული ელვარება. ასეთია დღეს ამერიკული ცხოვრების წესი, მისი აღქმის მასშტაბი და მრავალფეროვნება. აღარაფერს ვამბობთ მომსახურეობის დონეზე, სადაც თვით ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანიც კი გათვალისწინებულია. მთავარია მიხვდე, გაიგო მისი არსი და შესაბამისი ალღო. მომდევნო დღეს მეგზურობას ავტომანქანით, რადგან სხვაგვარად ამერიკაში და განსაკუთრებით ატლანტაში წარმოუდგენელია რაიმეს ნახვა ან საერთოდ საქმის კეთება. ლიკა და გიული გვიწევენ, საღამოს მოგვიანებით კი სანდრო. ვიდრე ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს შევხვდებოდი, ისეთი ინფორმაცია მქონდა მათ შესახებ, რომ თავიანთი საქმიანობითა და ქმედებით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან საქართველოსადმი პატივისცემით და მათი დიდი ნაწილი ამერიკაში საბოლოოდ დამკვიდრებასა და ცხოვრებას აპირებს. ატლანტაში გატარებულმა დღეებმა კი სრულიად განსხვავებული საპირისპირო შთაბეჭდილება შეგვიქმნა. მათი დიდი უმრავლესობა, ბუნებრივია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია და თუ აქ ჩამოვიდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ ეკონომიურად მომძლავრდეს, ფეხზე დადგეს, საქართველოში მცხოვრებ თავიანთ ახლობლებს, მეგობრებს დახმარების ხელი გაუწოდოს და ამით საქართველოში მათ ნორმალურად ცხოვრებისა თუ არსებობის საქმეში თავისი მოქალაქეობრივი წვლილი შეიტანოს. დღეს ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია მრავალი ქართული ოჯახის საქართველოში დარჩენისა და ქვეყნის აღორძინების საქმეში მათი აქტუალურად ჩართვისათვის, უცხოეთში წასვლის მსურველთა რიცხვის შემცირებისათვის. ამიტომ ატლანტაში ამერიკის სხვა ქალაქებში და საერთოდ უცხოეთში მცხოვრები იმ ქართველების მუშაობა და საქმიანობა, რომლებიც დროებითმა გაჭირვებამ და თავიანთი ახლობლების დახმარების სურვილმა ჩამოიყვანა უცხო ქვეყანაში და არა აქ სამუდამოდ დარჩენის სურვილმა ყოველგვარ ადამიანურ თანაგრძნობას იმსახურებს. სწორედ ამ სულისკვეთებით ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი მასპინძლები: კუკური სამხარაძე, მისი ოჯახის წევრები, ლიკა დვალი და გიული ბიბილაშვილი, ვაჟა

პატიაშვილი, სანდრო ღავთაძე, ყველა მათგანის ყოველდღიური ცხოვრება საქართველოზე ფიქრითაა განმსჭვალული. მათი ყოფისა თუ საქმიანობის თანამგზავრია ქართული სიმღერა და ქართული სამზარეულო, ჩვენი ეროვნული ტრადიციები. ისინი ხშირ შემთხვევაში ამერიკელ თანამოსაქმეებსა და მეგობრებზედაც კი ახდენენ კეთილმყოფელ გავლენას. ამერიკული ფირმის ხელმძღვანელის ოჯახში სტუმრობისას, სადაც მრავალი ქართველი მუშაობს, ვნახეთ ქართული სამზარეულოს შესანიშნავი ნიმუშები, რომლებსაც ამერიკელი მასპინძლები ქართველი მეგობრების დახმარებით და ზეგავლენით ამზადებენ. ლიკას და გიულის საცხოვრებელ სახლში დომინირებს და ფაქტიურად ისმის მხოლოდ შესანიშნავი ქართული მელოდიები, სანდრო ღავთაძე საავიაციო კომპანია "დელტას" თანამშრომელია. ეს უდავოდ ნიჭიერი და თვით ქვეყანაზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მუშაობის პარალელურად სწავლობს, კრიტიკულად აფასებს რა თავისი ცხოვრების უახლოეს წარსულში დაშვებულ შეცდომებს, ცდილობს მიიღოს კარგი განათლება და თავის ქვეყანას დაუბრუნდეს და მას მოახმაროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება. საქართველოსადმი სიყვარულითაა განწყობილი ჩვენი ქვეყნიდან წასული და ამერიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მე დიდად კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ახლოს გავცნობოდი ადრე საქართველოს გაზიფიკაციის სამმართველოს უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს, ბატონ საშა აკოფოვს. მის ყოველდღიურ ცხოვრებას ალამაზებს ქართული სიმღერა, მასთან საუბარში ნათლად ჩანს თბილისური ცხოვრების ნოსტალგია. მთელი იმ დღეების განმავლობაში, როცა ჩვენ მას ვხვდებოდით და ერთად დავდიოდით ატლანტის სხვადასხვა ადგილებში ცისფერ ტრიოს, ივერიის, გოგი დოლიძის, სხვა ქართველ მომღერლების სიმღერები იმ შესანიშნავ განწყობილებასა და ფონს ქმნიდა, რომელიც საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ჭეშმარიტი ნიშანია. ბატონი საშა, როგორც კვალიფიციური სპეციალისტი წარმატებით საქმიანობს ატლანტის ერთ-ერთ ფეშენებელურ 60 სართულიანი სასტუმროს "წელიწადის ოთხი დრო" უფროს ინჟინრად და დიდი წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას. ამავე ქალაქში ნაყოფიერად მუშაობს ერთ-ერთ დიდ და პრესტიჟულ სასტუმროში მისი ვაჟიშვილი. ბატონი საშა უაღრესად გულღია და კოლორიტული პიროვნებაა. იგი დიდი სითბოთი იხსენებს თბილისელ მეგობრებსა და ახლობლებს, საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ შთამბეჭდავ ეპიზოდს და ატლანტაში მატერიალურად საკმაოდ კარგად უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც საქართველოსკენ მოუწევს გული. იგი საქართველოდან ჩასულ სხვა მეგობრებთან ერთად დიდად დაგვეხმარა ატლანტისა და საერთოდ დღევანდელი ამერიკული ყოფისა და ცხოვრების გაცნობაში. რამოდენიმეჯერ უაღრესად გულთბილი მასპინძლობა გაგვიწია და შემოგვთავაზა ამერიკული სამზარეულოს საუკეთესო ნიმუშების გაცნობა, ბატონ საშას დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიო მოგზაურისათვის მისი ატლანტაში ყოფნისას ფინანსური საშუალებების შეკრებისა და სხვა სახის მატერიალური დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციის საქმეში. ატლანტაში ჩვენი ყოფნისას შევხვდით ერთ-ერთ ახალგაზრდა ბიზნესმენს ჯიმი უოლკერს, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობების შთაბეჭდილებების ამსახველი ლიტერატურის ინგლისურ ენაზე გამოცემითა და მისი მთელს მსოფლიოში გავრცელებით. იგი უკვე ამუშავებს გარკვეულ წინადადებებს ამ მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად ჩვენთან შეხვედრისას მან უკვე წამოაყენა კონკრეტული წინადადებები მოგზაურობისადმი მხარდაჭერისათვის ერთობლივი საქმიანობისა და თანამსრომლობის შესახებ, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და მოგზაურსა და მის შორის შესაბამისი დოკუმენტის სახით გაფორმდება. მოგზაურთან და საქართველოში მისი მოგზაურობის ხელშემწყობებთან მომავალი პატრნიორული თანამშრომლობის ფარგლებში მან უკვე შეიტანა გარკვეული წვლილი მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში. მოგზაურისადმი მის დიდ მხარდაჭერას მნიშვნელოვნად განაპირობებს რომ მას ქართველი მეუღლე ჰყავს — ეკა რუხაძე, რომელიც ასევე აქტიურად გულშემატკივრობს ჯუმბერ ლეჟავას. ატლანტაში ჩვენი ყოფნისას მისი და ზურაბ ლეჟავას აქტიური ძალისხმევის შედეგად მსოფლიო მოგზაურობისა და მისი მეორე ეტაპის დაწყებისადმი მიძღვნილი საიმფორმაციო მასალა მოამზადა მთელს მსოფლიოში ცნობილმა ამერიკულმა სატელევიზიო კომპანიამ სიენენმა, რომელიც შემდგომშიც ფართოდ გააშუქებს ამ მოგზაურობას. ჯიმი უოლკერი უკვე მუშაობს პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკის ზოგიერთი გავლენიანი ფირმის პროდუქციასა და საქმიანობისათვის მსიფლიო მოგზაურის მიერ ფართო რეკლამირებას და მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებისათვის მათი მხრიდან სათანადო ფინანსური დახმარების გაწევას, ატლანტიდან წამოსვლის წინა დღეს ჯიმიმ თავისთან სახლში მიგვიწვია და თავის მეუღლესთან ერთად შეეცადა ჩვენთვის

ქართული ტრადიციით გამთბარი მასპინძლობა გაეწია. მან საგანგებოდ გახსნა ორი წლის წინ სანადირო თოფის ფორმის ჭურჭელში შენახული ღვინო და თავისი ახალშობილი ვაჟიშვილის ალექსანდრეს ამქვეყანაზე მოვლენისა და ქართულ სტილში წარმოთქმული სხვა სადღეგრძელოები ამ ღვინითა და თბილისიდან ჩამოტანილი ყანწით დალია. იგი მომავალი წლის გაზაფხულზე აპირებს თბილისში ჩამოსვლას და დიდი სურვილი აქვს, როგორც ნადირობის დიდ მოყვარულს, მოინახულოს საქართველოში არსებული სამონადირეო მეურნეობები, კიდევ უფრო ახლოს გაეცნოს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, კონკრეტული მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებისათვის აუცილებელი ცალკეული საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტაში.

იმედიანი განწყობილებით ვტოვებთ ატლანტას. სევდანარევი გრძნობით ვემშვიდობებით ჩვენს ატლანტელ მასპინძლებს. წინა დღეს ჯუმბერმა პირადი შეხვედრებისას და ტელეფონის საშუალებით მადლობა გადაუხადა ატლანტაში მცხოვრებ ყველა მისთვის ნაცნობ თანამემამულეს, სხვა მხარდამჭერებს მისდამი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის. აეროპორტში გვაცილებენ ვაჟა პატიაშვილი, რომელიც უკვე 9 წელია აქ ცხოვრობს და მრავალი სირთულეების დაძლევის შემდეგ დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შორის და ჯუმბერ ლეჟავას უშუალო მასპინძლები ატლანტაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იაშა ლეჟავა, მისი შვილი ზურაბი და მეუღლე ქალბატონი მანანა. ვტოვებთ ატლანტას, სადაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელების რეალურ პერსპექტივას. თვითმფრინავი იღებს სიმაღლეს, საიდანაც ჩანს ქალაქის ხედი და ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნაყოფიერი დაბლობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. შემდეგ კი ვაშინგტონისაკენ მიმავალ გზაზე მკაფიოდ ჩანს ქალაქის გარეუბნების, პატარა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კონტურები, რომლებიც მიწის ზედაპირზე შესრულებული ერთიანი გეომეტრიული ნახაზის ცალკეულ ნაწილებს მოგვაგონებენ დაგეგმარების უმაღლესი დონით შესრულებულს. თვითმფრინავის სიმაღლიდან კარგად ჩანს საავტომობილო გზების მრავალფეროვანი და სხვადასხვა სიდიდის კვანძები, მთელი საგზაო სატრანსპორტო საშუალებების სიდიადე, მასშტაბი და მრავალფეროვნება. აქედან მკაფიოდ აღიქმება დედამიწის ზედაპირის ამ ნაწილმა ადამიანის მიერ შექმნილი ნაგებობების, ხელოვნური ტბებისა და წყალსაცავების ბუნებრივად არსებულთან უაღრესად შერწყმა. ერთ-ერთი საყურადღებო მომენტია იმისი ნახვა თუ როგორ ხდება მდინარეთა სათავეებისა და მათი კალაპოტების ფორმირება, რომელიც ნალექებით საკმაოდ მდიდარ ამერიკის ამ ნაწილში მიწათმოქმედებისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ერთი საათისა და 15 წუთის ფრენის შემდეგ ვაშინგტონის აეროპორტში ვეშვებით. აქაც შესანიშნავად გამოკვეთილი მისი გარეუბნებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტების კონტურები, რომლებიც ჰაერიდან სხვადასხვა სახისა და ფორმის გეომეტრიულ სქემებს მოგვაგონებენ. მიწასთან მიახლოებისას თითოეული მათგანი ცალკეულ სახლებთან მისასვლელი და მათ შორის გამავალი საავტომობილო გზების ფონზე უფრო რელიეფურად იკვეთება.

აეროპორტში გვხვდება ამერიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი ალექსი სეხნიაშვილი, მივდივართ საქართველოს საელჩოში, სადაც ვხვდებით ელჩის მოადგილეს დავით დონდუას, კონსულს როლანდ ბერიძეს, საელჩოს თანამშრომლებს მიშიკო სიამაშვილს, თამრიკო დარჩიასა და სხვებს. ვთავსდებით საელჩოსთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, საელჩოში გასვლისას შევხვდი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილსა და დელეგაციის სხვა წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ამერიკაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პასუხისმგებელ პირებთან შესახვედრად და აფხაზეთის პრობლემების დარეგულირების მნიშვნელოვანი საკითხების დასარეგულირებლად. საღამოს ალეკო სეხნიაშვილის დედამ ქალბატონმა დალი მზიაშვილმა, რომელიც აქ ჩამოვიდა რამოდენიმე თვით "გარკვეული დროით", რათა მიეხმაროს ვაჟიშვილსა და რძალს ნატო ბაქრაძეს ახლადშეძენილი პატარა ელენეს გაზრდაში, ჩაიზე მიგვიპატიჟა სტუმრად. მალე მათთან სპეციალურად ჯუმბერ ლეჟავასთან შეხვედრის მიზნით მოვიდნენ ვაშინგტონის ქართული ეკლესიის მოძღვარი მიშიკო ფოფხაძე, მისი მეუღლე ქეთი გაბუნია, ოქრომჭედელი იაგო დეკანოზიშვილი და რუსიკო ჩაჩიშვილი. მათ მრავალი შეკითხვა დაუსვეს მოგზაურს და გამოხატეს დიდი კმაყოფილება მოგზაურის მიერ დაწყებული ამ მართლაც გაბედული და უაღრესად საინტერესო საქმის მიმართ. საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მიშიკო ფოფხაძემ ჯუმბერის შესთავაზა მეორე დღეს ინტერვიუ მისი მოგზაურობის შესახებ ამერიკის ხმის ქართული რედაქციისათვის და შესაძლებლობის შემთხვევაში კვირამდე დარჩენა ვაშინგტონის ქართული ეკლესიის მრევლთან შესახვედრად. პირველი თხოვნა ჯუმბერმა დიდი სიამოვნებით მიიღო, მეორე წინადადებაზე

კი იმის გამო, რომ ჩვენთან ერთად 17 ნოემბერს ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა ესპანეთში გასაფრენად დიდი მადლობა და მოკრძალებული უარი უთხრა. მეორე დღეს 17 ნოემბერს ჯუმბერმა, რომელმაც საკმაოდ კარგად იცის ამერიკის ქალაქები მოგზაურობის პერიოდში გარკვეული დროით შეჩერებისა და უშუალოდ ველოსიპედით გავლის გამო შემოგვთავაზა ვასინგტონის ცენტრალური ნაწილისა და აქ მდებარე ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ვაშინგტონი პირველ რიგში იმით განსხვავდება ამერიკის ქალაქებისაგან, რომ აქ პრაქტიკულად არაა მაღლივი შენობები, რაც უფრო ევროპული ტიპის ქალაქის იერსახეს აძლევს. როგორც ამერიკაში საქართველოს საელჩოში გვითხრეს იგი თავის დროზე ფრანგმა არქიტექტორებმა დააპროექტეს და თუ დიდი ყურადღებით დავაკვირდებით უფრო ადრინდელი პერიოდის შენობებს კიდევ უფრო ნათლად დავრწმუნდებით ამერიკის დღევანდელი დედაქალაქის არქიტექტურულ სახეზე ევროპული ტრადიციული სტილის დიდ გავლენაზე. თუმცა ევროპული არქიტექტურის ელემენტებისსიმრავლის მიუხედავად ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილის მთავარ ნაგებობებს სახელმწიფო დეპარტამენტის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების, სამუზეუმო დაწესებულებათა შენობების, ბანკებისა და მრავალი ფირმების ოფისების, თავიანთი მასშტაბებისა და უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტების გრანდიოზულობის გამო, მაინც ამერიკული სტილის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ვაშინგტონის არქიტექტურული სახე ევროპულისა და ამერიკულის საკმაოდ მოხერხებული შერწყმის ნიმუშია, სადაც ევროპული თავისი დახვეწილი სახით წარმოჩნდება ხოლო ამერიკული გრანდიოზულობით. მთელი დღის განმავლობაში ფეხით შემოვიარეთ ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილი და დიდი კმაყოფილება მივიღეთ. განსაკუთრებით დიდი დრო დავყავით ამერიკის კონგრესის შენობაში, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაშინგტონის სვეტიდან კაპიტოლიუმის ბორცვამდე მდებარე ნაგებობებთან. კონგრესის შენობიდან კაპიტოლიუმის ბორცვიდან ვაშინგტონის ბორცვამდე არსებული სივრცე, რომელიც მხოლოდ მწვანე კორდით დაფარულ გაზონებს და მათ შორის გამავალ ტროტუარებს უკავია თითქოს ამშვიდებს შენობათა ორ მოპირდაპირე რიგს შორის შექმნილ სივრცულ ბარიერს და მათი შეხამების ჰარმონიულ სურათს ქმნის, რაც ქალაქის ამ ნაწილის მშვიდად აღქმის შესაძლებლობას იძლევა, კონგრესის სასახლე არა მარტო ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის თავისებური მატიანეა, არამედ მისი დღევანდელი სახისა და მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელიც. ქალაქის ამ და მის სხვა ნაწილებში განლაგებული ადმინისტრაციული ნაგებობანი, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების შენობები, მათ შორის ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია თეთრ სახლში წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებსა და ტენდენციებს. კლასიკურ ნიმუშებს, როგორც მსოფლიოს მთავარი და წამყვანი ქვეყნის, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკური კურსის უაღრესად შტამბეჭდავი გამოხატულება. ამავე დღეს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრებაში. კაპიტოლიუმის ბორცვთან ახლოს სეირნობისას შემთხვევით შეგვხვდა ჯუმბერის მეგობარი ბატონი მერაბ ახობაძე, რომელიც ვაშინგტონში სამსახურებრივი მივლინებით იყო ჩამოსული. ჯუმბერი კარგა ხანს გაკვირვებული უყურებდა 6 წლის უნახავ მეგობარს და ვიდრე არ დარწმუნდა რომ მის წინ მერაბი იდგა. თანაც დაამატა 5 წლის მოგზაურობის დროს იმდენი ჩემი მეგობრებისა და ნაცნობების პროტოტიპები ვნახე, ვიფიქრე ახლაც ხომ არ მეშლებაო. კაცო შენ მე მგონია ველოსიპედით დადიხარ და აქ საიდან გაჩნდიო. პასუხად ჯუმბერმა მე და ხათუნა წარგვადგინა და მოკლედ აუხსნა ვაშინგტონში ჩვენი ყოფნის მიზეზი. შემდეგ სამივემ ფეხით გავიარეთ ჩვენს საელჩომდე და მერაბი სტუმრად მივიწვიეთ. გვიან ღამემდე ესაუბრებოდა ჯუმბერი მერაბს, მრავალი მეგობარი და ნაცნობი გაიხსენეს. შემდეგ ჯუმბერი დეტალურად მოუყვა მას მოგზაურობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენებისა და მომავალი გეგმების შესახებ. მერაბი დიდად დაინტერესდა ჯუმბერის ზოგიერთი წინადადებით, მოსაზრებებით და მოგზაურობის მხარდამჭერი ჯგუფის შემადგენლობაში აქტიურად ჩაბმასა და საქმიანობის სურვილი გამოთქვა. რაზედაც ჩვენ დიდი სიამოვნებით დავთანხმდით. ამავე საღამოს მიშიკო ფოფხაძემ შეასრულა თავისი დანაპირები და ჩაიწერა ინტერვიუ მსოფლიო მოგზაურთან ამერიკის ხმის ქართული რედაქციისათვის, რომელიც საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას აწვდის მსმენელს ამ მართლაც უნიკალური მოგზაურობის შესახებ. მეორე დღეს საუზმის შემდეგ ალეკო სეხნიაშვილის მანქანით გავიარეთ ვაშინგტონში არსებული უცხო ქვეყანათა საელჩოები და შემდეგ კვლავ საქართველოს საელჩოში მივედით, სადაც შეგვხვდა მამუკა წერეთელი საელჩოს ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად საქართველოს საელჩოსთან არსებული საინვესტიციო საბჭოს წევრი, რომელიც სერიოზულად მუშაობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის

მნიშვნელოვან დარგებში უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისათვის. მე მას კარგად ვიცნობ მართვის ინ-სტიტუტში ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდიდან. მამამისი გოგი წერეთელი შესანიშნავი მშენებელი, და-დებითი პიროვნება, პატრიოტი, მოქალაქე თელავში მუშაობდა თავის დროზე "ალაზანმშენის" ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს უფროსად და თავის დროზე ბევრი კარგი საქმე გააკეთა თელავისა და თე-ლაველებისათვის. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა ჯუმბერმა მითხრა, რომ მამუკას შუამდგომლობით თიბისის ბანკის პრეზიდენტმა მამუკა ხარაძემ მას ფინანსური დახმარება გაუწია იმ მომენტში, როცა მოგზაურს ამ მხრივ ყველაზე მეტად უჭირდა. ვაშინგტონის საქართველოს საელჩომ მანამდე და ამერიკის დედაქალაქში ჩვენი ყოფნის დროს დიდი მუშაობა გასწია აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობისათვის საჭი-რო ვიზების გასაფორმებლად. დიდ მადლობას იმსახურებს ელჩი ბატონი თედო ჯაფარიძე და საელჩოს კონსული ბატონი როლანდ ბერიძე. ამერიკიდან ჩვენ გამომგზავრების პერიოდისათვის ჯუმბერ ლეჟავას უკვე ჰქონდა აფრიკის კონტინენტის 5 სახელმწიფოს ვიზა და თანაც, რაც მთავარია მაროკოდან საიდა-ნაც მოგზაური იწყებს აფრიკის შემოვლას, მარშრუტის მიხედვით მდებარე ქვეყნების თანმიმდევრობით. მუშაობა ამ მხრივ გრძელდება რათა ჯუმბერმა ადრეული გამოცდილების გათვალისწინებით ვიზების მო-ლოდინში უქმად არ დაკარგოს დრო და ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს მგზავრობის საერთო მანძილის მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არსებული დანაკარგი, რაც მას საშუალებას მისცემს 2001 წლის იან-ვარში და შესაძლოა უფრო ადრეც დაასრულოს ველოსიპედით მსოფლიოს ყველა ქვეყნის გავლა. ეს მარ-თლაც საოცარი მოგზაურობა. ამავე დღეს მეორე ნახევარში ავტობუსით ნიუ-იორკში მივემგზავრებით. ვემშვიდობებით საელჩოს თანამშრომლებს დათო დონდუას, ალეკო სეხნიაშვილს, ჩვენს უშუალო მასპინ-ძელს, რამდენადაც ვიცი იმავე სახლში ცხოვრობს, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, მიშიკო სიამაშვილს, თამრი-კო დარჩიას, როლანდ ბერიძეს და დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მიმართ გამოჩენილი უდიდესი გულის-ხმიერებისა და მხარდაჭერისათვის. როლანდ ბერიძე და ალეკო სეხნიაშვილი ავტოსადგურში გვაცილე-ბენ სპეციალური მიკროავტობუსით, რადგანაც ორი შეფუთული ველოსიპედის ყუთები, ერთი რომელიც ჯუმბერი აგრძელებს მოგზაურობას და მეორე, რომელიც მან მოიარა სამხრეთ ამერიკის დიდი ნაწილი, კუნძულოვანი სახელმწიფოები კარიბის ზღვაში, ანტარქტიდა და უკან უნდა წამოვიდეს სხვა სახის ავტო-მანქანებში ვერ თავსდება მივემგზავრებით ავტობუსით ნიუ-იორკში. მანამდე ველაპარაკეთ გაეროში სა-ქართველოს მისიის თანამშრომლებს ლიკა შხვაცაბაიას, ლევან ღოღონაძეს და სხვებს და კვლავ ვთხოვე დახმარება დიდი ზომის ტვირთის გადატანისა და ორი დღის განმავლობაში ღამის გასათევი ადგილის გა-მოძებნის საქმეში. კვლავაც დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით გვპირდებიან ყოველმხრივ მხარ-დაჭერას და ჩვენც უფრო იმედიანად მივდივართ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქში, ავ-ტობუსით გავდივართ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს შორის მდებარე გზაზე არსებულ ქალაქებს, ყველგან ტექნიკის დღევანდელი დონის საოცრებათა დემონსტრაცია, ხიდების, გზების მშენებლობის უმაღლესი დონე, ქალაქების ღამის განათების საოცარი მრავალფეროვნება, მათი ინტენსიური კაშკაში და ელვარება ცალკეული დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების საცხოვრებელი კვარტალების მიხედვით. ღამის 9 საათზე და 30 წუთზე ჩავდივართ ნიუ-იორკში ავტობუსი ჩერდება ნიუ-იორკის მთავარი ქუჩის ცენტრა-ლურ ნაწილში. ჩვენი თხოვნის შესაბამისად გვხვდებიან სპეციალური მანქანით ზურაბ ბერიძე და ლევან ღოღობერიძე, გვეხმარებიან საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთის, მათ შორის ორი ველოსიპედის ყუთე-ბის გადატანაში. თავიანთ საცხოვრებელ სახლებში გვითმობენ ადგილს, სითბოსა და გულისხმიერებას არ გვაკლებენ. ვესტუმრეთ გაეროში საქართველოს წარმომადგენლობის ოფისს, რომელიც ამ საერთაშორი-სო ორგანიზაციის მთავარი შენობის გვერდით განლაგებულ ცათამბჯენში მდებარეობს 26 სართულზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს ნიუ-იორკის ხედი მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ცათამბჯენე-ბის არნახული სიმრავლე, ასობით მაღლივი შენობების კასკადი, რომელიც საოცარ გრანდიოზულ პანო-რამას ქმნის, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება თითქოს ცის კაბადონი ცათამბჯენის სიმაღლისაა და მათი შტამბეჭდავი სივრცული მესერის გამო. ცათამბჯენების სიმრავლეს კიდევ უფრო მეტ გრანდიოზულ ფორმას აძლევს რკინის კონსტრუქციით შექმნილი ხიდები, რომლებიც ქალაქის კუნძულოვან ნაწილებს ერთმანეთს აკავშირებენ. მანჰეტენი ჩვენი საუკუნის სამშენებლო ხელოვნების თავისებური შედევრია. სადაც ცათამბჯენები მარტო სიმრავლითა და სიმაღლით კი არ გამოირჩევიან, არამედ სამშენებლო საქ-მისა და საინჟინრო აზროვნების ორიგინალური და უნიკალურ გადაწყვეტათა სიმრავლითა და მრავალ-ფეროვნებით. ქალაქის ყველაზე მაღალი შენობა 102 სართულიანი ცათამბჯენი ამერიკაში ჯერ კიდევ 1932 წ. აუშენებიათ, რომელიც მიუხედავად მას შემდეგ აშენებული არაერთი გრანდიოზული ნაგებობები-

სა დღესაც ინარჩუნებს თავის განუმეორებელ სახეს. აქვე ცენტრში რამოდენიმე ახალი ცათამბჯენი შენდება, რომელთა ნახვის მაგალითზე რწმუნდები თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიის უდიდეს შესაძლებლობებზე, რაც პირველ რიგში სწირედ ნიუ-იორკის განაშენების ტრადიციიდან იღებს სათავეს. გავდივართ ბროდვეიზე, სადაც შენობათა სიმაღლეების გამო საჭიროა ქუჩების ინტენსიური განათება, რომლის ფუნქციას სწორედ გრანდიოზულ შენობათა შესატყვისი რეკლამები ამშვენებენ. დავდივარ მსოფლიო მოგზაურის გვერდით, რომელმაც უკვე არა მარტო იხილა, არამედ მთელი სისრულით შეიგრძნო 108 ქვეყნის ასეულობით ქალაქის არქიტექტურული იერსახე, მისი განაშენიანების მასშტაბები და დაბეჯითებით ამბობს ნიუ-იორკის მსგავსიც ყველაზე მეტად ამტკიცენს სამშენებლო ტექნიკის მეშვეობით გრანდიოზული ნაგებობის შექმნის შესაძლებლობას დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს და მას ბუნებრივია დაეჯერება. გაეროს საქართველოს მისიაში ჩვენი მასპინძლების მეშვეობით ვხვდებით საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ბატონ პეტრე ჩხეიძეს, რომელმაც თავის თანამშრომლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო მოგზაურობის გაგრძელების ხელის შეწყობის საქმეში, მან მოგზაურთან ერთად დეტალურად გააანალიზა განვლილი გზის დამახასიათებელი ძირითადი მომენტები, ის მარშრუტები, რომელიც მან შეადგინა ჯუმბერთან ერთად სამხრეთ ამერიკაში გამგზავრების წინ და ბევრი სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია მისცა მას აფრიკის მარშრუტის შედგენისა და მისი გავლისას გასათვალისწინებლად. მან ჩვენი თხოვნით მოამზადა სპეციალური წერილი გაეროში აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების სახელზე რათა მათ მიმართონ თავიანთ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროებს მოგზაურის აფრიკის კონტინენტის შესაბამის სახელმწიფოში ყოფნისას მისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ეს ნიშნავს აფრიკის 57ვე სახელმწიფოს გაეროში წარმომადგენლებისათვის გადაცემული წერილების ასლების საფუძველზე მისდამი აქტიური მხარდაჭერის გამოხატულებას. კონსულის ზურაბ ბერიძის მეშვეობით მოხდება აფრიკის სახელმწიფოთა მისიებისაგან მიღებული საპასუხო წერილების ასლების გადაცემა მოგზაურისათვის, რაც მისი წარმატებული მოგზაურობის ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ამერიკაში ყოფნისას მსოფლიო მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გადაწყვეტაში და ბევრი პრობლემის დარეგულირების საფუძვლის ჩაყრაში დიდი როლი შეასრული ვაშინგტონის საქართველოს საელჩოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელთა აქტიურმა თანადგომამ და დახმარებამ. ჯუმბერ ლეჟავა თვლის, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ადრეც სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობის დაწყების წინ წარმოშობილი სიძნელეებიის დაძლევაში, რითაც მას საშუალება მისცეს გაეგრძელებინა თავისი მისიის შესრულება. დღეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მყარად დამკვიდრებისა და განმტკიცების გზაზე მყოფი საქართველოს მოქალაქისათვის განსაკუთრებით ქართველისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს თვითმყოფადიბა და მისი სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმე, მსიფლიო თანამეგობრობის წევრად ყოფნის და დამოუკიდებლობით მიღებული სიამაყის გრძნობა პირველ რიგში სწორედ უცხოეთში არსებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობების მეშვეობით განიცდი და შეიგრძნობ. ადრე უცხოეთში ყოფნისას ქართველი კაცი ამ მეტად სასიამოვნო გრძნობას მოკლებული იყო. ამიტომ ალბათ ყველა სხვა ჩვენს თანამემამულეებს, ვისაც სხვადასხვა უწევთ უცხოეთში მოქმედ საქართველოს საეიჩოებთან და დიპლომატიურ მისიებთან შეხება, დიდი სურვილი გვიჩნდება მათ ჰქონდეთ მუშაობისა და ცხოვრების უკეთესი პირობები, რათა უფრო წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული უაღრესად რთული და საპატიო მისია.ეს განსაკუთრებით საჭიროა პირველ რიგში სწორედ ამერიკაში, რომელიც ტონს აძლევს მსოფლიო პოლიტიკის მაჯისცემას, აქ სადაც მნიშვნელოვან წილად ყალიბდება მისი აქტიური გავლენით ამა თუ იმ დამოუკიდებელი ქვეყნის იმიჯი, მისდამი მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულება. თუ როგორ გვესაჭიროება ყოველივე ამის მიღწევა დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ეს ყველსათვის ნათელია. პატრიოტული თვითშეგნების ამაღლების ნათელ სიმბოლოდ აღიქმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ აღმართულ ფლაგმატიკებს შორის საქართველოს დროშა. სიამაყის გრძნობა გვიჩნდება ჩვენი თანამემამულის ზურაბ წერეთელის მიერ შექმნილი სკულპტურული კომპოზიციის ხედვისას, რომელიც გაეროს შენობის მიმდებარე სკვერს ამშვენებს. დაძაბული სამუშაო რიტმით საქმიანობს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა. აქ ყოველდღიურად გაეროს რამდენიმე კომიტეტის სხდომა იმართება, სადაც აუცილებელია დაფიქსირდეს და ნათლად გამოიკვეთოს

საქართველოს როგორც გაეროს სრულუფლებიანი წევრი პოზიცია. წარმომადგენლობის ტანამშრომლები უშუალოდ მონაწილეობენ მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ მიღებული რეზოლუციებისა და გადადგენლებების მომზადებასა და რეალიზაციაში, წყვეტენ მრავალ სხვა ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებს.

აქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ბატონი პეტრე ჩხეიძე. მარტო ის ფაქტიც, რომ დღეს იგი გაეროს მიმდინარე ანსამბლეის სხდომის თავმჯდომარის მოადგილეა თავისღთავად მრავლისმეტყველი და ყველა ჩვენგანისათვის საამაყო მოვლენაა. დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს ვაშინგტონის საქართველოს საელჩო, მისი თანამშრომლები.

როგორც გაეროში საქქართველოს მისიის ისე ამერიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს არც პროფესიონალიზმი, არც მონდომება და გულისხმიერება და ჩვენი ქვეყნისათვის ღირსეულად სამსახურის პასუხისმგებლობა აკლდათ. ამერიკაში ჩვენი ყოფნა და მათთან საქმიანი თანამშრომლობა ამის ნათელი დადასტურება იყო. მთავარია ჩვენს სამშობლოში არსებული დროებითი სირთულეების მიუხედავად მაინც გამოიძებნოს სათანადო ფინანსური საშუალებები, რათა მათ შეექმნათ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებისათვის ნაყოფიერი საქმიანობისა და მოღვაწეობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები, ეს კი ნამდვილად მისცემს შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯები გადადგას მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების გზაზე. ამერიკაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრებისას ამერიკელები დღევანდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობით დაინტერესებას გამოხატავენ.

ამერიკიდან გამომგზავრების წინა დღეს მოგზაურთან ერთად ვიხილავთ მის მიერ განვლილ გზასა და მომავალი მოგზაურობის მთავარ მომენტებს, რაც ზოგიერთი საყურადღებო დასკვნის გაკეთებისა და შემდგომში მათი გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. პირველ რიგში მოგზაურთან ერთად შევთანხმდით კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნას შესწავლილი აფრიკის კონტინენტის ყველა ქვეყანაში გასავლელი გზის მარშრუტები, დაზუსტდეს ყველა ის შესაძლო სირთულე, რაც მას შეიძლება აქ შეხვდეს და წინასწარ შემუშავდეს მათი დაძლევის რამოდენიმე ვარიანტი სხვადასხვაგვარი სიტუაციისა და ვითარების გათვალისწინებით. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას გაუწევს ამერიკაში ინგლისურ ენაზე გამოცემული უაღრესად ამომწურავი ინფორმაციის შემცველი წიგნი აფრიკა. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენც და მოგზაურმაც გადაწყვიტა საქართველოს საელჩოს მიერ აფრიკის რამოდენიმე ქვეყნის ვიზების მიღებამდე, რაც გაზრდის ამ კონტინენტის გასავლელი გზის მარშრუტზე მდებარე ქვეყნების რიცხვს, სადაც მას დაბრკოლებისა და დროის დაკარგვის გარეშე შეეძლება შესვლა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აფრიკაში არსებული ამ ქვეყნის საელჩოებში მოგზაურისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ გაგზავნილი წერილის ასლების მიღებამდე, რაც მას მათი მეშვეობით ადგილზე ბევრი პრობლემის მოგვარების საშუალებას მისცემს, გაგრძელდეს მოგზაურობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ანდორის, გიბრალტარის გავლით, რასაც იგი თვენახევარს მოანდომებს შემდეგ მასთან გაიმართოს კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც განიხილება დეტალურად აფრიკის რთული მარშრუტის გავლისათვის ყოველმხრივი მზადყოფნის მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ იგი გადავიდეს აფრიკის კონტინენტზე მაროკოში და იქიდან გააგრძელოს მოგზაურობა. ამჟამად მომავალი მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებისათვის თითქმის ყველა პირობაა შექმნილი. მის განკარგულებაშია აფრიკის გზებისა და რელიეფისათვის ყველაზე უფრო მისაღები კანადური ფირმის ამერიკული საუკეთესო ველოსიპედი, რომელიც მას ამერიკელმა სპონსორმა შეუქმნა. ჩვენი ადგილზე ყოფნის დროს მომავალი მოგზაუროვის უზრუნველყოფისათვის პროგრამის შესაბამისად მას შევუძინეთ სხვადასხვა კლიმატურ პირობებში გამოსაყენებელი სპეციალური ტანსაცმლის რამოდენიმე კომპლექტი და მოთავსებისათვის საჭირო და ამავე დროს უაღრესად მსუბუქი (სულ 3 კგ) წონის კარავი. ველოსიპედის სათადარიგო საბურავებისა და კამერების რამოდენიმე კომპლექტი. ველოსიპედზე დამაგრებული ჩანთების გარდა ერთი მსუბუქი ჩანთა, რომელიც მას დაეხმარება, რათა ოპერატიულად კლიმატის გათვალისწინებით შეიცვალოს ტანსაცმელი და უკვე გამოყებული მოათავსოს მასში. ჟიული შარტავას ფონდს და მოგზაურობის ხელისშემწყობ ჯგუფს, რომლის ფორმირება ჯუმბერ ლეჟავას მოსაზრებისა და წინადადების გათვალისწინებით უახლოეს პერიოდში მოხდება სერიოზული სამუშაო ელით. გარდა მოგზაურის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფისა სისტემაშია მოსაყვანი მოგზაურის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყნის ნახვისა და გაცნობისას შეგროვილი პირადი შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების სახით დაწერილი ინფორმაციისა, ვიდეო და ფოტო მასალებისა, რომლებიც საშუალებას მისცემს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და სხვა ქვეყნების ხალხებს მიიღონ უშუალოდ მოგზაურის თვალით ნანახი და განცდილის შესახებ მრავალი უნიკალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ცალკეული ქვეყნების რელიეფის, კლიმატური პირობების, აქ მცხოვრები ხალხების ეთნიკური თავისებურებების, მათი ყოფისა და კულტურის, ტრადიციების, ენისა თუ დიალექტის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების აღწერის, ინფორმაციებისა და ცნობების მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრების შესახებ. საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული და შესაბამისი წინადადებები შემუშავებული მოგზაურს ველოსიპედის მწარმოებელი ფირმებისათვის, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ტრანსპორტის ამ ყველაზე სასარგებლო სახეობის სხვადასხვა პროფილის გზებისათვის გამოსაყენებლად, მათი დახვეწისა და ტექნიკური სრულყოფის პროცესში. მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპზე ჯუმბერ ლეჟავამ უცხოეთში შემხვედრ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს თბილისში ჩამოსატანად გადასცა შთაბეჭდილებების ამსახველი დღიურების, ვიდეო და ფოტო მასალების ნაწილი, რომელთაგან საკმაოდ ბევრი ჯერ კიდევ არაა მისული მის ადრესამდე. მოგზაურობის დაწყებიდან დღემდე ჯუმბერ ლეჟავამ სხვადასხვა მარკის ველოსიპედი გამოიცვალა. 4 მათგანი უკვე თბილისშია ჩამოტანილი. ერთი ველოსიპედი ამჟამად მექსიკაშია დატოვებული ჩვენს თანამემამულესთან და ალბათ უახლოეს პერიოდში მას დავაბრუნებთ. ერთი ველოსიპედი, რომელიც მას ტაივანის ერთ-ერთმა ფირმამ მისცა საკმაოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ ფირმას დაუბრუნდა. შესაძლებელია მისი თბილისში ჩამოტანა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დაზუსტდა რა პირობების დაცვით უნდა მოხდეს მისი თბილისში ჩამოტანა. ერთი ველოსიპედი, რომლითაც მოგზაურმა გაიარა სამხრეთ ამერიკა, კარიბის ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფოები, ჩვენ ამერიკიდან თან წამოვიღეთ. სანტ მარტინში ყოფნისას ჯუმბერმა ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელმაც მას უკიდურესად მძიმე ფინანსურ პირობებში მყოფს დახმარების ხელი გაუწოდა, დაუტოვა უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო კუნძულოვან ქვეყნებში (კარიბის ზღვის აუზი) ყოფნისას დაწერილი შთამბეჭდავი დღიურები, ვიდეოკასეტები და ფოტომასალები, რაც ალბათ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლება კვლავ მოგზაურისა და მისი ოჯახის კუთვნილება გახდეს. მოგზაურთან საუბრისას რწმუნდები თუ რაოდენ მრავალფეროვან და ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაციას ფლობს იგი, რაოდენ საინტერესო და უნიკალურ მოვლენებს, ფაქტებს, განცდებსა და შეფასებებს ინახავს მისი მეხსიერება. მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე მისთვის მიცემული არაერთი წინადადებისა უცხოელი მოქალაქეების მხრიდან მათი სახელით გაეგრძელებინა მოგზაურობა, ჯუმბერმა შეძლო გაეძლო ყოველგვარი ცდუნებისათვის და მთელი მისი "საგანძური" ამ ხანგრძლივი და უამრავი ხიფათით აღსავსე მოგზაურობისას შეძენილი, მისი სამშობლოს კუთვნილება უნდა გახდეს. როცა მას ეკითხებიან ჟურნალისტები ან სხვა ცნობისმოყვარე ხალხი თუ რომელი ქვეყანა მოეწონა ყველაზე მეტად მოგზაურობის მთელი პერიოდის მანძილზე იგი ამაყად პასუხობს – საქართველო და უაღრესად ლაკონურად, მაგრამ ერთაზროვნად გამოხატავს თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, რომელიც მას თან დაჰყვება ყველგან და უამრავ სიძნელესა და გაჭირვებას აძლევინებს.

ფიზკულტურა და სპორტი ჯუმბერ ლეჟავას „ჯანმრთელობის ფორმულა“

ჯუმბერ ლეჟავას მიერ შემუშავებული
ჯანმრთელი ცხოვრების წესი — წოლბჯენიდან
მკლავებზე აზიდვების
მეთოდიკა

ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, **მაგრამ ბევრს კიდევ ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან“ - სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ლოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.**

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირბინო ძუნძულით (ჯოგინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ლოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ — ერთი სახის — ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ვფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის, ფიტნესის, ჯოგინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რათქმაუნდა ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, აღჭურვილობით უხერხულობებს და ა.შ. გარდა ზოგადად ჩამოთვლილი პრობლემებისა ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები - კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწელილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოჩვენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შეძლებული ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს, ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შეძენის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

ნორჩი „ათინათელების“ თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე, ლუკა შედანიამ

ინტერვიუ მწერალ, პროფესორ რევაზ მიშველაძესთან

ბატონო რევაზ, მე გახლავართ“ ნორჩი ათინათელი“, ლუკა შედანია. უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ დამდეთ პატივი და დამთანხმდით ინტერვიუს ჩაწერაზე. მინდა რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ როგორც თქვენს შემოქმედებაზე, ასევე პირად ცხოვრებაზე.

- გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით გვიამბოთ თქვენს შესახებ.

- ჩემი ბიოგრაფია, არც ისე რთულია - დავიბადე 1940 წლის 1 იანვარს. სკოლა დავამთავრე ქუთაისში 1958 წელს; დავამთავრე თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, სადაც ვიმუშავე თითქმის 40 წლის განმავლობაში. პარალელურად ვიყავი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, პროზის სექციის ხელმძღვანელი და რედაქტორი ჟურნალებისა: „კრიტიკა“ და „ნუგეში“. ახლა ვარ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მწერალთა კავშირის გაზეთის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე. ეს არის სულ ჩემი ბიოგრაფია;

- რა ასაკიდან დაიწყეთ წერა?

- უნდა გაგაწბილოთ, მათგან განსხვავებით, ვინც წერა საბავშვო ბაღიდან დაიწყო და ამჟღავნებდა „დიდ ნიჭს“ პოეზიასა და პროზაში, მე უნივერსიტეტის 3-ე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ნოველების პირველი კრებული გამოვეცი - წერა დავიწყე მას შემდეგ, რაც სკოლა დამთავრე; ლექსებს არ ვწერდი და არ ვწერ, ვარ პროზაიკოსი;

- მე გავეცანი თქვენს შემოქმედებას, კერძოდ წავიკითხე თქვენი ორი წიგნი „კაცნი“ და „ელდა“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იქონია თუ არა თქვენზე გავლენა რაიმე ფაქტმა, რომ თქვენი ცხოვრების გზად მწერლობა აირჩიეთ?

- მადლობელი ვარ, რომ ჩემი წიგნები წაგიკითხავს. რაც შეეხება გავლენას, რაიმე კონკრეტულმა ფაქტმა ალბათ არ იქონია, ლიტერატურის ნიჭი დაბადებიდან დამყვა. მწერლობას ვერ ისწავლი, მწერლობას ვერ დაიბრალებ - ამიტომაა, რომ მშობლები იშვიათად ამბობენ: „ჩემი შვილი მწერალი უნდა გამოვიდესო“. შეიძლება გამოვიდეს ექიმი, ინჟინერი, სპორტსმენიც კი, მაგრამ მწერალი არ გამოვა, თუ ეს ნიჭი დაბადებიდან არ დაგყვა. თვითონ გამოჩნდება ის, რომელიღაც ასაკში. ზოგი იწყებს წერას ახალგაზრდობიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, მწერალთა კავშირში გვყავს ისეთი მწერლები, რომლებმაც წერა 60 წლის ასაკში დაიწყეს. ჩემი პრინციპია, რომ თუ შეგიძლია არ დაწერო - არ უნდა დაწერო. თუ ძალიან არ შემაწუხა სიუჟეტმა, თუ არ ამოვიდა ის ჩემს სულში იმ დონეზე, რომ აღარ შემიძლია ქაღალდზე არ გადავიტანო - მე არ გადამაქვს. სტრიქონები, სიუჟეტები, ხასიათი ირანდება გონებაში, დღესაც, როცა აქ მოვდიოდი, ერთ ნოველას ვუკირკიტებდი, აბა როგორ დავამთავრო, როგორ ჯობია-მეთქი. ასე, რომ რაღაც

ბიძგი, რაღაც რყევა, მწერლობას ვერ დაგაწყებინებს. მწერლობა სულიდან უნდა მოდიოდეს, შენი სულიერი მოთხოვნილება უნდა იყოს.

- თქვენი ნოველები უაღრესად საინტერესოა. ეყრდნობა თუ არა ისინი რეალურ ფაქტებს?

- რეალურ ცხოვრებას, რა თქმა უნდა ეყრდნობა, იმიტომ, რომ უამრავი ამბავი, ფაქტი, სიუჟეტი შემოდის ყოველდღიურად ადამიანის გონებაში. მე არ ვეკუთვნი იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ნოველებს წერენ ნატურიდან გადახატვით, ე.ი. რეალურ ამბავზე დაყრდნობით. რელურმა ამბავმა შეიძლება რაიმე ადგილი დაიჭიროს შენს ნოველაში, მაგრამ შენ იქნები ფოტოგრაფი, თუ იმას ზუსტად ისე გადმოსცემ, როგორც მოხდა. მწერალი ახალ მხატვრულ სამყაროს ქმნის, მე ის ფაქტი რაღაცაში შეიძლება გამომადგეს, მაგრამ დამთავრება ნოველისა, განვითარება მოქმედებისა, დიალოგები - ეს ყველაფერი ჩემეულია. მე ვაძლევ სიცოცხლეს, მე ვარ მამა ნოველის და არა რეალური ფაქტი.

- თქვენს შემოქმედებაში, ესეებსა და ინტერვიუებში იგრძნობა ეროვნული სულისკვეთება, ტკივილი, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიას უკავშირდება - როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

- მე ვერ წარმომიდგენია თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამის გარეშე მდგომი მწერალი. მწერალს თუ არ აინტერესებს რა დღეშია მისი სამშობლო, და არ ფიქრობს მის გადარჩენაზე, ასეთი მწერალი, მწერალი არ არის. მწერლობა დიდი ტვირთია და მწერლობა უკვე ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას. ყველა ჭეშმარიტი მწერალი მუდამ თავისი ქვეყნის ჭირისუფალი იყო, ასეთად მომაქვს მეც თავი.

რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, საქართველო მძიმე დღეშია, მინდა იცოდე შენ და შენმა თანატოლებმაც, რომ ჩვენი ქვეყანა XII საუკუნეში, აღმაშენებლის დროს 300 000 კმ/კვ იყო, დღეს კი საქართველო 45 ათასი კვ/კმ-ია; ორი საუკუნის მანძილზე რუსეთმა წაგვართვა უზარმაზარი ტერიტორია, თითქმის 2/3, მეოცე საუკუნემდე მოვედით 111 ათასი კვ/კმ-ით, ახლა ესეც არა გვაქვს და უკანასკნელი ომის დროს რუსეთთან, 2008 წელს კიდევ დავკარგეთ 25 ათას კვ/კმ. საქართველოს პატრონი არავინაა, ის პატარა ქვეყანაა და როგორც ირკვევა მისთვის თავს არავინ გამოიდებს. საქრთველო, ორ ვეშაპ სახელმწიფოს შორის, როგორიცაა რუსეთი და აშშ, კოზაკივით იჭყლიტება, ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვკარგავთ ტერიტორიებს. მცოცავი ოკუპირება ქვია იმას რაც რამოდენიმე დღის წინ მოხდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის - სამაჩაბლოს საზღვარზე, 300 მეტრით კიდევ გადმოსწიეს საზღვარი და კიდევ ჩამოგვაჭრეს მიწა, საქართველოს ჯარიც უძლური ყავს და ვერც ხელისუფლებას მიუწვდება ხელი იმაზე, რომ რუსეთს ეს აგრესია შეაჩერებინოს. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ჩემი წინასწარმეტყველება მაინც ოპტიმისტურია. საქართველოს ქონია ისტორიაში უარესი დღეები, მაგრამ არ გამქრალა. აი, თქვენ რომ გაიზრდებით, თქვენ უნდა უპატრონოთ ქვეყანას, უნდა დადგეთ საქართველოს ყოველი მტკაველი მიწის დასაცავად, როგორც იდგნენ დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის მებრძოლები.

დღეს ქართველი გადაეჩვია სამშობლოს დაცვას, დამკვიდრდა ფსიქოლოგია მშობლებში, რომ სამშობლო უნდა დაიცვან სხვისმა და არა მათმა შვილებმა, ასეთი აზროვნებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. გავიხსენოთ მარაბდის ბრძოლა, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედამ ომში ცხრა შვილი გაგზავნა და ცხრავე შესწირა სამშობლოს. სანამ ყველა დედა ამ შეგნებით არ აღიჭურვება, საქართველოს არაფერი ეშველება. მწარეა საქართველოს ისტორია, ქართველობაც ბედისწერაა, ამიტომ უნდა ავღზარდოთ ჩვენი შვილები საქართველოს მომავალ მებრძოლებად, საქართველოს პატრონებად, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლით მოგვიტანეს აქამდე. ყოველი მტკაველი ქართული მიწისა სისხლითაა გაჟღენთილი.

- ბატონო რევაზ, თქვენ მიღებული გაქვთ უამრავი პრემია, ბრძანდებით „ღირსების ორდენის“ და „ი. ჯავახიშვილის“ მედლის კავალერი - რას ნიშნავს თქვენთვის ყოველივე ეს?

- ჯილდოს მიღება რა თქმა უნდა სასიამოვნოა, გარდა „ღირსების ორდენისა“ და „ი. ჯავახიშვილის მედლისა“ მიღებული მაქვს რუსთაველის და ი. ჭავჭავაძის პრემიები. რუსთაველის პრემია არა მარტო საქართველოში, არამედ, მგონი მთელს მსოფლიოში ერთერთი უპირველესი ჯილდოა, რადგან თვითონ რუსთაველი მსოფლიოში უპირველესი პოეტია. რათქმა უნდა გაყოყოჩება არ მჩვევია. დღესაც ისევე ვიბრძვი, როგორც რიგითი ჯარისკაცი პოლიტიკასა და მწერლობაში.

- გავიგე, რომ გამოდის თქვენი ნაშრომების 25 ტომეული. საინტერესოა, ტომეულში შევა თქვენი ცნობილი ნაწარმოებები, თუ მკითხველი უნდა ელოდოს სიახლეებს?



- 25 ტომეულში შევიტანე ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები, რაც კი დამიწერია მთელი სიცოცხლის მანძილზე. აქ შედის უპირველეს ყოვლისა პროზა, პუბლიცისტიკა, შედის ჩემი მეცნიერული და პოლიტიკური ნაშრომები. ეს არის რჩეული თხზულებების 25 ტომი და რამდენადაც ვიცი, ჯერ არცერთი მწერლის 25 ტომეული არ გამოსულა. მნიშვნელობა რაოდენობას კი არა აქვს, არამედ იმას, თუ შიგ რა დევს ღირებული, რომ ჩემი მოვალეობა მკითხველის წინაშე, შესრულებულად ჩავთვალო.

- რას ურჩევდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას ვურჩევდი, იკითხოს წიგნი, ვურჩევდი განათლდეს ისე, როგორც შეეფერება ქართველ კაცს ამ კომპიუტერულ ეპოქაში; ვურჩევდი ყველაფერი შეითვისოს და გაიგონოს, რასაც მისი მშობლები კარგსა და საგულისხმოს ჩასძახიან, ამავე დროს იქონიოს თავისი პირადი აზრი საგნებსა და მოვლენებზე. ვურჩევ, რომ კომპიუტერი გამოიყენონ გონივრულად, მისდიონ სპორტს და ჩამოყალიბდნენ სრულფასოვან პიროვნებებად.

ბატონი რევაზი ძალიან სასიამოვნო რესპოდენტი აღმოჩნდა, მან აღნიშნა, რომ მიესალმება „ნორჩი ათინათელების“ საქმიანობას და წარმატებები უსურვა მათ.



ინტერვიუ მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავასთან

მოგესალმებით, ბატონო ჯუმბერ! ბევრი რამ მსმენია და წამიკითხავს თქვენ შესახებ, მაგრამ გაცილებით საინტერესოა ყოველივე ამის მოსმენა თქვენგან; ნება მიბოძეთ, რამოდენიმე შეკითხვა დაგისვათ:

- ბატონო ჯუმბერ, გთხოვთ მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობის შესახებ.

- ბავშვობა რთული მქონდა, ის ომის მძიმე დღეებს დაემთხვა, არც შემდგომი პერიოდი იყო სახარბიელო. ფიზიკურად ძალიან სუსტი ბავშვი ვიყავი. სკოლაში რომ შევედი, დავიწყე ჯანმრთელობაზე ფიქრი, ტანვარჯიშზე დავდიოდი. სკოლისა და ეზოს მეგობრებთან ერთად ბევრს ვმეცადინეობდი და ვთამაშობდი.

- რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

- ვოცნებობდი გავმხდარიყავი მეზღვაური. მახსოვს, ჩვენთან ახლოს იყო რკინიგზა, რომლის „შპალებიც“ წყალში ეყარა. მასზე ვდგებოდით ბავშვები და დავცურავდით. იმ დროს თავი გემის კაპიტნად წარმომედგინა.

სკოლა რომ დავამთავრე, ჩავაბარე ლენინგრადის საზღვაო აკადემიაში, მაგრამ დედა გარდამეცვალა, ჩემს დას მარტო ვერ დავტოვებდი და იძულებული გავხდი სწავლა გამეგრძელებინა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დავამთავრე მათემატიკის ფაკულტეტი - გამომთვლელი მანქანებისა და ზუსტი ხელსაწყოების სპეციალობით. კიბერნეტიკოსი ვარ.

დღეს მე მოგზაური უფრო ვარ, ვიდრე მეცნიერი. თუმცა, მეცნიერებაშიც საკმაოდ დიდი მიღწევები მაქვს. ვმუშაობდი სამეცნიერო ცენტრებში, გამოთვლით ცენტრებში, სადაც ილია ვეკუა იყო ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მაქვს ნაშრომები კიბერნეტიკაში, ვარ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ა.შ.

- ბატონო ჯუმბერ, თქვენ უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. როგორ მიაღწიეთ, რომ დღეს საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი ბრძანდებით?

- რომ არა სპორტი, ალბათ, მოგზაური ვერ გავხდებოდი. ხუთ სახეობაზე დავდიოდი - მქონდა საკმაოდ დიდი მიღწევები, მაგრამ იგი ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, სულ ვცდილობდი თავი მეცნიერული კუთხით, კიბერნეტიკაში წარმომეჩინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემექმნა, ჯანმრთელობის მხრივ, სერიოზული პრობლემები და დავიწყე განკურნებაზე ფიქრი. მივაღწიე იმას, რომ დავამყარე 11 მსოფლიო და გინესის რეკორდი. საქართველოდან პირველი ვარ გინესის რეკორდსმენთა წიგნში. შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, გინესის მოძრაობა არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი ჩემი დაწყებულია, რადგან დიდი პროპაგანდა გავწიე ამ კუთხით.

- რასთან იყო დაკავშირებული თქვენი მოგზაურობა და მიაღწიეთ თუ არა მიზანს?

- რთული პროცესი გავიარე ჯანმრთელობის აღსადგენად, ამ მოგზაურობას დავარქვი ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა ექსტრემალურ პირობებში. ჯერ ერთი, ექსტრემალური იმიტომ იყო, რომ მე

ნახევარი ორგანოები ამოკვეთილი მქონდა, მეორე - რომ მე სპორტის ურთულეს სახეობაში დავამყარე ძნელად მისაღწევი რეკორდი.

ჩემ წინაშე დაისახა ამოცანა, გამომეცადა ადამიანის შესაძლებლობები ექსტრემალურ პირობებში და შემესწავლა ადამიანის შესაძლებლობებს ჰქონდა თუ არა ზღვარი, სწორედ ამ დროს, მეგობრის შვილმა, რატი კიკაჩეიშვილმა მირჩია შემომევლო მსოფლიო ველოსიპედით, ვინაიდან მქონდა სათანადო გამოცდილება, ძალა და გამძლეობა. თითქოს სხვისგან მივიღე ფორმულა, რომლის ამოხსნაც ჩემზე იყო დამოკიდებული. სწორედ, ასეც მოხდა, დავწერე პროექტი, პროგრამა და განვახორციელე. მაშინ შევძელი შეუძლებელი, რაც, ჯერჯერობით , არავის გაუკეთებია და სავარაუდოდ, ვფიქრობ , არავინ გააკეთებს.

- იმ მრავალი ქვეყნიდან, რომელშიც იმოგზაურეთ, რომელმა მოახდინა თქვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება?

- მოგზაურობისას თითქმის ყველაფერმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, მოგზაური ყოველთვის ცდილობს ყველა მომენტი დაიმახსოვროს. ამოტომ, ჩემთვის, გარდა სახელმწიფოებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი კულტურების შესწავლას, პიროვნებებთან შეხვედრებს და ა. შ. ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციებს მაწვდიდა, აქედან გამომდინარე, გამაჩნია დიდი ინტელექტუალური საკუთრება, ჩამოტანილი დღიურების, დოკუმენტების, ფოტო და ვიდეომასალების სახით. ყოველივე ამის საფუძველზე მინდა შევქმნა კიდევ ერთი ინფორმაციული მასალა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შექმნილა: 50 ტომი **მოგზაურობის შესახებ, ენციკლოპედიის სახით.**

- თქვენი ცხოვრების დაუვიწყარი დღე.

- ცხოვრებაში ბევრი დაუვიწყარი დღე მქონდა, ზოგი უსიამოვნო, ზოგიც სასიამოვნოდ მოსაგონარი.

მამის გარდაცვალება, თუმცა არ მახსოვს, ვინაიდან ძალიან პატარა ვიყავი. დაუვიწყარია დედის გარდაცვალება, თან ძალიან რთულ მომენტში, როცა ბავშვს მშობლის თანადგომა ძალიან სჭირდება. როცა სკოლა დავამთავრე და ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში, სწორედ მაშინ დამაკლდა იგი. დაუვიწყარი იყო ჩემი დაოჯახების დღე, შვილების დაბადება.

ასე რომ, ეს დღეებია დაუვიწყარი, რეკორდები კი შემიძლია კიდევ გავიმეორო.

- ჩაგიბარებიათ ცხოვრებისეული გამოცდები?

- ჩემი ცხოვრება კურიოზებით არის სავსე, ღმერთი ყველანაირ გამოცდას მიწყობს, მე კი ვცდილობ ყოველივე დავძლიო. ბოლო გამოცდა ჩემთვის შვილის გარდაცვალება იყო, რაც ძალიან ძნელია მშობლისათვის. სამი წელია ვიბრძვი იმისთვის, რომ დავიბრუნო სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ შევძელი

- თქვენი სამომავლო გეგმები, ხომ არ აპირებთ ჩამოაყალიბოთ მოგზაურთა კლუბი და თქვენი გამოცდილება გაუზიაროთ ახალგაზრდებს?

- ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული მოგზაურთა კლუბი, თუმცა, არ გვაქვს მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. კლუბს გააჩნია უამრავი პროექტი, რომლის განხორციელებაც გვიჭირს, მაგალითად, პოლარულ წრეზე უნდა წავსულიყავით სამოგზაუროდ, მაგრამ, სამწუხაროდ, დაფინანსება ვერ მივიღეთ. ახლა მყავს პროდიუსერი, რომლის ორგანიზებით ჩვენ ვგეგმავთ შემოუაროთ ევრაზიას ხელმეორედ. ადრე თუ ვსწავლობდი ადამიანის შესაძლებლობებს, ახლა ეს იქნება დაძმობილების პროგრამა. ასე რომ, ძალიან საინტერესო მოგზაურობა გველის.

- რას ურჩევდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას ვურჩევ ისწავლონ კარგად, შეიყვარონ სამშობლო და გახდნენ სრულყოფილები, მცოდნენი. XXI საუკუნე ინტელექტუალების საუკუნეა. მიზნის მისაღწევად დიდი ცოდნაა საჭირო.

ბავშვებს ვურჩევ საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენონ, მაგრამ წიგნები არ დაივიწყონ, თუკი ისინი დროს საჭიროებისამებრ გაანაწილებენ, მეტ ცოდნასაც მიიღებენ და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებენ.

ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე ირაკლი ჯიგანიამ.

ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან



ქალბატონო გულნაზ, მადლობას მოგახსენებთ, რომ მე, „ნორჩ ათინათელსა“ და ჟურნალ „ათინათის“ აქტიურ მკითხველსა და ერთ-ერთ ავტორს, მომეცით საშუალება დამესვა რამდენიმე კითხვა თქვენთვის.

ქალბატონო გულნაზ, მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის დაარსება ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თქვენ, როგორც ამ აკადემიის პრეზიდენტს, რა წვლილი მიგიძღვნით მის დაარსებაში?

აკადემიის ჩამოყალიბების იდეა მე მეკუთვნის. საფიქრალი იყო ის, რომ შეიძლებოდა ცოცხალი ადამიანის სახელობის კულტურის კიდევ ერთი კერის დაარსებას რაიმე დაბრკოლებები შეჰქმნოდა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი მცდელობა კარგად დასრულდა და აკადემიის არსებობა, დღეს, თავისი საქმიანობით ცხადყოფს, რომ დროული და საჭირო იყო მისი შექმნა.

ბატონი ჯუმბერი, საქართველოსა და მთელი მსოფლიოს გამორჩეული პიროვნება, მრავალი ღირსებითაა დაჯილდოებული. ის ძლიერია, როგორც მოგზაური, სპორტსმენი, ადამიანი, მეგობარი, მოქალაქე...

მრავალპრიფლიანი ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი ბრძანდებით. რა წარმოადგენს თქვენს მისიას, როგორც რედაქტორს, რისი მიღწევა გსურთ ამ საქმიანობით?

ჟურნალი მრავალ სფეროს წარმოაჩენს. აქ თავმოყრილი და თემატურად განლაგებულია სხვადასხვა სპეციალობა. ამ ორგანოს აუცილებელ მისიას წარმოადგენს სამეცნიერო – შემეცნებითი საკითხების გაღრმავება, პოეზიისა და პროზის პოპულარიზაცია, მომავალი თაობების, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების, ხელშეწყობა, გამოვლენა და განვითარება, სულიერების ამაღლება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კონტაქტები და ა.შ.

თქვენ ბრძანდებით მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, ვის თვლით თქვენს მასწავლებლად პოეზიაში, ან როდის, როგორ დაიწყეთ პოეტური შემოქმედება?

როცა თქვენს ასაკში ვიყავი, კარგად ვსწავლობდი, თამამად ვიტყვი, სკოლაში თითოეული ღონისძიების, იდეის ავტორი და შემსრულებელი გახლდით. ვცეკვავდი, ვმღეროდი, მხატვრულად ვკითხულობდი. მიყვარდა თავისუფალი თემების წერა, ლექსები არასოდეს მიწერია. სურვილი დიდი მქონდა, ჩემი ძმა კი, აწ/გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილი ქუხდა, ბავშვობიდანვე მას საჩხერეში „აკაკის“ ეძახდნენ. სამწუხაროდ, ის ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწრო თავისი შემოქმედებით, 29 წლისა მოკლეს, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მართალი სიტყვისთვის გაისტუმრეს ცათა სასუფეველში. ეს გრძელი ისტორიაა... ერთხელაც, მე მოვხვდი მამა გაბრიელის საფლავზე...

ლამაზი დილა გათენდა, შვილიშვილებთან ერთად მცხეთაში ვაპირებდი წასვლას. გული შინაგანად მკარნახობდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი სალოცავთა ქალაქში... პატარებთან ერთად შევაბიჯე დედათა მონასტრის ეზოში. მათ, ტაძართან მიახლოებისას პირჯვარი გადაიწერეს და შემომხედეს ბავშვური ელვარე თვალებით. ისინი ამ წმინდა ადგილის მიმართ მორჩილებასა და მოწიწებას გამოხატავდნენ...

ტაძარი უამრავი სანთლითგაჩირაღდნებულიყო. ნანა და ლევანი შეჰყურებდნენ ხატებს. ღვთისადმი სიყვარულით ივსებოდნენ. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თვალწინ დამიდგა ჩემი თამუნას, თეონასა და ვახტანგის სახეები. თითქოს ხუთივე ერთად იდგა, ყველა ერთნაირად მიყვარდა. ისინი ერთნაირადვე გამოხატავდნენ ღვთის სიყვარულს. წარსულის მორევში ჩავიძირე, არ ვიცოდი რამდენ ხანს გასტანა გარდასულ დღეებზე ფიქრმა... ცრემლები მომერია, სანთლები ნელ-ნელა იწვოდნენ.

უფალს ვევედრებოდი: ღმერთო, ჯანმრთელად ამყოფე ყველა ადამიანი, მზეობდეს ბედნიერება, მშვიდობა ჰყავ ჩემს ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში...

დედათა მონასტრიდან, გზა მამა გაბრიელის საფლავისაკენ გავაგრძელეთ. ბავშვები დინჯად აკვირდებოდნენ ყველაფერს და ცნობისმოყვარედ შემომცქეროდნენ.

საფლავთან უამრავი ადამიანი, ზოგი დაჩოქილი და ზოგიც თავდახრილი, მიწას დასჩერებოდა. ღმერთო, იმედი არ მოგვიშალო, ჩავილაპარაკე ჩემთვის და საფლავთან დავიჩოქე... რომ წამოვდექი, მონაზონმა მამა გაბრიელის საფლავიდან გადმოდინებული, მადლცხებული ზეთი მომაწოდა...

უკან ვბრუნდებოდი, ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში... ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მალე, მოკლე დროში რაღაც ძალიან, ძალიან უნდა გამხარებოდა...

რუსთავის ქუჩებში ხალხის სიმრავლე იგრძნობოდა. ნიავი კი ჩუმად ყვავილებსა და ფოთლებს ეფერებოდა. რაღაც ხდებოდა, მაგრამ რა? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ყველა მერიის წინამდებარე მოედნისაკენ მიიჩქაროდა. რა ხდება? იქნებ მიპასუხო, ახალგაზრდავ? – მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ჩამოვიდა! გმადლობთ, უფალო, ვეჩურჩულებოდი მაცხოვარს და მოედნისკენ გახარებული მივიჩქაროდი.

მთელი საქართველო ესალმებოდა თავის ღირსეულ შვილს, მშვიდობის მსოფლიო დესპანს, გმირს, რომელმაც უფლის წყალობით სასწაული მოახდინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა სიკვდილზე გამარჯვებას, თავის უმცროს მეგობარს, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს, გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს და ეროვნულ გმირს, მოგზაურობის სულისჩამდგმელს ჟიული შარტავას მიუძღვნა. აი, თურმე, რამ მოახდენინა სასწაული მოგზაურს, — სიყვარულმა.

ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ ამ არაჩვეულებრივ პიროვნებას, უფლის ნებით, რამდენჯერ გაცოცხლებულ კაც — ლეგენდას, პატრიოტს, უსაზღვრო სიყვარულის მატარებელ ადამიანს — ჯუმბერ ლეჟავას.

მას შემდეგ 9 წელი გავიდა. ზუსტად იმდენი დრო, რამდენიც იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო ჯუმბერ ლეჟავამ. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოს პარალელურად ვაწარმოებდი ჯუმბერ ლეჟავას ფონდში, სამთავრობოებთან და არასამთავრობოებთან მოლაპარაკებებს და მეორე წელია, რაც დავაარსე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. ვარ ცხრა პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. ყველაფერი ეს მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლით მოხდა. გმადლობთ, უფალო!

ჰოდა, უფალმა იცის ვის რა მისცეს და თანაც როდის. თუმცა, კვლავ ღმერთს ვთხოვ პატიებას. ჯერ ისე ვერ ვწერ, როგორც მიყვარს და როგორც გულში განვიცდი, სამშობლოს სიყვარულისა და შვილის დაკარგვის ტკივილს...

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, რომლის სახელსაც ატარებს აკადემია, მთელი მსოფლიო იცნობს, სავარაუდოა, რომ კულტურათშორის კონტაქტები დაამყაროს აკადემიამ და ჟურნალმა „ათინათმაც“, გაქვთ თუ არ გეგმები დასახული ამ მიმართულებით?

დიახ! კულტურათაშორის კონტაქტების დამყარების გეგმებზეც ვფიქრობთ, გეტყვით უფრო მეტსაც, ჟურნალს შევაყვარებ მომავალ თაობას. ის აუცილებლად გააგრძელებს სიცოცხლეს. „ნორჩი ათინათელები“ გაიზრდებიან, და ჟურნალი კაცობრიობის ცოდნის, სიყვარულის ჯებირი გახდება. რაც შეეხება მის გარეკანს, რეზო ადამიას მიერ შესრულებული წმინდა ნინოს ხატი ამშვენებს და ის დაიცავს „ათინათს“.

გთხოვთ რამდენიმე სიტყვით გვიამბოთ თქვენს პიროვნებაზე... ვინ არის ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი?

მე უბრალო პოეტი ქალი ვარ, საკუთარი და ერის ტკივილი მხრებზე მაქვს წამოსხმული და მაინც ღიმილით დავდივარ, ვითომც ქარს ჩემთვის ერთი თმის ღერიც არ გაუცლია. ესეც უფლის მადლია, რომ რკინის ქალად ვიქეცი:

„დედაბუნებამ დამამადლა სიკეთის თესვა
ენას სულ ვეტრფი, მამული მიყვარს, ზღვა ლურჯი ფერით.
მრავალჟამიერ უნდა ვთქვა და სასმისი შევსვა,
მე?.. სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი.
მე შემიძლია გულდაჭრილის გაჯანმრთელება
სულ დავრდომილთან მომინდება მყის მოფერება.
დედამ სიკეთე ჩამილაგა ჩუმად უბეში,
და ამ საწუთროს მინდა მივცე ბედნიერება.“

ჩვენ, „ნორჩი ათინათელები“ გავხდით ავტორები ჟურნალ „ათინათისა“, ეს იმის ნიშანია, რომ ახალგაზრდა თაობის წინსვლა-განვითარება გსურთ. რას უსურვებთ ახალგაზრდობას?

მთელი სიცოცხლე მასწავლებელზე მეტად არავინ მყვარებია, ისე, როგორც თქვენ გიყვართ თქვენი მასწავლებელი, ქალბატონი ლამარა გერგედავა, რომელმაც შეგაყვარათ ჟურნალი „ათინათი“. საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის 2005 წლის 24.10 43 დადგენილებით, დაჯილდოებული ვარ ქ. თბილისის ერთ-ერთი კულტურის ცენტრის დირექტორობის პერიოდში, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის კი — იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით. მიყვარს ბავშვების სულში ჩახედვა, ისინი უმანკონი არიან, საყვარლები და მოსათუთებელნი. ახალგაზრდების წინსვლისთვის მთელს ჩემს შესაძლებლობებს გამოვიყენებ რომ ქალბატონ ლამარა მასწავლებელთან ერთად, იგი ხომ საბავშვო განყოფილების რედაქტორია და უანგაროდ მუშაობს ჟურნალში, რათა თქვენი ნიჭი გამოამზეუროს და არენაზე გამოიტანოს.

რას უსურვებდით ახალგაზრდობას?

ახალგაზრდობას ვუსურვებ დროის მაქსიმალურად გამოყენებას. დრო მიდის, უკან რომ მოიხედავენ მათ განვლილ კვალში მხოლოდ სიკეთის მარცვალი უნდა იყოს ჩაბნეული. ვუსურვებ მშვიდობას, ერთმანეთისადმი პატივისცემასა და თავმდაბლობას. საჭიროების შემთხვევაში კი, თავგანწირვასაც სამშობლოსათვის.

თქვენი მომავალი გეგმები...

ჩემი გეგმები უსასრულოა, ცას სწვდება, ცოცხალი ადამიანის შესაძლებლობებს სცილდება, იდუმალებაა... ვერ ავხსნი, არ გეტყვით, საიდუმლოა. ერთს გამოგიტყდებით, 2014 წლიდან ორი ჟურნალი გვექნება „ათინათი“ და საბავშვო ჟურნალი „ნორჩი ათინათელები“. ვნახოთ, როგორ იმუშავებთ, ეს თქვენზეა დამოკიდებული. იცი როგორ მიყვარხარ? ეს გრძნობა მინდა ლექსით გამოვხატო:

„ახალგაზრდობავ, სულს მიშრიალებთ,
შვილებიცა ხართ და ლურჯი ზეცაც,
ყველანი გულის ძარღვში ტრიალებთ,
მთვარეს გაჩუქებთ, ვარვარა მზესაც.
ფიქრთა კარები გაღებულია,
მოდით, მოგხვიოთ ტკბილად ხელები
მკერდი გრძნობებით დანაღმულია,
თქვენით ლამაზობს ცისარტყელები.
ვდარდობ... მიწები მტერმა წაგვართვა,
აქ დავიტირეთ ზღვას ჩაძირულნიც.
თეთრმა ვეშაპმა ლამის ჩაგვყლაპა,
როდემდე ვიყოთ დარდდაბარდნული.
მწვერვალებს აჰყეთ კლდის ლაღ ჯიხვივით,
ეკლის ბარდებში ბილიკი ძებნეთ.
შენ, ჩემო ლექსო, ამოჭიხვინდი,
ახალგაზრდობას ყოველთვის ენდე.“

დიახ! ეკლის ბარდებში ბილიკი უნდა მოძებნო, კლდის ჯიხვები უნდა იყოთ, გენაცვალეთ...

ესაუბრა თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის XI კლასის მოსწავლე
ქრისტინე იზორია

ინტერვიუ რეზო (ემელიანე) ადამიასთან

1. ბატონო რეზო, თქვენ ბრძანდებით დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი. ვის თვლით მხატვრობასა და მწერლობაში თქვენს მასწავლებლად?

მხატვრობაში ჩემს მასწავლებლად ვთვლი გენიალურ იტალიელ მხატვარ ლეონარდო და ვინჩის, პოსტიმპრესიონისტ პოლ სეზანს (ფრანგი ხელოვანი). ყოველთვის მაოცებდა ნიკო ფიროსმანაშვილის კოსმიური და ეროვნული სულიერება.

მწერლობაში: რუსთაველი, ჰემინგუეი, ალბერ კამიუ, გოეთე, შექსპირი... მიყვარს გრიგოლ რობაქიძე, გრანელი, კ. გამსახურდია, გალაკტიონი. ეს უკვდავი სახელები განსაკუთრებულად შთამაგონებდნენ ყოველთვის.

2. თქვენ ბრძანდებით ავტორი წიგნისა "შედევრები და მარადიულობა". მწერალი რევაზ მიშველაძე ერთგან წერს, რომ ეს მსოფლიომ ხელოვნების დამხმარე სახელმძღვანელოა და ვინმე რომ მკითხავდეს, ვითხოვდიო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან რომელიმე დიდ სასწავლებელში, თუნდაც, სამხატვრო აკადემიაში, რეზო ადამიას წაეკითხაო მსოფლიო კულტურის კურსი. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ლექციებს სიამოვნებით წავიკითხავდი, მაგრამ ამ საქმეში ხელოვნებათმცოდნეები უფრო კომპეტენტურნი არიან. პროფესორმა ვალერი ასათიანმა (კულტურის ყოფილი მინისტრი) მითხრა, თქვენს ნაწარმოებებს, უნივერსიტეტში, სტუდენტებს ვუკითხავ ხოლმეო. ძალიან გამიხარდა.

3. მე დავათვალიერე ტერენტი გრანელის გრაფიკული შედევრები და გავეცანი თქვენს წერილს: "ზეციური უსაზღვრობა გრანელში". რითი არის განსაკუთრებული ეს ნამუშევრები? თქვენ პოეტ გრანელისა და მხატვარ კანდინსკის შემოქმედებას უდარებთ ერთმანეთს, წერთ, რომ პარალელებს ხედავთ...

ეს ძალიან რთული თემაა. გრანელს რომ ჩაწვდე, საჭიროა, თვითონაც გრძნობდე კოსმიურობას, ეს კი ღრმა ინტუიციასა და ინსტინქტებთანაა კავშირში (არ ისწავლება), გრანელის პოეზია და აბსტრაქტული ნახატები (გრაფიკა) მგოსნის უნატიფესი სულიდან ამოსული კოსმიურობაა... რასაკვირველია, უფალთან მიახლებით... იგივე ითქმის ვასილი კანდინსკიზე, იგივე ზეციურობა იგრძნობა, კოსმიურ უხილავ ფორმათა გამჟღავნება ფერწერაა და გრაფიკაში... ასევეა სიურეალისტები: რეიმონდ ჯორჯეს ივ ტანგი, ამერიკელი და ფრანგი მხატვარი, ჟოან (ხუან) მირო, ესპანელი მხატვარი... კაზიმირ მალევიჩი – მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე...

4. თქვენ წლობით ცხოვრობდით პარიზში და იქ მოღვაწეობდით, როგორც ვიცი, ამან შთაგაგონათ შეგექმნათ "შედევრები და მარადიულობა". რითი იყო ეს წლები განსაკუთრებული თქვენთვის?

ყველა შემოქმედს სჭირდება ისეთი გარემო, ობიექტი, რომელიც ახლოსაა თავის შემოქმედებით ნატურასთან. უამრავი ხელოვანი პოულობს სხვა ქვეყანაში თავის "მეს". მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო: გოგენი, ვან გოგი, რერიხი. მწერლობაში რადიარდ კიპლინგი, ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტი. გაიხსენეთ მისი "მაუგლი", ინდოეთში დაიწერა...

მე პარიზმა შთამაგონა წიგნი "შედევრები და მარადიულობა" (ასევე უამრავი მასალა, რომელიც უნდა გამოვაქვეყნო). დასახელებულ წიგნს ცხრა-ათი წლის განმავლობაში ვწერდი, მუზეუმებში, შედევრების წინ, დილიდან საღამომდე... ვიდექი ფრანგი მოქანდაკის, არისტიდ მაიოლის ქანდაკებასთან, ღია ცის ქვეშ, თოვლში, ყინვასა და წვიმაშიც... ფერწერული სურათებიც შევქმენი, ბევრი იქ გაიყიდა, ნაწილი ჩემთან ინახება...

ისე ვიყავი ჩართული მუშაობაში, რომ ზოგჯერ წყლით ვარსებობდი, არც ვიკვებებოდი...

5. თქვენ გქონდათ გამოფენა "გალაკტიონის პლანეტარიუმი". ალბათ, სულიერად, ძალიან ახლოსაა დიდი პოეტის პოეზია თქვენთან.

კოსმიური ხედვა გამიძლიერა ვასილი კანდინსკიმ, მალევიჩმა, პიკასომ, მატისმა. მოქანდაკეებიდან: მურმა, ცატკინმა, ბრინკუშმა (ბრანკუზი), ფერმწერებიდან: სალვადორ დალიმ, ტანგიმ. პროზაში: ჯეიმს ჯოისმა, ფრანც კაფკამ...

ჩემი სულიერი მარადიული თანამგზავრებია ქართველ შემოქმედთა სახეები: ნ. ბარათაშვილი, გენიალური შოთა რუსთაველი, მისტიკოსი პოეტი გრანელი, მიწასა და ცას შუა ქარბორბალად მოარული გალაკტიონი, რომლის კოსმიური სივრცე უკიდეგანოა და საოცარია ლექსის მუსიკაც, ფორმაცა და სტილიც... ეს ყველაფერი, პლანეტარიუმის უხილავი ხაზებითაა სავსე. დღეიდან, ასი წელიც რომ გამუშაოს განგებამ, ალბათ, მაინც არ მექნება დრო საკმარისად ამ თემატიკაზე ვიმუშაო, რადგან გალაკტიონის შემოქმედება, უძირო კოსმოსია, არასდროს არ მღლის მისი სიშორე, პირიქით, ხალისით მივუყვები გზებს, გრძნობებით, კოსმიური სიახლეებისკენ...

6. რას გვეტყვით მომავალ გეგმებზე? რას უსურვებდით მომავალ თაობას?

წლებმა, მართალია, შემომიტია, მაინც ახალგაზრდულად ვმუშაობ, მგონია, რომ მწერლები და პოეტები ჩემზე ბედნიერები არიან, რადგან მათი უმრავლესობა, ერთ სფეროში მოღვაწეობს და ამიტომაც, დიდი დრო აქვთ. მე კი შემოქმედების ორი მუზით ვსულდგმულობ, ვწერ... ვხატავ... ეს ყოველივე, რთულია, მაგრამ დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

ბევრი გეგმა მაქვს. ვმუშაობ... ვქმნი და შევეცდები ჩემს ხალხს ამით ვასიამოვნო.

მომავალ თაობას ვურჩევ: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. გიყვარდეთ უფალი და სამშობლო, რომლის პატრონადაც ღმერთმა მოგავლინათ სამყაროში. მიზნად დაისახეთ სწავლა-განათლება. პატივი ეცით მშობლიურს, ქართულს, მერე კი, თუ გნებავთ, იყავით პოლიგლოტები და დაიპყარით კოსმოსიც... თქვენში, ახალგაზრდობაში, ბედნიერ მომავალს ვხედავ.

ინტერვიუ ჩაიწერა თბილისის 167-ე სკოლის VII კლასის მოსწავლემ ირაკლი ჯიგანიამ

ინტერვიუ სოხუმის უნივერსიტეტის სრულ პროფესორ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, გ. ტაბიძის სახ. მედლისა და პრემიის ლაურეატ ლუარა სორდიასთან.



ქალბატონო ლუარა, თქვენ ბრძანდებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, მე კი, ამავე აკადემიის ჟურნალ „ათინათის" ნორჩი შემოქმედი, „ნორჩი ათინათელი".

ერთხელ, 2010 წლის ოქტომბრის თვეში დაბეჭდილი გაზეთ „სოხუმის უნივერსიტეტის" მე-9 ნომერს ვათვალიერებდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო თქვენზე დაწერილი სტატიების სათაურებმა: „გალაკტიონ ტაბიძის უბადლო მკვლევარი", „მადლი და ზნეობა... შუქი და სიკეთე... გონი და სინატიფე.!!" „ცასთან კომუნიკაცია", „ლუარა სორდიას მონოგრაფია, „გოდერძი ჩოხელის „მგელი". გაზეთის ეს ნომერი გახდა ბიძგი, რომ შეგხვედროდით.

გმადლობთ, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. ეს, ჩემთვის, მე-7 კლასის მოსწავლისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუძლია თქვენი მოღვაწეობის გაცნობიერება, დიდი პატივია.

— გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების კვლევისას თქვენ ხშირად მიმართავთ ბიბლიას, ჰიმნოგრაფიას, მითოლოგიას, ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა ნააზრევს, უცხოურ კლასიკურ პოეზიას.

თქვენზე წერენ, რომ ღრმად ჩაწვდით გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობას, ამოიცანით სიმბოლურ-მეტაფორული სახეები. დროის რა მონაკვეთი დაგჭირდათ ამ უზარმაზარი სამუშაოების შესასრულებლად და ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— „პოეტის მეფედ“ აღიარებული გალაკტიონი ქართული პოეტური გონის უმაღლესი გამოვლინებაა, მისი ერთ-ერთი თვალუწვდენელი მწვერვალი.

სულიწმიდის მადლით გაბრძნობილი ამ გენიალური შემოქმედის წინამძღვარი იყო საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, საღვთო მუსიკა. პოეტის რელიგიურ, ფილოსოფიურ, მამულიშვილურ ლირიკაში განუმეორებელი ენიგმებით ვეზიარებით მარადიულ ჭეშმარიტებას, როგორც ეროვნულ, ისე საკაცობრიო სატკივრებს.

ნათელმხილველი და ნათელმსმენი, „ბუმბერაზი წინათგრძნობით“ მომადლებული პოეტი ბიბლიური წინასწარმეტყველებით ჭვრეტდა „სხვისთვის უხილავ- ფარულს“, საინფორმაციო ველში გასული შეიგრძნობდა სამივე დროის მოვლენას, მომავალში მოსალოდნელ პროცესებს, ტოტალურ კატაკლიზმებს და რწმენისკენ მიბრუნებას, წმინდა გზის ერთგულებას, „გონთ სიძლიერის“, „გამჭრიახობის იმედად“ ყოფნას ურჩევდა მეფისტოფელის ეპოქის ნაშიერთ, მაგრამ „ყრუ საუკუნე“ მზერადაგმანული და სმენადახშული უზენაესი სამართლიანობის, საღვთო ჰანგების მოსასმენად, რაც პოეტის ტრაგიკულ მსოფლგანცდას ამძაფრებდა.

გალაკტიონმა შორს გასწია ქართული აზროვნების ჰირიზონტები, ეროვნულთან ერთად, მთელი სამყაროს წყლულები გაითავისა, ახალი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, სწვდა პოლუსებს, კოსმიურს... როგორც ზღვარგადამლახველმა მოგზაურმა და მეზღვაურმა, დალაშქრა „აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზები“, კულტურათა სინთეზირებით შექმნა ახალი განუმეორებელი საფეხური ქართული და ზოგადსაკაცობრიო ლირიკისა, „ათასის მხედველობით, ათასის მზით, ასი ათასის სმენით მომადლებული, „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებას დაუფლებული, ჭვრეტდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს, ლოკალურს და გლობალურს, მიღმურის და მერმისის საიდუმლოებებს...

პოეტების მეფის ცათამწვდენ კოშკებს, ჯერჯერობით, ქართული მეცნიერება ბოლომდე ვერ აწვდენს თვალს. ამაოდ დაშვრებიან მისი სიდიდით გაღიზიანებული ოპონენტები, ვისაც მსოფლიო და ქართული კლასიკური პოეზიის, კერძოდ, გალაკტიონის სკოლა არ გაუვლია. ვერასოდეს ააღწევს საოცნებო პარნასზე.

„პოეტური ინტეგრალების“ დიდოსტატისადმი ჯერ კიდევ სკოლაში აღმეძრა ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები სერგი ჭილაია და ვიოლეტა ცისკარიძე, ექსპერტები – პროფესორები როსტომ ჩხეიძე და სოსო სიგუა, ხოლო ოპონენტები – პროფესორები: დავით თევზაძე, მიხეილ კვესელავა, ტარიელ კვანჭილაშვილი, აკაკი ხინთიბიძე, სულხან ჟორდანია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი. მათმა დადებითმა რეცენზიებმა, კეთილმოსურნეობამ ახალი სტიმული მომცა შემდგომი მუშაობისთვის და ასე შეიქმნა ჩემი შვიდი დასტამბული მონოგრაფია ამ უპირველესი პოეტის შესახებ. ყველა ჩემს ხელმძღვანელს, ექსპერტს და ოპონენტს დღემდე ვთვლი კომპეტენტურობის, ზნეობრიობის ეტალონებად, ჩემს გზამკვლევებად, ჭეშმარიტი მოძღვრის თვისებებით დაჯილდოებულ მოღვაწეებად.

ძნელია განერიდო სულის მზრდელი, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლენილი ქართველი ორფეოსის მიერ აღძრულ გრიგალებს, მისგან დანთებულ მარადიულ ცეცხლს...

ისევ ვაგრძელებთ მუშაობას პოეტის შემოქმედების მთავარ წყაროებზე, ისევ ვცდილობთ შევაღწიოთ მისი გენიალური ენიგმების, პოეტური ლიცენციების სამყაროში.

გვჯერა, მოვა დრო, როცა ქართველი და უცხოელი მკითხველ-სპეციალისტები ბოლომდე ირწმუნებენ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას განაცხადის სისწორეს: „... გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... გალაკტიონმა გადააჭარბა თავის ევროპელ მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“.

— **ჩვენი ეროვნული ლირიკისადმი თქვენი სიყვარული დაამტკიცეთ ქართული პოეზიის დედოფლის – ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ორი მონოგრაფიით: ანა კალანდაძის პოეზია /ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები/, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 /დამხმარე სახელმძღვანელო/, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, /„უნივერსალი“, თ. 2009.**

— **რა ნიშნით გამოარჩიეთ „თუთის“ ავტორი მეოცე საუკუნის პოეტებისგან?**

— ჩემი არჩევანი განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ამ გამოჩენილი პოეტის რელიგიურობამ, რადგან აღიარებული აზრია, რომ ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა. საერთოდ, შემოქმედის შეფასების ჩემეულ კრიტერიუმებში უპირველეს ადგილს რელიგიურ, ქრისტიანულ იდეალებს ვაკუთვნებ.

ანა სწორედ საჭირო დროს და მხსნელად მოევლინა ადამიანთა ურწმუნოებით დაგვალულ სულებს თავისი გულშიჩამწვდომი, რწმენის მსახური, ტაძრისკენ გზის გამკვლევი უსათუთესი მელოდიებით, ეროვნული ტრიადის ერთგულებით. მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟის დამდაბლებული, მხოლოდ მიწისკენ მიქცეული, ტრივიალურ ინტერესებს, ინსტინქტებს დამონებული სული შურის, შიშის, ეჭვის კომპლექსებზე სინანულით, ლოცვით, „ზემადლთა ძალით“ მაღლდება, უზენაესის მაღალ ფრთებქვეშ შეფარებული, „სიხარულის ხმით“ განწმენდილი ახერხებს მიწიერისა და ზეციურის მორიგებას, ისწრაფვის ზენაართა საუფლოსკენ, ეზიარება „ყოველთა დიდ სიყვარულს“, კოსმიურ ჰარმონიას. მისი პოეზიის გვირგვინია ფშაური მოტივები, საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ბიბლიური პარადიგმების გამოყენებით მიგნებული მარადიული ჭეშმარიტებები.

პოეზიის დედოფალს ვიცნობდი სატელეფონო საუბრებით. ჩემი პირველი წიგნის გამოცემისას მისთვის სასურველი ფოტოს შერჩევა ვთხოვე. დამპირდა დახმარებას, მაგრამ კარგა ხანს არ შემეხმიანა, რამაც მაფიქრებინა, რომ ის არ დაინტერესდება რიგითი მეცნიერის ნაცოდვარით. წიგნი ინტერნეტში მოძიებული სურათით გამოვეცი და მწერალთა კავშირში დავუტოვე. რამდენიმე დღეში გაისმა ჩემს ტელეფონში პოეტი ქალის თბილი, თბილი, „შაქრისფერი ხმა“, რამაც სიხარულის თავზარი დამცა. ასე დაიწყო ჩვენ შორის სატელეფონო საუბრები. ვულოცავდი და მილოცავდა დღესასწაულებს, მადლობით მოიხსენებდა ჩემს მოკრძალებულ ნაშრომს, მეპატიჟებოდა თავის ბინაში, აინტერესებდა ჩემი და ჩემიანების ცხოვრების ყველა წვრილმანი, მპირდებოდა, რომ ჩემთვის ჰქონდა ძალიან საინტერესო ინფორმაციები, რჩევები. შინაგანი ძრწოლით მავსებდა შეხვედრის მოლოდინი, როგორც მკვლევარი, მაშინ ჩემს თავს არ მივიჩნევდი მასთან ვალმოხდილად, პირისპირ გამოცხადების ღირსად, კიდევ ვაგრძელებდი მუშაობას მის ესთეტიკაზე, სამოქალაქო-პატრიოტულ და ფილოსოფიურ ლირიკაზე, ვფიქრობდი, რომ კიდევ ახალი მონოგრაფიებით ხელდამშვენებული თუ მოვხვდებოდი ამ უზენაესთან წილნაყარ მისანთან... ამ შეხვედრის უსასრულო გადადებით მე თვითონ დავისაჯე. ამასობაში ის ზეცაში იხმო უფალმა. სინანული გვიანია. ნუგეშად მრჩება მისი უტკბესი ხმის გაგონების ბედნიერება. დღესაც ჩამესმის თითქოს მიღმურიდან გამოჭრილი, უფალ-ანგელოზებთან სერობიდან მობრუნებული წმინდანის მიერ ჩემისთანა მოკვდავისთვის დაუნანებლად წილადებული ხმის ნათელი ჟღერა და მჯერა: ნათელშემოსილი, სიხარულშემოსული დიდი პოეტი საქართველოს თანამდევ მარადიულ სულად გარდაისახება, ის სასუფეველში დამკვიდრდა და ღმერთს ავედრებს ტანჯული სამშობლოს მომავალს...

სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში უკანასკნელ გზაზე მთაწმინდისკენ მომავალი პოეტის კიდევ ერთი უხმო „შეხმიანება“. ვარდ-ყვავილების გვირგვინთა ზღვიდან ქარმა ერთი თაიგული ჰაერში აიტაცა, მთელ პროცესიას შემოავლო, კარგა ხანს ატრიალა სივრცეში და ისევ ძირს დაეშვა! ჩემმა უნიჭიერესმა კოლეგამ, ანას თაყვანისმცემელმა პოეტმა დარიკო ფიფიამ ყვავილების ეს „ჟესტი“ აღიქვა, როგორც დიდი პოეტის უკანასკნელი მოფერება თავისი ხალხისადმი. კომენტარის სისწორე მეც ვირწმუნე და იმ მწუხარე ჯამს უსაზღვროდ გამახარა როგორც „იალაღებით სიყვარულით მობერილი“ პოეტის დიდი სულის სასწაულმოქმედებამ, ისე იმისმა რწმენამ, რომ სიწმინდით გამორჩეული სიტყვის დიდოსტატი ხედავდა მისი მიღმურში გადასახლებით დამწუხრებულებს და არც არასოდეს დატოვებდა თვისტომთ უნუგეშოდ, რომ სხვაც იყო ირგვლივ უზენაესით ხელდასხმული, როგორც ჩემი საყვარელი სტუდენტყოფილი და ამ

დროისთვის უკვე საკუთარი ხმით გამორჩეული პოეტი და მეცნიერი დარიკო ფიფია... მხოლოდ პოეტებს ესმით, უსიტყვო ჰანგები, მხოლოდ ისინი ხედავენ „სხვისთვის უხილავ-ფარულს“...

— ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე აღიარებულია ქართული პროზის რაინდად.

თქვენ მისი შემოქმედება გააშუქეთ ათასგვერდიან სოლიდურ მონოგრაფიაში – რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში (თბ. 2001), ასევე შეადგინეთ მწერლის შეგონებების, გამონათქვამების, ხატოვანი თქმების, ფრაზების კრებული (თბ. 1999), რომელსაც ახლავს თქვენი წინასიტყვაობა.

რას ეფუძნებოდა მისდამი ასეთი განსაკუთრებული ინტერესი და რა წარმოადგენს რევაზ მიშველაძის შემოქმედების მთავარ მოტივებს?

— მწერლის ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს მეცნიერებას, კრიტიკას, პუბლიცისტიკას, ნოველისტიკას. თავისი სიტყვიერი კულტურის ყოველ სფეროში მწერალი ილია ჭავჭავაძისებური პირუთვნელობით ამხელს საერთო-სახალხო სატკივრებს და ჩვენი ბედუკუღმართი ერის ხსნის გზებს ეძებს. ხუთ ათეულ წელზე მეტია, სამშობლოს მაჯაზე, მის სუნთქვაზე მიყურადებული, სიფხიზლის ზარებს რეკავს, მუხლჩაუხრელი მსახურია ეროვნული ტრიადის: ენა, მამული, სარწმუნოება.

გახალხურებულია მწერლის პერსონაჟები, სახეები, ფრაზები.

სიცოცხლეშივე კლასიკოსად არის აღიარებული, ეს კი ერთეულთა ხვედრია.

დიდმა ნოველისტმა ობიექტურად, ინდივიდუალური ხელწერით წარმოაჩინა საბჭოთა ეპოქაში წითელი ურჩხულის ზეობის ჟამი, „ჩრდილოელი დათვის ვეება ჩრდილი“ ტოტალიტარული ყინულოვანი მონსტრის მიმართება ჩვენი გმირული წარსულის მქონე, გამორჩეული ნიჭისა და უსაზღვრო კულტურული პოტენციის მქონე ერად.

მწერალმა პირუთვნელად გვიჩვენა მეოცე 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის არსი, დიდი სამამულო ომი რუსეთთან, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიები, დევნილთა და ემიგრანტთა პრობლემები.

მკითხველ-სპეციალისტთა მეხსიერებაში სამუდამოდ რჩებიან მრავალსახოვან ინტელიგენტთა კატეგორიები. თანამდებობის მანტიით მოსილთა ანგარებიანობა, გულგრილი მედროვეები, ე.წ. „მთის ავადმყოფით“ სნეულნი „თეთრი ყვავები“ და „გამოგონილ სკამებზე“ მოკალათებულნი. უმაღლესი ოსტატობით შუქდება დანაშაულისა და მართლმსაჯულების პრობლემა, ხელმოცარულთა, პატარა ადამიანთა ფსიქოლოგია, ოჯახის, სიყვარულის, ადამიანთა ურთიერთობის კულტურის საკითხები, გვეცნაურებიან ლოთები, ნარკომანები, კონფორმისტები.

ნოველისტი გვახედებს ჰადესის სამყაროს საიდუმლოებებში, გვაზიარებს გილგამეშის სევდას.

რევაზ მიშველაძის მთავარი ორიენტირია ეროვნული იდეოლოგია, ქვეყნის მომავალში გასაღწევი გზების ძიება, რელიგიური პოსტულატები.

მწერალი ახერხებს ქართველი კაცის გადასახედიდან დაინახოს მსოფლიო და უცხოელის თვალთახედით განჭვრიტოს ეროვნული ფენომენი. მთელი მისი შემოქმედება არის ქართველობის ადგილის ძიება მსოფლიოს რუკაზე, ქვეყნის მარადიულობის საფუძვლები, მიზეზთა მიზეზის მიგნება.

ზოგჯერ ბიბლიური წინასწარმეტყველის – იერემიას გოდებას მოგვაგონებს მშობელი ქვეყნის ბედუკუღმართობით ნაკარნახევი ტრაგიკული ინტონაციები, მაგრამ, საბოლოოდ, მწერალს სჯერა, რომ ძლიერია ქართული ეროვნული გენი, უკვდავია მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

რევაზ მიშველაძემ რომანტიკაშიც თქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა მკითხველის მიერ უკვე გათავისუფლებული წიგნით „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

ახლა გამოდის მწერლის თხზულებების 25 ტომი, რაც მკითხველ-სპეციალისტებს საშუალებას მისცემს სრულყოფილად გაისიგრძეგანონ ეროვნული კულტურული ფენომენი, სამშობლოს სადღეისო და სამომავლო პრობლემები, მწერლის მიერ აპოკალიფსურ ტირანებთან ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე, მხატვრული ოსტატობა, ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ტოლფარდი იუმორი.

— ცნობილია თქვენი მონოგრაფია, რომელიც მიუძღვენით გოდერძი ჩოხელის რომანს „მგელი“.

— რა არის მწერლისა და თქვენი მთავარი სათქმელი?

— დიდი მწერლობა ყოველთვის ლოკალური არეალის საშუალებით გლობალური პრობლემების დასმა-გადაწყვეტას ემსახურება.

რომანი „მგელი“ მართლაც დიდი წიგნია, გოდერძი ჩოხელი – სულის მზრდელი წიგნების ავტორი, ჭეშმარიტად უზენაესისგან ხელდასხმული „ქრისტეს მებაღე“, იტალიელ გენიოსს – დანტეს რომ დავესესხოთ.

წიგნში აღწერილი დორაისხევი – ბოლშევიზმის ავბედითი კომპლექსებით დაღდასმული სახელმწიფოს მოდელია, მაგრამ მწერლის სათქმელი სცილდება კონკრეტული ეპოქის სატკივარს და საერთოდ ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნისთვის მარადაქტუალური იდეის მხატვრული ხორცშესხმაა. რომანში ადამიანის კეთროვანი სული, მისი ბნელი ინსტინქტები, დემონური საწყისები სიმბოლიზებულია მგლის სახეში, ხოლო ადამიანთა მგლის სისხლით ნათლობა, ცოფის სინდრომი, შავი და წითელი ფერების პრიმატი, მთაში წითელი გველეშაპის გამოჩენა სათქმელის ხატოვნად წარმოჩენას ემსახურება.

მწერალი ხედავდა ჭეშმარიტი რელიგიის შეცვლას კომუნიზმის ქიმერებით, ფსევდორელიგიით, ქრისტიანული მცნებების ნაცვლად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობას, ახალი, უღმერთო, სიკეთისაგან დაცლილი ადამიანის გაფეტიშებას, ჰუმანიზმის პრინციპების აბუჩად აგდებას და ხმა აიმაღლა ამ საბედისწერო პროცესების წინააღმდეგ. თავისი მხატვრული სიტყვის მისიად ურწმუნოების ბატონებისგან ხალხის განკურნება, უმაღლესი საკაცობრიო და ეროვნული ზნეობრივი იდეალების გადარჩენა დაისახა მიზნად, მასონობის, კოსმოპოლიტიზმის აკვანში გამოზრდილ, სატანური მრწამსით დაფრთიანებულ მხეცებს დაუპირისპირა ადგილის დედის, დედა დედამიწის ბუნებრიობა, სათნოება, ჯანსაღი გენეტიკური კოდებიდან მომდინარე სიკეთის ძალა, ტრადიციული ღირებულებები, რწმენა.

მწერლის მართებული აზრით, სულის განკურნების გზა არის სინანული, ლოცვა, შინაგანი არასრულფასოვნებასთან ბრძოლა., რწმენა, სიყვარულთან ზიარება. ამიტომაც ახდენს აქცენტირებას ბიბლიურ პარადიგმებზე (ყვავილი, ცეცხლი, პური, წყალი), რითაც უფალზე მიგვანიშნებს.

ეს მარად გასათვალისწინებელი პრობლემა დასმულია ბიბლიაში, მითოლოგიაში, ქართულ და უცხოურ კლასიკურ მწერლობაში. საკმარისია გავიხსენოთ ჯონ აპდაიკის „კენტავრი“, იუნესკოს „მარტორქები“, ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“, ოთარ ჩხეიძის „თეთრი დათვი“.

გოდერძი ჩოხელის ჩანაფიქრი და სამწერლო მანქანა წინამორბედთაგან აბსოლუტურად განსხვავებული, ინდივიდუალური და განუმეორებელია.

რაც შეეხება „სულეთის კიდობანს“, სრულიად ახლებური სიტყვაა ჩვენს რომანისტიკაში, საქართველოს ეროვნული ტრაგედიების წინასწარი ხილვა.

— გთხოვთ, მითხრათ სათაურები თქვენი იმ მონოგრაფიებისა, რომლებიც არ მიხსენებია, რათა ახალგაზრდებმა დავიმახსოვროთ, გავითავისოთ ის დიდი სულიერება, ზნეობრივ-ინტელექტუალური კულტურა, რაც თქვენს შრომებშია ჩაქსოვილი.

— გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჩემი დამხმარე სახელმძღვანელოებია: „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები“ (გამომცემლობა „განათლება“, თბ. 1991), „გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993), „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1991), „გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები“ („უნივერსალი“, თბ. 2011), „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონის პოეზია“ („უნივერსალი“, თბ. 2011), „გალაკტიონ ტაბიძე ტერენტი გრანელი“ (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005.

ტერენტი გრანელის პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურებების გარკვევის ცდაა მონოგრაფიები: „უცნობი სფინქსი“ („ალაშარა“, სოხუმი, 1992), „ტერენტი გრანელის ბედისწერა“ („უნივერსალი“, თბ. 2011).

ჩემი აზრით, ჭეშმარიტი მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია ინტერესი საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულისადმი. ეს პრობლემა გაშუქებულია ნაშრომში: „საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართული პოეზიაში“ („უნივერსალი“, თბ. 2009).

2009 წელს „უნივერსალმა“ გამოსცა ჩვენი წიგნი: „ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართული პოეზიაში“.

ბიბლიის ერთი კონცეფციის, აპოკალიფსური სახეების, გრაალის საკაცობრიო იდეალის, გრაალის ორდენის ქართველი რაინდების შესახებ შეიქმნა ჩემი წიგნი „წერილები“ („უნივერსალი“, თბ. 2009).

ხალხის მეხსიერებაში რჩებიან არა დინების მხარეს, არამედ „ქარის პირისპირ“ (გალაკტიონი) მავალნი, რადგან „ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის იყო ოპოზიცია“ (ტიციან ტაბიძე).

„მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა“ („უნივერსალი“, თბ. 2011) აანალიზებს დინების წინააღმდეგ მავალთა – გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის. ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, კოტე მაყაშვილის, გიორგი ლეონიძის ანტისაბჭოთა პოეზიის ნიმუშებს.

დიდი ლიტერატურის უპირველეს მახასიათებლად, მარადიულობის გარანტად მესახება მომავლის განჭვრეტის, ანტიციპაციის უნარი. ამ ასპექტით შესწავლილია მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური პროზა და პოეზია წიგნში „ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ („უნივერსალი“, თბ. 2011).

ასევე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნეტბიბლიოთეკაში განთავსებულია ჩემი სამი მონოგრაფიის ელექტრონული ვერსია: „ქართული მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე“ (ჯუმბერ ლეჟავა), 2012, „მერაბ კოსტავას პოეზია (ეროვნულ-პოლიტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაწიერი)“, 2012 წ.

ქართული კლასიკური მწერლობის უმთავრეს საკითხებზე შექმნილი ჩემი ათი მონოგრაფიის ხელნაწერი, ჯერჯერობით, სამზეოზე გამოსვლის მოლოდინშია...

— თქვენ ბრძანდებით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების საყვარელი მოძღვარი. როგორი სტიმულია ყოველივე ეს თქვენთვის?

— ძალიან რთული, საპასუხისმგებლო, მაგრამ საპატიო საქმეა ორ ფრონტზე თუნდაც მცირედი კვალის დატოვება.

სტუდენტურ აუდიტორიაში გაჟღერებული ცოდნა ყოველთვის უშინაარსო ლამაზსიტყვაობად რჩება, თუ თუნდაც მრავალმხრივ ინფორმაციას არ დაემგზავრა მაღალი ზნეობა, სიკეთე, კეთილმოსურნეობა, სიყვარული.

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ „ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (პავლე მოციქული).

დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა ილია ჭავჭავაძის თეზას „ცოდნის გასარწმუნოებისა“ და „რელიგიის გამეცნიერების“ შესახებ.

ასეთი „ცოდნა სიყვარულია“ (გრიგოლ ნოსელი), „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქული), „ღმერთი სიბრძნეა“ (სიბრძნე სიცრუისა) ამიტომაც იტალიელმა გენიოსმა დანტემ წმინდა სულს შესთხოვა „სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი“.

საერთოდ, ადამიანი, ახალგაზრდობა დიდი წიგნია, მისი სრულყოფილი წაკითხვა მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ. ხშირად თაობთა შორის გაუცხოება, გაუგებრობა და ხიდჩატეხილობაა, სტუდენტობას უფროსი თაობა ხშირად სიახლეებისგან მოწყვეტილებად, კონსერვატორებად ეჩვენება და არცთუ უსაფუძვლოდ. მოზარდის სულის კარის შეღება მხოლოდ სიყვარულით, კეთილმოსურნეობით, მისი სატკივრების გატაქტიანობით შეიძლება, მხოლოდ მაშინ ხერხდება მის მინუსებზე მინიჭება, როცა ნამდვილ გულშემატკივრად დაგიგულებს. მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ ოცნების ზღვაში მცურავი მოზარდი პრეტენზიული და ამბიციურია და უხეშად არ უნდა შევეხოთ მის თავმოყვარეობას.

სტუდენტებთან ურთიერთობა უფლებას არ გაძლევს მოდუნდე, იყო გულგრილი მედროვე, არაადეკვატური, არაოპერატიული, ანგარებიანი, არაფხიზელი. ეს კონტაქტი უნებურად ამოზიდავს როგორც სულის საგანძურს (თუ ასეთი არსებობს), ისე შხამის ბაცილებს, „ფიქრის ნაგავს“, „ნეობის ჯართს“ (ოთარ ჭილაძე).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: “მეცნიერის ცხოვრება ტანტალუსის ტანჯვას მაგონებს. ფრიგიის მითიური მეფე ტანტალუსის ღმერთებმა დასაჯეს: ყელამდე წყალში იდგა და წყურვილი ახრჩობდა“.

„მეცნიერებაც ეგრეა, მთელი ცხოვრება უნდა შეალიო მას, სული ცოტას მიაღწევს თუ არა, სიბერე კარზე მომდგარია უკვე“.

მაგრამ თავდავიწყებული შრომის, ტანჯვის, ძიებისთვის გაღებული ძალისხმევის სტიმულია შერჩეული სპეციალობის სიყვარული.

მეამაყება, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტები სახელოვნად მოღვაწეობენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ერთ-ერთი იმათგანია თქვენი ღირსეული მასწავლებელი, ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტი ლამარა გერგედავა, რომელმაც უკვე გააკეთა ძალზე საგულისხმო განაცხადი თავისი პროზაული კრებულით - “ლიტერატურული მოზაიკა“, (თბ. 2012).

ქალბატონ ლამარას ასევე სერიოზული ჰობია ქართული მეცნიერება. მან სადისერტაციოდ შეარჩია ისეთი საინტერესო და ახალი პრობლემა, როგორიც არის „დონკიხოტის არქეტიპები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. დისერტანტმა გვიჩვენა, რა ნიადაგი არსებობდა ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში. ზოგადსაკაცობრიო თემების არგუმენტირებული კვლევა ზედმიწევნით აკმაყოფილებს დღევანდელი მეცნიერებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. იგი სრულიად ახალი სიტყვაა ესპანურ-ქართული ინტერესებისა თუ ფსიქოლოგიური თანხვედრის თვალსაზრისით და დარწმუნებული ვარ, დაიმსახურებს დიდ აღიარებას.

— რომელია თქვენი ყველაზე ლამაზი, განხორციელებული ოცნება და ჯერ კიდევ მიუღწეველი მიზანი?

— მართალია, ვფიქრობ, მოწოდებით შევარჩიე ჩემი პროფესია და სპეციალობა, მაგრამ ძალზე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დასახული ოცნება მიღწეულია, თვითკმაყოფილება, უკვე შესრულებული სამუშაოთი თავმოწონება აფერხებს წინსვლას. მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ გასავლელი მანძილისკენ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, აღმართამდე ძალზე შორსაა, მრავალი ჩანაფიქრი და გამოუმზეურებელი ხელნაწერი მაქვს.

ჩემი და ყველა ქართველის განუხორციელებელი მიზანი ძილ-ღვიძლის თანამდევი ტკივილ-საწუხარი შაგრენის ტყავივით დაპატარავებული სამშობლოა, დაკარგული ტერიტორიები, ამიტომ ყველაზე აქტუალური პრობლემა ეროვნული ეთნოსის, მისი გამორჩეული ფენომენის, რწმენის, კულტურის გადარჩენა, დაკარგულის დაბრუნება, მომავალში გაღწევა.

ამ კითხვის პასუხს ვეძებ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, სულიერ მამათა, ჩვენი მწერლობის მისანთა, პოლიტიკოსთა ნააზრევში, ვცდილობ ჩვენი ქვეყნის სამართლიანობის ფარ-მუზარადად, იმედის ნამსხვრევების შეკოწიწებას, და, თუმცა, „ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა“, მაიმედებს ფშაველი გენია, ლუხუმის ლაშარის გორზე „შადგომის“ მოლოდინი, უკეთესს მაცნედ მესახება „მომავლის სხივების“ ხილვა პოეტების მეფის მიერ, გოდერძი ჩოხელისთვის გამოცხადებული ნათლის სვეტი ფსოუსთან, გაუდაბურებული დარიაჩანგის ბაღის ხელახალი აყვავება ოთარ ჭილაძის პერსონაჟის ხილვაში („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა,)“ საქვეყნო ჭირთან გაძლების დიდი ძალაა ქართული მესიანისტური იდეა.

— კითხვა, რომელსაც მოელოდით და ვერ დაგისვით?

— რაკი, უპირველესად, რელიგიური მხატვრული სიტყვა მიზიდავს, სტუდენტები, ნაცნობები ხშირად მეკითხებიან, მყავს თუ არა მოძღვარი.

გულახდილად ვიტყვი: ვარ მორწმუნე, თუმცა არა ეკლესიური, არ მყავს მოძღვარი, მაგრამ სახლში მაქვს ხატების კუთხე, გამუდმებით ვანთებ სანთლებს, ვლოცულობ ჩვენს ტანჯულ სამშობლოზე. სიკეთეზე.

ზოგიერთი სასულიერო პირი ანაფორით პირადი კეთილდღეობისთვის იმოსება, იგი თვით არის ღვთისგან დაცილებული. ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებზე პირად საუბრებში ხშირად გაოცებული დავრჩენილვარ ზოგიერთ მამაოთა გონებაშეზღუდულობით, მავანი საერთოდ ვერ ერკვევა ბიბლიურ პარადიგმებში, ზარავს შტაინერის ხსენება (ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას შტაინერით დროებითი გატაცების აღნიშვნა.) ცნობილი ღვთისმეტყველები მარადიული სიბრძნის მარცვლებს წარმართულ, ანტიკურ ეპოქაში, საერო აზროვნებაშიც ეძებდნენ, ჭეშმარიტება კითხვების, ეჭვების, ანალიზის პირმშოა, შედარება-შეპირისპირების გზით მიიწვდომება. „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“, ბრძანებდა ანა კალანდაძე.

ეკლესიებში ხშირად დავდივარ, ვესწრები წირვას და არ მომწონს ზოგიერთი მოძღვრის უხეშსიტყვაობა, მრევლის უდიერად მოხსენება ჩაცმულობის გამო.

ხანდახან წინასწარმეტყველის მანტიით მოსილი, თითქოს ღვთის ნების ამსრულებელი მამაო არასწორი ინფორმაციებით ადუნებს გონებას, სიფხიზლის ნაცვლად სიჩლუნგის, სიბეცის ტყვეობაში ამყოფებს მალემრწმენთ.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სულიერ მწყემსებში არ არიან წოდებულთა შორის რჩეულნი.

ყოველთვის მიზიდავდა ქუთაისის მოწამეთა მონასტრის ბერის - მამა გიორგის აზროვნება და გამოხმაურებაც დამიწერია მის შესახებ შექმნილ კრებულებზე.

ქრისტიანული ცხოვრების გზამკვლელად მესახება დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის ბ-ნ აკაკი მინდიაშვილის რწმენით გაჯერებული ნაწერები.

მამა გაბრიელის ცხოვრების სასწაულები ხომ მისი ღვთისგან ხელდასხმულობის დასტურია.

ჟურნალ „ათინათს“ უფლის მადლით ავსებს მეუფე თადეოზის, მეუფე მირიან იორამაშვილის, დეკანოზ თავმას ჩოხელის საღვთო სიბრძნით აღბეჭდილი პოეზია.

ჟურნალ „ათინათის“ დაარსებისას მისი მთავარი რედაქტორის, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, პოეტ გულნაზ ხარაიშვილის მთავარი მრჩეველი იყო ჩვენი დიდი ღვთისმეტყველი და მთარგმნელი, თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი ბ-ნი ედიშერ ჭელიძე.

არა მხოლოდ ქართველმა ერმა, მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ გულის ფიცარზე უნდა აღიბეჭდოს უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთო ჭეშმარიტებით, საღვთო სიყვარულით, ზეციური ზნეობითა და სამაგალითო ეთიკით გამორჩეული მამულიშვილური ქადაგებები, გამოთქმები, რჩევები, რაც როგორც პიროვნული, ისე ეროვნული მისიის გაცნობიერების უპირველესი საფუძველი და იმედის წყაროა.

— გმადლობთ, რომ გამონახეთ დრო ჩემთან სასაუბროდ. შემდგომშიც ბევრჯერ გეთქვათ ახალი მეცნიერული სიტყვა.

— რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას?

— მოდის ძალზე ნიჭიერი, ინტელექტუალური თაობა. ამის დასტურია თუნდაც თქვენი, „ნორჩი ათინათელების“ მოთხრობები, ესეები, თარგმანები, მათში ჩანს დიდი შემოქმედებით პოტენცია.

თქვენ და მთელ ქართველ ახალგაზრდობას ვუსურვებ შრომისმოყვარეობას, დროის რაციონალურად გამოყენებას, როგორც ტრადიციული სულიერი ფასეულობების ერთგულებას, ისე ახალი ეპოქისეული დადებითი ტენდენციების გათავისებას, ქრისტიანული მრწამსით ცხოვრებას, პროფესიის მოწოდებით შერჩევას, სამშობლოს გადარჩენის გზების პოვნას ქართული გენის მარადიულობას.

გფარავდეთ ღმერთი. თქვენი ღვაწლით ზენიტში აწეულიყოს ქართული კულტურის მზე.

ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ლუკა შედანიამ

ინტერვიუ თბილისის 167-ე საჯარო სკოლის დირექტორ ლაშა კილაძესთან

მოგესალმებით, ბატონო ლაშა, მე ლუკა შედანია ვარ, 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე და „ნორჩი ათინათელი“. მინდა რამოდენიმე კითხვა დაგისვათ თქვენ შესახებ და ჩვენს სკოლაზე, რომლის დირექტორიც თქვენ ბრძანდებით.

1.ბატონო ლაშა, თქვენ ბრძანდებით 167-ე საჯარო სკოლის დირექტორი, რას ნიშნავს თქვენთვის ეს?

- უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ, რომ დაინტერესდით ჩემით; მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ საქმიანობისათვის, რასაც შენ და შენი მეგობრები დიდი გულისყურით აკეთებთ და ჩვენი სკოლის სახელი გაგაქვთ მის ფარგლებს გარეთ.

რა არის ჩემთვის 167-ე სკოლის დირექტორობა? - ალბათ, ყველაფერი, რადგან თავად ამ სკოლის კურსდამთავრებული გახლავართ. მახსოვს, როცა II – III კლასის მოსწავლე ვიყავი, სულ გავიძახოდი „მე უნდა გავხდე ამ სკოლის დირექტორი!“ და, მართლაც, უკვე მესამე წელია აქ ვარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუ ჩემს ცხოვრებაში რამდენიმეჯერ გამიმართლა და რაღაც ეტაპზე მითქვამს „ბედნიერი ვარ“, ერთ-ერთი ამ სკოლის დირექტორობაცაა. ჩემი წარმატებაჩვენი პედაგოგების, ამ გუნდის, ყველას დამსახურებაცაა.

სკოლის დირექტორობა ჩემთვის მხოლოდ სამსახური და მოვალეობის მოხდა როდია, ის ჩემი ცხოვრებაა. ჩემი მიზანია ჩვენი სკოლა გადავაქციო არა მარტო გლდანის რაიონში, არამედ მთელს თბილისში ერთ-ერთ სამაგალითო სასწავლებლად, რომელსაც დავამშვენებ დიდი წარწერით, „სკოლა, რომლითაც იამაყებ!“

2. როგორც ვიცი, თქვენ პედაგოგიური გამოცდილების გარეშე დაიწყეთ მუშობა, თუმცა, ეს, არ ასახულა სკოლაზე, პირიქით, ძალიან ბევრის გაკეთება შესძელით, როგორ მოახერხეთ ესყოველივე?

- მართალია, მე ეკონომიკური განათლება მაქვს, მაგრამ ყველგან აღვნიშნავ, რომ მთავარია იცოდე ადამიანებთან ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემების წინაშე აღმოჩნდები. ჩემი წარმატების საფუძველი, ალბათ, ისიც არის, რომ თავად ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ და მახსოვს მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, მისი წარსული, ტკივილი, პრობლემები და მინდა იყოს იგი ისეთი როგორიც იყო წარსულში და სჯობდეს კიდეც; თუმცა, სურვილი მხოლოდ როდი კმარა. დამეხმარა ის გამოცდილებაც, რომელიც სხვადასხვა სამსახურში მუშაობის შედეგად შევიძინე (ვმუშაობდი ქალაქ თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურში). ალბათ, იმ ფაქტმაც იქონია ზეგავლენა, რომ დედაჩემი, დეიდა, დეიდაშვილი არიან პედაგოგები და მქონდა გარკვეული ინფორმაციული ბაზა. ყველაფერი ეს რომ გაითავისო შეკრიბო, საკმარისია წინ გადადგა ნაბიჯები და წარმატებაც გარდაუვალია;

3. თქვენი მოსვლის შემდეგ ბევრი სასიკეთო ცვლილება შეიმჩნევა ჩვენს სკოლაში, რა პრობლემები დაგხვდათ და რას თვლით თქვენს ძირითად მიღწევად?

- პრობლემები დამხვდა უამრავი, ინფრასტრუქტურული კუთხით, სასწავლო მიმართულებით და ა.შ. ჩემზე კარგად, როგორც ერთ-ერთმა ამ სკოლის მოსწავლემ, შენც იცი რა მძიმე პრობლემები იდგა სკოლის წინაშე.

სკოლას არ ქონდა სასადილო, ბავშვებს შესვენებისას საკვების შესაძენად ქუჩაში უხდებოდათ გასვლა, რაც დისკომფორტს უქმნიდა, როგორც ბავშვებს ასევე პედაგოგებს. ამჟამად გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო სასადილო, რომელიც იმდენად მომწონს, რომ კაფეს ვეძახი.

დიდი პრობლემები იყო დაგვიანებასთან დაკავშირებით, ორი წლის წინანდელი მონაცემებით, 100-120 ბავშვი იგვიანებდა სკოლაში. პირადი ურთიერთობით, ურთიერთხელშეწყობით და ბავშვებთან მუშაობით ეს პრობლემა თითქმის მოგვარდა.

დავამონტაჟეთ ჩასარიცხი აპარატი, რითაც კომფორტი შეუქმენით როგორც ბავშვებს, ასევე პედაგოგებს.

ინფრასტრუქტურის კუთხით მინდოდა და გავაკეთეთ კიდეც ისეთი საფეხურები, კიბე, სახელურები, რომელიც შეიძლება ითქვას ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, ყველა დერეფანი მოპირკეთდა და გალამაზდა.

ბავშვს ხალისს უნდა მატებდეს აქ მოსვლა.

სწავლის კუთხით, წინა სასწავლო წლის ბოლოს განვახორციელეთ რეფორმა, რომელიც ცოტათი მტკივნეული იყო გარკვეული კატეგორიის ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. მე-9 კლასში ჩატარდა, მკაცრი არა, ოდნავ ძლიერი გამოცდები, მიუხედავად ჩვენი მხრიდან დიდი ძალისხმევისა და გაფრთხილებისა, ცუდის შედეგების გამო, რამდენიმე მოსწავლე მომდევნო კლასში ვერ გადავიდა. ჩემთვის ეს შედეგი ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ, დღეს, მე-10 კლასში როცა შევდივარ, თამამად შემიძლია ვთქვა, მსიამოვნებს დარჩენილი 20-22 ბავშვის დანახვა, რომლებსაც არ ეზარებათ სწავლა და სასკოლო ნივთების ტარება.

სკოლა არ უნდა იყოს ბავშვის „თავშესაფარი“.

მიღწევაა ისიც, რომ როცა სკოლის დირექტორი გავხდი, ვაუჩერს ვიღებდით 743 მოსწავლეზე, წელს კი მივიღეთ 890 მოსწავლეზე. მოსწავლეთა რაოდენობის ასეთი ზრდა ფინანსურად სიძლიერეა, სახელიცაა და ნდობაც;

თუკი სკოლის შემოსავალი სხვადასხვა წრეებიდან 35 ლარი იყო, ამჟამად იგი 2200 ლარს შეადგენს.

როგორც ხედავთ, ამ ორი წლის მანძილზე მაქსიმალურად გვიმუშავია ყველა მიმართულებით, ვფიქრობ მეტის გაკეთება ძალიან ძნელი იქნებოდა; შედეგიც სახეზეა: უცხო ადამიანებს გაუჩნდათ სურვილი, გვანდონ თავიანთი შვილები. 17 წელია ამ სკოლაში ოთხი პირველი კლასი არ გახსნილა - ეს წელს ჩვენ მოვახერხეთ და, რა თქმა უნდა, ამით ძალიან ვამაყობ და სტიმულს მაძლევს უფრო მეტი გავაკეთო.

ფაქტია - კედელი შეიძლება იყოს ლამაზი, საფეხურიც, საკლასო ოთახები იდელურად გაკეთებული, მაგრამ ცოდნის ხარისხი თუ არ გაიზარდა, არაფერს ფასი არა აქვს.

4. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის რომ ჩვენი სკოლა იყოს ერთ-ერთი გამორჩეული დედაქალაქში. გვაქვს თუ არა ამის ამბიცია და პოტენციალი?

- რა თქმა უნდა, ამბიცია გვაქვს, რაზეც ჩვენი საუბარი მეტყველებს. წინა კითხვაზე პასუხის გაცემისას, მე თითქმის ვუპასუხე ამ შეკითხვას და ვისაუბრე შედეგებზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით არ შემოვიფარგლებით, მე სულ ვეძებ განსხვავებულ თემებს, იდეებს. მაგალითად, ქართველ მეფეთა სურათები დერეფანში - ანალოგი არცერთ სკოლაში არ არსებობს, ეს, მართლაც, კარგი ინოვაციაა, რასაც ყველა აღნიშნავს.

განსხვავებულია ასევე ის, რომ საქართველოში სულ 2 სკოლაა, სადაც ბანკომატია. ის ბავშვებისთვის და პედაგოგებისთვის კომფორტია, სკოლისათვის კი დამატებითი შემოსავალი.

გავეცით ფართი ფიტნეს ოთახისათვის, რომელიც ასევე ინოვაციაა.

ყველაზე უმთავრესი: ჩემი პრინციპია, რასაც ყველას მოვუწოდებ და რომლისთვისაც არასოდეს მიღალატია, იყოს სამართლიანობა და არ განვასხვავოთ ბავშვები ახლობლობით, ნათესაობით, მეზობლობით... ყველა მშობელი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მისი შვილი არასოდეს დაიჩაგრება, მიიღებს ცოდნას და ღირსეული ქართველი გავა სკოლიდან.

ალბათ, ყველაფერი ეს გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლა მაქსიმალურად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს (70%-ს მაინც).

5. როგორ მოგწონთ დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა? თვლით თუ არა, რომ, საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისია ახალგაზრდის წარმატებული მომავლისათვის?

- ამ კითხვაზე და ვრცლად შეიძლება პასუხის გაცემა. როდესაც განათლების სამინისტროდან უკეთესობისაკენ სწრაფვას გრძნობ, როდესაც ხედავ მათ სურვილს გაატარონ წარმატებული რეფორმები - ეს კარგია. თუმცა, რეფორმებს დრო სჭირდება. ფურცელზე გეგმის მხოლოდ დაწერით შედეგი არ მიიღება, ყველა საკითხი დაწვრილებით უნდა მივიდეს სკოლის ხელმძღვანელობამდე, მასწავლებლებამდე და ბავშვებამდე.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ განათლების სისტემა სრულყოფილი არ არის. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ, უნდა იაქტიუროს, უნდა წაახალისოს ნოვატორები და დანერგოს ინოვაციები. მხოლოდ ის, რომ სამინისტროს გაცემულ ბრძანებებს ელოდო არ კმარა, თუმცა, თანამშრომლობით უკეთესი შედეგები მიიღწევა.

მინდა ვთქვა, განათლების სისტემა ისეთი ფაქიზი თემაა, რომ არ შეიძლება აქმუშაობდნენისეთი ადამიანები, რომლებთაც საკუთარი სამშობლო არ უყვართ.

მე უკეთესობის იმედი მაქვს . . .

6. როგორც ვიცი ჩვენს სკოლას ჰყავს არჩეული თვითმართველობა, რამდენად აქტიურად მონაწილეობენ ისინი სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში?

- ეს მართლაც კარგი კითხვაა. პირველად როცა მოვედი, 2011 წელს, თვითმმართველობის პრეზიდენტად არჩეული იქნა გიგა ჩიტიშვილი, იგი დღეს სტუდენტია. მე ყველგან აღვნიშნავ, სწორედ იმ წელს იყო ჩვენს სკოლაში ღონისძიებების ბუმი, ჩვენც ყველანაირად ვუწყობდით ხელს. როცა გიგა XII კლასელი გახდა იგი გადაირჩიეს, ვინაიდან არ შეიძლება XII კლასელი თვითმმართველობის პრეზიდენტი იყოს. მისივე რეკომენდაციით არჩეული იქნა ახალი პრეზიდენტი, მაგრამ იგი ნაკლებად აქტიურია. წელს ახალი არჩევნები იგეგმება და მოსწავლეების გადასაწყვეტია, თუ ვის აირჩევენ.

თვითმმართველობა უნდა იყოს შუამავალი, ინფორმაციის წყარო, მოსწავლეებსა და დირექციას შორის. ძლიერი სკოლა ნიშნავს ძლიერ თვითმმართველობას, სკოლის ყველა რგოლი უნდა იყოს ძლიერი,

ყველას თავისი ფუნქცია აკისრია და უნდა ასრულებდეს მას. ჩემი მუშაობის სტილია - თითოეული რგოლი იყოს არამარტო შემსრულებელი, არამედ გააჩნდეს საკუთარი აზრი და შეხედულება ამათუიმ საკითხზე. მე, როგორც სკოლის დირექტორი, ვცდილობ ყველანაირად შევუწყო ხელი თვითმმართველობას, შევუქმნა ისეთი პირობები, რომ ბავშვებს უხაროდეთ სკოლაში მოსვლა და იქ გვიანობამდე დარჩენა.

7. როგორც ვიცი, თქვენ ჩვენი სკოლის აღზრდილი ბრძანდებით, რა განსხვავებას ხედავთ თქვენი დროის სკოლასა და დღევანდელს შორის?

- განსხვავება შეინიშნება., ამ სკოლაში იდგა ლენინის დიდი ბიუსტი, ვიყავით პიონერები, კომკავშირლები - ეს ეტაპი ყველას უნდა გაევლო, არ გვქონდა თავისუფალი აზროვნების, არჩევანის გაკეთების საშუალება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვთქვა - დღევანდელი პირობების: ტექნოლოგიური განვითარების, ინფორმაციის მოცულობის და შესაძლებლობების ფონზე, სამწუხაროდ, შედეგები არც ისე სახარბიელოა და ძველი სჯობს. ჩვენს დროს მსგავსი შესაძლებლობები ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ბევრად წინ იქნებოდა.

ამ კუთხით, ამჟამად, სატრაბახო ნამდვილად არაფერი გვაქვს . . . .

8. ბატონო ლაშა, ახალ სასწავლო წელს იგეგმება თუ არა რაიმე სასწავლო პროგრამები, რომლებიც მოსწავლეთა აქტიურობას შეუწყობს ხელს?

- აუცილებლად იგეგმება, არსებობს პროექტები მასწავლებელთა სახლთან , განათლების სამინისტროსთან, პარტნიორ სკოლებთან, როგორიცაა ჩაღლარის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, დემირელის კოლეჯი, შავი ზღვის უნივერსიტეტი. მათთან შეთანხმების საფუძველზე საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ ამ სასწავლებლების ლაბორატორიები და ჩვენს მოსწავლეებს ჩავუტაროთ ფიზიკის, ქიმიის გასვლითი გაკვეთილები.

მინდა აღვადგინო ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, დაწყებულია და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობა. უნდა აღვადგინოთ არამარტო ოთახები, არამედ აუცილებლად უნდა დავნერგოთ ქვეყანაში არსებული სწავლების ახალი მეთოდები, რაც ჩვენი სკოლის განვითარებას შეუწყობს ხელს.

უნდა მოხდეს ბავშვების წახალისება, არსებობს იდეა - წახალისების მიზნით წარმატებულ კლასსმოვუწყოთ საკლასო ოთახი.

მინდა მოსწავლეებმა, ყველა ოლიმპიადაზე მიიღონ მონაწილეობა, მქონდა სურვილი ოლიმპიადის ბოლო ეტაპზე გასული ბავშვები სკოლას დაეფინანსებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას კანონი კრძალავს. მთავარია, იყოს თქვენი სურვილი და მონდომება, ჩვენ კი ბევრ, ახალ პროექტს ვგეგმავთ.

9. რას უსურვებდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას ვუსურვებდი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქმეს. შეიყვაროს ჩვენი ქვეყანა - საქართველო. შეინარჩუნოს და პატივი სცეს ჩვენს ტრადიციებს. არ უნდა ეცადონ მარტივი გზით სიარულს, ყველაფერი შრომით მოიპოვონ, რათა მიხვდნენ, რომ მათი წარმატება შრომის შედეგია.

მინდა იყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს დროშას ასწევენ, ყველამ იცოდეს საქართველოს ჰიმნი, ისტორია და ქვეყნისა და ოჯახის სასახელო შვილები აღიზარდონ.

167-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი ლაშა კილაძე, ამავე სასწავლებლის შემოქმედ ახალგაზრდებს დახმარებას უწევს ფინანსურად და მორალურად.

ჟურნალ „ათინათის“მთავარი რედაქტორი, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, სარედაქციო კოლეგიასთან ერთად, მადლობას უხდის ბატონ ლაშას, მოსწავლეების წახალისებისა და აქტიური მხარდაჭერისათვის.

ესაუბრა, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
X კლასის მოსწავალ ნატა პირველი

ინტერვიუ რუსთაველის თეატრის გამგესთან – ბელა ჭუმბურიძესთან

მე გახლავართ ,,ნორჩი ათინათელი", 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, ნატა პირველი. უკვე მეოთხე ნომერი გამოდის ჟურნალისა სადაც ვბეჭდავ ესეებს, ზღაპრებს. ახლა გადავწყვიტე ინტერვიუც მეცადა და თან უჩვეულოც ვყოფილიყავი.

ვეწვიე რუსთაველის თეატრის მუზეუმს და ჩავწერე ინტერვიუ, მუზეუმის გამგესთან, ბელა ჭუმბურიძესთან.

— გაგვაცანით რუსთაველის თეატრის მუზეუმი.

— სიამოვნებით. მინდა გითხრა, მიხარია, რომ დაინტერესდი მუზეუმით. რუსთაველის თეატრის მუზეუმი და საერთოდ მუზეუმი ისეთი რამაა, რომელიც ინახავს შენი ერის გენეტიკურ მახსოვრობას. თეატრალური ხელოვნება განსხვავებულია სხვა სფეროებისაგან, მაგალითად თუნდაც ლიტერატურა. ლიტერატურული ნაწარმოები საუკუნეებზე გადადის, თეატრი არის ეფემერული, დღეს არის სპექტაკლი და შეიძლება ხვალ არ იარსებოს. და ყველაფერს ამასთან დაკავშირებულს ინახავს მუზეუმი.

წლევანდელი წელი ჩვენთვის არის საიუბილეო წელი. 135-ე სეზონს ხსნის რუსთაველის თეატრი. ჩვენ ახლა საექსპოზიციო დარბაზში ვიმყოფებით. აქ შენახულია საუკუნის მასალა.

რუსთაველის თეატრის მუზეუმი ოფიციალურად შეიქმნა 1932 წელს. ჩვენ შარშან უკვე ავღნიშნეთ 80 წლის იუბილე. აქ ინახება უნიკალური ხელნაწერები. მაგ: ა. წერეთლის ხელნაწერი: ,,გელა", კ. გამსახურდიას, გ. რობაქიძის ხელნაწერები. ამან ყველაფერმა ძალიან დიდი და ტრაგიკული ისტორია გაიარა. შენზე ბევრად დიდი ვიყავი, როცა ხსენებაც არ შეიძლებოდა გ.რობაქიძისა და ამ დროს მისი ხელნაწერები აქ ინახებოდა. არის საოცრად საინტერესო ფოტომასალა, კოსტიუმები (მე-19 საუკუნის, იუჟინის). მუზეუმში ინახება 3500-ზე მეტი ესკიზი. მაგ: გამრეკელის, ელენე ახვლედიანის, სიდამონ ერისთავის, ქობულაძის ესკიზები. არის უამრავი მემორიალური ნივთები, მაგ: სანდრო ახმეტელის, თამარ წულუკიძის. ასევე პრიზები, პრემიები, რომლებიც ჩვენს თეატრს გადაეცა. არ დარჩენილა ალბათ ქვეყანა მსოფლიოში, საიდანაც საჩუქარი, პრემია ან ჯილდო არ იყოს ჩამოტანილი. თვითონ მასალა მუზეუმში 1900 წლიდან ინახება.

— რუსთველის თეატრის მუზეუმის გამგე ბრძანდებით, რა სირთულეებია თქვენს საქმიანობაში და რამდენად რთულია ეს თქვენთვის?

— სირთულეები ყოველთვის იყო, მოსვლის პირველი დღიდანვე, იმიტომ, რომ ჩემთვის აბსოლიტურად ახალ სამყაროში მოვხვდი და ისეთ სამყაროში, რომ დღემდე ასე მგონია ყველაფერი ახალია, საინტერესო და მოულოდნელობებით აღსავსე. სირთულედ შეიძლება ჩაითვალოს რემონტის პერიოდები. მოვედი თუ არა მუზეუმში, მალევე დაიწყო რემონტი, რომელიც 6 წელი გრძელდებოდა და ქალბატონმა ლალი ყურულაშვილმა , რომელთან ერთადაც ვმუშაობდი, ეს ყველაფერი თითო-თითოდ შევახვიეთ, შევკარით. 2003-2005 წლებში ისევ გახდა სარემონტო ჩვენი თეატრი და მაშინ ასევე, ჩემ თანამშრომლებთან ერთად, მეგი ლევანიძესთან, თამარ კიკნაველიძესთან ერთად ისევ გახდა ყველაფერი გამოსატანი და შესანახი. აი ეს მახსოვს სირთულედ, მაგრამ საოცრად საინტერესოდ. შენდაუნებურად ისეთ ფაქტს აღმოაჩენ, რომ გაოცებული რჩები, მაგ: ვიპოვე ჩანაწერი, რომ 15 თებერვალს 1921

წელს გადის სპექტაკლი ,,სამშობლო” და წერია, რომ სპექტაკლის გვიან დაწყება გამოიწვია იმან, რომ სტატისტი მსახიობები პოზიციებზე გაიყვანეს, (სტატისტები არიან მსახიობები, რომლებიც მასიურ სცენებში მონაწილეობენ) მტერი კოჯორთან იყო მომდგარი, და აი მერე წყდება ეს ნაწერები და იწყება 5 მარტიდან. რამაც გამაოცა, ,,რაც გინახავს ვეღარ ნახავ”, თითქოს ჩვენი ისტორია ეს არის, თეატრალურმა დღიურმა ჩვენი ქვეყნის ისტორია შემოგვინახა. ეს აფიშა გავადიდეთ და დღესაც საპატიო ადგილას გვაქვს საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილი. ეს ყველაფერი უნდა იყოს არა მარტო მოვლილი და შენახული, არამედ ეს უნდა მიაწოდო დამთვალიერებელს, მკვლევარს, სტუდენტს, მოზარდ თაობას, რომ მათ იცოდნენ თუ რა სიმდიდრე გვაქვს ჩვენ.

—სადაც ახლა ვიმყოფებით უძველესი ექსპონატებია შემონახული. ხომ ვერ გვეტყვით რა დატვირთვა აქვთ მათ თეატრის ცხოვრებაში?

—ეს დარბაზი სადაც ახლა შენ იმყოფები, გაკეთდა შენი თაობისათვის. მინდა გაჩვენო უნიკალური ფოტო . როცა დაიდგა სპექტაკლი ,,სამშობლო” სცენაზე გამოიტანეს ქართული დროშა და შეჰფიცეს მას, რუსულმა პრესამ დაწერა და სასაცილოდ აგვიგდო, რომ ეგ თქვენი დროშა ცირკში გამოფინეთო. ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის პასუხი. ეს ძალიან ცნობილი ამბავია. აქვე არის 1879 წლის დასი, რომელმაც მართლაც რომ დიდი მამულიშვილური მისია აიღო თავზე და აღადგინა პროფესიული ქართული თეატრი. აქვეა ამფორა,რომელიც ბატონი მიხეილ თუმანიშვილის ნაჩუქარია. საოცრად საინტერესო კოსტიუმებია ბატონი აკაკი ხორავასი, რამაზ ჩხიკვაძის, ეროსი მანჯგალაძის და ბევრი უდიდესი მსახიობისა რომელთაც უთამაშიათ რუსთაველის სცენაზე.

— ვიცი ძალიან ბევრი გამოფენა ეწყობა თქვენი და თქვენი თანამშრომლების ძალისხმევით. ხომ ვერ გამოარჩევდით რომელიმეს?

—მართლაც ბევრი გამოფენა გავაკეთეთ. ვფიქრობ, რომ ყველა ძალიან საინტერესო იყო. ფსევდოგრაფთა გამოფენები, მესხიშვილის, ნინუას, შველიძის, ბატონ რობერტ სტურუას გამოფენა. ახმეტელის 120 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა ერთ-ერთი საყვარელია ჩემთვის. არ შემიძლია არ ავღნიშნო მნახველი ბავშვების შთაბეჭდილებები, როცა მან ალისას შეადარა თავი.

—ჩემი მოსვლის მიზეზი გახლდათ ის, რომ მოზარდმა თაობამ გაიგოს ცოტა რამ თეატრის შესახებ. თქვენი აზრით, სად უნდა ჩამოუყალიბდეს მოზარდს მუზეუმში სიარულის კულტურა?

— საერთოდ ვფიქრობ, რომ ყველანაირი კულტურა ოჯახში ყალიბდება და მერე გარემოში, სკოლაში. აქ რომ მოდიან, გარდა მუზეუმისა, მე ვაჩვენებ დეკორატიულ ცეხს, სადაც კეთდება დეკორაციები, შემყავს კულისებში. მინდა ეს ყველაფერი მათთვის ზღაპრული სამყარო იყოს.

— დაგემშვიდობებით, წარმატებას გისურვებთ და თქვენი სურვილები ჟურნალსა და ,,ათინათელებს”

— უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოვახსენებ ჟურნალ ,,ათინათს”, შენ რასაკვირველია, რომ აზრად მოგივიდა აქ მოსვლა და ამ შენი პატარა წერილით მოზარდებს შეიყვან თეატრისა და მუზეუმის სამყაროში. ,,ათინათელებს” გისურვებთ ინტერესით სავსე ცხოვრებას.

დიალოგი პოეტ ტერენტი გრანელის შთამომავალ პროფესორ, ექიმ-კარდიოლოგ მამანტი როგავასთან.

ანი ჩიტაია –ბატონო მამანტი! საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ პრეზენტაციაზე გნახეთ მე და ჩემმა მეგობრებმა. ჩვენ ვართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ჟურნალი „ათინათის" ნორჩი ათინათელები.

ანი მელაძე – ყველას გაგვიჩნდა სურვილი გაგცნობოდით. ვარჩიეთ გაგსაუბრებოდით და სხვებისთვისაც გაგვეზიარებინა ის საინტერესო ამბები, რასაც თქვენგან მოვისმენდით. ამ სურვილის განხორციელებაში დაგვეხმარა ჟურნალი „ათინათის" საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ჩვენი 167-ე საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი, ლამარა გერგედავა.

ანი ჩიტაია – ბევრი რამ მსმენია თქვენზე, პროფესორსა და საუკეთესო ექიმ-კარდიოლოგზე. თქვენ განკურნეთ ჩემი ნათლიის დედა, რომელმაც ურთულესი გულის ოპერაცია გადაიტანა. თქვენი პაციენტი იყო ჩემი დედიკოც. ღვთის წყალობითა და თქვენი დახმარებით, ორივე თავს კარგად გრძნობს, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ, მაინტერესებს როდის და რატომ გადაწყვიტეთ კარდიოლოგობა?

კარდიოლოგობა დედის ავადმყოფობამ გადამაწყვეტინა, მას გული სტკიოდა. ის ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

ანი მელაძე – ვიცით, რომ ბევრი პაციენტი გყავთ, სამედიცინო უნივერსიტეტშიც ლექციებს კითხულობთ, როგორ ასწრებთ? თავისუფალი დრო თუ გაქვთ? მედიცინას ხომ ბევრი წაკითხვა სჭირდება.

- რა თქმა უნდა, მედიცინას ბევრი კითხვა სჭირდება, თავისუფალი დრო კი ჩემს ტოლ კაცს არც უნდა ჰქონდეს. ლექციებს ვკითხულობგეომედის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

ანი ჩიტაია – ბიოლოგიის შესწავლა წელს დავიწყეთ. საგანს გვასწავლის ქალბატონი ნელი თუთბერიძე. მართალია, კარგად ვსწავლობთ, მაგრამ ცოტათი გაგვიჭირდა სამედიცინო ტერმინების დამახსოვრება. თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, რას გვირჩევდით, მეტი მოვინდომოთ და გავყვეთ მედიცინას?

დიახ, ბიოლოგია არც ისე მარტივია. ეს ხომ ყველაფერია – მედიცინის საწყისია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მედიცინა პრობლემურია, რადგან სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, რომ მომსახურება უფასო იყოს. თქვენ ახალგაზრდებს, თუ გაქვთ სურვილი ექიმები გახდეთ, მეტი დრო უნდა დაუთმოთ ბიოლოგიის შესწავლას.

ანი მელაძე – რას გვეტყოდით თქვენს ოჯახზე? თქვენი შვილები გაყვნენ მამის პროფესიას?

მე მყავს მეუღლე და ორი შვილი, გოგონა სტუდენტია, ვაჟი კი სკოლაში სწავლობს, შემდეგ ვნახოთ რა პროფესიას აირჩევენ.

ანი ჩიტაია – უფროსების თქმით, ახლანდელი თაობა ზედმეტად თამამები ვართ. გვაინტერესებს თქვენი აზრი, როგორც ლექტორისა, თქვენც ასე ფიქრობთ?

ჩემს ბებიას, ქალბატონ ზოზია კვირკველიას, დაუსვეს ასეთი კითხვა: მართალია თუ არა თქვენი ძმა ძალიან ამაყიაო. მან უპასუხა, მისი სიამაყე თავისივე გონების შესაბამისიაო, ჩემი აზრით, სითამამეც აუცილებელია.

ანი მელაძე – თქვენ ტერენტი გრანელის შთამომავალი ხართ, რა შეგიძლიათ –გვიამბოთ მასზე?

მაშო და ზოზია, ტერენტი გრანელის დები იყვნენ. ტერენტი იყო ძალიან კეთილი პიროვნება. უსაზღვროდ შეყვარებული თავის ოჯახსა და სამშობლოზე.

ანი ჩიტაია – გრანელისადმი მიძღვნილ საღამოზე, პოეტმა-აკადემიკოსმა, ბატონმა სერგო ლომაძემ, წამაკითხა ჟურნალი „ათინათში" გამოქვეყნებული ტერენტისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. მას შემდეგ ვეცნობი მის შემოქმედებას. გავიგე, რომ თქვენ გრანელის ლექსები თითქმის ზეპირად იცით. ეს მართალია?

დიახ, ეს ასეა. მისი ლექსები ზეპირად ვიცი. თქვენ შესანიშნავად წაიკითხეთ გრანელისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ერთ-ერთ საღამოზე. იცით, რომ მასზე ლექსები 1919 წლიდან გამოჩნდა და ამის შემდეგ ძალიან ბევრია დაწერილი. უნდა გამოგვეცა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო შეფერხდა. მომავლისთვის ამას, ალბათ, შევძლებთ, ახალგაზრდობა მას დიდ თაყვანს სცემს და კიდევ იქმნება მასზე ლექსები.

ანი მელაძე – ტერენტის ნამდვილი გვარია ფკვირკველია. გრანელი კი ფსევდონიმია, რაც უცხო ენაზე მარცვალს ნიშნავს. საინტერესოა, რატომ მარცვალი?

არსებობს სხვადასხვა ვერსია: ერთ-ერთის მიხედვით ტერენტი, თითქოს, თავის თავს მარცვალს, გრანელს, უწოდებს. მეორე ვერსიით, თითქოს ის შეყვარებული იყო მსახიობ ქალზე, რომლის გვარი გრანელი იყო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჩემი და სხვების შეხედულებით წალენჯიხაში, პოეტის იუბილეზე, გამოითქვა აზრი, რომ ეს უკავშირდება გრაალის თასს, მის სიწმინდეს. მისი პოეზია და თვითონ პოეტიც ისეთივე წმინდაა, როგორიც ეს თასია, რაც მისი ცხოვრების მთელ შემოქმედებას და პირად ცხოვრებას ნათელ ზოლად მიჰყვება.

ანი ჩიტაია – ვფიქრობ, ტერენტი გრანელსა და ფიროსმანს ბევრი საერთო ჰქონდათ. რადგან ორივემ მძიმე ბავშვობა გადაიტანა. ახალგაზრდობაში ფიროსმანი მოცეკვავეზე იყო შეყვარებული, გრანელი-მსახიობზე. ერთი სურათს ხატავდა, მეორე ლექსს უძღვნიდა. ვერცერთი ვერ ახერხებდა თავისი შემოქმედების ნიმუშების გამოქვეყნება-გაყიდვას, მატერიალურადაც უჭირდათ. ისინი ადრეულ ასაკში მივიწყებულები გარდაიცვალნენ და ბევრი სხვა. თქვენ რას იტყოდით ამაზე?

შედარება ძალიან კარგი იყო, რადგან ორივე ინდივიდუალურად გენიალურ დონეზეა ამაღლებული საქმიანობით, რაც შეეხება სიყვარულს, ტერენტის ნამდვილი გატაცება იყო დადიანების ქალი და არა ვინმე მსახიობი, რომელსაც გვარი ჰქონდა გრანელი.

ანი მელაძე – მისი ბიოგრაფია გვამცნობს, რომ ტერენტი მარტოსული და მიტოვებული გარდაიცვალა. სად იყო ამ დროს მისი ოჯახი, მისი დები?

ეს ძალიან კარგი კითხვაა, დები ყოველთვის იყვნენ მის გვერდით, ამაზე მოთხრობილია ჩემს წიგნში „სულის ბორკილები". ტერენტი ყველაფერს აკეთებდა, რათა დაეცვა თავისი ოჯახი, დები, ბოლშევიკებისგან და ასევე დაეცვა ერთადერთი დისშვილი ელენე (უჩა) კვარაცხელია, დედაჩემი. მან ზოზიას უსაყვედურა, როცა მასთან იყო, ჩემთან რა გესაქმება, წადი, ბავშვს მიხედე, თორემ შეიძლება ისიც დავკარგოთო. სწორედ ამის შემდეგ, დედა მუდმივად ბებიასთან იყო.

ანი ჩიტაია – ინტერნეტით დავათვალიერეთ გრანელის სახლ-მუზეუმი, რომელიც წალენჯიხაშია. გვაინტერესებს, ეს ის ადგილია, სადაც თვითონ დაიბადა? ან ვინ მოახერხა მისი რესტავრაცია ასე ლამაზად?

სწორედ ეს ის ადგილია, სადაც ტერენტი გრანელი დაიბადა და გაიზარდა. მისი სახლ-მუზეუმის რესტავრირებული იქნა ადგილობრივი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მეშვეობით, ძირითადად, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ. 1987 წელს ახალგაზრდა რაიკომის მდივანის, რაულ ჯახიას, ხუტა ბერულავას, ელიზბარ უბილავას ძალისხმევით მიღწეული იქნა შეთანხმება, მაშინდელ ცეკას მდივან ჯუმბერ პატიაშვილთან, გახსნილიყო მუზეუმი და გრანელი დიდუბის პანთეონში გადმოესვენებინათ, ოჯახთან შეთანხმებით. თუმცა, ეს მოლაპარაკება დაირღვა და ის გადმოსვენებული იქნა ოჯახის გარეშე, რასაც საზოგადოების დიდი ხმაური მოჰყვა.

ანი მელაძე – რატომ მოხვდა გრანელი ფსიქიატრიულში? დაავადებული იყო?

ის რომ ტერენტი ფსიქიატრიულში თავისი ავადმყოფობით მოხვდა, ეს არ არის მართალი. მას არანაირი დაავადება არ ჰქონდა, სულიერად დაავადებული ავადმყოფები ასეთ ლექსებს ვერ წერენ. ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო. სამშობლოზე

თავდადებული გრანელი იქ მოხვდა, რათა გაეჩუმებინათ, იმდროინდელ უსამართლობაზე ხმა არ ამოეღო. ეს ფაქტიც გადმოცემული მაქვს წიგნში „სულის ბორკილები", რომლის მეორე გამოცემა მალე დაიბეჭდება.

ანი ჩიტაია – გავოცდი, როდესაც წავიკითხე მხატვრისა და შემოქმედის, ბატონი რეზო ადამიას სტატია „მწერლის გაზეთში", სადაც დაბეჭდილია პოეტის რამდენიმე გრაფიკული ნახატი. მას გამოყენებული აქვს გეომეტრიული ფიგურები. სტატიაში ბატონი რეზო გრანელს მოიხსენიებს მსოფლიოში უდიდესი მხატვრების გვერდით, უწოდებს „კოსმიურს, უცნაური ნიჭისგან აწიოკებულს, რომელმაც შექმნა კოსმიური გოდების პოეზია და მხატვრობა". რას იტყოდით ამაზე? ეს ნახატები ხომ თქვენი მოძიებულია?

ჩემ მიერაა მოძიებული ნახატები, მე ვაჩვენე ბატონ რეზო ადამიას. მინდოდა მისი, პროფესიონალი მხატვრის, აზრი გამეგო. ის თავისი საქმის დიდოსტატია და შესანიშნავად შეძლო ამ ნახატებზე აზრის გადმოცემა. დიდი ხანია ცნობილია, რომ ტერენტი შესანიშნავად ხატავდა არა მარტო გრაფიკულს, არამედ ფერადსაც, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. პოეტი თავის ნახატებს უძღვნიდა დედას. მინდოდა ეს ნამუშევრები მუზეუმის გახსნისას ყოფილიყო. მამამ (ალექსანდრე-ბოჩო როგავა) უარი თქვა, რადგან შესაძლებელი იყო მათი დაკარგვა და მის წინააღმდეგ გამოყენება, რადგან ნახატებში გადმოცემულია თუ როგორ აწამებდნენ. აი, ნახეთ ერთ-ერთი ნამუშევარი, აქ მარტო ოთხი თითია დახატული, იქვე მოჩანს ელექტრო მავთულები და თითებზე ხუნდები...

ანი მელაძე – ვიცით, რომ თქვენ ისევ აგრძელებთ ძიებას გრანელის შემოქმედებისა. კიდევ ხომ არ ჩაგივარდათ ხელში მისი ლექსი ან რაიმე ჩანახატი.

რა თქმა უნდა, ვაგრძელებ მისი შემოქმედების ნიმუშების მოძიებას, ბევრი განადგურებულია და ბევრიც-დაკარგული. მაქვს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები და გადმოგცემთ თქვენი ჟურნალისთვის.

შთამომავალი შორეული რიცხვის
სურამი იმის ბრალია, ღმერთს რომ შენობით მივმართავ,
და რომ ჩემს ღვთიურ ნაპერწკალს-ივერიისკენ წარვმართავ!
სურამი იმის ბრალია, რომ აღარ ვიყმე ავსული,
რომ აღარ დავთმე ბრძოლაში, სახელოვანი წარსული...
სურამის იმის ბრალია სხვანაირს ვხედავ მომავალს,
სურამი იმის ბრალია, რომ არარ ვეყმე წარმავალს!
. . . . . .
ისიც შენობით მიბრუნებს, აწმყოზე მესაუბრება,
სურამი ჩემი ძეგლია,
შენს წამებაზე ნაშენი,
სურამი კაცხის სვეტია
გაიგებს ყველა ქართველი
. . . . . .
უფალი ისევ მიღიმის...
შენც გაგიღიმებს იცოდე!

სინამდვილეში ვინ იყო ტერენტი გრანელი და მისი ნაშრომები სრულად, რომ გამოქვეყნდეს, ალბათ, კიდევ ოცდაათი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელიო, გვითხრა ბატონმა მამანტიმ. საუბრის ბოლოს კი მიგვითითა, აუცილებელი არ არის ჩემზე დაწეროთ. თქვენ ყურადღება ტერენტის შემოქმედებას მიაქციეთ. ის ბევრად საინტერესოა, რადგან მასზე ბევრია დასაწერი და რაც დაიწერა შესასწორებელიაო.

ანი ჩიტაია – უღრმესი მადლობა, ბატონო მამანტი, ჩვენთან სასაუბროდ დრო რომ გამონახეთ. ჩვენ კი ჩვენი სკოლის „ათინათელების" სახელით და ხელისმოწერით, სამახსოვროდ გადმოგცემთ ტერენტი გრანელის ლექსების კრებულს და წმინდა გიორგის ხატს.

საჩუქრებისთვის უღრმესი მადლობა. ეს ხატი ჩემს კაბინეტში დაიდება და სულ მექნება. გისურვებთ წარმატებით გევლოთ ცხოვრების გზაზე, დაგეფასებინოთ ქართული მწერლობა, გყვარებოდეთ სამშობლო და თავისუფლება.

ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
ლუკა შედანიამ

ინტერვიუ პოეტ ერეკლე საღლიანთან

მოგესალმებით, ბატონო ერეკლე, მე ვარ ლუკა შედანია - „ნორჩი ათინათელი", მსურს რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ:

– ბატონო ერეკლე, გაგვაცანით თქვენი თავი . . .

– მოგესალმები . . . სიკეთე მინდა გისურვო. რაც შეეხება ჩემი თავის შეცნობას, დღემდე ვცდილობ და ვხვდები, რომ ეს ყველაზე რთულია, ამას თუ შესძლებს ადამიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროსეულ საიდუმლოებებსაც შეიცნობს... დაემსგავსება მფარველ ძალებს... უფალს, რომელმაც სამყაროში მოგვავლინა ჩვენ; ყველა ადამიანი უნდა ცდილობდეს, მიუახლოვდეს მას . . .

– თურმე, ბავშვობაში, ძალიან გიყვარდათ კითხვა. ამბობენ, ნიჭიერები ცელქები არიანო, თქვენ როგორი იყავით ბავშვობის წლებში ?

– კითხვა ძალიან მიყვარდა, მაგრამ ამას არ ეწირებოდა ჩემი სილაღე. ბედნიერი წლები მქონდა, დღევანდელი ბავშვები კი ძალიან მეცოდება, მიმაჩნია, რომ ისინი (რომლებიც 5 წლის ასაკში სკოლაში მიიყვანეს) ბავშვობაწართმეულები არიან.

ეგზიუპერის სიტყვებია: „ჩვენ მოვდივართ ჩვენი ბავშვობიდან", ბავშვური უშუალობა დაკარგა დღევანდელმა სამყარომ.

ბევრი უნდა ვიკითხოთ. ადამიანი საინფორმაციო საშუალებების სიმრავლემ მოწყვიტა წიგნს, თუმცა, მარტო კითხვა არ კმარა, უნდა იფიქრო და გაანალიზო წაკითხული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში შეგვრჩება „წიგნუშკა", რომლის აზრს, სიტყვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ექნება.

მადლობა ღმერთს, რომ ჩემს შემთხვევაში ცელქობა და კითხვა ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა. ვიყავი ცელქი და მოუსვენარი, ყველა სკოლა ცდილობდა თავიდან მოვეშორებინე, თუმცა, ჩემი ნიჭიერებისა და ბეჯითობის გამო გაშვებაც ენანებოდათ.

ბატონო ერეკლე, რა ასაკიდან დაიწყეთ ლექსების წერა?

– თქვენ წარმოიდგინეთ, 6 წლის ასაკიდან, სკოლაშიც კი არ ვიყავი. ერთხელ ჩემი პატარა ბიძაშვილი ავატირე, გუნდა ვესროლე - ღმერთმა გაანათლოს ბიცოლაჩემი, კატო საღლიანი, არაჩვეულებრივი ქალბატონი - დამხვდა შოლტით ხელში და ზედ დამაცვითა; სწორედ ეს შემთხვევით გამოწვეული შურისძიება დაედო საფუძვლად ჩემს პირველ ლექსს, ბიცოლაჩემს მივუძღვენი ის. სხვათაშორის, მერე მეუბნებოდა: ხომ დაგაწყებინე ლექსების წერაო.

– იქონია თუ არა გავლენა თქვენს შემოქმედებაზე იმ ფაქტმა, რომ მთაში დაბადებული და გაზრდილი ბრძანდებით?

– რასაკვირველია, იქონია. მე სასწაულს, საოცრებას ვუცქერდი ჩემი სახლის კარმიდამოდან. ვუყურებდი უშბას, იქიდან ჩანს კავკასიონის ყველა ხუთი ათასიანი მწვერვალი, იალბუზისა და მყინვარწვერის გარდა. ჩვენი ყოფილი რაიკომის მდივანი, ცხონებული სოსო კარტოზია იყო ჩვენთან სტუმრად და მამა-

ჩემს უთხრა: „დიდი საქმე ლექსებს თუ თხზავთ შენ და ერეკლე. ისეთ ადგილას ცხოვრობთ, აქ მეც დავწერდიო“. მარტო ბუნებამ კი არა, გავლენა იქონია იმ ზნეობამ, კოდექსებმა, რომლებიც შემონახულია მთაში და სამწუხაროა, რომ როგორც სხვაგან, იქაც თანდათან იკარგება.

სოფლის ტრადიცია ასეთი იყო: სტუმარს მასპინძელი თუ არ დახვდებოდა, სოფელი მასპინძლობდა, სხვაგვარად ეს, სოფლის შეურაცხყოფას ნიშნავდა.

აი, ასეთ გარემოში გავიზარდე.

– თქვენი ლექსები და წერილები გამოირჩევა განსაკუთრებული სითბოთი, ემოციით, მუხტით, როგორ ახერხებთ ამას?

– მადლობა ამ სიტყვებისთვის. მიყვარს ადამიანი, მოყვასი, ვწერ, მთელი გულით. არაფერია გამოგონილი, ვწერ სიყვარულით...

მინდა ვთქვა, ყველა შემოქმედი ერთი დონის ვერ იქნება, ზოგჯერ, ჩემი წერილები კრიტიკულია, თუმცა, ვცდილობ დავიცვა ზომიერება. კრიტიკა არ ნიშნავს, ადამიანის ლაფში ამოსვრას. ის უნდა იყოს სასარგებლო. მწერალს უნდა გაუჩნდეს სურვილი – გახდეს უკეთესი, ეგ არის მთავარი ამოცანა.

– თქვენი ინტერვიუებიდან და წერილებიდან ჩანს, რომ გიყვართ ქართული ფოლკლორი, თუ შეიძლება გვესაუბრეთ ამის შესახებ

– ფოლკლორი ყველაფრის საფუძველია. ცხონებულმა ზურაბ ანჯაფარიძემ ასეთი გენიალური რამ თქვა: „მე არ მწამს იმ კაცის მიერ შესრულებული რადამოსის პარტია, რომელიც „ურმულს“ ვერ იმღერებსო“. (მოგეხსენებათ რადამოსი ვერდის ნაწარმოების, „აიდას“ ერთ–ერთი გმირია) ამით ზურაბ ანჯაფარიძემ მიგვანიშნა, – ქართველი მომღერალი, რომელიც იტალიურ ოპერას შეასრულებს, მასში ქართველი კაცის ხედვას, ქართველი კაცის დამოკიდებულებას უნდა აქსოვდესო; ბევრი ვიცით, უცხოელი მწერლების ნაწარმოებებზე გადაღებული ქართული ფილმიც...

გურამ პატარაიამ, გენიალური ფილმი „რეკორდი“, შესანიშნავად მოარგო ქართულ ყოფას, კულტურას, რეჟისორმა გააქართულა იგი. იგივე ითქმის ცნობილ ქართულ ფილმზე „ქვევრი“, ალექსანდრე დანელიას ფილმზე: „არ დაიდარდო“; ამავე ნაწარმოებებზე ფილმები გადაღებულია უცხოეთშიც, მაგრამ ქართულს, ჩემი აზრით, ვერცერთი ვერ შეედრება;

დიდმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ, საქართველოდან წასვლის შემდეგ, ორი რომანი დაწერა გერმანულად, რაზეც სტეფან ცვაიგმა თქვა: არ მეგონა ასეთი მშვენიერი თუ იყო ჩვენი გერმანულიო – რატომ იყო მშვენიერი? ქართველი კაცის ხედვა ჩანდა მასში, სწორედ ქართველის სულის ქურაში გატარებულმა გერმანულმა მოხიბლა სტეფან ცვაიგი.

– თქვენ მუდამ იქ იდექით, სადაც სამშობლოს უჭირდა, ბრძანდებით მრავალი კარგი საქმის წამომწყები და დამგვირგვინებელი, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი?

– საქართველო ბედნიერი იქნება. პირველ რიგში, ადამიანთა აზროვნებაში უნდა მოხდეს გადატრიალება. ჩვენი წინაპარი იმ მრავალ ანკესზე არ წამოეგებოდა, რაზეც ჩვენ; უნდა ვისწავლოთ სიმართლის თქმა, გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, მასში გადმოცემულია ნადიმის სცენა, სადაც მასხარას მეფისათვისაც კი არ ერიდება სიმართლის თქმა, ის ქარაგმით მიმართავს მთავარსარდალ ორბელიძეს, სურს მეფე მოიყვანოს გონს, მიახვედროს იგი, რომ დარბაზობას თორნიკე ერისთავი არ ესწრება.

ქართველმა უნდა გაითავისოს, რომ პირადი სიმპათია – ანტიპათიით არ შეიძლება ქვეყნის ბედის წარმართვა. ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ, რომ ქვეყანას გამოადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვისჯებით!

საქართველოს აქვს დიდი სულიერება, ცხოვრების უნიკალური წესი. ამით გამორჩეული ვართ მრავალთაგან, თუმცა, უამრავ ნაკლსაც კრიტიკული თვალით თუ არ შევხედავთ სინათლეზე ვერ გავალთ. შორს ვდგავარ ამგვარი უმეცრებისგან: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ – სამწუხაროდ, არ ვართ

ყველანი კარგები... ამბობენ, საქართველო გაბრწყინდებაო, რით, თუ ჩვენ არ ვისურვებთ? საქართველო გაბრწყინდება, თუკი თითოეული ჩვენგანი ამას ერთსულოვნად მოისურვებს.

– რას ურჩევდით მომავალ თაობას?

– ეროვნული ფასეულობებისადმი მეტ სიყვარულსა და მოწიწებას, კომპიუტერი კარგია, მაგრამ გეგმაზომიერად უნდა გამოიყენოთ. წიგნი შეუცვლელია, მისი სიყვარული, ჩვენი დიდი რელიგიის, მართლმადიდებლობის სიყვარულზე, რწმენაზე უნდა იყოს დამყარებული. მართლმადიდებლობა არ ნიშნავს მხოლოდ ჯვრის ტარებას და ეკლესიაში რეგულარულად სიარულს, თუმცა, ერთიც უნდა გავაკეთოთ და მეორეც. უმთავრესია ის, რასაც ქრისტე ითხოვს ჩვენგან, ადამიანებისაგან, ესაა სიყვარული: „გიყვარდეს მოყვასი შენი, გიყვარდეს უფალი შენი“...

რუსთავის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეები სტუმრად ბიბლიოთეკაში

2013 წლის 26 სექტემბერს, ქ. რუსთავის 2-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკას. მათ აინტერესებდათ დირექტორთან შეხვედრა, კითხვა-პასუხით უნდა ამოეწურათ ის დღევანდელი პრობლემები, კაცობრიობის, რაც აწუხებთ კომპიუტერული სისტემების დანერგვის ხანას.

კულტურის კერას სამი მერვე კლასელი ეწვია, (სამი ხომ ღვთიური რიცხვია). ფუნქციები გაინაწილეს. ბაჩანა ლომიძემ დირექტორთან შეხვედრა აირჩია (ქალბატონ ლალი თაბაგართან) თათია პაატშვილმა საბავშვო პოეტთან (ლია ბეჟანიშვილთან ისრუვა გასაუბრება. ნიკა სვანი კი საბავშვო ბიბლიოთეკას ეწვია.

დავიწყოთ თემის გაშუქება დირექტორთან გასაუბრებით.

ბაჩანა ლომიძე

— მე გახლავართ ქ. რუსთავის მეორე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე. კომპიუტერი ძალიან მიყვარს და ხშირადაც ვსარგებლობ ამ ტექნიკით. ყურში ჩამესმის დედის სიტყვები ბაჩანა ხშირად ზიხარ კომპიუტერთან, თვალები გეტკინება, ადექი თვალები დაასვენე.

თქვენ, როგორც დირექტორი რა ღონისძიებებს აკეთებთ, იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტი დრო დაუთმონ წიგნებს?

— კარგი კითხვაა, ეს საუკუნის ტკივილია, კომპიუტერი კარგიც არის და ამავე დროს ცუდიც ღონისძიებები უამრავი კეთდება, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ეს მაინც პედაგოგებზეც არის დამოკიდებული, მათ უნდა დაავალონ მოსწავლეებს სხვადასხვა ავტორების წიგნის წაკითხვა.

— მკითხველთა მოზიდვის რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებთ?

— მკითხველთა მოზიდვის მხრივ ვატარებთ კითხვა—პასუხის საურებს, კონკურსს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ვაწყობთ დისკუსიებს. გვაქვს თანამედროვე დონეზე მოწყობილი სამკითხველო დარბაზი. სხვადასხვა განყოფილებები დაკომპლექტებულია შესაბამისი ლიტერატურით თითეული განყოფილების გამგე თავაზიანად და გულისხმიერად ემსახურება მკითხველს. ვაწყობთ პოეტებთან შეხვედრებს, მოწვეული გვყავდა პოეტი თინა მღვდელიაშვილი. ვაწყობთ ახალი წიგნების განხილვას. ჩავატარეთ თინა სიყმაშვილის წიგნის პრეზენტაცია.

— რუსთავში ბევრი პოეტია ყველა პოეტი გყავთ მოწვეული ბიბლიოთეკაში?

— სათითაოდ ნამდვილად არა, ერთიანად ყოველთვის ვეხმიანებით რუსთავის პოეტებსა და მწერლებს, იცით? ბიბლიოთეკაში ჩვენ თვითონ გვყავს საბავშვო პოეტი, რომელიც თანამშრომელიც არის და საბავშვო პოეტიც, გირჩევთ გასაუბრება თვითონ პოეტთან გააკეთოთ.



პოეტ ლია ბეჟანიშვილთან გასაუბრება თათია პაატიშვილმა აირჩია. თათია მოკრძალებულად მიესალმა, მოკრძალებულ პოეტს ლია ბეჟანიშვილს.

— მე გახლავართ რუსთავის #2-ე საჯარო სკოლის მოსწავლე თათია პაატაშვილი, ბედნიერი ვარ, რომ პოეტთან შეხვედრა მე მომიწია, თუ შეიძლება გამიმხილეთ ის სიდუმლოება როდესაც მუზა გეწვევათ და ამ დროს გყავთ მკითხველი, რას განიცდით ან როგორ ახერხებთ ფურცელზე გადატანას ლექსისას?

— ლექსი როცა მეწვევა და იმ დროს მკითხველს ვემსახურები, ლექსს ჩუმად გულში მღერი, ვავსებ ფორმულიარს, ვემსახურები მკითხველს და ორი პიროვნება ვხდები. პოეტი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

— თუ ყავდით მიწვეული რომელიმე სკოლას როგორც საბავშვო პოეტი?

— თქვენს სკოლაში ქალბატონი ლალი ნაზღაიძემ ორჯერ მიმიწვია.

— ბავშვები კმაყოფილები დარჩნენ თუ თქვენ დარჩით მადლიერი მსმენელებით?

— ვგრძნობდი, რომ ორივე მხარეს თვითკმაყოფილების გრძნობა გვეუფლებოდა, იყო სიხარულის ოვაციები... პოეტს ხომ მეტი არა უნდა რა.

— ხომ არ წაგვიკითხავ ახალ ლექსებს?

— დიდი სიამოვნებით რამოდენიმეს შემოგთავაზებთ.

ვიმეგობროთ

გამარჯობა ფისო,
ჩვენ ვართ : ია, ციცო
თუ გვეთამაშები
ერთმანეთს გავიცნობთ.
მერე ყველსაც გაჭმევთ
არ გეგინოს ვცრუობთ,
ცოტა მკაცრები ვართ
უნდა შეგვეგუო.
მოფერებაც ვიცით
თვალხატულა ფისა,
ბეწვს ნაზად დაგვარცხნით
დედოფალას ვფიცავთ.

ნიკა სვანი კი საბავშვო ბიბლიოთეკას ეწვია „ნაკადულს“, ბიბლიოთეკაში შესვლის დროს მოსწავლეებს სიფაქიზის გრძნობა დაეუფლათ. სამკითხველო დარბაზში მკითხველები წიგნებს იწერდნენ, ზოგიც იქვე კითხულობდა, კედლებიდან მათ უღიმოდათ კლასიკოსი მწერლებისა და პოეტების სურათები, თანამშრომლები და დირექტორი ყველა ადგილზე დახვდათ: მარინა ხარაიშვილი, ცირა გუგუშვილი, ლაურა ცაბუტაშვილი, ნიკამ საბავშვო განყოფილების გამგესთან აირჩია გასაუბრება ქალბატონ ნაზი შერმადინთან.

— მე გახლავართ ქ.რუსთავის მეორე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე ნიკა სვანი, გთხოვთ მესაუბროთ ბიბლიოთეკის შესახებ.

— ბიბლიოკეთაში სისტემურად ტარდება ღონისძიებები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

— რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებთ მკითხველთა მოზიდვის თვალსაზრისით?

— მეოთხე კლასიდან მერვე კლასის ჩათვლით მკითხველებით განებივრებულები ვართ ამ მხრივ სკოლის პედაგოგები დიდ როლს ასრულებენ, მოსწავლეებს ავალებენ კლასგარეშე ლიტერატურის წაკითხვას და ისინიც იძულებულნი არიან წაიკითხონ. ამ მხრივ ორი საქმე კეთდება ერთია, რომ მათ ცოდნა უღრმავდებათ, მეორე კი, მკითხველი ემატება.

— დაბალი კლასის მოსწავლეებს როგორ აინტერესებთ რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებთ?

— იმისათვის, რომ დაწებით კლასის მოსწავლეებში გავზარდოთ წიგნისადმი სიყვარული და ინტერესი, ვმართავთ დისკუსიებს, დაჯილდოვების მეთოდით გამოყენებული გვაქვს ლამაზად გაფერადებული

ვარსკვლავები... ვინც მეტ წიგნს წაიკითხავს მეტ ვარსკვლავს მიიღებს. ბავშვებს ეს მოსწონთ და უხარიათ. სამკითხველო დარბაზში, თვალსაჩინო ადგილზე გაკრული გვაქვს ლამაზად გაფორმებული სიტყვები, „იკითხე და გაიმარჯვე“.

— როგორც ვიცი თქვენთან გაწევრიანება ფასიანია, ეს ფორმა ალბათ მკითხველების მოზიდვისთვის არა სახარბიელო იქნება.

— გაწევრიანება წლის განმავლობაში ღირს ორი ლარი, ეს ძალიან მიზერული თანხაა ამ თვალსაზრისით რაიმე არ შეინიშნება, მკითხველების შემცირების თვალსაზრისით.

— 2013 წლიდან დღეის ჩათვლით რამდენი მკითხველი გყავთ?

— მკითხველი 800-ზე მეტია.

ძალიან დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო და ინტერვიუზე დამთანხმდით.

რუსთავის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეებმა დატოვეს ბიბლიოთეკა და კარგი შთაბეჭდილებით დაუბრუნდნენ სკოლას, სადაც ისინი ახალი ენთუზიაზმით გააგრძელებენ სწავლას. მიზნად კი, მეგობრობა და სიკეთის თესვა დაისახეს.

ტარიელ ხარატიშვილი

ულამაზესი ქალაქის მადლიანი ადამიანები

სტუმრად ჭიათურაში

– მოგესალმებით, ბატონო სულხან, მე გახლავართ ლაგოდეხის № I საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი, „ნორჩი ათინათელი“.

ჟურნალი „ათინათი“ გამოდის კვარტალში ერთხელ, არ არის პოლიტიკური, მისი დანიშნულებაა, რომ სიკეთისა და ანგელოზის კვალი დატოვოს იმ პიროვნებებთან თუ დაწესებულებებში, სადაც იგი მოხვდება. კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენთან, ბატონო სულხან.



სტუმრად ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან

სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა, მისასალმებელია, რომ ადრეული ასაკიდანვე ჩართული ხართ სერიოზულ საქმეში. გისურვებთ, ბევრი მომბაძველი გაგჩენოდეთ. თქვენს ჟურნალს კი უამრავი მკითხველი ყოლოდეს.

– რა პერსპექტივებია გათვალისწინებული ხალხის დასასაქმებლად?

გულნაზ ხარაიშვილი, სულხან მახათაძე, ტარიელ ხარატიშვილი, გიორგი ციცქიშვილი, გივი კიკნაძე.

– ხალხის ძირითადი დამსაქმებელი მაღაროებია. როგორც ჩვენ, ასევე სახელმწიფო, ცდილობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ადრე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაშენებული იყო ჩაის პლანტაციები და ხილის ბაღები. დღეს არც ერთი აღარ არსებობს. მიმაჩნია, რომ მათი განახლება აუცილებელია. იმისათვის, რომ მოსახლეობა ნატურალური პროდუქტებით მარაგდებოდეს, მომავლისათვის, ვფიქრობ საკონსერვო ქარხნის ამოქმედებას. ბევრი კარგი იდეა მაქვს, რომელსაც დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ საბოლოოდ შედეგებს ველოდებით.

– მდინარე ყვირილა საჩხერიდან ჭიათურაში ჩამოედინება, მერე კი გზას იკვლევს სხვა მიმართულებით. საჩხერეში მდინარე ყვირილა უფეროა, ჭიათურაში კი შავი, რატომ?

– ჩვენს რაიონში არის კერძო კომპანიები, რომლებიც იყენებენ მდინარე ყვირილას წყალს მარგანეცის გასარეცხად, რაც არ შეიძლება. თუმცა მე ისიც არ მახსოვს, როდის იყო ყვირილა თეთრი. არის იმაზე საუბარი, რომ აშენდეს თანამედროვე ტიპის ქარხანა, რომლის მიერ მადანი ისე გადამუშავდება, რომ მდინარე ყვირილაში მადანის ნარჩენის შავი მასის ჩადინება აღარ მოხდება.

– ბატონო სულხან, თქვენ მახათაძე ბრძანდებით. ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მიამბო, რომ მახათაძის გვარის წარმოშობა უკავშირდება მახათას მთას. იგი ასე განმარტავს ამ მთის ამბავს: საქართველო ოდითგანვე მტრების შემოსევებში იყო. ყველაზე ძლიერები და უშიშარი მეომრები ჯანიაშვილების გვარის მეომრები ყოფილან, სადაც ქართველებს გაუჭირდებოდათ, იქ გაჩნდებოდნენ ჯანიაშვილები და მახათივით ჩაერჭობოდნენ მიუწვდომელ მთიან ადგილებში. როდესაც ერთ-ერთი ომი დამთავრებულა, იმ მთისთვის, სადაც გამარჯვება მოხდა, მახათას მთა დაურქმევიათ. ასე გამრავლდნენ მახათაძეები და ჯანიაშვილებიო. თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ?

მაია ტყემალაძის ხელნაკეთობა „მოზეიმე გაზაფხული“

– პირადად მე, ჩემი გვარის წარმოშობაზე, სხვა ისტორიაც ვიცი. ერეკლე მეფეს ყოლია ერთი ვეზირი გიორგი, რომელიც აღა-მახმად-ხანთან ბრძოლაშიც თან ხლებია. ერეკლე მეფეს თურმე ასე შეუქია – შენ სადაც დამჭირდები, მაშინვე მახათივით იქ დაერჭობიო. მახათაძის გვარის წარმოშობას ამ ფაქტსაც უკავშირებენ.

– რატომ ჰქვია ქალაქ ჭიათურას ჭიათურა? არსებობს თუ არა რაიმე მითი ქალაქის შესახებ?

– ჭიათურის სახელწოდების შესახებ არსებობს რამდენიმე ვარაუდი. ერთ-ერთის მიხედვით იგი ჭედურობას უკავშირდება. უფრო გავრცელებული მოსაზრებაა მდინარე ყვირილას ჭიასავით დაკლაკნილი გზა-სავალი. მაღალი მთიდან მომზირალ უცხო კაცს გაოცებულს უკითხავს: „ეს ჭიაა, თუ რაო?“ – და, როგორც ვარაუდობენ, ჭიათურაც ამიტომ დაურქმევიათ.

– დაოჯახებული ბრძანდებით?

– ვარ დაოჯახებული და მყავს ოთხი წლის გოგონა, რომელსაც სახელად ლიზი ჰქვია.

– სანამ ამ თანამდებობაზე მოხვდებოდით, რითი იყავით დასაქმებული და სად მუშაობდით?

– მე ვმუშაობდი საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ ჯგუფში შვიდი წლის განმავლობაში. იქ ვეწეოდი საქმიანობას. ალბათ იცით, რომ ეს ფონდი არის ბატონ ბიძინა ივანიშვილის, რომელმაც დააფინანსა უამრავი პროექტი, რაც საქართველოში განხორციელდა. თუ კეთილი საქმის კეთების სურვილი მქონია ცხოვრებაში, ამ ფონდში მუშაობამ გამიათმაგა და გამიასმაგა.

– ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი დიდ იმედებს ამყარებს და ამბობს: ბატონი სულხან მახათაძე აუცილებლად დანერგავს ჟურნალ „ათინათს“ მის მიერ დაქვემდებერებულ სკოლებში. როგორია მისი პროგნოზი, გაუმართლდება?

– (იცინის) ვფიქრობ, რომ გაუმართლდება.

– რას გვისურვებთ?

– გისურვებთ თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი კიდევ უფრო გაღრმავებულიყოს და მზის შუქივით გაბრწყინებულიყოს ჩვენს დალოცვილ დედამიწაზე.

– მინდა რამოდენიმე კითხვა დავუსვა თქვენს თანამშრომელს, მაია ტყემალაძეს, შეიძლება?

– კი ბატონო. ქალბატონი მაია ტყემალაძე ჩვენი ქალაქის სიამაყეა.

– მოგესალმებით, ქალბატონო მაია, თქვენზე ძალიან ბევრი მსმენია. თქვენ არა მარტო საქართველოში, საზღვარგარეთაც გიცნობენ. ბედნიერი ვარ, რომ მედირსა ასეთი ქალბატონის ხილვა!

აპირებთ თუ არა თქვენი ნამუშევრების გამოფენას?

– რა თქმა უნდა. გამოფენის მოწყობას ვფიქრობ.

უახლოეს ხანში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა აპირებს აფხაზეთში ვერაგულად მოკლული უმშვენიერესი პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს გამართვას. ვფიქრობ, პოეტის ხსოვნას მივუძღვნა ჩემი ნამუშევრების გამოფენა.

– ამჟამად სამსახურით დაკავებულ ქალბატონს, როდესაც მუზა გეწვევათ, რას განიცდით, გიჩნდებათ თუ არა სურვილი, არ მუშაობდეთ და იყოთ თავისუფალი?

– ჩემი სამსახური ძალიან მიყვარს, მიყვარს ჩემი პროფესია, ხელოვნება, ლიტერატურა, საერთოდ ყველა მშვენიერება. მუზა რომ მეწვევა, ზოგჯერ ვხატავ, ვწერ, ზოგჯერ ხელნაკეთობებს ვაკეთებ და ასე გადის ეს მშვენიერი დღეები. სამსახური ამაში ხელს არ მიშლის

– გამიგონია, ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო, ღმერთს თქვენთვის ყველაფერი მოუცია: ნიჭი, სილამაზე, თავმდაბლობა და ხალხის სიყვარული. თქვენ ტკივილების მალამო და სულის მკურნალი ხართ. ასე გახასიათებენ, ასე უყვარხართ. როგორ ახერხებთ ამდენ სიყვარულს? თუ შეიძლება მიამბეთ, თქვენი პიროვნების შესახებ.

– მინდა გამოვხატო ჩემი კეთილგანწყობა თქვენდამი რაც შეეხება თქვენს შეფასებას, ვფიქრობ, გადაჭარბებულია. თუ რამ კარგი მაქვს, უფლის მადლია.

– მინდა ეს დღე მახსოვდეს რაღაც ამაღლებულად, განსხვავებულად, თქვენ ისე გიყვართ მომავალი თაობა, როგორც თქვენ უყვარხართ მათ? რას განიცდით მათთან ურთიერთობისას?

– უპირველესად, ღმერთმა ადამიანები შექმნა თავის ხატად და მსგავსად, ამიტომ ჩვენში არის უსაზღვრო სიყვარული, მეტყვით, რომ ადამიანები სულ ცოტათი მაინც უნდა დავემსგავსოთ უფალს

და უფლისაგან მომადლებული სიყვარული ყოველდღე უნდა გავაღრმაოთ. ჩემმა მშობლებმა გამზარდეს ასეთი პრინციპით: არასოდეს გაგაყოყოჩოთ ფულმა და სიმდიდრემ, სიღარიბემაც არ შეგაშინოთო, ცუდი არასოდეს დაიმახსოვროთ და კარგი არ დაივიწყოთო. ამიტომაცაა, რომ ყველა ადამიანი ძვირფასია ჩემთვის და ძირს ჩამოცვენილ ფოთლებზეც კი ფეხის დაბიჯება მენანება, მომავალი თაობა მართლაც ძალიან მიყვარს და მათ სიყვარულსაც ყოველთვის ვგრძნობ.

ჩემი მიზანი იყო, სულით ლამაზი ქალბატონის, მაია ტყემალაძის გაცნობა. ქალბატონო მაია თქვენ, თურმე, ქება არ გიყვართ, ეს ქება არ არის, რასაც თქვენზე ამბობენ, რეალობაა და ეს რეალობა ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ თქვენნაირი გავიზარდოთ. ხომ არ მიბრაზდებით ამ სითამამისათვის?

– არა, როგორ გაგიბრაზდებით, პირიქით, გახარებული ვარ თქვენი სტუმრობით, რადგან თქვენში ვხედავ მოყვასის სიყვარულს, დიდ ნიჭსა და გონიერებას.

თავის ქება მართლაც არ მიყვარს, ვაკეთებ იმას, რასაც უფალი გვასწავლის: გიყვარდეს მოყვასი და მტერი, თქვენში, ტარიელ, ვხედავ მომავალ ღირსეულ ქართველს, რომელიც წამოჩოქებულ საქართველოს მხარში შეუდგება. ძალიან გამეხარდა, რომ სტიქაროსანი ხართ, რადგან, ჩვენ ეკლესიაში ვსწავლობთ იმას, რითაც გადავარჩენთ ჩვენს თავს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ქვეყანას.

ჭიათურის ხედი

სტუმრად ლაგოდეხში

ცხოვრობდე საქართველოში, იყო ქართველი, და შენი სამშობლოს რაიონებს მაინც არ ცნობდე, ესეც ამ დროის ქარიშხლიანი წლების ბრალია, ალბათ. ჟურნალ ,,ათინათის," ნორჩი ,,ათინათელის" ტარიელ ხარატიშვილის შემოთავაზებით ლაგოდეხის რაიონში მოვხვდით, მე და პოეტი ლამზირა შეყილაძე. დღის წესრიგში იყო გამგებელთან ბატონ ვლადიმერ ალიბეგაშვილთან შეხვედრა.

ტარიელ ხარატიშვილი ლაგოდეხის რაიონის მეხუთე კლასის მოსწავლეა, მისი სული ისე ღრმაა, რომ გაოცებული დარჩებით, ვინც ახლოს გაიცნობთ.სურვილი გაგიჩნდებათ, რომ შენი სულის მეგობარი იყოს, თუნდაც მესაიდუმლეც კი...

ტარიელ ხარატიშვილი ვერცხლის წყალივით მოტრიალე, სიცოცხლით სავსე სტიქაროსანი გახლავთ. თუ მის სიღრმეს დაუკვირდებით, შეიძლება მისგან ისწავლო კიდეც... დავიწყოთ მაინც გამგებელთან შეხვედრით.

2013 წლის ჟურნალ „ათინათის" მეორე ნომერში გაშუქებული იყო ტარიელის ინტერვიუ საჩხერის გამგებელთან, ბატონ ვანო გოშაძესთან. თითქმის ერთმანეთს ჰგავდნენ საჩხერის გამგებელი და ლაგოდეხის გამგებელი სიტყვის გულუხვობით, ,,ნორჩი ათინათელისადმი" თბილი შეხვედრით და ზედმეტი ყურადღებითაც კი... საჩხერის რაიონი და ლაგოდეხის რაიონი მთებითაც ჰგავნან ერთმანეთს.

„ნოჩმა ათინათელმა" თამამად შეაღო ლაგოდეხის გამგებლის ოთახი და თავისთავში ღრმად დაჯერებულმა კითხვა პასუხით ამოწურა თავისი მოთხოვნები.

თქვენ ბრძანდებით ლაგოდეხის რაიონის გამგებელი.თუ საიდუმლო არ არის, მესაუბრეთ თქვენ მომავალ გეგმებზე?

-კი ბატონო, ციფრები გაინტერესებთ? პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ლაგოდეხელმა ლაგოდეხში უნდა გააკეთოს კეთილი საქმე. ეს გენეტიკურად მოგვდევს ლაგოდეხელებს. სიკეთისა და მადლის დათესვა კი ჩემი სულის კრედოა. ლაგოდეხი არ იწყება ამ პატარა ხიდიდან და არ მთავრდება მეორე ხიდამდე. ლაგოდეხში ვგულისხმობ მთლიანად ალაზნის ხიდიდან დაწყებულ ტერიტორიას, დამთავრებული აზერბაიჯანის საზღვრამდე. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, თუნდაც ასე დავარქვათ ლაგოდეხის განვითარების გეგმებს, ჩვენ გვაქვს წყლის პრობლემები, რადგან არ გვექვემდებარება წყალმომარაგების კომპანია. განსაკუთრებით წვიმების დროს ხდება წყლის მიწოდების შეფერხება. ეს პრობლემა ჯერჯერობით მოუგვარებელია. მე, როგორც ლაგოდეხელი, ყოველთვის ვიბრძოლებ ლაგოდეხის განვითარებისათვის. პირველ რიგში, უნდა განვავითაროთ მცირე ბიზნესი, რეგიონებში უნდა განვითარდეს ტურიზმი, ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მეურნეობას.

მე გახლავართ „ნორჩი ათინათელი", ანუ ჟურნალ ათინათის წევრი. ვწერ ლექსებს და ჩანახატებს. ჩემი სურვილია, ჟურნალი „ათინათი" შემოდიოდეს ლაგოდეხის სკოლებსა და ბიბლიოთეკებში. თქვენ, როგორც გამგებელი, ამ მიზნების განხორციელებაში დამეხმარებით?

- რა თქმა უნდა, დაგეხმარებით. გადავხედავთ ბიუჯეტს და ვეცდებით, რომ ჟურნალი „ათინათი" გამოწერის საშუალებით შედიოდეს სკოლის ბიბლიოთეკებში და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

გამგებლის თბილმა მოპყრობამ პატარა ათინათელისადმი იქ დამსწრე პიროვნებებს სიხარულიც მოგვარა და მომავლის იმედით უხვად დავსაჩუქრდით.

ტარიელს გადასცეს საჩუქრები: წითელი მაისური ქუდით, უფრო მეტიც, გამგებელმა თავის სკამზე დასვა და უთხრა: ,,შენნაირი ჭკვიანებისათვის დამილოცნია ერის საჭე და ხელმძღვანელის სკამი."

სტუმრებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეს გამგეობის თანამშრომლებმაც, ბატონმა სლავა ბატიაშვილმა, ქალბატონ თამარ გოლეთიანმა, ლელა ივანიშვილმა, ზურაბ თანდილაშვილმა და სხვებმა.

პატარა მასპინძელმა ლაგოდეხის ნაკრძალი დაგვათვალიერებინა, სადაც ეს ლექსი დაიწერა:

ლაგოდეხის ტყის ნაკრძალი

ლაგოდეხის ტყის ნაკრძალის ეშხით,
დამიამდა დარდიანი ფიქრი...
არ მესმოდა ჩამიჩუმი ფეხის,
დაისია... მზე ცის სახლში მიჰქრის...
ოღონდ ახლა არ ჩახვიდე მზეო,
მაგ სხივებით გული შემომითბე...
შენ დაგეძებ ჰო, სულ ჩემი დღეო,
მოდი, ცეცხლი სხივით კვლავ დამინთე...
არ ჩახვიდე, დამიამე სული,
სულ ცოტა ხნით ჩემთვის მოიცალე.
შენთანა ვარ სტუმრად აქ მოსული
და თუ წახვალ, დარდი გამაცალე...

არ ჩახვიდე სულ ცოტა ხნით მაინც,
ჩიტუნები დაჭიკჭიკებს ტყეში...
მინდა მივწვდე ლამაზ ფერის დაისს,
მინდა შევხვდე ძველებური ეშხით.
იჭიკჭიკეთ, ჩიტუნებო, ჩემთვის...
გამიქარწყლოთ იქნებ დიდი სევდა,
ვეღარ გავძლებ ღამის უკუნეთში,
მე ვარ ბედით დაჩაგრული დედა...
არ ჩახვიდე, მზეო, გამახარე,
ჩამამუხლო იქნებ ერთი წუთით...
ვეფერები ლაგოდეხის მხარეს,
ამ დღეს გულში სასოებით ვფუთნი...

ლექსი ერთი ამოსუნთქვით დაიწერა. ტყის მეორე მხრიდან ფეხის ხმა შემომესმა. გვერდზე გაოცებულმა გავიხედე, პატარა ტარიელს და ლამზირა შეყილაძეს ხის გამხმარი ტოტი უპოვიათ და მაჩვენებდნენ: ნახეთ რა ლამაზია! ეს ნატვრის ხეა, ბავშვივით ჭყლოპინებს პოეტი ქალბატონი. ეს წავიღოთ აკადემიაში და ყველამ წითელი ნაჭრები შევაბათ. სურვილები ჩავუთქვათ და აგვისრულდება. მერედა რას ისურვებ, პოეტო? სიტყვა შევუბრუნე ლამზირას. ჩემი საქართველოს დამშვიდებას, შემდეგ კი ტატოსნაირი ახალგაზრდებით ამოევსოს უბე-კალთა ჩემს მამულს. თვალებზე ცრემლი მომერია, ეს უკვე სიხარულის ცრემლი იყო...

ინტერვიუ საჩხერის გამგებელთან

– მოგესალმებით ბატონო ვანო, მე გახლავართ ლაგოდეხის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი. ჟურნალ ათინათის წევრი, ნორჩი ათინათელი, ვწერ ლექსებს და ვარ სტიქაროსანი.

— როდესაც, ჯ.ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტთან მოვხვდი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილთან, რათა ჩემი ლექსები დამებეჭდა ათინათში, ქალბატონ გულნაზის ჩემი ლექსები მოეწონა. ჩემთვის საოცარი ის იყო, რომ მან ჩემს სულში შემოხედვა მოახერხა. ვისაუბრეთ სიკეთეზე, მან გაიხსენა მადლიანი პიროვნებები, ამათგან პირველობას თქვენ განიჭებდათ. შეიძლება იმიტომ, რომ ისიც საჩხერელია, ან იქნებ იმისთვის, რომ თქვენ მართლაც ის ღვთის კურთხეული გამგებელი ხართ, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება. სურვილი გამიჩნდა, საჩხერეში ჩამოვსულიყავი და ანგელოზის კვალი დამეტოვა ამ კუთხეში. გმადლობთ, რომ მიმიღეთ.

– მინდა ავღნიშნო, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდობის ფრთა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა. დღევანდელი დღე ჩემთვის სასიხარულოა, რადგან ლაგოდეხის რაიონიდან მესტუმრე პატარა „ნორჩი ათინათელი“.

– ჟურნალი ათინათი ყველა დარგს მოიცავს, თესავს სიკეთეს. თქვენ, როგორც გამგებელს, სურვილი გაქვთ თუ არა გამოწერით შედიოდეს რაიონის სკოლებში ჟურნალი „ათინათი“?

– დიახ, დიდი სურვილი მაქვს, ჟურნალი ძალიან საინტერესოა.შევეცდები ჟურნალი „ათინათი“-თ დავაკომპლექტო რაიონის სკოლები და ბიბლიოთეკები.

– რა არის თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული? ტრადიციისადმი პატივისცემა, საქმისადმი ერთ-ტარიელ ხარატიშვილი – ლაგოდეხის რაიონის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეგულება, თუ ორივე ერთად?



– ჩემთვის ყველაზე პრიორიტეტული ტრადიციისადმი პატივისცემაც არის და საქმისადმი ერთგულებაც, ვცდილობ ნაბჯ-ნაბიჯ ვაკეთო ის, რაც ჩემი ხალხისთვის მისაღები იქნება.

– გაგვაცანი თქვენ ოჯახი.

– დაოჯახებული არ ვარ, შენი ფეხი ყოფილიყოს პატარა ანგელოზო, ჩემი პირადული ბედნიერების მომწესრიგებელი.

– თქვენი სურვილები.

– ჩემი სურვილია, საქართველოში, პირველ რიგში, დაისადგუროს მშვიდობის ატმოსფერომ და მერე კი ყველა პიროვნება თავისთავს ჩაეკითხოს, დღეს საერთო საქმისთვის რა გააკეთება, ან რა შეუძლია რომ გააკეთოს. არ დაუპირისპირდნენ მტრობით ერთმანეთს. დათესონ სიკეთე, ამაზე კარგი არაფერია. ჩემი სურვილია, დაკარგული ტერიტორიები მალე დაუბრუნდეს ჩვენს ხალხს. ეს სურვილიც არის და ჩემი დიდი ტკივილიცაა...

– მე წავიკითხე ანთოლოგიაში დაბეჭდილი ზღაპრები, მომეწონა და ქალბატონ გულნაზის ვთხოვე, ზღაპრების ავტორს, ვინ იყო ის პიროვნება, რომელსაც ღმერთკაცად მიიჩნევდა. მან საიდუმლოდ გამანდო, სიკეთის მთესველი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიაო, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ეს ზღაპრები 2003 წელს დაწერა, როდესაც საქართველოს მადლის მთესველი ბატონი ბიძინა გამოუჩნდა. რაც შეეხება პოლიტიკას, ის ამ საქმეში არ ერევა და ზღაპრებიც გააჩერა. მე კი სურვილი გამიჩნდა, პირადად ვნახო, მოვეფერო და ჩუმად ვუთხრა: მიყვარს და ინტუიციით ვგრძნობ, რომ მხოლოდ ის გადაარჩენს საქართველოს. თქვენ საჩხერის გამგებელი ხართ, იქნებ თქვენ შეძლოთ, რომ „ნორჩი ათინათელის“ ინტერვიუზე დათანხმდეს. მე ხომ სტიქაროსანი ვარ და, მასთან რამოდენიმე კითხვა მაქვს. დასმული კითხვები საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

– თქვენ გაჩუქებთ წიგნებს, სადაც ასახულია ის ქველმოქმედება, რაც პრემიერმა გააკეთა. თქვენ სტიქაროსანი ხართ, ღმერთის გწამთ, თუ უფალს უნდა ეს, შეხვედრა შედგება, რადგან ჩვენს პრემიერს

– ბატონ ბიძინა ივანიშვილს მომავალი თაობა ძალიან უყვარს.

– რას უსურვებდით ჟურნალ „ათინათს”?

– ჟურნალ „ათინათს“ ვუსურვებ, რომ გაეძლოს დროთა ჭიდილისათვის.

ელენე გულიაშვილი

ინტერვიუ გიორგი ლარიაშვილთან

— ბატონო გიორგი, მოგესალმებით ქ. თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე ელენე გულიაშვილი. მე მაინტერესებს ხელოვნებისადმი გატაცება სკოლის პერიოდიდან გაგიჩნდათ თუ, უფრო პატარა ასაკიდან გაინტერესებდათ?

— ჩემო ელენე, მზად ვარ შენს ყველა კითხვებს ვუპასუხო. ხატვა დავიწყე ორი წლიდან. ჩემი პირველი მასწავლებელი დედა-ჩემი იყო. როგორც თითქმის ყველა ბავშვი, დიდი ინტერესით ვხატავდი ცხოველებს, განსაკუთრებით მიტაცებდა ბატალური სცენების ხატვა. ვხატავდი ყველაფერზე, უფრო მეტად კედელზე მიყვარდა ხატვა. სადაც მიმიწვდა ხელი, ყველგან ჩემი უკვდავი "შედევრები" გამოვამზეურე. ასე მოვხვდი პიონერთა სასახლეში, ხატვისა და ფერწერის სტუდიაში.

— მოგწონთ თქვენი სპეციალობა?

— ჩემი სპეციალობა მომწონს რა თქმა უნდა, მოწონებისა და სიყვარულის გარეშე ხელოვნება არ ყალიბდება, თუმცა ქანდაკებაზე არასოდეს მიფიქრია. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი — ფერმწერი ვყოფილიყავი, მაგრამ უბრალო შემთხვევამ გადაწყვიტა ჩემი მომავალი კარიერა. მეგობართან ერთად გადავწყვიტე სწავლა გამეგრძელებინა სამხატვრო ტექნიკუმში. იმ წელს ფერწერის ჯგუფში არ იყო მი-

ღება და ასე შემთხვევით მოვხვდით ქანდაკების ჯგუფში. პირველად აქ შევეხე თიხას, სივრცეში პლასტიკურმა ფორმამ მომნუსხა და მივხვდი, რომ ეს ჩემი სტიქია იყო. ჩემი მოკრძალებული შემოქმედებით, როგორც პროფესიონალმა მოქანდაკემ აქ ვიპოვე სულიერი სიმშვიდე და შემოქმედებითი თავისუფლება. უბრალო თიხისგან შექმნა სასურველი ფორმა, გააცოცხლო იდეა, გახსნა პიროვნების ხასიათი, ჩაწვდე მის იმდივიდუალურ სულიერ სამყაროს — ეს არის გამოწვევა და შენც უყოყმანოდ ეშვები ამ უკიდეგანო, ამ ამოუცნობ სამყაროში. საკუთარ პრიზმაში გაატარო აღქმული, მიიღო სასურველი შედეგი, დაძლიო — დაუძლეველი, აქ არის დიდი იმტრიგა, შეეხო სრულყოფილებას. წუთით დაძლიო გრავიტაცია და ამაღლდე — ამისათვის კი მერწმუნე ნამდვილად ღირს ცხოვრება.

— რა დაამთავრეთ და რომელ წელს?

— სკოლის დამთავრების შემდეგ 1974-77 წლებში ვსწავლობდი თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკუმში. 1977 წელს ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ქანდაკების განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დავამთავრე 1983 წელს. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი "გამარჯვება" შეფასდა ფრიადზე, რაც საწინდარი გახდა 1983 წელს ჩამებარებინა მოსკოვის სამხატვრო აკადემიის შემოქმედებით ასპირანტურაში, რომელიც 1987 წელს დავამთავრე. 1988 წელს მიმიწვიეს სამხატვრო აკადემიაში ლაბორატორიის გამგედ. 1989 წლიდან ვკითხულობდი ლექციებს ქანდაკების კათედრაზე. რამოდენიმე წელი ვიყავი დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ქანდაკების კათედრის გამგე, სადაც ამ კათედრის გაუქმებამდე ვიმუშავე.

— თქვენი ნამუშევრებიდან რომელს მიაკუთვნებდით პირველობას?

— რა თქმა უნდა ყველა ნამუშევარს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ წლების გადასახედიდან ადვილად ხედავ, თუმცა ყველგან შენი სულის ნაწილს ხედავ, ყოველი ნახვისას ის ძველი განცდა ცოცხლდება. დრო, რომელიც ამ ნამუშევრების შექნმას მოვანდომე, მხოლოდ ეს დრო არის დაკარგული, დრო, ნამუშევრებში აკუმილირებული, ისინი დამოუკიდებელი ქმნილებებია და როგორც ადამიანს, ყველას თავისი ბედი აქვს. ისინი თავისი მოცულობითი ფორმით ჩუმად, ჩემგან დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას დროსა და სივრცეში. და მაინც გამოვყოფ ასპირანტურაში შექმნილ სადიპლომო სამუშაო, ესკიზს, ილია ჭავჭავაძის სკულპტურულ კომპოზიციას — "მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა", რომელიც ძალიან მოეწონა ჩემი დიპლომის ხელმძღვანელს, აკადემიკოს, ბატონ კოტე მერაბიშვილს. იგი თვლიდა, რომ ეს მონუმენტი ღირებულია და იგი ღირსეულ ადგილზე უნდა დაიდგას ქალაქის ცენტრში.

— თქვენ ხატმწერიც ხართ, რას იტყვით ამის შესახებ?

— 1990 წელს დაბა წყნეთში დავიწყეთ ძველი ეკლესიის აღდგენა, რესტავრაცია, აი აქედან იწყება ჩემი სულიერი, ეკლესიური ცხოვრება. აქედან დავიწყე ფიქრი ხატწერის არსზე, მის სულიერ ფენომენზე, ფრესკის და რელიეფის ფუნქციებზე, მისი ზემოქმედების ძალაზე და მნშვნელობაზე.

— სულ პირველად რომელი ხატი შექმენით?

— ხელოვნებაში დაისტატების მიზნით, ცნობილია უძველესი აპროზირებული მეთოდი, კლასიკური მოდელების კოპირება. მოძღვრის კურთხევით და პროფესიონალური ხატმწერლის რჩევით, დავიწყე სათანადო ლიტერატურის შეგროვება. პირველი ჩემი ნამუშევარი იყო ცნობილი რუსი ხატმწერის, ანდრეი რუბლიოვის მიქაელ მთავარანგელოზის ცნობილი ხატის კოპია. აქედან დაიწყო ყველაფერი. თითქმის 40 წელია ვმუშაობ ქანდაკებაზე, შექმნილი მაქვს ბევრი ცნობილი პიროვნებების: პოეტების, საზოგადო მოღვაწეების ბიუსტები და კომპოზიციები. მაქვს სხვადასხვა ცნობილ მხატვრებთან ერთად თანაავტორობით შექმნილი და დადგმული რამოდენიმე მონუმენტი საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, უნგრეთში და ყაზახეთში.

ჩემი ნამუშევრები დაცულია ევროპის მუზეუმებში და კერძო კოლექციებში.

1983 წელს პეტრე ბაგრატიონის ცხენიან მონუმენტზე მუშაობისას, ბატონებმა მერაბ და კოტე მერაბიშვილებმა მომიწვიეს ძეგლზე სამუშაოდ. ბატონმა კოტემ მითხრა:"გელა! ამ ცხენის ძერწვას შენ განდობთ" ეს ფაქტი 23 წლის ბიჭისთვის იყო უდიდესი პატივი, პასუხისმგებლობა და გამოცდილება.

როგორც ძველი ბერძნები იტყოდნენ "ქანდაკება არ მთავრდება". ჩემი აზრით შემოქმედისათვის აუცილებელია ნიჭი, ზნეობრივი სისუფთავე, თავისუფლება, უდიდესი პასუხისმგებლობა, მაღალი გემოვნება, შესრულების კულტურა და უმთავრესი მოთმინება და შრომისმოყვარეობა. ეს არის საფუძველი ჭეშმარიტად მარადიული ხელოვნებისა.

— **თქვენი მეუღლის სპეციალობას თუ მეტყვით?**

— ჩემი მეუღლე, თამარ შონია, გახლავთ ფერმწერი. იგი პედაგოგია. წერს ლექსებს, ნოველებს, მოთხრობებს. გამოქვეყნებული აქვს ლექსები და ჟურნალისტური წერილები.

— **რამდენი შვილი გყავთ?**

— უფლის ნებით მყავს სამი შვილი. უფროსი თინათინ ლარიაშვილი, მან წარმატებით დაამთავრა სამხატვრო აკადემიის მოდელირების განყოფილება. არის პედაგოგი, წერს ხატებს, ჰყავს ერთი ვაჟი. შუათანა, ხატია ლარიაშვილი, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული. ფერმწერი-რესტავრატორი. პროფესიონალი ხატმწერი მაგისტრის ხარისხით, ჰყავს ქალ-ვაჟი. უმცროსი გიორგი ლარიაშვილი გახლავთ სასულიერო სემინარიის სტუდენტი, უყვარს კითხვა, კომპიუტერი, წერს ხატებს.

— **კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჟურნალ "ათინათის" რედაქციაში. რას გვისურვებთ?**

— დიდ მადლობას მოგახსენებ ჩემო ელენე, აქ მოწვევისათვის, მინდა წარმატებები გისურვო სწავლასა და პირად ცხოვრებაში. იმედია ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება. უფალი გფარავდეს, ღმერთს ებარებოდე. მადლობელი ვარ უფლის, რომ ვიმყოფები იმ რედაქციაში, სადაც უდიდეს ლიტერატურულ, კულტურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და მოქმედო პრეზიდენტი, ღირსეული მოქალაქე და არაჩვეულებრივი პიროვნება, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, რომლის ძალისხმევით დაარსდა და გამოიცემა ჩინებული ჟურნალი "ათინათი", იბეჭდება და გამოიცემა ანთოლოგია, სადაც თავმოყრილია თანამედროვე ქართველი მწერლების, პოეტების, მხატვრების და სზოგადო მოღვაწეთა ნაშრომები და რაც მთავარია გამოჩნდა ნორჩი, ახალგაზრდა პოეტების, ნორჩი ჟურნალისტების უცნობი ქმნილებები. მადლობელი ვარ პოეტის და მწერლის სერგო ლომაძის თავისუფალი, გამომსახველი შტრიხებით შესრულებული ლიტერატურული პორტრეტისათვის, რომელშიც მშვენივრად არის გადმოცემული და გაშუქებული ქალბატონ გულნაზის სულიერი და მაღალზნეობრივი პირტრეტი. მადლობელი ვარ ქალბატონო გულნაზ, ჩემი მოკრძალებული ნიჭის დაფასებისთვის, უფალმა დაგლოცოთ და ხელი მოგიმართოთ იმ უძნელეს და უვალ გზაზე, რომელიც შემოქმედებით მწვერვალზე აგიყვანთ.

როდესაც მიუახლოვდები რედაქციის კარებს, წუთით შეჩერდით და... "მიაყურადეთ... გაიგონეთ სულის გალობა" ...

მოამზადა – მარიამ ხიზანაშვილმა

ინტერვიუ მწერალთა კავშირის თავჯდომარესთან

- ქალბატონო მაყვალა,რომელი წლიდან მოღვაწეობთ საზოგადოებრივ ასპარეზზე?

- 17 წლიდან, როგორც კი სკოლა დავამთავრე მუშაობა დავიწყე საბავშვო ტელევიზიაში რედაქტორად, რასაც შემდგომ ახალგაზრდული ასოციაცია(პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია) "გულანის" პრეზიდენტობა მოყვა. 2000 წლიდან დავიწყე მუშაობა "მწერალთა კავშირში" პასუხისმგებელ მდივნად,2002 წელს კი ამირჩიეს "მწერალთა კავშირის" თავჯდომარედ.

- ხომ ვერ გამოყოფთ რაიმე ფაქტს, რომლითაც ყველაზე მეტად ამაყობთ?

- ტელევიზიაში მუშაობის პერიოდში მქონდა საავტორო გადაცემა "შეხვედრა მწერალთან", სწორედ ამ პერიოდში გავიცანი ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან: რევაზ ინანიშვილი,ვერიკო ანჯაფარიძე, ნოდარ დუმბაძე და სხვ. შევქმენით პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც ჩემს მეგობრებთან ერთად გამოვეცი ანთოლოგია -"ბედისწერა", სადაც ასახულია თუ რამდენი ნიჭიერი პიროვნება შეიწირა სამოქალაქო ომმა.აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ შევქმენი "ოქროს ფონდი", სადაც დაცულია უნიკალური ვიდეოჩანაწერები დიდი ქართველი მწერლე-

ბისა,მომავალში კი ამ კადრების ფილმად ქცევას და მომავალი თაობებისათვის ჩვენებას ვგეგმავ. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მე დავაწესე "ქართული კულტურის რაინდის" წოდება, რომელსაც თბილისის მერიასთან ერთად ვანიჭებთ რჩეულ და დამსახურებულ პიროვნებებს.ეს წოდება მინიჭებული აქვთ ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან : მუხრან მაჭავარიანი,ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანს,ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვ. ვამაყობ, რომ სწორედ ჩემი თავჯდომარეობის პერიოდში ჩატარდა პოეზიის საღამოები იერუსალიმსა და ფერეიდანში.

- **გვიამბეთ,როგორ ჩაიარა თქვენმა ვიზიტმა ფერეიდანში.**

- მე აღვადგინე გალაკტიონ ტაბიძის მიერ 1920 წელს დაარსებული მაისობის დღესასწაული, ყოველ 7 მაისს ვცდილობთ,რომ რაიმე განსაკუთრებული ღონისძიება მოვაწყოთ, სწორედ ამ დღესასწაულის ფარგლებში ვესტუმრეთ ფერეიდანს. მეტად სასიამოვნო შეგრძნებაა იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები, რომლებიც მოწყვეტილნი არიან თავიანთ დედა-სამშობლოს უკვე ოთხი საუკუნეა,კვლავ ქართულად გესაუბრებიან და სიხარულით გეგებებიან.

- **როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- ოქტომბრის თვიდან ვიწყებთ პროექტს "ბიბლიოთეკა ბორბლებზე", რომლის ფარგლებშიც მწერლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას დავურიგებთ საკუთარ წიგნებს ავტოგრაფებით. კიდევ უფრო საინტერესოა ეს პროექტი,ვინაიდან მასში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო თბილისელი,არამედ ადგილობრივი პოეტებიც. პროექტის განხორციელებას ვიწყებთ მთიანი აჭარიდან. ასევე ვაპირებ გავაკეთო დოკუმენტური ფილმი რუსთაველის პრემიის ლაურეანტებზე, რომლის პირველ ნაწილსაც უკვე წლის ბოლოს იხილავს მაყურებელი.რუსთაველის დღეებისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით, რომელიც იწყება 12 ოქტომბერს, მოვიწვიეთ "ვეფხისტყაოსნის" ბალყარულ ენაზე მთარგმნელი, რომლისთვისაც მესხეთში და თბილისში პოეზიის საღამოების მოწყობას ვაპირებთ.

- **თქვენ მწერალთა კავშირის თავჯდომარე ბრძანდებით და პოეტიც... როგორც ვიცით, ასევე თარგმნით კიდეც ნაწარმოებებს.**

- დიახ, ახლახანს გამოვიდა ჩემი პატრიარქისადმი მიძღვნილი წიგნი "ხმა მესმა", რაც შეეხება ჩემს მთარგმნელობით მოღვაწეობას, აქ ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ყირგიზული ეპოსი - "მანასი", რომელზეც ორი წელი ვმუშაობდი. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მინიატურული ხუთტომეულის გამოცემა, რომლის საშუალებითაც გავაცოცხლე გალაკტიონის სიტყვები:

-"რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და გალაკტიონი."

ამ ხუთტომეულში არის ჩვენი თაობის ხუთი უნიჭიერესი მხატვრის ილუსტრაციები. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები დასურათებულია ირაკლი ფარჯიანის მიერ,რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა,რომ გალაკტიონის წიგნი დაესურათებინა.

- **გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები და შენიშვნები ჟურნალ "ათინათთან" დაკავშირებით.**

- მე პირველ რიგში მინდა მივულოცო და მადლობა გადავუხადო ჟურნალის რედაქტორ ქალბატონ გულნაზის „ათინათის" გამოცემისათვის, იმ საქმიანობისათვის, რომელსაც ის ეწევა დიდი ენთუზიაზმით და საკუთარი თუ მოძიებული სახსრებით, თავისი კეთილი გულითა და დამალული ცრემლით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჟურნალში ერთმანეთის გვერდით იბეჭდება, როგორც გენიალურ მწერალთა, ისე ნორჩ „ათინათელთა" ნამუშევრები, რაც ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ძველ და ახალ თაობებს შორის.

მოამზადეს: თამარ ტყეშელაშვილმა და თიკო წულაიამ

ინტერვიუ გიორგი გამყრელიძესთან

— მოგესალმებით ბ-ნ გიორგი რომელი წლიდან დაიწყეთ ხელოვნებაში მოღვაწეობა?

—ბავშვობიდან. საერთოდ ხელოვნებაში ასეთი გამოთქმაა: ხელოვანად იბადება ადამიანი, თუ მერე იზრდება ხელოვანად?... მე ვთვლი, რომ ადამიანი შრომით, წვალებით, ოცნებით, იმედებით, ენერგიით, ფანატიზმით შენს საქმეში ხდები შენი საქმის შემოქმედი. არცერთი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი, რომ არ იყოს ხელოვანი. ხელოვნებას ხომ ნიჭი სჭირდება, მაშასადამე, ყველანი ნიჭიერები ვართ. ჩვენდაუნებურად ხელოვანები ვართ, გესმით?!

აი თუნდაც ჩქვენი გამოხედვა, ღიმილი, ვარცხნილობა ესეც ხელოვნებაა. მეც თქვენნაირად ბავშვობიდანვე დავიწყე ჩემი საქმის კეთება, რაც მომწონდა და მიყვარდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მშობლები არ ჩარეულან ჩემს საქმეში. თქვენც ნურასოდეს ჩარევთ თქვენს მშობლებს თქვენს საქმეში.

— რას წარმოადგენს თქვენთვის თეატრი?

— ოთახი გაქვთ, სადაც სათამაშოები გიდევთ, სადაც თქვენი სამყაროა, ვიღაცამ შეიძლება გითხრას, რა სასაცილოაო, მაგრამ ჩქვენ ძალიან მოგწონთ, მაინც. ჩემთვისაც თეატრი ასეთივე ოთახია, კარს რომ გამოაღებ ამ ოთახნახევრიან ჩემს სამყაროში, რომელსაც ეხლა ცოტა ბზარები გაუჩნდა და ავარიულია, ძალიან დიდი მინდორია შიგნით, თეთრი გვირილებით, მზე, ვარსკვლავები და მთვარე ერთადაა ამოსული, ცხრა სართულიანი ცა მაქვს, სრულიად თავისუფალი ვარ. ზღვაზე ცხენით დავრბივარ და არა გემით. გემით მხოლოდ უდაბნოში. ეს სამყაროა, სადაც ლოგიკურს და რეალურს არაფერი ექვემდებარება. ნურასოდეს დაკარგავთ ფანტაზიის უნარს, ესაა თეატრი ჩემთვის, დიდი სამყარო, სადაც ყველაფერი სიგიჟეა: ცხენი საუბრობს, თაგვი ორფეხზე დადის მე იქ მოხუცი კაცი ვარ და ჯოხით დავდივარ.

— 23 წლის ასაკში იყო რეჟისორი, იყო პედაგოგი, ეს ალბათ წარმოუდგენელია, რას გვეტყვით?

— მე ვარ 23 წლის, პატარა ვარ ხომ (იცინის) 20 წლის ვიყავი პირველად სპექტაკლი რომ დავდგი, 50-65 წლის მსახიობები მყავდა, მამის ტოლა, ბაბუის ტოლა, რთულია... რეპეტიციაზე როცა ხარ, ძალიან მკაცრი უნდა იყო და მომთხოვნი. პასუხისმგებლობა ბევრ რამეს ნიშნავს ამ სფეროში. რთული იყო ამ ასაკის ადამიანებთან მუშაობა, მაგრამ 20 წლის ასაკში "ბატონო გიორგით" მომმართავდნენ. 3 წლის შემდეგ მოსწავლეები ავიყვანე, თქვენი ტოლები, VI- VII კლასელები, ახლა უკვე დიდები არიან, რკინას ადნობენ ისეთი მაგრები არიან.

— ბავშვები ყოველთვის ამბობენ, რომ რთულია თქვენთან მუშაობა, მართალია ეს?

— ჩემთან? ვინ გითხრათ ეგ?(იცინის) არა. ორმოცამდე ბავშვი მყავს ერთ სტუდიაში და ორმოცამდე მეორე სტუდიაში. ასაკს გააჩნია. ერთ სტუდიაში 18-15 წლის ასაკის მოზარდები იყვნენ, ერთი იყო ცხრა წლის. სულ კალთაში მეჯდა ხოლმე, ღამეც მირეკავდა ვერ ვიძინებო. ერთხელაც გრუხუნი იყო, ატირებულა გიორგი მასწავლებელთან მინდაო. რა ვიცი!.. ვმეგობრობთ ხოლმე. მე ყველას შეყვარებული ვიცი. ხანდახან ბიჭებს მე ვაძლევ ფულს, რომ პაემანზე წავიდნენ, ვმეგობრობთ. როცა რამეს ცუდად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, ძალიან, ძალიან ვბრაზდები. დღე-ღამეში ადამიანმა ხუთი საათი უნდა იძინო, ისედაც ძალიან ცოტა ხანს ვცხოვრობთ, კიდევ რომ 12 საათი იძინო, გამოდის რომ 50 წელს ატარებ დედამიწაზე. ბევრი უნდა იმუშაო და იშრომო, ამას ვაჩვევ ბავშვებს, ჩაცმასაც კი ვუკონტროლებ მათ. მინდა რომ ურთიერთობები შეხმატკბილებული და დალაგებული ჰქონდეთ, ვასწავლი მათ რომ მშობლებს თავი კი არ უნდა დაუხარო, არამედ დაუთმო მათ. ხანდახან ისინი დაღლილი ბრუნდებიან შინ, ამ დროს მათ უნდა დაუთმოთ და მოეფეროთ. მაშინ ყალიბდება იდეალური ურთიერთობაც. მე ვუყვარვარ მშობლებს, მე მიყვარს ბავშვები. არ მყავს შვილი, მაგრამ უკვე ვიცი, როგორია შვილის სიყვარული.

— სირთულეები, ვიცით რომ რიგ საკითხებს უარყობთ და ახალ იდეოლოგიას ნერგავთ.

— დიახ, ანუ მე ვფიქრობ, რომ ბევრი რამე ქართულ თეატრში არის ცუდად დაფუძნებული, თუნდაც მსახიობსა და რეჟისორს შორის ურთიერთობა, მმართველობის სისტემა. ბავშვებო, თქვენი სამყარო თეატრმა უნდა ზარდოს, ამიტომ არ უნდა იყოს იქ თქვენი სტუმრობა მხოლოდ დამრიგებლობითი.

— **რაიმე ფიქრი, ჩანახატი – რაც თქვენი ცხოვრებიდან გახსენდებათ.**

— ბებიაჩემი! ბებიებს და ბაბუებს გაუფრთხილდით, თირემ როცა აღარ გეყოლებათ, მერე მიხვდებით, რა დიდი სიყვარული დაკარგეთ. ცხოვრებაში ახლა ვხვდები, რომ მათზე ძლიერ არავის ვუყვარდი. სოფელშო რომ შევდიოდი, ბებო აივანზე გამოდიოდა, თავზე თავშალი ჰქონდა მოხვეული, წელში კი მოხრილი იყო ისევე, როგორც სესილია თაყაიშვილი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონში". მურიკელა მენატრება, ჩემი ძაღლი, კატისნაირი თავი რომ ჰქონდა... აი, ეს მენატრება და ეს იქნება ჩემი ჩანახატიც. რაც უფრო იზრდები, უფრო და უფრო გადადიხარ მოგონებებში... ცუდია... ამიტომ მოუფრთხილდით უფროსებს...

— **როდესმე ხომ არ გიფიქრიათ დაგეწერათ ლექსი?**

— მიფიქრია, დამიწერია კიდეც, მაგრამ ისეთი, რომ გაგეცინებათ.

— **როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

— ჩემს ოთახში რომ შემოხვალ დიდი წარწერაა: "არასოდეს გქონდეს თავისუფალი დრო"... მაგრამ სადღაც მაინც გამონახავ დროს, შენს მეგობრებთან ერთად გაერთო, ყავა დალიო... ოთხი წელია არ დამისვენია, აი ეს არის ჩემი თეატრალური ცხოვრება.

ახალგაზრდა რეჟისორისთვის გიორგი გამყრელიძისთვის, გამოთქმა "ხელოვნებაში ჩაკლა ურჩხული" ჯერ ძალიან ადრეა. მისი შეხედულებით საქმის ფანატიკოსი უნდა იყოს ადამიანი. მისთვის ერთადერთი მიზანი და გამჭოლი ოცნება ის არის, რომ ქვეყანა შეიცვალოს უკეთესობისაკენ.

ეკატერინე ქადაგიძე
ქ.თბილისის 161 საჯარო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე



ჭაბუა ამირეჯიბი
და
ეკატერინე ქადაგიძე

სტუმრად საყვარელ მწერალთან

როცა გავიგე ჩემი უსაყვარლესი მწერალი, ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენმა პატრიარქმა ილია II ბერად აკურთხაო, გადავწყვიტე, დედასთვის მეთხოვა, რომ სტუმრად წავეყვანე მწერალთან და მოვფერებოდი უკვე დავით ბერს. ეს სურვილი დედამ შემისრულა და ბატონ ჭაბუას, დავითობას ვესტუმრეთ, მე, ჩემი დიდედა ჟუჟუნა ნიჟარაძე და დედიკო. დიდმა მწერალმა ძალიან გაიხარა ჩვენი სტუმრობით. მან მაჩუქა თავისი ახლად გამოშვებული წიგნი „ბოლოს წინა" ავტოგრაფით. მას ვუმღერე ეთერ ჭილაძის სიმღერა თბლისზე; დედამ სამახსოვრო სურათი გადაგვიღო. იქიდან ძალიან ბედნიერი წამოვედი.

დადგა 2013 წელი. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების დღე 18 ნოემბერი. კვლავ ვესტუმრეთ მე, დიდედა და ჩემი დედიკო და მივულოცეთ დაბადების დღე. საჩუქრებთან ერთად გადავეცით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალი — „ათინათი"; როცა კითხულობდა, ვგრძნობდი რომ მოსწონდა ჟურნალის არსებობა და რედაქციაში ჟურნალის მოლოცვის წერილი გამოგვატანა. ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია.

ლაგოდეხის ნაკრძალში

მამას მეგობარმა — თემურ ტყემალაძემ, ლაგოდეხის ნაკრძალში დაგვპატიჟა. სანამ იქ გავემგზავრებოდით, ჩემმა დიდედამ, მწერალმა — ჟუჟუნა ნიჟარაძემ ამიხსნა; მე-18-ე საუკუნეში, როცა რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში, ზაფხულობით ამ ულამაზეს ადგილას, დასასვენებლად გაჰყავდათ თავისი ჯარისკაცები და შეარქვეს დასასვენებელი ბანაკი, რაც ლაგოდეხის სახელად გადაკეთდა; როცა ლაგოდეხში ჩავედით. თემურ ბიძიამ წაგვიყვანა თავისი მეურნეობის „ფაუნის“ დასათვალიერებლად. შევედით მუხისა და კაკლის ტყეში, სადაც ბინადრობდნენ გარეული ღორები, ხოხბები, იქვე დავათვალიერეთ ფრინველთა ინკუპატორი. ვნახე გნოლები, გარეული ინდაურები, ციცრები. ამ ფრინველებს ზრდიან და პირდაპირ ტყეში უშვებენ. იქვე, ვნახე ცხენი, რომელსაც პატარა კვიცი უნდა გაეჩინა. თემურ ბიძიამ მითხრა რომ ახლად დაბადებულ კვიცს ჩემს სახელს დაარქმევდა. ექსკურსიის შემდეგ მიგვიწვიეს მონადირეთა სახლში, სადაც დაგვხვდნენ თბილისიან ჩამოსული სტუმრები, მათ შორის იყვნენ ჩემი ტოლებიც. ერთს ერქვა შოთიკო, მეორეს — თემო. აღმოჩნდა რომ შოთიკოს სახელი, თურმე ერთ ცხენს რქმევია. შოთიკომ თავის ცხენზე შემსვა და მასეირნა ლაგოდეხის ტყეში. იმ საღამოს, მამას მეგობარმა — ბიძია თემომ, ვახშმის შემდეგ მოგვიყვა, როგორ ინადირა სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ცნობილ მონადირეებთან ერთად. იგი მიწვეული ყოფილა „საფასი“-ს კლუბის მიერ, სადაც მოინადირა მარტორქა, ანტილოპა და სხვა ჯიშის პატარა ცხოველები, მათგან დამზადებულ ფიტულებს კი წესის თანახმად, სამშობლოში გამოუგზავნიან. ახლო მომავალში იგი კვალვ არის მიწვეული აფრიკაში; ამჯერად, ლომებზე სანადიროდ.

ძალიან ვისიამოვნე ამ ულამაზესი კუთხის დათვალიერებითა და საინტერესო ამბების მოსმენით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნუგზარ ნადარაია — თქვენო უწმინდესობავ! 3-5
ტერენტი გრანელი — დღიურები 5-7

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე 7-11
გულნარა შოთაშვილი 12-16
თამარ ჯაჭვაძე 16-19
გვანცა ხარაიშვილი 19-24
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე 24-27
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი 28-31
ციალა ხაჟალია 32-38
მაია თუნგია 38-39
გულნაზი ხარაიშვილი 39-44
ლალი კახიძე 44-45
ლამარა გერგედავა 45-57
თამარ თედიაშვილი 58-59
გიორგი გოგინაშვილი 59

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 60-61
ვაჟა აქიმიშვილი 62-63
კახა ბაციკაძე 64-65
მაყვალა გონაშვილი 66-67
ნუნუკა გურალია 68-69
ვაჟა ეგრისელი 70-71
ზაურ ნოზაძე 72-73
გოგიტა მელიქიძე 74-75
ერეკლე საღლიანი 76-77
ქეთევან ნათელაძე 78-79
დავით შემოქმედელი 80-81
სერგი ლომაძე 82-83
ვასო ლომაძე 84-85
გიორგი ზუხბაია 86-87
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე 88-89
მიმოსა ცანავა 90-91
იამზე ჭელიძე 92-93
ლამზირა შეყილაძე 94-95
ამირან შალიკაშვილი 96-97
ეილა შუბითიძე 98-99
დავით ტიგინაშვილი 100-101
ნინო ტარყაშვილი 102-103
ელგუჯა სხირტლაძე 104-105
ციური ხეთერელი 106-107
თამარ ჯაჭვაძე 108-109
ნანი წირაქაძე 110-111
ბეჟან ხარაიშვილი 112-113
ტარიელ ხარხელაური 114-115

თინათინ ხაბურზანია 116-117
გულნაზი ხარაიშვილი 118-120
ნათელა ხარაიშვილი 121
ზაურ მოლაშხია 122

წერილები

ტიტე მოსია 123-125
ლუარა სორდია 126-128
ამირან ლომაძე 128-130
ნანი ჭანიშვილი 130-143
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე 144-146
ჯიბო ჯიმერი 147-150
ვალერი მოსიაშვილი, სულხან მახათაძე 150-154
ჯუმბერ ხარაიშვილი 155-158
სერგი ლომაძე 158-160
გიორგი ზუხბაია 160-162
ლალი რატიანი 162-168
ნაილი ხარაიშვილი 168-174
ალი-უსუფ გუსეინოვი 174-178
ლიანა წურწუმია 178-180
ვანო შუშტაკაშვილი 181-183
ნათელა ხარაიშვილი 184-186

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 187-190
რეზო ადამია 190-193
სიმონ ზაქარაია 194-200
ნათელა პავლეს ასული ხარაიშვილი 201-202

სამართალი

ლაშა ხარებავა 202-205

ხელოვნება

ციური ხეთერელი 205-209
გაგა გულიაშვილი 210-214
ნანა პაიაშვილი 214-215
ნაილი ხარაიშვილი 215-216
ვახტან გაჩეჩილაძე 217-218
ჯუმბერ ლეჟავა 219-231

«ნორჩი ათინათელები»

ლუკა შედანია 232-236
ირაკლი ჯიგანია 237-239
ქრისტინე იზორია 240-241
ირაკლი ჯიგანია 241-248
ლუკა შედანია 248-251

ნატა პირველი 252-253
ანი ჩიტაია..... 254-257
ლუკა შედანია 257-259
ბაჩანა ლომიძე, თათია პატიაშვილი, ნიკა სვანი..... 259-261
ტარიელ ხარატიშვილი 261-267
ელენე გულიაშვილი 267-269
მარიამ ხიზანიშვილი..... 269-270
თამარ ტყეშელაშვილი, თიკო წულაია..... 270-272
ეკატერინე ქადაგიძე..... 272-273

ტექნიკური რედაქტორი — **ლუარა სორდია**

კორექტორი— **თამარ ჯაჭვაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ნანა სხირტლაძე**

მხატვარი — **გიორგი ლალიაშვილი**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge